მოშე-ხაიმ მდინარაძე

„ვეშხისტყაოსანი“ – გზა თორისა შემოქმედამდე, მარადიულ ნეტარებამდე

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 5778-2017

ავტორი უდიდესი მადლიერია წარმოუდგენლად ქველმოქმედი პიროვნების
ბეით-რახელის სალოცავის ხელმძღვანელის რაბი იოსებ მოშიაშვილის,
აგრეთვე პროფესორ ზურაბ ძოწენიძის მეტად კვალიფიკაციური განსჯისა და
რჩევებისათვის წინამდებარე მასალის გაცნობისას

რედაქტორი თინა არაბული
ასმათ მენთეშაშვილი

ტექნიკური რედაქტორი გივი ხარაული
დამკაბადონებელი თამარ ტყაბლაძე

გარეკანზე გამოყენებულია ირაკლი თოიძის ნახატი

ISBN 978-9941-473-18-0

უკვე ორი ათეული წელია, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ მდინარაძე დიდი გატაცებით და ნაყოფიერად იკვლევს ქართველი და ებრაელი ერების მრავალსაუკუნოვანი კავშირების ფესვებს, მიზეზებს, ისტორიულ, რელიგიურ, სულიერ ასპექტებს, გამოცემული აქვს უკვე რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, როლებშიც სრულიად ორიგინალური თვალთახედვით, განსხვავებულად სხვათა მიერ ადრე ჩატარებული ძიებებისა, წარმოადგენს ამ ასპექტებს.

თემურ მდინარაძე მამით ქართველი, აღმსარებლობით იუდეველია. იგი საკმაოდ ღრმად იცნობს ამ რელიგიის მხარეებს, ნიუანსებს, რომლებიც ქრისტიანულ კანონიკურ ლიტერატურაში არ არის გადმოტანილი და შეიცავენ მრავალ უაღრესად საჭირო, ეზოთერული ხასიათის საინტერესო ინფორმაციას. ამ ცოდნას ბატონი თემური უხვად აწვდის ქართველ მკითხველს, რომელთა უმრავლესობისათვის ეს სრულიად ახალი და ძალზე საჭირო ცოდნაა.

ავტორს ასეთი ღრმა განათლება საშუალებას აძლევს, გააკეთოს ძალიან საინტერესო მიგნებები ქართული და ებრაული ურთიერთობების ისტორიული და სულიერი გენეტიკური კავშირების მიზეზებზე და საფუძვლებზე, იგი საინტერესო ანალიზს უკეთებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და თავისი მოსაზრებების დამადასტურებელ არგუმენტებს პოულობს იქ. იგი ცდილობს, შეათანხმოს თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენები თორის საუკუნეების წინ გადმოცემულ ღვთიურ სიბრძნესთან და წინასწარმეტყველებთან, ახსნას თორის თვალთახედვით მეცნიერების ფუნდამენტური დებულებები, ნაწილობრივ რეაბილიტაცია გაუკეთოს სიცოცხლის წარმოშობის არცთუ მთლად დადასტურებულ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელ თეორიას.

ასე რომ, დაინტერესებული მკითხველი ბატონი თემურის წიგნებში იპოვის მრავალ საგულისხმო ცნობას და, რაც მთავარია, ძალიან ორიგინალურ მოსაზრებებს ისტორიაზე, რელიგიაზე, „ვეფხისტყაოსანზე“, აწმყოსა და მომავალზე.

მე გარკვეული შენიშვნები მაქვს ავტორის აზრის გადმოცემის, წერის სტილის მიმართ. მისთვის დამახასიათებელია შინაარსის ერთგვარი დაუსრულებლობა, თითქოს იგი გულისხმობს, რომ მკითხველმა დანარჩენი თავადაც იცის ან მიხვდება. ეს საკმაოდ აძნელებს მისი წიგნების კითხვას, შინაარსში ბოლომდე ჩაწვდომას. ასე წერდნენ ძველი წინასწარმეტყველები. მათთან თითქოს ყველა სიტყვა, ყველა წინადადება გასაგებია, მაგრამ აზრის გამოტანა, სიცხადე ჭირს. ამიტომ მათ ნაწერებს ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ უამრავი განმმარტებელნი, კომენტატორები, რომლებიც ცდილობენ გაარკვიონ, თუ რას წინასწარმეტყველებდნენ წინასწარმეტყველები. მეცნიერებაში ერთ-ერთი ასეთი ბოლო პრეცედენტი აინშტაინის ფარდობითობის თეორია იყო, რომელიც მხოლოდ კომენტატორების, პოპულარიზატორების მეშვეობით გახდა გასაგები დაინტერესებული ფართო მასებისათვის.

პროფესორი ზურაბ ძოწენიძე

ავტორისაგან

ცნობილია, რომ შემოქმედმა ჯერ თორა შექმნა, მერე – მისით სამყარო. იგი გადაწერა მოშემ უფლის კარნახით. შემდეგ კი, როცა სოლომონმა ააგო ტაძარი, ანგელოზებმა იგალობეს უფლის შემოქმედება – „ქებათა ქება“. მისი მრწამსი თავისი ზეგარდმო სიბრძნით შეიცნო მხოლოდ სოლომონმა. ხოლო წარმოუდგენელი გენიალურობა „ქებათა ქებისა“ მასშია, რომ სულ რვა გვერდში და რვა თავში გადმოიცა მთლიანი თორის არსი (მაშინ, როცა უამრავი ტომი დაწერილია და იწერება მისი ახსნისათვის).

ამავე დროს, მასში მოყვანილი 216 საიდუმლოება მთლიანად თორისა, დღემდე შეუცნობი იყო. დღეს კი, მესიის ერაში რომ აგვეხსნა იგი, რუსთველმა ამის ბრძანება უფლისგან მიიღო. გავიხსენოთ: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. და ასე, უფლისგან მონაბერი სიბრძნით, რუსთველზე გადმოსულით, შეიქმნა მესამე ქმნილება უფლისა – რუსთველის წარმოუდგენელი პოეტურობით შემეცნებული „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო ტკბობა და წარმოუდგენელი ნეტარება მისი ნაწარმოებით უსასრულოდ იზრდება დღეს, მესიის ერაში, როცა შესაძლებლობა მოგვეცა აგვეხსნა „ქებათა ქებიდან“ გამომდინარე მთლიანი თორის არსი. თორა ხომ ისეა შედგენილი, როგორც მწყურვალთათვის უგემრიელესი ჭის წყალი, რომელიც ამოუწურავია. ანუ როცა ამოვიცნობთ ჩვენთვის წარმოუდგენელი აღმაფრენის წინასწარმეტყველების საოცრებებს, ისევ წარმოიშნდებიან კითხვები და უდიდესი სურვილი ამ წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე ახალი საოცარი წინასწარმეტყველებათა შემეცნებისა. აქედან გამომდინარე თორის განათლებიდანაა ჩვენი უსასრულო ნეტარება და მარადისობა.

ამ თვალთახედვით არ შეიძლება არ დაეთანხმო მხცოვანი მეცნიერის, სულიერ დარგში დიდად გათვითცნობიერებული საზოგადო მოღვაწის, ბატონ ზურაბ ძოწენიძის მეტად ბრძნულ შეფასებას ჩემი შემოქმედებისა.

შედეგად, ბედნიერად ვრაცხ თავს, როცა იგი ავითარებს აზრს, რომ ჩვენი ნაშრომების შინაარსი დაუსრულებელია და ასე წერდნენ ძველი წინასწარმეტყველნი. რამეთუ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან წინასწარმეტყველთა ყოველი წინასწარმეტყველებისას ჩნდებოდა ახალი კითხვები, თორიდან გამომდინარე, რომლებსაც ეცემოდა პასუხები და ეს პასუხებიც ისევ და ისევ ბადებდა ახალ, მეტად დაუცხრომელ წყურვილს თორის სიბრძნეთა სრულად შეცნობისათვის. ისინი ხომ დაუშრეტლად მოედინებიან ამანაც განაპირობა აგერ უკვე ამ მეოთხე ნაშრომის წიგნად გამოცემა.

და ეს ყოველივე იმიტომ ხდება, რომ უდიდესი სურვილია, უფლისგან გამომდინარე, რათა ქართველმა ერმა აღადგინოს სამყაროს ხსნის ის სულიერი ცხოვრების წესი, რაც საფუძველია ადამიანთა მოდგმის უარყოფით თვისებათა გამოსწორებისა. ასე განვითარდა ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი გენეტიკა გაყოფა, გაცემა უდიდესი სიყვარულისა, უფლისა და მოყვასისათვის თავდადებისა.

ხოლო მაგალითი ამისა არის, ჩვენთვის მიუღწეველი, თვით უფლის წარმოუდგენელი სრულყოფილება, სიწმინდე, დადებითი თვისებები, რომლებიც დაფუძნებულია წარმოუდგენელ სიყვარულზე და ერთსულოვნებაზე უფლისა და მისი შეხიზისა, იგივე სულიწმინდისა.

რომ შეექმნა ასეთი გენეტიკის ორი ერი, მეფეთა – იბერთა მოდგმა ისრაელნი, წმინდა ერი და ქართველნი, დედა ერი, ვითარცა ერთი სულის ორი ნახევარი, ამისათვის რუდუნებით იღვწოდა უფალი. შედეგი ამისა იყო ნოეს კურთხევა ძმებისა, შემის და იაფეთის, რისგან გამომდინარე შემ – აბრამიდან გამრავლებული წმინდა ერი – ისრაელნი – ამყარებენ უფალთან კავშირს, ავითარებენ თორის სიბრძნეს, გადასცემენ დედა ერს – იაფეთელთ, რომელნიც ვითარდებოდნენ ისრაელთა სულიერ კარვებში მთელი ისტორიის მანძილზე. და ასე ეს ორი ერი მუდმივად თანაზიარი იყო თორაში ჭირნახულობისა.

ამიტომაც მხოლოდ მათ მიენიჭათ მეტად საამაყო სახელები: ისრაელთ – წიგნის ხალხი, ხოლო ქართველთ – მიწათმოქმედნი ამ წიგნით.

და სწორედ დასაბამიდან ორი ერის ძალისხმევით დაფუძნდა ცხოვრების ის წესი, რომლითაც მავალი იყო ორი ერი. სადაც სიტყვა ნაოქვამი და ულვაშის ერთი ღერი გარანტი იყო მისი აღსრულებისა. ამადაც იყო უზნეოთა მოკვეთის ტრადიცია, წარმოუდგენელი სიუხვე, რამეთუ უფალი, მისი შეხინა, რუსთველით თინათინი, მხოლოდ ამ ქვეყანაში იყო მუდმივად დავანებული.

ამიტომაც ამ ქვეყნის ორი ერის ღირსებიდანაა, რომ დღევანდლამდე მთელი სამყარო, მათი უზნეო ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არ აღიგავა. თუმცა ისჯებოდნენ აღიგვებოდნენ სხვა ერები – ენები, ჩვენ კი მოვდიოდით, რამეთუ ვიდოდით თორით. ამიტომაც ერქვა ჩვენ აბჯარს თორი და ასე, თორის შუქით უძლეველნი ერთი ათს ვამარცხებდით. ჩვენში რომ ყველაფერი თორით სუნთქავდა ამიტომაც უწოდა თამარ მეფემ თორის ხეობას სადაც 28 სოფელი იყო "საქართველოს ბრილიანტი". ასე ვიდექით სიმართლის სადარაჯოზე, ვიფარავდით ყველა დევნილს, ვიყავით მედიატორნი, მშვიდობის ჩამომგდებნი და მთელ სამყაროში, გაგვქონდა ცოდნა.

და ბოლოს, რომ ამ წესის აღდგენა თორიდან გამომდინარე იხსნის სამყაროს, ამის დასაბუთებაა ჩვენი ოთხივე ნაწარმოების შინაარსი. ამიტომ სურვილია მათგან გამომდინარე ფილმის შექმნისა რითაც ყველა დარწმუნდება რომ დაწყებულია პირველი დღის მაგვარი სულიერი შუქის ჩამოსვლა და დროა ყველა ხალხები მოეგონ გონს რათა მისცენ საშუალება საქართველოს და ისრაელს აღადგინო ის სულიერი ცხოვრების წესი რომლის დანერგვა მათთან იხსნის ამ ერებს გადაშენებისაგან. ამავე დროს წიგნთა წიგნიდან, ამ უტყუარი დოკუმენტიდან გამომდინარე, საბუთდება, რომ მხოლოდ ორი ენა მოცემულია უფლის მიერ, რომელიც მიეცა ადამს და კაცობრიობას მათი დაარსებიდან, რომლის ასაკიც ითვლის 5778 წელს. და რომ მხოლოდ ამ ორ ენაზე დაიწერა წიგნთა წიგნიც. ხოლო საქართველოს არსებობის გარანტი იყო სწორედ ეს ორი ენა. რამეთუ ისრაელთა განდევნილობა ამ ენებზე მეტყველების დაკარგვის მოსალოდნელი საშიშროებიდან იყო. ამიტომაც ისრაელთა სწავლული ალიები მოედინებოდნენ ჩვენში ყოველი იმპერიის შემოსევისას მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ძალისხმევით დედა ენა არ გადაშენებულიყო. ამ ენაზე მე-ტყვე-ლებით ჩვენ ტყვენი ვიყავით უფლისა, მისი სიწმინდე-სულიერებისა. ენა იყო ჩვენი სულიერების, კაცთმოყვარეობის, მარადისობის, აგრეთვე იბერთა-მეფეთა სახელმწიფოებრიობის გარანტი. ამიტომაც მოვდიოდით მუდმივად.

ამავე დროს, საბუთდება აგრეთვე ორი ერის სულიერი ერთობა ითვლის არა 26 საუკუნეს, არამედ ნოეს კურთხევის შემდგომ ზუსტად 4120 წელს.

I. თორის – ორი ანბანის და „ქებათა ქების“ საიდუმლოებათა ახსნა „ვეფხისტყაოსნით“

თითქმის 34 საუკუნეა, რაც თ-ორ-ა მივიღეთ. სვანურად ლი-თერ წინასწარმეტყველებას ნიშნავს, „ლუთერ“ – სწავლულს, „ლა-თური“ კი – ჭკუის საკითხავ კაცს. ხოლო „ბიბლია“ ბერძნულად წიგნებს ნიშნავს. ამიტომ ქართულად თ-ორი-ს თქმა უფრო სწორია. დასტურად, მართალია, უფლის წარმოუდგენელ სიბრძნეს ვერ აღიქვამს ადამიანის გონი. მაგრამ ერთი შეიძლება ითქვას: კაბალით ცნობილია, რომ სამყარო შეიქმნა ასო-ნიშანთა უდიდესი სულიერების – სიბრძნის შემცველობის და მათი ნათება-შუქიდან გამომდინარე. ხოლო მარცვალი „ორ“ მიტომაა ჩვენს მიერ გამოკვეთილი, რომ ყოველივე სიკეთე ამ სამყაროში სიწმინდე, სიბრძნე, მათგან გამომდინარე ნათება, შუქი, ყოველი ორის სიყვარულთანაა დაკავშირებული. მაშინაა თავმდაბლობა, აღკვეთილია შური, სიამაყე, დაპირისპირება. ამის მაგალითი კი შემოქმედია, რომლის წარმოუდგენელ სიბრძნეს და კეთილშობილ თვისებებს უდიდესი ნეტარებით, ერთგულებით აღიქვამს მისი მდედრობითი არსი – შეხვედა, იგივე სულიწმინდა.

და არსი მოლიანი ქმნადობისა, თორიდან გამომდინარე, მასშია, რომ განხორციელდეს გენია უფლისა, დაფუძნებული წარმოუდგენელ ერთსულოვნებაზე, სულიერ სიყვარულზე, შუქზე – ნათებაზე, ყოველი მამრისა და მდედრისა. ამისათვის ასეთივე ერთსულოვნების, შერწყმის მაგალითია მის მიერ შექმნილი ერთმანეთის სინონიმები – წმინდა და დედა ანბანი, სადაც წმინდა მამრობითის, უფლის უდიდესი სიბრძნის მატარებელია, რომელიც დედა ენის ასომთავრული ანბანით განიმარტება. და როცა შექმნა უფალმა ამ ანბანებით თორა საწყის ეტაპზე, რითაც იგი ნეტარებდა, რომ ეს ნეტარება ყოფილიყო უფრო ჰარმონიული და ორმხრივად განვითარებადი, დაფუძნებული ასევე უდიდეს სულიერ სიყვარულზე, განიზრახა მან, შეექმნა თავისი სულიერი მარადიული მეწყვილე ამ საქმეში, თავისი შვილები – ადამიანები.

ამ ნიშნით მოხდა თორის უფრო სიღრმისეულად განვითარება და შექმნა მან ამისათვის განკუთვნილი, იგივე სამოთხის ბაღი, რომელშიც მოათავსა ადამი.

ამავე დროს შექმნა უფალმა ცათა ოთხი ფენა. პირველია ყველაზე დაბალი, ეს დედამიწაა – ასია; მეორეა ბრია, მესამეა იეცირა და მეოთხეა აცილუთი. ამ ცათა ფენებზე განათავსა ოთხი მიმართულებით თორის სიბრძნის გაგება: პირველი, დედამიწაზე განთავსებული თორის სიბრძნის არსი წმინდა ენაზე „ფშატის“ დონეზეა, ანუ აქ პირდაპირი გადმოცემაა თორისა, მის სიტყვებში ჩადებული ყოველგვარი ახსნის გარეშე. მეორე ცაზეა თორა რემესის სახელწოდებით – აქ უკვე მინიშნებებია, თუ როგორ გავიგოთ თორის სიწმინდის არსი. მესამე ცაზეა თორა დარაშის სახელწოდებით, სადაც უკვე უფრო ღრმა კვლევა-ძიების ანალიზია თორის მისი ასოსიტყვის არსისა. ხოლო მეოთხეზე მოთავსებულ თორას ჰქვია სოდ – რომელშიც თორის წარმოუდგენელი საიდუმლოებების – წინასწარმეტყველებათა ღრმა ახსნებია მისი ყოველი ასოდან დაწყებული.

ადამის შეცოდების შედეგად ჩვენ მივიღეთ თორა, ყველაზე დაბალი საფეხურით ახსნილი და ამიტომაც ჩვენთვის ბევრი რამ გაუგებარია. მაგალითად, ფიქრობს ყოველი ჩვენგანი, რა საჭიროა მოყვანა სახელებისა: იშმაელ, იაკობი, ესავის შთამომავალთა, ან გადასატანი კიდობნის მასალათა დახასიათება და ზომების აღწერა. ეს უკანასკნელი სამყაროს შექმნის მიხი-მაკეტია. ამავე დროს, თორაში მოყვანილ ყოველ ასოსაც კი წარმოუდგენელი მნიშვნელობა აქვს და ჩვენს დონეზე ბევრი მათგანი ვერაღქმად საიდუმლოებებს შეიცავს. ისინი თანდათან განიმარტებიან ყოველ შემდგომ საფეხურზე თორის ახსნისას.

ამდენად, ჩვენ შევეცდებით ავხსნათ თორა იმ დონიდან გამომდინარე, რაც დღეს დედამიწაზეა ჩამოსული, და ამ საქმეში გვაქვს წინა თაობებთან შედარებით დიდი უპირატესობა, რამეთუ განიმარტა თორის არსის გადმომცემელი, აქამდე აუხსნელი სოლომონის „ქებათა ქება“, რომელშიც ყოველი სიტყვა 70 მაგალითს შეიცავს და თითოეულ მათგანს 1500 ახსნა აქვს. თუმცა, „ქებათა ქებაც“ ჩვენს მიერ ახსნილია თორის ბოლო, მეოთხე საფეხურის დონიდან გამომდინარე.

ახლა შევეცდებით, „ორ“ ანბანის სიბრძნეზეც ვთქვათ, რამეთუ თითქმის მათი ანალოგიით შექმნილია ორი ერი: წმინდა – ისრაელნი და დედა – ქართველნი. წმინდა ენის ასო-ნიშნებისათვის მისი მოხაზულობიდან – სტრუქტურიდან გამომდინარე, დამახასიათებელია შერწყმა რამდენიმე სხვადასხვა ასო-ნიშნების – თანხმოვნების ადრეთვე ხმოვნების, რომლებიც წერტილ-ხაზებით გამოისახებიან ასოთა ირგვლივ. მათ ყოველივეს სხვადასხვა ჰემატრიული მნიშვნელობა და თვისებანი გააჩნიათ. ამიტომაც

ყოველი ასოს – ბგერის, ხაზისა და წერტილთა გეგმაზომიერად შერწყმა-შეთავსება განაპირობებს, რომ წმინდა ენის თითოეული ასო-ნიშანი შეიცავდეს 70 ძირითად სიბრძნეს.

ეს ყოველივე კი საფუძველია იმისა, რომ ქმნადობისას უფლის სიტყვებით შესაბამისი წარმოუდგენელი ნათება – შუქი მოედინება დედამიწაზე. ეს პროცესი კაბალის სწავლებიდან გამომდინარე, განმარტებულია აგრეთვე აგრეთვე 1.5.2. თავში. ამდენად, ყოველი ბგერა – ეს ის აგურებია თორისა, რომლებითაც სამყაროს სახლი, მთლიანი თ-ორ-აა შექმნილი. იგია ადამიანთა ქმედების კონსტიტუცია მისთვის, რომ უფალს, რომელიც ყოვლად სიწმინდეა, სულიერია, უსასრულოა, მასში ყველა თვისება სიბრძნე, სიყვარული და ა.შ. მიუახლოვდნენ მისი სულიერი შვილები – ადამიანები.

და ბოლოს, ამ ასო-ნიშანთა დამახასიათებელი ნათებიდან გამომდინარე, როგორც ითქვა, მარცვალი „ორ“ – ეს ის უფლის წარმოუდგენელი სიბრძნის შემცველი შუქია, რომლის აღმქმელია მისი შეხება და რომლის ძალითაც უფალმა შექმნა სამყაროები – ცები. ამიტომაც ამ ასო-ნიშანთა ნაკრებით შედგენილი თორა უფლის ერთ-ერთი ძირითადი სახელია, რომლითაც იგი ვლინდება სამყაროში. იგი ფუნდამენტალურია უფლის იმ 72 სახელთა შორის, რომლებიც მისთვის არიან, რომ ამ სახელით უფლისა – თორის მრწამსით შეიქმნას მთლიანი სამყარო.

ხოლო მატერიალური სამყაროს ქმნადობის არსი აინშტაინის ფარდობითობის თეორიით შემდეგშია: ენერგია უტოლდება მასას, გამრავლებულს სინათლის სიჩქარის კვადრატზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ენერგია განაპირობებს მასის წარმოქმნას. ამავე დროს, არაორგანული მატერია, ეიკით, შედგება მოლეკულებისაგან, რომლებიც შეიცავენ ორ ან მეტ ატომს და ეს ყოველივე, რაკიღა უფლის სიტყვით, სიბრძნით – შუქის ენერგიით იქმნებოდა, უნდა წარმოვიდგინოთ წმინდა ენაზე. უფლის მიერ ნათქვამი სიტყვის ასო-ნიშნები იგივე მოლეკულებია, რომლებიც შეიცავენ ატომებს თანხმოვნების და ხმოვნების სახით.

შედეგად, უფალი წარმოთქვამდა სიტყვებს თორიდან გამომდინარე, და მასში შემავალი ასო-ნიშნების არსით იქმნებოდა სასურველი ობიექტები. ხოლო ყოველი ობიექტის სახელი, შემდგარი უფლის ასო-ნიშნებით, მათი შუქის ძალით, წარმოქმნიან ნაპერწკლების სახით იმ სულს, რომელიც განაპირობებს ამ ობიექტების არსებობას – მუდმივმოქმედებას ქმნადობის დასახული მიზნის განსახორციელებლად. ანუ ამ ობიექტებში მუდმივადაა ატომების მოძრაობა. ამ სახელებით ქმედებს უფალი ყველა არსებულზე, და ისინი არსებობენ მხოლოდ მით, რომ შერწყმულნი არიან მასში და ფოთოლიც კი არ მოძრაობს უფლის ნების გარეშე. ამავე დროს, თუ როგორ შეიქმნა გლობალურად – მთლიანად ცა და დედამიწა, ამას 1.3 თავში განვმარტავთ.

ახლა შევეცადოთ, განვმარტოთ, რატომ ჰქვია თორას „ხე სიცოცხლისა“.

რაშია ჩვენი მარადისობის არსი

რომ სრულყოფილად შევიცნოთ თორის შექმნის მიზანი, ამისათვის განვმარტოთ მასში მოყვანილი ადამიანის რაობის ფუნდამენტალური არსი: (დაბადება 1-26): „და თქვა ღმერთმა, შეექმნათ ადამიანი ჩვენი სახის მიხედვით, ჩვენი მსგავსებით, და იბატონონ ზღვის თევზებზე, ცის ფრინველებზე, პირუტყვზე მთელ დედამიწაზე“... ადამიანი მით განსხვავდება ცხოველებისაგან, რომ, გარდა ცხოველური სულისა, რითაც მუდმივმოქმედებენ ცხოველები, მას გააჩნია მოლაპარაკე ღვთიური სული, რომელშიც შთენილია წმინდა ენის 22 ასო-ნიშანი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანთა სახელები უფლით ნათლობის წინ მოეწოდება მშობლებს. ამ სახელების ასო-ნიშანთა არსიდან გამომდინარე, წმინდა ენაზე, როგორც ითქვა, შედგენილია ადამიანთა ღვთიური სულებიც. აქედან გამომდინარე, უფალმა ასევე შექმნა 600.000 ღვთიური სული, რომლებშიც პირველი ასოები მათი სახელებისა იმ რიგითობითაა, როგორც მისი ფუნდამენტალური სახელი თორაა დაწერილი.

ხოლო პირველი ასოები სახელში ფუძე-ასოებია, რომელნიც, როგორც თავი ადამიანის სხეულში, მისი სულიერი რაობის – მრწამსის განმსაზღვრელია. ამდენად, მისი თორიდან ანუ უსასრულო სიბრძნიდან, საზრისიანობიდან გამომდინარე, რაც თვით უფალია, თითო-თითო ასოდან მისი სახელისა შექმნა აგრეთვე სახელებით, მისი უდიდესი სულის განშტოებები, იგივე მისი სულიერი შვილები.

ანუ, ჩვენი სულები შედგენილია თორის ენის უდიდესი სიბრძნით, მათში გარდმოვლენილია მისი შუქი, იგივე წმინდა ნაპერწკლები, რომელნიც მსგავსია უფლისა, მისი ერთგულნი არიან. რაც მათ უნდა დაამტკიცონ, როცა ისინი ჩაისახებიან მათ მსგავს მატერიალურ სხეულში. სადაც, მუდმივი თორით განათლებით ცხოველური

სულის მისწრაფებანი გაკეთილშობილდებიან და ადამიანები არ აჰყვებიან ცხოველურ ვნებებს. ამას თვით სიტყვა სახ-ელი-ს არსი გვეუბნება: წმინდა ენაზე სახ – მოლაპარაკეა, ელი – ღმერთი, ანუ მოლაპარაკე ღმერთივითაა ადამიანი, რამეთუ მისი სახელის ასო-ნიშნებითაა შექმნილი იგი, იგივე მისი შვილი, რომელიც სახეა ღმერთისა. რამეთუ თითოეული განვითარდება ღმერთის სახელიდან, მისი თორიდან. აქედანაა, ამ 600.000-ის გამრავლების შედეგად შეიქმნებიან ადამიანები მისი სახის მიხედვით.

მართალია, ანგელოზებიც შექმნა უფალმა ღვთიური სულებით, მაგრამ ადამიანთა სულები უფრო მაღალი სულიერი წყაროებიდან, უფლის სამყოფელიდან ეშვებიან, რადგან უფალი და თორა განუყოფელია. ისინი ყველა სულიერ ცათა ზემოთ არიან და მათ მუდმივმოქმედებას, არსებობას განაპირობებენ. ასე მხოლოდ ადამიანები – იბერები მაღლიანდებიან უფლის წარმოუდგენელი ნეტარების შუქის სიახლოვეს.

აქედან გამომდინარე, ანგელოზები არ ჩაისახებიან მატერიალურ ტანში. რამეთუ უფლის სულიერი – სიბრძნის შუქის დაცილების გამო, მეტად დაბალ დონეზეა პოტენცია ცხოველურ ვნებათა მოთოკვისა და სიწმინდეში ყოფნისა. ეს შეეძლებათ მხოლოდ ადამიანებს. მათთვის დაიწერა თორაც, რისი არსითაც უფალმა შექმნა სამყარო.

ისმება ერთი კითხვაც: ვისდამია მიმართვა: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი სახის მიხედვით, ჩვენი მსგავსებით“. ეს, რა თქმა უნდა, ამ 600.000 ღვთიური სულისადმია. უფალმა ხომ ჯერ სულიერი სამყარო შექმნა და მერე – მატერიალური.

ამდენად, მათ ყველამ, ამ სულებმა, დასტური მისცეს, რომ მათი ჩასახვით მათ მსგავს მატერიალურ ტანში, შეიქმნებოდნენ ადამი-ან-ები, რაც თვით ადამის სახელიდან გამომდინარეობს. ანუ წმინდა ენაზე „ადამ“, იგივე მიწა მიწიერია, რომელიც შექმნა უფალმა, მოლაპარაკე ღვთიური სულის მსგავსად. ამავე დროს ამ სულში შთენილია წმინდა ენის 22 ასო-ნიშნის – ან-ბანის სიბრძნე, რასაც მარცვალი „ან“ გადმოგვცემს. ხოლო „ი“ ასო-ნიშნის არსი, მისი ჰემატრია 10-ია, იგივე 10 მცნებაა, ანუ თორის სიბრძნის შემეცნებაა. შედეგად, ანბანის და თორის სიბრძნის შემეცნებიდან გამომდინარე, შეიქმნებოდნენ ჭეშმარიტი უფლის შვილები მასთან მიახლოებული თვისებებით.

ამგვარად, გვაქვს ანბანი, ასევე ღვთიური სული, რომელიც შექმნილია ანბანის ასო-ნიშნებით და გვაქვს თორა, რომლითაც თვით უფლის სახელი იწერება. ამავე დროს, მისით გაბრძენება-ქმედებით ადამიანები-მიწა-მიწიერნი თანდათან სრულყოფილნი შეიქნებოდნენ. რამეთუ, 300.000 წყვილის მიერ თორის სწავლისას, ადამთან ერთად, მთლიანი თორა ამეტყველდებოდა დედამიწაზე.

დასტურად, უფლით, ყოველ ორს, მათი სახელების ასო-ნიშანთა არსიდან – სიბრძნიდან გამომდინარე, ექნებოდა ყოველდღე აღმოჩენილი სიახლენი. ასე ისინი და აგრეთვე სხვანი, ყოველი ორი, ამ აღმოჩენებს ერთმანეთს გაუზიარებდნენ, შეურწყავდნენ და დაალაგებდნენ.

და ეს ყოველივე იმიტომ მოხდებოდა, რომ ყოველი წყვილის, ასევე ჯგუფის მიერ თორის სწავლისას მათი მუდმივი მასწავლებელი უფალია, რომელიც აბრძენებს მათ თორის სიბრძნით. ამდენად, მუდმივად ახალ-ახალ სიბრძნეთა აღმოჩენებით, რომელნიც ამოუწურავია, რადგან, თორაში თითოეულ ასოს, სიტყვას, წინადადებას 70 ახსნა აქვს, მათ კიდევ 70 და ასე, თორის სიბრძნით განათლება უსასრულოა.

შედეგად, ყველას ექნებოდა სასწაულად ზრდადი ყოველდღიური ნეტარება. სულ უფრო და უფრო მეტი უფლის შუქი შემოვიდოდა მათში. მარადისობაც ამ წიგნის სწავლისას მასშია, რომ თორა უფლის სიბრძნით ისეა შედგენილი, ვითარცა მწყურვალისათვის უგემრიელესი ჭის წყალი, რომელსაც ეწაფებით მუდმივად ნეტარებით რამეთუ დაუშრეტელად მოედინება, ამოუწურავია, გვაბრძენებს, რაც ჩვენი მარადიული ჰარმონიის საფუძველია.

ხოლო მექანიზმი სამყაროს მუდმივმოქმედებისა შემდეგია: ყოველი ორი 300.000-დან 24 საათის განმავლობაში წარმოქმნიდა „ორ“ შუქს თორისა, ანუ ენე-რგია თორის ენისა, ავიდოდა ზევით, უფალთან, მის პირველ საწყისთან. შემდეგ გადაეცემოდა ეს შუქი – ენერგია პირველ სულიერ ცას, რაც მის ბრუნვას მუდმივად მოქმედებას განაპირობებდა, ის კი ამ შუქით ენერგიით ქვემოთა სულიერი ცების ბრუნვას განაპირობებდა, ხოლო ქვემოთა სულიერი ცა მატერიალურ ცათა ბრუნვას განახორციელებდა, სადაც პირველი სულიერი ცის ფუნქციას პლანეტა მზე შეასრულებდა მიზიდულობის კანონით.

ცნობილია თორით, რომ შვილები განაპირობებენ მამის სიცოცხლის გაგრძელება-განვითარებას. შემდეგში ეს 600.000 ისრაელთა წმინდა ნაშამები, მომავალ თაობებში შობდნენ უფრო სრულყოფილ შთამომაელობას. რამეთუ ისინი ემსგავსებიან მამას გარეგნულად და გენეტიკური აზროვნებითაც. რასაც უფრო ავითარებენ ღვთიური სულის დაყათით, ანუ ჭკუით, თორის სწავლისას. ეს განაპირობებდა თვით უფლის „ორ“ შუქის სიბრძნის სიძლიერის გაზრდას ახალ-ახალი აღმოჩენებით, რაც ადამიანთა და უფლის მუდმივად წარმოუდგენელი ნეტარების, ჰარმონიის საწინდარია.

დასტურად, უფლით, ადამიანი, მისი მეტყველებიდან გამომდინარე, სამყაროს რაობის არსის წარმმართველია. ცნობილია, სიტყვით ჰაერის ვიბრაცია, აქედანაა ჩვენი სმენაც. სამყარო წარმოადგენს ერთ დიდ ველს, რომელიც იმყოფება გამუდმებით სიტყვათა ვიბრაციაში. და ყოველი ნათქვამი სიტყვა გავლენას ახდენს მასზე. ამდენად, თუ ვსწავლობთ თორას, ვმეტყველებთ მისით, კეთილი ანგელოზები იბადებიან. ასე ზეცა გაწმენდილია სულიერი შუქის აურით. ეს ნასწავლი უფლის შუქი ადის უფალთან, რის შემდგომაც ჰარმონიულად მუდმივმოქმედებს სამყარო. წარმოუდგენელი სიუხვე და სილამაზეა დედამიწაზე.

ასე, ყოველი წმინდა სული, უფლის შვილნი, თორის სწავლით, მისი შუქის სიბრძნის შემეცნებიდან გამომდინარე, გაასულიერებდა სხეულს, რაც აისახებოდა მასში, რომ ანალოგიურად ზევითა სულიერი ცებისა, იფუნქციონირებდა ქვემოთა ცებიც. დედამიწა და მთლიანი მატერიალური სამყარო სულიერ შუქში გაეხვეოდნენ. შედეგად, ყოველი თაობა თორის სწავლით შეიქნებოდა უფრო სრულყოფილი.

ამდენად, უფალმა მისი შემდგომი სიხარული, ნეტარება, სიძლიერე დაუკავშირა მხოლოდ ადამიანთა თორით განათლებას. ასე უსასრულო სიბრძნე, შუქი, ძალა, მისი ჰპოვებს განვითარებას სასრულში, მის შვილებში – ადამიანებში, რაც მათ და სამყაროს მუდმივმოქმედებას განაპირობებს. ანუ ხდება უფლის წარმოუდგენელი სიძლიერის შუქის გარდაქმნა მიზანდასახულ დადებით ქმედებაში. აი რატომ წერია ფსალმუნში 68.36: „მიეცი სიძლიერე ღმერთს, მისი სიდიადე ისრაელზეა და მისი სიძლიერე – ღრუბლებში“. რამეთუ, შვილების ნეტარებით გაბრძენებისას, გაიზრდება მათში შემოქმედის წარმოუდგენელი სიყვარული და კრძალვაც მისი უდიდესი სიდიადის შეცნობით, რაც მუდმივად აისახება ჩვენს მადლიერებაში და მის ქება-დიდებაში. აი, რატომ წერია თორაში: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი სახის მიხედვით, ჩვენი მსგავსებით და იბატონონ“.

შედეგად, ადამიანები ნელ-ნელა მიუახლოვდებოდნენ უფალს მისივე წარმოუდგენლად უდიდესი სასიკეთო თვისებებით: სიბრძნე, სიყვარული, ქველმოქმედება, გაცემა, სიძლიერე, სიდიადე, უდიდესი გარჯა, შრომისმოყვარეობა და სხვა.

ასე გაეცემა პასუხი ჩვენ პირველ კითხვას, – რატომ ჰქვია თორას ხე სიცოცხლისა და რაშია მისით მარადისობის არსი.

მაგრამ ვიცით, როცა შექმნა უფალმა ადამი, იგი 378 სხვადასხვა შუქს ასხივებდა იმ დონემდე, რომ ანგელოზებმა დაუჩოქეს მას და ემსახურებოდნენ. ეს იყო მეექვსე დღეს და ექვსი დღის განმავლობაში მიწიერი სამყარო ხდებოდა მიმღები უფლის შუქისა, ასო-ნიშნებიდან სიტყვებში შთენილი, რისი ძალითაც უფლის მეტყველებისას მიმდინარეობდა ქმნადობა. ხოლო მე-7 დღეს, სწერია: „დაისვენა უფალმა“. ანუ ენამ მისმა, რომლის სიტყვათა შუქის ძალით მიმდინარეობდა ქმნადობა, დაისვენა.

ამდენად, ყველაფერი მოიმოქმედა, რომ ადამიანები და მე-7 დღე ქმნადობისა – შაბათი მისი მარადისობის სულიერ შუქში ყოფილიყვნენ გახვეული. შაბათი გახდა მიმღები ყოველ ამ ქმნილებათა ექვსი დღის შუქისა. ასე შეიქმნებოდა სამოთხე-ქვეყანა, სადაც ადამი და 600.000 წმინდა ნაშამა, რომლებიც მასში იყო შთენილი, და მისგან დაიბადებოდნენ, მარადიულად იცოცხლებდნენ. თუ ადამი არ დაარღვევდა უფლის პირობას, რომ არ ეგემა აკრძალული, მიიღებდა თორას და განისწავლებოდნენ მისით.

თავმდაბალი უფლის და საკუთარ მეფობას განაპირობებს,
ამაყი კი ქმნის და აცოცხლებს თავის მკვლელს – სატანას

ადამმა კი არ შეასრულა მშობლის სურვილი, როცა დაინახა, რომ უზრუნველად მიიღო თავისი ასეთი სიდიადე. ამიტომ მაშინვე წარმოჩნდა მისი სიამაყეც. იფიქრა, რომ იგი მეფე იყო და არაფერი მოხდებოდა, თუ ერთხელ არ დაუჯერებდა თავის შემქმნელს. ყოველი შეცდომის – ცოდვის საზღაური კიდევ შეცდომა, ცოდვაა. სიამაყე საფუძველია ყველანაირი უზნეო სატანისტური ქმედებისა, რომლებიც

გამრავლდა ადამის შეცოდების შემდეგ (არიზალი) და პირიქით, თავმდაბლობა საფუძველია საფუძველია ყველანაირი სასიკეთო ქმედებისა, რისი მაგალითიც თვით შემოქმედია, რასაც ქვემოთ განვმარტავთ. ამგვარად თორის შუქი, ხე სიცოცხლისა, ვერ შემოვა ამაყის სულში.

ადამმაც ამ შეცდომით უარყო უფალი და გაამეფა მის საპირისპიროდ მოქმედი სატანა.

საქმე ისაა, რომ როცა შენ არ უჯერებ მშობელს, მის სიკეთეს, კეთილშობილებას, რომელიც ღვთიური სულითაა შენთან კავშირში და უჯერებ ცხოველურ სულს, იგივე მატერიალური ტანის მოთხოვნილებებს, ასე შენი სიამაყიდან გამომდინარე, შენ თვითონ ქმნი და აცოცხლებ შენს წმინდა სხეულში – სა-ტანას, იგივე ტანის მოთხოვნებს, ხოლო მშობელს უარყოფ, ანუ წყვეტ იმ ჯაჭვს, რითაც შენ შერწყმული ხარ შენს მშობელში მარადიული ნეტარებისათვის.

ამ შემთხვევაში, შენ ის უმადური ხარ, რომელიც განაპირობებ სატანის სიცოცხლეს. მაგრამ შემოქმედი არ გვსჯის. პირიქით, ადამის შეცოდების შემდეგ უფალმა ის უდიდესი სულიერი შუქი შეკვეცა სულიერ ცებში, რადგან მოსცილდა ადამის სხეულს უფლის შეხინის შუქი და ადამი ვეღარ გაუძლებდა იმ მარადიული ნეტარების შუქს შედეგად, შეცოდების შემდეგ იგივე შუქი მოედინებოდა დედამიწაზე მზიდან, ოღონდ მეტად შეზღუდულად.

ხოლო სამყარო ფუნქციონირებდა თორის გეგმით მით, რომ უფლის მიერ დაგეგმილი ადამიანთა თორის კითხვის მაგიერ თვითონ უფალი ყოველდღე კითხულობდა თორას, ანუ მან შექმნა თორა (უფალი 972 თაობის სიცოცხლის განმავლობაში ქმნიდა თორას) და კიდევ მისი კითხვით დღესაც ფუნქციონირებს სამყარო. აქ ჩნდება წარმოუდგენელი შრომისმოყვარეობა და ნეტარებაც შემოქმედისა მის მიერ შექმნილი მარგალიტებით სიბრძნეთა კვლავ განმეორების ტკბობით. ხოლო ჩვენ რომ აქამდე მივიდეთ, ჩვენც უნდა მივუახლოვდეთ უფალს გარჯის – შრომისმოყვარეობით.

ადამი სწორედ ამ შრომისმოყვარეობის გამომუშავების გარეშე აღმოჩნდა დაცილებული შემოქმედის თვისებებიდან. ამიტომაც, ადამის შეცოდების შემდგომ, მიილტვის შემოქმედი, ადამიანმა თავისი შრომისმოყვარეობით, საკუთარი ოფლის დაღვრით, თუნდაც მძიმე პირობებში, მონობაში, რომ არ წარმოჩნდეს მასში სიამაყე, დაიმსახუროს, რომ შეიძინოს უფლის უსასრულო სიბრძნე, მისი თორა. ასე ის შეიცნობს და შეაფასებს თავისი შემქმნელის წარმოუდგენელ ზრუნვასაც, გარჯასაც.

ამ პროცესში იგი გამოასწორებს აგრეთვე უარყოფით თვისებებსაც, მატერიალური სხეულის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, რადგან უფლით, ყოველი შეცდომისას, ჩამოყალიბებულია კოდექსის სახით სათანადო დასჯები. ამდაგვარადვე, მხოლოდ დასჯის და 130 წლის მონანიების შემდეგ, გამოასწორა ადამმა თავისი თვისებანი, როცა მოიშიშა და კიდევ უფრო შეიყვარა უფალი.

ამიტომ დაწესდა უფლით 6000 წელი, რათა ადამის შთამომავლობა თორის სწავლით, მისით ქმედებით ამ ხნის განმავლობაში გაბრძენებულიყვნენ იმ დონემდე, რომ თავმდაბლობით, გამოესწორებინათ თავიანთი უარყოფითი თვისებები. გამხდარიყვნენ მიმღებნი და გამცემნი თორის სიბრძნისა, სიძლიერისა, სიყვარულისა, ნეტარებისა; შედეგად, უკვე ამ შუქის – სიბრძნის გაცემით თავად დაემსახურებინათ ყოველდღიურად ზრდადი მარადიული ნეტარება.

ამდენად, რომ არ შეეცოდა ადამს, უფლის შუქი, რომელიც უსასრულოა, პოვებდა სასრულს დედამიწაზე ქმნილებებში, ადამში და მის შვილებში, რომელნიც იჭირნახულებდნენ თორაში. გახდებოდნენ გამცემნი თორის სიბრძნის, მისი შუქის.

ხოლო უფალი – მიმღები ამ შუქისა, რისი მეშვეობითაც შემდეგ, ამ თორის შუქის ძალით გააგრძელებდნენ მუდმივმოქმედებას ზემოთა და ქვემოთა სამყაროები. შედეგად, თავმდაბლობით და გაცემით იმეფებდნენ უფალიც, აგრეთვე მისი შვილები.

ასე რომ, უფლით მეფობის არსი მხოლოდ და მხოლოდ მუდმივად თორის სიბრძნის გაცემაშია, ამისათვის შექმნა ადამიანი. შედეგად, ჩვენ ვჩნდებით მონაწილედ, რომ შევიტანოთ ჩვენი წვლილი სამყაროს მუდმივმოქმედებაში. განა მარტო მიმღები ვართ მისი სიბრძნის შუქისა, ჩვენი წარმოუდგენელი ნეტარებისათვის, არამედ, ვითარცა მეფენი, თორის სწავლით ასევე განმვრცობი-გამცემი ვართ მისი და მარადიულად ვერწყმებით მას, ვის გარეშეც არაფერი არ არსებობს და ყველაფერი არარაობაა.

ამისათვის, რომ მიხვდე შეცდომას, გამოსწორდე და მარადიულად იცოცხლო, იმავე გაკვეთილს გიტარებს შენ შემოქმედი შენს შვილებთან ურთიერთობისას, რომ, დღეს მაინც მოეგოთ გონს.

და როგორც ჩვენ არ ვუჯერებთ ჩვენს შემქმნელს, არ ვხცოვრობთ თორით, ვაძევებთ მას და ვამეფებთ სატანას, ასევე გვაძევებენ ჩვენი შვილები ჩვენ და უფრო ძლიერ ამეფებენ სატანას. ყოველ თაობაში უფრო და უფრო იზრდება მათი უზნეო ქმედებანი. და ვერ ხედებიან, რომ ჩვენ მშობელთა სიკვდილიანობა — ეს მათი ქმედებიდანაა, თუ არ ქმედებენ თორით.

ეს მარტივი ახსნა იმ ელემენტარული შეცდომისა, რატომ მივდივართ ამ ქვეყნიდან.

ამდენად, ამის მაგალითი ჯერ თვითონ უნდა გავხდეთ. ამისათვის ჩვენი შრომის არსი მხოლოდ თორის სწავლა უნდა იყოს.

მაშინ დავინახავდით ჯერ უფლის წამოუდგენელი სიბრძნიდან გამომდინარე, მის წარმოუდგენელ თავმდაბლობას, მოთმინების უნარს. და ასე ჩვენ გამოვიმუშავებთ ამ თვისებებს. შემდეგ, უფლით, თორის სწავლა და ეს თვისებანი მისაბაძი და სასურველი გახდება ჩვენი შვილებისათვის. ამდენად, როგორც უფალი მაგალითია ჩვენთვის, რომ მის თვისებებს მივბაძოთ, ასევე ჩვენ უნდა გავხდეთ მაგალითი შვილებისათვის, რომ მოგვბაძონ და ჩვენ დაგვემსგავსონ.

ხოლო სამყაროს შექმნის შემდეგ კიდევ რაში გამოიხატება უფლის ის უდიდესი გარჯა, მოთმინების უნარი, რომ მისმა შვილებმა ძოისურვეს მასთან მიახლოებული თვისებების დაუფლებისათვის თორით ცხოვრება, ესეც საჭიროა განიმარტოს.

1.1. როგორ მიაღწია უფალმა, მისი წარმოუდგენელი მოთმინებით და თავმდაბლობით, გამხდარიყო ჩვენს მიერ აღიარებული მეფე სამყაროსი

ბევრ ჩვენგანს ხშირად გვავიწყდება სამი ძირითადი, რაც მუდმივად უნდა გვახსოვდეს რომ: „მან შეგვქმნა ჩვენ და მის გარეშე არარაობა ვართ“, „მუდმივად გასცემს ჩვენზე“ და „ჩვენზე წარმოუდგენლად ძალიან ჭკვიანია იგი“. ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ მისი დამოძღვრებით, მისი თორით. და თუ ყოველი მშობელი ამას შეიგნებს, მაშინ უფალი დაიცავს მის გზასა და კვალს. შვილებიც მისი გზით იელიან. იქამდე კი სულ ნერვთა ცვეთა იქნება ჩვენში, განსაკუთრებით ჩვენ შთამომავალთა მიერ ჩვენ სურვილთა საპირისპირო ქმედების გამო.

დასტურად მოვიყვანთ ერთ იგავს: შექმნა უფალმა ადამიანი, მისცა ჯარი და უთხრა: „ერთი ურჩი სახელმწიფო დამიმორჩილე და იყავი იქ ჩემი შემცველელიო. გაუხარდა ადამიანს, რომ მეფე გახდებოდა ამ დიდი სახელმწიფოსი. მიდის ჯარით, მრავალი გემით და ფიქრობს ადამიანი: „რატომ უნდა დაუმორჩილო მას ეს ქვეყანა, მე ხომ ისეთი ძლიერი ვარ, რომ თვითონ გავხდები მეფე და ჩემს თავს დავუმორჩილებ მათ“. შეიტყვეს ქვეცნობიერად ეს გემის კაპიტნებმა, რომლებიც ამ ადამიანს ემორჩილებოდნენ და თქვეს: „თუ ის არ ემორჩილება უფალს, თვითონ უნდა მეფობა, არც ჩვენ დავემორჩილებით მას და ჩვენვე ვიმეფებთ“. ასე, ამ ამაყთა შორის წარმოიქმნა დაპირისპირება.

ეს ჯარი ჩვენი შვილებია, ხოლო სახელმწიფო — ჩვენი ოჯახი. მაშინ, როცა ყველა მეფე უფლის შვილად უნდა შექმნილიყო, ანუ მისი წიგნთაწიგნით განვვითარებინათ ერთადერთი ჭეშმარიტება — სიყვარული, სიკეთის, ცოდნის გაცემა, და ასე ემეფა უფალს მათ ამის მაგიერ გაამეფეს დაპირისპირება — სატანა.

და სანამ ჩვენ თვითონ არ მივალთ იმ დონემდე, რომ შევიგნოთ ჩვენი ცხოვრების წესით როგორ ვღალატობთ მას, ვინც შეგვქმნა და მაცოცხლებელი სული მოგვცა მეფობისათვის, მანამდე არ გვეშველება.

ამავე დროს, მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი ჭეშმარიტება — რომ ის მეფეა სამყაროსი და მიიღწიოს მეფეებად შეგვქმნას ჩვენც. აქედან გამომდინარეა იბერიაში პატრონყმობის და არა ბატონყმობის წესი, სრულიად ადამიანთა დამონებისათვის.

თუ რა ჰარმონიული ურთიერთობა დევს ამ პატრონყმობის წესში, ჩვენ ეს უკვე დავასაბუთეთ ჩვენი სამივე ნაშრომით. ხოლო ახლა ამაში დავრწმუნდებით თვით უფლის ქმედების ანალიზით.

იქამდე კი ვიტყვით, რომ მარტივი გაგებით, ბატონი იგია, რომელიც იმორჩილებს ქვეშევრდომებს და ისინი მას ემონებიან.

ხოლო პატრონი — ეს ის სულით მეფეა, რომელიც მიიღწიოს მის შვილებზე გასცეს ყველაფერი, პირველ რიგში ცოდნა, სულიერი განათლება, რათა მათაც გაცემა-

სიყვარულით ემყოს, ანუ პატრონყმობაზეც ისიც თავისი შვილებს, ყოველ მოყმეს და გასწავლიდნენ მეფისთვის.

ასე ისურვებოდა ჩვენში სწავლა-განათლებით აღზრდის იერარქია, რაც დამახასიათებელია ქართული ცხოვრების წესისათვის, რაზეც ქვემოთ ვიტყვით. ესაა პატრონყმობა, ასეთი აღზრდა აქვს უფალს ჩვენთვის განსრახული.

მაგრამ ეს რომ მოხდეს, ადამიანებმა უნდა მიიღონ განათლება თორით, რომ შეიცნონ მისი სიდიადე, სიბრძნე და ჭეშმარიტება, რომ ის არის გამგებელი სრულიად სამყაროსი. და რაც მეტს შეიცნობ სიბრძნეს თორისა, ადეკვატურად გაგიმრავლდება ჯერ შიში, უფრო სწორად მოკრძალება, მისი წარმოუდგენელი სიბრძნის სრულყოფილების გამო, მერე კი – სიყვარული უფლისა.

სწორედ ამიტომ გაამრავლა მან, როგორც აღვნიშნეთ (იხ. სამიევე ნაშრომი), ჯერ 10 წმინდანი, შეთიდან ორ ძმამდე, შემ-იაფეთამდე. შემდეგ მათგან გაამრავლა წმინდა და დედა ერები. შემდეგ აჩვენა მაგალითებზე, მისი სიდიადე და შეუზღუდავი ქმედებანი, სრულყოფილება მისი, როცა მიაყენა 10 დასჯა ეგვიპტელებს. იყო ზღვის გაპობის ფაქტიც. შედეგად, ამ და სხვა სასწაულთა მერე უკვე ებრაელებმა არა დაძალებით, არამედ თავიანთი გონებრივი განეითარებით შეიძინეს მოკრძალება, უდიდესი სიბრძნე, და შემდეგ – წარმოუდგენელი სიყვარული უფლისა. ამიტომ წარმოთქვეს სიტყვები „თორას შევასრულებთ და მოვისმენთ“. რის შემდგომ კიდევ იზრდებოდა ნეტარი გრძნობა სიყვარულისა თორის სიბრძნის დაუფლებით 50 დღის განმავლობაში.

ანუ თუ ადამმა თავისი სიამაყის გამო შესცოდა, მათ უკვე ეს გამოასწორეს, რამეთუ შეიცნეს ღმერთის ერთადერთობა და აღიარეს მისი სამყაროს მეფობა. რომ ეს სამყარო მის გარეშე არარაობაა, ყველა ნულია. და ისინი, ისრაელები უკვე ხდებიან მისი ჭეშმარიტი შვილები – მეფეები. ასეც მიმართავს უფალი ისრაელებს: „ჩემი შვილები“.

ამრიგად, ისრაელებმა შეიცნეს მისი წარმოუდგენელი სიდიადე, რის გამოც ჩამოუყალიბდათ უღიდესი მოკრძალება, შიში და სიყვარულიც, რადგან ეს ყოველივე განახორციელა უფალმა მათი მეფობისათვის სამყაროში, რაც თორის მიღების მერე მოხდებოდა.

რომ შიში და სიყვარული საფუძველია ყოველნაირი ზნეობრივი აღზრდისა, ამიტომაც უფალმა ეს განსომილებანი კიდევ მეორედ უფრო განამტკიცა ისრაელთა ერში შემდეგნაირად. ვიცით, უფალმა გვიკარნახა დაბნოში გამოცხადებისას პირველი ორი მცნება 10 მცნებიდან, რომელნიც საფუძველია მთლიანი თორის 613 მცნებისა. რამეთუ ამ პროცესში ისრაელთა სულები ტოვებდნენ სხეულს და მიისწრაფოდნენ მათი პირველწარსისკენ, შემოქმედისკენ. ამიტომაც სთხოვეს მოშეს, თვითონ მიეღო დანარჩენი მცნებანი.

ამგვარ ლოგოსს ეწოდებოდა, თორის ჰემატრია 611-ია, ხოლო ეს 2 მცნება, საფუძველია, საერთოდ ყველა დანარჩენ მცნებათა: პირველია: „მე ვარ უფალი შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტის მონობის სახლიდან“. ანუ ეს მცნება მიგვანიშნებს, რომ უფალმა დაიხსნა ისინი მონობიდან – გაჭირვებიდან და გაუსაძლისობისაგან, რის შედეგადაც შეიძინეს სიბრძნე და სიწმინდე. აი მაშინ მიხვდნენ ისინი, რომ მეფის შვილნი არიან. აქ გამოასწორეს ადამის შეცდომა შემოქმედისადმი.

რაც ადამმა, პირველქმნილმა მეფის შვილმა, მიიღო უდიდესი სიბრძნე და მას ემსახურებოდნენ – ეპირფერებოდნენ ყველა შექმნილი არსებანი, მაშინ მასში წარმოიშვა სიამაყე მის მიმართ.

ასეთი გამოცდილებიდან გამომდინარე, უფალი ახლა უკვე მონობაში ამრავლებს სულიერად მეუცხოს – ბრძოლა-ცხადიაკების შთამომავლობას და რომ ეს მუდმივად გახსოვდეს, ამიტომაც ხაზს ესვამენ „რომელმაც გამოგიყვანე ეგვიპტის მონობის სახლიდან“ უფალმა ათივე პირველ მცნებაში.

ასეთი გამრავლება, რამდენიმე თაობის გამრავლების განმავლობაში, მონობაში ყოფნის მიუხედავად, და თაობათა გარჯა თორის სწავლისას საფუძველი ჩაეყარა ასეთი თვისებების წარმოჩენისა, რომ, როგორც იქნა, [illegible] სრულიად დამსახურად მიეკრიბათ და მათში შთენილიყო ადამის შეცოდების შედეგად გაცისტრული ამდენივე წმინდა ნეშომ – სულები. ამის მერე მათ ეცოდინათ თავი წარმოსისტის უფლის ნების წინაშე ნულად, არარაობად, როცა განსაზღვრეს თორის შესრულების სურვილი მისი შეცნობის გარეშე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემდეგ, მონობიდან მეფედ შექმნის გამო, ისრაელებმა შეიყვარეს უფალი. შედეგად, იცავდნენ მის მცნებებს. ამდენად, პირველი მცნება იყო მცნება სიყვარულის ჩანერგვისა. ხოლო მეორე მცნება, რომელიც უკარნახა უფალმა, არა გყავდეს სხვა ღმერთები ჩემს გარდა". ეს ფრაზა თავისებურად დამუქრებასაც შეიცავს, რომ არ იწამონ სხვა რამ კერპი. აქ უკვე შიშის ჩანერგვაა ისრაელთათვის, რათა ჩაწვდნენ მის სიბრძნეს, რაც სიყვარულის საწინდარია. და შიშიც ამ შემთხვევაში მოკრძალებაში გადაიზრდება. ასე უკვე აღარ შეეშლებოდათ. და ეს ყოველივე მიტომ მოიმოქმედა, რომ იმ დროში სატანის ძალით გაძლიერებული სასწაულად მიმზიდველი იყო სხვადასხვა კერპთა დაყვანისცემა. მიეუმატოთ ეს ორი მცნება 611-ს, მივიღებთ 613-ს.

ეს ანალოგი მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ბევრს გაუჩნდება შეკითხვა: — როგორ შეიძლება ადამიანმა ყოველდღიურად დაიცვას 613 მცნება? აქ მთავარია, ადამიანი იცავდეს პირველ ორ მცნებას, ანუ გიყვარდეს უფალი და გქონდეს მისი შიში. უფრო სწორად, წარმოუდგენელი მოკრძალება და სიყვარული მისი უდიდესი მზრუნველობის გამო, როგორც შენი შემქმნელისა. და თუ შენ ამ ორ მცნებას იცავ, მაშინ შენ ხდები თავმდაბალი, რაც საფუძველია ყველა დანარჩენ მცნებათა დაცვისა. ამიტომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველა მცნებას, რომელთა დაცვაც გარკვეულ დროს იქნება საჭირო, დაიცავ.

ამ შემთხვევაში უფალმა მიაღწია იმას, რომ იგი ნებაყოფლობით სამყაროს შექმნიდან 26 საუკუნის მერე აირჩიეს ისრაელთა და იბერთა ერებმა, სამყაროს მეფედ, რაც ძალადობით, მას მაშინვე შეეძლო.

ამის მერე დაიწყო მისი მეფობა და, როგორც ვიცით, უკვე ებრაელები განაპირობებენ სამყაროს მუდმივმოქმედებას უფალთან ერთად თორის სწავლით. შედეგად, როგორც უფალია მეფე, მისი სიტყვით მუდმივმოქმედებდა სამყარო, ახლა უკვე მისი შვილებიც, ისრაელნი და იბერიელნი, ამოქმედებენ სამყაროს. ამიტომაც არიან ისინი მეფეები — რჩეული ერი.

ასეთი დემოკრატიულად აღიარების შემდეგ ისრაელნი, **მისი შვილები, შეიქნენ თანდათან, თაობათა ცვლის პროცესში, მიახლოებით უფალთან თვისებებით, ასევე მეფეებად. და ამაში ხელს გვიწყობს ჩვენი მშობელი, რომელიც მუდმივად კავშირშია ჩვენთან.**

როგორც ვხედავთ, ეს ყველაფერი შემოქმედმა დააფუძნა მისი შვილების მიერ მისი სიბრძნის, თავმდაბლობის, მზრუნველობის, სიყვარულის შეცნობაზე. რის შედეგადაც, სიყვარულთან ერთად, მის შვილებში დაფუძნდა მოკრძალება-შიში, რაც მათ წარმოუდგენელ შესაძლებლობათა საფუძველია.

ანალოგიურად მიიღწის, რომ ჩვენ ოჯახებშიც ბავშვების აღზრდა დაეაფუძნოთ ამ ცნებებზე, რომ შემდეგ იყოს მუდმივი შერწყმა და სიყვარული მშობლებსა და შვილებს შორის. ანუ „შიში შეიქმს სიყვარულსა". თუ ჩვენც არ ჩავუნერგავთ შიშს და მოკრძალებას ბავშვებს, ჩვენი თორით განვითარებიდან გამომდინარე, რაც მათთვის საამაყო და მისაბაძიც გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზრდის პროცესში მათ შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომები ჩაიდინონ.

ამდენად, ჩამოაყალიბა უფალმა თავისი შემცვლელი — ისრაელთა წმინდა ერი, და მისი მეწყვილე დედა ერი — მეფენი, გამგებელნი ამ სამყაროსი.

მაგრამ დაგვრჩა ერთი ფაქტორი — უფალი ზეცაშია, აქაც ჩვენ, მეფეებს, გვჭირდება მეფე-გამგებელი. მხოლოდ არა იმდაგვარი, თვითონ რომ მოინდომა მეფობა, როგორც ზემოთ იგავში ითქვა, არამედ ასევე უფალივით დემოკრატიულად თვით სამყაროს რჩეული ერის მიერ არჩეული.

როგორ ვაღიარეთ დავიდი უფლის დარი ქმედებით მის წარმომადგენლად დედამიწაზე

ვიცით, ცნო უფალმა დავიდში თვისებები მეფობისა და ჯერ კიდევ შაულის სიცოცხლის პერიოდში, მისი შეცდომებისა გამო, აკურთხა მან იგი ისრაელის მეფედ.

მაგრამ შაული არ თმობდა ტახტს. ხოლო მისი სიკვდილის მერე დავიდს ყველა უფლება ჰქონდა, გამხდარიყო მეფე ისრაელისა, რამეთუ იცოდა მთელმა ისრაელმა ერმა, რომ იგი იყო მათი აღიარებული მეფით — უფლით მირონცხებული, დანიშნული მეფე სამყაროსი.

მაგრამ მან, როგორც დედამიწაზე უფლის ღირსეულმა შემცვლელმა, თავისი ნებით მეფობა არ მოახვია ისრაელს და მთელ სამყაროს. იგი მხოლოდ ერთ შტოში —

იუდეაში მეფობდა, რომელთაც ცნეს დავიდი თავიანთ მეფედ. ხოლო დავიდს რომ თავისი თავი გაებატონებინა სხვა შტოებზე, ეს ალბათ უნდა მომხდარიყო ოდნავი დაძალებით მაინც. დავიდმა კი ეს არ გააკეთა და შვიდი წელი მეფობდა იუდეაში. მხოლოდ ამ შვიდი წლის მერე დაუმტკიცა მან მთელ ერს, რომ მას შეუძლია გახდეს უფლის ღირსეული შემცვლელი და მეფე ისრაელისა. შედეგად, ყველა შტომ, უკვე ნება-სურვილით, სთხოვა მას, რომ გამხდარიყო ისრაელის მეფე. და შემდეგ, 33 წელი უკვე მეფობდა მთელ ისრაელზე. ამდენად, დავიდმა გაიარა დაახლოებით ისეთივე გზა, როგორც შემოქმედმა და არა ბატონობით დაიწყო მეფობა, არამედ ხალხისგან არჩევით.

აქ განსხვავება მასშია, რომ როცა ძალით ბატონობ ხალხზე, მაშინ ისინი შენი მონები ხდებიან, ხოლო როცა ხალხი გირჩევს, მაშინ შენ მისი რჩეული ხარ, გონიერებით, ცოდნით, სიყვარულით, სიკეთით, გაცემით, ხალხისათვის თავდადებით გამორჩეული და შენ არა მონების, არამედ იბერების, მეფეთა მოდგმის მეფე ხარ უფლით კურთხეული. ასე შენ მაგალითი ხდები ამ მეტად წარმოუდგენელი, მუდმივად ზრდადი, უსასრულო მარადიული ნეტარების იმ განზომილების დაუფლებისა, რაც სიბრძნეა. მასთან ვერასოდეს ვერ მოვა ჩვენს ნერვთა ცვეთის გამო, ფული და ქონება, რომლებიც დროებითია. ასე დავიდი, თავისი წარმოუდგენელი კაცთმოყვარეობითი თვისებებით, თავმდაბლობით, თითქმის 24 საათი თორაში თავდაუზოგავი ჭირნახულობით, მაგალითი გახდა მთლიანი ისრაელთა ერისა და მიაღწია იმას, რომ ქვეყანაში ოქროს და რკინას ერთი ფასი ჰქონდა. ასე გაქრა ერში თანდათან სიამაყე, ქონებიდან გამომდინარე, და მიხვდნენ, რომ ყველაზე დიდი სიამაყე უფლის ცოდნის დაუფლებაა, რითაც მარადიული გაცემაა, რაც წარმოუდგენელი სიყვარულის და მოკრძალების ჩანერგის საწინდარია თაობებში.

ამდენად, ჩვენც, უფლისა და დავიდის მაგალითიდან გამომდინარე, უნდა ვისწავლოთ თორა, გამოვიმუშაოთ უფალთან მიახლოებული თვისებები – სიკეთის, სიყვარულის საფუძველი და შვილებიც უპირობოდ ჩვენ დაგვემსგავსებიან. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, უფლით მოხდება.

აქედანაა ის ფაქტი, რომ მხოლოდ დავიდის შთამომავალი იქნება სამყაროს მეფე. აქედან გამომდინარეობს ის გასაოცარი მოვლენა, რომ მას შემდეგ, როდესაც სოლომონმა გაგზავნა თავისი შთამომავალნი იბერია-კავკასიაში სამეფოდ, და მან ისე გაწვრთნა, დაარიგა ისინი, რომ მათი მეფობის პერიოდში ერთი ფაქტიც არ ყოფილა, რომ ამ ღვთით კურთხეული გვარის ტახტის დასაუფლებლად ემოქმედა რომელიმე ქართველ დიდგვაროვანს.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ არიან ადამიანები, რომელთაც სურთ თვითონ მეფობა და ჰგონიათ, რომ გამჩენის მცნებების შესრულება ეს მისი მონობაა. სინამდვილეში ადამიანები მხოლოდ გამჩენის უგულებელყოფის შემთხვევაში ხდებიან მართლაც მონები სატანისა, რადგან ისინი ამეფებენ თავის თავში ბოროტ ძალებს, სადაც არ არის, ემეთი – ჭეშმარიტება. და ასე შეიძლება ისინი არა მარტო გარდაიცვალონ, არამედ სრულიად გადაშენდნენ. ხოლო გამჩენის მონობა – ეს უკვე, როგორც აეხსენით, ადამიანთა მეფობაა დედამიწაზე.

ამდენად, ჭეშმარიტი, ხალხის არჩეული მეფე სამყაროსი გახლავთ უფალი, და ჩვენ ვართ მისი შვილნი, რომელთაც გვიყვარს, მოშიშნი ვართ მისი და ეს ძალიან საამაყოა, რამეთუ ასე მუდმივად გამარჯვებულნი დაედგივართ ქვეყანაზე.

ასევე დემოკრატიულად გვყავს არჩეული მეფე, დედამიწაზე მისი შემცვლელი, დავიდ-სოლომონის შთამომავალი, რომელიც მალე უნდა მოგვევლინოს მესიად. იგი კი ასევე ჯერ სამყაროს მეფეთა, სრულიად იბერთა მეფეა, რათა მათ ასევე, მათი სულიერი ცხოვრების წესის გავრცელებით, ამეფონ ყველა სხვა ერი დედამიწაზე.

ამიტომ გვიბოძა თორა, რომლის მიღების შემდეგ თორის კითხვა-სწავლის მისია მიიღო ისრაელთა ერმა, არანაკლებ 600.000-ისა. და დღეს სამყარო რომ ფუნქციონირებს, ეს უკვე ისრაელთა მიერ თორის სწავლითაა, მის მერე, უფლით, თორის მოსწავლეთა ეს რიცხვი რეგულირდება და 600.000-ზე ნაკლები, ჩვენი აზრით, არასდროს არ ყოფილა.

ამდენად, არსი ჩვენი და ჩვენი მშობლების მარადისობისა შემდეგშია: თორის სწავლისას ჩვენი მისით გაწვრთნისათვის ვართ უფლის შეხინასთან კავშირში. ამ ნასწავლის განმარტებისათვის ასე ვიძენთ წარმოუდგენელ სიბრძნეს თორის საიდუმლოებისა, რომლის მსგავსი ნეტარება არ არსებობს.

და, რაც მთავარია, ასე თანდათან გხვდებით, რომ არსებობს ორი ჰოლუსი – ჰოლუსი სიამაყისა, სატანისა და ჰოლუსი თავმდაბლობისა – უფლისა, რომელსაც უფლის შვილობამდე, მეფობამდე, მარადისობამდე მივყავართ.

შედეგად, ვუახლოვდებით უფალს მისი სასიკეთო თვისებებით და უფლის შუქი კი არ იკვეცება ზემოთა სულიერ ცებში, არამედ ჩვენ ვიღებთ მას მუდმივად ზრდადი რაოდენობით უფრო მეტი ნეტარებისათვის, შემდეგ კი ეს შუქი უბრუნდება ზეცას, ჩვენს შემქმნელ მშობლებს, რითაც მუდმივმოქმედებენ ზემოთა და ქვემოთა ცები. ასე სულიერდება მისი შუქით ორივე სამყარო, რაც ასევე ჩვენს მარადიულ სიცოცხლეს განაპირობებს. აღარც უფლის კაეშანია ჩვენი ქმედებით და არც ჩვენი კაეშანია, როცა ორივენი — უფალი და ჩვენ — განვიცდით ჩვენი მშობლების წასვლას ამ ქვეყნიდან. აი არსი, საიდანაა ჩვენი უდიდესი დამწუხრება და სიკვდილი.

ხოლო დღევანდელ რეალობაში, სანამ ყველა ისწავლის თორას, თუ შვილები სწავლობენ თორას, მშობელი ჯოჯოხეთშიც რომ იყოს, მათი დამსახურებით მაღლდება იმ ქვეყანაში სამოთხემდე.

ახლა ავხსნათ გზები, როგორ დაეუფლებით თორის სიწმინდეს.

1.2. გზები ყოველთა თორით განათლებისა და არსი იბერთა უძლეველობისა

ზოგს შეიძლება კაეშანი დაეუფლოს, რადგან ბევრი ვერ სწავლობს თორას დროის სიმცირის გამო, მსურს, მათ მივმართო: უფალმა სამყარო შექმნა მხოლოდ თავის სულიერ შვილთა – ადამიანთათვის. და ამისათვის იყო მისი თავდაუსოგავი წინასწარი შრომა თორის შექმნისა მრავალი ათასწლეული. შემდეგ კი თორის გეგმით ქმნიდა სამყაროს, რომ ადამიანებს ემეფათ. მისი თორის ასო-ნიშნებში ფეთქავს, მუდმივმოქმედებს ყოველი ჩვენგანის – მეფის, იბერიელის სული ზეცაში და დედამიწაზე. ამდენად, სამებაა, სამი მარადიული ჯაჭვია უფლის შუქით შეკრული: ღმერთი, მისი თორა, რომლის სწავლით ფეთქავს და მუდმივმოქმედებს ჩვენი სულები და ადამიანები.

ამ ჯაჭვის სიმყარისთვის დასასრულებელია ადამიანის მეექვსე დღის ქმნადობა, და ეს მაშინ მოხდება, როცა აღსრულდება მხოლოდ ერთი ზემოთ აღნიშნული პირობა: მივუახლოვდეთ უფალს მისი უდიდესი სასიკეთო თვისებებით, რომელთა სათავეც მისი თავმდაბლობაა. და ეს მხოლოდ თორის სწავლითაა, სხვა გზა მარადისობისა არ არსებობს.

ამისათვის მარცვალ „ორ“-ს ის დანიშნულებაცა აქვს, რომ ძირითადად ორნი უნდა სწავლობდნენ თ-ორ-ას. ამ შემთხვევაში ორის თორის სწავლის მნიშვნელობას გენიალურად გადმოგვცემს ქართული სიტყვა „კამ-ათი“. „კამ“ წმინდა ენაზე ჭეშმარიტებაა, და იგი უნდა იყოს ყოველი ორის სწავლისას კამ-კამა ათი მცნებიდან, იგივე თორის არსიდან გამომდინარე, რაც შორსაა სიამაყისგან. შუქი თ-ორ-ისა ყოველ ორთა, მის მსწავლელთა თავმდაბლობის შემთხვევაში შემოდის, და ეს თავმდაბლობა, ასევე უფლის მიერ შექმნილი, „ორ“-ი ანბანით მეტყველებისას და თორის სწავლისას ინერგება იბერებში, რასაც ქვემოთ დავასაბუთებთ.

დროის დაზოგვაც მხოლოდ და მხოლოდ თორის სწავლაშია, რამეთუ ცნობილია, თუნდაც რამდენიმე წუთით თორის ყოველდღიური სწავლა მინიმუმ სამი დღის საქმეს რამდენიმე საათში გაგაკეთებინებს, რადგან ამ შემთხვევაში უფალია ჩვენს გვერდით და გზას გვიკვალავს. ამისათვის ადამიანის ყოველ ორგანოში შთენილია მისი ოთხასოიანი სახელი („იუდ“, ჰეი, ვავ, ჰეი) რომლის წარმოუდგენელი სიბრძნით და ძალითაც მიმდინარეობდა ქმნადობა. იგი, სახელი მისი, აგრეთვე ყველა საგანშია შთენილი, რამეთუ ამ სახელის გარეშე ყველაფერი ქრება.

და თუ გარკვეული დროის განმავლობაში ვერ ვსწავლობთ, გვიჭირს მისი სწავლა, რადგან შეიძლება ისეთ ბიზნესში ვიყოთ. ამისათვის არის კიდევ ორი გზა — უნდა დააფინანსო, გასცე მათზე, ვინც თორას სწავლობს; ხოლო მეორეა — ორგანიზაციულად ხელი შევუწყოთ, რომ ადამიანებმა თორა ისწავლონ.

ასე ამდაგვარ ხალხს ასეთი გარჯა ეთვლება, თითქოს თორა ესწავლოს. და როდესაც მიდიან ამ ქვეყნიდან, უფლით თორის იმ მსწავლელთა დონეზე არიან, თორით განათლებით, რომელთაც ისინი ხელს უწყობდნენ.

---

* ცნობილია, იეშუა ბენ ნუნი მოშეს აჩრდილიეით დაჰყებოდა და როცა დაამთავრებდა იგი თორის სწავლებას, მას წესრიგში მოჰყავდა ადგილი თორის მსწავლელთა მეორე ჯგუფისთვის. ისიც გავიხსენოთ, როცა მოშე ავიდა უფალთან თორის მისაღებად, მას 40 დღე ფეხი არ მოუცელია სინაის მთიდან. აი, თავმდაბლობისა და სიყვარულის უდიდესი მაგალითი. ამიტომაც იგი დამადლიანდა, რომ მოშეს მერე ის გახდა წინამძღოლი ისრაელთა ერისა. ამის მაგალითია სრულიად კავკასია, რომელნიც დღენიადაგ უწყობდნენ ხელს ისრაელთ, რათა თორა ესწავლათ.

აი, საიდანაა ქართველთა ფენომენალური კოდის ჩამოყალიბება, რომლითაც ბევრ დროს მიწათმოქმედებასა და გარეშე მტრებთან ბრძოლაში ვატარებდით, რომ დაგვეცვა ისრაელნი, რათა ესწავლათ თორა, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ჩვენ ამისათვის ისინი ჯარშიც არ მიგვყავდა, ასეთი ხელშეწყობა იგივე ებრაელთა და ქართველთა ერთობით თორის სწავლაში განხორციელდებოდა. შედეგად, ჩამოდიოდა დიდი შუქი, იყო წარმოუდგენელი სიუხვე, დედა და წმინდა – ქუდოსანთა ერის გამრავლება, რამეთუ ქუდის დახურვა იმ თავმდაბლობის ნიშანია, რისთვისაც ღმერთის ხელია მათ თავზე, ვითარცა ღმერთის შვილებზე, მის მონებზე. ამიტომაც ქუდის დახურვის ტრადიცია მხოლო ამ ორ ერს ჰქონდა. გავიხსენოთ როსტევანის და ავთანდილის ნიძლავი: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღეს ვილდეს“.

საქართველოში ყოველ კუთხეს თავისი კაცობის გამორჩეული ქუდი ეხურა. ამადაც შემოსილი იყვნენ უფლის ნათლის შუქის სიბრძნის ძალით, როცა დრო გვქონდა, ვსწავლობდით, ვეწაფებოდით თორის წარმოუდგენელი ნეტარების სიბრძნეს. შელომო ბრძენი ამბობდა: „ვინც თორის მოსმენას ყურს არიდებდა, მისი ლოცვაც კი საზიზღრობაა. „მიშლეი“ 28:9. ხოლო წმინდა „ზოარში“ წერია: მას, ვისაც სურს, რომ მისი ლოცვა ისმინოს, მიიღოს გამჩენმა, კურთხეულია მისი სახელი, მთელი ძალისხმევით უნდა ისწავლოს თორა, რადგანაც ის სიცოცხლის ხეა“. თორის სწავლით ადამიანი დიდ სულიერ შუქს იზიდავს, ჩამოაქვს ამქვეყნად და ზეცაში სხვათათვის ცუდ განაჩენსაც აბათილებს.

აი, რატომ გაუღეს ებრაელებს კარები გერმანელებმა და დიდ შეღავათს აძლევენ, ოღონდ იქ იცხოვრონ, ადამიანი, რომელიც თორას სწავლობს, შეიძლება ქვეყანა იხსნას დაღუპვისაგან. თორას სწავლით ადამიანის ტვინიდან შუქი, სხივები მთელ ორგანიზმს ეფინება და ასულიერებს. და, რაც მთავარია, თორის ყოველ მსწავლელს 32 ანგელოზი იცავს, ხოლო ვინც არ სწავლობს მას, არ გამოჰყოფს თუნდაც უმნიშვნელო დროს ყოველდღე ან თუ არ ეხმარება თორის მსწავლელს, მას 32 ანგელოზზე მეტნი ერჩიან.

როცა სოლომონმა ტაძარი ააშენა, შესწირა 22 ათასი მსხვილფეხა საქონელი და 120 ცხვარი. დავითის ერთი დღის თორის სწავლა მირჩევნია ყოველივეს, უთხრა მას უფალმა. როგორც რაბი ხაიმ ვოლოჟინელი ხსნის: „წმინდა თორის ფარული უმაღლესი საფუძველი ყველა ამ სამყაროზე გაცილებით მაღლა დგას“. ყველა ამ სამყაროთა ძალა და არსებობა ერთნაირად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვსწავლობთ თორას, ვფიქრობთ მასზე და ვიცავთ მას. აქედანაა კურთხევა მთელი ქვეყნის, ასევე თითოეულის ბარაქის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და მარადიული სიცოცხლეც.

აი, საიდანაა, რომ ჩვენ ბებჯარს „თორი“ ერქვა, ანუ აბჯრის ჩაცმა, ეს იგივე თორის ცოდნის, უფლის იმ უძლეველობის სიბრძნის შუქში გახვევა იყო, რითაც უფალი იცავდა თითოეულს. შედეგად, მისით, თორის შუქით, როგორც უფალი გვმოძღვრავს თორაში, უმცირესნი ეს მცირერიცხოვანი ქართველობა ურიცხვ ურდოს ვუმკლავდებოდით და იბერია დაუმარცხებელი იყო. ამიტომაც ამბობდა სოლომონი: „სიბრძნე უამრავ ურდოზე უპირატესია“. და ამას ყოველივეს განაპირობებდა აგრეთვე უნიკალური ქართული სუფრის წარმართვის წესები, რითაც შეიმეცნებოდა თორის სიღრმისეული არსი.

აი, საიდან ყალიბდებოდა და ინერგებოდა ერთნაირი, ურთიერთწარმოუდგე-ნელი სიყვარულისკენ მიმსწრაფველი გენეტიკური კოდი. შედეგად, ორივე ერი უფლისა და მოყვასისათვის თავდადებულნი ვიყავით. აი, სად დევს ფესვი ჩვენი მარადისობისა. აღიგვებოდნენ იმპერიები, ჩვენ კი, ეს ორი ერი, მოვდიოდით, რამეთუ უფლის ენაზე ვმეტყველებდით და თორით ვქმედებდით.

ახლა ავხსნათ, რა მიზანს ისახავდა უფალი, თორის შემდეგ რომ შექმნა „ქებათა ქება“ – სიბრძნე, რომელშიც მთლიანი თორის არსია მეტად ლაკონიურად გადმოცემული, მაგრამ იმდენად წარმოუდგენლად შეფარული, რომ დღევანდლამდე გერ იხსნებოდა.

მიზანი უფლისა, რატომ შექმნა თორის შემდეგ „ქებათა ქება“

დღევანდლამდე, ყოველ წელს მიმდინარეობს თორის ყოველი თავის შესწავლა, რითაც უფრო და უფრო მეტი საიდუმლოებანი, სიბრძნენი იხსნება უფლის გეგმით.

შედეგად, გამოცემულია უამრავი წიგნი, ზღვა მასალა, სიბრძნენი – აღმოჩენებია დაგროვილი, რომლებიც ჯერაც არ არის მწყობრად ჩამოყალიბებული. ბევრი გაუგებრობაცაა შეგნებულად და დღეისათვის ყველა ამ სიბრძნეთა სრულყოფილად შემეცნება წარმოუდგენელია.

ამისათვის დღევანდელთათვის იზრუნა უფალმა. როდესაც სოლომონმა ააშენა პირველი ტაძარი, მაშინ ჩამოსული იყო პირველი დღის მაგვარი უდიდესი სიბრძნის სულიერი შუქი. და, უფლის მიერ წარმოუდგენელი სიბრძნით გადმოიცა მისი შემოქმედება მთელი თორისა, 216 საიდუმლოებით ახსნილი, მეტად მოკლედ, ლაკონიური, თანამიმდევრობით.იგი იმღერეს ანგელოზებმა იმდენად ჰარმონიულად, სულში ჩამწვდომად, რომ მათ აჰყვნენ გუნდად შეკრული ნეტარი ხმებით ტაძრის მგალობლები – ლევები.

ხოლო არსი ნამღერისა, წარმოუდგენელი სიბრძნე 216 საიდუმლოებისა იმდენად შეფარული იყო, რომ იგი მხოლოდ სოლომონმა თავისი ზეგარდმო სიბრძნით შეიცნო და გადმოსცა სულ რაღაც რვა გვერდში და რვა თავში თავის „ქებათა ქებაში“ ასევე მეტად ლაკონიურად და შეფარულად.

ამ შეფარვას მკითხველი, რომელსაც ასევე ხიბლავდა ნაწარმოების ჰარმონიული ჟღერადობა, მხოლოდ ქვეცნობიერად გრძნობდა. ხოლო არსი შეფარვისა, შემდეგშია: ორი ძმის – ერის, ისრაელთა და ქართველთა, ისტორიის არსია ქმედება თორის მცნებებით და მისით ჯერ სამოთხე ქვეყნის – იბერია-კავკასიის ჩამოყალიბება. შემდეგ მისი გავრცობა ისრაელში და სამყაროში.

როგორც ცნობილია, უფლის ნებით და შეწევნით ჩვენ ავხსენით „ქებათა ქება“ „ვეფხისტყაოსნით“. ამისათვის გამოვაქვეყნეთ ციკლი ნაშრომებისა: პირველი – „ვეფხისტყაოსნის წინასწარმეტყველება“ (2003 წელი), მეორე – „თორისა და „ქებათა ქების“ არსის საიდუმლოებათა შემეცნება „ვეფხისტყაოსნით“ (2015 წელი), რომელიც სამ წიგნადაა – ნაწილადაა გამოცემული; და მესამე – „რუსთაველიდან სოლომონამდე – თორამდე ანუ მრავალჟამიერამდე“ (2016 წელი). ამდენად, ამ ნაშრომებით აქამდე დაფარული თაობათა ოცნება განხორციელდა.

ხოლო წინამდებარე ნაშრომის მიზნებია:

ამ სამი ნაშრომით გადმოცემული მთლიანი თორის არსი, მისი აღმოჩენები „ქებათა ქების“ „ვეფხისტყაოსნით“ ახსნიდან გამომდინარე, მოკლედ გადმოცემული იქნეს ერთ მთლიან კონტექსტში; ნაშრომში მოყვანილ აღმოჩენათა სიღრმისეული განმარტებისათვის, თორის არსის კიდევ უფრო ჰარმონიულად შეცნობა-ნეტარებისათვის მითითებული იქნება ეს წიგნები ნუმერაციით: პირველი, მეორე, მესამე, მათი გამოცემის თარიღების მიხედვით;

– შედეგად, თორით, უფლის ორი – წმინდა და დედა ენით განათლება, მათით ქმედება საფუძველი გახდება: აღვადგინოთ ის უნიკალური ქართული, იგივე იბერიული ცხოვრების წესი*, რომელიც დაბადებიდან, ოჯახიდან იწყებოდა და სრულიად იბერნი, ერთიანად უფლის კარვებში მავალნი,მისი მცნებების დამცველნი, მასთან მიახლოებული თვისებებით, წარმოუდგენელი სიყვარულით, მასში ერთში ვიყავით შერწყმულნი;

– სწორედ ამ წესის აღდგენას ნატრულობს სოლომონი დღევანდელ ეპოქაში. იგი დასაყრდენი გახდება მისი შთამომავლის – მესიის მხსნელად მოვლინებისა და სამყაროს ქვეყნების გასულიერებისა. ამ წესის მათთან დანერგვით, ასე, დაიწყება მარადიული ნეტარი ცხოვრება თორის ლაბირინთების სიბრძნეთა დაუფლებით.

– ეს საშურია, რადგან იცის ბოროტებამ, რომ ორი ერით იქნება ხსნა. ამიტომ გააძრავლა და აფინანსებს პარტიებს, რომელნიც მოუწოდებენ იმ ცხოველური სულით ქმედებისაკენ, უზნეობა-გარყვნილობისაკენ, რის გამოც აღიგავა წარღვნამდელი თაობა და მალე მათაც იგივე მოელით. რამეთუ ეს ვნებანი მხოლოდ დროებითნია. დროსთან დაკავშირებულნი არიან. მაგალითად, უსასრულოდ კვება, უზნეო ვნებანი შეწყვეტილებისას, რაც დროში გახანგრძლივების შემთხვევაში დაავადებებში, ტანჯვა-

---

*ქართულ-იბერიული ცხოვრების წესში იგულისხმება მთლიანი იბერია-კავკასია. შეკრული დედა და წმინდა ენებით, მათგან გამომდინარე იბერიულ ენათა ჯგუფით, რის დედაქალაქადაც თბილისი იყო მიჩნეული, წარმართი ქართველი მეფეებით, იგი დაინერგა შემ-იაფეთის მოდგმის უფლისა და ნოეს კურთხევების საფუძველზე. მის მერე, რაც კიდობანი გაჩერდა იბერია-კავკასიაში, ასე შეიქმნა სამოთხე ქვეყანა, რომელიც დაფუძნდა უფლის პირველი მცნების – განა-ყოფი-ერ-დით და გამრავლდით – არსით, ანუ თქვენს გამოყოფილზე სხვისი არ მიითვისოთ, გამრავლდით და იქცით ერად. ასეთი ქმედების შედეგად, სადაც უზნეონი იკვეთებოდნენ, განვითარდა ჩვენში პატრონყმობა მოყმეთა განათლებით აღზრდის, სიყვარულის უნიკალური წესი და არა ბატონყმობა.

წამებებში გადაიზრდება. აქედანაა დროის საზომი ერთეულიც (წამი), რამეთუ ღვთიურ სულში მუდმივმახსოვრობაა მარადიული ნეტარებისა უფლის შუქით მიღებული წარმოუდგენელი ჰარმონიის, სიამოვნების და მან იცის, იგი ჩაისახა სხეულში მისთვის, რომ ადამიანის უარყოფითი თვისებები გამოასწოროს, რითაც იგი მადლიანდება, ზეცაში კიდევ უფრო მიუახლოვდეს უფალს და მიიღოს ბევრად მეტი ნეტარება, ვიდრე ჩამოსვლამდე ჰქონდა. ვიცით, ადამიანთა ძირითადი მასა მიდის ცხოველური სულით ქმედებისაკენ და რაკიღა ღვთიურ სულს იგივე ორგანოები აქვს, რაც სხეულს, ამიტომაც ნელ-ნელა მისით ეს ორგანოები ავადდებიან, რისი ბოლოც სულიერი დაცემა და ნაადრევი სიკვდილია.

ხოლო აღდგენა ქართულ-იბერიული ცხოვრების წესისა, მოხდება მხოლოდ თორის სწავლისას მისი შუქით სიბრძნით გაბრძენება-განწმენდით, რაც შეხვიასთან, იგივე უფალთან კავშირის კვლავ აღდგენის საწინდარია. ეს არის ჩვენი უპირველესი მიზანი, რადგან დაწყებულია მესიის ერა და ვინც მუდმივად მიიღებს თორის განათლებას, ანუ ამტკიცებს ღმერთის შვილობას, მის ერთადერთობას, მეფობას, ისინი იარსებებენ მარადიული წარმოუდგენელი ნეტარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.წ. თანამედროვე განათლება ეს უფრო მიწიერი, მატერიალური, ტან-ის, სიამაყის, იგივე სა-ტან-ო, სა-ტან-ის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა და მისი მეფობაა, რაც დამღუპველია.

– ამდენად, ამ ნაშრომის მიზანია, ყოველმა ჩვენგანმა, იბერთა-მეფეთა სამივე რელიგიის წარმომადგენლებმა, მარადიული ცხოვრებისათვის კვლავ აღადგინოს თორის ყოველდღიური სწავლება. შედეგად, აღდგება ის სულიერი განათლება, ცხოვრების წესი, რითაც უფლის მიერ რუდუნებით ჩამოყალიბდა იბერთა მეფეთა უნიკალური გენეტიკური კოდი, რის გადაგვარებასაც ცდილობდნენ რუსეთთან შეერთების შემდეგ;

– ეს ყოველივე დაიწყება ამ და წინა სამი ნაშრომის შეცნობით იმ ძირითად 216 საიდუმლოს სიბრძნისა, რის გამოც მთლიანი თორის შემმეცნებელი სოლომონის „ქებათა ქება“ და მისი ამხსნელი „ვეფხისტყაოსანი“ დღევანდლამდე შეუცნობლებია. ამდენად, სასწაულად გაიზრდება, გაღვივდება შემდგომ მისწრაფება წარმოუდგენელი ნეტარებისკენ, თორის სიბრძნის ყოველდღიურად შესწავლისათვის.

ახლა კი იმ ძირითად საიდუმლოებათა ახსნას შემოგთავაზებთ, რის გამოც დღევანდლემდე ვერ იხსნებოდა, თორაც „ქებათა ქებაის“ 216 საიდუმლოება და „ვეფხისტყაოსანიც“.

12.1. რა განსაკუთრებულად შეფარული ძირითადი საიდუმლოებანია „ქებათა ქება'ში“, იგივე თორა'ში, რომელთა მიზეზით ვერ იხსნებოდა 216 საიდუმლოება

იმთავითვე ვიტყვით, რომ ეს საიდუმლოებანი ძირითადად იბერიის, როგორც სიკეთის ციტადელის ქვეყნის შეფარვისთვისაა, რათა ბოროტებას არ გაეძლიერებინა 'შემოტევები მასზე. ჩვენ დავასაბუთეთ წინა სამი ნაშრომით, რომ იბერია-კავკასიაში, სადაც გაჩერდა კიდობანი, ქამის ცნობილი შეცოდების შემდგომ, უფლისა და ნოეს კურთხევებით ორი ძმის – შემისა და იაფეთისა, დაფუძნდა სიკეთის ციტადელი სამოთხე ქვეყანა, დედაბოძი სამყაროს სულიერი კულტურის განვითარებისა. გავიხსენოთ ნოეს კურთხევა:

(დაბადება 9:26) „და თქვა: კურთხეულ იყოს უფალი, ღმერთი შემისა და იყოს ქენაანი მისი მონა“ (ქენაანი – ეს ქამის შვილია, რომელიც უნდა ყოფილიყო ქენაანის – წმინდა მიწის – გამგებელი); 9:27: „განავრცოს ღმერთმა იაფეთი, და დასახლდეს შემის კარვებში და იყოს ქენაანი მისი მონა“.

ამდენად, აქ ჩანს, რომ შემი ამყარებს ღმერთთან კავშირს, რათა იმეფოს ორმა ძმამ, იგი იღვწის თავისი უმცროსი ძმის, იაფეთის გამრავლება-გავრცელებისათვის, რომელიც მრავლდება შემის კარვებში. ასე ვითარდება სულიერი მიწათმოქმედების წესი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მიწა-მამულის თანაბრად გაყოფაზეა დაფუძნებული.

შედეგად მრავლდება უნიკალური, ქვემოდან ზემოთ მმართველობის დემოკრატიული წესი. ამ წესის აღდგენას მოითხოვდა ილია, რამეთუ მისით იყო შემორჩენილი ქართველთა ისეთი გენეტიკა, რომ მის დროსაც ქართველთა სიტყვა და ულვაშის ერთი ღერი მილიონებზე მეტი გარანტი იყო. ამხელა რწმენა იყო ერში. „ქურდობა და ბროდიანიზმი ქართულმა ყოფამ არ იცოდა“ – ამბობდა იგი.

იყო აგრეთვე უფლის კურთხევა ამ ძმების მრწამსის, ორი იბერთა-მეფეთა მოდგმის, ქართველთა-კავკასიელთა და ისრაელთა შემდეგნაირად: პირველ ტაძარს შემის მოდგმა ააშენებს, მეორეს – იაფეთელნი, რაც აღსრულდა. ამავე დროს მის მიერ დადგენილი

იყო. დიდი პატივით დაიმარხონ იაფეთელები წმინდა მიწაზე. აი, რატომ მიდიოდნენ ქართველნი წმინდა მიწაზე დასამარხავად და ლოცვების აღსავლენად სიბერის ჟამს. და ეს ყოველივე აღწერილი გეგმაზომიერად იყო მივიწყებული და შეფარული, რათა ბოროტებას არ გაეძლიერებინა შემოტევები იბერიაზე. და ეს არის პირველი საიდუმლო „ქებათა ქებისა“, რომელიც საფუძველია შემდგომ მთლიანად თორაში აღწერილი მოვლენებისა.

დასტურად, შემდეგ თორაში არის კიდევ ოთხი კურთხევა შემის (რომელიც იბერთა ძეთა მამადაა მოხსენიებული) აბრაჰამის მიმართ, ისაკისა იაკობის მიმართ, იაკობისა და მოშესი ისრაელთა მიმართ, და რაკიდა თორა ზედმეტს არაფერს წერს, ასევე პირველი კურთხევა საფუძველია, ამიტომ ამ კურთხევებში ისრაელებთან ერთად იაფეთელები იგულისხმებიან. ამაზე ვრცლად გვაქვს მოთხრობილი და დასაბუთებული მე-2 და მე-3 წიგნებში, ამაშია მეორე ძირითადი საიდუმლოება „ქებათა ქებისა“, ამდენად, ამ კურთხევებით შემს, რომლისგანაც გამრავლდა ებრაელთა ერი უფროსობიდან გამომდინარე, ხვდა პატივი, დაემყარებინა სულიერი კავშირი უფალთან, ხოლო იაფეთი ანუ მისი მოდგმა, კავკასიელნი, ქართველნი, ვითარდებოდნენ და მრავლდებოდნენ მის კარებში.

ასე, ისტორიის პირველ ეტაპზე შემი და მისი მოდგმა იღვწოდნენ ჯერ უმცროსი ძმის გამრავლებისათვის და საქართველო-კავკასიის სამოთხე ქვეყნად ჩამოყალიბებისათვის, რამეთუ განერცობა, ანუ გამრავლება მათზეა ნათქვამი. ჯერ ისინი მრავლდებიან, როგორც უფლის შვილები, მეფეთა მოდგმა, ხოლო ქამის მოდგმა მონადაა ნაკურთხი და ისინი, აგრეთვე მათი მსგავსნი თუ არ გარდაიქმნებოდნენ ცხოველური აზროვნებიდან სულიერებისაკენ ქართული ცხოვრების წესით, იკვეთებოდნენ ამ სამოთხე ქვეყნიდან. ამავე დროს, ქართველნი-იაფეთელნი გადადიოდნენ მთელ მოფლიოში და ავითარებდნენ სულიერი მიწათმოქმედების წესს ხალხთა მოქცევისათვის, ამან განაპირობა: კავკასიური, იაფეთური რასის ჰეგემონია სამყაროს განვითარების პირველ ეტაპზე. თორიდან გამომდინარე „პირველყოფილი თემური წყობილების“ ცხოვრების წესის ჩამოყალიბებით* შედეგად, იაფეთური კავკასიური რასის საგამგებლო ტერიტორიათა შევიწროება ხდებოდა მონათმფლობნელურ, აგრეთვე ფეოდალურ, და ბოლოს, კაპიტალისტურ ფორმაციათა განმავითარებელი არაიბერიული, მონური სულის ქამ-ესავის მოდგმათა მიერ. და ამ ყოველივეშია მესამე ძირითადი საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ხოლო მეოთხე საიდუმლოება, კურთხევიდან გამომდინარე, წმინდა ენაზე ამ ორი ერის სახელებშია განზოგადებული – ისრა-ელი და ქართ-ელი. ამ სახელებში ჩანს ქმედება ორი ერისა, თორიდან გამომდინარეა: დასტურად, „ისრა“ ნიშნავს გამჩენთან კავშირის პირდაპირ დამყარებას. ამიტომ მხოლოდ ამ ერში იბადებოდნენ წინასწარმეტყველნი, ხოლო „ქართვე“ წინადაცვეთილს, იგივე მეფეს ნიშნავს (ამის დასაბუთება 153. თავშია). დაბოლოება „ელი“ კი, რომელიც ორივეს სახელშია, უფლის სახელია. შედეგად, მხოლოდ ეს ორი ერი ითვლება უფის შვილებად, იგივე იბერებად.

ამასთან, საფუძველი ორი ძმიდან ორი სულიერი ერის ჩამოყალიბებისა, ეს უპირველესად უფლის მიერ ბოძებული წმინდა და დედა ენაა, ესაა მეხუთე ძირითადი.

---

* ზ. გამსახურდია იბერიული მოდგმის და დასახლების არეალზე გადმოგვცემს: „საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელნიც სახლობდნენ პირინეის ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელება იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც, ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით, ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა მოდგმისა, რასისა, იყო ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალდიალექტური განშტოება და თუ ეს ენა-კავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ, როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი „პროტოიბერიული“. ამ მოდგმას, ნიკო მარის და სხვათა გამოკვლევებით, დაემატა შუმერულიც და, რა თქმა უნდა, მესხები, კაბადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი“. შემდეგ იგი განაგრძობს: „როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოება ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართველური და მისი მნათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში“.

ასევე ფუნდამენტალური საიდუმლოება „ქებათა ქებისა“, რისი დასტურიც შემდეგ მეექვსე საიდუმლოებაშია:

თ-ორ-ის მრწამსით, „ორ“ შუქი მუდმივად ორის უღალატო სიყვარულით წარმოიქმნება და ამ ორი ერის სულიერი ერთობის ერთმანეთისათვის თავდადებისა და ურთიერთისკენ მუდმივად სიყვარულით მიმსწრაფველობის ცხოვრების წესი, ორი ენიდან გამომდინარე, უფლის იმ მრწამსიდან იწყება, რისი საუკეთესო მაგალითი თვითონ შემოქმედია.

როგორც უფალია წარმოუდგენელი სიბრძნის, სასიკეთო თვისების მატარებელი, რაც ასევე წარმოუდგენელი ერთგულებით აღჭურვულია და დაბინავებულია მისი შეხინით — მდედრობითი არსით, რათა მან უფალთან მიახლოებული თვისებებით აღზარდოს დაყმითი — ჭკუით მოქმედი იბერთა — მეფეთა შთამომავლობა, ამისკენ მიილტვის ორი ენით ორი ერის შექმნით შემოქმედი, რისთვისაც ჯერ საკუთარი ანალოგიით შექმნა ორი ანბანი — მამრობითი მრწამსის მისი სიბრძნის მატარებელი წმინდა ენა და მდედრობითი მრწამსის მატარებელი დედა ენა.

ამდენად, სიბრძნე, სიწმინდე უფლისა, თორის არსიდან გამომდინარე, კოდირებულია წმინდა ენაში და ადეკვატურად, როგორც შეხინით, მდედრობითით განიმარტება მისი სიბრძნე, ასევე, მხოლოდ დედა ენით განიმარტება სიბრძნე წმინდა ენისა, ანუ მასში უფრო გაშლილად და გასაგებად ბინავდება ეს სიბრძნე, ეს დასაბუთებულია მე-2 ნაშრომში, ორივე ასო-ნიშანთა დასმით წრეწირზე (იხ. ნახაზი 2).

ამავე დროს, დედა ენის მრავალ სიტყვათა სიბრძნე წმინდა ენით განიმარტება და ეს ორივე ენა თითქოს ერთი სულის ორი ნახევარია, რაც მათ სახელებშია განზოგადოებული, ყოველივე დასაბამიდანაა უფლის მიერ ჩამოყალიბებული, რასაც ქვემოთ განვმარტავთ, და აქედანაა ამ ორი ერის მუდმივად ისტორიულად ქმედება, როგორც ადამიანებში ერთი სულის ორი ნახევრის, მამრისა და მდედრის ქმედებაა, ამიტომაც ჩვენთან ყოველივე დედიდან იწყება: დედა-ენა, დედა ტაძარი, დედა ერი, დედამიწა, დედაქალაქი, დედაბოძი და ა.შ.; ისრაელში კი — ყოველივეს „წმინდა“ ჰქვია.

შედეგად, ორი ანბანის მსგავსებით, უფლით შთენილი მეტყველებიდან გამომდინარე, ჩვენ გვყავით ტყვენი, მონანი უფლის ენათა სიწმინდისა, ერთი და იმავე სულიერებით შერწყმულნი, არავის თავს არ ვესხმოდით, მუდმივად ერთი და იგივე მტრები გვყავდა, ერთმანეთს გვერდში ვედექით, რათა მუდმივად გვემეტყველა უფლის ენებით, და ასე, როგორც ერთი სულის ორი ნახევარი, მამრი და მდედრი, მივილტვოდით, მივახლოებულიყავით უფალთან თვისებებით, და ეს ყოველივე მეექვსე საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“.

ხოლო შემდეგი, მეშვიდე ძირითადი საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“: რაკიღა თორის — წმინდა ერის არსი დედა ენით განიმარტება, ამიტომაც შეფარვისათვის „დედა ენა“ ყველგან მოიხსენიება მისი დაფარული კოდით, ანუ ჰემატრიით, რომელიც 70-ია. ეს საკითხი საკამათო რომ არ იყოს, შევეცდებით, დავასაბუთოთ მისი ჭეშმარიტება.

70 ენა დედა ენის აღმნიშვნელია, მისი კოდია

ზეპირი თორით ცნობილია, უფალმა ადამს შეასწავლა წმინდა და 70 ენა. ფიქრობდნენ, რომ 70 ენა ეს იმ 70 ერს ეკუთვნის, რომელნიც გამრავლდნენ ბაბილონის გოდოლის აშენების შემდეგ. აქ ისმება კითხვა: — 70 ენა და ერი გოდოლის აშენების შემდეგ გამრავლდა და ადამს ეს ენები საერთოდ არ სჭირდებოდა, თანაც ისინი უანბანო ენები იყო, განა უანბანო ენას შეასწავლიდა შემოქმედი? ამავე დროს, ვერც სახელებს დაარქმევდა იგი ცხოველებს, თორით კი ცნობილია, ადამმა მხოლოდ ამ ორ ენაზე დაარქვა ცხოველებს სახელები, რაშიც მათი მრავალმხრივი ფუნქციური დანიშნულებაა გადმოცემული, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ უფლის ამ ენათა კომბინაციათა შერწყმითაა, რომ თითოეულ სიტყვას 70 ახსნა აქვს, რაზეც კიდევ ვიტყვით. ეს შერწყმა ჩანს ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულში, რომ სახ-ელი წმინდა ენაზე ნიშნავს „სახ“ — ლაპარაკს უფლისა, რამეთუ „ელი“ მისი სახელია, ანუ დედა-ენა მისი შექმნილია და მისი აზროვნებიდან გამომდინარეა ყოველი სახელი, თუნდაც, ავიღოთ „სოფელი“, სოფ — აქ წმინდა ენაზე დასრულებას ნიშნავს იმ სრულყოფილებისა, ელით — უფლით, რაც აისახება ქართულ სოფელში, მის სრულყოფილ ცხოვრების წესში.

ყველაზე უტყუარი დასაბუთება ორი ანბანის ერთი წარმომავლობისა ჩანს ასევე მათ სახელებში: „ალეფ-ბეტი“ და „ან-ბანი“, რასაც ქვემოთ უფრო სიღრმისეულად განვმარტავთ, ახლა კი, ამ სახელებიდან გამომდინარე, აღვნიშნავთ სულ მთავარს მათი ერთი წარმომავლობის დასასაბუთებლად: მხოლოდ ამ ორივე ანბანში უფლის

წარმოუდგენელი თავმდაბლობაა წარმოჩენილი, რათა ჩვენ, მისი ანბანებით მეტყველებმა, მივბაძოთ მას.

ცნობილია, ალეფი (א) თვით უფლის აღმნიშვნელი სახელია, ისევე, როგორც იოდი (י), რომელშიც ათი მცნების ანუ თორის არსია გადმოცემული. ამავე დროს იოდი გამოირჩევა ივრითულის ყველა ასოსგან ყველაზე პატარა ზომით და იგი წერტილ-მძიმეს წააგავს, ხოლო თვით ალეფი ორ „იოდ“-ს შეიცავს, ერთი იოდი ზევითაა, მეორე ქვევითაა. მათ შორის კი ვავია (ו).

უფლის წარმოუდგენელი თავმდაბლობა კი მასშია, რომ ზემოთა იოდი მიგვანიშნებს უფლის სამყოფელს, ზემოთა სულიერ ცებს, რომელნიც უფლის შუქით გასულიერებულნი და გასხივოსნებულნი არიან. ეს შუქი ათი მცნებისა — თორისა აირეკლება ვავში, რომელიც სამართლიანობის — გამაერთიანებლის სიმბოლოა, რაც მიგვანიშნებს უფლის იმ სურვილზე, რომ დედამიწაზეც ადამიანები ასეთი სამართლით მოქმედნი ათი მცნებიდან — თორიდან გამომდინარე, უნდა გამოირჩნენ თავმდაბლობით, ამიტომაც მეორე „იოდ“-ი ქვევითაა.

იგივე მრწამსი გადმოცემულია ასომთავრულის „ან“ (ⴀ) ასო-ნიშანში, ოღონდ აქ „ვავი“ ზევითაა, ანუ სწორი სამართალი თორიდან გამომდინარე, მუდმივად დანერგილი იყო იბერიაში, რადგან აქ შეხინა მუდმივადაა დავანებული, წარღვნის შემდგომ კიდობნიდან გადმოსული. შედეგად, ისრაელისგან განსხვავებით, ზემოთა და ქვემოთა ცათა სულიერება აქ უფლით, მისი შეხინით თითქმის მუდმივად გაერთიანებისაკენ, შერწყმისკენაა მიმართული. ამიტომაც ორი „იოდ“-ის არსში წარმოჩენილი ზედა და ქვედა ცები შერწყმულია „ან“ ასო-ნიშნის ქვედა ნახევარწრეში.

ეს თავმდაბლობა ჩანს უფლით ბოძებულ ივრითულ და დედა ენათა დამწერლობაში. მათში ყველა ასო პირველია თავის საქმეში, არც ერთი წინადადება, სახელი არ იწყება დიდი ასოთი, თვით შემოქმედის სახელიც. იშვიათი გამონაკლისია წმინდა ენა, როცა დიდი ან პირიქით, პატარა ასოთი დაწერისას თორის ღრმა, სულიერი შინაარსი, სიწმინდე გადმოიცემა.

ასე, ამ ორ იბერიულ ენაში ყველა ასოთა თანაბრობით იქმნება წინადადება, სიტყვა, რომელნიც წარმოუდგენელ სულიერებას და მრავალმხრივ სიბრძნეს — შუქს გადმოგვცემენ, და ამ შუქით, ცოდნით, მუდმივად ხდება ჩვენი გაბრძენება უფლის შეხინით ამ ანბანებით მეტყველებისას.

ამავე დროს, მე-2 წიგნის 1-ელ ნაწილში დავასაბუთეთ რომ წერია თორაში, ერთ ენაზე იყო მეტყველება — ეს დედა ენა იყო. ხოლო წმინდა ენა ძირითადად სალოცავად გამოიყენებოდა (ჯემალ აჯიაშვილი). შემდეგ კი, როცა დედა ენის წარმოუდგენელი სიბრძნიდან გამომდინარე, აშენდა გოდოლი და მერე — პირამიდები ეგვიპტეში, რამეთუ შემდგომ ქამის მოდგმა გამეფდა იქ. ამიტომ გოდოლის აგების შემდეგ გამოაცალა უფალმა ხალხს დედა ენაზე აზროვნების და მეტყველების უნარი. ამის საიდუმლოება შემდეგშია: გავიხსენოთ თორა, დაბადება, 11:4: „და თქვეს: მოდი, ავაშენოთ ქალაქი და კოშკი, რომლის თავი ზეცაში იქნება და მოვიპოვოთ სახელი, რათა არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე“.

ანუ აქ ლაპარაკია უფლის იმ სახელის მოპოვებაზე, რომლითაც მთლიანი თორაა მის მიერ შედგენილი. ეი მათ მოინდომეს უფლის შემცვლელობა მისი სახელის მითვისებით, თანაც, ამისათვის კოშკით მათი თავი უფალივით ზეცაში უნდა ყოფილიყო.

დღეს მათი გამგრძელებელნი არიან კონსტიტუციის შემქმნელი სახელმწიფონი, ვითომ უფალივით ეს კონსტიტუცია მათი სახე — სახელია, და აქედან გამომდინარე, მათი დარქმეული სახელებიც. განა უფლით, საკუთარი ინიციატივით ყალიბდება, რაც აბსურდია, რამეთუ უფლის სიბრძნე და სასიკეთო თვისებები უსასრულოა და გერცერთი ადამიანი ვერ შეცვლის მას. ამიტომ, გამოაცალა უფალმა მათ ანბანის ცოდნა, მისით მეტყველების უნარი. შედეგად, დავიდნენ განვითარების მეტად დაბალ ეტაპზე, რამეთუ განავითარეს სურათხატოვანი დამწერლობა.

მხოლოდ უფლის ნებით ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლიდან 500 წლის შემდეგ მიეცათ ხალხებს უკვე წმინდა ენის ანბანი, რომელიც კოდირებულია და მასში დაფარულია თორის სიბრძნე. ეს იმიტომ, რომ ამ ენის სიბრძნეს კვლავ გოდოლის ასაშენებლად როგორც დედა ენის შემთხვევაში, ვერ გამოიყენებდნენ. ამავე დროს, ასე მათ შეეძლოთ, ესწავლათ თორა, რაც მიზანი იყო უფლისა. მათ კი, თავიანთი ტრადიციული სიამაყიდან გამომდინარე, წმინდა ენის, ასევე ნაწილობრივ დედა ენის ასო-ნიშანთა პლაგიატობით შექმნეს საკუთარი ანბანები.

ვიცით, ენა მე-ტყველება საფუძველია ჩვენი ყოველი მე-ს უფლის სიბრძნის ტყვეობისა და მისი შემცველობისა დედამიწაზე. ასე მეფობა იქნება მარადიული, მაგრამ სამყაროს დანარჩენმა ხალხებმა არ ისურვეს უფლის შვილობა. იგივე მეფობა – იბერიელობა – მარადისობა. უფლის სიბრძნეთა შეცნობით ასე ჩამოყალიბდა უფლის ენათა საპირისპირო მეტყველებით ინდოევროპული მოდგმა, რომელთაც წარმოიჩინეს თავი ანბანის შემქმნელად და თავად მოინდომეს უფლის ადგილის დაკავება.

შედეგად მე-ტყვე-ლება უფლისგან ნაქურდალი ასო-ნიშნებით შექმნილი ანბანებით, რაც სატანის შთაგონებაა. ეს უკვე მის ტყვეობას, მონობას ნიშნავს. მისი შთაგონებით კი, ნაცვლად სიბრძნე-სიყვარულისა, მათში იბუდებს უმთავრესი ცოდვა სიამაყე.

რაც აისახა უფლის ასო-ნიშანთა პლაგიატობით შექმნილ ინდოევროპულ ენებში. მათი ყოველი წინადადება დიდი ასოთი იწყება. დიდი ასოებით იწყება აგრეთვე მდინარეები, ქალაქები, სახელმწიფოები, ანუ ისინი განადიდებენ, კერპად აქცევენ მათ, რაც უფლით არაა განდიდებული. თითქოს უფალზე უფრო მნიშვნელოვანს წერენ, ყოველ წინადადებას დიდი ასოთი იწყებენ. ასევეა პიროვნებების დასახელებებში, რამეთუ ისინი მიილტვიან განდიდდნენ ერთმანეთის დამონებით. გავიხსენოთ ვლადიმირი, ვლადი-კავკაზი, ვლადი-ვოსტოკი, ვორო-ბეი, ანუ ყველგან აგრესიაა. საკუთარი განდიდებაა სხვათა დამონებით და დახოცვით გადმოცემული. ასე ყველას სიამაყიდან გამომდინარე სატანასავით კერპად წარმოჩენა სურს, რამეთუ, სიამაყე, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველია ყველა დანარჩენ უზნეო თვისებათა: შური, ბილწსიტყვაობა, ქილიკაობა, დასმენა, ხალხთა დაპყრობის, დამონების სურვილი, აღვირახსნილობა.

ცნობილია, როგორი მრწამსითაც იცხოვრებ, ისეთი შთამომავლობაც გეყოლება. ისინი ამადაც ქორწინებას „ბრაკს“, ხოლო სულიერების პირველ ღამეს „ბრაჰნაია ნოჩ“-ს უწოდებენ, ანუ „წუნს“ სდებენ თავიანთ შთამომავლობას და ხშირად ცხოველებზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე შვილებზე.

ამიტომ, როგორც მათთან სიტყვებში დიდ ასოებს მოჰყვებიან მისი მორჩილნი, მონანი პატარა ასოთა სახით. ამგვარადვე მათში ყოველთვის ვიღაცის განდიდება, წინამძღოლობაა, რაც მთავარია, ყოველი ერი, შემქმნელი თავისი ენის, ეჯიბრება უფალს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა დაიპყროს, რომ თავის მიერ შექმნილ ენაზე ალაპარაკოს ისინი. და ასე უკვე ეს ერები იყვნენ განდიდებული წინამძღოლნი სახელმწიფოთა უფლის მაგიერ.

აი, მიზეზი იმისა, რატომაა გამეფებული ინგლისური, რუსული, გერმანული და სხვა ენები. ამგვარად სხვა, მათ მიერ დაპყრობილი, ქვეყნებიც მათი ენებით, მეტყველებით, აგრესიულობის მონანი ხდებიან. რაც მთავარია, მათი აგრესია გადაიტანეს ისრაელში წმინდა ენით მეტყველების აკრძალვით, რომ არ ემეფა უფალს, რაც მოახერხეს კიდეც. აი, რატომაა უფლით მათი დასჯანი, რომ მოექცნენ.

ხოლო იგივე უფლის მეორე დედა ენაზე რომ არ განმეორდა, ამის მიზეზია შეფარვა იმ საიდუმლოებისა უფლით, რომ დედა ენაც უფლის ენაა. აი, ახსნა იმისა, თუ რატომ მიეცა ადამს დედა ენა კოდით, რომელიც 70-ია აქედან, ამ მეშვიდე საიდუმლოებიდანაა. ირიბად თუ პირდაპირ, დღემდე აუხსნელი კიდევ თორის შემდეგი საიდუმლოებანი:

გავიხსენოთ მე-2, მე-3 ნაშრომები, როცა იოსები ტყვედ გაიყიდა ეგვიპტეში, მაშინ იაფეთელებმა დაიბრუნეს ქამის მოდგმის მიერ, ნიმროდის დროს მითვისებული იაფეთელთა საგამგებლო ტერიტორიები, რომლებშიც ავითარებდა მონათმფლობელურ ცხოვრების წესს, რაც მესამე საიდუმლოებაში გვაქვს გადმოცემული.

შედეგად, მერვე ძირითადი საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“, რომ ეს ფარაონი იაფეთელია და მიიღეწოდა, რომ კელავ აღედგინა თორიდან გამომდინარე იბერიული ცხოვრების წესი. ვიცით, მან ნახა სიზმარი, ხოლო იოსებმა სიზმრის ახსნისას განუმარტა, როგორ მოხდებოდა შვიდ-შვიდწლიანი სიუხვე-შიმშილის შემდეგ, რომ მონათმფლობელთა მიწები და ქონებაც დაბრუნდებოდა სახელმწიფოს, იგივე ფარაონის საკუთრებაში.

ამ წინასწარმეტყველებიდან ფარაონი მიხვდა, რომ იოსები შემის მოდგმიდანაა, იაკობის რჩეული სულიერი მემკვიდრე ლიდერია 12 ძმას შორის. ამიტომაც იბერიული ცხოვრების წესის აღდგენა-წარმართვისათვის, რაც პირველ კურთხევაში იყო ნაწინასწარმეტყველები, დაინიშნა იოსები, როგორც შემის მოდგმის წარმომადგენელი, სულიერ წინამძღოლად ეგვიპტისა და მთელი სამყაროსი, რამეთუ წერია თორაში, რომ ის დაინიშნა ფარაონის სახლის მამად.

მაგრამ იქამდე ფარაონს შეეძავნენ მისი ვაზირები, რომ ამისათვის საჭიროა, მან იცოდეს 70 ენა, ანუ დედა ენის წარმოუდგენელი სიბრძნე. და აქედანაა ის ფაქტი, რომ უფლის ანგელოზმა შეასწავლა ერთ ღამეში დედა ენა და არა 70 ენა, რამეთუ 70 ენა ანბანით მაშინ არც არსებობდა, და ესაა მეცხრე საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ხოლო მეათე ძირითადი საიდუმლოება შემდეგშია: ორი ძმის სულიერი ერთობა, უფლის შგილობა ჩანს მასში, რომ ფარაონს ჩამოჰყავს 70 სული იაკობი და მისი შთამომავალნი და ეგვიპტის საუკეთესო მიწაზე გო-შენში (რაც ორ ერს ნიშნავს) ამრავლებს ისრაელებს მხოლოდ იაფეთელებთან ერთად, ამდენად, ერთნაირი სულიერი მოთხოვნილებიდან გამომდინარე. იაფეთელებთან ერთად მრავლდება წმინდა ერი, სხვაგან ისინი სიწმინდეს ვერ შეინარჩუნებდნენ, რამეთუ აღირეოდნენ მათში, ისევე, როგორც ეს მოხდა იაფეთელთა გამრავლების შემთხვევაში იბერია-კავკასიაში. გავიხსენოთ, პირველი კურთხევით ჯერ მრავლდებიან იაფეთელნი, და ეს გამრავლება ხდებოდა შემის მოდგმის სულიერ კარვებში მათი ხელშეწყობით, ხოლო ქამის მოდგმის წარმომადგენელნი მრავლდებოდნენ სხვა ტერიტორიებზე.

ამდენად, უფლით განმეორდა ანალოგიური ფაქტი, როცა მხოლოდ ორი ერის ერთი სულიერებით მოქმედი წარმომადგენლები მრავლდებიან ერთად და დედა ერის გამრავლების მერე წმინდა ერის გამრავლება ხდება დედა ერთან ერთად, რათა უწმინდურობა არ გამრავლდეს მათში, და ესაა მეთერთმეტე ძირითადი საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ამავე დროს, ისინი ავითარებდნენ ორივე ერის ტრადიციულ მეცხვარეობას, იკვებებოდნენ ძირითადად ცხვრის ხორცით, რაც საზიზღრობაა ეგვიპტელთათვის, რადგან ცხვარი მათი კერპი გახლდათ. და რომ ამიტომაც გამოეყო მხოლოდ ორ ერს ეგვიპტის საუკეთესო მიწები გოშენში. აქედანაც ჩანს, რომ ფარაონი იაფეთელია.

ამდენად, თუ ადრე შემის მოდგმა უწყობდა ხელს, იაფეთელნი რომ გამრავლებულიყვნენ, ახლა იაფეთელნი ახორციელებენ იმავეს გო-შენში. შედეგად, მეთორმეტე საიდუმლოების არსია ის აქამდე ცნობილი აუხსნელი ფაქტი ისრაელთა გამრავლებისა, რომ ისინი გო-შენში იმიტომ არ მუშაობდნენ და მხოლოდ თორას სწავლობდნენ, რადგან მოძმე იაფეთელთა მიერ უზრუნველყოფილნი იყვნენ სურსათით. შედეგად სულ რაღაც 210 წელიწადში სამი თაობის გამრავლების პერიოდში, 70 სული ებრაელიდან გამრავლდა 5 მილიონამდე.

ხოლო „ქებათა ქების“ მეცამეტე საიდუმლოებაა: იოსების სიკვდილის შემდეგ ეგვიპტის ფარაონი ხდება იაკობის ისტორიული მოძულე, მისი ძმის, ესავის ნაშიერი, რომელიც მიიღწვის გაანადგუროს ისრაელნი. დასტურად, გავიხსენოთ თორა. გამოსვლა 1.8: „და დადგა ეგვიპტეში ახალი მეფე, რომელიც არ ცნობდა იოსებს. 1.9: და უთხრა თავის ხალხს: აი, ისრაელის შვილთა ხალხი ჩვენზე მრავალრიცხოვანი და ძლიერია. 1.10: მოდით, ჭკუით მოვიქცეთ, რათა არ გამრავლდეს: თორემ თუ ომი მოხდა, ისინი ჩვენს მოძულეებს შეუერთდება და იბრძოლებს ჩვენს წინააღმდეგ, და გავა ქვეყნიდან“. ხოლო ესავის მოძულეებში იაფეთელნი იგულისხმებიან, რომელთაც დაკარგეს მეფობა ამ ქვეყანაში, რადგან ისინი ძირითადად სულიერი მიწათმოქმედების განმტკიცებაში იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ აქ ბევრი ქონება დაუგროვდათ.

აქედან იხსნება მეთოთხმეტე ძირითადი საიდუმლოება: თორაში დაწერილია, რომ ჩასაცმელი და ოქრო-ვერცხლი მისცეს ებრაელებს მეზობლებმა და დობილებმა. ესეც, რა თქმა უნდა, ქართველები იყვნენ, რადგან ეგვიპტელთა ჩასაცმელი ეს ტანის სიშიშვლისაა — კერპთაყვანისმცემელთაა, ხოლო ქართული ჩოხა წმინდანთათვისაა, რამეთუ იფარება მთელი სხეული.

ამავე დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამოსვლისას იაფეთელნიც 5 მილიონამდე იქნებოდნენ, რადგან თითო მეზობელი თითო ჩასაცმელს გასცემდა. აქედან იხსნება მეთხუთმეტე საიდუმლოება „ქებათა ქებისა“, თუ რატომ დაერქვა იერუ-შალაიმი წმინდა ქალაქს, რომელსაც იქამდე ერქვა შალემი — სრულყოფილება. წინსართი „იერუ“ სვანურად „ორია“, ანუ როგორც ითქვა, როცა ორი ერი ერთადაა, მათთან მესამე უფალია. შედეგად, ორი — წმინდა და დედა ერის შესვლის შედეგად უფლის შეხინასთან ერთად, დაერქვა ამ ქალაქს იერუ-შალაიმი, რამეთუ უფლის შეხინას შესვლა განაპირობებს ისრაელთა და იბერთა მეფობას ამ ქალაქში და ამაშია ორივე ერის უპირველესი რელიკვიის — ორი ლომის სიმბოლიკით მეფობის არსიც; რასაც კიდევ განვმარტავთ.

შედეგად, იხსნება ის დღემდე გაუგებარი მეთექვსმეტე საიდუმლოება თორისა, რომ ასწავლიდა თორას მოშე წმინდა და 70 ენაზე მოშე რომ კერპთაყვანისმცემლებს არ

შეასწავლიდა. ეს ფაქტია. თანაც 70 ენა. როგორც ითქვა, არ არსებობდა, მაშინ მხოლოდ ორი ანბანური დამწერლობა იყო. ამდენად, აქ დასტურდება ის ფაქტი, რომ მოშე განსწავლიდა როგორც ისრაელთ, ასე იბერიელთ — ქართველთ, რომელნიც თითქმის თანაბარი რაოდენობით გამოვიდნენ გოშენიდან. რა თქმა უნდა, იყვნენ ეგვიპტის სხვა რაიონებიდან გამოსული ებრაელნი, მაგრამ ისინი გაცილებით ცოტანი იყვნენ, რამეთუ ამ რეგიონებიდან გამოსულებში ჭარბობდნენ სხვა დამონებული ხალხები, რომელნიც წმინდა ენაზე ერევრაბად იწოდებიან.

აქედან იხსნება მეჩვიდმეტე ძირითადი საიდუმლოება, რომ ბენ ნუნმა, მოშეს დავალებით, 2 მეტრის სიგრძე-სიგანის ორ ქვაზე გადაწერა თორა წმინდა და 70 ენაზე. სამოცდაათ ენაზე ასე პატარა ქვაზე, რა თქმა უნდა, თორას ვერ გადაწერდენ, ანუ აქაც დედა და წმინდა ენებზე მოხდა გადაწერა.

ისიც ფაქტია, რაც წერია ზემოთ თორაში, რომ ამის მერე 70-მა ერმა, რაც იბერიულ ენაზე ცოტა განსხვავებული დიალექტით მეტყველთა ეთნიკურ ხალხთა ჯგუფებია, მათ გადაწერეს მთლიანი თორა ამ ქვებიდან. ამდენად, ეს უკვე ის 70-მდე ეთნოსია, რომლებიც საუბრობდნენ დედა და წმინდა ენიდან გამომდინარე 70 დიალექტზე.

საქმე ისაა, რომ ანბანური დამწერლობა მაშინ მხოლოდ ამ ორ ერს გააჩნდა, მარტო დედა ენიდან გამრავლებული 50 ეთნოსი იყო და დღესაცაა იბერია-კავკასიაში. და ოცამდე ეთნოსი იქნებოდა შემორჩენილი სხვა ტერიტორიებში, მათ შორის მიდია-სირიაში და ევროპაში. შემდეგ ეს ციფრები მუდმივად რეგულირდებოდა, რადგან კავკასიის გარეთ მყოფი 20 ეთნოსი იყენებოდა წმინდა ენის ანბანურ დამწერლობაზე მეტყველი ეთნოსით. რამეთუ, ეგვიპტის გაკვეთილიდან გამომდინარე, ისრაელნი არცერთ ინდოევროპულ ენაზე არ წერდნენ, და რომ არ აღგვილიყვნენ, წმინდა ენის ანბანის გამოყენებით განავითარეს იდიშური, ლახლუხური და სხვა დიალექტები. მხოლოდ დედა ენა მიიღეს სამეტყველოდ (გერშონ ბენ ორენი, ი. მოსკვინი).

აქედან გამომდინარე, დავასაბუთეთ მე-2, მე-3 ნაშრომებში, რომ არ არსებობენ არავითარი ცალკე შემოტურ ენაზე მეტყველნი. არსებობს მხოლოდ ორი მიმართულება: უფლის ენაზე მოლაპარაკე ხალხი — მეფენი, იბერნი, ისრაელნი, კავკასიელნი, მათგან გამრავლებული ეთნოსები. ხოლო დანარჩენი ენები — ეს ადამიანთა მიერ სატანის კარნახით უფლის ასო-ნიშანთა ჰლაგიატობით შექმნილი ინდოევროპული ენებია. მათი გამოყენებით გამრავლდა ინდოევროპული მოდგმა, რომელთა მიზანია, დაინერგოს უფლის საპირისპირო უზნეო თვისებები, სიამაყიდან გამომდინარე. მათით მეტყველებისას აღიგავოს სულიერება, მარადისობა და სიკეთილი გამეფდეს. არც არავითარი მონაგონი 14 პირველადი ანბანი არ არსებობს და ეს ყოველივეა მეთვრამეტე საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ამდენად, მეცხრამეტე ძირითადი საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“: იბერიულ-მეფეთა ენათა ჯგუფს მიეკუთვნება მხოლოდ უფლის მიერ შექმნილი ორი ენა — წმინდა და დედა. ხოლო მათი ასაკი დაახლოებით შემდეგია: უფალი 974 თაობის სიცოცხლის განმავლობაში ქმნიდა თორას. ეს არის 68180 წელი (რამეთუ თითო თაობა საშუალოდ 70 წელს ითვლის); პლუს 5777 წელი სამყაროს შექმნიდან დღევანდლამდე. რაც უდრის 73957 წელს. ხოლო ჩვენი, ადამიანთა ამ ენებით მეტყველების ასაკი ითვლის 5777 წელს, რაც დასტურდება წიგნთა წიგნით.

ხოლო შემდეგი საიდუმლოების არსია: როგორც ასო-ნიშნებშია უფლით თანაბრობა, ყოველ მათგანს თავისი დამახასიათებელი ნათება. შუქი გააჩნია. არავინაა მათში გამორჩეული იმ წარმოუდგენელი ღირსების გამო, რომ მათით სამყაროს შემქმნელი უფლის სახელი ანუ მთლიანი თორა იწერება. ამადაც, როგორც ითქვა, ამ ენებით მეტყველებისას, მიუხედავად ჩვენი დადებითი და უარყოფითი თვისებებისა, ყველა ჩვენგანის ქმედებისათვის უმთავრესი — სამაგალითო ერთიანობის, სიყვარულის სული სუფევს, რადგან ყოველი 600.000 ისრაელის სახელების პირველი ასოებიდან გამომდინარე, წარმოუდგენლად საამაყო უფლის სახელი — მთელი თორა იწერება. აქედანაა ჩვენი ნათებაც. და თუ 600.000 ისრაელი თორას ვსწავლობთ, მისი კანონების არსით ვქმედებთ, ჩვენ უკვე აქ, დედამიწაზე, ვაფუძნებთ მეორე თორას — უფლის სახელს და იმავე შუქში ვახვევთ დედამიწას, რაც ზემოთაა ასე: ჩვენი უარყოფითი თვისებები ნელ-ნელა გარდაიქმნება დადებითად.

შედეგად, ვუახლოვდებით უფალს თვისებებით, წარმოუდგენელი ნეტარებით ვერწყმებით მას. ამდენად, ანბანშია თორაშია ჩვენი სულიერება და სამარადჟამო ნეტარება. აი, რას ნიშნავს უფლის ანბანით მეტყველება, ადამიანის მიერ შექმნილი

ანბანებით ეს უკვე უფლის ჩვენი შემქმნელის აგრეთვე თორის გარეშე ყოფნა და გაქრობაა. რამეთუ სამყარო შექმნა უფალმა სწორედ ამ ასო-ნიშანთა შუქის ძალით.

ამდენად, ინდოევროპულმა მოდგმამ მიითვისა უფლის მიერ შექმნილი ასო-ნიშნები და თავიანთი უაზრო ანბანები შექმნეს, სადაც მხოლოდ მათი სიამაყე და საკუთარი განდიდების მისწრაფებაა. მათი ენებით მეტყველებისას სრულიად ქრება ნაპერწკალი სიყვარულისა და სიკეთისა, ასე მათი ფიქრები უფლის სულიერების საპირისპირო ხდება და ისინი მიიღტვიან აღგავონ სულიერება თორით ნაკარნახევი ცხოვრების წესი. ამ წესით ჩამოყალიბებული გენეტიკური კოდი გაყოფა-გაცემისა ისრაელში და იბერია-კავკასიაში. ამან ჩაუყარა საფუძველი ბოროტების — ქამ-ესავ-იშმაილის მოდგმის ბრძოლას სიკეთის იბერიულ შემ-იაფეთის მოდგმის წინააღმდეგ.

მიმდინარეობდა უდიდესი ძალისხმევა ბოროტთა მეფეთა — იბერთა აღგვისათვის. იმპერიები გვიპირისპირდებოდნენ, რათა აღგვილიყო სულიერი ცხოვრების წესი, თორიდან — ორი ენით მეტყველებიდან გამომდინარე, ორი ძმის — ორი ერის მიერ ჩამოყალიბებული.

პირველად იმპერიის დაპირისპირება მოხდა 28 საუკუნით ადრე, რის შედეგადაც ისრაელთა 10 შტო გადმოსახლდა იბერიის ტერიტორიაზე, რამაც დედა და წმინდა ენებზე მეტყველება უფრო გააძლიერა (ვახუშტი ბაგრატიონი, კირიონ VI, იცხაკ დავიდი), და ესაა ყოველივე გლობალურად მეოცე საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“.

მაშინ ვრცელი იყო იბერიის სახელმწიფოთა გავრცელების არეალი. შემდეგ, იბერიის ტერიტორიის შევიწროება მოხდა არმენული ტომების შემოსევით. შედეგად, იბერები და ისრაელნი ლოკალიზებულნი აღმოჩნდნენ იბერია-კავკასიის ტერიტორიაზე. აქ ჩასახლდა ისრაელთა დევნილი ათი შტოც და როგორც საქართველოში, ასევე კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. ქართველი მეფეებით წარმართული, ისრაელნი ძმური სიყვარულით ცხოვრობდნენ იბერიელებთან ერთად.

ამდენად, საქართველო იქცა ქვეყნად, სადაც ქართველები, უფლისა და წმინდა ერის მიმართ თავიანთი ერთგულებიდან გამომდინარე, წარმართავდნენ ქვეყანას უფლის თორის მცნებებით. აქ ყალიბდებოდა სამჭედლო უფალთან მიახლოებული ორივე ერის უნიკალური გენეტიკური კოდისა. ისინი, უფლის ერთგულებიდან გამომდინარე, ყველა ხალხთა მოქცევისათვის სწირავდნენ თავს.

შედეგად, რომ უფრო განმტკიცებულიყო იბერთა ცხოვრების წესი, ისრაელთა შორის ყოველ ეპოქაში იყენენ მხოლოდ თითო უდიდესი ბრძენი, რომლებიც უფლის ნებით ფლობდნენ „ქებათა ქების“ საიდუმლოებას და მას სხვა ისრაელ ბრძენებს არ ანდობდნენ; ანდობდნენ მხოლოდ მათ მოძმეთ — ქართველთა შორის ასევე გამორჩეულთ, რაც რუსთველს ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრაში აქვს გადმოცემული. ამაშია ოცდამეერთე ძირითადი საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

დასტურად, მეორე წიგნის 1-ელ ნაწილში და მე-3 წიგნში მოყვანილია, როცა თაობის უდიდესი რაბინი ელიეზერი სიკვდილის წინ უხსნის მხოლოდ იბერიული წარმომავლობის რაბი აკივას „ქებათა ქების“ 216 საიდუმლოებას. თავის მხრივ, რაბი აკივა ჩამოდის საქართველოში, სადაც, რა თქმა უნდა, გაანდობდა ამ საიდუმლოებებს იბერიელებს. ამავე დროს, მას ეხმარებიან ქართველები დიდძალი ფულით და ცოცხალი ძალითაც რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (აბრეგ ბათოშვილი, იცხაკ დავიდი). უფრო მეტიც, ჩვენც ჩავებით მათთან სისხლისმღვრელ ბრძოლებში იმ პერიოდში.

და შემდეგი საიდუმლოება მასშია, რომ რაკიღა რუსთველი იყო დავიდის შთამომავალი, არცთუ შემთხვევით, იგი აღმოჩნდა ის გამორჩეული, დედა ენაზე ბრწყინვალედ მეტყველი, რომელსაც გაანდეს ეს სიბრძნე. შემდეგ მან მიიღო ბრძანება ზეციდან, რომ ლექსთა კრებულით უფრო გახსნილად და ასევე შეფარულად გადმოეცა თავისი ნაწარმოები. რათა, როცა დადგებოდა ჟამი, ანუ დღევანდელი მესიის ერაში, ჩვენ, ქართველებს აგვეხსნა ეს საიდუმლოება თორის „ქებათა ქების“ 216 საიდუმლოების ახსნით. გავიხსენოთ:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა.
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მოწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.“

ანუ აქაც შეფარულად, როგორც მთელ ნაწარმოებში, ჩანს სოლომონისებური ქებათა ქება უფლისა, მისი შეხიხისა, იგივე სულიწმინდისა, აგრეთვე უფლის მიერ რუდუნებით შექმნილი და ჩამოყალიბებული მის ჭეშმარიტ შვილთა — მეფეთა წმინდა და დედა ერისა — ისრაელთა და ქართველთა — კავკასიელთა.

ბრძანება „ცეფხისტყაოსნის“ შექმნისა გამომდინარეობდა კიდევ შემდეგი ფაქტორიდან: შოთას მოღვაწეობის პერიოდშიც, ტრადიციული ქართული წესით, უფლის მოყვასის წარმოუდგენელი სიყვარულის და მათთვის თავდადების გამო, იბერია-კავკასიასაც ედგა ნათელი, უდიდესი სამოთხისებრი სულიერი შუქი სიბრძნისა ზეცასთან კავშირისა და შერწყმისა.

ამიტომაც იშვა რუსთველი, რომელმაც წარმოუდგენელი ნეტარებით ცით ნაკარნახევი ლექსთა კრებული გადმოგვცა, ჩამოაყალიბა მორალური კოდექსი მთლიანი თორის განმარტება-გაშლილად ახსნისათვის. ასე დავით აღმაშენებლის-თამარის ხანაში იბერია-კავკასიამ უფრო განიმტკიცა დავიდ წინასწარმეტყველის და სოლომონისეული ისრაელის ფუნქცია სამყაროს სულიერი სიბრძნით-სიმართლით გამგებლობისა. და ეს ყოველივე ოცდამეორე საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“.

უფლის უმაღლესი სულიერი მრწამსით შეიქმნა ორი ერი, სადაც პირველი კურთხევიდან გამომდინარე წმინდა ერი — ტყვინი სამყაროსი, იგი მიმღებია უფლის თორის სიბრძნისა და პირდაპირაა უფალთან კავშირში; ხოლო ამ სიბრძნის დამბინავებელი და მისით ქმედების საუკეთესო მაგალითი ხდება დედა ერი — გული სამყაროსი, რომლის უფლისათვის თავდადება-ერთგულება თითქმის შეხიზნის დონემდეა.

ხოლო ამ ორი ერის სულიერი ერთობის თარიღი, პირველი კურთხევიდან გამომდინარე, ითვლის არა 26 საუკუნეს, არამედ 4120 წელს, და ესაა ოცდამესამე საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ამავე დროს, როგორც ორგანიზმში გულია მთავარი, იგი თუ გაჩერდა, სხეული იღუპება, ასევე სამყაროში იბერიის — ამ სამყაროს გულის მუდმივმოქმედებაა მთავარი და ისრაელთა ერი თავს სწირავდა, რომ ამ გულს ეფუნქციონირა მუდმივად.

ისრაელებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ ბოროტებას მხოლოდ ისრაელის აღგვისაკენ წარემართა თავისი ქმედება. ამისათვის მათ თორის მიღების შემდეგ, როცა შევიდნენ წმინდა მიწაზე, ღიად თავის თავზე აიღეს სიკეთის ციტადელის ფუნქცია. ამიტომაც მოხდა ისრაელზე კონცენტრირება ბოროტთა ძალების, მათ მიერ შექმნილი ენებით მეტყველებით, უზნეო ცხოვრების წესის იქ შემოჭრისათვის.

მაგრამ როგორც კი ბოროტება — იმპერიები — იწყებდა შემოტევას ისრაელებზე, ქართველები ყოველთვის თავს ესხმოდნენ მათ. ამიტომაც ისინი უპირველესად ჯერ ქართველებს უტევდნენ, შემდეგ კი ისრაელთ, ხოლო ამ შემთხვევაში რომ საქართველოს გულს სულიერებისა მუდმივად ეფუნქციონირა, ისრაელთა სწავლული ალიები იბერიას მოაშურებდა, რათა დედა ენაზე მეტყველება გაძლიერებულიყო, რის შედეგადაც ყოველი დამპყრობელი ან აღიგვებოდა, ან მოექცეოდა.

ენა იყო ჩვენი ეროვნულობის და ქართველობის საძირკველი, მუდმივად გამარჯვების გარანტი. ეი, რატომ მოდიოდნენ ისინი მუდმივად იბერიაში, როცა იმპერიები გვესხმოდნენ. ეს ძირითადად 4-ჯერ მოხდა, რაც „ქართლის ცხოვრებაშია“ დაფიქსირებული (ლეონტი მროველი, დავით ნიკოლეიშვილი). ამდენად, ისინი გაანადგურებოდნენ ისრაელიდან, არამედ ისინი ჩამოდიოდნენ, რადგან, დედა ენაზე მეტყველება გაბნეტკიცებულიყო და საქართველოს — სამყაროს გულს მუდმივმოქმედებისა, მუდმივად ეფუნქციონირა და ესაა ოცდამეოთხე საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

მათ მიერ იბერიის გაფრთხილება გამომდინარეობდა იქიდანაც, რომ კურთხევამდე დაგანდა მხოლოდ იბერია-კავკასიაში უფლის და მისი შეხიზნის სულიერი ქალიშვილი, რუსთველით თინათინი, კიდობნიდან გადმოსული და იქცა იგი სამოთხე ქვეყნად, რამაც საფუძველი დაუდო სამყაროს მუდმივმოქმედებას. ამდენად, მხოლოდ ამ ქვეყანაში იყო და არის დამკვიდრებული უფალი, მისი შეხიზნა, რაც განაპირობებს სამყაროს მუდმივმოქმედებას და სწორედ ესაა ოცდამეხუთე ძირითადი საიდუმლოება „ქებათა ქებისა“.

ოცდამეექვსე საიდუმლოება კი მასშია, რომ უფლით და მისი შეხიზნით შობილია ორი შეხიზნა, რუსთველით თინათინი, რომელიც მწყემსავს იბერიას, დავანებული კიდობნიდან, და ნესტანი, რომელიც იშვა ეგვიპტეში, რათა მწყემსოს ისრაელთა ერი, ხოლო სხვა ერების პატრონი, მათი ინდოევროპულ ენებზე მეტყველებიდან გამომდინარე, ანგელოზნია. ამდენად, ერთი მწყემსავს მამრობითი, მეორე — მდედრობითი ფუნქციის აღმსრულებელი სულიერების მქონე ქვეყნებს.

ამავე დროს, სოლომონმა და ისრაელთა სულიერმა ლიდერებმა იცოდნენ, რომ ისრაელი საბოლოოდ ვერ გაუძლებდა ამ დაწოლას. მიმდინარეობდა დაცილება წმინდა ენიდან — თორიდან და შემოსევების დროს ისრაელთა სწავლული ალიებით ნელ-ნელა

ხდებოდა სამყაროს სულიერი ცენტრის იერუშალაიმის ფუნქციის აღსრულების გადმოტანა თბილისში, იბერია-კავკასიაში.

ხოლო, მეორე ტაძრის დანგრევის მერე, თბილისი და მცხეთა იქცა მთლიანი სამყაროს სამლოცველო სულიერ ცენტრად. რამეთუ უდიდესი ნაწილი ისრაელთა ვერ კონცენტრირდებოდა ამ სიკეთის ციტადელ'ში შემდეგი გარემოებიდან გამომდინარე: ჩვენში ჩამოყალიბებული ქართული ცხოვრების წესით – ვაჭრობა მხოლოდ ისრაელთა პრეროგატივა იყო. რადგან, ცნობილია, მათზე უფლის კურთხევაა ყველა საქმიანობაში. ელჩობის ფუნქციასაც მხოლოდ მათ ვანდობდით. ისინიც იღვწოდნენ იბერიის ეკონომიკური კავშირების გაფართოებისათვის გარე სამყაროს ქვეყნებთან, რაც ამდიდრებდა, აძლიერებდა ქვეყანას.

ამიტომ ყველა თავადს ეამაყებოდა მათ საგამგებლო არეალ'ში ებრაელთა სიმრავლე. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ბევრი ებრაელი, ქვეყნის უდიდესი ერთგულებიდან გამომდინარე, თავადაც წინაურდებოდნენ თავადებად ('ზაქარია ჭიჭინაძე, ელდარ მამისთვალიშვილი). მაგრამ ებრაელთა მიერ ვაჭრობის განვითარება ჩვენთვის და ბევრი ქვეყნისათვის უფრო მომგებიანი ხდებოდა. ჩვენი ქვეყნის მათთან მოკავშირეობითა და თბილისის – კავკასიის სავაჭრო ცენტრად გადაქცევით იკვეთებოდა საქარავნო გზებიც. ეს ხშირად ასუსტებდა ჩვენს წინააღმდეგ ომის სურვილს.

მაგრამ ამაზე ბევრად მნიშვნელოვანი და საფუძველიც ჩვენი სახელმწიფოებრიობისა იყო უფლით მინიჭებული ფუნქცია – ისრაელთა კავშირი უფალთან, რომელთა დამოძღვრებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა ზემოთ აღნიშნული სულიერი ცხოვრების წესი.

ამან განაპირობა, რომ ისრაელთა განდევნილობამდეც მცხეთა-თბილისი იღებდნენ იერუშალაიმის – სამყაროს სულიერი ცენტრის სიკეთის წარმმართველ ფუნქციას. დასტურად იყო იქ აგრეთვე იბერიული მეფეთა მოდგმის სამივე რელიგიის მიერ სჯულის კანონების აბსოლუტურად სრულყოფილად დაცვა. და მხოლოდ სიყვარული სულიერი ერთობა სუფევდა მათში.

ყოველივეს საფუძველი კი იყო ქართველთა გენეტიკური თვისება – მიცემული პირობის, სიტყვის აღსრულებისა. ეს გამომდინარეობდა მისგან, რომ მხოლოდ ორ ერს ხვდა წილად, ეხილა უფლის გამოცხადება სინას მთაზე და წმინდა წერილის მიღება, რასაც წინ უძღოდა ისრაელთა მიერ პირობის მიცემა: „თორას შევასრულებთ და მოვისმენთ“ (იხ. მე-2, მე-3 ნაშრომები). მართალია, ამ პირობის მიცემისას ყველა მოდგმათა სულები იქ იყვნენ, მაგრამ როგორც სრულყოფილმა ერებმა, ეს პირობა მხოლოდ ორმა დავდეთ და მივილტვით, რომ მუდმივად შევასრულოთ. რადგან ჩვენს მიერ მოყვანილი ნოახის დამოძღვრებიდან გამომდინარე, ქართველნი ვითარდებიან ისრაელთა სულიერ კარვებში. ეს დასტურდება აგრეთვე თორით, სადაც წერია, რომ უფალმა თორის მიღება შესთავაზა ღმაილისა და ესავის მოდგმას, მათ კი უარი განაცხადეს, ქამის მოდგმას კი, რომელიც მონად არის ნაკურთხი, რა თქმა უნდა, არ შესთავაზა. ხოლო იაფეთელნი იმიტომ არ წერია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ისრაელთა ქმედება და სიტყვის მიცემა – ეს იგივე ჩვენი ქმედება და სიტყვის მიცემა იყო. შედეგად, წყურვილი თორის მიღებისა და უფლის დამოძღვრებათა აღსრულებისა მხოლოდ ამ ორ ერშია გენეტიკურად შთენილი და ეს ყოველივე ღმული ოცდამეშვიდე ძირითადი საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა“.

ამის მერე გახდა თორა საქართველოს ქმედების კონსტიტუცია. ამადაც განმტკიცდა ჩვენში უნიკალური ცხოვრების წესი, დაფუძნებული გაყოფა-გაცემაზე. ეს უმთავრესი თვისებაა უფლისა. აი, საიდან იყო, რომ მხოლოდ ამ ქვეყანაშია მუდმივად შეხიზნა დავანებული სამყაროს მუდმივმოქმედებისათვის.

ე. მამისთვალაშვილი გადმოგვცემს: საერთოდ, როცა ტაძარი დაინგრა, როგორც ქართული წყაროები გადმოგვცემენ, მცხეთას უკისრია იერუშალაიმის ტაძრის ფუნქცია. მაშინ მეფეს მცხეთაში ორი ეკლესია აუშენებია: ზემო და ქვედა. ქვედა ეკლესიას, იგივე სვეტიცხოველის ეკლესიას „წმინდა წმინდათაის“ უწოდებდნენ იერუშალაიმის სოლომონის ტაძრის მსგავსად. ეს სახელი ხომ სოლომონის ტაძრის იმ ადგილს ერქვა, სადაც რჯულის კიდობანი იდგა. შემდეგ მეხუთე საუკუნე'ში ამ ეკლესიას შეეცვალა სახელი და წმინდა სიონი ეწოდა იერუშალაიმის სიონის ეკლესიის გავლენით.

როდესაც ვახტანგ გორგასალმა ქვემო ეკლესია ხელახლა ააშენა, იგი დედათა ყოველთა ეკლესიათაით გამოცხადდა.. წმინდა სიონი ეწოდა და იერუშალაიმის წმინდა სიონივით მოციქულთა სახელობისა გახდა (კ. კეკელიძე, „ეტიუდები ძველი ქართული

ლიტერატურის ისტორიიდან", თბილისი, 1958 წელი). ამასთანავე, საქართველოში მრავალ ეკლესიას და დასახლებულ პუნქტს ხომ სახელი სიონი ჰქვია. და საერთოდ, კავკასიონი ხომ აერთიანებს თავის თავში ამ ორ წმინდა სიონს. შედეგად, შემდეგი საიდუმლოებაა:

სამლოცველო ცენტრების გადმოტანა თანდათანობით ჩანს მასშიც, რომ როგორც კ. კეკელიძე გადმოგვცემს, მცხეთის სიონს იგივე ტოპონიმები ეკრა გარშემო, როგორც იერუშალაიმისას: ბეთლემი, თაბორი-ბეთანია, გეთსიმანიის ბაღი, გოლგოთა და, საერთოდ, მცხეთა და მოგვიანებით გელათიც ხომ ახალ იერუშალაიმად გამოცხადდა. ამასთან, ვიცით, ჩვენთანაც, როგორც ისრაელში, თორმეტი კუთხე ანუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა იყო და იქ ტოლ-სწორად ჩასახლდნენ ისრაელის 12 შტოს წარმომადგენელნი. ამიტომაც ყველგან შეიქმნა სულიერი სამლოცველო ცენტრები და უფრო განმტკიცდა იბერიის ტაძარ-ქვეყნად ჩამოყალიბება.

შედეგად, მთელი მსოფლიოს ებრაელობა, ჩვენგან გადასული ამ ქვეყნებში, საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ელჩობისათვის მათი უდიდესი დღესასწაულების დროს მცხეთასა და თბილისში იმავენაირად მოედინებოდნენ რჯულით გათვალისწინებული რიტუალების აღსრულებისათვის, როგორც ადრე იერუშალაიმში.

აი, რატომაა იბერიის სულიერი წინამძღოლი, წარმმართველი მისი, იგივე სულიერი სამყაროს მეფე, რუსთველით როსტევანი, როგორც პირველი ქოენი, იგივე ქურუმი (რაზეც კიდევ ვიტყვით). და ეს ყოველივე ოცდამერვე საიდუმლოებაა „ქებათა ქებისა".

ამდენად, ის, რაც იერუშალაიმს უნდა შეესრულებინა, ფუნქცია სამყაროს დანარჩენ კერპთაყვანისმცემელთა მოქცევისათვის, ახლა უკვე მცხეთა-თბილისი ასრულებდნენ. ეს ხდებოდა მიტომაც, რომ ისრაელნი, გადასულნი სხვადასხვა ქვეყნებში ვაჭრობისას, რჩებოდნენ იქ საცხოვრებლად, თუნდაც, ჩატანილი საქონლის რეალიზაციისათვის, რადგან მხოლოდ მათ ხელეწიფებოდათ უფლით შთენილი კეთილსინდისიერი აღებ-მიცემა. ესეც უფლით გეგმაზომიერად იყო გათვლილი, რადგან ასე გავრცელდა ამ ქვეყნებში რჯულის კანონებიც. თუმცა ამ სიკეთისათვის ბევრი იყო მათი დარბევებიც.

ამ დარბევების საფუძველზე მოხდა, რომ XV საუკუნის შემდეგ ებრაელნი აიყარნენ ესპანეთიდან, მოგვიანებით გერმანიიდან და ასე ჩამოყალიბდა სეფარადულ- აშკენაზური ჯამაათები. ისინი ტრადიციულად ჯერ იბერიას აშურებდნენ და შემდეგ კელავ მათი ფუნქციათა აღსრულებისათვის გადადიოდნენ ევროპისა თუ აზიის ქვეყნებში. აქედანაა, რომ საქართველოში ქართველ ებრაელთა სხვადასხვა ორივე მიმართულების რჯულის აღსრულების ტრადიცია აქვთ განვითარებული.

ამგვარად, უფლის წარმოუდგენელი ძალისხმევით, მისი მრწამსიდან და ორი ანბანიდან გამომდინარე, რუდუნებით ჩამოყალიბდა დასაბამიდან ორი ძმის, შემდეგ ორი ერის წმინდა – ისრაელთა და დედა – იბერიელთა-კავკასიელთა სულიერი ერთობა. და ეს იმ დონემდეა, რომ ისინი უყოყმანოდ სწირავდნენ თავს უფლისა და ერთმანეთისათვის.

ეს ის ნეტარი უდიდესი სულიერი შერწყმაა უფლის მიერ შედუღაბებული, რაც მარადიული კივილია, მოთხოვნილებაა ორივე ერისა. ამადაც წითელ ზოლად გასდევს სამყაროს ისტორიას სიკეთის, იბერიული მოდგმის ერთობა-გამარჯვებანი ბოროტთა მოქცევისათვის. როგორ მოხდება ეს, დღეს საბოლოო გამარჯვებით, რა არის ამის უმთავრესი საფუძველი, ამას თანდათანობით განვმარტავთ. პარალელურად, ყველა ამ საიდუმლოებას, და ზოგიერთისაც, რაც სამივე წიგნშია აღწერილი, კიდევ უფრო გასაგებად ქვემოთ განვმარტავთ.

ასე ჩამოყალიბდა აქ მარადიული, უფლისათვის, მოყვასისათვის თავდადებულთა სიყვარულის გენეტიკური კოდი გაცემა-გაყოფისა, ფენომენალური სტუმართმოყვარეობისა. და საქართველო იქცა სიკეთის ციტადელად, სამოთხე ქვეყნად.

ხოლო ოცდამეცხრე საიდუმლოება „ქებათა ქებისა", რომელიც ოცდარვისვე საფუძველია, გამოყოფილია, განყენებულია.

მისი არსია, რომ სამყაროს შექმნამდე არაფერი არ არსებობდა. ხოლო უფლით შექმნილი იყო უდიდესი ცოდნის შუქი მისი ენის სიბრძნის, ასო-ნიშნების არსიდან გამომდინარე. იგი ამ ენით, შუქით, სიბრძნით, როგორც ითქვა, 974 თაობის სიცოცხლის განმავლობაში ქმნიდა თორას – წიგნს, იგივე მის სახელს უსასრულო, მარადიული სწავლისათვის, რათა ამ სახელის – თორის არსიდან გამომდინარე, გაემრავლებინა ყოვლად სიკეთით, სიყვარულით მოქმედი, მისი ერთგული, შთამომავლობა 600.000

ღვთიური სულიდან — ნეშამებიდან, რომლებიც არ შესცოდავდნენ, მიუხედავად მატერიალურ სხეულში ჩასახვისა.

შედეგად 6 დღის ქმნადობისას ვიცით, შექმნა სულიერი და მატერიალური ცები და მათში მცხოვრებნი, რომლებშიც მისი სულიერი შუქი — სულია შთენილი, მათთვის დარქმეული სახელებიდან გამომდინარე, და არაფერი არ არსებობს მისი ნების გარეშე.

ითქვა, ადამის შეცოდების მერე, სამყაროში ნაპერწკლების სახით გაიფანტნენ მასში შთენილი წმინდა ნეშამები. ამავე დროს, აღვნიშნეთ წინა საიდუმლოებებში, უფალმა გოშენში რეზერვაციაში მონობაში, დედა ერის ხელშეწყობით გაამრავლა წმინდა ერი, რომელთაგანაც 600.000-მა მონობაში თორის სწავლის გამო დაიმსახურეს, რომ ეს ნეშამები ჩასახულიყვნენ მათში.

შედეგად, უფლით, ყველანაირი ქმნადობა ათობითაა და, 6 დღის ქმნადობის შემდეგ, უფალმა 26-ე თაობის სულიერ ლიდერს, მოშეს მისცა თორა: 974+26=1000. მისი მინი-ჰემატრია კი 10-ია, და მთელი ქმნადობის არსი მასშია, რომ ეს წმინდა ნეშამები დაიბადებიან მეორეგზის და მათი წინამძღოლობით 6000 შემდეგ დასრულდება ადამიანის ქმნადობა. შეიქმნება სრულიად გასულიერებული სამყარო, რასაც თანდათანობით განვმარტავთ. ისევე, როგორც განვმარტავთ სამყაროს შექმნის არსს.

ამავე დროს, ერთი უნდა დავიმახსოვროთ — რა იყო სამყაროს შექმნამდე, არავინ არ ვიცით; და მეორეც — ვერავინ ვერ მივა უფლის სიბრძნის, სიყვარულის და, აქედან გამომდინარე, გაცემის დონემდე, და ვერც ვერავინ ვერასოდეს ვერ შეცვლის მის წარმოუდგენელ ზრუნვას მის შვილთათვის, მთლიანი სამყაროსათვის, რომელიც მისი სიბრძნით შეიქმნა, თორიდან გამომდინარე, და „ქებათა ქება“, მისი ყველა საიდუმლოება შექმნილია მისთვის, რომ ჩვენ მივისწრაფოდეთ უფალთან მიახლოებული თვისებების ჩამოყალიბებისაკენ. ასე შევიქნებით მეფის შვილებად — მეფეებად დედამიწაზე რათა შეევრწყათ უფალს, რომელიც არის ერთადერთი მეფე სამყაროსი.

მისი დონის სიდიადე, სიძლიერე და აშ არ არსებობს, მიუღწეველია მისგან გამომდინარე შუქი სიბრძნისა, სიყვარულისა, რომელიც წვავს ანადგურებს ყოველგვარ უზნეობას, ჭუჭყს და ვერც ერთი ადამიანი ვერ ეუძლებოდ მის ელვარებას, ეს იმ დონემდეა, რომ თვით მოშეს უთხრა უარი, შეეხედა მისთვის, ამავე დროს, მიილტვის შემოქმედი ყოველი ადამიანი, მისი სულით შექმნილი, სიწმინდით მას დაემსგავსოს.

ამავე დროს, ითქვა, შეცოდების მერე, სიამაყიდან გამომდინარე, შემოვიდა ადამში და ყველა ჩვენგანში სხვა მატერიალური თვისებანი: შური, ავსიტყვაობა, სიძულვილი, უზნეობა, შიში და სხვა. ამ ყოველივემ შეზღუდა ჩვენი პოტენცია.

ამდენად, როგორც ვხედავთ, შედარებაც არ შეიძლება ჩვენი თვისებების მის თვისებებთან. დასტურად, ცნობილია, რაც მეტს გავცემთ შვილებზე, ახლობლებზე, ვისზეც ამაგი გვაქვს, მით უფრო გვიყვარდება ისინი, ანუ გვეზრდება სიყვარული. სიყვარულთან ერთად გვეზრდება სხვა დადებითი თვისებებიც: ქველმოქმედება, მიმტევებლობა, თავმდაბლობა, სიდიადე, დიდმშვენიერება, ძლიერებაც და სხვ.

აქედან ჩანს ერთი კანონზომიერება: სიბრძნე, რითაც შეიქმნა სამყარო, საფუძველია გაცემის, ხოლო გაცემა საფუძველია სიყვარულის, რაც თავისთავად საფუძველია (შურის, სხვა უარყოფითი თვისებების გაქრობის) ყველა სხვა დადებითი თვისებების გაძლიერებისა. იმის ადეკვატურად, რამდენადაც იზრდება გაცემაც და სიყვარულიც.

ხოლო რადგან უსასრულოა, მუდმივია სამყაროში მცენარეთა, ცხოველთა გამრავლება ჩვენი, ადამიანთა კეთილდღეობისათვის და თვით ადამიანთა გამრავლება, ასევე უსასრულოა უფლისმიერი გაცემა, სიყვარული და აქედან გამომდინარე ყველა მისი დადებითი თვისებანი. ისმება კითხვა: როგორ აღვიქვათ ეს უსასრულო თვისებანი, თუნდაც სიყვარული?

მაგალითად, ჩვენ ძალიან, ძალიან გვიყვარს მშობლები, მაგრამ ამ სიყვარულს აქვს სასრული, შეჩერება გარკვეულ წერტილზე, რადგან ჩვენ უნდა გავუნაწილოთ ჩვენი სიყვარული და თვისებანი ჩვენ შვილებს, შვილიშვილებს, რამეთუ მშობლები წარმავალია, ხოლო უფლის სიყვარულს წერტილი არა აქვს, ის უსასრულოა.

და რომ შევიცნოთ ამ უსასრულო სიყვარულის და სხვა თვისებათა არსი, ამისათვის შევადაროთ მისი სიყვარული სამყაროში ყველაზე დიდ სიყვარულთან, ჩვენ შემთხვევაში — მშობლებისა მათ შვილებთან მიმართებაში. ეს მშობელი, რომელიც ასე წარმოუდგენლად მზრუნველია ჩვენთვის, ხომ მისი შექმნილია, მისი სიყვარულია, შთენილი მასში ღვთიური სულით, რათა მუდმივად იყოს მასთან კავშირში, რომ მზრუნველობა, სითბო არ მოაკლონ შვილებს, რომლებსაც ჯერ სწორედ მშობელთა სიყვარული ენერგებათ. მაგრამ ძალიან შორსაა მშობლის სიყვარული ჩვენდამი უფლის

უფლის სიყვარულისგან. და როცა ეშლებათ მშობლებს, უფალი უბიძგებს სწორი ქმედებისაკენ. ისინიც ასწორებენ შეცდომებს.

ამგვარად, მშობლებიც და შვილებიც ვართ უფლის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. რომ გამოვსწორდეთ, აღვნიშნეთ (იხ. მე-3 ნაშრომი), გარდა მისი მუდმივი გონებრივი კავშირისა, დაბადებიდან მომაგრებულია მის მიერ ორი ანგელოზი, რომელნიც გვწვრთნიან და გვიცავენ სხვადასხვა ხიფათისაგან.

ვერცერთი მშობელი ვერ იქნება მუდმივად ბავშვთან, უფალი კი მუდმივადაა ყოველ ჩვენგანთან და განაპირობებს ჩვენს უხიფათო მუდმივქმედებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო მშობელთა ყურადღებით ვერცერთი ბავშვი ვერ გაიზრდება ჩვენ უფლისგან განსხვავებით, ზარმაცები და ეგოისტები ვართ, რამეთუ ჩვენს თავზეც გვიწევს ზრუნვა, უფალი კი დღენიადაგ მხოლოდ ჩვენზე ზრუნავს.

ამგვარად, მისი ეს წარმოუდგენელი უდიდესი სიყვარული რომ შევიცნოთ, არცერთ ჩვენგანში არ არის ამის პოტენციალი, რამეთუ როცა გვიმრავლდება შვილები, გვიმცირდება მზრუნველობაც ყველა მათგანისადმი; ხოლო უფლის მზრუნველობა, ჩვენი უსასრულო გამრავლების შემთხვევაშიც არ მცირდება, რადგანაც უსასრულოა მისი სიყვარული, სხვა თვისებანი.

ამდენად, არ გაგვაჩნია დონე, რომ გავაცნობიეროთ მისი წარმოუდგენელი სიყვარული. აქედანაა ჩვენი გულცივობაც და მუდმივად ყოველ ჩვენგანს მშობლები შვილებიც უფრო გვიყვარს, ვიდრე უფალი, რომელმაც შეგვიქმნა ეს მშობლები. ჩადო მათში თავისი სიყვარული, ასევე მოგვცა ანბანი, განგვსწავლის, მუდმივად ჩვენს გვერდითაა, გვაქებს, გვიგზავნის უამრავ წარმატებებს სულიერი კმაყოფილებისათვის და სულიერად გაზრდისათვის.

ჩვენ მხოლოდ მაშინ გვახსენდება უფლის სიყვარული, მზრუნველობა, როცა ვიხსენებთ ბედნიერ წუთებს ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში, ძირითადად ბავშვობის წლებში. გავიხსენოთ აქედან გამომდინარე გამოთქმა: „სიხარულით მეცხრე ცაზეაო“, ანუ უფლის სამყოფელზე უფალთანაა შერწყმული ხოლო მოწიფულობის ასაკში რამდენჯერ ყოფილა, მივდიოდით იმ გზით, რომ უნდა გადავჩეხილიყავით და ძალიან ვბრაზდებოდით, როცა თითქოს რაიმე უსიამოვნებით ანგელოზთა მეოხებით გვაჩერებდა მერე კი ვხვდებოდით, რა სწორი ყოფილა მისი ქმედებანი. ანუ მისით ყველა ჩვენგანის გზა გათვლილია, რომ ჭუჭყში, სიბინძურეში არ აღმოვჩნდეთ და ჩვენში მუდამ იყოს მისი შუქის ნათელი, რაც სიცოცხლეა. ეს კი მხოლოდ თორის სწავლითაა.

ეს ერთადერთი გზაა შეუდარებელი სიამოვნებისა მარადიულად შუქის მატებით, ჩვენი გაბრძენებით, სწორი ქმედებისა და მხოლოდ ამ შემთხვევაში ყოველი მომდევნო დღე ნეტარია, სჯობს წინარეს. შედეგად, ნელ-ნელა ქრება ხორციელი, ცხოველური, უზნეო მისწრაფებები. ამდენად შრომა ჩვენი, უფლით განსაზღვრულია, რომ დავეუფლოთ თორის სიბრძნეს.

ამისათვის მუდმივად გგრძნობდით მის ძალისხმევას, რომ სიბინძურეში არ ვყოფილიყავით და მხოლოდ ზრდასრულ ასაკში ვხვდებოდით, რომ ეს ყველაფერი უფლიდან იყო. ხოლო როცა მაინც გვეშლებოდა, ანუ ძლიერდებოდა სატანა, აქედანაა ის მოგონებანიც ცოდვათა, რომლებიც მტკივნეულად გვახსენდება, გულს გვწყვეტს და ისიც ვიცით, რომ ყოველი მათგანისთვის მოგვეკითხება.

და მაშინ ვხვდებით ყველა ჩვენგანი, რამდენი დავკარგეთ, როცა ამას ვერ ვაცნობიერებდით და ვამეფებდით ჩვენი ცხოველური ვნებების დასაკმაყოფილებ-ლად სატანას, რომელსაც სიკვდილამდე მივყავდით და ახლაც მივყავართ.

ამდენად, მიახლოებით, უფლის სიყვარული უდრის ყოველი ჩვენგანის მშობლების სიყვარულის ჯამი შვილებთან მიმართებაში, დავუმატოთ ამას შვილების სიყვარული მშობელთა მიმართ, აგრეთვე ცოლ-ქმრული სიყვარული და ჩვენი სიყვარული მეგობრების, ნათესავების მიმართ, დავუმატოთ აგრეთვე სიყვარული უფლისა მცენარეთა და ცხოველთა მიმართ, ჩვენთვის რომ შექმნა, რომელთა გამრავლება ადამიანებთან ერთად უსასრულოა. დავუმატოთ აგრეთვე ცხოველთა სიყვარული შემქმნელის მიმართ და ყველა ამ სიყვარულთა ჯამი, განაწილებული ყველაზე, აგრეთვე კიდევ სხვა სიყვარულები, რომლებიც გამოგვრჩა, არის წარმოუდგენელი უდიდესი სიყვარული, რომელიც უფალშია, რამეთუ იგი ყველა მათზე მუდმივად გასცემს, სხვაგვარად არაფერი არ იარსებებს. ასე ვიღებთ უსასრულო სიყვარულს და ეს არის სიყვარული უფლისა, რამეთუ იგი დღენიადაგ ზრუნავს მათზე, ასევე ყოველ ჩვენგანზე.

და ეს სიყვარული იმდენად წარმოუდგენლად დიდია, რომ ჩვენი უზნეობით დაბინძურებული გონით ვერ აღვიქვამთ მას, რამეთუ არაა პოტენცია ჩვენში მისი უსასრულო სიყვარულის გაგება-შეგრძნებისა.

ჩვენ შეიძლება შევიცნოთ ჩვენი დამბადებელი მშობლის სიყვარული, რომელიც დაახლოებით ტოლია ჩვენი სიყვარულისა შვილების მიმართ, ამ სიყვარულიდან გამომდინარეა შესაძლებელი თავგანწირვაც ორივე შემთხვევაში, ხოლო ეს თავგანწირვა ხდება მხოლოდ ღვთიური სულიდან გამომდინარე, რომელიც ერთგულია უფლისა, აქვს სიყვარული და კრძალვა მისი.

ხოლო მშობლების მემკვიდრეობიდანაა ჩვენი გულის თვისებანი, რომელსაც, როგორც რუსთველი გადმოგვცემს: „გული კრულია კაცისა უტყვი და დაუნდობელი.“ ამდენად, საშუალო ჩვენი მასშია, რომ ღვთიური სულით ეს უარყოფითი თვისებანი გამოვასწოროთ. მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, რომ მივხვდეთ მაინც, რა წარმოუდგენლად უსასრულოა უფლის სიყვარული ჩვენდამი, ითქვა, ამისთვისაა უფლით დაწესებული 6.000 წელი ჩვენი ღვთიური სულის გაბრძენებისათვის, რათა ყოველი ტანში ჩასახვისას გამოვასწოროთ მისით უარყოფითი თვისებები.

ამდენად, ამას ყოველივეს თორის მუდმივი სწავლა და დრო სჭირდება.

ამიტომაც უფლის უსასრულო სიყვარულის, ისიც ნაწილობრივ შემეცნების პოტენცია მხოლოდ უდიდეს წმინდანებს აქვთ. ისინი ამ სიყვარულს ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ, ხედავენ, როგორ ყოველწამიერად ფიქრობს უფალი მათზე, წვრთნის, სჯის კიდევაც იმისათვის მათ, რომ გაბრძენდნენ, გამოასწორონ თვისებანი და განიწმინდონ.

ისინი კი ხვდებიან, რომ ეს დასჯანი მათი გამოსწორებისათვისაა და ამაშია უდიდესი სიხარული მათი, რადგან ხვდებიან, რომ წუხს უფალი მათ მრუდე საქციელებზე. ამიტომაც მათ ეძლევათ ნიჭი უფლით, რომ მიხვდნენ, სად შეეშალათ, რა უნდა გამოასწორონ და განა წამლებში, ექიმებში ეძებენ გამოჯანმრთელების წყაროს, არამედ შეცდომათა გამოსწორებაში.

ინანიებენ გულმხურვალედ, ცრემლებითა და ლოცვით, რის შედეგად უმალ იკურნებიან.

ასე ყველა მათი სურვილი გაბრძენება-განწმენდისა უფლით აღსრულებადია, შემოდის მათში ნეტარების ჰარმონიული შუქი უფლისა, რითაც ყველაფერში გამარჯვებულნი არიან და ეზრდებათ მუდმივად სიყვარული, ასევე ადეკვატურად — შიშიც, მოკრძალებაც, რომ შეცდომები აღარ დაუშვან.

აქედანაა, რომ თქვა შოთამ შიში შეიქმს სიყვარულსაო, ამდენად, მათი სიყვარული უფლისადმი უკვე სცილდება მშობლის, შვილების სიყვარულის გარკვეულ ზღვარს. ეს საიდან იყო ის ჩვენთვის დღემდე ძნელად ასახსნელი ფაქტი, რომ აბრამი უყოყმანოდ სწირავდა შვილს უფლის წარმოუდგენელი სიყვარულის გამო, ხოლო ისაკში იმხელა სიყვარული იყო უფლისადმი, რომ კრავივით მიუშვირა მამას კისერი, თანაც, სთხოვა, მაგრად დაება, რომ არ გაენძრეულიყო, რათა ეგრძნობინებინა უფლისათვის, რომ მთელი თავისი შეგნებით სწირავდა თავს.

ეს საიდან იყო ის ფაქტიც, რომ ათმა უდიდეს წმინდანმა თავიანთი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით თავიანთ თავზე აიღეს ცოდვანი, ათი ძმისა იოსების გაყიდვის გამო, რაც განზოგადდა თითქმის მთელ ერზე, ანუ ათ შტოზე, რამეთუ მათ არ მოინანიეს და არ სთხოვეს პატიება იოსებს. ეს ნაკარნახევი იყო ზეციდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამის გამო მთელი ერი დაისჯებოდა, თორემ მათ ჰქონდათ უდიდესი პოტენცია, რომ არ მიეღოთ ეს დასჯა თვით რომისგანაც კი. პირიქით, მათ ქეიფიც კი მოაწყვეს, რომ მათ თაობაში დაიბადა მათნაირი ათი პიროვნება, რომელთაც ერგოთ ესოდენ დიდი ჰატივი ასეთი უდიდესი მადლის შესრულებისა. რომაელებმა კი ისინი წარმოუდგენელი წამებით დასაჯეს, ერთ-ერთ მათგანს სკალპიც კი ახადეს.

ხოლო როდესაც მეორეს, რაბი აკივას რკინის სავარცხლით უვარცხნიდნენ სხეულს და ნიაღვრად სდიოდა სისხლი, მან დაიწყო უფლის სადიდებელი ლოცვა: „ისმინე ისრაელ, ადო-ნაი, ღმ-ერთია ჩვენი, ადონაი არის ერთი! კურთხეულია მისი მეფობის დიადი სახელი სამარადჟამოდ. გიყვარდეს ადონაი, შენი ღმერთი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალით“. და ეს ლოცვა, ვიცით, გრძელდება კიდევ, რომლის არსია, რომ ის არის მხოლოდ ერთადერთი, რომელიც დღენიადაგ დაუცხრომლად და მუდმივი გულისტკივილით ყოველწამიერად ზრუნავს ყოველ ჩვენგანზე, რომ მისი შვილები უხიფათოდ ღირსეულად განსწავლულნი გავიზარდოთ.

მან შეწყვიტა ლოცვა ბოლომდე, არ მივიდა დასასრულამდე და როცა ამ სცენის მოწმე გაოგნებულმა რაბინებმა უთხრეს მას, ბარემ დაემთავრებინა ლოცვა, რამეთუ

იცოდნენ. ამ ლოცვას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ცოცხალი დარჩებოდა. მიუგო რაბი აკივამ მათ: იმდენად დიდია უსასრულოა უფლის სიყვარული, მზრუნველობა ჩვენდამი, რომ ვეძებდი გზებს, როგორ გამომეხატა ჩემი წარმოუდგენელი სიყვარული და მადლიერება მისდამი, ახლა უდიდესი მადლიერი გარ მისი, რომ მომეცა შესაძლებლობა, მთელი ჩემი სხეულის შეწირვით ამ ჯალათების წინაშეც მომემადლებინა სახელი მისი.

ამდენად, ამ მაგალითებიდან ჩანს, რამდენად დიდი, უსასრულო სიყვარული და მზრუნველობაა კურთხეულია მისი სახელი, ყოველი ჩვენგანისადმი, და რამდენს გკარგავთ ჩვენ, რომ ვერ ვაღწევთ მისი სიყვარულის სასწაული ნეტარების შუქის გაზრდას ჩვენს სხეულში.

რამეთუ რაბი აკივა იმდენად იყო ჰარმონიაში ამ სასწაული ნეტარების შუქით, ისეთი ნეტარებით წარმოთქვამდა უფლის სადიდებელ ლოცვას, რომ ის აბსოლუტურად სულ სხვა ჰარმონიის, უფალთან შერწყმის განზომილებაში იყო გადასული. და რომაელთა მიერ მიყენებული თითქოს ჯოჯოხეთური ტანჯვა ნეტარება იყო მისთვის. აქედან გამომდინარე, მან მიაღწია დონეს, ისეთი წარმოუდგენელი სულიერი აღმაფრენისა, რომ სრულიად გაასულიერა მთელი სხეული, და ასე ორივე, სულიც და სხეულიც შეერწყა უფალს.

ხოლო სიკვდილი მისი იყო წარმოუდგენელ სიხარულში გადაზრდილი, რადგან ასე მიაღწია იმ მარადისობას, რაც მკვდრეთით აღდგომისას მოხდება, როცა ადამიანთა სხეული სულიერდება უფლის შუქით, რომელიც სრულად ჩამოვა დედამიწაზე და უზენაესი ვერ გაუძლებენ მას. ასე ჰპოვა რაბი აკივამ მარადიული სიცოცხლე სიკვდილში. და ასეთი სიკვდილი რომ ტრადიციულია ქართული გენისათვის, იმიტომაც თქვა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ვაჟამ: „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ხარობს შენითა!“

და რომ ეს ყველაფერი შემთხვევით არ იყო, როცა თაობის უდიდესი მოძღვარი, რაბი ელიეზერი უხსნის მხოლოდ მას, რაბი აკივას 216 საიდუმლოებას „ქებათა ქებისა“. მაშინ, ვიცით, ჩამოვიდა უდიდესი შუქი უფლისა – ცოდნა, რითაც შეიცნო რაბი აკივამ უფლის სიდიადე, მისი წარმოუდგენელი მზრუნველობა ყველასადმი. და ნიაღვარად მოსდიოდა ცრემლები, რის შემდეგაც წარმოთქვა: „ავადა ვარ, უფალო ღმერთო, შენი სიყვარულით!“ იმაზეა ამბობს რუსთველი სიტყვებით:

„დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწყა მე სამარი“.

აქ პირველ რიგში მიჯნურებში უფალი მისი ორი სულიერი ქალიშვილი – შეხინაა ნაგულისხმევი, და იგიც დაუძლურებულია, ავადაა მათი სიყვარულით, როგორც მიჯნურები ორი შეხინისა – ტარიელი და ავთანდილი. ამავე დროს იცის მან, რომ მის ეპოქაში ვერ გამოვლინდება მესია ტარიელი, მაგრამ მან შეასრულა თავისი უდიდესი მისია, შექმნა რა ნაწარმოები, რითაც იხსნება საიდუმლოებანი თორის, რომელიც საწინდარია კაცობრიობის განათლების და სულიერად განკურნებისა. ხოლო თავის ადგილს იგი ხედავს იმ სიკვდილში, რაც უფალთან მარადიული ნეტარებით შერწყმის საწინდარია, ამავე დროს, იგი ფლობს უდიდეს სიბრძნეს და მისთვის შეცნობილია უფლის უდიდესი სიბრძნე ქმნადობისა, მისი მზრუნველობა, რაზეც ვილაპარაკეთ და რაც ასახულია შემდეგ სტროფში:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა გეყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოველი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა“.

ანუ ყველაფერი ჩვენთვის, მის შვილთათვის შექმნა და ადამიანები, როგორც ითქვა, მისკენ უნდა მიისწრაფოდნენ, მას უნდა დაემსგავსონ. ხელ-მწიფობა, მეფობა ჩვენი მხოლოდ მის თვისებათა მიმსგავსებით იქნება. აქ კანონიკურადაა ნათქვამი, ხელი რომ გვქონდეს „მწიფე“. მარადიულად ვიცოცხლოთ, გავცეთ, უნდა მივისწრაფოდეთ მას დავემსგავსოთ.

და მან, რაბი აკივასგან განსხვავებით, როგორც ითქვა, ბრძანება მიიღო ზეციდან, რომ გადმოეცა ისეთი უკვდავი გენიალური ნაწარმოები თორის საიდუმლოებათა ახსნისა, რითაც ყოველთა იბერთა სულები ნეტარებაში არიან. ხოლო დღეს ამ საიდუმლოებათა არსის ნაწვდომის შემდეგომ, შეიცნობენ იმ სიბრძნეს, რომლის შემდგომი განვითარებაც გზაა მარადიული ნეტარებისკენ, სიცოცხლისკენ.

ასე. ამ პოემის შექმნით მანაც მოამაღლა უფლის სახელი, თვითონ კი გაიკვლია გზა სიკვდილით მარადიული ნეტარი სიცოცხლისაკენ.

ამგვარად, მთელი სამყაროს ქმნადობის არსი მხოლოდ მასშია, რომ ადამიანმა გაასულიეროს თავისი სხეული და შეერწყას უფალს. შედეგად, ასე სულიერდება ყველაფერი დედამიწაზე.

და რუსთველმაც ეს ნაწარმოები იმიტომ შექმნა, რომ ყოველმა მისი ჩაწვდომით შეიცნოს სამოთხისეული ნეტარება. ასე შეევერწყათ მას ერთადერთს, ჩვენი ნეტარების წყაროს — შემოქმედს.

აი არსი, რატომ იბეჭდება ეს ნაშრომი და რატომაა ეს ღვდამეცხრე საიდუმლოება საფუძველი ყველა დანარჩენისა. აი, რა წარმოუდგენელ ნეტარებას კარგავს ყოველი ჩვენგანი, რომ ვერ ჭწვდებით უფლის უსასრულო სიყვარულს, ამის მიზეზი კი თორის სიბრძნის, ამ აუწონელი საგანძურის ვერშეცნობაა.

ამიტომაა, რომ კაცობრიობა თავისი შემქმნელის მიმართ, რომელმაც სიცოცხლე მოგვცა, გულგრილია, და მიისწრაფის იმ ცხოველური უზნეობისაკენ, რაც სიწმინდის მაგიერ მუდმივ ჭუჭყში, საზიზღრობაში და შიშში ამყოფებს.

რის გამოც თუ ჩვენს ცრემლთა ღვრას სასრული აქვს, უფალი უსასრულოდ ღვრის ცრემლებს, დარდობს ყოველ ჩვენგანზე, ჩვენი ფუჭი, მტანჯველი ცხოვრების და სიკვდილიანობის გამო. ასევე, როცა მის მიერ დაწყვილებული ერთი სულის ორი ნახევარი იყრებიან, რადგან ისინი არ ცხოვრობენ თორით. ასე საკუთარ თავში ამეფებენ სატანას, რომელიც მათ დაპირისპირებისკენ, ნაადრევი სიკვდილისკენ მიაქანებს.

ჩვენ კი იმიტომ მოვიყვანეთ ეს ორი წმინდანი, რაბი აკივა და რუსთველი, რომ ისინი ორივენი იყვნენ იბერიელნი — ქართველნი და ორივემ როცა შეიცნო სრულყოფილად „ქებათა ქება“, ამადაც უსასრულოდ გაეზარდათ სიყვარული.

და თუ პირველმა თავი შესწირა უფლის სახელის მომაღლებას, რითაც მიიღო მარადისობა, მეორემ ისეთი გასაოცარი პოეტურობით გააღრმავა, გაალამაზა თორის სიბრძნეთა სიღრმეთა ნეტარებით გადმოცემა, რომელთა შეცნობისას ჩვენ დღეს მესიის ერაში უცილობლად დავავადდებით უფლით სიყვარულით.

შეიცნობთ მარადიულ საიდუმლოებებს თორისა, მხოლოდ მასშია „ორ“ შუქი სიბრძნისა, ცოდნისა, სიყვარულისა, სიკეთისა, განწმენდისა. ასე ნელ-ნელა მატერიალური სხეული სულიერდება და ეს არის ჩვენი მარადისობის არსი, რადგან როგორც უსასრულოა თორით განათლება, ასევე უსასრულოა უფლის სიყვარული ჩვენდამი. ამიტომაცაა, რომ იგი მუდმივად ფიქრობს, დარდობს ყოველ ჩვენგანზე უსასრულოჯერ მეტად, ვიდრე ჩვენი მშობლები.

აი, საიდანაა რუსთველის გმირების — ფრიდონის, ავთანდილისა და ტარიელის სისხლის ცრემლებამდე მისული სიყვარული უფლისადმი, მისი შეხინისადმი. და, ვიმეორებთ, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომ ჩვენ ვერ ვიგებდით „ეეფხისტყაოსნის“ არსს.

იმდენად უდიდესი და სპეტაკია უფლის სიყვარული ადამიანებისადმი, რომ მას რომ დაემსგავსებოდით, აკრძალული იყო ყოველნაირი სისხლისღვრა, მათ შორის ცხოველებით კვებაც, და რომ უზრუნველყოფილიყავით სურსათით, წარღვნამდელ თაობას ერთი წლის მოსალავი 40 წელი ჰყოფნიდა. მაგრამ ადამიანები არა მარტო იკვებებოდნენ ცხოველებით, სხვა უზნეობებსაც კადრულობდნენ და თვით ცხოელთა დონეზე ბევრად დაბლა ეშვებოდნენ. ამიტომ დაუშვა წმინდა ცხოველებით კვებაც.

ამის მერე, როგორც ითქვა, შექმნა მან წმინდა და დედა ერი, რომ ისინი მაგალითნი ყოფილიყვნენ იმ ადამიანებითვის, რომლებიც ცხოველებზე დაბლა ეშვებოდნენ. ამიტომაც თქვა კიდეც რომ, აღარ მოავლენდა წარღვნას, რადგან უდიდესი კაეშანი იყო მისთვის თავის შვილთა ასეთი დასჯა. ამავე დროს, როგორც ითქვა, ადამიანთა გამოსწორებისათვის უფლის მიერ შედგენილია მორალური კოდექსი, რომლითაც სათანადო დასჯანი ავტომატურად მოგვევლინებიან ამა თუ იმ შეცდომის მერე, თუ არ მოვინანიეთ და არ გამოვსწორდით.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, არც ახლა ვიცავთ თორას და დღეს უკვე ადამიანებმა უზნეობის წარღვნამდელ დონეს გადააჭარბეს.

და რომ არ იყოს მათი უცილობელი სიკვდილიანობა, მოეგონ გონს და უნდა შეიგნონ ერთი კანონზომიერება — უფალმა ადამიანი და ყველა არსება ისე შექმნა, რომ თუ არ არიან უფალთან შერწყმულნი, ისინი არარაობანი არიან, ადამიანი განსაკუთრებით გრძნობს, რა უსუსურია, როცა მიიღტვის აღმერთოს სატანა, რომელსაც სიკვდილამდე მიჰყავს, რამეთუ ის აბსურდია და მალე მას გააქრობს უფალი.

აქედან გამომდინარე, სხვა გზა არ არის დღეს, გარდა უფალთან შერწყმისა და უკვე იწურება უფლის მოთმინების ფიალა. გავიხსენოთ ფსალმუნი 2.10: „ახლა კი, გონს მოდით, მეფენო! განისწავლენით მსაჯულნო ქვეყნისა!“. 2.11: „ემსახურეთ უფალს შიშით და შეჰღაღადეთ თრთოლვით!“. 2.12: „პატივი ეცით ძეს, რომ არ გაინრისხდეს უფალი და არ დაიღუპოთ გზაში, რამეთუ მალე იქნება რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა მინდობილი“. ამიტომ დროა ვისწავლოთ თორა და შევერწყათ მას, ვიდრედეთ ძის – მესიის მოვლინებისათვის. ამიტომაც იწერება ეს ნაშრომი, რომ მისით და წინა სამი ნაშრომის შეცნობით ჩვენ შევძლებთ მარადიული ნეტარებით ცხოვრებას თორის უსასრულო სიბრძნეთა დაუფლებით.

დღეს ქართველთა მოთხოვნილებაა სულიერი ლტოლვა უფლისაკენ, მისი სიწმინდისაკენ. ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ, უფლის სახლის სიმწმინდეთა შეხედვისას ყოველი თავს ხრიდეს, შორიდან ეთაყვანებოდნენ. ქრისტიანები პირჯვარს იწერდნენ. ანდა ისეთი ურთიერთსიყვარული იყოს ადამიანთა შორის, რომ ისინი შეხვედრისას ერთმანეთს კოცნიდნენ. და ესეც მხოლოდ ორ ერს ახასიათებს. სხვა ერებში იმდენადაა დამდაბლებული სულიერი, ძმური სიყვარულისკენ სწრაფვა, რომ ესეთნი „ცისფერები“ პგონიათ. მხოლოდ ჩვენშია ჭეშმარიტი თაყდადებული სიყვარული უფლისა და მოყვასისათვის.

ამდენად, დროა აღვადგინოთ ჩვენი ცხოვრების წესი. ამავე დროს, თუ გვსურს ჭეშმარიტი სიბრძნის დაუფლება, დღეს, მესიის ერაში ჩვენთვის, ქართველთათვის-იბერთათვის აუცილებელია აგრეთვე, აღვადგინოთ ასომთაერული ანბანით სარგებლობა, რომლის წარმოუდგენელ სიბრძნე შეგნებულად იქნა მივიწყებული უფლის მიერ, ბოროტებას რომ არ შეეცნო იგი.

როგორც გადმოგვცემს მემატიანე (ვახუშტი ბაგრატიონი, გურამ შარაძე), ებრაელმა და ქალდეველმა, იგივე ქართველმა ქურუმებმა ასომთავრული ანბანი, რომლის ასოთა მოხაზულობაშიც და მიმდევრობებშიც ჩადებულია უდიდესი სიბრძნე, შეცვალეს ნუსხა-ხუცურით. ამავე დროს, კიდევ ხუთი ანბანი შექმნეს ასომთავრულის ასო-ნიშანთა ალრევა-გადაადგილებით.

ამგვარად, ამ ჩამოთვლილ ძირითად საიდუმლოებათა გარეშე „ქებათა ქების“, თორის, „ვეფხისტყაოსნის“ საიდუმლოებათა ახსნა შეუძლებელია.

ამასთან, ყველამ უნდა შევიგნოთ ერთი კანონი ადამიანთა მარადისობისა:

მისი წარმოუდგენელი მოწყალებიდან გამომდინარე, ჩვენ შეძლება მივაღწიოთ მხოლოდ უფლის ერთადერთ უმთავრეს თვისებას – კანონზომიერებას, უსასრულო მარადისობას. და ამისათვის, როგორც ითქვა, თორის სწავლაა საჭირო. ასე ყველა მის შვილს მივიჩნევთ სულიერ ძმებად და დებად, და როგორც იგი იყვარებს მათ, მიუხედავად მათი უარყოფითი თვისებებისა, ჩვენც სიყვარულით უნდა ვიყოთ განმსჭვალულნი მათდამი, ერთმანეთისადმი.

ვიღვაწოთ ჩვენს დაუძინებელ მტრებზეც, რომ მოეგონ გონს, მოინანიონ და მათაც მიიღონ მარადისობა. ესაა უპირველესი სურვილი უფლისა, რამეთუ ჩვენ ყველანი მისი შვილები ვართ. მხოლოდ ასე შევძლებთ მივუახლოვდეთ უფლის უსასრულო თვისებებს.

და მაინც, ვთქვათ ძირითადი – რატომ იყო ეს საიდუმლოებანი შეფარული

ეს ყოველი საიდუმლოება იმიტომ იყო შეფარული, რომ ისრაელის არსებობა: მოღვაწეობა სამყაროს საკეთილდღეოდ დანარჩენ ხალხთა მოქცევისათვის მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ უფლის ნებით სრულიად საქართველოს მუდმივ არსებობაზე იყო დაფუძნებული.

საქართველოს მათი დევნილობისას უნდა შეესრულებინა იერუშალაიმის ფუნქციები და ისრაელთ აქ თავი უნდა ეგრძნოთ, როგორც სულიერ ლიდერთა, ბატონ-პატრონთ სამყაროსი. ამიტომაც მუდმივად ვუწყობდით ხელს, რომ თორა ესწავლათ, რათა მათი სწავლით ყოფილიყო სამყაროს მუდმივმოქმედება ჩვენში დაგანებული უფლის შეხილით. აი, მიზეზი წარმოუდგენლად დაფარულ „ქებათა ქების“ სიბრძნეთა.

ამიტომაცაა, რომ სამყაროში რვა სიმღერაა ნამღერი, მათ შორის: ადამის, მოშეს ორი, დავიდის ფსალმუნები და ისინი მიიჩნევიან წმინდა სიმღერებად. მხოლოდ მეცხრე სოლომონის „ქებათა ქება“ მიჩნეულია წმიდათაწმიდად.

ამგვარად, ეს ნაშრომი მიტომ ქვეყნდება, რომ სამივე წიგნით ყველა იბერიელი დაინტერესდეს „ვეფხისტყაოსნიდან“ გამომდინარე, ნეტარებით აღიდგინონ საუკუნეობით შედუღაბებულ ტრადიციულ ჭეშმარიტი სულიერი განათლება, დაფუძნებული თორაზე მათი ტრადიციული რელიგიური განვითარებებით. ეს საფუძველი გახდება უნიკალური

სიწმინდის – ჰარმონიის „იბერიულ-ქართულ ცხოვრების წესის“ აღდგენისა, რაც გადაეცემა სამყაროს ქვეყნებს მათ გადასარჩენად მარადიული სიცოცხლისათვის.

წინაალმდეგ შემთხვევაში, ბოროტების მიერ შეთავაზებული დღევანდელი ცხოვრების წესით, უზნეო ქცევებით, სხეულის ცხოველობამდე გაშიშვლებით, გუახლოვდებით წარღვნამდელი თაობის დონეს, რის გამოც აღიგავა სამყარო. ასეთნი ვერ ჭასრულებთ იმ ფუნქციას, რისთვისაც ვართ უფლით აქ მოვლენილნი. შემდეგ კი, როცა ისინი დაბრუნდებიან ზეცაში, წარმოუდგენლად საძრახისად დაბლა ეშვებიან და იტანჯებიან. ზოგი სული კი ჯოჯოხეთსაც ვერ ეღირსება და უდიდეს კაეშანში, ტანჯვაშია, მარტვილობს მაგივრად სულიერი მომაღლებისა.

დღეს განსაკუთრებით საშურია ყოველი სულის – სხეულის მარადიული ნეტარების უფლის სიბრძნის, სიწმინდის შუქში გახვევა მუდმივად ამოუწურავი საგანძურის – თორის სიბრძნეთა დაუფლებით. ესაა ქმნადობის მიზანი უფლისა.

ამდენად, პირველი დღის მაგვარი შუქი ედგა იბერიას, რომელიც საფუძველი იყო იბერთა რენესანსული ცოდნით გასულიერებისა და ამ სულიერებით სამყაროს სულიერად გამგებლობისა (იხ. სამიევე ნაშრომი) თუ როგორ ხდებოდა ეს და როგორ უნდა აღდგეს ყოველივე, ამას თანდათანობით განვმარტავთ.

ამ ყოველივეს ულმერთო რუსეთის ორასათწლოვანი ბატონობის პერიოდში (1801-2011 წწ.) გეგმაზომიერად გვავიწყებდნენ. ჩვენ ამის აღდგენა დაიწყოთ საიდუმლო სწავლების ანბანური ჭეშმარიტების ათი სეფიროთის არსის ახსნით.

1.3. ათი სეფიროთის არსი, რომლითაც მიმდინარეობდა ქმნადობა და წარიმართება სამყარო

ამგვარად, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ უფლის ერთადერთობა და მისი თვისებების წარმოუდგენელი სიწმინდე, მზრუნველობა მის შექმნილებზე, სადაც ყველა დედათა და მამათა სიყვარულის, მზრუნველობის ჯამი ვერ მოვა. ახლა შეეცადოთ განვმარტოთ, მისი წარმოუდგენელი სიდიადიდან გამომდინარე, როგორ წარმართავს იგი სამყაროს.

გავიხსენოთ ელიაუ წინასწარმეტყველის თქმული: სამყაროთა მეუფეო! შენ ხარ ერთიანი, ყოვლისშემძლე არსება... უსენაესი უზენაესთა, ფრიად მიღმური და მეტად ფარული ყველა ფარულთა შორის, რამეთუ არ არსებობს (გრძნობად სამყაროში) ისეთი გონი, რომელსაც ძალუძს წვდომა შენი ყოფიერებისა. შენ ხარ გამომწიაღებელი ათი ზემოქმედი სულიერი არსისა, რომელნიც წოდებულნი არიან ათ სეფიროთად. მათ მიერ მდინარეობს ფარულ, უხილავ და ხილულ სამყაროთა მართვა და მათგანვე იფარები ადამიანთა ძეთაგან... რამეთუ შენი უსასრულო ძალა ვრცელდება მათში. ისინი მოქმედებენ შენგანვე დადგენილი სამი თვისებით – მართლმსაჯულებით, რომელსაც სდევს ლმობიერება და წყალობა ადამიანთა მიმართ. ათი სეფიროთის ძალის მოქმედების გათიშვა მიჩნეულია ღვთაებრივ შებღალვად, უარყოფად უფლისა, რისთვისაც ეიმსახურებთ სიკვდილს, მაგრამ არა მარტო ლმობიერება მის მიერ ამ შემთხვევაში არის წყალობაც.

ამდენად, ცნობილია, უფალმა ათი ზემოქმედებითი სეფიროთის არსით და წმინდა ენის 22 ასო-ნიშნით, ანუ სულ 32 ბილიკით შექმნა სამყარო. ჩვენ ათი სეფიროთის არსი, რომლებიც მე-2 და მე-3 წიგნებში მრავალმხრივ განვიხილეთ, ახლა შეეცდებით, ერთ მთლიან კონტექსტში ჩამოვაყალიბოთ.

ყოველივე ამისათვის ამჯერად დაეყოთ ისინი ოთხ ნაწილად – სამჯერ სამად და მეათე სეფიროთი მეოთხე ნაწილი იქნება.

ვიცით, პირველი სამი ინტელექტუალური სეფიროთია, რომელიც საფუძველია სამყაროს ადამიანთა შექმნისა. ესაა მთავარი. ითქვა, მთელი სამყარო უფალმა შექმნა თავის შვილთათვის – ადამიანთათვის.

ამავე დროს მშობლები, დაახლოებით 60 წლამდე, არიან შვილებთან და ცდილობენ მათ გაბრძენებას.

ეს მინი ჰემატრიაა 6000-ის ანუ იმ წლებისა, რაც უფლითაა განსაზღვრული, რათა თავის შვილთათვის სამოთხის მშენებლობა მათი სრულყოფილად სიბრძნით, სიწმინდით აღზრდით დაასრულოს.განსხვავება მშობლებისა და უფლის მზრუნველობაში ერთია – ჩვენ ხილულად გავცემთ შვილებზე, ვაყვარებთ მათ თავს და ჩვენც ვიყვარებთ, რამეთუ გაცემა წარმოშობს ორმხრივ სიყვარულს. უფალი კი ამას მეტად დაფარულად აკეთებს და ჩვენ ვერც ვგრძნობთ მის წარმოუდგენელ მზრუნველობას. განვმარტოთ ეს ყოველივე.

კაბალით ცნობილია, სამი მონაწილეობს ბავშვის შესაქმნელად – ყოველადწმინდა, მამა და დედა. მამისგანაა ძვლები, ძარღვები, სახსრები, ფრჩხილები და თავის ტვინი; დედისგანაა კანი, სხეული და თვალის გუგა; ხოლო შემოქმედი აძლევს უმთავრესს – სიცოცხლეს, თავისი სიწმინდის სულის ნაწილს–სულს, სახის გამომეტყველებას, მხედველობას, სმენას, მეტყველებას, აზროვნებას, აზრის ჩაწედომას.

ამდენად, უმთავრესი აზრი, აზროვნება, სიბრძნე ჩვენი, უფლისგანაა. შედეგად, მისი განვითარება შეხინით ხდება და ზოარში ნათქვამია: ადამიანის სული – იგიეე შეხინაა, რამეთუ იგი მასთანაა პრაქტიკულად შერწყმული, როცა ჩვენ სულიერად ვქმედებთ.

ახლა გავიხსენოთ გამოთქმა – სულსაც არ დაინანებსო. შეუძლია ვინმე მშობელს, სული არ დაინანოს თავისი შვილისათვის, ანუ შეიზღუდოს, თავი გაწიროს მისთვის. ასეთნი მხოლოდ იბერიული მოდგმის ხალხი – ისრაელნი, კავკასიელნი არიან უფლის მიერ რუდუნებით შექმნილი გენეტიკით, ისიც ერთეულები.

ხოლო სული, უფლის სახ-ელით წარმოებული, რომელიც ნაწილია მისი სახელისა – თორის, და ამიტომაც პოტენციაცაა, მისწრაფებაა მათში შემდგომ თორის სიბრძნით განვითარებისა, მოედინება ადამიანში. რამეთუ, როგორც ითქვა, „სახ“ წმინდა ენაზე ლაპარაკია“, „ელი“ უფალია. ანუ უფლის სიტყვით, ლაპარაკით ისრაელთა-იბერთა სული, სახელით შექმნილი, შემოდის ადამიანში. ამ სახელებშია ასო-ნიშანთა სტრუქტურიდან, დანიშნულებიდან, თვისებიდან – სიბრძნიდან გამომდინარე ღვთიური სულის არსი, მისი თვისებები – გენეტიკა, დონე განვითარებისა, მიდრეკილებაც გარკვეული ნიჭიერებისაკენ, წინა ცხოვრებაში მიღწეული. ამიტომ, მომავალი ცოლ-ქმრის უფლით დარქმეულ სახელებში, აგრეთვე გვარებში მუდმივადაა რამდენიმე ერთი და იგივე ასო-ნიშანი. შედეგად, მსგავსი ნათებიდან და თვისებიდან გამომდინარე, უფლის გეგმით ისინი, მდედრი და მამრი, პოულობენ ერთმანეთს, რამეთუ მიილტვიან, ასო-ნიშნებში არსებული ცეცხლის იგივეობის არსით.

ამდენად, იბერთა-მეფეთა ღვთიური სული უფლის მიერ დარქმეული სახელით ყალიბდება. სახელებშია, გვარებშია მისიაც ადამიანთა ქმედებისა. ხოლო ყველა ადამიანთა დაბადებისა და ქმედების არსი სრულყოფილად ჩანს უფლის მიერ შექმნილ პირველ ადამიანში, რომელიც მშობელია კაცობრიობისა. რამეთუ, როგორც ავხსენით, ყოველი ადამი-ან-ი ხდება, თუ მოქმედებს „ან“ – უფლის ანბანით და „ი“ ასოს, ანუ თორის 10 მცნების არსით.

ჩვენთანაც ნათლობისას თუნდაც ებრაულ-ქრისტიანულ სახელებს არქმევენ თორიდან გამომდინარე და ეს არის ნამდვილი სახელი. ითქვა, სხვა საერო სახელები – ეს ადამიანთა მონაგონია, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ადამიანთა თვისებებთან. აქედანაა, რომ ესენი მკითხაობენ თავიანთი პოტენცია-მიდრეკილების შესახებ ჰოროსკოპებით. ხოლო თუ ყველა იღვაწებს უფლით დარქმეული სახელის სპეციფიკური პოტენციიდან გამომდინარე, ასე შეერწყმებიან შემოქმედს, იმ დონეზე გასულიერდებიან, რომ ჰოროსკოპებს არ დაექვემდებარებიან. არამედ მათ ზემოთ მოექცევიან და თვითონ იქნებიან განმსაზღვრელნი მათი სრულყოფილი ქმედებისა უფალთან შერწყმისათვის. აღარ იქნება მათი დასჯა სტიქიებით.

ამდენად, ისრაელთა მეფეთა განსაკუთრებული სახელები დარქმეულია უფლით. და თუ ჩვენ გკარგავთ ენას, სახელს, ესე იგი ჩვენ თვითონ ვშლით საკუთარ თავს, ვაუქმებთ ჩვენ არსებობას იმ დასახული გეგმით უფლის მიერ ბოძებული ღირსებით, რითაც, ჩვენი თვისებების გამოსწორებით უნდა შევიტანოთ წვლილი სამყაროს ჰარმონიულად ჩამოყალიბებაში. აი, რატომ ფერხდება მესიის გამოვლინება.

ამ შემთხვევაში არც ზნეობა, ჩასაცმელია ჩვენი მოწესრიგებული. ჩასაცმელი კი, ეს, პირველ რიგში, ის პოტენცია, ენერგია, უფლის შუქია სახელის ასო-ნიშნებით შთენილი, რაც ჩვენი სხეულის ჯერ სიცოცხლეს და მერე სულიერ სრულყოფილებას, ნათებას განაპირობებს. ასე ჩვენთან ყოველთვის არის უფალი კავშირში, ვართ ჰარმონიაში და ნებისმიერთ ვძლევთ, თუნდაც ჩვენზე ძლიერ იყვნენ ფიზიკურად გაწვრთნილნი. (ეს ეხება ჩვენი მოდგმის კავკასიურ ეთნოსებსაც). აქედანაა, რომ ჩვენ მკლავჭიდშიც, რაგბშიც, ჭიდაობაშიც, სადაც ძალის დემონსტრირება ხდება, ყველაზე ძლიერები ვართ. ამას ვერ იტანს ინდოევროპული მოდგმის ხალხი და, გარდა იმისა, რომ მუდმივად ჩვენს წინააღმდეგ საშინლად თავხედურად მსაჯობენ, ისინი ჩვენზე ბევრად ძლიერად მუდმივად ვარჯიშობენ სპორტის ყველა სახეობაში. იგი თორის საპირისპირო პროფესიად ამიტომაც ჩამოყალიბდა. ასე ცდილობენ, დაგვიმტკიცონ თავიანთი სიძლიერე, რაც ფუჭი ქმედებაა, რამეთუ ეს ყოველივე უაზრობაა და აბსურდია უფლის თვალში.

ამდენად, ვკარგავთ ენას, სახელს და ვკარგავთ ენერგიასაც, სულიერ ჩასაცმელსაც — უფლის სასიცოცხლო შუქს — ჭკუას და ზნეობას, ანუ უფლის სულით მეფენი უარვყოფთ მას, ვინც ამად შეგვქმნა და უკვე სატანის მონებად გადავიქცევით. ეს კი მეფეთა სიკვდილია. აი, სადაა ახსნა იმ ფაქტისა, როცა ეგვიპტელთა მეცხრე დასჯისას ჩამოვიდა უფლის სულიერი შუქი, ეგვიპტელნი, რა თქმა უნდა, თავიანთი გაუნათლებლობით, მატერიალური თვალებით ხედვის გამო ამ შუქს ვერ უძლებდნენ, რადგან სახელი მათი არ დარქმეულა უფლის ენიდან გამომდინარე, და ეს ნეტარების, ჰარმონიის შუქი მათთვის სიბნელე იყო, ისინი ისხდნენ ერთ ადგილზე და ვერ გადაადგილდებოდნენ.

ხოლო ზოგმა ებრაელმა, რაკიღა აღარ მეტყველებდნენ უფლის ენით, თვითონ წაშალა თავიანთი სულიერი არსი, მისია. უფლის სახელით, ენით შთენილი. და ის ბევრად უდიდესი შუქი მასში შთენილი, ვიდრე ინდო-ევროპელებშია, როცა შეუერთდა შუქს, რომლითაც ჰარმონიაში უნდა ყოფილიყვნენ, რაკიღა დაკარგეს ენა, სახელი, რომლებითაც უფალი კავშირშია ჩვენთან. ამიტომაც მათ ვეღარ გაუძლეს ამხელა ნათებას და გარდაიცვალნენ. ანუ მათ თვითონ თქვეს უარი იმ ენერგიაზე მათ სულში არსებული სახელით შთენილზე, რაც მათი სიცოცხლის არსია, მისიაა, რითაც უფრო მეტ ნეტარების სიბრძნეს, ენერგიას შეიძენდნენ უფლის შუქის ჩამოსვლისას და იქნებოდნენ წარმოუდგენელ ჰარმონიაში.

ასე თვითონ მოიკედინეს თავისი თავი. აი, რატომ წერია, რომ გარდაიცვალა ებრაელთა ის 4/5, ვინც დაკარგა ენა, სახელი, ჩაცმულობა. ანუ როცა უფლის შუქს, მისით აზროვნებას კარგავ, გონებაც გიჩლუნგდება. აი, ახსნა იმისა, რატომ მოხდა, რომ მხოლოდ მეცხრე დასჯისას ებრალებმა უფრო მეტი ზიანი მიიღეს, ვიდრე ეგვიპტელებმა.

ამდენად, სამყაროს, ადამიანის შექმნა 10 სეფიროთის არსითაა და ამისათვის სამყაროს, აგრეთვე ადამიანის უფლის შვილად, სულიერი შთამომავლობის მეცნედ ჩამოყალიბებისთვის უმთავრესი, სამი ინტელექტუალური სეფიროთია, ესენია: „ხოხმა“, „ბინა“ „დაყათი“. პირველია უფლის სიბრძნე, რომელიც სამყაროს ქმნადობისას შესაქმნელ ობიექტთა სახელებში გაცხადდა. სახელის სიბრძნის არსს ასო-ნიშნების სტრუქტურიდან, ნათებიდან გამომდინარე, შეიცნობს უფლის შეხინა, აბინავებს მეორე სეფიროთის, ბინის არსით, მის გონში. შემდეგ კი იგი აგეირგვინებდა ამ ობიექტის ქმნადობას სახელის არსიდან გამომდინარე.

ხოლო ადამიანის ქმნადობის შემთხვევაში, მის სახელში არსებული პოტენციიდან გამომდინარე, შეხინა, ასევე მეორე სეფიროთის — ბინის — არსით ცდილობს, სულიერად აღზარდოს უფლის მსგავსი მისთვის თავდადებული, მის სიწმინდესთან-სიბრძნესთან მიახლოებული, ანუ მესამე სეფიროდის დაყათის, იგივე ჭკუის არსით მოქმედი სრულყოფილი შთამომავლობა. ასეთი, მათი თვისებების გამოსასწორებელი, მიმართულება შთამომავალთა, მათი ბედი სამყაროს შემდგომი სრულყოფილებისათვის, უფლის მიერ დარქმეულ სახელებშია გაცხადებული.

ამ სახელებშია მოცემული აგრეთვე ქალისა და კაცის — ერთი სულის ორ ნახევართა სულთა და ჭკუა-გონების მსგავსება. ანუ ისინი, ერთი სულის ორი ნახევარნი, შემდგომში უფლისა და მის ანგელოზთა შეწევნით, პოულობენ ერთმანეთს. და, მათი სახელების არსით სულიერი შუქის ცეცხლის ერთმანეთისკენ ლტოლვიდან გამომდინარე, შემდეგ უფლის ნებით იყვარებენ ერთმანეთს და მიილტვიან შეუღლებისკენ.

შედეგად ისინი, მდედრი და მამრი, დარქმეული სახელების არსით მოქმედნი, როგორც უფალშია ალეგორიულად შერწყმული მისი შეხინა, წარმოუდგენლად ერთგული შვილთა, მომავალი თაობის სრულყოფილად აღსაზრდელად. ასევე მსგავსად, სამაგალითოდ ქმედებენ. ზრდიან შვილებს, რათა იღვაწონ სამყაროს სრულყოფილებისათვის.

ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, მამაკაცი ჩაწვდეს უფლის სიბრძნეს — ხოხმას, რომელსაც გაიზიარებს მისი მეორე ნახევარი, რათა მათაც შვან მათნაირადვე წინწასული, გაბრძენებული სრულყოფილი შთამომავლობა. რამეთუ მათი შეუღლება მოხდა მით, რომ მათ მსგავსი თვისებები აქვთ. ასე იოლდება უარყოფითი თვისებების გამოსწორება, რადგან ძნელია საკუთარი თავის შეცნობა. მეუღლე კი იმავე თვისებებს ავლენს, რაც ჩვენ გვახასიათებს იმიტომ, რომ ჩვენც დავფიქრდეთ, შევიცნოთ უფლით ამ თვისების უარყოფითობა და გამოვასწოროთ. მაშინ, უფლით, მეუღლეშიც სწორდება ეს თვისებები და ოჯახშიც ჰარმონია იბუდებს.

ხოლო ასეთი მიხვედრილობა მხოლოდ და მხოლოდ თორით განსწავლულობით ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში არის დაპირისპირება და მუდმივი „ორის ჯახი“. ქალი სულიერად ამისათვისაა შექმნილი უფლის მიერ, რომ მუდამ მიიღტვის ღჯახური სრულყოფილებისკენ. ამიტომ აბინავებს მამაკაცის სიბრძნეს თავის გონში და ქმედებს მისით.

ამაშია არსი იბერების: ისრაელ-კავკასიელთა ქმედებისა პირველი სამი სეფიროთით, რომლებიც თავშია. ამისათვის ხოხმა უფლის, მისი სიბრძნე სრულყოფილად მხოლოდ მამაკაცში შემოდის. აქედანაა, რომ მამაკაცის გონება მზადაა კაბალის შესასწავლად, ხოლო ქალებისათვის კი არცაა მიზანშეწონილი ამისათვის დროის დაკარგვა. მათი მოვალეობაა, მთელი თავიანთი დრო მოახმარონ შთამომავალთა, შვილთა სულიერ აღზრდას. ასე მამაკაცი მეტ-ნაკლებად განთავისუფლებულია ამ მოვალეობისაგან და ეძლევა საშუალება, თავისი მოღვაწეობა გადაიტანოს თორის, სიბრძნის, კაბალის ლაბირინთების დაუფლებისკენ. ქალი კი უსმენს, აბინავებს მამაკაცის სიბრძნეს, თორიდან გამომდინარე. ასე ორივე ქმედებენ მესამე სეფიროდის დაყათის, ანუ ჭკუის არსით, გადასცემენ ამ ჭკუას მათ შთამომავლობას.

ამდენად, მამაკაცი, რომლის თავშიც ღვთიური სულია, და მისით, იგივე უფლის სიბრძნით – ხოხმით ქმედებს, განაპირობებს ამ სულის მეორე ნახევრის მატარებლის, მისი მეუღლის გაბრძენებას და დაყათით, იგივე ჭკუით, მოქმედი სრულყოფილ შთამომავალთა აღზრდას. ქალი მხოლოდ ამით უნდა იყოს დაკავებული, აქედანაა განსაკუთრებული დედური სითბო, უკედავი, უღალატო სიყვარული, რომელსაც გამოხატავენ იბერიელი ქალები შვილების მიმართ. და ჩვენშიც დედა ხომ განსაკუთრებულად სათაყვანებელია. ამიტომაც, როგორც ითქვა, აქ ყველაფერი „დედა“-დან იწყება. დედა – ეს, უფლით, წარმოუდგენელი სიწმინდეა, და ისრაელშიც, ვიცით, ყველაფერ ამას მისი სინონიმი „წმინდა“ ჰქვია.

ეს სახელები უფლით არის ბოძებული, ხოლო სხვა ერები, რაკიღა არ მეტყველებენ უფლის ენებზე, არ სწავლობენ თორას, მათთან უფალი არაა კავშირში და ამიტომაც მათ დარქმეულ სახელებს „მშობლიური“, ანუ მშობლების, ადამიანის მიერ დარქმეული სახელები ჰქვია. აქედანაა, მათ არა აქვთ უფლის შვილთა – მეფეთა თვისებანი: გაცემა, უდიდესი სიყვარული, გამოხატული უფლისა და მოყვასისადმი თავდადებაში და სხვა, არც მათ შთამომავალთა აღზრდისათვის იკლავენ თავს, და ეს იმიტომ, რომ არა უფლის ენაზე მათი მშობლების მიერ შექმნილი ენით მეტყველნი, როგორც ერთი სულის ორი ნახევარი, ძნელად პოულობენ ერთმანეთს, რომც იპოვონ, თავიანთი ენებით ისინი ვერ სწვდებიან თორის – უფლის სიბრძნეს; ამ სიბრძნის გარეშე მამაკაცი ვერ აცნობიერებს ქალში, დედაში და უფლის შეხინაში სათაყვანებელ არსებას, ამიტომაც მათში მუდმივი დაპირისპირებაა, განშორებებია და შორს არიან ღჯახური სრულყოფილებისგან.

თუ რა განსხვავებაა სულიერი და მატერიალური თვალებით ხედვაში, ამას ჩვენ 1.5 თავში განემარტავთ. ახლა კი აღვნიშნავთ: ეს გამოისახება მასში, რომ პირველი სამი სეფიროთი საფუძველია, წარმმართველია შემდეგი შვიდი სეფიროთით სრულყოფილი ქმედებისათვის, რომლებიც უკვე ადამიანის ტანშია შთენილი შემდეგი თანამიმდევრობით: 3+3+1. პირველი სამია: „ხესეთ“, „გვურა“, „თიფერეთ“.

განვმარტოთ ისინი. დედა ენით მეოთხე სეფიროთი, თუ ჩავთვლით წინა სამ ინტელექტუალურს, გულმოწყალება-ქველობა-გაცემაა, რომელიც სხეულის მარჯვენა მკლავია.

ყველანაირი გაცემა კარგია, მაგრამ, უფალს რომ დაევემსგავსოთ თვისებებით, იგი უნდა იყოს მიახლოებით ისეთივე უანგარო, როგორც შემოქმედი ქმედებს. ანუ შეგვქმნა ჩვენ, თორიდან გამომდინარე, თავისი ორი ენის სიბრძნით – შუქით, გვშთაბერა თავისი ნაწილი მოლაპარაკე ღვთიური სული, მარადიულად რომ ვიცხოვროთ. და ამისათვის უნდა გაეცეთ მასავით, რაც მოთხოვნილებაა ღვთიური სულისა.

მაგრამ ეს ყველაფერი შთენილია ჩვენს მატერიალურ ტანში და ცნობილია, გულის მარჯვენა პარკუჭში არის აგრეთვე ცხოველური სული, თავისი ცხოველური მისწრაფებებით. ანუ მისით უმთავრესია ჩვენზე განვითარებით დაბლა მდგომ ცხოველთათვის დამახასიათებელი ზეგავლენა ადამიანთა დადებით თვისებებზე შთენილი ღვთიური სულით. ეს, ძირითადად, სიამაყეში აისახება. აქედანაა ზოგიერთი ქმედება ძირითადად ანგარებით. მაგალითად: ზოგი გაეცემთ იმიტომ, რომ მიმღებმა თქვას, თუნდაც, „კაი ბიჭიაო“; ან დავალებული იყოს ჩვენგან, რომ შემდგომ გამოვიყენოთ. ასე ფაქტიურად შენ გამცემი კი არა, ორჯერ მიმღები ხარ – ჯერ

შექების, მერე მისი გამოყენების მიზნით. ხოლო, ითქვა, უფალი ჩვენზე მუდმივად გასცემს სიბრძნეს, სიცოცხლეს, სურსათს დაფარულად, ანუ ვერც ეჯერეტთ მას.

ითქვა ასევე, თუ მ'მობლების ამაგს ჩვენ ყველა ვხედავთ და გვიყვარდება, უფალი, რომელმაც სიცოცხლე მოგვცა, დღენიადაგ ზრუნავს ჩვენზე. ისე ვიზრდებით, რომ ამას ვერც ვხედავთ. ისიც .ცნობილია, რომ თუ არა უფალი მუდმივ კავშირში ჩვენთან უპირველესად თავისი შეხინის წარმოუდგენელი დედური მზრუნველობით, სითბოთი და შემდეგ ანგელოზებით, რომელნიც არც გვცილდებიან, ვერცერთი ბავშვი ვერ გაიზრდება. მშობელი ყოველთვის არაა მასთან ისე, როგორც უფალი. ჩვენი სიცოცხლის მანძილზეც .იგი ჩვენი აღზრდითაა დაკავებული და თუ რამე მოგვდის, ცუდიც და კარგიც, ეს მისითაა, რომ უარყოფითი თვისებები გამოვასწოროთ.

რაც მეტს გასცემ, ეს ქმედება პირდაპირპროპორციულია სიყვარულის მატებისა. აქედანაა, როგორც ითქვა, უფლის სიყვარული უსასრულო.

მეორე სამეულში მეორე, ანუ სულ მეხუთე სეფიროთია გვურა — სიძლიერე, რომელიც სხეულის მარცხენა მკლავია. აქ სიძლიერე ის კი არაა, ვინმე გალახო ან მოერიო, ასეთი სიძლიერეც შენი სახელისთვისაა და აქაც მიმღები ხდები სახელისა. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, არის მუდმივი დაპირისპირება. აქედანაა, თუნდაც, სპორტში ჭი-დაობა, შე-ჯიბრი... ასეთი სიძლიერე სხეისი დაჩაგერით, ხანდისხან კი შეურაცხყოფითაც, რომ უკვე სხვებს თავი მოაწონო, თორით საშინელი გაუნათლებლობაა — ზნედაცემულობაა.დასტურად, ასე შენ შეურაცხყოფას აყენებ ანუ არტყამ იმას, ვისშიც შენსავით უფლის ღვთიური სულია. ანუ ეს პირდაპირ მიმართულია შემოქმედისკენ.ასე ჩვენ მეტად მკაცრ სასჯელს ვიმსახურებთ.

ის კი, რაკიღა მისი შვილები ვართ, მუდმივად ცდილობს, ჯერ უმნიშვნელო დასჯებით, ავადმყოფობით მიგვახვედროს, რომ ასე არ ვიმოქმედოთ. ასეთი დასჯა გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარეობს და თუ ჩვენ ვერ ვხედებით ამას, და განკურნებას ექიმებთან მისვლაში ვეძებთ, მაშინ უფალიც იღებს ჩვენზე ხელს. და აქედანაა, უფლიდანაა, როგორც უკვე ითქვა, ყოველივე ცუდი, რაც მოსდის ადამიანს. ამიტომაც ამბობს დავიდი (ფსალმუნი 94.12): „ნეტარ არს კაცი, რომელსაც დასჯი, უფალო, და შენ კანონს ასწავლი".

ამდენად, ყველაფერი ცუდი და კარგი უფლისგანაა, რათა ჩვენ მოვეგოთ გონს. სიძლიერე ვლინდება მაშინ, როცა შენ შეიცნობ უფალს და ხვდები, რომ მისი შუქის სიძლიერე, წარმოუდგენელი სიბრძნე შედეგია მისი ყოვლად სრულყოფილებისა თავმდაბლობისა. და შენ მაშინ ხარ ძლიერი, როცა მიისწრაფვი აქეთკენ. ანუ რასაც ის აკეთებს შენს სასიკეთოდ, გასცემს, გაძლევს საშუალებას, შენც ასევე იმოქმედო, გასცე და ასე შეიქნა ძლიერი.

თუ მეოთხე სეფიროთი — გაცემა უანგარო აბრაჰამის თვისებაა, მეხუთე, სიძლიერე — ეს უკვე იცხაკის თვისებაა, რომელმაც ყველაფერი გააბათილა უფლის ნების წინაშე და გამოავლინა ისეთი სიძლიერე, რომ, როგორც ნათქვამია, ბატკანივით მიუშვირა მამას კისერი. ანუ იცხაკმა იცის, რომ რასაც უფალი აკეთებს, რომელიც არის ყოველად სრულყოფილი და სიკეთე, ის ამას შენ სასიკეთოდ აკეთებს. ეს განათლება-ცოდნა არის საფუძველი ყველა ჩვენგანის სიძლიერისა.

როდესაც ებრაელებმა თქვეს, „თორას შევასრულებთ და მოვისმენთ", ის იყო უკვე სიძლიერე ერისა, რამეთუ ისინი დაუპირისპირდნენ სრულიად მთელ სამყაროს, კერპთაყვანისმცემლურ არსს და ამისათვის მზად იყვნენ აესრულებინათ უფლის ყველა სურვილი მათი მოქცევისათვის, მზად იყვნენ თავგანწირვისათვისაც. თუმცა, როცა უფლის ნებით ქმედებ, იგია შენთან მუდმივად და, ვიცით, როდესაც ისრაელნი შევიდნენ წმინდა მიწაზე, წლობით გაუთავებელი ომებისას თითებზე ჩამოსათვლელი სულ რამდენიმე კაცი დაეცა, ისინიც ისეთნი, ვინც შესცოდეს. ხოლო დაახლოებით 5 მილიონზე მეტი დაეცა, სანამ შევიდოდნენ, როცა უხვევდნენ მცნებებიდან; ანუ ვინც შევიდნენ, ყველამ შეინარჩუნა სამი მამის გენეტიკური კოდი უფლისათვის, კაცობრიობის კეთილდღეობისათვის უყოყმანოდ თავის გაწირვისა. აქედან იყო მათი წარმოუდგენელი სიძლიერე, რომ უყოყმანოდ სწირავდნენ თავს უფლის ნების აღსრულებას.

ამდენად, ძლიერია ის, ვინც მოთოკავს თავის თვისებებს, ემოციებს და ყველაფერში მიენდობა უფალს. ამ ქმედებით ყოველი ჩვენგანი ვაძლიერებთ ღმერთს. რამეთუ მას ექმნება საშუალება, გააძლიეროს — მოაფრქვიოს თავისი შუქი დედამიწაზე, ანუ გამოავლინოს თვისი სიძლიერე, რომელიც ჩვენ ცოდვათა გამო შეკვეცილია. ამდენად, თუ ყველა ჩვენგანი მზად ვიქნებით, რომ უფლის ნება-სურვილი აღვასრულოთ და

ამისათვის თავიც გავწიროთ, აი მაშინ იქნება ყველა მისი ნამდვილი შვილი მასავით მიახლოებით ძლიერი, მასთან შერწყმული მარადიული ნეტარების შუქით. მაშინვე გამოვლინდება მესიაც.

უფალმა იმიტომ გააჩრაველა აბრამ-ისააკის შთამომავლობა, მათ შორის იშმაილის, ანუ ძირითადად მუსულმანები, აგრეთვე ესავის – ძირითადად ევროპის ხალხი, იგივე ქრისტიანული მოსახლეობა, რომ მათ აქვთ პოტენცია შთენილი ყველამ შესწიროს შვილები და თუნდაც თავი უფლის სიტყვიდან, მოთხოვნიდან გამომდინარე; აგრეთვე გასცენ აბრამივით ყოველივე. ამდენად, ამ თვისებების ქმედებით ანუ მისწრაფებებით დაემსგავსონ შემოქმედს და ამისთვის თავი გასწირონ – ესაა საბოლოო მიზანი უფლისა. ჩვენც სულიერად ისე უნდა გავნათლდეთ, რომ მზად ვიყოთ, თავი შევწიროთ შემოქმედის სიტყვის აღსრულებას.

ზუსტად ასეთი მექვსე სეფიროთის, თიფერეთის არსით, რომელიც ნიშნავს მშვენიერებას, სრულყოფილებას, ქმედებდა იაკობი, რომელშიც გაერთიანებული იყო ორივე თვისება – გაცემა და სიძლიერე, რაც აისახა მის სრულყოფილებაში.

ამიტომაც ეს სეფიროთი უკვე ადამიანის სხეულის ტან-აგებულებაა. ასეთს, რა თქმა უნდა, არავითარი პრობლემები არა აქვს და უფალიც სულ მის გვერდითაა. როცა იაკობი ბრუნდება ლავანიდან თავისი თორმეტი შვილით, დაინახავს ესავი ამდენ სიმდიდრეს, იგი გაკვირვებული კითხულობს: როგორ გამრავლდა იგი? და იაკობიც პასუხობს, რომ ის სრულყოფილად იცავდა უფლის ყველა 613 მცნებას.

ცნობილია, რომ 613 მცნების შესრულებას სჭირდება ტაძრის არსებობა. სადაც იაკობი ცხოვრობდა, ვიცით, არ იყო ტაძარი. მაგრამ იყო მისწრაფება იაკობისა, ემოქმედა სიკეთით, გაცემით, აგრეთვე თავის შეწირვით უფლის სახელის მომაღლებისათვის, რაც აღუთქვა მან უფალს. ამიტომაც უძლებდა ლავანის ყველანაირ მზაკვრობას 22 წლის განმავლობაში. შედეგად, ვიცით, იაკობი წარმოუდგენლად თვით ლავანზე რამდენიმეჯერ მეტად გამდიდრდა. და ეს იმიტომ, რომ იაკობი ფაქტიურად ორი ათეული წელი მხოლოდ ეხმარებოდა და მონად ემუშავებოდა ლავანს. ამდენად, უფლის დამსგავსება – ეს მაშინაა, როცა სურვილი და მისწრაფება დაეხმარო სხვას, ჩვენს ჩვევად, ბუნებრივ თვისებად გადაიქცევა. თუნდაც ეს მუშაობა შენი სიმამრისთვის იყოს.

მაშინ უკვე შენ შეცნობილი გყავს შემოქმედი, როგორც სიკეთის ყოველწამიერად უანგაროდ გამცემი. და იგი ყოველწამიერად ფიქრობს როგორც შენზე, აგრეთვე სხვებზე. ასე ხვდები, რომ არაფერი არაა შემთხვევითი, ყველაფერი მისი გეგმით მიმდინარეობს, რომ ყველა მოვექცეთ, დავემსგავსოთ მას, რომ მისი შუქით, სითბოთი მარადიულ ნეტარებაში ვიყოთ. ხვდები მის წარმოუდგენელ სიყვარულს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ცდილობ დაემსგავსო მას და პოტენციურად დამცველი ხარ 613-ვე მცნებისა. ისინი შენი ბუნებრივი მოთხოვნილებები ხდება. იაკობმა ხომ დაუფიქრებლად გასცა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი ესავზე, რათა მოექცია იგი, რამეთუ მისი დამარცხება იაკობისათვის მეტად იოლი იყო, მით უმეტეს, ვიცით, რომ მან თვით ესავის ანგელოზიც დაამარცხა. ამდენად, შეცდომილის მოქცევა, აქეთკენ სწრაფვა – აი ეს არის ადამიანთა სრულყოფილების ნიმუში.

აქ არის უფლის სიბრძნის დაუფლების ყველაზე მაღალი სტადია. ამიტომაც მხოლოდ ეს მესამე მამა, იაკობი, დააჯილდოვა უფალმა, რათა გამრავლებულიყო მისი თორმეტი შვილისგან ცამეტი შტო ისრაელთა ერისა. ვიცით, იოსებისგან ორი შტო გამრავლდა და ლევების შტო, როგორც ითქვა, მისი დამსახურების გამო, იმ სულიერ ლიდერებად, ტაძრის მსახურებად ჩამოყალიბდა, რომელთაც მიწა არ ერგოთ. მათ რაოდენობაზე ქვემოთ აღვნიშნავთ, ამიტომაც წერია მეოთხე წიგნში 8-18: „ავიყვანე ლევები ისრაელის შვილთა ყოველი პირმშოს ნაცვლად“, ანუ ისინი გახდნენ სულიერი ლიდერნი ერისა.

ამდენად, ეს ექვსი სეფიროთი ადამიანის სიბრძნეს, სიძლიერეს, სიმდიდრეს, სრულყოფილებას განაპირობებს. და რომ მუდმივად ვიმოქმედოთ მათით, ამისათვის საჭურია, ვსაუბრობდეთ უფლის იმ ენებზე, რომლებიც შექმნა მან და ჩვენს ღვთიურ სულშია შთენილი. მისი ენა არის კომუნიკაციის ის საშუალება, რომელიც არის უფლის შუქის სიბრძნის მატარებელი და ასე უფალი კავშირშია შენს ღვთიურ სულთან, რათა თანდათან მოხდეს ჩვენი გაბრძენება.

ხოლო ვინც ამ ენებზე საუბრობდნენ, იყვნენ სულიერ კავშირში შემოქმედთან, ესენი იყვნენ ორი ერი, ებრაელნი და ქართველნი; გო-შენი, სადაც მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ, წმინდა ენაზე სწორედ ორ ერს ნიშნავს.

ამ ენებით მეტყველებიდან გამომდინარე, იყო მათში ის სიძლიერე, რითაც მიენდნენ უფალს, სამი დღე დააბეს, აბღაველებდნენ ცხვარს ანუ ეგვიპტელთა კერპს, მერე დაკლეს იგი და ისეთ ცეცხლში შეწვეს, რომ მის სუნს მთელი ეგვიპტე გრძნობდა.

ამდენად, ჩაიდინეს წარმოუდგენელი გმირობა, მოუკლეს ეგვიპტელებს მათი კერპი მათსავე ქვეყანაში და შეექცნენ მას. რაც დაუფასა უფალმა იმ დონემდე, რომ შთაუნერგა მი'ში ეგვიპტელებს, ფარაონსაც და ისრაელები გამოიყვანა ეგვიპტიდან. აი, ეს უკვე იყო სიძლიერეც ისრაელთა ერისა, რადგან ყელაფერი ჩაიდინეს ყოველგვარი ანგარების გარეშე და მხოლოდ და მხოლოდ უფლის სიყვარულით.

რომ ღმერთი მხოლოდ ის არის და სხვა არაფერი.აქედან იყო შემდგომ ზღვა'ში შესვლა, ანუ მიენდნენ უფლის სიტყვას, რომ ის გაიყოფოდა. თუმცა თითქმის დაფარა ისინი წყალმა, ზღვა კი არ იყოფოდა. ჰქონდათ სხვა არჩევანიც, თითქოს უფრო რეალური გადასარჩენად ბრძოლა ეგვიპტელთა წინააღმდეგ. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც გო'შენ'ში არ ცხოვრობდნენ და იმორნებდნენ მათ ეგვიპტელები მ'შენებლობებში ჩართვით. ეს იყო უფრო მრავალრიცხოვანი მასა ებრაელთა, რომელთაც გამოუმ'შაედათ მონური სული და მოითხოვდნენ ეგვიპტე'ში ისევ მონობაში დაბრუნებას. თუმცა, მათზე იმოქმედეს ფარაონის მიერ ზოგიერთმა შეგზავნილმა.

მაგრამ ძირითადად, შექმნა უფალმა ერი, რომელიც წავიდა ყოველნაირი ბ'უნებრივი, მატერიალური კანონების წინააღმდეგ. და თუ ჩვენ ვიმსჯელებთ, რომ ისინი საკ'ეთარი თავის გადასარჩენად მიდიოდნენ ამ გმირობებზე, დამტკიცება უფლის სიყვარ'ულისა, უანგაროდ მინდობა მასზე გამოჩნდა, როგორც ითქვა, თორის მიღებისას.

მაშინ მათ გააბათილეს ყველაფერი უფლის ნების წინაშე, წარმოაჩინეს თავიანთი თავი ნულად, ანუ მათი შინაგანი მოთხოვნილება გახდა, დაემსგავსონ უფალს, დაეხმარონ მოყვასს უანგაროდ, შეიქნან კეთილ'შობილურნი, სრულყოფილნი.

ასე მათ გააბათილეს ადამის შეცდომა, რაზეც შემდგომ კიდევ ვიტყვით. დასტ'ურად, ჩამოვიდა იმდენიე სულიერი შუქი, რამდენიც ადამის დროს იყო. ასე გააქრო უფალ'ა სიკვდილის ანგელოზი, უნდა ყოფილიყო მარადიული სიცოცხლე და, ვიცით, მოხდა მათი შეცოდება, როდესაც კერპი შექმნეს. თუმცა, ამისათვის იღვაწა სატანამ, რომელმაც დაანახვა ებრაელებს მოშეს უსულო სხეული სინას მთაზე, რასაც მოჰყვა შეგზავნილთა ზეგავლენით ძებნა სხვა წინამძღოლისა, ანუ კერპის შექმნა.

მაგრამ უფალმა გაითვალისწინა მოშეს მოთხოვნა უფლის წინაშე, რომ ეს ურჩი ერია და ამის გამოც ნდობოდა ამ ერს. რამეთუ ურჩი თუ დადებს პირობას, ის თავისი ურჩობით თავს გასწირავს პირობის შესასრულებლად.და ისტორიამაც დაადასტ'ურა: თუ ებრაელები სცდებოდნენ, ეფლობოდნენ უზნეობის მორევ'ში გარემო ძალის ზეგავლენის გამო, როცა ამას ხვდებოდენ, კვლავ ავლენენ თავიანთ კეთილ'შობილურ თვისებებს და უბრუნდებოდნენ უფალს. და მან მისცა ებრაელებს თორა – წიგნი, სიცოცხლის ხე ჩვენი მარადისობისა.

ამიტომ შემდეგი სამი სეფიროთიდან მეშვიდეა, იგივე მეოთხე „ნეცახ" – მარადისობა, რომლის საფუძველი წიგნთა წიგნით ქმედებაა. ვიცით, მოშემ მიიღო იგი.

ხოლო მერეე არის „ჰოდ" – სიდიადე, დიდმშვენიერება, რომელიც მოშეს ძმის, აჰარონის თვისებაა. შემდგომში მისგან გამრავლდნენ ქოენები, იგივე ქურუმები, რომლებსაც ერგოთ წარმოუდგენელი ღირსება ტაძარ'ში მსახურებისა. ამიტომ ამ ორი სეფიროთის გამომუღავნება ხდება ორ წვივ'ში.

ეს ორი წვივი არის საყრდენი, საფუძველი, რაზეც დგას – შენდება ადამიანის გასულიერებული სხეული და ასე ამგვარად ჩვენ მივესწრაფვით, შეეერწყათ სულიერ სამყაროს, რომელიც უფალთანაა.

ოღონდ ეს რომ მოხდეს, ამის საფუძველია მეცხრე სეფიროთი „იოსოდ"-ია, რაც იოსების თვისებაა. ანუ ცხოვრების ის წესი, რომელიც შექმნა მან ეგვიპტე'ში თორიდან გამომდინარე. ითქვა, ეს წესი იყო იქამდე იბერიაში, საქართველო'ში, რაც დაფ'ძნებ'ული იყო თანაბრად გაყოფა-გაცემაზე – სოციალურ თანასწორობაზე, პატრონყმობაზე, სინდისზე-ნამუსზე, რომელიც ორმა ძმამ – შემმა და იაფეთმა – შექმნეს შემის სულიერი ხელმძღვანელობით. ამას ყოველიეეს ჩვენ კიდევ განვმარტავთ.და უმთავრესი აქაც მისი – იოსების ურჩობაა, შინაგანი კეთილ'შობილი ბ'უნებაა, როცა პოტიფარის უმ'შვენიერესი მეუღლის ნება-სურვილს არ დაჰყვა და დაიცვა მისი წინადაცვეთილი ორგანოს, იგივე იოსოდის სიწ'მინდე, რაც მისი სულიერი სიწ'მინდიდან გამომდინარეობდა.

ისიც ცნობილია (იხ. მე-2-მე-3 წიგნები), რომ იოსები, რომელმაც შექმნა, თორიდან გამომდინარე, იბერიული ცხოვრების წესი, მიწას აძლევდა იჯარით მხოლოდ მათ, ვინც

წინიცვითებოდა, სიწმინდეში იყო. უმიწოდ დარჩენილნი, მათი უზნეო ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ფაქტიურად განწირული იყვნენ.

ამიტომაც მეცხრე სეფიროთის არსი „იოსოდ“ – ეს წმინდა აღთქმის ნიშანია წინადაცვეთილი ორგანოსი. ეს ნიშანი სხეულში ენის პერიფერიულარულადაა და მის სიწმინდეს წმინდა და დედა ენებით მეტყველება განაპირობებს, რასაც მოსდევს ქმედება თორიდან და ამ ენათა სიბრძნიდან გამომდინარე. ასე მრავლდება კეთილშობილი შთამომავლობა, ანუ იგი იოსოდი ღმერთთან შერწყმის ნიშანია.

საერთოდ, ადამიანის პირი, ისევე, როგორც სასქესო ორგანო – ასო, მიჩნეულია წმინდათა წმინდად, რამეთუ ღვთიური სული, სადაც შთენილია წმინდა ენის ასონიშნები, შეხიბასთანაა კავშირში და მაშინ ქმედება სასქესო ორგანოთი, ჩვენი შემეცნებიდან გამომდინარე, თორის არსით წარიმართება.

ამდენად, ასოში კონცენტრირდება ყველა დადებითი თვისება რვავე სეფიროთისა, მთელი სხეულისა, რაც კონცენტრირდება მამაკაცის სპერმაში და მდედრობითთან შეწყვილებისას იშვება სრულყოფილი შთამომავლობა, რომელიც მეფობს ამ ქვეყანაზე (იხ. მე-2 წიგნის II ნაწილი), და ამ მეათე სეფიროთს „მალხუთი“ – ადამიანთა მეფედ შექმნის – მეფობის სეფიროთი ჰქვია.

ეს სეფიროთები ყველგანაა შთენილი – ცებში, ადამიანებში და მათი გამოელინება დამოკიდებულია ადამიანთა სრულყოფილ ქმედებაზე. თუ მეცხრე სეფიროთის არსით, იშვება კეთილშობილი შთამომავლობა, იბუდებს გაცემა-სიყვარული. შედეგად, ზეცაშიც ანალოგიურად რვაევე სეფიროთის დადებითი თვისებები კონცენტრირდება მეცხრეში იოსოდ-ში. ხოლო სულიერ შუქი მისგან გადაეცემა მზეს, რის ნათებიდანაც დედამიწაზე სამოთხისეული ბარაქაა, ამინდია, რაც იყო საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე.

მხოლოდ თორიდან გამომდინარე, ათი სეფიროთით ქმედება მაგალითი უნდა იყოს ჩვენი სრულყოფილების. წინააღმდეგ შემთხვევაში თუნდაც მთელი სამყაროს მეფე რომ გავხდეთ დაპყრობითი ომებით, ეს მხოლოდ ცოდვათა გამრავლება და აბსურდია. დასტურად გავიხსენოთ მე-3 წიგნში მოყვანილი დიალოგის არსი ალექსანდრე მაკედონელისა ებრაელ ბრძენებთან (მათ შორის შიმონ ცადიკისა, რომლის დანახვაზეც მაკედონელმა მუხლი მოიყარა და პატივი სცა. შემდეგ კი უთხრა თანამოძმეებს, ყოველი ბრძოლის წინ ეს პიროვნება მეცხადებოდაო).

– ადამიანთა უმრავლესობას გონებაში სატანის მცდარი აზრები შეჰყავს. ჰყვება ხალხი ამქვეყნიურ ე.წ. სიამოვნებას. ებრაელებმა კი შეიცნეს სხვა წარმოუდგენელი ნეტარების – სამოთხის ჰარმონია და გემოვნება. ეს, მართლაც, სულით ძლიერთა და გამორჩეულთა ხვედრია. და, ამავე დროს, მეტად ადვილი, რამეთუ მისიტაა ნამდვილი სიამოვნება.

ბრძენთა ასეთი დიალოგის დასტურად მან, რომელსაც ეგონა, მიაღწია უდიდეს სიდიდეს, მის ქმედებათა გამო ძალიან ცოდვილმა, ადრე, ახალგაზრდა ასაკში დატოვა ქვეყანა. თუმცა მაღლად ის ჩაეთვლება, რომ მის დროს საბერძნეთში ჭარბობდნენ ინდო-ევროპული მოდგმის ხალხი და მან, როგორც იბერთა მოდგმის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, იბერიასა და ისრაელს ხელი არ ახლო. და როცა კვდებოდა, დაიბარა: – ისე დამმარხეთ, რომ ხელები სასახლის გარეთ დამიტოვოთ, რათა ხალხი დარწმუნდეს, რომ არაფერი მიმაქვსო. ეტყობა, მასზე აგრეთვე გავლენა მოახდინა მისი მასწავლებლის, არისტოტელეს წერილმაც, სიკვდილის წინ რომ მოსწერა მას: „მე განვიცდი ყველა იმ წიგნის გამო, რომელიც დავწერე, რამეთუ მივხვდი, რაც დავწერე, საკმაოდ შორს არის ჭეშმარიტებისგან“ („სიცოცხლის წყარო“ №809).

სამყაროს კოსმოლოგიური მოწყობის არსი

ამ სამი წიგნის მასალის შესწავლა საშურია იმადაც, რომ სოლომონს და რუსთველს, თორის სულიერი განათლებიდან გამომდინარე, საოცარი სიზუსტით აქვთ გადმოცემული სრულიად მთელი სამყაროს კოსმოლოგიური მოწყობა.

ის, რაც მეცნიერების: გალილეის, კეპლერის, ჰიუნგესის, ნიუტონის, აინშტაინის და სხვათა მიერ ბოლო წლებშია აღმოჩენილი და აღმოსაჩენია. ამას ყოველივეს საოცარი სიზუსტით გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსანი“.იგი გადმოცემულია ასომთავრული და წმინდა ენის ანბანთა წინასწარმეტყველურ სიბრძნეთა ახსნისას (იხ მე-2 წიგნი, II ნახაზი). ამაევე დროს ის, რაც მეცნიერთათვის სულიერი გაუნათლებლობის გამო ქაოსით იყო მოცული და დღესაც ფიქრობენ, რომ სამყაროს ქმნადობა დიდი აფეთქების შედეგია, რუსთველმა ამ თეორიის უსუსურობა მეტად სრულყოფილად ლაკონიურად გადმოგვცა ერთ სტრიქონში, რომელსაც კიდევ ერთხელ განვმარტავთ:

რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ამდენად, რუსთველს წარმოუდგენელი პოეტურობით აქვს გადმოცემული, რომ ეს სამყარო შექმნილია „ძალითა მის მიერითა“. ეს ძალა, შუქი, ენე-რგია, ანუ ენა, მისი შუქი, ცოდნა, რგია – დაინერგა თორიდან გამომდინარე.

და ეს უთვალავ ფერთა არსნი ზეგარდმო ყველა თავისი სულით: ცხოველებში, მცენარეებში, ორგანულ და არაორგანულ სამყაროში. და, როგორც ითქვა, ეს უთვალავ ფერთა სილამაზე მასში ერთშია შერწყმული. მის გარეშე ყველაფერი არარობაა, არაფერი არ არსებობს.

ხოლო ხელმწიფობა ჩვენი მისი სახით, მოლაპარაკე ღვთიური სულით და იმ ენითაა, რომელიც მარტო ანგელოზებს და ადამიანებს აქვთ. ამიტომაც „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე“.

როგორც თანამედროვეობის უდიდესი რაბინი-გაონი რაბი შაპირო გადმოგვცემს, 1 ეს არის ციფრი, რომლის მსგავსი სხვა ციფრი არ არსებობს.

იგი სულიერი ფესვია ყველა სხვა ციფრისა, რამეთუ მისი პროტოტიპი არის ღმერთი – ერთი. ხოლო ციფრი პირველიდან იწყება ათვლა უსასრულობამდე. ანუ, როგორც ითქვა უსასრულოა სასიკეთო თვისებანი მისი.

ამდენად „1“ – ეს არის ერთადერთი ღმერთი ამ სულიერ და მატერიალურ სამყაროთა შემქმნელი და, როგორც ითქვა, მასში შერწყმულია მისი მდედრობითი არსი – შეხინა. აქედანაა, ეს სამყარო, უფლისგან გამომდინარე, ასეთივე ორობით შეიქმნა. რაც, როგორც ითქვა, თორაშია ჩადებული, რათა ყველა ორი, მათ შორის ცოლ-ქმარნი, მიტომ არიან ერთი სულის ორი ნახევარი, რომ, შემოქმედივით ერთიანნი უნდა იყვნენ.

ეს მის დასახელებაში ღ-მ-ერთი ზედმიწევნით ზუსტად ჩანს: ღ – ღვთიური, მ – მაღალი, ერთი. ანუ ღმერთი ერთია, ერთიანია მისი შეხინით, რომლის მსგავსი არ არსებობს და ჩვენ ზღაპრებსაც ასე ვიწყებთ: „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“.

აქვე, აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ვიცით ათი სეფიროთი, ასევე ათი მცნება, რაბი შაპიროს აზრით, ციფრები 1-დან 10-მდე და 13-მდე განსხვავდებიან ყველა არსებული ციფრებისგან. ისინი მარადიული ციფრები. წყაროებია, რომლებიც ფუნდამენტია ყველა დანარჩენი ციფრისა და მათით მთლიანად სამყაროს არსებობისა, ამ ციფრების ჰემატრიიდან გამომდინარე.

დასტურად, 1 იგივე 10-ის ანუ ათი მცნების ჰემატრიაა, რომელიც მოცემულია უფლით. ამდენად, ერთი – ეს მხოლოდ ღმერთია, რომლის ჰემატრია წმინდა ენაზე ისევე, როგორც სიყვარულის, 13-ია. ამავე დროს, ამ 10-მდე დაიყვანება ნებისმიერი ციფრის რიცხვითი მნიშვნელობა. თორის 613 მცნების – სიბრძნის, ასომთავრულ ანბანის 37 ასოს მინი ჰემატრია ხომ 10-ია.ამდენად, სამყაროში არსებული ყველაფერი, მათი წონა, ფართობი, ეს უკვე ამ ძირითადი ციფრებდან გამომდინარეა.

დასტურად, ვილნიუსელი გაონი აღნიშნავს, რომ წერტილი, ეს ასო „იუდია“, რომლის ჰემატრია 10-ია.

„იუდი“–ეს გამჩენის საწყისი აზრია, რომელიც შედის მის ოთხასოიან სახელში: იუდ-ი, ჰეი-ა, ვავ-ი, ჰეი-ა, რომლითაც შექმნა სამყარო და რომლის არსი ჩვენთვის შეუცნობია, რამეთუ მეტად დაფარულია და იგი არ გამოითქმის. ანუ იხსნება უფლით იმ ერთეულთათვის, ვინც იმსახურებს.

მესამე ასო ამ სახელში ვავ-ია, სიმართლის, სიცოცხლის სიმბოლო, რომელიც ხაზით აღინიშნება. ხოლო ასო „ჰეი“ შემდგარია სამი სხვადასხვა მიმართულების ხაზით. ეს მესამე განზომილებაა, ეს ასო ხომ ორჯერ მეორდება უფლის ოთხასოიან სახელში, რითაც მთავარი მიმართულება ოთხი მხარის გასულიერებაა, აგრეთვე 2 მხარეთაც მაღლითა-ზევითა, რომელიც განაპირობებს ქვემოთა სამყაროს, ანუ მეექვსის – დედამიწის სიღრმისეულად გასულიერებას.

ამდენად, უფლის ერთი ხელი ზევითაა, საიდანაც, თუ ვიმსახურებთ, მოდის უსასრულო აღურიცხავი ბარაქა, ქვევითა კი იღებს ამ ბარაქას და სავსეა სიუხვით.

ეს ორი ხელი ქმნადობის პროცესის ანტიპოდებია. წინასწარმეტყველ ეშაიას წიგნი გადმოგვცემს: „ცა შექმნა მარჯვენა ხელით, დედამიწა – მარცხენით“ (48:13). და ეს მომავალ ტაძარში – სამყაროში იქნება განხორციელებული. დღევანდელ რეალობაში კი, ისრაელთა ერს მონიჭებული აქვს პატარძლის ფუნქცია და როცა უდაბნოში აშენდა

გადასატანი კიდობანი, ამ ორი ხელის არსი ორ ქერუბიმში, მდედრობით'ში და მამრობით'ში, იყო გაცხადებ'ული. მამრობითი – ზეცაა, უფლის სამყოფელი და მდედრობითი – მიწაა, სადაც ისრაელთა და ქართველი ერები მოღვაწეობდნენ, რომ მოაფრქვიოს შეხინამ უფლის ბარაქა დედამიწაზე ჩვენი დამსახურების დარად. ამდენად, უფალი განმსაზღვრელია იმ ზეციური წყალობისა, რითაც ბარაქაა დედამიწაზე.ოღონდ ამ წყალობის გამომვლინებლები ისრაელნი იყვნენ უდაბნოში. აქედანაა ამ ქერუბიმთა მეორე დანიშნულება: როცა ისრაელთა შორის სულიერი ერთობა იყო, მა'შინ ქერუბიმები, მდედრი და მამრი, ერთმანეთს ეხვეოდნენ და შეხინაც აფრქვევდა მადლს, ბარაქას დედამიწაზე.

ხოლო როცა დაპირისპირება ჩნდებოდა ერში, ისინი ზურგით დგებოდნენ ერთიმეორის მიმართ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მარადიული ციფრები ჩვენი აზრით, ანბანის სიბრძნიდან გამომდინარე, ოცამდეა. შეეცდებით, ეს შემდგომ განემარტოთ.

ახლა კი აღვნიშნავთ, რომ უფალმა ორი არამატერიალური წერტილისგან შექმნა ცა და დედამიწა, ანუ სულიერი და მატერიალური სამყაროები, რაც გადმოცემული გვაქვს მე-2 წიგნის I ნაწილში. აქედან გამომდინარე, მოკლედ გავიმეოროთ, როგორ შეიქმნა გლობალურად მთლიანი სამყარო

რამბანით ცა და დედამიწა შექმნა უფალმა ორი უსასრულო ჰატარა წერტილისაგან, რომლებიც არ იყვნენ მატერიალურნი, ოღონდ ჰქონდათ პოტენციური ენერგია. ქმნადობის საიდუმლოება კი მასშია, რომ დაფარული ნათება ჰქონდა ორივე წერტილს და შუქში იყვნენ გახვეულნი. ამავე დროს, როგორც რაბი გაისმანი გადმოგვცემს, პირველ დღეს 10 რამ შექმნა უფალმა. აქედან 4-ია ტოუ – მწვანე ზოლი დედამიწისა, საიდანაც გამოდის სიბნელე, ბოუ – უდიდესი მთები, რომლებიც წარმოქმნიან წყალს.

ამდენად, სამყარო შეიქმნა უფლის ენის ენერგიით ორ არამატერიალურ წერტილზე ზემოქმედებით, რომელთაც დაფარული ნათება ჰქონდათ. ამავე დროს, ითქვა, ენაში – სახელში იყო გაცხადებული აღწერილობა შესაქმნელი ობიექტისა. შედეგად, ენა, მისი შუქ-ნათება, გვევლინება იმ ქიმიკოსად, რომლის ძალითაც მისი შუქი, ენერგია ახორციელებდა წყლის მეშვეობით ორი წერტილის სინთეზს, რომელთაც დაფარული ნათება ჰქონდათ ნახშირორჟანგის შემცველობის გამო. ასე მათგან წარმოიქმნებოდა მეთანი და ფორმალდეჰიდი, რომელთაც გააჩნიათ პოლიმერიზაციის და რთული მოლეკულების შექმნის უნარი. ასე უფლის სიბრძნის შუქის არსით და ძალით სიტყვებში, ასო-ნიშნებით გაცხადებული იქნებოდა საჭირო ობიექტები, ნივთიერებები დედამიწაზე და ზეცაშიც.

შედეგად, ორი წერტილიდან, შეიქმნა ზემოთა სულიერი და ქვედა მატერიალური სამყაროები, რასაც განაპირობებდა უფლის ოთხასოიანი სახელის ჩვენთვის შეუცნობი, წარმოუდგენელი სიბრძნე. ამავე დროს, ყოველი ობიექტის სახელიდან გამომდინარე, ასო-ნიშნების შუქით შთენილია სული, იგივე ღვთის ნაპერწკალი, რითაც ისინი შერწყმულნი არიან მასში – უფალში. ამიტომაც, ითქვა, ფოთოლიც კი არ მოძრაობს მისი ნების გარეშე. აქ ნათლად ვხედავთ, რომ ყოველგვარი აფეთქების თეორია სამყაროს შექმნისა – ეს ადამიანის მიერ მოგონილი უაზრობაა. სამყარო შეიქმნა უფლის სიტყვიდან, აზრიდან გამომდინარე. რაც ენაში, მის ცეცხლოვან ასოებში იყო გაცხადებული.

ასე იქმნებოდა გარეგანი ფორმა, რომელიც მატერიალურში გარდაისახებოდა. საერთოდ, „სიცოცხლეს“ და „ცეცხლს“ ერთი ფუძე აქვთ. ანუ მარადიული სიცოცხლე ცეცხლით, შუქით, ასო-ნიშნების სიბრძნიდან გამომდინარე იქნება. რამეთუ, როგორც უფლის ასოებია მარადიული, ასევე მარადიულნი არიან ამ ასოებით – ანბანით შექმნილნი, მუდმივმოქმედი ღვთის ნაპერწკლები, რომლებშიც მუდმივი მოძრაობაა ატომების და მოლეკულების. ამდენად, „ცეცხლი“, როგორც ითქვა, ეს ასო-ნიშნებია, რომელთაგანაც იქმნება სული, სულიერება. აქედანაა ჩვენი მარადიული სიცოცხლეც.

და ეს ცეცხლი ყველა დასაბამეს თესლშია შთენილი ნაპერწკლების სახით. მათი დასახლებიდან გამომდინარე, ხოლო როცა, ზამთრის გასვლის მერე, სათანადო წყალი დგება მცენარეში, მაშინ ანგელოზი გასცემს ბრძანებას: – „აღმოცენდი!“ შედეგად, ნაპერწკალში არსებული ატომებისა და მოლეკულების მოძრაობის გარდაქმნისას წარმოიქმნება ენერგია, რომელიც განაპირობებს წყლისა და ნახშირორჟანგის სინთეზს, რთული მოლეკულების შექმნას, რის შედეგადაც იწყება მცენარის ზრდა. ეს

არის ის ფოტოსინთეზის არსი, რომელიც მეცნიერთ ვერ აუხსნიათ და მას დღემდე სამყაროს ფოკუსს უწოდებენ.

და რომ წმინდა ენის ასო-ნიშანთა შუქით იქმნებოდა არა მარტო მატერიალური სამყარო, არამედ ანგელოზები და ადამიანთა სულები, ამას კიდევ ჩვენ შემდგომ მსჯელობაში განვმარტავთ.

ახლა ავხსნათ, ვინ არიან ვეფხისტყაოსნები, რა მისია აქვთ და როდიდან იწყება მათი მოღვაწეობა და როგორ მოხდება ვეფხისტყაოსანთა ორ ლომად გარდაქმნა მესიის მოვლინებით.

1.4. „ვეფხისტყაოსანი“ – გზა ხსნისა

ყოველი იბერიელის სულში გენეტიკურად ღვიძის წარმოუდგენელი სიყვარული უფლისა და მოყვასისა. ისინი ბევრად უფრო ტრაგიკულად იმსჭვალებიან ნებისმიერ ხალხთა, როგორც მათ მოძმეთა უბედურების შემთხვევაში.

ჩვენ, ებრაელები, ქაროველნი არავის ვიპყრობდით, მხოლოდ თავდაცვით ომებს ვაწარმოებდით. და სურვილია ჩვენი, რომ ასეთივე რჩეულად გარდაიქმნას სამყაროს ყველა ხალხი მარადიულად არსებობისათვის, რაც უფლის სურვილიდან გამომდინარეობს.

ამავე დროს, ეს რომ მოხდეს, თავად ჩვენც გვჭირდება მრავალი თვისების შეცვლა სრულყოფილებისაკენ, თორიდან გამომდინარე. მით უმეტეს, რომ 210 წელი გეგმაზომიერად გვავიწყებდნენ თორის სულიერ განათლებას, მეტყველებას უფლის მიერ ბოძებულ ენებზე.

და დღეს მათ უჭირთ დაიწყონ თორის სწავლა, ვინც ასაკშია და ფიქრობს, რომ ეს დაგვიანებულია. მაგრამ ყოველი ადამიანი მიტომ ჩამოდის, რომ თორა ისწავლოს, იმაზე მეტი, რაც წინა ცხოვრებაში იცოდა. ამდენად, თუ იგი მიიღწია, რომ ის ცოდნა ალადგინოს, რისი მოთხოვნილებაც მის ღვთიურ სულშია, იგი კიდევ უფრო იმაზე მეტს ისწავლის. და ამისათვის ღმერთი მას დღეებს უგრძელებს, მანამ საწადელს არ მიაღწევს. ეს ქვეყანა ერთადერთია, სადაც ფასდება შენი ერთგულება და რწმენა უფლისადმი და არ ტეხავ პირობას, არ არღვევ სიტყვას, მიცემულს უფლისადმი, რომ თორას ისწავლი. ეს კარგად იციან წმინდანებმა, ამიტომ ეშურვიან, დარჩნენ აქ დიდხანს, ეგეც არ იყოს, ჩვენ დღეს მეტად გამარტივებულად, მწყობრად გვაქვს გადმოცემული „ქებათა ქების“, იგივე თორის 216 საიდუმლოების ახსნა.

ამდენად, სურვილია ჩვენი, დღეს უკვე დედამიწაზე ყველამ იპოვოს საკუთარი ადგილი. ამისათვის ჯერ ჩვენ, იბერებმა კვლავ სიღრმისეულად, ტრადიციული დიდი ნეტარებით უნდა აღვადგინოთ წინაპართა სულიერი განათლება ანბანის, თორისა, რომლებითაც ჩამოყალიბდა ისრაელთა და ქართველთა ფენომენალური გენეტიკური კოდი, სულიერება, უფლის სიყვარული და გეერდში დგომის ტრადიცია. ჩვენი თაობა, მოწყვეტილნი ვიყავით თორას, ვვითარდებოდით მხოლოდ მატერიალური განათლებით. მაგრამ ჩვენი წინაპრების მიერ ჩამოყალიბებული გენეტიკური კოდიდან, აგრეთვე ილიას, ივანე ჯავახიშვილის და სხვათა ნაშრომებიდან გამომდინარე, ქვეცნობიერად მივისწრაფოდით იმ სულიერი ცხოვრების წესის აღდგენისაკენ, რაც თორიდან გამომდინარეა და დაფუძნდა საქართველოში ორი ძმის, შემდეგ ორი ერის მეშვეობით.

თუმცა ბევრმა ათი მცნების არსიც არ ვიცოდით. მაგრამ პატიოსნება, სიკეთე, გულისხმიერება, სინდისი, უფლისათვის და მოყვასისათვის თავდადება ხომ უფლით შთენილი ფენომენია ყოველ ქართველში.

რა უნდა ვიცოდეთ, რომ შევასრულოთ სამყაროს მხსნელის მისია

ამიტომაც იყო მისწრაფება იმპერიისა ქართული ცხოვრების წესის, სულიერების გადასაგვარებლად. გავიხსენოთ რუსთა ლოზუნგი: „ქართველი უნდა დარჩეს ტანით ქართველად, სულიერად კი რუსად გარდაიქმნასო“. მოგვიანებით ამერიკელებიც გვმოძღვრავდნენ: როცა ეროვნული ხელისუფლება დაგვიმხეს, „ჩაწვდით ამერიკულ სულს!“, რომელი ლოზუნგიც გაჩნდა მაშინ თბილისის ქუჩებში.უფრო მეტიც, დღენიადაგ გვმოძღვრავდნენ და ეს იდეოლოგია იყო იმპერიისა, რომ ჩვენ ურუსეთოდ ვერ ვიარსებებდით, სურსათი არ გვეყოფოდა.

ჩვენ კი, როცა აღმოვაჩინეთ, რომ ქართული წესი იყო სამყაროს ხსნის, გადარჩენის მოდელი, რომ სადაც თორის სწავლებაა, მაშინ სურსათი დაახლოებით ასჯერ მეტია და ამიტომაც ეს ქვეყანა იქცა მეორე ინდოეთად რუსეთისათვის, რომელიც სურსათით

სრულიად ევროპას ამარაგებდა. დავიწყეთ სტატიების წერა მასზედ, და საოცრებაა, რომ მაშინ, კომუნისტების პერიოდში, მოთხოვნა იყო, რომ დავბეჭდილიყავით. ამადაც მოწვეული ვიყავი ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელის, ზვიად გამსახურდიას მიერ, რომ მიმეღო მონაწილეობა „მრგვალი მაგიდის“ ეკონომიკურ-სოციალური კონცეფციის შექმნაში. შემდეგში კი, არასაპარლამენტო არჩევნებში პარლამენტში მოხვედრისას, გაგრძელებდით თავდაუზოგავ მუშაობას ყოველივეს დანერგვისათვის ჩვენს ქვეყანაში. ყალიბდებოდა ნელ-ნელა საკანონმდებლო მასალა, ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-სოციალური კონცეფცია, მიწის განკარგვის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კოდექსი და სხვა.

დიდი აკადემიის სხვადასხვა დარგის მეცნიერთა გაერთიანებით შეიქმნა არაგვის ხეობის შემსწავლელი საპრეზიდენტო კომისია, ტრადიციული ფლორისა და ფაუნის აღსადგენად პროფესორი რუსუდან ბერიძე მიწვეული იყო გერმანიაში, სადაც ინახებოდა ქართულ მცენარეთა გენოფონდი. ისინი ჩამოტანილ იქნა მათ კვლავ აღსადგენად და გასამრავლებლად.

მიმდინარეობდა დაგეგმარება კარტოგრაფების მოწვევით, რათა აღგვედგინა ამ საოთხე-ბაღნარი ქვეყნის ფლორის, სიუხვის მომტან კულტურათა, ტრადიციული განლაგება. ტრადიციული თვითმმართველობის სულიერი მიწათმოქმედების ცხოვრების წესის სოფლის, თემის, რეგიონის სტატუსის კვლავ აღდგენისთვის შეიქმნა მამულის აღორძინების კონცეფციაც.

შემდეგ შეექმენით „მამულის აღორძინების საზოგადოება“ (მას) და მაშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები გვერდში დაუდგნენ ეროვნულ ხელისუფლებას. იყო პრეზიდენტის მილოცვა და პატრიარქის ლოცვა-კურთხევაც.

შედეგად, ოორის მრწამსიდან გამომდინარე, განვაცხადეთ, რომ ჩვენში მიწა არ გაიყიდებოდა და ის ქართველი ერის კვლავ საკუთრებად დარჩებოდა. დავასაბუთეთ, რომ მიწის გაყიდვით ჩვენ დავუკანონებთ გადამთიელებს დღეს უკანონოდ მითვისებულ მიწებს.

ამან ძალიან შეაშფოთა ბოროტება და აზვირთდა ჩვენს წინააღმდეგ გარედან დაფინანსებული ყველა პოლიტიკური პარტია, ე.წ. „ინტელექტუალებით“ გაერთიანებულნი, რომელნიც მიწებისა და ეროვნული ქონების გაყიდვას მოითხოვდნენ. მას-ის დაფუძნებიდან სამი დღის მერე იარაღის ძალით მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება.

და ყველას გვახსოვს, როგორ გაიხლიჩა „მრგვალი მაგიდის“ პარტიები. ამ გამხლეჩებმა პარლამენტის გარეთ გამრავლებულ პარტიებთან ერთად, გააბრიყვეს ხალხი, ჩაიდინეს წარმოუდგენელი ცოდვა ეროვნული ხელისუფლების განდევნით. მათ შეუქმნეს საფუძველი სპეციალურად შეიარაღებულ ფორმირებებს, დაემხოთ ქართველი ერის რჩეული კანონიერი ხელისუფლება.

შემდეგ, რათა არ გაყიდულიყო ჩვენი ერის უპირველესი სიმდიდრე – მიწა-მამული იყო მას-ის წევრების მოთხოვნა, რომ მიგვეღო მონაწილეობა არჩევნებში. შედეგად, თქვენი მონა-მორჩილის მიერ იმ პარლამენტში ღიად იყო გაცხადებული, რომ ასეთის მოსურნენი ერის მოღალატენი არიან. ამავე დროს, წარმოადგინეთ მიწის განკარგვის კოდექსი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კანონები და მივაღწიეთ იმას, რომ მიწა იმ მოწვევის პარლამენტის მიერ არ გაყიდულა.

შემდგომ, მათი მრავალჯერადი მხილების მერე იყო ჩემი ოცწუთიანი გამოსვლა პარლამენტში. იქ დავასაბუთეთ, რომ საქართველო ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-სულიერი კატასტროფისკენ მიექანებოდა. ხოლო შევარდნაძე რუსეთიდან ამისათვის იყო გამოგზავნილი და, სურვილიც რომ ჰქონოდა, ერის საკეთილდღეოდ ვერ იმოქმედებდა. ამიტომ მისი გადადგომა მოვითხოვე.

იყო ასევე გამოსვლა ერის უკიდურესი სიდუხჭირის შესახებ, რომ ასე ისინი დააქცევდნენ საქართველოს, ასეთ პარლამენტში არ იყო ჩვენი ადგილი. და ჩემს მიერ მიტოვებული იყო იგი. რაკიღა პარლამენტარიზმის ისტორიაში არ მომხდარა მსგავსი პრეცედენტი, რომ პარლამენტი დაეტოვებინა პარტიის თავმჯდომარეს, რის გამოც ერთი მანდატი უნდა გაუქმებულიყო. ამიტომ ყოველად უკანონო მოქმედებებით, რაშიც საზიზღარი მონაწილეობა მიიღო „დიდმა აკადემიამ“, ეს პრეცედენტი უგულებელყოფილ იქნა.

ამდენად, სრულიად საქართველომ შეიზიზღა ეს რეჟიმი. ჩვენ კი საქმის ბოლომდე მიყვანისათვის დავიწყეთ შეკრებები ეროვნულად მოაზროვნეებთან. საქართველოს გადასარჩენად უნდა აღმდგარიყო კანონიერი ხელისუფლება.

შევარდნაძის რეჟიმის მიერ კი თითქმის მუდმივად საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, რათა ხელოვნურად დამშვიდებული ხალხი მუდმივად დაჭერის, რეპრესიების შიშში ჰყოლოდათ, რომ ქართველობა და სულიერებაც დაივიწყებოდათ. იყო შექმნილი სიბნელე, უშუქობა ქართველთა საბოლოოდ დამონება-გადაშენებისათვის. შედეგად, ყოველდღე ათეულობით თავმოყვარე ხალხი,რომ არ ემათხოვრათ, დეპრესიების გამო სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდა. მილიონამდე ქართველი გავიდა საქართველოდან, დაინგრა ოჯახები. და ამ ყველაფრის გამძაფრებისათვის საქართველოს საბოლოოდ დამონება-გადაშენებისათვის ყოველნაირი თავშეყრა აკრძალული იყო.

ჩვენ კი ღიად, ყოველ ოთხშაბათობით ვიკრიბებოდით ვაჩნაძის ქუჩაზე. ვაქვეყნებდით განცხადებებს ამ იარაღით მოსულთა გადასაყენებლად და კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად. მაშინ ყოველნი ყოველდღე ველოდებოდით დაჭერებს, რაც გავრცელდა კიდეც ზოგიერთ ჩვენგანზე.

და როცა ვნახე, რომ პოლიტიკური პარტიები როგორ გამყიდველ თამაშს თამაშობდნენ, ვითომ ეროვნულები არიან, სინამდვილეში კი გარედან დაფინანსებულნი ჩვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. და ასე, შემდგომში მრავალი ჩვენი ძალისხმევა საქართველოს გადასარჩენად, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობისა მათით უხილავი ძალებით იბლოკებოდა. ბევრი ერთგული მტრად გვიხდებოდა და ბევრიც, შეშინებული გვერდზე დგებოდა. ეს ყოველივე შემდეგ და შემდეგ კვლავ მუდმივად რაღაცა მანქანებით მეორდებოდა. თითქოს ერთგული თანამოძმენი ბევრი მტრად გვიხდებოდა და ბოროტების თამაშში ერთვებოდნენ.

ამდენად, გვეუფლებოდა წარმოუდგენელი კაეშანი, რომ გვებრძოდნენ მაშინ, როცა მიმდინარეობდა მათი საკუთარი ქართველი ერის წარმოუდგენელი გენოციდი მისი სულიერი და ფიზიკური სიმდიდრის გადასაგვარებლად.

თუმცა დღეს მათ, ვინც სარგებლობდა უამრავი პრივილეგიებით, მიიღეს კონსტიტუცია, ანუ შეასრულეს ის დაკვეთა, რისთვისაც ფინანსდებოდნენ, რამეთუ აქ ჩაიდო ყველა ის საზიზღრობა, რის შედეგადაც ჩვენ მიწაზე მრავალი ჯურის იმპერიული ქვეყნიდან მობრძანებულნი მდიდრდებიან, ქართველი ერი კი საკუთარ მიწაზე მათხოვრად აქციეს. სრულიად გაყიდულია მიწები, ქალაქებშიც ძირითადად ისინი დაეპატრონენ ეროვნულ სიმდიდრეს, ამავე დროს, ეს გამყიდველები შევარდნაძესაგან შემორჩენილნი, უკიჟინებენ ივანშვილს იმ შეცდომებზე, რაც მათი იყო და რითაც მოუწყვეს გენოციდი საკუთარ არს, მათზე პრესაშიც და ტელევიზიაშიც დღესაც მუდმივად წარმოუდგენელი მოთხოვნილებაა, რათა საკუთარი თავი გმირებად წარმოაჩინონ. ხოლო ეროვნულ მოღვაწეებს დღეს არც კი აჩენენ.

და მეტად სავალალო ფაქტია, რომ მათთან, ამ კაპიტალისტურ წესთან, კომუნისტების ცენზურა მონაგონია. აი, რას ემსახურება დღემდე სრულიად გაყიდული პრესა და ტელევიზია. ეს ყოველივე სატანის მიერ წაქეზებული ის, ცოდვებით ცხოვრების წესია, რაც მათ, შემცოდავთა სულიერი ტანჯვის საწინდარია დღესაც და მომავალ სამყაროშიც. ჩვენ კი, პირიქით, ვისურვებდით, რომ მათ მოენანიებინათ.

როცა შევარდნაძის პერიოდში ისინი თანამდებობებს და დიდ შეღავათებს ინაწილებდნენ, რომ საკუთარი ცხოვრება მოეწყოთ და ხელს აწერდნენ ყოველგვარი ეროვნულის გაყიდვისათვის. მაშინ მათ არ ახსოვდათ კატასტროფამდე მისული ქართველი ერი. ყოველი წესიერი ქართველი მაშინ თავის ერს დაუდგებოდა გვერდში და არ ჩადგებოდა ბოროტების სამსახურში. ისინი დღეს მართლმადიდებლური რჯულის დამცველადაც და ამ დროის გმირებადაც გვევლინებიან და ვისურვებდით, რომ მხოლოდ ამ მართლმადიდებლობას გაჰყოლოდნენ, მოენანიებინათ გულმხურვალე ლოცვებით და უფლის მცნებებით დაეწყოთ ცხოვრება.

თუმცა ეს სცენარი არახალია. ისიც გაგვახსენდა, რომ როგორც ჩვენ წამოვწიეთ ამ სამყაროს ხსნის, ქართული ცხოვრების წესის აღდგენის კონცეფცია, ჩვენზე ადრე იმაევს მოთხოვნით და აგრეთვე, მიწებიც რომ არ გაყიდულიყო, იქცა ილია ერის სულიერ ლიდერად. მაშინ, როცა ეერაფერი მოუხერხეს მის ირგვლივ აზვირთებულ ერს, დაიწყო ბოროტებამ ხელოვნურად პოლიტიკურ პარტიათა გამრავლება, რათა მიტმასნილი ეროვნული ლოზუნგებით და ტყუილებით გადაეჩეხათ, დაეპირისპირებინათ

ერთმანეთში ხალხი. ასევე ილიასთვის ზღვა უსაფუძვლო ჩირქი მოეცხოთ, რაც მოახერხეს და მერე ილიაც მოკლეს.

ზვიად გამსახურდიამ გაითვალისწინა ეს ყოველივე და უკვე პოლიტიკურ პარტიათა ნაკრებით მოვიდა ხელისუფლებაში, იყო სრულიად საქართველოს მხარდაჭერა. მაგრამ უკვე შიგნით დაუპირისპირდნენ ეს პარტიები, რადგან ბოროტება ყოველთვის თვითონ ქმნის პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მასმედიას და გარედან აფინანსებს. ეს იგივე ახალი ენებია, რომელთა მიზანია, მათი კონცეფციებით თორის მაგივრად ახალ ლიდერებად, ღმერთაბად წარმოჩნდნენ, თითქოს უფალზე უფრო მეტად ზრუნავენ ხალხისათვის.

თორით კი ცნობილია, რომ ისინი ყველანი განა ღმერთზე, მოყვასზე და სამშობლოს სიყვარულზე ფიქრობენ, არამედ საკუთარი პარტიისა და სახელის განდიდებისთვის იღვწიან. შედეგად, მათი ასეთი სიამაყიდან გამომდინარე, ყველაფერზე მიდიან. ამიტომაც კანონიერი ხელისუფლების ხელისუფლებაში მოსვლისასაც მოხდა ხელოვნურად პოლიტიკურ პარტიათა გამრავლებაც, ხალხის ცნობიერების, გონების აღრევა ყველაზე საშინელი ცოდვის – დაპირისპირების დანერგვისათვის. ამისათვის მათ მაშინვე მოითხოვეს ორდანიას მთავრობის კონსტიტუციის აღდგენა. ყოველი კონსტიტუცია კი ღმერთის მიერ მოცემული თორის საწინააღმდეგოდაა შედგენილი, შედეგად,
ყოველი ჩვენი, ეროვნულ მოღვაწეთა ძალისხმევა კელავ სიკეთის შემობრუნებისაკენ ფუჭი ხდებოდა.

მაგრამ ჩვენთან მუდამ იყო შინაგანი ხმა მეექვსე გრძნობის, უფლის მიერ შთენილი ღვთიური სულის მისწრაფებისა, რომ კვლავ გველვაწა ერის სულიერად კვლავ აღორძინებისათვის, რაც იგივე უფლის სურვილია. ამან გადაგვატანინა ამდენი ღალატი და ჩვენი მიწების უმოწყალოდ გაყიდვაც.

შემდეგ კი ამ ხმით ჩვენი აღშფოთებული სულის დაწყნარება ვპოვე მხოლოდ ღმერთთან მისვლაში. მივხვდი, რომ ხსნა ყოველი ქართველის ტრადიციული სულიერი განათლების აღდგენაზე, ღმერთის შიშსა და სიყვარულზე გადიოდა, რამეთუ თორაში ჭირნახულობამ, დამარწმუნა, რომ ყოველივე, რაც ხდებოდა, ეს ჩვენი სულიერი გამოცდა იყო და ჩვენ უფალ მშობელს სურდა, რომ გადასარჩენად ყველა მისულიყო მასთან, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი ერისათვის, სანამ რუსეთს შეეუერთდებოდით.

ამადაც იქცა ეს ქვეყანა სიკეთის ციტადელად, რომ თორის სწავლიდან გამომდინარე უპირველესი იყო ჩვენთვის ღმერთის სიყვარული, და ლოცვები. ყველგან სიყვარულით ერთობა სუფევდა. ასე ვიმარჯვებდით და ქართული ცხოვრების წესის აღსადგენად სწორედ ეს უნდა გახდეს ჩვენი უპირველესი მოვალეობა. სურვილი ასეთი განათლებისა და ყოფადობისა ყოველ ქართველში – ღმერთის შვილში დევს, რისთვისაც თვით უფალმა იღვაწა რუდუნებით საუკუნეების განმავლობაში.

ამის მერე ვეძებდით გზებს, გამოსავალს, როგორ დაგვერწმუნებინა, გვენუგეშებინა კაეშნამდე, სასოწარკვეთილებამდე მისული ქართველი ერი, რომ გამოსავალი უფალთან მისვლა იყო. ასე დამარცხდებოდა ბოროტება. რამეთუ, როგორც დავიდი ამბობს ფსალმუნში 37.25: „ყმაწვილი ვიყავი, კიდეც მოვხუცდი და არ მინახავს მართალი კაცი მიტოვებული და მისი შთამომავლობა პურზე ხელგაწვდილი“. 26: „ყოველდღე მოწყალებას გაიღებს და გაასესხებს, და მისი შთამომავლობა კურთხეულია“. 28: „რამეთუ უფალი სიმართლის მოყვარულია და არ მიატოვებს თავის წმინდანებს, სამარადისოდ დაცულნი იქნებიან; ბოროტთა ნაშიერი კი ამოწყდება“.

ამის დარწმუნება ძნელი იყო, რადგან 210-წლიანი რეჟიმით სრულიად მოწყვეტილნი აღმოვჩნდით ტრადიციული თორის სულიერი განათლებისგან.

და მაშინ ნელ-ნელა წარმოუდგენელი სიხარულით, ნათლის იმედით გამინათდა გონება, როდესაც უფლის ნებით და ქარნახით გენიალურ „ეფხისტყაოსანში“ ამოვიკითხე თორის არსი, რომ მასში აღწერილია, როგორ ვითარდებოდა სამყარო და როგორ განვითარდება მოვლენები XII საუკუნის მერე მთელი ერის და სამყაროს სულიერი აღორძინებისათვის. გამოვეცით კიდეეაც პირველი წიგნი.

შემდეგ კი, ბოლო ორი წიგნით ავხსენით მთელი თორის მეტად დაფარული საიდუმლოებათა შინაარსი სოლომონის „ქებათა ქების“ 216 საიდუმლოებათა გამომზიურებით. მათ შორის, რომ დღეს მესიის ერა დაწყებულია და უდიდესი შუქის ჩამოსვლით ხსნა მალევე იქნება. ასე ნელ-ნელა ჩვენს მიერ მოწოდებული იყო თორის საიდუმლოებანი ერთ მთლიან კონტექსტში.

დღეს კი, ვიმეორებთ, რომ ყველამ მიიღოს ეს განათლება, რათა გაბრძენდეს მით, რომ ყველაფერი გავიაზროთ ერთიან კონტექსტში, რაც შემდგომი მარადიული ნეტარების საწინდარია. კიდევ ამიტომაც ვწერთ წინამდებარე ნაშრომს.

ვიცით, სააკაშვილის რეჟიმის დროს კიდევ უფრო გაიზარდა ხალხთა სიდუხჭირე, იყო აღვირახსნილი წამება ეროვნებით ქართველთა. უფრო მეტი ხალხი გავიდა ქვეყნიდან. და ამ დროსაც, რუსთველით თორის არსის შეცნობისას, მივხვდი, რომ ჩვენი ასეთი სულიერი გამოცდა მთავრდებოდა.

ცოტაც და, სიკვდილის პირას მიყვანილი ერი მალე აღორძინდებოდა ბნელეთიდან ისე, როგორც იობის საშინელი ტანჯვა-წამების მერე მოხდა. ვწერდი კიდევაც მე-2 წიგნის II ნაწილში: „როცა უთხრა სატანამ უფალს, მარტო აბრამია შენი ერთგულიო, ხოლო იობი ჯერ არ გამოგიცდია ერთგულების დასამტკიცებლადო“.

ჩვენი აზრით, ასეთი დიალოგი სატანისა უნდა შემდგარიყო ისრაელისა და საქართველოს მიმართებაშიც. რომ როგორც ებრაელები, ქართველებიც გამოცდილიყვნენ 210 წელი. გავიხსენოთ, ჯერ უფალი როგორ ეუბნება აბრაამს, რომ ეგვიპტის ტყეობაში იქნებიან შენი შვილებიო (დაბადება 15-16): „და მეოთხე თაობა დაბრუნდება აქ...“ ამავე დროს ეს იყო წინაპართა – სამი მამის და ცამეტი შტოს გენეტიკური კოდის გამოცდა. რადგან უფალი იძახის, მესამე-მეოთხე თაობას მოეკითხავო. თითო თაობა 70 წელია და ებრაელთა ეგვიპტის მონობაში ყოფნა 210 წელი მიმდინარეობდა. შედეგად, ითქვა, ვინც არ დაკარგა ენა, სახელი, ჩაცმულობა, რაც 12 შტოს მიერ ერთი ღმერთის აღიარებიდან გამომდინარეობდა, სწორედ ისინი გამოვიდნენ ეგვიპტიდან.

და სწორედ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებას არ ვარაუდობდნენ, ვწერდი მას ვრცელ წერილში, ჩემს მიერ ნასახსოვარ პირველ წიგნის წარწერისას 2011 წელს, რომ „210 წელი ჩვენი ტყეობისა, 1801 წლიდან დაწყებული, იწურება და თქვენ გაიმარჯვებთ“. შემდეგ კი ამ წიგნის გადაცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ უფლის ნებით გამოაშკარავდა პატიმართა და სხვა საშინელი მოულენები, რამაც დააჩქარა სააკაშვილის რეჟიმი.

ეს ყოველივე უფლის შეწევნით მოხდა, რადგან სულს ღაფავდა ქართველი ერი, სრულიად გადაგვარდა ქართული სოფელი, ქართველთა სულიერი გაძრაველების წყარო. ცოტაც და საქართველო აღარ იქნებოდა. ისიც სასწაულია, როგორ აღადგინა ივანიშვილმა ასე დაქცეული ქვეყანა, რაზეც კიდევ ვიტყვით.

მას მერე გავიდა 5 წელი, მრავლდება უკვე ახალი, ანუ მეორე თაობა იმ უდაბნოს თაობის, რომელნიც თორის სწავლის მეტს არაფერს აკეთებდნენ. ამიტომ, ვფიქრობ, მათი რაოდენობის გაზრდის პარალელურად, თორაში მოჭირნახულენი გამრავლდებიან და მალე გამოვლინდება მესია. ყველა ნელ-ნელა თორაში ვიჭირნახულებთ. რამეთუ ეს ამ თაობის სულიერი ნეტარების მოთხოვნილებაა. ეს დღეს აშკარად ჩანს. ამიტომ ყოველ წელს ველით მას, რომლის მოსვლისას სწორედ თორის სწავლება გაძლიერდება.

ჩვენი აზრით, არა უმეტეს 23 წლისა, უნდა დამთავრდეს ყველაფერი. რამეთუ დღეს გასულია 5777 წელი. როგორც ცნობილია, ისრაელთა ბრძენების, რიშონების, მიერ საბუთდება, რომ 200 წელი მაკაბელთა მოღვაწეობისა გაუქმებული იყო უფლის მიერ. ეს წლები სრულიად ამოვიდა ისრაელის ისტორიიდან, რადგან მათ არ მიიწვიეს მეფედ დავიდის შთამომავალი. ამდენად, დღეისათვის გასულია უკვე 5977 წელი სამყაროს შექმნიდან. 6000 წელი დასრულდება 23 წელში და ამის შემდეგ უკვე გადავალთ მეშვიდე დღეში, შაბათში – სამოთხეში. ასე შეიქმნება მესამე ტაძარი ამ ორი ერის ერთობით. და ეს ყველაფერი, რომლითაც ნათლის იმედი ღვივის ჩვენს სულში შთენილი, მოხდა მხოლოდ მაშინ, როცა შევიცანით შოთას გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. მისით განათლებით გაძლიერდა ჩვენში წარმოუდგენელი უფლის სიყვარულის შუქი, რომელიც ისედაცაა შთენილი ჩვენი წინაპრებით. და რაოდენ საკვირველია, რომ ჩვენზე ადრე ეს ყოველივე ნაწინასწარმეტყველები ყოფილა.

1.4.1. რუსთველით, საქართველოდან რომ დაიწყება გზა ხსნისა, ჩვენზე ადრე ყოფილა ნაწინასწარმეტყველები

დასტურად მოვიყვანთ 1937 წელს რეპრესირებული პოეტის, ნიკოლოზ მიწიშვილის (სირბილაძის) ნაწარმოების, „შავი ვარსკვლავის“ ნაწყვეტის იმ სასწაულ

წინასწარმეტყველურ სტროფებს, რომელიც ჩემი ნაშრომების მკითხველებმა ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში გადმომცეს:

„და როცა ქართლი სასიკვდილოდ დაისუდრება,
და მის გონებას მოაწვება ცხელი ანთება,
როცა იერი გასახმობად გაიფუთრება,
და მისი ჯიში ქვეყნით-ქვეყნად გაიფანტება –
მაშინ ქეყანა მარტო შოთას გაახსენდება!
ანაფორაში ის დადგება უფლის წინაშე,
საქართველოდან მოწყვეტილი ის აინთება,
და საქართველოს გაანათებს დედამიწაზე!“

ამდენად, რომ წერია „მაშინ ქეყანა მარტო შოთას გაახსენდება...“, „საქართველოდან მოწყვეტილი ის აინთება“, ეს ყოველივე ასეც მოხდა, რამეთუ რუსთაველი მართლაც მოწყვეტილი იყო საქართველოდან, რადგან ის არ იყო გაგებული, ახსნილი, ისევე, როგორც „ქებათა ქება“ სოლომონისა, რომელნიც მთლიანი თორის შინაარსს გადმოგვცემენ მოკლედ.

ხოლო „აინთება,“ ანუ ნათება მისი ნიშნავს, რომ მოხდება ახსნა მისი ნაწარმოებით თორის ძირითადი არსისა, მარტივად და გასაგებად, რაც, რა თქმა უნდა, უფლის კარნახით მოხდა. ეს არის დღეს უმთავრესი საქართველოს გასაბრწყინებლად, რამეთუ, ითქვა, მხოლოდ ამ ქვეყანაშია ორი ძმის და შემდეგ ორი ერის ძალისხმევით დავანებული უფლის შეხინა მუდმივად, როცა გადმოვიდა კიდობნიდან წარღვნის მერე.

ამავე დროს, „ვეფხისტყაოსნით“ მივაგენით იმ ჭეშმარიტებას, რაც ითქვა, სამყარო რომ მუდმივმოქმედებს, არ ინგრევა. ეს მისი – შეხინის გულისხმიერების სასიცოცხლო შუქის დავანების ნაყოფია მუდმივად მხოლოდ ჩვენში, ხოლო ისრაელში ის დღემდე განდევნილობაშია. და ახლაც, თუ ყველა აღვადგენთ ტრადიციულ განათლებას, შემოვა მისით ჩვენ სხეულში ნათელი სულიერი შუქი თორისა – ენისა.

ასე გული სამყაროსი კვლავ დაიწყებს თორით ისეთ ფეთქვას, რომ ტვინს – ისრაელს შეუერთდება-გადაეფარება, ხოლო მათი თორით გასულიერდება მთელი სხეული სამყაროსი. და საქართველო მეტად გამორჩეულად გაანათებს დედამიწაზე. აი, რატომ ნატრობს სოლომონი „ქებათა ქებაში“ ჩვენი ძმობის კვლავ ტრადიციულად აღდგენას.

ამდენად, დღევანდელი ჩვენი მიზანია, ისე აინთოს რუსთველის სიბრძნე სულიერი აღმაფრენისა, რომ ყველამ შეიცნოს იგი, რის შემდეგაც შეხინა შემოვა ყველა ჩვენგანში, შერწყმულნი ვიქნებით მასთან და სრულიად საქართველო ამიტომაც გაანათებს დედამიწაზე.

ასე მალე სამი გმირი, სამი რელიგია ერთი სულით – სიყვარულით გაერთიანდება ისე, როგორც საქართველოში, ქართულ ცხოვრების წესში იყო. მერე ტყვეობიდან დაიხსნიან ნესტანს – ისრაელთა შეხინას და განათდება იბერიაში, ისრაელში, მერე – დედამიწაზე. რამეთუ ჩვენს მიერ ახსნა მთლიანი თორის არსისა „ვეფხისტყაოსნით“ – ეს უფლით ნაკარნახევი ის რაციონალური მიმართულებაა, რითაც გაბრწყინდა, განათდა ჩვენი გონება.

ასე რომ, ხსნა ამ ნაწარმოებებით საქართველოდან დაიწყება. მხოლოდ აქ შეიძლება აღდგეს სამყაროს ხსნის იბერიული ცხოვრების წესი, რაც ქართველთა ეროვნული მოძრაობის გენეტიკური კოდის ყივილია, მოთხოვნილებაა, გამომჟღავნებაა.

210-წლოვანმა იმპერიულმა ტანჯვა-წამებამაც კი ვერ გატეხა, ვერ გადააგვარა უფლისა და მოყვასის სიყვარულის გენეტიკა. შთენილი ჩვენში თორის განათლებიდან გამომდინარე. აი, კიდევ რატომ იწერება ეს ნაშრომი, რომ ყველა დაეწაფოს მისი სულიერი ნეტარების მარადიულ ჰარმონიას – სიყვარულის, სიკეთის გზას სრულიად სამყაროს გადასარჩენად. უფლით შთენილია ჩვენი ზრუნვა მთლიანად სამყაროს გადარჩენისათვის.

იმედია, ამ მოკლე ანოტაციური ნაშრომის მერე მკითხველს გაუჩნდება სურვილი, რომ უფრო ღრმად, ნეტარებით იჭირნახულოს თორაში, რაც მეტად საშურია. რამეთუ მხოლოდ ასე დაიბრუნებს საქართველო სიკეთის ციტადელის ფუნქციებს და აღასრულებს თავის ისტორიულ მისიას მხსნელის მოვლინებისათვის. ამაზე გვმოძღვრავს „ქებათა ქების“ ანუ თორის წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე სოლომონ ბრძენიც.

ასე გვექნება სასწაული ნეტარება არა მარტო წინაპართა ცოდნის აღდგენით, აგრეთვე მით, რომ ახლებურად შევაღებთ უამრავ დაფარულ წიგნთა წიგნის სიბრძნის

კარებს, ლაბირინთებს, რაც თორის ცოდნის ის შესასვლელია, რის მერეც შეგვეძლება მარადიული ცურვა თორის ჰარმონიის ტალღებში.

მსგავსი ჰარმონია არ არსებობს, რამეთუ ის მარადიული ნეტარებით გაბრძენების სიცოცხლის ხეა. და ასე ვუახლოვდებით უფალს სიბრძნით, სიწმინდით, სისპეტაკით, სიმართლით. ვამტკიცებთ და ვიძენთ უამრავ უნაკლო თვისებას. ასე იხსნება ის, რაზეც ამბობდა შოთა:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.
მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან.“

ანუ უპირველესი მიჯნურობა, სიყვარული – ეს არის უფლის, მისი ორი შეხინის და ტომის გვართა ზენათა, ანუ მეფეთა – იბერების, ისრაელთა და ქართველთა-კავკასიელთა. „იგი საქმეა საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, მაგრამ ძნელად ასახსნელია და ჭკვიანებისგან წყენაც იქნება, რადგან აქ მხოლოდ იბერთა მოდგმის თორით განათლებაზეა ლაპარაკი.

ხოლო არიან არაიბერიელნი, მათ შორის გადაგვარებული იბერნიც, რომელთაც ვერ წარმოუდგენიათ იმ ცხოველურ ნეტარებაზე უკეთესი, რის გამოც ადამიანები, მათი მატერიალური განათლებით, სატანის მიერ არიან გამოკეტილნი საღათას ძილით.

ისინი ავადმყოფურად მიიღებენ ყოველივეს, რადგან თორით განათლება ძლიერ აღიზიანებს მათში შთენილ სატანას.

ამდენად, ადამიანები სატანის მიერ შთენილი აზროვნებით, რომ თითქოს ძნელია რჯულის კანონების დაცვა, და ასე გადაიღლებიან.მისით მხოლოდ სატანას გაფრთხილებაა და არა საკუთარი თავისა. ცნობილია, რაც მეტია ჩვენი დაავადებანი და სიკვდილიანობა, მით მეტია დღეგრძელობა სატანისა, რადგან იგი სა-ტანა ჩვენი ტანის მოთხოვნილებითაა შექმნილი და გამოვსწორდებით, როცა ამ ცხოველურ მოთხოვნილებებზე ვიტყვით უარს.

ჩვენ წარმოდგენაც არა გვაქვს, ასეთი ქმედებით სატანას რომ ვუფრთხილდებით, რამდენად ვვნებთ საკუთარ თავს. განსაკუთრებით ჩვენ მშობელს, შემოქმედს, რამეთუ იგი წარმოუდგენელი ავადმყოფობით განიცდის თავის შვილთა სულიერ დაცემას და ნაადრევ ავადმყოფობებს. ეს შეიძლება შევადაროთ, მაგალითად, მშობლის განცდებს, დაახლოებით უსასრულოდ ნაკლებს უფალთან შედარებით, ნარკომომხმარებელი შვილების მიმართ, რაც ასე კვებავს და აძლიერებს სატანას.

ამდენად, ადამიანთა გასულიერებით იგი კარგავს თავის ფუნქციას და ცდილობს, წარმოუდგენელი ხერხებით ატაროს ყველა ჩვენგანი უსნეობის, ურწმუნოებისა და სიზარმაცის მორევში.

ეს სიზარმაცეც იმდენადაა შემოჭრილი ადამიანებში, რომ თუ ჩვენ ვცდილობთ მათ მოქცევას, ამბობს შოთა: „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“. ამავე დროს, ასეთი ისტორია უპირველესად საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. გავიხსენოთ, მოიხსენიებდნენ მას „ბოროტ ლექსთა პატრონად“. ხოლო თვით სოლომონის სიკვდილის შემდეგ მისი წიგნების აღკვეთასაც მოითხოვდნენ, სანამ ზეციდან არ ჩამოვიდა ხმა: ჩემი შვილიაო იგი.

ასე ვართ ერთ მთლიან ზოოპარკში, ცხოველებამდე დაცემულნი, რაზედაც ქვემოთ ვიტყვით.

ახლა იმ ძირითადზეც, შემდგომ მიმართულებაზე ვთქვათ, როგორ უნდა დავიწყოთ, უფლიდან გამომდინარე, ჩვენი სულიერი განათლება.

ნეტარების ხუთი განზომილება

ეს ყველაფერი მიტომ იწერება, რომ სურვილია უპირველესად უფლისა, სრულიად საქართველომ კვლავ აღიდგინოს თავისი ტრადიციული, თორიდან გამომდინარე, უფალთან შერწყმის ისეთი სულიერი ცხოვრების წესი,სადაც ყველა პირველკაცია და სიყვარულით ერთობაა.

ითქვა, ამ სამი ნაშრომით დავინახავთ, რომ მალე იქნება ხსნა. და ჩვენ თავს მოვალედ ვრაცხთ, ქართველთა და ისრაელთა ერებმა, რომელთაც განუზომელი ღვაწლი აქვთ, რომ სამყარო აქამდე არ დაინგრა, შეიცნონ თავიანთი ერთობლივი მისია, მხსნელის მოვლინებისათვის მარადიული ნეტარი სიცოცხლის

განსახორციელებლად. ძალა ერთობაშია.დაპირისპირებისკენ იღვწის მთელი ისტორიის მანძილზე ბოროტება. და მის საპირისპიროდ ყველას მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ერთია მშობელი ყველა ჩვენგანის.

ამდენად, უფალმა ეს სამყარო შექმნა ერთი მიზნით: როგორც იგია ყოვლად სრულყოფილება, აქვს წარმოუდგენელი სიბრძნე და, აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელი სასიკეთო თვისებანი – სიყვარული, სიბრძნე, გულმოწყალება, თავმდაბლობა, გაცემა-გაყოფა და ა.შ., სურვილი აქვს ასეთად შექმნას, გაამრავლოს თავისნაირი, თავისი შვილნი.

ამისათვის, **ამ პროცესში, რაკიღა მიიღვწოდა შეექმნა მისნაირნი, მისი სახიერი შვილები, იგი მოქმედებდა ნეტარებით შემდეგი ხუთი განზომილებით: სიბრძნით, გაცემით, რომელიც საფუძველია სიყვარულის, რაც განაპირობებს ნეტარ შრომას, სიამოვნებას.** რადგან უდიდესი სიყვარულით ქმნიდა მისი სიბრძნის, სიწმინდის ნაყოფს თორას, რითაც უნდა შეექმნა მისნაირი მისი შვილები – ადამიანები, მასავით უკიდეგანო დადებითი თვისებებით.

ადამიანებს კი დაუწესა 6000 წელი ამ თორის შესწავლა-განვითარებისათვის, მისით ცხოვრებისათვის რათა შეიქმნან მასთან მიახლოებული სასიკეთო თვისებებით. ახლა 5777 წელია, პლუს, როგორც ითქვა 200 წელი, ანუ ჩვენ ვიმყოფებით ჩვენი საბოლოოდ გაბრძენების მე-6000 წელში.

აქვე უნდა ითქვას, რაკიღა ადამიანები უფლის სახიერნი ვართ, როგორც რაბი ბენ იშხაი გადმოგვცემს, როცა სული ჩამოდის ამ ქვეყანაზე, იგი ჩამოდის იმ სამყოფელიდან, სადაც უფლით დიდ ნეტარებაში იყო. დედამიწაზე იგი მიიღვწის იმავე სიამოვნებისკენ. ხოლო, მარადიული ეს განზომილება მაშინაა, როცა შეხინასთან გვაქვს კავშირი, რაც მხოლოდ და მხოლოდ თორით განათლების შედეგად მიიღწევა. ამიტომ დროა, დავიწყოთ მისით განათლება.

თორის მე-5 წიგნის დასასრულს მოშეს მიერ გადმოცემულია კურთხევა და წყევლა, რომელიც სრულყოფილად ახდა. წყევლაა მასზედ, რომ არ დაიცავენ ისრაელნი მცნებებს, სასტიკად დაისჯებიან ამისათვის და მერე დევნილობაში იქნებიან წმინდა მიწიდან. კურთხევა კი მასზედაა, რომ ეუბნება უფლის წინასწარმეტყველებას მოშე თავისი სიკვდილის წინ. ვინც დაიმსახურებს თავისი თორაში ჭირნახულობით კურთხევას, ისინი დაბრუნდებიან წმინდა მიწაზე და ფრიად მომაღლდებიან. შემდეგ განაგრძობს:

გავიხსენოთ მე-5 წიგნი ნიცაბიმ 30-7: „და წარმართავს შენი უფალი ღმერთი ყველა ამ წყევლას შენს მტრებსა და შენს მოძულეებზე, რომელნიც გდევნიდნენ.“ ამდენად, დღეს ყოველივე ეს სრულდება, რამეთუ, ვხედავთ, საიდანაც გამოვიდნენ ებრაელნი, იმ ერებს, როგორც ეგვიპტელებს, იმავე სახით აქვთ საშინელი სტიქიური მოვლენები და მწირი, უგემოვნებო ნაყოფი.

მილიონობით ხალხი იხოცება და ჩვენი ისტორიული მტრის, ესავის მოდგმის კატასტროფული კლებადობაა. ამადაც გავრცელდა დასჯის სახით ერთსქესიანობა. ასე უკვე მეათე დასჯაც „პირმშოთა სიკვდილი“ ისევე, როგორც ეგვიპტეში იყო, გარყვნილების გამო ახლაც ვითარდება, რამეთუ ისინი, გარყვნილობიდან გამომდინარე, იმპოტენციისა და სხვა დაავადებათა გამო, ვერ მრავლდებიან და მალე მიდიან ამ ქვეყნიდან. ამიტომ ყველამ უნდა ვიაროთ უფლის მცნებებით და როგორც ებრაელებს, ეს ყველა სიტყვა გვეხება აგრეთვე ჩვენ, ქართველებს, ასევე ყველა ხალხს, რადგან კიდობნიდან რომ გამოვიდა სამივე ძმა, შემი, ქამი და იაფეთი, ისინი გასამრავლებლად აკურთხა უფალმა.

ისიც ნათლად ჩანს, რომ მშობელი მიწა წმინდა ერისა, იგივე დედა – წმინდა მიწა მხოლოდ ღვთისნიერად მოქმედ სიყვარულით გამცემლებს, სიკეთით მოქმედებს შობს და აფერთხავს სიუხვეს. ამიტომაც, როდესაც გავიდნენ ებრაელები, ამ დედამ არცერთი დამპყრობელი მუსულმანთა და ქრისტიანთა სახით არ მიიღო და თანდათანობით ეს ედემ-ქვეყანა უდაბნოდ იქცა.

ხოლო მის მერე, რაც დაბრუნდნენ ისრაელნი ამ ქვეყანაში, მათი თორის სწავლით და მისით ქმედებით ეს ქვეყანა ნელ-ნელა მალე კვლავ ისევ იმ ედემად იქცევა, სადაც რძე და თაფლი მოწვეთავს.

და ვისაც მარადიული სიცოცხლე უნდა, უნდა შეასრულონ რჯულის კანონები. ებრაელებმა, ქრისტიანებმა და მუსულმანებმაც იმდაგვარად, რაც მათ რჯულშია. და ეს ყველაფერი დაფუძნებული უნდა იყოს იმ ხუთწიგნეულზე – უფლის შემოქმედებაზე. ასეთი თანაცხოვრების მაგალითი იყო ქართული ცხოვრების წესი, სადაც სამივე

რელიგიის წარმომადგენლები ურთიერთ გვერდში დგომით და სიყვარულით ცხოვრობდნენ (იხ. 1-ლი წიგნი).

ამადაც ჩვენ ვიყავით სამყაროში ერთადერთი ქვეყანა, სადაც დანერგილი იყო ის სულიერი მიწათმოქმედების წესი, რომელიც დაფუძნებული იყო თორის მცნებებზე.

ამავე დროს, ამავე თავის მე-15, მე-16 პუნქტებში დაწერილია: „უყურე, გთავაზობ შენ დღეს სიცოცხლეს, სიკეთეს, სიკვდილს და უკეთურობას. გავალებ რა დღეს, გიყვარდეს შენი უფალი ღმერთი, იარე მისი გზებით და დაიცავი მისი მცნებანი, წესდებანი და კანონები, რათა იცოცხლო და მომრავლდე“.

ეს სიტყვები რომ არაა ნათქვამი მხოლოდ იმ თაობისათვის, ვინც გამოვიდა, დასტურად აქ ორჯერ მეორდება სიტყვა „დღეს“. და საერთოდ, თორის ხუთწიგნეულში მუდმივად იწერება „დღეს“. ეს მიგვანიშნებს, რომ ყოველი სიტყვა, რაც იქაა ნათქვამი, უნდა აღსრულდეს ყველა თაობის მიერ სამყაროს შექმნიდან 6000 წლის განმავლობაში ყოველდღე, სანამ მოვა მესია, და არ უნდა გადავუხვიოთ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ.

ამიტომაც ყოველ წელს, ყოველ შვიდდღეულში იკითხება ხუთწიგნეულის ახალი თავი და ის მუდამ ახალ-ახალი სიბრძნით გვავსებს. ამდენად, თორაში ნახსენები ყველა სიტყვა ყოველ დღეს ერთნაირად ყველა თაობას ეხება, რადგან უფალი ხუთი დღე ჰქმნიდა სამყაროს, ხოლო მე-6 დღის ადამიანის ქმნადობა ჯერ არ დამთავრებულა. იგი დამთავრდება მე-7 დღეში – შაბათში, სამოთხეში, სადაც დაისვენა უფალმა.

ამდენად, სიტყვა „დღეს“ მიგვანიშნებს იმ მეექვსე დღეზე ადამიანის ქმნადობისა, რომელიც ყოველდღეა და დასრულდება 6000 წელში. მე-7 დღეს კი, ანუ შემდგომ მეშვიდე ათასწლეულში, როგორც უფალმა დაისვენა, ასევე დაისვენებს ადამიანი, ანუ იქნება შაბათში, მარადიულ სამოთხეში განცხრომაში. და ეს გაგრძელდება. ოღონდ დღეს შაბათის დაცვა – ეს ებრაელთა მოვალეობაა. თუმცა, მალე ყველა დღე იქნება სამოთხისა – შაბათისა, როგორც ჩვენს საკვირაო კალენდარშია ნაწინასწარმეტყველები.

შედეგად, 7-ათასწლეულს მთლიანი სამყარო და ადამიანები შერწყმულნი იქნებიან მასში – ერთში, ღმერთში გასულიერებულნი მარადიული ნეტარი შუქით. ხოლო ამისათვის, რომ ადამიანებმა მიაღწიონ ასეთ დონეს, მათთვისაც თორის შესასწავლად უფლით განსაზღერულია მუდმივად – ნეტარებით მატებადი ხუთი განზომილება: სიბრძნე, გაცემა, სიყვარული შრომა, სიამოვნება. და ასე შესწავლა იმ თორისა, რომლის ნაწილიცაა ჩამოსული დედამიწაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაშია ეს ხუთი განზომილება მუდმივი, როცა ყველა ვიჭირნახულებთ თორაში, რითაც რაც შეიძლება მაქსიმალურად ჩავწვდებით მის უძირო სიბრძნეს.

ამ ხუთივეს განაპირობებს, როგორც ითქვა, შეხინასთან მუდმივი კავშირით უმთავრესი განზომილების – „სიბრძნის“ დაუფლება, რითაც განისაზღვრება მარადიული სიცოცხლე და მისი ხარისხი. ამიტომ, მისი გაზრდის შედეგად ხუთივე ერთად დღითიდღე წარმოუდგენლად იზრდება და მხოლოდ ამ შემთხვევაში ყოველი ჩვენგანისათვის ყოველი დღე უკეთესია წინარეზე.

ასეთ ბრძენს უპირველესად შესწავლილი აქვს თავისი თავი, როცა ის თორაში ჭირნახულობს, იცის, რა არის კარგი თავისთვის. იგი ხედება, რომ სიბრძნის, ამ მარადიული სიცოცხლის სულიერ საგანძურთან ვერცერთი მატერიალური განძი-ქონება ვერ მოვა, იგია ნეტარი მარადისობის საფუძველი.

ხოლო ქონ-ებიანს ქონი ედება, თუ არ ჭირნახულობენ თორაში. აქედანაა ფუ-ლიც და ფუ-ფუნებაც – ორივე სამჯერ „იფურთხებიან“. გავიხსენოთ, დავით-სოლომონის ხანაში, როცა ხალხი დაეწაფა თორის სიბრძნეს, მათ ქვეყანაში ოქროს, აგრეთვე რკინას ერთი ფასი ჰქონდა.

ახლა გავაანალიზოთ უმთავრესი, როგორ უნდა ვიმოქმედოთ ყოველმა ერმა, რომ გვქონდეს ხუთივე ნეტარების განზომილება და მუდმივად ყოველი დღე უკეთესი იყოს წინარეზე, გამომდინარე „ქებათა ქებიდან“და „ვეფხისტყაოსნიდან“?

როგორ, რისთვის და რა გეგმით შეიქმნა სამყარო – ადამიანი? სამი სამოსელი ჩვენი სულისა

ცნობილია, ანგელოზები შეიქმნენ, რათა ემსახურონ უფალს ადამიანის და მთლიანი სამყაროს სრულყოფილად ჩამოყალიბება-ქმედებისათვის. ამისათვის ყველა მათგანს

გარკვეული ფუნქცია დააკისრა შემოქმედმა, ზოგი სიმართლის ანგელოზია, ზოგი – მშვიდობის და ა.შ.

და, აი, უფალმა ოთხი ძირითადი მიმართულების ანგელოზებს ჰკითხა აზრი, შექმნას თუ არა ადამიანი. ქველმოქმედების, წყალობის, წმინდა ენაზე იგივე ხესედის ანგელოზმა, დადებითად უპასუხა იმიტომ, რომ, ადამიანს ექნება თვისება – გასცეს;

სიმართლის, ჭეშმარიტების ანგელოზმა უარყოფითად უპასუხა, რადგან იგი იტყუებაო;

სამართლის – სამართლიანობის ანგელოზმა დადებითად უპასუხა, რადგან იგი სამართალს განახორციელებსო.

ხოლო მშვიდობის ანგელოზმა იუარა – ადამიანები ვერ შეიცნობენ თავიანთ თავს, ამიტომ მუდმივად გაამართლებენ საკუთარ ქმედებას, სხვებისას არ გააანალიზებენ ჯეროვნად. ამიტომ კონფლიქტებისა და ტყუილის სამყაროს შექმნიანო, ასე არ იქნება მშვიდობაო.

ამდენად, ხმები თანაბრად გაიყო. უფალმა კი ჩამოაგდო ჭეშმარიტების ბეჭედი დედამიწაზე, რომელსაც აქვს ძალა, გაანადგუროს ტყუილის ყველა ქმედება.

საქმე ისაა, რომ უფლის განზრახვით ამ პატარა მარცვლისგან, რომელიც ჩაითესა დედამიწაზე, ნელ-ნელა აღმოცენდება ჭეშმარიტება, სიმართლე და თანდათან მუდმივად გამოააშკარავებს, გაანადგურებს ტყუილით ყველა ქმედებას. და ისტორიაც, შეთითხნილი ყველა დროის მატყუარებით, უფლით თანდათან გამოაშკარავდება. ამავე დროს ჯობია, ამ მატყუარებმა აქ დროზე მოინანიონ, რამეთუ ისინი შეიძლება არც ელირსონ ამის გამო ზევით ასვლას და ჯოჯოხეთსაც. ხოლო თუ ავა მათი სული ზევით, იქ მეტად საშინლად განსაკუთრებით წამებით აგებინებენ პასუხს ტყუილების გამო. აქედანაა ქართული გამოთქმა: „ტყუილს ხალთაში ვერ დამალავ“, ან „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“.ამდენად, კიდევ მინდა მივმართო, ვინც შესცოდა საკუთარი ერის წინაშე: ჯობს, აქ მოინანიონ ღვთის წინაშე, რამეთუ მოწყალეა შემოქმედი და ელოდება ჩვენს მოქცევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზეცაში მეტად მკაცრია ანგელოზთა სასამართლო.

თუ როგორ დაიწყო ჩასახვა ჭეშმარიტებამ, ამაზე მოგვიანებით, ასევე მეორე იგავით განვმარტავთ. ხოლო უფლის ამ ქმედებით საბოლოო მიზნის მიღწევას გადმოგვცემს დავიდი 85-ე ფსალმუნში: 12. ჭეშმარიტება დედამიწიდან აღმოცენდება და სამართალი ზეციდან გადმოხედავს. ანუ მართალ კაცს მუდამ უდგას უფალი გვერდში და ის ყველა მისი ქმედებით მუდმივად გამარჯვებულია დედამიწაზე. დასტურად, სწორედ მხოლოდ მათთვის შემდეგი ქმედებაა უფლისა: 13. უფალიც გვიბოძებს სიკეთეს და ჩვენი მიწა მოგვცემს ნაყოფს; 14. სიმართლე ივლის მის წინ და გზას გაუკაფავს მის ნაბიჯებს. საბოლოოდ კი, ასე იქნება მარადიული სიცოცხლე: 11. წყალობა და ჭეშმარიტება შეხვდებიან ერთმანეთს, სიმართლე და მშვიდობა გადაკოცნიან. აი, როგორ ემთხვევა ეს იგავი და დავიდის ფსალმუნები, ანუ ჩვენი სწორი ქმედებით როგორ გახდება ოთხივე ანგელოზი დადებითი აზრისა ადამიანების მიმართ.

ამდენად, სწორი სამართალი, მართალი სიტყვა მოიტანს მშვიდობას, ერთობას და მარადისობას, რასაც მალე მიხვდება ყოველი გონიერი ადამიანი.

უპირველესად აღვნიშნოთ, რომ თვით ღმერთი „ორ“ შუქის, სიწმინდის, სიბრძნის გამომშუქებელია მისი სიმართლის, სიწმინდის სიტყვიდან გამომდინარე, რომლითაც მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ქმნადობა 10 სეფიროთის საშუალებით.

როგორც ითქვა, უფლით რეალურად მხოლოდ 10 ციფრი არსებობს. ამ ათში ჩადებულია მილიარდობით ხალხის ბედი.

ახლა გავიხსენოთ მე-2 წიგნის III ნაწილი. როგორც უდიდესი რაბინი ბაალშემტოვი გადმოგვცემს, უფალმა მთელი სამყარო შექმნა აზრით, სიტყვით და ქმედებით. აზრი მისი თორაა, სადაც ჩადებულია გეგმა ქმედებისა, ხოლო სიტყვა უფლისა და ქმედება უკვე ასახავს მთლიან ქმნადობას.

ამავე დროს, „აზრი“ უფლისა გადმოიცემა წმინდა ენის 22 ასო-ნიშნით, თუმცა აზრის ჰემატრია – რიგითი სათვალავი 37-ია, ისევე, როგორც ასო-სი, ანუ 37 ასოთი ყალიბდება აზრი. ეს გვახვედრებს, რომ წმინდა ენაში მისი სიბრძნის შეფარვისათვის უფლით 15 ასო-ნიშანი კოდირებულია და იქ აზრი 37 ერთეულ ასოს შეიცავს. მართლაც, წმინდა ენაში დამატებით ხომ 5 სოფითია, ხუთს ორმაგი დასახელება აქვს, ხუთიც ხმოვანია, ანუ სულ 37 ერთეული გამოიყენება. დასტურად, ვიცით, დედა ენა, მისი ასომთავრული ანბანი 37 ასო-ნიშანს შეიცავს.

ამ 37 ასო-ნიშნით ჩვენ მთელი თორის არსი, სამყაროს ისტორია და უამრავი სხვა საიდუმლოებანი ანბანისა წარმოვაჩინეთ წრეწირზე (იხ. წიგნი მე-2, III ნაწილი).ასე წრეწირზე, დედა ენის 37 ასოს პარალელურად, წმინდა ენის 37 ერთეულისასო-ნიშანთა დასმით, მასში იგივე სიბრძნე წარმოჩნდება, რაც ასომთავრულშია: ის წინასწარმეტყველურია. ასო-ნიშნები იდეოგრაფიულია, კალენდარულია, აღმნიშვნელია ბგერის, მარცვლის, სიტყვის, რიცხვთა. მასში ჩადებულია მზისა და მთვარის კალენდრები.ამდენად, დედა ენით იხსნება წრეწირზე, წმინდა ენის არსი, როცა ასომთავრულის ასო-ნიშნების დასმის პარალელურად ასევე ისმება წმინდა ენის 22 ასო-ნიშანი და მისი კოდირებული ასოები.

რაც მთავარია, აქ ჩნდება, რომ წმინდა ენა წინასწარმეტყველურია და თორის არსს გადმოგვცემს. ეს დაფარული დედა ენით იხსნება. ხოლო სიტყვა უფლისა, როგორც ითქვა, ყალიბდება სამი განზომილებით.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ 13 რიცხვია 10-ის პარალელურად ნამღვილი უმთავრესი რიცხვი, რამეთუ ჰემატრიაა უფლის უმთავრესი სახელის „ერთის“ და სიყვარულისა წმინდა ენაზე ცა-მეტია, ანუ ცითაა მეტი ეს ციფრი სხვა ციფრებზე.

საკვირველია და მეორე სამოსელით ანუ სიტყვით უფლისა შეიქმნა სამყარო და დღესაც მისი სიტყვით ქმედებს იგი. „ქმედება“-ს ჰემატრია, რს 52-ია, ხოლო მინიჰემატრია – 7. ანუ ამ სიტყვაში დევს ყველაფერი. მაშინ გადავალთ მეშვიდე დღეში, იგივე სამოთხეში – შაბათში, როცა ჩვენი „აზრი“, იგივე პირველი სამოსელი, რომლის ჰემატრია 37-ია „სიტყვით“ უფლიდან გამომავალი მეორე სამოსელით, რომლის ჰემატრია 13-ია, ვიქნებით უფალიყით შაბათში, მეშვიდე დღეში – სამოთხეში, როცა მან დაისვენა. აქედანაა „ქმედება“-ს, ანუ მესამე სამოსელის მინი ჰემატრია 7.

თვით „შაბათის“ რიგითი სათვალავი (რს) ჰემატრია 50-ია, ანუ უფლის შეწევნით, როცა ჩვენ გავაღებთ სიბრძნის ყველა 50 კარს, მერე მოხდება, რომ გადავალთ პარასკევიდან შაბათში. და ამას მოიმოქმედებს ორიენ ერი – წმინდა და დედა სწორი სამართლით. დასტურად, „სიბრძნის“ ჰემატრია (რს) 100-ია, მაგრამ „სიმართლის“ – 99. საქმე ისაა, რომ ამ სამყაროში ყოველთვის ვერ იტყვი სიმართლეს*. ხომ ავადმყოფებსაც არ ვეუბნებით ხანდისხან სიმართლეს, რომ სიცოცხლე გაუხანგრძლიედეთ. ამიტომაცაა 99-ის მინი ჰემატრია 18, რაც, თორიდან გამომდინარე, მარადიული სიცოცხლის რიცხვია.

ანუ ყველაფერი უფლის სიმართლეზე, მართალ სიტყვაზე იქნება დაფუძნებული, დასტურად, წერია ფსალმუნში 33.5: „უყვარს სიმართლე და სამართალი; უფლის წყალობით სავსეა ქვეყანა“; 6. „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მის ბაგეთა ქარით მთელი მისი შემადგენლობა“,

და შუქს წმინდა ენაზე მიტომ ჰქვია „ორ“, რომ იგი ღ-მ-ერთი – ერთიანი ორობითაა მისი შეხიზნის წარმოუდგნელი ერთგულებიდან გამომდინარე, რომელიც სრულიად ნეტარებით აღმქმელია და განმმარტავია მისი სიბრძნის, სიწმინდის ენიდან – სიტყვიდან გამომდინარე.

მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ არ ვგავართ შემოქმედს და როცა რაიმეს კარგს ვაბრობთ, ხშირად ის არ არის ჩვენი აზრიდან გამომდინარე, ვიტყუებით ქვეტექსტებში და გეგონია, ეს უმნიშვნელოა, ამისათვის არ დაისჯებით. ითქვა, ყოველ ჩვენგანთანაა უფალი კაცშირში ღვთიური სულით და როცა ჩვენ თითქოს უმნიშვნელო ტყუილს ვიძახით, ეს მას არ მოსწონს, რადგან არ არსებობს 99%-იანი სიმართლე – იგი ან არის, ან არ არის.

საქმე ისაა, ჩვენ „თავის-უფალი“ იმიტომ ვართ, რომ ჩვენ ვართ უფალი ჩვენი თავისა, ჩვენი ბედისა. ანუ ჩვენი ქმედება უნდა იყოს უფალიყით ანკარა, წმინდა. უფალი კი, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და აკეთებს და ჩვენ როცა ვიტყუებით, ეს არც მას მოსწონს. რაც მთავარია, ასე შენ სატანას ვერ მოატყუებ. პირიქით, მას შენ აძლიერებ, რადგან იპოვა დაპირისპირების საბაბი. შედეგად, ის ახვედრებს შენს მიერ მოტყუებულს, რომ შენ მოიტყუე. ასე ძლიერდება იგი ორივეში და ცდილობს,

---

*გავიხსენოთ, როცა მეფე შაულმა ფილისტიმელებთან ომის წინ წინასწარმეტყველ შმუელის სული გამოიძახა, მან უთხრა: თუ წახვალ საომრად, შენ მოკვდები, ასე გამოისყიდი ცოდვებს და შენს მაგივრად შენს ტახტზე შენზე უკეთესი დავიდი დაჯდებაო. მაშინ შაულმა ჰკითხა, შენ ადრეც მითხარი, შენზე უკეთესი დაჯდებაო, მაგრამ არ მითხარი, რომ ეს დავიდი იქნებაო. მან კი უპასუხა: მაშინ შენ მოკლავდი მას და სიკეთისიყის მოვიტყუეო. ახლა კი მე სიმართლის სამყაროდან გელაპარაკები და ამიტომაც აქედან ტყუილის თქმის უფლება არა მაქვსო. ამიტომაც აქ სიმართლეს, 100 რომ გახდეს, 1 ერთეული აკლია.

ჩამოაგდოს დაპირისპირება. შედეგად, სული ჩვენი, რომელიც უფლის ნაწილია, საშინლად განიცდის ტყუილს. რამეთუ დაპირისპირება ყველაზე დიდი ცოდვაა. იმიტომ, გარდაცვალების მერე ასეთ, თითქმის უმნიშვნელო ტყუილებზე იქნება სათანადო სასჯელიც.

აქედანაა სულის მოთხოვნილებიდან დასჯები, ავადმყოფობები, რომ გამოვსწორდეთ. და შემდეგ უფრო ძლიერ არ დაგისაჯოთ. მაგრამ ბევრი ვერ ხვდება ყოველივეს. ანუ ჩვენ არ გვჯერა, რომ ყოველივე ცუდი და კარგი უფლიდანაა.

ეს არის ურწმუნოების ის საშინელი სტადია, როცა ავადმ-ყოფო-ბას ჩვენ განა ავად ანუ „ავ“ არასწორ ქმედებაში ვეძებთ. მაგალითად, მომტუყებელი თუ მოინანიებს ტყუილს და პატიებისათვის ფულს ღარიბებში დაარიგებს, მაშინ უმალ მოხდება განკურნება. ჩვენ კი, ექიმებისკენ მივისწრაფით, რაც თორით გაუნათლებლობის გამოა. რამეთუ გვგონია, რომ ეს უმნიშვნელო ტყუილია, მაგრამ ტყუილი ან არის, ან არ არის. და თუ ვეჩვევით უმნიშვნელო ტყუილს, ტყუილის საზღაური ისევ ტყუილია. შემდეგში ბევრად მნიშვნელოვან ტყუილში, თუნდაც ტრაბახში გადადის ყოველივე, რაც არავის არ მოსწონს. ამისათვის მუდამ უნდა ვეცადოთ, რომ შევიცნოთ თავი ჩვენი, რისთვისაც ჩვენ ქმედებებს ყოველთვის გარეშე ადამიანის პოზიციიდან უნდა ვაკვირდებოდეთ.

ასე ჩვენი სულიერი მომაღლებისათვის რომ ვასიამოვნოთ ჩვენს შემქმნელს და მშობელს, მუდმივად უნდა ვეძებოთ გზა, სად შეგვეშალა, რომელი მცნება დავარღვიეთ, რომ გამოვასწოროთ. ხოლო თუ მოყვასს შეეშალა, ნუ გაკიცხავ, ნუ იქილიკავებ მასზე, რადგან შეიძლება მიხვდეს შეცდომას და უკვე მოინანიოს უფლის წინაშე. ასე ვეღარც სატანა მაბეზღრობს, ვამარცხებთ მას და სულიერად მეტად ვმაღლდებით.

და ნურავის პგონია, რომ ჩვენი ყოველი ფლიდი ქცევა, ყველაფერი უკვალოდ ქრება. გავიხსენოთ ფსალმუნი 39.2: „შენთვის ცნობილია, როდის ვჯდები და როდის ვდგები. გაგებული გაქვს ჩემი ზრახვანი შორიდან“. 4. „თუნდაც ჯერ არ იყოს სიტყვა ჩემ ენაზე, შენ უკვე იცი, უფალო, სრულიად“. ამ ქცევებიდანაა სტიქიები, უამინდობა. და დღეს ეს ყოველივე ისე გამრავლდა, რომ ყველა ვხედავთ, თითქმის ის ათივე დასჯა, რაც ეგვიპტელებს დაატყდათ ებრაელთა გამოსვლისას, მთელ სამყაროში მეორდება სტიქიების სახით.

ყველა ჩვენი ქცევა ბოლოს საზღაურს ჰპოვებს. გარდა იმისა, რომ სული წვალობს ჯოჯოხეთში, მას აბრუნებენ აქ, რომ ტანჯვითი ცხოვრებით მაინც გამოასწოროს შეცდომები.

ერთხელ ჰკითხა მოშემ უფალს: „როგორ მართავ სამყაროსო“? მან მიუთითა: „წყაროსთან დაჯექი და დააკვირდიო“. იქ მივიდა ერთი მხედარი, დალია წყალი და ამოუვარდა ფულით სავსე ქისა. შემდეგ მოვიდა მეორე მხედარი წყლის დასალევად, იპოვა ეს ქისა და წაიღო.

იმავდროულად ლასლასით მოვიდა ღარიბი, ძონძებში გახვეული კაცი, რომელიც ასეევე სვამს წყაროს წყალს. მოვარდა პირველი მხედარი და დაუწყო ცემა, – ფული რომ დამრჩა, შენ აიღე და დამიბრუნეო. ასე ამ კაცს ცემაში ამოხდა სული.

და ეუბნება უფალი მოშეს: „წინა ცხოვრებაში პირველმა მხედარმა მეორეს უმართებულად მოუგო სასამართლოზე ის თანხა, რაც მას დარჩა წყაროზე. მოსამართლე კი, რომელმაც ქრთამი აიღო, მესამე, ღარიბი იყო.

ამდენად, შემდეგ ცხოვრებაში მეორემ დაიბრუნა თანხა, ხოლო მოსამართლემ გატანჯული ცხოვრება ნაადრევი სიკვდილით დაამთავრა. მისმა მკვლელმა კი ასევე სიკვდილი დაიმსახურა, რამეთუ მისი ქმედება დააფიქსირა წყაროსთან მიმავალმა ხალხმა.“ ასე რომ, არავის არაფერი არ შერჩება. ხოლო როცა ცუდი ამბავი გვემართება, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს უფლისგანაა, დასჯაა წინა ან ამ ცხოვრებაში შენი უზნეო ქმედების გამო, და ნუ ვჩიოდეთ უფალთან, პირიქით, ძალიან დიდი მადლობა უნდა გადაეუხადოთ მას დასჯისათვის, რამეთუ მისი დასჯა იმათან შედარებით, რასაც ვიმსახურებთ, მეტად უმნიშვნელოა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ავდივართ ზეცაში, იქ ანგელოზები არაფერს გვპატიობენ და ათასმაგად უფრო ბევრად ვისჯებით.

ყოველი ჩვენგანის არა მარტო ქმედება, ყოველი სიტყვა მონაწილეა სამყაროს არსებობისა იმ სახით, როგორიც იგია დღეს. და ყოველივე, რაც ჩვენ გეხვდება, საკუთარ თავს დავაბრალოთ, ანუ „რაც მოგივა დავითაო...“ ამდენად, უმნიშვნელო ტყუილი ძირია „შუბლის ძარღვის“ გაწყვეტისა და შემდეგ კი, ბევრად მნიშვნელოვანი ტყუილებისა.

ამ ტყუილებისკენ მისწრაფებიდანაა საკუთარი თავის განდიდების მცდელობა, რაც მუდამ აღიზიანებს მსმ-ენ-ელს.მატყუარა შემდგომ თავის ტყუილ ენასაც იგონებს, ანუ ის თავის-უფალი ხდება განა უფლისკენ მიმბაძველობითი ქცევით, რასაც ეს სიტყვა გვკარნახობს, არამედ უფლის საპირისპირო ქცევით და ამ ქცევისკენ – ტყუილისკენ მიჰყავს ათასობით ადამიანი. აქედანაა ხალხთა დაპყრობითი ომებით საკუთარი ენებით მეტყველების თავსმოხვევა.

ამდენად, ჩვენ თავის-უფალი მიტომ შეგვქმნა უფალმა, რომ უფალივით თუ სიწმინდით ვიცლით, არ მოვიტყუებთ, შევერწყმებით მას, ვისითაც ვართ შექმნილნი, და ჩვენზე ვერ იმოქმედებს მატერიალური ტანის – იგივე სატანის მისწრაფებანი. ამისათვის მოგვეცა ორი ანბანი.

სანამ ორი ანბანის მნიშვნელობაზე ვიტყვით, შეეცდებით კიდევ ერთხელ მოკლედ გავიმეოროთ სამყაროს ისტორია, სამივე წიგნიდან გამომდინარე. რამეთუ იგი აგებულია ძირითადად ბოროტების ბრძოლაზე სიკეთის, უფლის წინააღმდეგ, ანუ მისი ორი ერის ორი ანბანით მეტყველების აღსაკვეთად.

1.4.2. ორი ერის ერთობის ისტორია

ჩვენ პირველი ათი ტყაოსნის, ამ სულიერ ლიდერთა მოღვაწეობის ისტორიას 2.3. თავში განვმარტავთ. ამგვარად, ათი ვეფხისტყაოსნიდან, შეთიდან ნოახამდე, იშვა ორი ძმა, უკვე ორი ლომი, რამეთუ მათ დააბრუნეს დედამიწაზე, კავკასიაში, მსიური მნიშვნელობა, უფლის შუქი, მისი შეხინა, რომელიც ადამის შეცოდების შემდეგ მოსცილდა სამყაროს.და საფუძველი ყოველივესი ჯერ ორი ანბანია, ანუ უფლის ენები ძმების ენებია.

ვიცით, ბოროტება სამყაროში გამრავლდა მესამე ძმის, ქამის, შემდეგ კი აბრამის შვილისა და შვილიშვილის, იშმაილ-ესავის მოდგმათაგან. რადგან მათ უგულებელყვეს უფლის ენები, კალენდრები და ქმნიდნენ თავიანთს.

ამდენად, ორი ძმიდან გამომდინარე, უფლის მიზანია, გამრავლდეს ორი ერი, რათა მათ მოაქციონ სამყაროს დანარჩენი ხალხები. ამისათვის ორი ძმის საუკეთესო სულიერ თვისებათა შერწყმით: შემისა – უფლის დამოძღვრებათა უპირობო შესრულება, იაფეთის მოყვასისათვის თავგანწირვამდე თავდადება ჯერ შექმნა დედა ერი იბერია-კავკასიაში. უფალთან კავშირის მამრის ფუნქციას უფროსი ძმა ასრულებს, ხოლო უმცროსი ქმნის იბერიული ცხოვრების წესს, ნერგავს რა უფროსის დამოძღვრებით უფლის მცნებებს.

შედეგად, დედა ერის შექმნაში თანაბარი წილი მიუძღვის ორივე ძმას და მათგან გამრავლებულ შტოებს. შეერწყა იბერია-კავკასიაში მათი საუკეთესო სულიერი თვისებები. იყო აქ თორით, ანბანით ცხოვრება, დედა მიწის თავდადებული დაცვა თორიდან გამომდინარე ისეთი წესით, რომ მიწა უზნეოსა და უგუანოს არ ჩაუვარდებოდა ხელში; შეიქმნა უფლის, თორის, ანბანის, მოყვასის სასწაულად მოყვარული, მათთვის თავადდებული გენეტიკური კოდი.

ამიტომაც საქართველოს დედაქალაქს თბილი – თბილისი ერქვა. იგივე ლოცვის ქალაქი. „თბილა“ ხომ წმინდა ენაზე ლოცვაა. იგი გული იყო ცოდნის – წმინდა სისხლის მიმწოდებელი იბერთა-მეფეთა სამშობლო, სადაც დაირწა კაცობრიობის ყველა კულტურის საწყისი – აკვანი. დაინერგა თორიდან გამომდინარე დედა მიწათქმედების წესი მედიცინით და ყველა სხვა პირველადი საკაცობრიო მეცნიერებით. იგი ხომ გულია ევრ-აზიისსაზღვარზე მყოფი ამ კულტურათა გავრცელებისთვის მსოფლიოში.

ამიტომაც გაჩერდა აქ უფლის კიდობანი და დავანდა შეხინა, რომ ესრულებინა საქართველოს დედის – დედა ერის ფუნქცია მისი მარადიული სიცოცხლისათვის. ითქვა, იყო აქ უზნეოთა მოკვეთის ტრადიცია. ხოლო ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე მოხდა ამ მოკვეთილთა შერწყმა ძირითადად იქ, სადაც სახლობდა ქამის მოდგმა. შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ასევე ქენაანზე, სადაც მრავლდება უზნეობა.

ამავე დროს, ადამისეულ ვეფხის ტყავს შეინახავს ნოე და აღარ გადასცემს არცერთ ძმას, რადგან იმედი აქვს, რომ მათით მოექცევიან სამყაროს ხალხები. მაგრამ ვიცით, რომ ამ ტყავს მოპარავს მას ქამი და გადასცემს თავის შეილს ნიმროდს, რომელიც ხდება უძლეველი მონადირე. ასე ვითარდება ბოროტება.დასტურად, ითქვა, აშენდა გოდოლი და პირამიდები, უფლის ენის წარმოუდგენელი სიბრძნიდან გამომდინარე.

ამის შემდეგ გამოიღო უფალმა ხელი და ამ ანბანის შეცნობის, მისით მეტყველების უნარი გამოაცალა არაიბერიულ მოდგმას. მართალია, იბერნი კვლავ ვმეტყველებდით ამ ანბანით, მაგრამ ამის მერე ვეღარც ჩვენ ეფლობთ ანბანში ჩადებულ წარმოუდგენელ სიბრძნეს.

შემდეგ, რაკიღა გამრავლდა ბოროტება, მის დასაძლევად საჭირო ხდება მეორე ათეულ ტყაოსანთა მოქმედება. და უფალი ახლა უკვე შემს გადასცემს ახალ ვეფხის ტყავს. იქამდე შემმა, რომელიც მეფედაა ნაკურთხი, ჯერ მთელი თავისი ძალისხმევა წარმართა, რომ შეექმნა დედა ერი დედა მიწაზე. ახლა უკვე იგი გადადის ქენაანზე, აარსებს იქ სულიერ სასწავლებელს და იწყებს მეფობას. ასე იგი ხდება შალემის (შემდეგ იმავე იერუშალაიმის) მეფე. ანუ განსაზღვრულია, რომ მისგან უნდა გამრავლდეს უკვე მეორე ათეულ ტყაოსნებიდან მესია და იგი იქნება მეოცე შთამომავალი, შემოდან მოყოლებული.

ამგვარად, იბერიაში შეხინაა დავანებული მუდმივად და ეს ქვეყანა იქცა ლომთა ქვეყნად. მაგრამ, ქმნადობა ორი ლომით – ორობითაა და მეორე გზის უნდა იშვას კიდევ ერთი ლომი, ასევე 10 ვეფხისტყაოსნებიდან*.

ასე იწყება მეორე ათეულ ვეფხისტყაოსანთა ხანა ისრაელთა ერში, რათა მეორეგზის ორმა ლომმა – ორმა ქვეყანამ, ისრაელმა, წმინდამ, მამრობითი ფუნქციის აღმსრულებელმა და საქართველომ – იბერიამ, დედამ, გულმა, მდედრობითი ფუნქციის აღმსრულებელმა, მოაქციონ ხალხი. ითქვა, ამისათვის გადადის აბრამი ქენაანზე, იგი გამოირჩევა წარმოუდგენელი სტუმართმოყვარეობით, რათა მოამაღლოს უფალი ყველას თვალში და, ამავე დროს, იღრმაებს ცოდნას შემის სასწავლებელში.

შემდეგ, როცა დაამარცხებს აბრაჰამი ოთხ მეფეს, შემი, რომელსაც ჩააცვა უფალმა ჭრელი სამოსი – ვეფხვის ტყავი, რომლის მატარებელი უნდა გახდეს ათი ტყაოსანი, აკურთხებს აბრამს პურითა და ღვინით და გადასცემს ვეფხისტყაოსნობის მანტიას.

შემდეგ, ისააკი აკურთხებს იაკობს ვეფხისტყაოსნად. იქამდე კი, ძლიერდება ქამის მოდგმა ნიმროდის მეფობის დროს და ავიწროებენ იაფეთელებს. მაგრამ ასი წლის მერე ისევ ძლიერდებიან იაფეთელები, იპყრობენ ეგვიპტეს.

ხოლო ეგვიპტის ფარაონი, როცა შეიტყობს, რომ იოსები აბრაამ-ისააკ-იაკობის მერე მეოთხე ვეფხისტყაოსანია, რომელიც გამოარჩია იაკობმა, როცა შეუკერა მას ჭრელი სამოსი, იგივე ვეფხვის ტყავი, იგი ნიშნავს მას მთელი ეგვიპტის სულიერ გამგებლად, ანუ იმად, რადაც იყო შემი იბერია-კავკასიაში და მთელ სამყაროში, ა-რაბეთში, იგივე რაბინებში – სულიერი ლიდერი.

ასე აღდგება იბერთა მიდგმის გამგებლობა მთელ სამყაროში, სადაც სულიერი ცენტრი რაბინთა კვლავ ხდება ა-რაბეთი, რომელსაც უშუალოდ ესაზღვრებიან ეგვიპტეც და ისრაელიც. ეტყობა, როცა განვითარდა იბერთა მიერ პირველყოფილი თემური წყობილება, მაშინაც არაბეთის ნახევარკუნძული იყო სულიერი ცენტრი სულიერ მოძღვართა – რაბინთა. ამგვარად, როგორც ადრე იაფეთელები აწარმოებდნენ შემის მიერ დამოძღვრილ სულიერ იბერიულ მიწათმოქმედების წესს, ახლა ეგვიპტეში ეს ხდება იოსების დამოძღვრებით.

ასე ეს სულიერების რაბინთა წესი კვლავ აღიდგინა იაფეთელმა ფარაონმა იმ მონათმფლობელურ ქვეყანაში, როგორიც იყო ეგვიპტე. დასტურად, ცნობილია, რომ იქ იყო შიმშილის შვიდწლიანი პერიოდი, მათ, ვინც იმონებდნენ ხალხს და ფლობდნენ მიწებს, ხორბლის, სურსათის სანაცვლოდ ნებაყოფლობით ჩააბარეს ეს მიწები იოსებს. ასე მოექცა თორის წესიდან გამომდინარე, მიწები სახელმწიფო საკუთრებაში. ხოლო შემდეგ იოსებმა დააწესა ამ მიწების ოჯარით გაცემა.

და გასცემდა მათზე მიწებს, ვინც პოტენციურად მზად იყო განევითარებინა ზნეობრივი მიწათქმედება, თორიდან გამომდინარე. ამისათვის, როგორც ითქვა, ისინი, პირველ რიგში, უნდა წინადაცვეთილიყვნენ. ამის ნება კი მაშინ მიეცემოდათ, როცა ისინი დაიწყებდნენ განათლებას თორით.

ასე აღადგინა იოსებმა სულიერი მიწათმოქმედების წესი. მაგრამ, ვიცით, იოსების სიკვდილის მერე, რომელიც 80 წელი მეფობდა ეგვიპტეში (სადაც ბოლო 40 წელი, ფარაონის სიკვდილის მერე, თვითონ განაგებდა ქვეყანას), გაძლიერდა ესავის მოდგმა.

---

* რუსთველიც შეგვარულად გადმოგვცემს საქართველოს როგორც ლომთა სამოთხე-ქვეყანას, სადაც შეხიზნაა დავანებული, ხოლო ისრაელთა მთელი ერი თორის მიღების მერე ხდებიან ვეფხისტყაოსნები, რათა მოაქციონ ხალხი, რწმენისაკენ დასტურად გაეცნოთ რუსთველი, როცა თინათინი იბარებს ავთანდილს მის სახეში ყველა დროის ქართველთა სულიერ ლიდერს, რათა დაეხმაროს შეჭირვებულ ტარიელს. ასე სწერია: „ადგა და „კაბა ჩაიცვა მჯობნი ყოველისა ჭრელისა“. „კაბა“ ვიცით, ეს ჩოხა-ახალუხია, ანუ ნეტარ რაკილა სამოთხისებრი წესი იყო, ყველა ლომია. იცავენ მცნებებს, არ გვჭირდება ვეფხვის ტყავი, რომ არ შევცდეთ, და გვახსოვდეს 613 მცნების დაცვა. ეს სჭირდებათ ისრაელთა, რომელნიც უზნეოთა გარემოში უდიდეს დაწოლას განიცდიან. მაგრამ მაინც ცდილობენ მოაქციონ ისინი.

ისინი მოვიდნენ ხელისუფლებაში და კვლავ დაიწყეს ურთიერთდამონების, დაპირისპირების მონათმფლობელური წესის დანერგვა.

თუმცა ეს წესი ვერ განვითარდა გოშენში, სადაც, ვიცით, მხოლოდ ორი ერი მრავლდებოდა, რაზეც წმინდა ენაზე სახელი გო-შენი, იგივე „ორი ერი", მიგვითითებს. შედეგად, იქ დაწესდა ისეთივე სიწმინდის წესი, როგორიც იყო იბერია-კავკასიაში, რამეთუ იქ ეწეოდნენ მეცხვარეობას, რაც ეზიზღებოდათ ეგვიპტელებს – ცხვარი ხომ მათი კერპი იყო. ამიტომ აქ არც იყო საჭირო უზნეოთა მოკვეთის ტრადიცია.

ამდენად, იაფეთელნიც მიწათქმედებდნენ რა ტრადიციულად ისრაელთა დამოძღვრებით, თორიდან გამომდინარე, ახლა გოშენში აბრამის ამ მოდგმას უზრუნველყოფდნენ სურსათით, ჩაცმა-დახურვით, რათა გამრავლებულიყვნენ და განვითარებულიყვნენ თორის სიბრძნით. ამიტომაც, თორით ცნობილია, ისინი, განსაკუთრებით ლევის შტო, არ მუშაობდნენ ფიზიკურად და მხოლოდ თორის სწავლით და მისით ქმედებით აღსრულებით იყვნენ დაკავებულნი გოშენში. აი, საიდანაა ის საოცარი ფაქტი, რომ აბრამის მოდგმა გოშენში, სამოცდაათი სულიდან ხუთ მილიონამდე გამრავლდა სამ თაობაში – 210 წელში. ამავე დროს, გამოსვლისას, ქართველებმა ჩააცვეს ჩასაცმელი – ვეფხისტყაოსანთა ჩოხა-ახალუხი და ყოველი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრეს. ამდენად, თითო-თითო ტანსაცმელი გასცეს მეზობლებმა და დობილებმა, როგორც წერია თორაში, ამიტომაც როგორც 5 მილიონამდე ისრაელი, ამდენივე იაფეთელი უნდა გამოსულიყო ეგვიპტიდან.

ამგვარად, ქართველებმა გადაუხადეს ის ამაგი, რაც შემმა დანერგა იბერია-კავკასიაში, რამეთუ ის ჯერ დედა ერის – იბერთა მოდგმის გამრავლებაზე ზრუნავდა, ისე, რომ იბერნი მეფობდნენ მთელ სამყაროში. იოსების სიკვდილის მერე ისრაელთა თაობის სულიერი ლიდერი მეხუთე ტყაოსანი ხდება ლევის შტოდან ამრამი – მოშეს მამა. ხოლო მეექვსე იყო მოშე და უკვე ის, უფლის მოთხოვნით, ამ ხუთ მილიონ მთელ ისრაელთა ერს აცმევს ვეფხვის ტყავს – ციციტს, ჭრელ სამოსელს. ასე მთელი ერი იქცა ვეფხისტყაოსნებად, უფლის შვილებად, რამეთუ, ითქვა, მათ განაცხადეს, რომ მიეღოთ თორა ყოველგვარი მისი არსის ან წინაპირობის შესწავლის გარეშე. ამის გამო მთელი ისრაელი ერი შეიმოსა უფლით ისეთი მარადიული თორის სამოსელით, შუქით, რომ სიკვდილის ანგელოზი ვეღარ ეკარებოდა მათ. ასე დაევალათ მათ, მთელ ერს, სამყაროს ხალხის მოქცევა. ამაზე ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როგორც ის, რომ ისრაელმა ერმა ეგვიპტეში, ძირითადად გოშენში, რაკიღა სწავლობდნენ თორას, ავითარებდნენ სულიერ მიწათქმედებას, დაიმსახურეს გამრავლებულიყვნენ 600.000 ათასამდე 20-დან 60 წლამდე წმინდა ნეშამების მოკრეფით.

ვიცით, 40 წლის განმავლობაში თორით გაბრძენების მერე შედიან ქენაანზე, რის შემდგომაც შალემს ერქმევა იერუ-შალაიმი. სვანურად „იერუ" ორია, „შალემში" კი ფუძე შეიცავს „ლემ"-ს, რაც სვანურად ლომს ნიშნავს. ამდენად, იქ შევიდნენ იაფეთელნიც და ორი ლომით იქმნება წმინდა ტაძარი იერუშალაიმში. და ჩვენ ვიცით, დასტურად, მრავალი იაფეთელი იყო როგორც წინასწარმეტყველი, აგრეთვე ისრაელთა სანჰედრიონის წევრი (იხ. მე-2 წიგნი, II და III ნაწ.). „შალემი" წმინდა ენაზე ასევე ნიშნავს „სრულყოფილებას" და ეს სრულყოფილება ამ შემთხვევაშიც ორი ერითაა. ამის დასაბუთება წარმოჩენილი გვაქვს მე-2 და მე-3 ნაშრომებში.

და ამას იმიტომ ვიმეორებთ, რომ ის, რაც მაშინ სიახლე იყო, დღეს ეს ჩვენი დასაბუთება თორის ახალ-ახალი საიდუმლოებათა აღმოჩენით დასტურდება, რაც მოგვყავს სქოლიოში*.

---

* მაგალითად, ითქვა, რომ 5 მილიონამდე ებრაელთან ერთად გამოვიდა ამდენივე ქართველი. ეს დასტურდება ახალი აღმოჩენით მასში, რომ ცნობილი იყო, როცა მოაველებს შეეშინდათ ისრაელთა, მათ მოიწვიეს სამეფოდ მუშქი, იგივე მესხი, განთქმული მეომარი ბალაკი, რომ ეწინამძღვრა მოაველთათვის. და კომენტატორები ახლა უკვე აღნიშნავენ იმას, რასაც ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ბალაკს შეეშინდა ისრაელთა ერთან ბრძოლისა იმის გამო, რომ მათთან ერთად იყვნენ ქართველნიც. ოღონდ კომენტატორები არ მოიხსენიებენ, რომ მათ შეეშინდათ ქართველების, არამედ ამბობენ, რომ მათ შეეშინდათ ყერევავის. ანუ იმ ხალხთა ნარევის, კონგლომერატისა, რომლებიც ასევე მონები იყვნენ ეგვიპტეში და გამოჰყვნენ ებრაელებს. აქვე ისინი ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მონა, დაჩვეული მონობას, არასდროს არ იომებს, რამეთუ მათში ჩანერგილია მონური ფსიქოლოგია.

აქედან გამომდინარე, ცნობილია, რომ მხოლოდ გოშენში ებრაელნი და ქართველნი არ ემონებოდნენ ეგვიპტელებს, სწავლობდნენ თორას და ავითარებდნენ, როგორც ითქვა, ზნეობრივ მიწათმოქმედებას. ამდენად ფაქტია, რომ მათ შეეშინდათ ებრაელებთან ერთად გამოსული

მოშეს მერე მეშვიდე ტყაოსანი ხდება ბენ-ნუნი, რომელმაც, როგორც გადმოგვცემს გემარა, მოშეს დავალებით ისრაელში შესვლის წინ გადაწერა მთლიანი თორა ორ დიდ ქვაზე წმინდა და 70 ენაზე, რაც, ვიცით, დედა ენის კოდია;მერვე – დავიდი, მეცხრეა სოლომონი და მესია, მისი შთამომავალი არის მეათე. რუსთველით ეს ტარიელია, რომელიც დაბადებულია ტაძრის დანგრევის მერე ყოველ ეპოქაში და ელოდება სამყაროს ხალხთა მოქცევას, რათა მოგვევლინოს მესიად. ამაში უმთავრესი ფაქტორი სულიერი აღზრდისათვის ენით სწორ მეტყველებას ეფუძნება.

ამდენად, ასე შექმნა უფალმა პირველადი დედა სულიერი კულტურის მარადიული ხალხი – გული სამყაროსი – იბერია და ამ კულტურის განვითარება მარადისობისათვის მებრძოლი მამის სიბრძნის მიმღები და აღმასრულებელი ფუნქციის ხალხი წმინდა მიწაზე ტვინი სამყაროსი – წმინდა ერი.

როგორც ითქვა, ორგანიზმშიც გული მთავარია, იგი თუ გაჩერდა, ორგანიზმი იღუპება და, ისრაელთა სწავლულთა ალიები დედა მიწას აშურებდნენ, სადაც დედა ენის სიმტკიცეს განაპირობებდნენ. აქ ითქვამდნენ სულს, ნერგავდნენ სიყვარულის მცნებებს და მერე მთელ მსოფლიოს რწყავდნენ ამ კაცთმოყვარეობის მცნებებით. გულის ფუნქციაც ხომ ეს არის ორგანიზმში. რადგან იგია მტუმბავი

ხალხისა, ეს განა ერევრავი იყო, არამედ ქართველები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მეომრული თვისებებით. ეს იცოდა ბალაკმა და ამიტომ მოიწვია ბილანი, რათა დაეწყევლა ებრაელნი და ქართველნი. დასტურად, ვიცით, დაწყევლის მაგივრად იგი ყოველთვის უსმენდა უფალს და ყოველი სამსხვერპლოს აგებაზე დასაწყევლად აკურთხებდა ისრაელს. დაწყევლის მესამე ცდაზე იგი ასე აკურთხებს მათ: (24:20) „და დაინახა ამალეკი და წარმოთქვა იგავი თვისი და თქვა: „პირველია ხალხისგან ამალეკი, მაგრამ მისი ბოლო დაღუპვაა“. (24:21) „და დაინახა კენელი და წარმოთქვა იგავი თვისი, და თქვა: „მტკიცეა სადგომი შენი და კლდეზე გაიკეთე ბუდე შენი“. (24:22) „მაგრამ თუნდაც განიდევნოს კაინი, სადამდის წარსტყვევნის აშური?“ (24:23) „და წარმოსთქვა იგავი თვისი, და თქვა: „ოი, ვინ გადარჩება ცოცხალი, ღმერთი რომ მოახდენს ამას?“ (24:24) „და მოვლენ ხომალდები ქითიმიდან და დასტანჯავენ აშურს და დასტანჯავენ ებერს, მაგრამ მათი ბოლო დაღუპვაა“.

ამდენად, ამ ნაწინასწარმეტყველებიდან ჩანს, რომ ისრაელნი და ქართველნი მოიმოქმედებენ ძალოვნებას სეირში, სადაც ბინადრობს ესავის მოდგმის ყველაზე რეაქციული ტომი ამალეკი. იგია მტერი ისრაელთა და ქართველთა და ამიტომაც ამბობს უფალი, რომ ჩვენ უნდა გავწყვიტოთ მათი ნაშიერნი. გავიხსენოთ, როცა ებრაელები გამოვიდნენ ეგვიპტოდან, მაშინ სწორედ ამალეკები დაესხნენ მათ, რათა შური ეძიათ მათი მოდგმის ფარაონის დამარცხებისა და ზღვაში ჩახრჩობისათვის. და სწორედ მათ დაღუპვას წინასწარმეტყველებს ბალაკი ქართველების მეშვეობით, რომ ამბობს: „კენელზე, რომელთაც მტკიცე სადგომი აქვთ“. „კლდეზე ბუდეც“ – ეს ხომ საქართველოს დახასიათებაა, და, საერთოდ, კლდე მითოლოგიურად – ეს უმაღლესი სულიერების ადგილია, ანუ აქაა მიჯაჭვული ამირანი. და რომ კენელში – იგივე საქართველოა გააზრებული, ეს ჩანს შემდეგიდან: ცნობილია, მიდიელი იყო მოშეს სიმამრი ითრო და, მისი ღირსებიდან გამომდინარე, მას შვიდი სახელი ჰქონდა. ერთია სწორედ კ-ენ-ელი. ცნობილია, მან დაიცვა ებრაელები, ფარაონს რომ არ ამოეჟლიტა. ამიტომაც გამოიქცა ეგვიპტიდან. ხოლო ითრო რომ იაფეთელია, ჩვენ ეს დავასაბუთეთ პირველ წიგნში, ვეყრდნობით რა ჰეროდოტეს, რომელიც მიდიას მოიხსენიებს, როგორც მედეას კოლხურ ტომს. (ცნობილია, რომ მიდიას ეძახდნენ მედეას კოლხურ ტომს, კოლხი მედეას სახელის მიხედვით (ჰეროდოტე – წიგნი I, ისტორია, 1975 წ., გვ. 28). ამდენად, ითროს სახელი კ-ენ-ელი, შეიძლება ასეც გაიშიფროს: კ – კურთხეული, ენ – ენით მოქმედი, ელი – უფლის შვილი.

ამდენად, აქ კ-ენ-ელში ჩვენ იგივე ქართველი უნდა ვიგულისხმოთ, რისი დასტურიცაა ისიც, რომ შემდეგ, ნათქვამია, „დასტანჯავენ აშურს და იბერს“, სადაც აშურში მუსულმანური მოსახლეობა იგულისხმება იბერიული მოდგმისა. მართლაც ხომ გვტანჯავდნენ ჩვენც და ჩეჩენ-ინგუშებს, მაგრამ მათი, ჩვენ მტანჯველთა, ბოლო სიკვდილია.

და რომ კ-ენ-ელი ქართველური ტომია და ისინი ებრაელებთან ერთად შევიდნენ ეგვიპტეში, ეს დასტურდება აგრეთვე კიდევ ერთი შემდეგი აღმოჩენიდან. როცა უფალმა დაავალა მეფე შაულს ყამალეკის მოდგმის ამოწყვეტა, კენელთა ნაწილი სახლობდა იქ და შეუთვალა შაულმა, რომ დაეტოვებინათ მათ ეს ტერიტორია. შემდეგ, კურთხევაში რომ ამბობს ბალაკი: „თუნდაც განიდევნოს კაინი, სადამდის წარსტყვევნის აშური?“, აქ საბუთდება, რომ შემი და იაფეთი – ეს ორი ძმის სულებია – ჰებელის და კაინის, უკვე სრულყოფილად მოვლინებული ამ ქვეყანაზე. ანუ ჰებელის სული შემშია, ხოლო კაინის – იაფეთში. დასტურად, ნოე იყო შემის შთამომავალი, ხოლო მისი მეულლე – კაენის, რომელსაც ნაამა ერქვა, რაც წმინდა ენაზე სიამოვნებას ნიშნავს. აქედანაა, რომ წმინდა ენაზე მისი ნაშიერი იაფე, აგრეთვე მშვენიერს – სრულყოფილს ნიშნავს. აი, საიდან იყო ორი ძმის უდიდესი სულიერება, სრულყოფილება და იერუ-შალემიც სრულყოფილების ქალაქი ხდება მას შემდეგ, როცა ეს ორი ერი შედის შალემში.

გადამაადგილებელი ტვინიდან წამოსული სულიერი ინფორმაციის წმინდა სისხლის საშუალებით. ამადაც საქართველოს მიეკუთვნა სიბრძნის, სიწმინდის მიმღებისა და გამავრცელებელის ფუნქცია.

ითქვა, აგრეთვე, უფალს სურს, ორი ძმის შუქით თორისა მოაქციოს სხვა ხალხები, რათა მათაც მიიღონ მარადისობა. მაგრამ მათ რომ ემეტყველათ, ამისათვის მიცემული წმინდა ენის ანბანის ასო-ნიშნების გამოყენებით შექმნეს საკუთარი ანბანები.

და რაკიღა მათ, ამ ანბანებიდან გამომდინარე, დაპყრობითი ხასიათი – მიმართულება ჩამოუყალიბდათ, ნელ-ნელა ამ ანბანების გავრცელებით შეაიწროვეს იბერიული მოდგმის სახელმწიფო ისრაელისა. უფალი კი იძახის თორაში: შენ დამაწყევარს დაეწყევლი და შენ მაკურთხებელს ეკურთხებო. შედეგად, იკურთხა მთლიანი საქართველო, რომელიც მუდმივად ხელს უწყობდა ისრაელს, დაეცვათ რჯულის კანონები, რაც საფუძველი გახდა შეხვედრისა პირდაპირი მეფობისა იბერიაში, რომელი პროცესიც ჩვენ უკვე აღვწერეთ.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ, მოკლედ გადმოგვეცა ის ძირითადი, რაც ორი ერის სულიერი ერთობის და ურთიერთთათვის თავგანწირვის საწინდარია. და როდესაც ებრაელები შევიდნენ წმინდა მიწაზე, შემდეგ უკვე ნელ-ნელა ხდება, როგორც აღვნიშნეთ, იბერიის გაძლიერება, ტაძარ-ქვეყნად ჩამოყალიბება, რაშიც ორივე ძმა თავს სწირავს.

ამდენად, როგორც ოჯახში მამაკაცი გარეთაა, ანვითარებს თორის სწავლებას, ხოლო მდედრი ნერგავს ამ ნასწავლს ოჯახში, ასეთი ეერსახის პარალელურად შეიქმნა შემდგომ მამრის და მდედრის ფუნქციის მატარებელი სულიერი სახელმწიფონი ისრაელი და იბერია-კავკასია. ამისათვის მარადიულია უწყვეტია ორი ერის ძმობა, რამეთუ მათი სულიერი შერწყმა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დღესაც. შედეგად, როგორც დედა, ქალი გამოირჩევა ერთგულებით, ასევე იქმნება იბერია განსაკუთრებით ერთგული უფლისა და მოყვასის განსაკუთრებით ისრაელთა მიმართებაში.

ვიცით, რომ დედობა გულით გულმოწყალებით, გულისხმიერებითაა გამორჩეული. ეს თვისებაა იბერთა და აქედანაა წარმოუდგენელი სიყვარული საქართველოში უფლისა – მშობლისა და მის შვილთა მიმართ, რამეთუ აქ ყველაფერი საკრალური, დიდი სიყვარულის გამო დედიდან იწყება. ასრულებდა კიდევაც იბერია დედის - დედამიწის სიკეთით ქმედების ხუთი მიმართულების ფუნქციას:

– იბერია-საქართველო გამორჩეული იყო გაჭირვებულ დევნილ ხალხთა მუდმივი მიღებით.

– იცავდა წმინდა მიწის ერუშალაიმის სიწმინდეებს და მხოლოდ ქართველნი ამიტომაც შედიოდნენ იქ ცხენებზე ამხედრებულნი ალამთა ფრიალით. ბაჟსაც არ იხდიდნენ.

– ამიტომაც ლომის სიმბოლიკით მავალნი ებრაელებთან ერთად მეფობდნენ მთელ სამყაროში;

– დასტურად, გაჰქონდათ ცოდნა და ასზე მეტი ტაძარი ააგეს საქართველოს გარეთ, თორაც კი ვუთარგმნეთ რუმინელებს.

– იყვნენ მედიატორნი – მშვიდობის ჩამომგდებნი მთელ სამყაროში. და ამიტომაც მხოლოდ ჩვენს მეფეებს ერქვათ: ქველი, აღმაშენებელი, ბრწყინვალე, თავდადებული; გავიხსენოთ თამარის ეპითეტებიც და რამდენი მათგანი კიდევ წმინდანადაც შეირაცხა (იხ. წიგნი მე-2, II ნაწ.).

ამავე დროს, ამ მიმტაცებლური ფსიქოლოგიის ხალხი ვერ მოეგო გონს. მიზეზი მასშია, რომ, როდესაც გოდოლის აშენების შემდეგ უფალმა დაავიწყა მათ ანბანური დამწერლობა. და ისრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის მერე, როცა მიეცათ უკვე კოდირებული წმინდა ენის ანბანი, რათა მისი მრწამსიდან გამომდინარე მოქცეულიყვნენ. მათ ამ ასო-ნიშანთა პლაგიატობით შექმნეს საკუთარ მისწრაფებათა სადარი ანბანები, რათა მათში ჩადებული მიმტაცებლური მრწამსის გავრცელებით ეგამგებლათ ყველა დანარჩენ ხალხებზე.

ვიცით, ამას მოჰყვა ორივე ტაძრის დანგრევა და უფლის რისხვის კიდევ ერთხელ ანალოგიურად გამოვლინება. ანუ მეორედ ამ ხალხებს დაავიწყა უფალმა საკუთარი ანბანი და როგორც ეროვნებები, თავიანთი დასახელებით გაქრნენ სუყველა. დარჩნენ ამ ანბანებით შთენილი სიამაყით, ცხოველური ვნებებით და ასე ისინი დამუნჯებულები, თითქმის სრულქმნილ ცხოველებს დაემსგავსნენ, რამეთუ ადამიანი ცხოველისგან განსხვავდება მით, რომ აქვს უფლის მიერ ბოძებული ანბანი და ამ ანბანით მოლპარაკე ღვთიური სული, უფლით შთენილი.

მოწყალეა შემოქმედი და რომ ესენი მოეგონ გონს, სრულქმნილი ნადირებიდან მათი ცხოველური სულით კვლავ ადამიანებად შეიქნენ, ანუ ამეტყველდნენ, უფლის ენებით და იცხოვრონ თორის მცნებებით. ეს პროცესი აქვს რუსთველს გადმოცემული „ნადირობაში“ (იხ. 1.7 თავი), რათა ყველა მიხვდეს, რამდენად საშურია უფლის ენებით მეტყველება.

1.5. სამყაროს არსებობის არსი ორი ანბანიდან გამომდინარე

ამგვარად, უფალმა თავისი უდიდესი სიბრძნე, შუქი ცოდნისა, ჩადო მის 22 ასო-ნიშანში. ყოველ ასო-ნიშანს, თავისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ანუ წერტილთა და ხაზთა შერწყმით, თავისი გარკვეული შუქი – ნათება გააჩნია. ეს ნათება განისაზღვრება მითაც, თუ რა ადგილზე დგას ეს ასო-ნიშანი სიტყვაში, წინადადებაში, რომელთა არსით იქმნებოდა დასახული ქმნილებანი.

მთელი სამყარო წმინდა ენის კომბინაციებით შეიქმნა. ამ კომბინაციების გაგება, არსის განმარტება შეიძლება დედა ენით. და პირიქით – დედა ენის სიტყვა, აზრი წმინდა ენით განიმარტება, რამეთუ აღვნიშნეთ, რომ თითქმის ყოველი სიტყვა ორიეე ენაში ერთი და იმავე არსის მეტყველი ფუძე-ასოებით გამოისახება. დაახლოებით ისე, როგორც ქართულში და მეგრულ-სვანურში ან საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტებზე საუბრისას.

დასტურად, დედა ენის უნიკალური ჟღერადობა განპირობებულია მით, რომ იგი თორის წმინდა ენის სიბრძნეს გადმოსცემს. რაც ჩვენ აღვნიშნეთ წინა თავში, როცა წრეწირზე, დედა ენის 37 ასო-ნიშნის პარალელურად, ისმება წმინდა ენის 22 ასო-ნიშანი და 15 კოდირებული ასო. ამავე დროს, წმინდა ენით დედა ენის სიტყვათა აზრი, დანიშნულებანი უფრო ღრმად განიმარტება. დასტურად, იქ მოყვანილი გვაქვს რაბი იაკობ დავითაშვილის მიგნება მასზედ, რომ ადამიანის სხეულის ყველა ნაკვთის დასახელება დედა ენაზე თვისი მრავალმხრივი დანიშნულებით, იმავე დასახელების ანუ სიტყვის ფუძის გამოყენებით წმინდა ენაზე მის გაღრმავებულ დანიშნულებებს, თორის არსიდან გამომდინარე სხვა სიტყვით გადმოგვცემს.

აქვე მოყვანილია დედა ენაში უამრავი სიტყვები, გვარები, ტოპონიმები, რომლებიც მხოლოდ წმინდა ენით იხსნება. მაგალითად „ქე-ლეხი“. წმინდა ენაზე ქე-ლეხ-შტო ნიშნავს „წავიდა კაცი“. ხოლო „ფერ-ხული“ „ბრწყინვალე რგოლს“ ნიშნავს. ხოტევი სოფელია რაჭაში, რაც წმინდა ენაზე შეშის მჭრელს ნიშნავს და, მართლაც, ამ პროფესიის ხალხით იყო ეს სოფელი დასახლებული. აქედანაა გვარი ხოტეველი. ამდაგვარადვე უამრავია გვარები, რომელთა ფუძის არსი წმინდა ენით იხსნება: თოდა-ძე, ბასარ-ია, შელეგ-ია, ბოკერ-ია, ანანი-ძე, თორელი და ა.შ.ისიც ვთქვათ, რომ „ურ“ მარცვალი, რაც ასევე შუქს, ცეცხლს ნიშნავს, ძირძველი ქართული გვარების თითქმის ნახევრის შემადგენლობაშია: ურ-უშაძე, ურ-ეკაძე, ჟ-ურ-ული. აღარაფერს ვამბობთ გ-ურ-იაზე, ხევს-ურ-ეთზე, ს-ურ-ამზე, ურ-თაზე, ქ-ურ-თაზე და უამრავ სხვა ტოპონიმზე.

ამავე დროს, დედა ენის უამრავი სიტყვა პირდაპირ შეიცავს, განმარტავს თორით ქმედების არსს, რაც წმინდა ენაზე დაფარულია. უკვე აღვნიშნეთ, თვით თ-ორ-აა ამის მაგალითი; ასევე ნახსენები იყო სიტყვა „კამათი“, ხოლო სიტყვა ენე-რგია გვეუბნება, რომ ყველაფერი უფლის ენიდან, მისი ენერგიიდან არის შექმნილი. სიტყვა თავის-უფალშიც ჩანს, რომ ყოველი პიროვნება დამოუკიდებელია, ხოლო სიტყვა ჯამა-ათი გვამცნობს იმ ჭეშმარიტებას, რომ, სულ მცირე, ჯამში ათი კაცითაა ჯამაათი, რამეთუ ათი კაცის ლოცვა მიიღება მხოლოდ სრულყოფილად ზეცაში და ა.შ. სხვა შემთხვევაში კი ორივე ენის სიტყვებში ფუძეთა მსგავსებაა სრულად ან ნაწილობრივ. აქ ჩანს – წმინდა, თორის ენიდანაა დედა ენა შექმნილი

დასტურად ითქვა, დედა ენა ისეა შედგენილი, რომ სახელი უფლისა – ელი – განსხვავებით ყველა სხვა ენისგან, უამრავ ძირითად სახელში ფიგურირებს, რაც მიგვანიშნებს, რომ დედა ენაში მისი ენერგიით, სულით სიწმინდით სუნთქავს ყველაფერი და იგი თორის ენაა. სამეგრელოში სოფელიც კი არის ელი, ხოლო ყვარ-ელი ნიშნავს: ყვა – სოფელია, ყვარელი კი – ღმერთის სოფელი. თვით სოფ-ელშიც „სოფ“ ბოლოს, სასრულს ნიშნავს, ანუ უფლით იქნება სასრული სოფლის სრულყოფილებისა ჩვენი მარადისობისათვის. ხოლო ყველაფერში რომ უფლის შუქია, ენერგიაა და მის გარეშე ყველაფერი არარაობაა, ითქვა, ამაზე სიტყვა სახ-ელიც მიგვანიშნებს, ანუ სახ – უფლის ლაპარაკი, სიტყვაა, რაშიც მისი შუქია, რაზეც უფლის დასაელება „ელი“ გვაფრთხილებს. ამდენად, აქ ინფორმაციაა, თუ როგორი თვისებისაა ადამიანი, ანდა რომელიმე ცხოველი, მცენარე, ასევე მატერიალური სამყაროს ესა თუ

ის ობიექტი ყველაფერში მისი შუქი-ენერგიაა ასო-ნიშნების სახელით შექმნილი სულიერი ნაპერწკლების სახით.

ყოველივე მიანიშნებს, რომ წმინდა ენა — ეს უფლის სიბრძნე — ხოხმაა, ხოლო დედა ენა შეიქმნა უფლით წმინდა ენიდან, მისი განმარტებისათვის. იგი დამბინაველია და განმმარტავია წინასწარმეტყველურად ამ სიბრძნის. ისევე, როგორც მდედრობითი არსი, უფლის შეხვია აბინავებს ამ სიბრძნეს, რათა დაყათით ანუ ჭკუით სრულყოფილი შთამომავლობა აღზარდოს.

ამდენად, ეს ორი ენა ისეა შედგენილი, რომ მათი ერთობით თორის წარმოუდგენელი სიბრძნენი გადმოიცემა. ანუ ეს ორი ენაა მიჩნეული თორის ენად. აქედანაც იხსნება მრავალი გაუგებარი ფაქტი, რომლებზეც უკვე ითქვა.

ეს ორი ენა სიცოცხლის ის მარადიული საგანძურნია, რასთანაც ვერაფერი სიამოვნება ვერ მოვა. ამ ენებით მეტყველებისას თორის არსი, მისი სულიერება იბეჭდება ჩვენში, რომლის გაღრმავების, სიბრძნის დაუფლების, ჰარმონიის მედმიცი წყურვილი გვაქვს. ითქვა, სახელებით თვით ღმერთი ვლინდება, იგი გველაპარაკება. შედეგი ამისა იყო ის, რომ, მხოლოდ ჩვენ, იბერებმა განვაცხადეთ: თორას შევასრულებთ და მოვისმენთ. ხოლო ყველა სხვა ხალხებმა, არა უფლის ენაზე მოლაპარაკეებმა, ვიცით, მის მიღებაზე უარი განაცხადეს. და ეს იმიტომ, რომ უფლის მიერ ბოძებულ ამ ორი ანბანის სიტყვათა მეტად წარმოუდგენელი სიღრმისეული სიბრძნე პატიოსნებისკენ, სიმართლისკენ, სიკეთისკენ მიმსწრაფველობისა მხოლოდ იბერებმა შევიცანით; შევიქენით მის შვილად.

ამდენად, ორი ენა — ანბანი, მოცემული უფლით, ისეა შერწყმული, რომ მათით თორის სიბრძნე გადმოიცემა. თორის სწავლება საკვებია აგრეთვე ანგელოზთა, რამეთუ ასე ხდება ყოველ ორ ანგელოზთა შერწყმა, ერთობა და კეთილ ანგელოზთა გამრავლებაც.

ორი ანბანით ისეთი სულიერი ძაფებით არიან შერწყმულნი ორი ძმა — ორი ერი, რომ, როგორც ითქვა, მათი ერთობით იქნება ხსნა მალე სამყაროსი.

ამიტომაც შეეცდებით, უფრო გლობალურად განვმარტოთ ორიეე ენის ერთსახოვნება, სულიერი მნიშვნელობა, რომელნიც სამყაროს არსებობის არსს,

გადმოცემული:

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა შიგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“.

ამ სტროფით, რუსთაველი,წარმოუდგენელი ნიჭიერებით და შეფარვით, თითქმის მთელი ნაწარმოების იმ სრულ შინაარსს გადმოგვცემს, რაც სოლომონს „ქებათა ქებაში“ აქეს დაფარული. ამიტომ მას მთელი მასალის განხილვისას თანდათანობით განვმარტავთ. სწორედ აქ ჩანს ორი ენის აუწერელი მნიშვნელობა. და ამ სტროფის განმარტებისას ჩვენ მოვიცავთ მრავალ საკითხთა საიდუმლოთა ახსნას. დავიწყოთ პირველი სტრიქონიდან.

აქ, ჩვენი აზრით, ყურადღება გამახვილებულია მასზე, რომ თორის ამხსნელი „ქებათა ქების“ შინაარსი, რომელიც წმინდა ენით დაიწერა, მისი ყოველი ასოს, სიტყვისა წინადადების კოდირებიდან და უდიდესი მრავალმხრივი სიბრნის შემცველობიდან გამომდინარე, მეტად შეფარულადაა გადმოცემული. ამიტომაც თითქმის აბსოლუტურად შეუცნობია მასში არსებული 216 საიდუმლოება.

და ამ შემთხვევაში წმინდა ენის არსი, მისი საიდუმლოებანი დედა ენით უფრო გაშლილად, ლექსად სურს რუსთველს, განმარტოს. ამადაც ამბობს შოთა, რომ „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოენება“. ხოლო ძალას და შეწევნას უფალს ავედრებს, რომ მის მიერ მიცემული ენით, რომელიც გონი-ერია, ანუ შიგნით — ენაში აქეს შესაძლებლობა, მისცეს გონება მის ნაწარმოებს მთლიანი თორის თანმიმდევრობით, უფრო გაშლილად ასახსნელად. რაც ტარიელის — მესიის მოსვლით დაგვირგვინდება იბერთა მოდგმის სამი რელიგიის ლიდერების მეშვეობით. და ეს ყოველივე უპირველესად დედათა — ტურფათა მეცადინეობით მოხდება.

და ეს იმიტომ, რომ, როგორც ითქვა, ორიეე ენა თორის ენაა, სხვა ასეთი ენა არ არსებობს. ყოველი სიტყვა, ასო ორივე ენისა თითქმის სინონიმებია, ერთსახოვანია საიდუმლოებათა სიღრმისეულად გადმოსაცემად. ამიტომაც ენის გამოთქმით ქებათა ქებაა უფლისა, მისი შეხვინისა, რომლის სახეში ხუთი დედა — ტურფანი მოისაზრება.

ასე მათით შეეწეით ტარიელს, რომ მესიად მოგვევლინოს, რადგან სამ გმირს მნათობთა იბერიული მოდგმის ლიდერებს „სჭირთ ერთმანეთის მონობა“ — სიყვარული.

და ეს დედა ენით იხსნება. ოღონდ რუსთველი აქაც „გვაფრთხილებს“ „უჟამისოდაც ვინც ახსნას, არის მეფეთა (ანუ იბერთა სამი გმირის) მკვლელიო“. ამდენად, აქაც უპირველესად დედა ერის შეფარვაზეა ლაპარაკი. მიტომ, რომ როცა ისრაელი გაიფანტება მთელ მსოფლიოში, ყველგან შეეცდებიან მათ განადგურებას და მათი გადამრჩენელი, მიმღები სიყვარულით, სითბოთი, მხოლოდ კავკასია-საქართველო იქნება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

დასტურად უფრო გამოვკვეთოთ ორი ერის სულიერი ერთობის წარმოუდგენელი მნიშვნელობა. ამისათვის გაეიმეორებთ ზოგიერთ ნათქვამ აზრს.

აღვნიშნეთ, რომ მთლიანი სამყაროც უფალმა ორი არამატერიალური წერტილისგან შექმნა, რომლებშიც დაფარული ნათება იყო. ნათება ყოველთვის ცეცხლითაა და ადამიანის სხეულიც, აგრეთვე ცხოველური სული, რომელიც მიწიდან შექმნა უფალმა, შეიცავს ოთხ მატერიალურ საწყისს: მიწას, წყალს, ჰაერსა და ცეცხლს. მათში მრავალი უარყოფით ითვისებაა (იხ. მე-2 წიგნი, I ნაწ.). ხოლო მთავარი უარყოფითი სიამაყე ცეცხლშია. ამიტომ, როცა მატერია იწვის, ალი სიამაყის გამო ზევით ადის.

ამავე დროს ითქვა, უფალშია წარმოუდგენელი სიბრძნე და იყო სურვილი მისი, აგრეთვე მისი მეწყვილე მდედრობითის, შეხიზნისა, შექმნან მათი თვისებების მსგავსი მემკვიდრე ადამიანი, სულიერად გაწმენდილი შთამომავლობა.

აქ იკვეთება ის მისწრაფება უფლისა, რომ მის შუქს, სხივოსნებას, სიბრძნეს ქვემოთ ეყოლება უფლისა და მისი შეხიზნის მსგავსი, უპირველესად თავმდაბლობით, „ასევე მეორე“ მიმღები მათი შთამომავლობა, რაც სრულიად სამყაროს ნათლით მარადიულ შუქში მოაქცევს. და ამაზეც ითქვა, რომ აქაა სასრული „ორ“-შუქით ქმნადობის არსისა.

აქვე ითქვა, ამიტომაც აქვს ადამიანს უფლის ნაწილი ღვთიური სული წმინდა ენის ანბანით შთენილი და, რაც მთავარია, ადამიანის მატერიალური სხეული ზუსტად ამ სულის გარეგნობიდან გამომდინარეობს. მეტყველება ჩვენი არაიბერიულ ენაზე ნელნელა ავადდება, ამახინჯებს ადამიანის ორგანოებს, მთელ სხეულს.

ამდენად, თორაშიც, როგორც ასოებში პირველი დღის უფლის უსასრულო ძალის შუქია აკუმულირებული სამყაროს მხოლოდ მუდმივმოქმედებაც, მას მერე, რაც გამჩენმა თორა მისცა ისრაელთ, მხოლოდ თორის კითხვაზე — სწავლებაზეა დაფუძნებული. ასე რომ, თუ აქამდე უფალი ინახავდა სამყაროს, ახლა 600.000 ისრაელის თორაში ჭირნახულობით, მისი ამეტყველებით ვითარდება სამყაროს სასიკეთო ისტორია.

გამოსვლისას თითოეული ისრაელით ასო-ნიშანთა ერთობლიობა ისეთი ნათლით წარმოუდგენელი სილამაზის შუქით ანათებდა იმ დროს, რომ, როგორც ზეპირი თორა გადმოგვცემს, დადუმდა აუწერელი გაკვირვებისგან ცისიერნი-მიწიერნი, ჩიტები აღარ ჭიკჭიკებდნენ, ანგელოზებმა ფრენა შეწყვიტეს, სერაფიმები აღარ ამბობდნენ: წმინდაა, წმინდაა, წმინდაა; ზღვის ტალღები აღარ მოძრაობდნენ, დადუმდნენ, რადგან თითქოს ყველამ იხილა უფლის სასწაული თორა და კითხულობდნენ მას დედამიწაზე თითქოს ყოველი ისრაელთაგან.

ასე ჩამოვიდა დედამიწაზე თორა, რომელიც ანათებდა სამყაროს თითოეული ისრაელით თორის ასო-ნიშანთა შუქით. მოდიოდნენ ისრაელნი და თითქოს მოდიოდა წიგნთა წიგნი, დიდი შუქი სამყაროს სასიკეთო წინასწარმეტყველებისა.

იქამდე იქმნებოდნენ ერები, სახელმწიფოები გარკვეული ტერიტორიებით, სადაც გაყოფა უნდა ყოფილიყო წარმმართველი დედა და წმინდა ენებზე საუბრით დაკარგეს ეს ენები და დაკანონდა მიტაცება.

ახლა კი მოდიოდა ერი უდაბნოში სულიერი, ზეციურ წიგნად — ცეცხლად ქმნილი და ჩამოყალიბებული, და გაქრა პრინციპი — არა გაქვს ტერიტორია, არა გაქვს პური; გაჩნდა ახალი — გაქვს თორა, გაქვს ყველაფერი — წარმოუდგენელი ნეტარება; მარადიული ცოდნა სიწმინდისა, მისი შუქის ნათელი პური, გვაქვს სიმღერა, ცეკვა, ჰარმონია და სულიერი შერწყმა შემოქმედთან, ხარ მეფე — იბერი.

ისრაელნი ზეციურ მანანას — ძლიერთა პურს ჭამდნენ. და ასე შეიქნენ უდაბნოში ყოველგვარი ტერიტორიების გარეშე უფლის წმინდა ერად, შეერწნენ შემოქმედს.

ამიტომაც მოაცილა სიკვდილის ანგელოზი ღმერთმა ისრაელთ. თ'უმცა მერე შესცოდეს, მაგრამ პრინციპი – გაქვს თორა, გაქვს პური, სიცოცხლე, და თუ არა გაქვს თორა, გაქვს უზნეობა, სიბინძურე, სიკვდილი – მარადიულია.

იმ დღიდან დაიწყო ახალი ეპოქა, ჩამოვიდა ღვთიური შუქი, სამყაროში წყვდიადი განათდა. ისრაელმა მიიღო ის წარმოუდგენელი სინათლე, რომელსაც მსოფლიო აზროვნება უნდა გაეშუქებინა, სიბნელიდან სინათლეში გადაეზარდა.

1.5.1. ორი ანბანის სულიერი ერთობის არსი თორის დასახელებაშია გაცხადებული

ითქვა, თ-ორ-ით „ორ" ორი ანბანის შუქით, ორი ერით სულიერდება სამყარო, რაც ჩანს ამ „ორ" ასო-ნიშანთა წინამდგომ„თ" პირველ ასო-ნიშანში, რომლის ჰემატრია არის 9, და შეიცავს მთლიან სამყაროს, მატერიალურს – სულიერს. დასტურად, ზოგიერთი განმარტებით, მატერიალური ცები არის 7, ხოლო მე-8 და მე-9 – ეს უფლისა და მისი შეხინის ადგილსამყოფელია.

ხოლო ბოლო ასო-ნიშანი თორისა „ან"-ია, რომლის ჰემატრია 1-ია. ერთი კი უფლის სახელია, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა 10-ია. ითქვა, ამიტომაც 1 და 10 ციფრზე დაიყვანება ნებისმიერი ციფრი. ამდენად, ერთ ღმერთში „ან" ასოში, ჩატეულია ქმნადობის ყველა პროცესი მათი ციფრული მნიშვნელობით, უფლის პირიდან გამომავალი სიტყვიდან და წინადადებიდან გამომდინარე.

ანუ სრულიად ქმნადობა სამყაროსი იქმნებოდა ერთი ღმერთით და ყველაფერი მასში შერწყმულია. ჩვენ აქვე დავასაბუთებთ ქართული „ან"-ის სიბრძნის არსის ადეკვატურობას ებრაულ „ალეფ"-ის სიბრძნესთან.

ითქვა უდიდესი კაბალისტის, არიზალის მიერ: „ალეფი ძალაა ყველა ასო-ნიშნების. იგი სხეულის ორგანოების ძალისხმევით წარმოიქმნება და ყველა ასოს უკან დგას, ანუ ხორხისმიერი ბგერაა.

აი, რატომაა იგი უფლის სახელი, რომელიც ყოველი ჩვენგანის მაგალითია, რომელმაც შექმნა სამყარო-ადამიანი მისი წარმოუდგენელი თავმდაბლობიდან გამომდინარე. ალეფი მოცილებულია ნივთიერობრიობას და აქედანაა გამოთქმა „სამყარო შეიქმნა ალეფის მეშვეობით". ის სუნთქვაა მდუმარე შუქი, ენერგია. უფლის მამოძრავებელი ძალაა მთელი ანბანის სუნთქვის ნათებისა და ქმედებისა. ის შეესიტყვება უფლის სიბრძნეს – ხოხმას ანუ პირველ სეფიროთს". აი, რატომ დგას თორაში იგი ყველა ასოს უკან.

ყოველივეს დასტურად, რიცხვითი მნიშვნელი ალეფში א შემავალი ასოების – იუდის, ვავისა და ისევ იუდის – ჰემატრიათა ჯამი გვაძლევს 10+6+10=26. ამავე დროს, უზენაესის ჭეშმარიტი სახელის, რომლის ძალითაც მიმდინარეობდა ქმნადობა, იუდ, ჰეი ვავ ჰეი, ჰემატრიათა ჯამიც 10+5+6+5 ასევე გვაძლევს 26-ს. ითქვა, ამ სახელის არსის სიბრძნის შემმეცნებელი, განუსაზღვრელ ქმედებებს ახორციელებს. აქ ჩანს წარმოუდგენელი პოტენცია უფლისა, შთენილი ალეფში.

ამავე დროს ალეფში შემავალი ასოების ციფრების ნამრავლი 10x6x10 გვაძლევს 600-ს. ხოლო თვითონ ალეფი, იგივე ელეფი, ივრითულში ნიშნავს 1000-საც. ამდენად, 600 გავამრავლოთ 1000-ზე, მივიღებთ 600.000-ს. ეს არის, როგორც ითქვა, თორის ასო-ნიშნები, რომლებიც წერენ ერთად უფლის სახელს. ეს არის აგრეთვე ისრაელთა იმ წმინდა ნეშამების რაოდენობა, რომლებიც, როგორც დაბადების წიგნში წერია (იხ. წიგნი მე-3), შთენილი იყო ადამში და რომელნიც უნდა გამრავლებულიყვნენ, ადამს რომ არ შეეცოდა. მათგან კიდევ სხვები გამრავლდებოდნენ და ასე შეიქმნებოდა სამოთხე ქვეყანა. ამდენად, აქაც ჩანს, რომ ალეფ-ში მთლიანი თორაა, იგივე უფლის მეტყველებაა შესული.

არსი ამ სამოთხე ქვეყნისა ასევე ამ სამ ასოშია ჩადებული, რაც ასახულია თვითონ ასო „ალეფი"-ს სტრუქტურაში (א). ამაზე გაკვრით უკვე ითქვა, ახლა კი აღვნიშნავთ: ზემოთა იუდი, რომლის ჰემატრია 10-ია, ნიშნავს 10 მცნებას – რომელიც სპეციალურად უფლით, „ალეფ"-ით იწყება და არა „ბეტით". ანუ ეს არის ის წარმოუდგენელი სრულყოფილი თორის შემეცნება, რომელიც უნდა მიეღო ადამს და შეცოდების მერე ჩვენ უკვე მივიღეთ თორა „ბეტით", რომლითაც ვერ იხსნება ის მრავალი საიდუმლოებანი, რაც იმ თორაშია, რომელიც „ალეფით" იწყება. ეს სიწმინდე ზემოურ სულიერ სამყაროთა და თორის საიდუმლოებანი ირეკლება „ვავ"-ში (ו), რომელიც არის სიმართლის და მარადისობის სიმბოლოს რიცხვი და გადმოეცემა სრულყოფილად

დედამიწას, რის შედეგადაც იგი გასულიერდება სულიერ სამყაროთა ანალოგიით. ასო-ნიშან ალეფ-ის კონფიგურაცია ზუსტად ასე არის წარმოჩენილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედა ენის ასომთავრული „ან“ – ⊂ ასო-ნიშანი ასევე შეიცავს „ვავ“-ს, ზემოდან დაწერილს და ორ „იუდ“-ს ქვედა ნაწილში. ანუ ადეკვატურად წმინდა ენის ანბანისა, ჩვენთანაც „ვავ“ ასო-ნიშნით, რომელიც არის სიმართლის სიმბოლო, იყო თორის სამართალი ბევრად უფრო სრულყოფილი, ვიდრე ისრაელში, რადგან იქ იყრებოდა ინდოევროპული ენებით მეტყველება. ამიტომაც ვავ-ი ზევითაა, ხოლო ქვემოთა ნაწილში ორი „იუდი“ შერწყმულია, რაც ზუსტად ადასტურებს, რომ სამართალი ჩვენთან წარიმართებოდა თითქმის ზეციური სამართლის ადეკვატურად (იხ. მე-3 წიგნის III ნაწილი).

ამ ფაქტთან ერთად, ორი ანბანის ერთ წარმომავლობაზე მეტყველებს ისიც, რომ თუ ორი ანბანის „ალეფ“ და „ან“ ასო-ნიშნებში უფლის სიბრძნე პირველი სეფიროთის არსი გადმოიცემა, „ბეთ“ (ב) ასო-ნიშანი წმინდა ენაში და „ბან“ (Ⴓ) ასო დედა ენაში უკვე შეხინის მიერ უფლის სიბრძნის აღქმის, დაბინავების არსს გადმოსცემს, როგორც მეორე სეფიროთის „ბინ“-ის ფუნქციის აღმსრულებელი. რათა მათი ერთსულოვნებით აღიზარდოს სრულყოფილი სულიერი შთამომავლობა მესამე სეფიროთის – დაყათის –ჰკუის არსით.

დასტურად, ებრაული „ბეთ“ ב ასო-ნიშანი სამი მხრიდან ჩაკეტილია, ხოლო ერთი მხრიდან გახსნილი და ასევეა ასომთავრულის „ბან“ (Ⴓ) ასო-ნიშანიც. ანუ ორივე ერთად გადმოგვცემს, რომ შეცოდების მერე ჩვენ მოგვეცა სამყარო უფლის მიერ სამი მხრიდან აშენებული, ხოლო მეოთხე კედელი ადამიანებმა ჩვენი სრულყოფილად ჩამოყალიბებით უნდა ავაშენოთ. ამიტომაც არის, რომ თორა მოგვეცა არა „ალეფი“-თ, არამედ „ბეთ“ – ב ასო-ნიშნით დაწყებული.

და, რაც უმთავრესია, ამ წიგნში ჩადებულია წარმოუდგენელი კოდი უფლის სიბრძნისა. როგორც ითქვა, რაც მეტს სწავლობ და ბრძენდები, ყოველი სიბრძნიდან კიდევ უამრავი ახალი სხვა ჩვენი ნეტარების აღმოჩენები და სიბრძნის კარები იღება, მათგან კიდევ სხვები და ასე ახალ-ახალი აღმოჩენებით მიდიხარ ალეფის სიბრძნის დონემდე. გაქვს ნეტარება მარადიულად, რამეთუ ამოუწურავია თვით შემოქმედის შუქი – სიბრძნე.

ამდენად, ამ ორი ასო-ნიშნის წარმოუდგენელი მნიშვნელობიდანაა, რომ ებრაულშიც ანბანის დასახელება ალეფ-ბეთია, ხოლო ქართულში – ან-ბანია, ხოლო სხვებს ყველას მითვისებული აქვს ანბანის დასახელებაც კი. ამდენად, „ალეფ-ბეთი“ ებრაულში ან „ანბანი“ ქართულში მიგვანიშნებენ – გადმოგვცემენ უფლის მიერ შექმნილი მთლიანი თორის შინაარსს, მის წინასწარმეტყველებას.

აქედან გამომდინარე, არავის არა აქვს უფლება, მათ მიერ შეთითხნილ, წმინდა და დედა ენის ასო-ნიშანთა რიგითობის არევით შექმნილ კონგლომერატებს თორის არსის გადმომცემელი ალეფ-ბეტი ან ალფავიტები დაარქვან. ეს არის სიწმინდეთა შეურაცხყოფა! რამეთუ წმინდა ენაზე „ალეფ“ რწმენაა, ხოლო „ბეთ“ რწმენის დაცვაა. ამ რწმენის მიმღები და დამცველი უფლის შეხინაა, ხოლო მისით ქმედებენ მათი შვილები – იბერები. და ქართულ ან-ბანშიც დევს, რომ უფლის ანუ ან-ბანის რწმენის დანერგვისას ჩვენი ბა-ნია. ამგვარად, აქაც დაცვაა რწმენის– აღსრულებაა.

ეს დასახელება მიგვანიშნებს, რომ ამ ენებით საუბრისას ჩვენ ვართ კავშირში იმ სიწმინდესთან, სიკეთესთან, რომლის თვისებებით უნდა ვიაროთ და მარადიულად გავერთიანდეთ მასში. ადამიანის მიერ შექმნილი ენებით კი ჩვენ ვცილდებით ღმერთს და ვექვემდებარებით იმ ადამიანს, რომელსაც ჩვენი დამონების სურვილი აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მასავით დამპყრობლად უნდა გარდავიქმნათ, რაც ორივე შემთხვევაში სიკვდილის ტოლფასია. ამ ენების გავრცელებით ხომ მათ მთელი სამყარო მიჰყავთ იქამდე, რომ ყველა სიამაყით მოცული, უზნეო თვისებისანი შეიქნან, არ ჰქონდეთ სიყვარული და აღიგავონ უფლის შვილნი.

აი, რატომაა, რომ მთლიანი თორის არსი, უფლის მიერ მოკლედ გადმოცემული, მხოლოდ სამყაროში ყველაზე ბრძენის, სოლომონის წმინდა ენაზე დაიწერა და, აგრეთვე, რუსთველის მიერ – დედა ენაზე (იხ. მე-2 წიგნი, III ნაწილი).

ამდენად, ალეფ-ის, ალებ-ბეთის და ან-ბანის და მთელი თ-ორ-ის რიცხვებიდან და ჰემატრიებიდან გამომდინარე, სულიერ შუქში იქნება გახვეული ცა და დედამიწა და შეერწყმება მხოლოდ მას ერთადერთს ღმერთს.

საერთოდ, როგორც ქათამი ნისკარტის კაკუნით გადასცემს კვერცხში ნაყოფს ინფორმაციას მისი გაწვრთნისათვის, ამდაგვარადვე დედის მუცელში ბავშვის ჩანასახი

იღებს სათანადო ინფორმაციას ანგელოზების მეშვეობით იმ ენაზე, რაზეც დედა მეტყველებს. ამდენად, თუ ქალი მეტყველებს არაიბერიულ ენებზე. ჩვენი აზრით, მას თორის არსს ვერ შეასწავლიან. აქედანაა, რომ არაიბერიულ ენებზე მეტყველთა აგრესიითაა, რომ გავრცელებულია დაპყრობითი ომები სამყაროში. შემდეგაც, ბავშვის ზრდის პროცესშიც, დედა მუდმივად კონტაქტშია მასთან თავის ენაზე. ეს, საიდანაა ის გასაკვირი ფაქტი, თორიდან გამომდინარე, რომ ბავშვი გენეტიკურად მამას ემსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, რჯული დედიდანაა, ანუ მეტყველებაა წარმმართველი და ბავშვიც იმ ენის „ტყვე“ ხდება, რომელზეც დედა საუბრობს.

ამ ყველაფრის განმაპირობებელია უფალი და მისი წარმოუდგენელი ერთგული მეწყვილე, მისი შეხინა, რომელიც აგრეთვე კონტაქტშია მოზარდის გაბრძენებისათვის. აქედან გამომდინარე, უფალი მიიღვწოდა, რომ ასეთივე, ერთგულებისა და სიწმინდის შუქში ყოფილიყო გახვეული ადამი და მისი მდედრობითი ნაწილი, რაც რეალურად მოხდა, როცა შექმნა უფალმა ადამიანი თავისი ხელებით.

აქვე კიდეე აღვნიშნავთ ადამის ქმნადობის, გაბრძენების პროცესზეც უფლის მიერ, რაშიც ასევე მონაწილეობს თანაბრად „ორ“ – შუქი თ-ორ-ის და ორი ანბანის. გავიხსენოთ, უფალი ყოველ არსებას სიტყვით ქმნის. ხოლო ადამი თავისი ხელებით გამოძერწა მიწის მტვრიდან და მას ჩაუდო, როგორც ცხოველებს, გულთან ცხოველური სული. თუ ცხოველები ამ სულით ცოცხლობენ, ცხოვრობენ და მოქმედებენ, ადამი ჯერაც მკედარი იყო. რასაც ჰქვია სიცოცხლე, დაიწყო მან, როცა ჩაბერა უფალმა მას თავისი სულის ნაწილი და გააბრძენა ადამი. ასე იქცა იგი ჭეშმარიტ ღმერთის შვილად ანუ, როგორც ითქვა, შეიქმნა ადამი – წმინდა ენაზე „მიწა“ – მიწიერი ადამი-ან-ი.

ასე ადამი შეიქმნა ღმერთის შვილი, მიერთებული, შერწყმული შემქმნელთან, მეტად მშობლიურ ნათელთან, მისი ღმერთისვე შთენილი ღვთიური სულით, რომელთან შერწყმას გრძნობდა მთელი გულითა და სულით. ანუ იგი ხილულად გრძნობდა ღმერთს და შერწყმული იყო მასთან ისეთი სულიერი ძაფებით, როგორც ბავშვი დედის მუცელშია. და როგორც ანგელოზები განსწავლიან მას თორით, ასევე განსწავლიდა ადამს თვით უფალი, მშობელი-შემქმნელი.

და როგორც ჩვენ დაბადების მერე ვგრძნობთ დედის სასწაულ მსრუნველობას, იგი ამაზე რამდენიმეჯერ მეტად გრძნობდა სასწაულ სულიერი შუქის სიობოს-სიბრძნეს გადმოცემულს სულიერი დედ-მამის – უფლის მიერ.

თუ ადამიანი მოცილებულია სულიერებას, უფალს, თორას, ამაზე დამოკიდებულია მთელი სამყაროს ქმნადობის არსი და ამ შემთხვევაში ყველაფერი გაქრება. თუნდაც სხვა სხეულები, მაგალითად მზე და მთვარე, რამეთუ ეს ყოველივე ადამიანის არსებობისთვის და უფალთან შერწყმისთვისაა შექმნილი. ამდენად, თუ არ ვქმედებთ თორით, არც უნდა გარსებობდეთ. მაგრამ ჯერ გვაცლის უფალი.

ითქვა, თორის გარეშე მოქმედი ადამიანის თვალებით ხედვა რეალურად მიძინებას აღნიშნავს. ის ხედავს ორი თვალით მატერიალურ სამყაროს, საჭმელს და შეუძლია, თუ არ მოქმედებს თორით, ღორივით უსასრულოდ ჭამოს, რაც დამღუპველია; ანდა, მის სექსუალურ პარტნიორთან შესაზიზღი სიბილწე, საზიზღრობა იკადროს.

ხოლო სიბრძნით რომ იმოქმედო, ამისათვის შენი თვალების ხედვით კი არა, უფლის ენით, თორის სმ-ენ-ით, შენი ყურების სმენით უნდა იმოქმედო. ეს ნასმ-ენი უფლის სიბრძნე, ხოხმა, როგორც აღვნიშნეთ, მიიღება შუბლის მარჯვენა მხარეს მყოფი სეფიროთით – ხოხმით, მას განმარტავს უფლის შეხინა და ეს ფიქსირდება შუბლის მარცხნივ მყოფი სეფიროთით – ბინით და ამის მერე ქმედებაა ჩვენი მესამე სეფიროთით – დაყათით – ჭკუით, რომელიც კეფაშია. ეს, საიდან არის ხედვა ღვთიური სულის თვალებით და ამ შემთხვევაში ყოველი ჩვენგანი საგანს აღვიქვამთ განა მატერიალური თვალების ხედვით, არამედ თორის არსით. ამდენად, გენიალურია დედა ენა, როცა ჩვენ მეტყველებაში მუდმივად ვიძახით „უყურე“. ე.ი. უნდა აღიქვა საგანი განა მატერიალური თვალების ხედვის არსით, არამედ ყურთასმენის არსით იმ ინფორმაციისა, რაც უფლით – შეხინით მოგვეწოდება. და მაშინ ჩვენი ხედვა თვალებით უკვე დაყათით, იგივე ჭკუითაა. ამდენად, კითხულობ თვალებით, მაგრამ მაშინ უკვე უფლის შეწევნით, მხედველობა ღვთიური სულის თვალებითაა, რომლისგანაც ისეთი სიწმინდის სულიერი შუქი გამოდის, რომლის მეშვეობითაც ვხედავთ კიდევაც ასოების ნათებას, შუქს, ანუ ჩვენი ხედვა მატერიალური თვალებიდან გადადის ღვთიური სულის თვალებით ხედვაში, როცა ჩამოდის დიდი სულიერი შუქი და წარმოუდგენელ ნეტარებაში ხარ.

ამდენად, უნდა დავიმახსოვროთ ერთხელ სამუდამოდ – როცა ჩამოვა ეს შუქი, ინდოევროპული ენებით მეტყველნი ვერაფერს დაინახავენ თავიანთი მატერიალური თვალების ხედვით; ვერც შეჭამენ, ვერც გადაადგილდებიან. აი, რატომ იყო, რომ მოშე ანათებდა. ამდენად, ჩვენ შეგვეძლება ვუსმინოთ შემოქმედს, რადგან ასეა ის კავშირში შენ ღვთიურ სულთან, სადაც მისი ანბანია შთენილი. ასე შემოდის შენში უფლის სიბრძნე, ახსნილი შემოქმედით.

ამიტომაცაა სიტყვა „უყურე“, ანუ უფლის სიტყვის მიმღებ სმენის ორგანოზე – ყურზეა გამახვილებული „ყურად-ღება“, იგივე „ყურით მიღება“. ამდენად, თორის, იგივე უფლის ენას – წმინდასა და დედას – უნდა უსმინდე. აქედანაა: სმ-ენა და რწმ-ენა „ენა“-ს შეიცავს.

აი, ამ შემთხვევაშია ადამიანი სრულიად ჯანმრთელი და მარადიული, რამეთუ ყველა ორგანო ორ-ორი: ორი თვალი, ორი ყური, ორი ნესტო, გულის ორივე პარკუჭიც, ცხოველური და ღვთიური სულიც, ანუ ყოველივე მთლიანი ორ-განიზმის ქმედება სრულყოფილია.

ამიტომაც ქართულად ორ-განიზმი გვეუბნება, რომ ორგანზომილებიანია ადამიანი ღვთიური სულით ან ცხოველური სულით მოქმედი. ცხოველური სულით ეს მატერიალური მიმართულების განზომილებაა, ხოლო ღვთიური სულის თვალებით, აგრეთვე ორგანოებით ქმედება – ეს თორიდან გამომდინარე მიმართულებაა. ასე ყველა გადავალთ ღვთიური სულის თვალებით ხედვის უმაღლეს განზომილებაში და, თვალების გარდა, ყველა დანარჩენი ორგანო გასულიერებული, შუქში იქნება გახვეული. რადგან, ადამის შეცოდების მერე ჩვენს ტვინს გადაეფარა უზნეობათა ფარდა. და რომ წერია: „ადამს აეხილა თვალები“. ეს უკვე ჭეშმარიტი მხედველობის დაკარგვაა, მატერიალური აზროვნების განზომილებაში გადასვლაა.

ახლა შევეცდებით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქმნადობის არსი შევაჯეროთ კაბალისტურ აზროვნებასთან.

1.5.2. უფლის ანბანის ნათება, შუქი, სიღრმისეული არსი საფუძველია ყველა ქმნილებათა ქმნადობისა

ითქვა, ვერავინ ვერ აღვიქვამთ შემოქმედს, ამავე დროს, სიტყვა უფლისა, რიცხვშია გაცხადებული. ისიც ცნობილია, რომ ყოველი დასრულებული ქმედება ათობითაა.მათ შორის, შვიდ დღეში ათი ქმნადობით შეიქმნა სამყარო. ხოლო აზრი უფლისა, წმინდა ენით ნათქვამი, რეალურად 37 ასოთი გამოისახება, რამეთუ წმინდა ენაში 22 ასოს გარდა 15 ასო-ნიშანი კოდირებულია. დასტურად, აზრის ჰემატრიაც, რიგითი სათვალავი 37-ია, ხოლო მისი მინიჰემატრია 10-ია. და ხომ ათ სეფიროთშიც უფლის ხოხმის სიბრძნის აღსრულებაა. და სიბრძნის ჰემატრიაც 100, იგივე 10-ია. ამდენად, რაკიღა სიტყვა უფლისა იგივე რიცხვია, ამ სიტყვით ქმნადობა წარიმართებოდა მისგან გამომდინარე რიცხვებით, გარკვეული ჰემატრიებით, რაშიც გაცხადებული იყო ყოველი ობიექტის აგებულების (ზომა, სიგრძე, სიგანე და ა.შ.) აღწერა. ამ სიბრძნეს აღიქვამდა შეხინა, მისი მდედრობითი არსი და ახორციელებდა მისით განსაზღვრულ ქმნადობას.

დასტურად, რომ ყოველივე უფრო სიღრმისეულად განიმარტოს, განვიხილოთ, იცხაკ დავიდის ნაშრომი „ებრაული მისტიციზმის საფუძვლები.

რამბამის ერთ-ერთი მოწაფის, ეზრას აზრით ღმერთი, რა თქმა უნდა, უსასრულოა. ამავე დროს, ქმნადობის პროცესში, სამყარო პოტენციურად უკვე იყო მოთავსებული ენ-სოფში – მის შუქში, საიდანაც წარმოიქმნებოდა ნივთიერებები. ე.ი. ადგილი ჰქონდა არა შექმნას, არამედ გამომდინარეობას მისი შუქის სიბრძნიდან საზრისიერებიდან ნივთიერებისაკენ – უსასრულობიდან, რაც თვით უფალია, სასრულისაკენ, ანუ, ეს შუქი უნდა შეკვეცილიყო დედამიწაზე ადამიანთა ქმნილებებში.

ამასთან, არ შეიძლება სასრული ნივთიერებების შექმნა სამყაროში მომდინარეობდეს უშუალოდ ღმერთისგან, რომელიც უსასრულოა. ამადაც მათ შორის შუამავალი არსებანი სეფიროთებია. პირველი სეფირა დინამიურია, მისგან წარმოვლინდება მეორე სეფირა ინტელექტისა. შედეგად, მათით, მესამე სეფიროთის არსით – დაყოფით, იქმნება დასახული ქმნილებანი. და, როგორც ჩვენ ავხსენით, პირველი სამი ინტელექტის, საზრიანობის სეფიროთებია.

ამდენად, ქმნადობის პროცესში როგორც ნათქვამია ელიაუ წინასწარმეტყველის განმარტებაში შუამავალი სეფიროთებია. უფალმა ხომ მათით შექმნა, განაგებს სამყაროს და მათითვე იფარება ადამიანთა ძეთაგან.

ამავე დროს, ისინი აგრეთვე შთენილნი არიან წმინდა ადამიანთა სხეულებში.

ასე ყველა ერთად შეადგენენ ადამიანის სხეულის ათ ნაწილს და შუქის ათ გარდასახვას. ისინი შთენილნი იყვნენ ადამში და, როგორც ითქვა, ამიტომაც 378 სხვადასხვა შუქს – ნათებას გამოსცემდა მისი სხეული. ანუ იგი ასე იყო ჩაცმული, შუქში გახვეული. ვიცით, ანათებდა მოშეც, აგრეთვე რუსთაველის გმირებიც.

მეცამეტე საუკუნის ცნობილმა კაბალისტმა აბულაფიამ* ჩამოაყალიბა რიცხვთა და სიტყვათა შენაერთთა კაბალისტური სისტემა, რომლის მიხედვითაც ებრაული ანბანის ასოები კოსმიური შემოქმედი ძალების სიმბოლოები არიან და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სასწაულქმედებანი, რაც განახორციელა შემოქმედმა. ყველა ქმედება ამ ასო-ნიშნებით იყო. ამ სიბრძნეს შეიძლება დაეუფლოს ნებისმიერი, ოღონდ აუცილებელია განდგომილი და მჭვრეტელობითი ცხოვრების წესი, თორიდან გამომდინარე.

ეს ის ცოდნის მიღების სტადიაა, და იმ დონეზე განწმენდაა ორგანიზმისა, მიახლოებით როგორც ადამი იყო. ითქვა, როცა შესცოდა ადამმა, გადაეფარა მის სულს უზნეობის ფარდა და ის უკვე ვეღარ ხედავდა ღვთიური სულის თვალებით. ანუ იმ სულით, რომელიც ღმერთის ნაწილია და ჩვენ გამოვირჩევით ცხოველთაგან, რათა ვიმეფოთ მათზე, აგრეთვე სამყაროში.

ხოლო ადამის შექმნის პირვანდელ დონეს რომ მიეუახლოვდეთ, ეს შეიძლება შემედგნაირად განიმარტოს: ითქვა, ღმერთი არის აბსოლუტური სიწმინდე ყოველგვარი მინარევების გარეშე. ისიც ცნობილია, იგი არაა მატრიალური. ადამიც, როცა შექმნა მან, მოათავსა სამოთხეში, სადაც აბსოლუტური სიწმინდე იყო ყოველგვარი ჭუჭყისა და მინარევების გარეშე. მანის მსგავსი წმინდა საკვებითაც იკვებებოდა იგი. და იყო ღმერთის მიმსგავსი. ამიტომაც ემსახურებოდნენ ანგელოზნი. მაგრამ როცა დაიძინა ადამმა, მიხვდნენ ისინი, რომ შეცდნენ.

ხოლო როცა არ ისმინა ღმერთის სიტყვა და მიირთვა გაუსულიერებელი მატერიალური საკვები, მაშინვე მოსცილდა მას სხივოსნობა, შუქი ღმერთისა და შეიქნა შიშ-ველი. ანუ, როგორც აღვნიშნეთ, ღმერთი არის ერთი, მეორე ასეთი აბსოლუტური სიწმინდე არ არსებობს. მისი შვილიც ასეთივე შექმნა მისი ხელებით, თორემ შეეძლო, ადამიც სიტყვით შეექმნა. ასე ადამი შეიქმნა ფაქტიურად, ყველაფრით სუფთა, განწმენდილი, მიახლოებით უფალთან და როგორც უფალშია მისი შეხინა შერწყმული, ასევე იყო ადამის სხეულში მისი მდედრობითი არსი შერწყმული, რომელიც შემდგომ ადამის თხოვნით გამოყო უფალმა.

და როდესაც მიირთვა აკრძალული, ადამი უკვე აღარ იყო ერთი, მიახლოებული მისი სიწმინდით – შუქით ღმერთთან, რომელსაც ამიტომაც დაუწოქეს ანგელოზებმა და ემსახურებოდნენ. მას დაემატა სიბინძურე, ჭუჭყი, მატერიალური, მიწიერი-ბიწიერი საკვებიდან შთენილი მასში. ის უკვე აღარ იყო ღმერთიეით სიწმინდეში, რომლის ღვთიური სული ანუ ფესვი მისი, უნდა ყოფილიყო მისნაირთა ერთთა, წმინდანთა დაბადება-გამრავლებისა, აღზრდისა. და ესენი იყვნენ 600.000 წმინდა სული, შთენილი ადამში, რომელნიც გამოეყვნენ ადამს და ნაპერწკლების სახით გაიფანტნენ სამყაროში შეცოდების შემდეგ. და ეს ნეშამები რომ ჩასახულიყვნენ ადამის შვილებში, საჭირო შეიქნა მათი განწმენდა. ეს დაახლოებით ისეთი პროცესია, მაგალითად, კარტოფილი რომ გახდეს აბსოლუტურად სუფთა, მას რამდენჯერმე უნდა უცვალო წყალი, რომ სხვადასხვა ჭუჭყის ნაწილაკები მოსცილდეს. და აი ასე, უფალი ნელ-ნელა ახორციელებს პროცესს ადამის და მის შთამომავალთა სულიერად განწმენდისათვის, უარყოფით თვისებათა გამოსწორებისათვის, რომ მისი შვილები შეიქნენ მისნაირნი ერთნი – გამორჩეულნი, სიწმინდეში მყოფნი.

ითქვა, უფლით ყოველგვარი ქმნადობა ათობითაა და ჯერ ათ წმინდანში შეთიდან ორ ძმამდე მოხდა თანდათანობითი განწმენდა. ასე, შემი და იაფეთიდან ამიტომაც გამრავლდა წმინდა და დედა ერი.

შედეგად, ერთგზის მოხდა განწმენდა თითო-თითო პიროვნებაში. ახლა, უფლით, მეორეგზის ხდება განწმენდა, უკვე მთლიანად, ორი – წმინდა და დედა ერისა, მეორე ათი სულიერი ლიდერის – ვეფხისტყაოსანთა მოღვაწეობის სფეროში.

---

*აბრაჰამ აბულაფიამ შორეული ესპანეთიდან პალესტინისკენ გამოიწია 1260 წელს, რათა ლეგენდარული სამბატიონი ენახა და ისრაელის ათი ტომი (რამდენადმე კავკასიელ ებრაელებთან გაიგივებული) მოეძია. მაგრამ ეს მან ვერ განახორციელა.

ანუ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ორი, წმინდა და დედა ანბანი გადმოგვცემს თ-ორი-ს წინასწარმეტყველებას და ჩვენი ქმედებაც თორითაა ამ ანბანებით მე-ტყვე-ლებისას. ე.ი. ჩვენ ტყვე ვართ შემოქმედის, რომლისგანაც შექმნილია ეს ანბანები.

ხოლო მის მიერ ნათქვამი სიტყვები ანუ აზრი, შუქი, სიბრძნე თორიდან გამომდინარეა და ჰპოვებს სასრულს მის შთამომავალთა გონში, რითაც ისინი ნათლის შუქში არიან გახვეულნი, რაც წარმოუდგენელი ნეტარებაა ღმერთისა და მის მიერ შექმნილთა.

აბულაფიას თანახმად, ენობრივი მისტიფიკაციის გზაზე სამი ეტაპი იყო გასავლელი: „წარმოთქმა“, „დაწერა“, „განჭვრეტა“, რომელთა დროსაც იგი ფაქტიურად ეხებოდა, ჭვრეტდა თითოეული ასოს მიღმა მდგარ გამოვლენა-წინარე „სულს“. ქმნიდა სიტყვათა თანმიმდევრობის ჯაჭვებს, ალაგებდა მათ წინადადებებში, ამსხვრევდა მათ სიტყვებში, სიტყვებს – ასოებში, ხოლო ასოებს გარდატეხდა სინათლის სპექტრში.

აცხადებდა რა ღმერთთან შერწყმას ძირითად საბოლოო მიზნად, კაბალისტი ადიოდა რა ერთი სინათლისეული საფეხურიდან მეორეზე, საბოლოო ჯამში აღწევდა იმ წერტილს, როცა ადამიანური მეტყველება ქმნიდა მოსავანებელს ღმერთის სიტყვისათვის. ასეთი პირი, აბულაფიას მრწამსით, ითვლებოდა „შუქმოფენილად“.

იეჰ-ს ანუ ოთხასოიანი სახელის წარმოთქმასთან დაკავშირებით აბულაფია წერდა: „ამ ბილიკის სახელი შეიცავს საიდუმლოებას 70 ენისა, რაც ასოთა... გადაადგილებაში მდგომარეობს. ესაა უკან დაბრუნება ასოებისა მათ პირვანდელ არსთან, ანუ მათი განვითარება ათი სეფირას მოაზრებისა და გამჭვრეტის მიხედვით...“ ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, გოდოლის აშენების მერე ებრაელი და ქალდეველი ქურუმების მიერ, ასომთავრული ანბანის სიბრძნე რომ შეფარულიყო, არა მარტო გადაკეთდა ეს ანბანი ნუსხა-ხუცურზე. აგრეთვე აღირია მისი რიგითობაც და ხუთი ასეთი ანბანი არსებობდა. ამდენად, ჩვენი ვარაუდით, მან შეიცნო ამ ანბანის ის წარმოუდგენელი სიბრძნე, რაც გოდოლის აშენების დროს იყო ცნობილი. რაბი აიშებიცის განმარტებით, საფრენი აპარატებიც კი ჰქონიათ მაშინ. ამდენად, ეტყობა მან (აბულაფიამ) მიაგნო წმინდა ენის იმ სიბრძნეს, რომელიც დედა ენით განიმარტება და დაეკარგეთ გოდოლის აშენების შემდგომ.

ეს სიბრძნე შეიცნო მოშემ, როცა მან მიიღო თორა; მაშინ აუხსნა უფალმა მას ასონიშანთა სიბრძნის არსი. ეს გამომდინარეობდა მისგან, რომ როცა მოუხმო უფალმა მოშეს თავის კანონთა სიბრძნის გადასაცემად, სიტყვა „მოუხმო“ წმინდა ენაზე – „ვაიკრა“ დაწერა მოშემ მის საწყისში პატარა „ალეფით“. ეს თავმდაბლობა დაუფასა უფალმა და შემოვიდა მასში უფრო გაძლიერებული სიბრძნის შუქი.

შემდეგ იცხაკ დავიდი გადმოგვცემს: „აბულაფიას ცერუფოლოგია ორი ძირითადი კარისაგან შედგება, ესენი ბილიკებად იყოფიან, ხოლო ბილიკები კი – ნაწილებად. პირველ კარს „ციური ჭისკარი“ ჰქვია, მეორეს – წმინდანი კარი“... კაბალისტი საკუთარ ასო-ტენდენციებს ღმერთის მიმართულებით მიმართავს. აი ეს აღწერაც: „ასოებზე ყურადღების დაძაბვისა და ამოძრავების შემდეგ, თავზე თმა ყალყზე დაგიდგებათ... სისხლი ვიბრაციას იწყებს... სხეული – კანკალს, თრთოლვა-ჟრუანტელი აიტანს ყველა შენს ასო-ნაწილს და შიგნით რაღაც დამატებით ნეშამა-ს იგრძნობ... რომელიც გამაგრებს, მთელ სხეულს გიჭოლავს და გრძნობ თავს ვითარ ნელიცხები სურნელოვან ზეთში თავიდან ბოლომდე“.

აბულაფია მოძღვრავდა მოწაფეებს, რომ იმდენივე გზა არსებობს ასოთადმი მიდგომაში, რამდენიც ადამიანური ქმნილებაა. აქედან გამომდინარე, ასოების სულია შთენილი ყოველ ჩვენგანში და მისთა კომბინაციათა შექმნით ყალიბდება ადამიანთა თვისებანიც. ხომ ვიცით, ასოებს გააჩნიათ დადებითი და უარყოფითი თვისებები. ამდენად, ასოებით შექმნილი სულები ყველა სხვადასხვაა. აქვე ვთქვათ, რომ ენერგია ნიშნავს: უფლის ენის არსი რგია ყოველ ჩვენგანში მისი დარქმეული სახელით. ანუ უფლის ენაა ჩვენი შემქმნელი და ჩვენი გამოვლინება მისი ენითაა. დასტურად, ხვეწდა რა ენათმეცნიერულ თეორიას აბულაფია აცხადებდა, რომ ადამიანური ქმნილებები არ არიან ენის ბუნებრივი პატრონნი, არამედ მის პასიურ საშუალებას უფრო წარმოადგენენ. იგი ენას განიხილავდა ვითარცა სულთა შორის გარეგანი კომუნიკაციის საშუალებას, ენა იყო მარტივი ნივთიერ-ფიზიკური განპირობება ანუ საგანთა სახელი და ფორმა. იგი ითარგმნა კაბალისტის ხელში და მისით მიმდინარეობდა შექმნა საგანთა ფორმის შეცვლა და გარდაქმნა მათი ბუნების, რა თქმა უნდა, სახელის შეცვლიდან გამომდინარე. ხომ ასო-ნიშნებში შთენილი შუქით – ენერგიით შექმნა უფალმა სამყარო.

ხოლო, ამ ოთხი ასო-ნიშნის კომბინაციებიდან გამომდინარე, იქმნება ადამიანთა სახელები, სულები, და ამ სახელებშია ადამიანთა დანიშნულება, უფრო მეტიც, სახელით, რომელიც ადამიანს ნათლობით ერქმევა, შეიძლება შეცნობა მისი სულიერი არსისა, ბედისა, რამეთუ, უფლით, სახელში ადამიანის სიბრძნე, ნიჭიერება თვისება და უფლით დაკისრებული ფუნქციაა წარმოჩენილი.

აი, საიდანაა ის უდიდესი სიბრძნე, როცა ასეთი უდიდესი დონის კაბალისტები ქმნიან ადამიანთა ორეულს. ოღონდ ის ცხოველურ დონეზეა, ეერ მეტყველებს, რამეთუ ღვთიურ სულს ამისათვის მხოლოდ ღმერთი გვაძლევს.

ამდენად, ვხედავთ, რამდენად უსუსურნი არიან ისინი, ვინც მეტყველებდნენ თავიანთი შექმნილი ანბანებით და ეჯიბრებიან უფალს. და ასე თუ გაგრძელდა, ამ სამყაროს გადაშენებას აღარაფერი უკლია.

დასტურად, ენის, მისი შექის ხილვადობაში ვრწმუნდებით, როცა სინას მთაზე ისრაელებმა უსმინეს უფალს. გავიხსენოთ, მთელი ხალხი ხედავდა ხმებს და ალმურს, საყვირის ხმას და აკვამლებულ მთას. და ეს იმიტომ, რომ მათ გასულიერებული ჰქონდათ სხეული და ისინი იყურებოდნენ არა მატერიალური, არამედ ღვთიური სულის თვალებით. ანუ, როგორც ითქვა, მათი ყურები უსმენდნენ უფლის ინფორმაციას.

ამდენად, ისრაელებმა როცა გამოასწორეს ადამის თვისებანი, მათ შორის მთავარი — სიამაყე, გაეხსნათ ხედვა მესამე სეფიროთის არსით — დაყათით, იგივე ღვთიური სულის თვალებით და უკვე ხედავდნენ თითოეულ ბგერას, ანუ იმ ბგერას, ცეცხლში, შუქში გახვეულს, რომლითაც შეიქმნა ჩვენი მატერიალური და სულიერი სამყარო, დასტურად გავიხსენოთ ფსალმუნი 33.16: „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მის ბაგეთა ქროლვით — მთელი მისი მხედრობა“.

ისიც ცნობილია, რომ უფლის ნათქვამი ისეთი ძლიერი იყო, ამ ასო-ნიშანთა ცეცხლით თვითონვე ამოიკვეთა ათი მცნება ორ დაფაზე. და რაკიღა ასოები წყაროა, მათი შექით იქმნება ღვთიური სული, ფესვი ჩვენი სიცოცხლისა. თვით ორი დაფაც ასოთა შექით, ცეცხლით სუნთქავდა, ცოცხალი იყო, რამეთუ სიტყვა „ცოც-ხალი“ შეიცავს „ცეცხლს“, და როდესაც მოშემ ჩამოიტანა უფლისგან მიღებული ეს ორი დაფა, ამასთანავე დაინახა ისრაელთა მიერ შექმნილი კერპი, ეს ასო-ნიშნები მაშინვე მოსცილდა უფლის ორ დაფას, ანუ დაფას მოსცილდა ასო-ნიშნები სულიერებისა.

ეს იგივეა, როცა ადამიანს გარდაცვალების დროს სცილდება ღვთიური სული, რის შედეგადაც იგი მძიმდება. ასევე, როცა ამ დაფებს მოსცილდა ასოები, იგივე ცეცხლი, სასიცოცხლო ფესვი — სული ამ დაფების სულიერებისა, ასო-ნიშნებით ამოკვეთილი, ეს დაფები იმდენად დამძიმდა, რომ მოშემ ველარ დააკავა სიმძიმის გამო და მოისროლა ისინი.

აი, რატომ უთხრა უფალმა მოშეს, რომ ახალი დაფები გამოეთალა, როცა მეორედ მისცა მას ათი მცნება, ხოლო ძველი შეანახინა.

და როცა აშენდება მესამე ტაძარი, როგორც ჩვენში, ადამიანთა სხეულში ჩასახლდება მკვდრეთით აღდგომისას უფლით ჩვენი სულები, ასევე ამ დაფებში ჩასახლდება მათი გამასულიერებელი ასო-ნიშნები. ცნობილია, უფალი აძლევს ადამიანს სულს და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლის, სმენის, ხედვის, მეტყველების უნარს და სინას მთაზეც, თორის მიღებისას, ისრაელთა სმენა, ხედვა, მეტყველება საწყის ფორმას დაუბრუნდა, ანუ ისეთს, როგორიც შექმნა უფალმა პირველი ადამიანი.

ამდენად, 6 დღის ქმნადობისას, როცა უფალი ამბობდა სიტყვას, ეს იყო პირდაპირი ბრძანება ადამიანივით სულიერ ცოცხალ ასო-ნიშნებზე, თუ როგორ წარმართულიყო ქმნადობის პროცესი. უფალი ქმედებდა თავის მიერ ასო-ნიშნებში ასახული დაფარული ღვთის ენერგიის საშუალებით. ითქვა, სიტყვა ენ-ერგია ანუ ენის მრწამსი რგია ხომ ამასვე მიანიშნებს, ანუ ენის — უფლის მეტყველების არსი ინერგებოდა, და ასე მიმდინარეობდა ზემოთა და ქვემოთა სამყაროთა ქმნადობა.

საკუთრივ ღმერთის (ელჰ) სახელის განჭვრეტას აბულაფია ანდობდა განსაკუთრებით მომზადებულ მოწაფეებს. ამ სახელში სამი ცალკეული ნახევარხმოვანია მოცემული. (ჰ.ვ.ი.) ი-ოდი პირვანდელ წერტილს წარმოადგენს, ანუ ეს, როგორც ითქვა, უფლის სიბრძნე-ხოხმაა. ჰ-ე — წარმოადგენს სულიერ ნასუნთქს და განფენილობას სამყაროსეულ განზომილებებში, რასაც უფლის შეხინა ახორციელებდა. ხოლო ვ-ავი ხაზს გამოხატავდა. ყველანი ერთად შეესაბამებოდნენ ცეცხლს, წყალსა და ჰაერს, ის, რაც აუცილებელია, როგორც აღვნიშნეთ, ნახშირორჟანგის სათანადო სინთეზისათვის, რისი არსიც ყოველი ობიექტის დარქმეულ სახელებში იყო გადმოცემული. ამდენად, შეიძლება ამაშიც არის ამ სახელის საკრალური მნიშვნელობა,

რომ მიდიოდა სინთეზი შეხინის მიერ ნახშირორჟანგის, ცეცხლისა და წყლის საშუალებით, რათა შექმნილიყო ასო-ნიშნების არსით სახელში გაცხადებული ყოველი ობიექტი.

ამდენად, როცა ორი ერი ერთადაა, მათთან მუდმივად უფალია თორის ახსნა-განმარტებისათვის. ეს წააგავს ო-ჯახის არსსაც. თუ ღმერთი მუდმივად არ არის, ოჯახში არ არის შუქი, ნათელი, არაა სიმყარე, სადაც ორია, ან ოთხია, იქ ყოველთვის უნდა იყოს მესამე-მეხუთე – უფალი, ანუ მეხუთე წერტილი ამ ოჯახში მუდმივი სინათლისათვის უფალია. ეს წერტილი განაპირობებს მის ნათებას და აგრეთვე სამყაროსი, ანუ ოჯახი, სამყარო, მყარია, რაც ჩანს რიცხვებშიც. ცოლისა და ქმრის რ.ს. თანაბარია – 67, მინიჰემატრია მისი 4-ია, ოთხი კუთხე მათთვისაა საცხოვრებელი, როცა უფალია მათ შორის.

67-ის მეორე მინი ჰემატრია ასევე 13-ია, რაც, როგორც ითქვა, წმინდა ენაზე უფლის სახელის და, აგრეთვე, სიყვარულის ჰემატრიაა. ანუ ჩვენ უფალივით, როგორც შეხებია მასთან შერწყმული, ასევე უნდა ვიყოთ უფლის მოწოდებით სიყვარულით ცოლ-ქმარი შერწყმული. ამის მაგალითს გვაძლევს ორი ანბანიდან გამომდინარე ორი ერის, ალეგორიულად მამრის და მდედრის, სულიერი შერწყმით როგორ შეიქმნება სამოთხე.

1.5.3. იბერია-კავკასიის სამოთხე-ქვეყნის შექმნის არსი ჩანს სიტყვებში „ქართველი“ და „ისრაელი“

რაც მთავარია, როგორც მომავალ ცოლ-ქმარშია შთენილი ერთი სულის ორი ნახევარი და ნათლობისას მათი სახელიდან გამომდინარე. ისინი პოულობენ ერთმანეთს და მათი შეცვლა შეუძლებელია, ასეთივე კანონზომიერებაა უფლის მიერ დარქმეულ ორი ერის სახელებში – ქართველი და ისრაელი. და ეს ყოველივე გამომდინარეობს უფლის მიერ მოცემული ორი ენით მეტყველებიდან. აქედან, ამ ენებით მეტყველებიდანაა რომ უფალთან მიახლოებული ისეთი თვისებები ყალიბდება ამ ორ ერში, სადაც არ უნდა იყვნენ, როგორც ცოლ-ქმარი, პოულობენ ერთმანეთს და სულიერად სიყვარულით ერწყმიან, გვერდში უდგებიან ერთმანეთს.

აქედანაა ტრადიციული, ერთმანეთისათვის ურთიერთთავგანწირვა და უღალატო ერთგულება ორი ერისა, ისევე, როგორც მდედრ და მამრ მტედებშია უფლით დაწესებული – თუ ერთი მოკვდება, მეორე არავისთან უღლდება. ასეა ეს ორი ერიც. ჩვენ შინაგანი თვისებებით სხვა ენაზე მოლაპარაკეებისგან იმდენად განსხვავებულნი ვართ, რომ მათთან მეგობრობა თითქმის გამორიცხულია. რამეთუ თორით, დღევანდელი მათი ქმედებების გამო ისინი სიკვდილით უნდა დაისაჯონ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, მათ სიმართლე განვუმარტოთ, იქნებ გამოსწორდნენ, ამეტყველდნენ უფლის ენებზე. თუმცა ბევრმა ჩვენშიც იმდენად გაიბინძურა ინდოევროპულ ენებზე საუბრით სული, რომ ჩვენც ვკარგავთ ენასაც და ზნეობასაც.

ამდენად, ორი ანბანი ორ ნაწილად – მდედრად და მამრად იყოფა. ანუ მამრი წმინდა ენაა, სადაც 22 ასო-ნიშანშია წარმოუდგენელი სიბრძნე – ხოხმა უფლისა, რომელიც მდედრით – დედა ენის 37 ასო-ნიშნით განიმარტება. ანუ მამრის წარმოუდგენელი სიბრძნე ბინავდება მდედრის გონში. და თუ დავაკვირდებით, მუდმივად ვნახავთ ამ ორ ანბანს შორის საოცარ სულიერ კავშირებს, რაც თორის სიბრძნეთა ახსნის უმოკლესი საშუალებაა.

და როგორც მომავალი ცოლ-ქმარი, ერთმანეთს ეძებენ, რომ თავიანთი სულის ნახევრები გააერთიანონ, შეერწყან ერთმანეთს სულიერი სიყვარულით, რაც უფლით მათი კიდევ უფრო გაბრძენების საწინდარია. ასევე ამ ორი ენით მეტყველნი მიილტვიან სულიერად ერთმანეთისაკენ. ეს იმიტომ, რომ ორივე ანბანის ასო-ნიშნებში ისეთი დიდი თ-ორ-ის შუქია უფლით შთენილი, ისეთი ერთსულოვნების სიბრძნე ვლინდება, რომ თორის 70 მიმართულების სიბრძნე შეიძლება აიხსნას და ამიტომაც, როცა ორი ერი ერთდება, თორის შუქით დაუმარცხებელნი ხდებიან.

აი ახსნა იმ საიდუმლოების, რომ გოშენში, რაც ორ ერს ნიშნავს, ეს ორი ერი ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ მათ ყველა დასჯა სცილდებოდათ და ამ სულიერებით, ორი ანბანით შეკრულნი ღირსჰყო უფალმა, რომ უვნებლად გასულიყვნენ ეგვიპტელთა ტყვეობიდან.

ამ ყოველივეს განმაპირობებელი იყო ის, რომ წმინდა ენაზე დარქმეული სახელის ისრაელის ხუთი ასო-ნიშნიდან ოთხი ასო-ნიშანი: ალეფი, იუდი, ლამედი, რეიში შედის აგრეთვე წმინდა ენაზე დარქმეულ სახელ ქართველში. ამავე დროს, ეს ოთხი ასო-ნიშანი თავისი მრწამსით განასახიერებს უფალს, მის ზნეობრივ მეფობის არსს.

ალეფში. ვიცით, რომ დედამიწის გასულიერების არსია ზაცის ანალოგიით გადმოცემული. მისგან გამომდინარეა მეორე ასო-ნიშანი იუდი, რომელიც უფლის სიბრძნეს, ხოხმას განახორციელებს. რომლის მინი-ჰემატრია 10-ია. ამ ასოს არსია უდიდესი თავმდაბლობა. უფლისგან გამომდინარე. რასაც უნდა ფლობდეს ყველა მეფე, იბერიელი, წინამძღოლი ერი სამყაროსი. მესამე ასო-ნიშანი ლამედი ცოდნის, სწავლის სიმბოლოა ქველმოქმედებასთან ერთად. ხოლო რეიში ნიშნავს თავს და იბერნიც თავნი არიან იმიტომ, რომ სწავლობენ თორას და სიბრძნის სიმბოლოცაა ეს ასო-ნიშანი. იგიც სიმბოლურად, როგორც წინა სამი, ასახიერებს ყოველისშემძლე შემოქმედს, მეთაურს, რომელიც უდგას სამყაროს სათავეში.

აი, რატომაა, რომ სამყაროში მხოლოდ ამ ორ ერს აქვს მიხლოებით უფლის თვისებანი გაცემა-გაყოფისა, სტუმართმოყვარეობისა. და ეს ყოველივე იმიტომ, რომ ორივე ერში იყო 12 შტო, 12 კუთხე, სადაც, თორიდან გამომდინარე, მიწა-მამული თანაბრად იყო გაყოფილი. ამიტომაც, ორივე ერის სახელის წმინდა ენაზე „ივრის“ მინი-ჰემატრიაა 12. ამავე დროს, ემთხვევა მინი-ჰემატრიები ისრაელის (541=10) და ქართველის (667=10), რაც 10 მცნების, იგივე თორის ჰემატრიაა. არის კიდევ ხუთი ასო-ნიშანი ორივე ამ სახელში შემავალი: ვავი (ו), რომელიც სამართლიანობის სიმბოლოა; ხაფი (כ), რომელიც შენების სიმბოლოა; ყაინი (ע), რომელიც თვალს ნიშნავს. მისი ჰემატრია 70 მიუთითებს თორის სინათლის დანახვასა და ბრძნულ ქმედებაზე. მის საიდუმლოებათა სიღრმისეულ გაგებაზე. წმინდა ენაზე საიდუმლოს (ანუ „სოდ“-ის) ჰემატრიაც 70-ია; შინი (ש) – სამართლის სიმბოლოა; ხოლო თავ (ת) ასო-ნიშანი განასახიერებს ჟინს, გატაცებას, რომელიც მუდმივად არის საჭირო, რათა მოვაქციოთ ხალხები სიკეთისაკენ.

ამგვარად, წინა 4-4 ასო-ნიშნით ეს ორი სულიერი ქართველთა და ისრაელთა შერწყმულია ჰარმონიულად, დანარჩენი ასო-ნიშნებიც, ამ სულის შემადგენელი ნაწილები, თავისი შუქიდან – ცეცხლიდან გამომდინარე, ნეტარებით მოქმედებისაკენ კრავენ ორივე ერს, ხოლო შეერთება-შერწყმისას, თორის არსის მოქმედებიდან გამომდინარე. ეს ნეტარება ასწაულად იზრდება, რამეთუ ისინი, ალეგორიულად მდედრი და მამრი, ერწყმიან შემოქმედს და მის შეხინას; ასე მუდმივად ერთმანეთში შერწყმისკენ ილტვოდნენ, ისინი მათი შემქმნელის მონანი არიან. აი არსი, ენით დანერგილი ენერგიით იმ დიდი სულიერი სიყვარულისა, ორი ერის უფლით შთენილი. რუსთველს ამ ორი ერის სიდიადე და ქვეცნობიერად ურთიერთშერწყმისკენ სიყვარულით ლტოლვა ასე აქვს გადმოცემული ავთანდილისა და ტარიელის სახეში, როცა ისინი შეეყრებიან ერთმანეთს:

„გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად,
ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად!“
„მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდეს.
ვარდსა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრი გამოსჩვიდეს,
ყელი ყელსა გარდააჭდევეს, ერთმანეთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს ხელი შეეპყრა ხელათა,
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა,
ასმათი სულსა უღებდა, სიტყვითა საკვირველითა:
თავთა ნუ დახოც, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა.“

ამდენად, აქ ჩანს, როგორი უდიდესი სულიერი კავშირებია ორი ერის სულიერ ლიდერთა შორის. ეს იმიტომ, რომ სამყაროში მხოლოდ ეს ორი ერია ღმერთის მოყვარული, მოშიში. ცალ-ცალკე ისინი მარტონი სუსტნი არიან. რამეთუ ყველა დანარჩენი მათი მტერია. ერთად კი დაუმარცხებელნი ხდებიან.

ხოლო ტირილში გამოხატულია ავთანდილისა და ტარიელის ის განცდები, რაც ებრაელთ დაატყდათ მათი შეხინის განდევნილობის გამო. რამეთუ დაინგრა ტაძარი. და ეს ყოველივე სულიერება ორი ანბანიდან რომ იყო. დასტურად, წერია: „ასმათი სულსა უღებდა, სიტყვითა საკვირველითა“. ამდენად, ასმათი უფრო კრავდა მათ სულიერ სიყვარულს, რაც გამოიხატებოდა სიტყვებით ლტოლვაში ჯერ ერთმანეთთან და მერე უფალთან – შეხინასთან შერწყმისათვის. ესე „სიტყვითა საკვირველითა“ ორი ანბანის სულიერებიდან გამომდინარე, მათი სულები ერთმანეთთან შერწყმისკენ მიილტვოდნენ.

ხოლო როცა სცილდებიან ერთმანეთს, რათა დააბრუნონ შეხინა ისრაელთა დედა მიწაზე, ეს შემდეგნაირად გადმოიცემა:

გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით;
ვიდრე უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბღნეჯით;
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მისით ღრეჯით.

განა ასე ტირილით არ დასცილდა ებრაელობა საქართველოს და ასევე სიხარულის ცრემლებით, ტირილით ეხვდებით ერთმანერთს, ჩვენი ერთსულოვნებიდან გამომდინარე. განა ისრაელნი, აქ ჩამოსულნი, დედამიწას არ კოცნიან?

ამდენად, ისრა-ელი, ნოეს კურთხევიდან გამომდინარე, ნიშნავს, რომ ის პირდაპირი ხაზით ამყარებს კავშირს გამჩენთან. ასე შეიცნობს უფლის სიბრძნეს და ალეგორიულად იგი უფლის სიბრძნის მატარებელი ერია. ხოლო ქართველი – ეს მისი სულიერი მეწყვილეა, რომელსაც უნდა გადასცეს მისი სიბრძნე, და როგორც უფლის შეხინა აბინავებს უფლის სიბრძნეს – ხოხმას, იგივე თორას, დაყათით – ჭკუით მომავალი თაობის აღსაზრდელად, ასეთი ჭკუით ქმედებდა ქართველი, მისი ცხოვრების წესით, გონიერი თაობის აღსაზრდელად. ახლა ავხსნათ, რას ნიშნავს წმინდა ენაზე სახელები „ისრაელი“ და „ქართველი“.

1.5.3.1. შინაარსი ორი ერის სახელებისა

ითქვა, იმიტომ არ არიან იაფეთელები – ქართველნი მოხსენიებულნი, რომ, იქცა საქართველო სამოთხე ქვეყნად, სიკეთის ციტადელად და მიიღტვოდნენ ძმები, რომ ეს დაფარული ყოფილიყო, რამეთუ გააძლიერებდა ბოროტება მასზე შემოტევას. ასე ჩამოყალიბდა წმინდა – დედა მიწაზე დედა ერი და სიტყვა „ქართვ-ელი“ ამიტომაც წმინდა ენაზე ნიშნავს: „ქართვე“ – ეს მოკვეთილია, წინადაცვეთილია, „ელ“ კი ღმერთის სახელია. ანუ ღმერთის რჩეული შვილი ხდება ქართველი. აი, რას გვეუბნება ეს სახ-ელი ანუ იგი, როგორც ავხსენით, ღმერთითაა დარქმეული.

აღვნიშნეთ, რომ წინადაცვეთა განაპირობებს სასქესო ორგანოს სიწმინდეს და ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანი მიაღწევს უდიდეს სულიერ დონეს. მაშინ, ადამიანის პირი, ისევე, როგორც სასქესო ორგანო – ასო, მიჩნეულია წმინდად. რამეთუ, როცა თორით ექმედებთ, მაშინ ღვთიური მოლაპარაკე სულით კავშირშია ჩვენთან უფლის შეხინა და ჩვენი ენიდან მარგალიტები – სიწმინდე, სიყვარული – გადმოიღვრება. შედეგად, ასეთი აზროვნებიდან გამომდინარე, იშობა წმინდა შთამომავალი – მეფე-იბერიელი. რამეთუ ის მხოლოდ ფიქრობს ასევე წმინდა, თორით ღირსეულად განსწავლულ შთამომავალთა შობა-აღზრდაზე. ეს მეტად საშურია, რადგან უფალი ამაზე 1000 თაობას ფიქრობდა და ამისათვის შექმნა ჩვენი ქმედების კონსტიტუცია – თორა.

როდესაც ადამმა შესცოდა, ზეპირი თორით ცნობილია, რომ მას დაუქვეითდა ხუთი გრძნობის ორგანო: ხედვის, ყნოსვის, სმენის, გემოვნებისა და შეხების. ამასთან, უზნეობის ბინდი გადაეფარა მეექვსე ორგანოს ღვთიურ სულს, რომელიც ტვინთანაა დაკავშირებული მისი გაბრძენებისთვის შთენილი. და იგი მატერიალური, დაქვეითებული თვალთახედვით ხედავდა ყველაფერს, ენა მისი არ იყო უფლის სიწმინდესთან კავშირში.

ამიტომაც, ზეპირი თორით ისიც ცნობილია, რომ მის სასქესო ორგანოს ნელ-ნელა გადაეფარა უწმინდურობის ფარდა, ანუ წამოეზარდა კანი. ეს გახდა მიზეზი, რომ ამის მერე ადამიანები წინადაუცვეთავნი იბადებიან.

თვით აბრამიც, როცა შეიქნა 100 წლის სრულყოფილი, მხოლოდ ამის მერე წინიცვეთება. ნიშნად ამისა, მის სახელს დაემატება „ჰეი“ ასო-ნიშანი და შეიქნება „აბრაჰამი“. ხოლო „ჰეი“ ასოს ჰემატრია 5-ია, იგი უფლის შემცველობის, მეფობის სიმბოლოა ქვემოთა სამყაროში. და ეს ღირსება მიტომ მიეცა, რომ კვლავ გაასულიერა 5 გრძნობის ორგანოთი ქმედება და თითქმის ადამის საწყის დონემდე აიყვანა.

ამის მერე, როცა შეეძინება ისააკი, მხოლოდ მისგან მრავლდება წმინდა ერი და არა იშმაილისგან. რამეთუ იცხაკი მას შეეძინება, მას შემდეგ, როცა აბრამმა სრულიად გამოასწორა, გაასულიერა ხუთივე გრძნობის ორგანოს ქმედება და იგი უკვე მეექვსე ორგანოთი – ღვთიური სულით ქმედებდა. ციფრი 6 ასევე „ვაე“ ასო-ნიშნის ჰემატრიაა, რაც სიმართლის, მარადისობის სიმბოლოა.

ანუ სიტყვა მისი ენა სწორ სამართალს, ჭეშმარიტებას ნერგავს. მისი სიტყვა მეტყველება არის ღმერთის მეტყველებიდან გამომდინარე. ესაა უმთავრესი. ენის ასო-ნიშნებით მეტყველებისას მისი სიწმინდე, სიმართლე, სიბრძნე – სულიერი შეძი

პირდაპირ აისახება სასქესო ორგანოთა იგივე ასოთა ზნეობრივ ქმედებაზე აგრეთვე შთამომავალთა სულიერად მომაღლებულ თვისებაზე. ამიტომ ცნობილია, ამის მერე აბრაჰამში მუდმივად შემოვიდა სულიერი შუქი შეხვინისა და საქართველოშიც, რაკიღა წინაცვითებოდნენ, ამიტომაც შეხვინა მუდმივად დავანდა.

სამი ორგანოა ადამიანის ზნეობრივი ქცევის მანიშნებელი: ენა, გული და ასო. ადამის შეცოდების შემდეგ ჯერ, რა თქმა უნდა, მეტყველება მისი აღარ იყო უფლის სიბრძნიდან — ხოხმიდან გამომდინარე. იგი დაექვემდებარა მის გულისთქმას, ანუ სადაც ცხოველური სულია, რამეთუ, მის ღვთიურ სულს გადაეფარა უზნეობის აპკი და ენა მისი აღარ ქმედებდა ჭკუით — დაყათით, ეს აპკი გადაეფარა გულსაც და შემდეგ, ითქვა, რომ მის ასოსაც, რომელიც წინადაცვეთილი იყო. და როცა ჩვენი ენა სიწმინდეს გადმოსცემს, გულიც ამას ნერგავს, შედეგად, ასო-ორგანოთიც ზნეობრივი ქმედებაა. სამივე შემთხვევაში ცნობილია, ამ ორგანოებს სცილდებათ სიბინძურის აპკი.

ამდენად, გენიალურია დედა ენა და იმიტომაც ჰქვია ამ ორგანოს „ასო", რომ როგორც უფლის ასო-ნიშნებში უფლის შუქის სულიერებაა შთენილი, ასევე ამ ორგანოთი ქმედებით მამაკაცის სული სულიერება გადადის მდედრში, ერწყმება მას და იშვება შთამომავლობა, ანუ ასოებით შემდგარი სიბრძნით ზნეობრივი მეტყველება განმაპირობებელია წმინდა შთამომავალთა მეფეთა-იბერთა მოდგმის გამრავლებისა. ასე ენა — მეტყველება შობს სრულყოფილ სულიერ პროდუქციას, რომელიც ასულიერებს ორგანიზმს და აძლიერებს სასქესო ორგანოს ქმედებას სულიერად მომაღლებულ შთამომავალთა შობისათვის.

ამგვარად, ანბანის 37 ასოთა შუქი, სულიერებაა ჩადებული ყველა ჩვენი ქმედების სიწმინდეში, ნებისმიერი ორგანოთი ქმედებისას. შედეგად, „ასო"-ს რიგითი საოცალავი (რს), ჰემატრია 37-ია. ანუ ასოთი ქმედება სულიერი „აზრით" ქმედებაა. დასტურად, „აზრის" ჰემატრია ასევე 37-ია. ე.ი. ჩვენ, თორიდან გამომდინარე, უფლის მიერ მოცემული წმინდა და დედა ენებით ვქმედებთ.

დასტურად, იბერთა მოდგმის მამამთავრების — სამი დიდი მამის აბრამ-იცხაკ-იაკობის და დავიდის —სახელები და თვისებები წმინდა ენაზე ერთი და იმავე ასოებისგან შემდგარი სიტყვებით გამოისახება. აბრამი მოიხსენიება, როგორც „თინოკი" — ჩვილი, რომელიც ცდილობდა უფალთან მიახლოებით ეწარმოებინა გაცემა; ანუ ის ამ საკითხში ჩვილია, პიონერია.

ცნობილია, დედის რძე სისხლიდან წარმოიქმნება, ხოლო სისხლი, ვიცით, მოლაპარაკეა, ანუ ინფორმაციის გადმომცემია. დედებში ამ ფუნქციას რძე ითვისებს, რითაც ბავშვი, ჩვილი ამ ასაკში დაბადებიდან იწყებს გაბრძენებას, იმ გენეტიკური კოდით, რაც, როგორც ითქვა, იმ ანბანშია, რომლითაც დედა საუბრობს. და ამიტომაც ავხსენით, რომ რჯული დედიდან, ანუ იმ ენიდან განისაზღვრება, რაზეც დედა მეტყველებს. სისხლში ხომ, ვიცით, ასევე სულია. ხოლო მამის თვისებები სპერმიდან გადადის. ეს თვისებები მტკიცდება ასევე მეორე სულით, რომლის ნახევარი, როგორც ვიცით, ქალშია. რაკიღა რძეც ქალის ორგანიზმში სისხლიდან ყალიბდება, ამიტომაც იყო, სარას იმდენი რძე ჰქონდა, რომ სხვა ბავშვებსაც აწოვებდა, რათა მოექცია ისინი. და იცხაკის სახელიც, ასეთი დედის ნაწოვი ძუძუთი „ნიკუდი" — სამართალია.

ის უფლის სიტყვით სიმართლით ქმედებდა და განსჯიდა ყველაფერს. შედეგად, ითქვა, მან საერთოდ გააბათილა მატერიალური ქმედებანი, როცა ისმინა სიტყვა უფლისა დამიუშვირა აბრაჰამს კისერი (ამბობენ, რომ მისი სიბრმავე ანგელოზთა ცრემლებიდან განეითარდა ამ აქტის დროს).

ხოლო იაკობის სახელი „კინოთ" — ტირილია. იგი, მშვენიერება-სრულყოფილება მიტომ შეიქმნა, რომ ვაჟკაცურად იტანდა უამრავ ფლიდობას 20 წელი ცბიერ ლავანთან მონურად მსახურობისას და ასე ტანჯვაში, სიმწრის ცრემლებში გაამრავლა 12 შვილი. ამიტომაც დაიმსახურა, რომ მისგან გამრავლებულიყო სრულყოფილი წმინდა ერი. შემდეგ, ვიცით, 22 წელი გლოვობდა იოსების დაკარგვას.

ხოლო „თიკუნ" — მოკვეთა-განშორება, გამოსწორება ყველაფრისა — ეს დავიდის, მომავალი მესიის სახელია, რასაც მისი შთამომავალი მესია განახორციელებს. ეს ყველაფერი სოლომონით, რუსთველით იბერია-საქართველოდან დაიწყება.

ამიტომაც მოკვეთა, წმინდა ენაზე „ბრით", ნიშნავს კავშირს, შერწყმას უფალთან. ამის დასტურად, ცნობილია, სახელმწიფო კასიას დედოფალი შუა ესტუმრა სოლომონს, რათა დარწმუნებულიყო მის საქებარ სიბრძნეში. მან ოთახში მოათავსა ებრაელი და არაებრაელი ბავშვები და უთხრა სოლომონს, გამოერჩია ისინი ეროვნების მიხედვით. სოლომონმა შემოატანინა რჯულის კიდობანი, რომელიც, ვიცით, ზეციურ შუქს,

სინათლეს ასხივებდა. ამ შუქის ძალით მოუნათლავი, არაიბერიელი ბავშვები მუხლებზე დაეცნენ, ებრაელმა ბავშვებმა კი ნეტარება იგრძნეს, რამეთუ შეერწყნენ სულიერად კიდობნის შუქს, რაც მათ გარეგნობაზეც აისახა.

ამდენად, ეს შუქი მეტყველებიდანაა, რაც აჯანსაღებს ჯერ სულს, მერე სხეულს და ორგანოებს.

აი, რა წარმოუდგენლად საამაყო სახელია „ქართვ-ელი“, რამეთუ აქ შედის დავიდის თვისება ზემოთ მოყვანილი სახელიდან გამომდინარე. აი, კიდევ ახსნა იმისა, რატომ მეფობდნენ მისი შთამომავლები იბერია-კავკასიაში.

დასტურად, როგორც ჩვენ, ებრაელნიც, სადაც გადავიდოდნენ, იბერს ირქმევდნენ და, აქედან გამომდინარე, მათ ეძახდნენ: ევრეი, ჰებერ, ჰაბირიუს, ებრაელი და ა.შ.

ასე იქმნებოდა ისტორიულად ქართველი ერი, რომლის ერთგულება გაიგივებულია უფლისადმი, ისრაელისადმი უფლის შეხინის ერთგულებაში, რისი დასტურიც ასეთი ზნეობით ქმედებისათვის უმაღლესი საფეხურია წინადაცვეთა.

ჰეროდოტეც ხომ ასაბუთებს, რომ წინადაცვეთა ეგვიპტელებმა და სხვა ერებმა ქართველებისგან ისწავლეს. აქედანაა უფლით, მამაკაცზე ბევრად მომეტებული ქალური, დედური ერთგულებიდანაა, რომ ამ დედური თვისებების მქონე ერმა შექმნა მიწათმოქმედების წესი, რითიც მუდმივად გამცემი, უღალატო, მოყვასისათვის უფლისათვის თავდადებულია. ამიტომაც, შეხინა თინათინი როცა აგზავნის ავთანდილს ქართველი ერის სახეში, რომ დაეხმაროს გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფ ებრაელთა ერს მომაეალის მესიის, ტარიელის სახეში, იგი ასე მიმართავს მას:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
და წა, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.“

შემდეგ კი, როცა დაბრუნდება და მიდის უკვე, რომ სრულიად საქართველომ, ქართველმა ერმა თავი გაწიროს მომავალი მესიის მოვლინებისათვის, რისთვისაც ვუერთდებით რუსეთს, მიმართავს მას შემდეგნაირად:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უვიცისა.“

როგორც აღვნიშნეთ, თორის შესრულების პირობა, დადებული ისრაელთა მიერ თორის მიღებისას, ეს იგივე ქართველთა პირობა, მათი ფიცი იყო. და ეს სიტყვები შეხინისა მიუთითებს მასზედ, რომ ისინი, ქართველნი, მუდმივად ქმედებდნენ თორით. ანუ ენა, სიტყვა მათი იყო სიტყვა სიწმინდისა, სიმართლისა.

ამდენად, უფლის მიერ დარქმეული სახელებიდან გამომდინარე ისრაელი და ქართველი, ეს ორი ერი, როგორც ერთი სულის ორი ნახევარი, ალეგორიულად ცოლ-ქმარი, სულიერი შერწყმისაკენ მიილტვიან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და მუდმივად პოულობდნენ ერთმანეთს. როცა ეს ორი ძმა ერთადაა, მაშინ მათთან მესამე უფალია, ასე ისინი მუდმივად იმარჯვებდნენ. ამის ისტორიული მაგალითები ჩვენ ნაშრომში მრავალია, რის გამოც ჩვენ, ასე სულიერი ერთობით და სიყვარულით, 4120 წელია, მოვდივართ ნოახის კურთხევის მერე. ხოლო სხვა ერები ორჯერ აღიგავნენ. პირველად – გოდოლი რომ ააშენეს; მეორედ ეს მოხდა, როცა უფლის ენათა ასო-ნიშანთა პლაგიატობით შექმნეს ანბანები, გაეპაექრნენ უფალს, რათა მისი ადგილი დაეკავებინათ.

ასე მიაღწიეს მათ ენების გავრცელებით, მეორე ტაძრის დანგრევას, აგრეთვე შეხინა და ისრაელნიც რომ განდევნილობაში აღმოჩნდნენ და, დაავიწყა უფალმა მათი ანბანები. შედეგად, მათი ენები, ასევე ეს ერებიც გადაშენდნენ. დასტურად, ეს ენები დღეს მკვდარ ენებად მოიხსენიება. ეს ბრწყინვალედა აქეს გადმოცემული რუსთველს როსტევანის და ავთანდილის ნადირობის პროცესში.

თუმცა მათ კვლავ შექმნეს მრავალი ენა. შედეგად, მათი მეტყველება ხალხთა სიდუხჭირის, დაავადების საწინდარია.

ამდენად, ორი ენა, უფლის მიერ შექმნილი, როგორც ცოლ-ქმარი, დედა და წმინდა, ერთი სულით სუნთქავენ და ასე მთლიანი თორის არსს გადმოგვცემენ. და ხსნა, თორიდან, ამ ორი ენის არსიდან გამომდინარე, ორი ერით იქნება. ანუ ისევ შეერწყმებიან ეს ორი ერი, მალე იქნება მეორე გო-შენი და მაშინ, როცა ორი ენით სულიერად შეერწყმებით, როგორც ერთი სულის ორი ნახევარი, ჩვენი თვალების

ხედვა იქნება სულიერი თვალებით და, როგორც ეგვიპტოდან გამოსვილსას, მივიღებთ მარადისობას.

სამი სამოსელი ჩვენი ზ-ენა-არის ენებით სმ-ენ-იდანაა. ამ ენებითაა გაბრძ-ენ-ება, აგრეთვე თმ-ენა, ლხ-ენა და სულიერი აღმაფერ-ენა. შემოქმედი ძალიან მომთმ-ენ-ია, ძალიან ბევრს გვპატიობს და არ გვსჯის. მხოლოდ წყ-ენ-ა აქვს დედა ენის შებილწვის ამ ენით არასწორი ქმედების გამო.

ამგვარად, უფლის მიერ შექმნილი ორი ენის სულიერებიდანაა, შუქიდანაა კიევილი, მოთხოვნილება ორი ერის მისწრაფებისა მუდმივად ერთმანეთთან სულიერი შერწყმისათვის და ადგა იბერიას მუდმივად სამოთხეული შუქი სამყაროს გასულიერებისათვის.

არ შეიძლება რჯულის შერყვნა ადამიანის მიერ შექმნილი იმ ენებით, რომლებშიც ძირითადად სიამაყის და მატერიალური მიმართულების სულია შთენილი. ხოლო გამჩენის მიერ გაჩენილ ყოველ ასოს სათანადო ნათება, სულიერი შუქი, ძალა და კოდური მიმართულება გააჩნია. სხვა ენები კი, შექმნილი უფლის ასო-ნიშნების პლაგიატობით, მხოლოდ უაზრო კონგლომერატებია, რომლებიც სიკვდილისკენ მიგვაქანებს.

ეს კი, პირველ რიგში, არ სურს უფალს და არც ჩვენ ამიტომ ვაფრთხილებთ ჩვენ მოძმე აფხაზებს და იბერიული მოდგმის მრავალ ხალხებს, გაემიჯნონ ამ ენებს, სანამ მათშიც არ ჩამქრალა შუქი, უკანასკნელი ნაპერწკალი სიყვარულისა, სიკეთისა, უფალთან მარადიული ნეტარებით შერწყმისა.

საქართველო-კავკასიაში ვერ ნახავდით სიტყვის პირის გამტეხს, რასაც აღნიშნავდა ალექსანდრე დიუმა, რუსეთთან შეერთების მერეც პირველი ასი წელიწადი ასე გრძელდებოდა, ამიტომაც იყო, რომ მიილტვოდნენ ისინი, გაევრცელებინათ ჩვენში მათ ინდოევროპულ ენებში ჩადებული მიდრეკილებანი.

ამ ენებით მე-ტყვე-ლებამ ანუ უფლის აზროვნებით ტყვეობამ განაპირობა, რომ, მხოლოდ საქართველოში იყო მიწა-მამულის თანაბრად გაყოფა (ივანე ჯავახიშვილი). როცა თანაბრობაა, გამორიცხულია შური, დაპირისპირება, მიტაცების მცდელობა.

ეს ყველაფერი თორიდან გამომდინარეა და ჩვენ ყოველდღიურ ყოფაში, სიმღერა-ცეკვებშიც აისახა. მაგალითად, ლხინის დროს სიმღერისას ყველა ცდილობს განა გამოირჩეს, არამედ იმღეროს იმ ხმაზე, რომ ხელი შეუწყოს ყოველთა მიერ უფლის სადიდებელი გუნდური სიმღერის ღერადობას – ზოგი ბანით ან პირველ-მეორე და სხვა ხმათა შენაცვლებით. ასე აქ ყველა ირჯება, არავინ იჩაგრება და თავისი წვლილი შეაქვს უფლის სადიდებელ სიმღერებში.

სხვა ერების სიმღერაში, იგივე ოპერებში, ერთი ბანის ან ტენორის გამორჩეულობაა, მათ განდიდებას ეთმობა ყურადღება. ამიტომაცაა იქ შური, ჩვენთან კი სიყვარულით მრავალხმიანობით შერწყმაა და იმიტომაც, უფლიდან გამომდინარე, უკვე არა ერთ, არამედ ყველა ამ ხმას ისეთი სასწაული ღერადობა აქვს, რომ ამბობენ კიდეცაც, ქართველები ღმერთებივით მღერიანო.

ვისაც სიმღერა არ შეუძლია, ის სხვა ქმედებაში ავლენს თავის ნიჭს, სიბრძნეს. ზოგი სადღეგრძელოთი გამოირჩევა, რომელიც მუდმივად თორის, უფლის სიბრძნეთა გადმოცემით მიმდინარეობდა, ზოგი – ენამოსწრებულობით.

ასევეა ქართული ცეკვაშიც, სადაც ყველა პირველი კაცია თავისმიერი თავბრუდამხვევი ილეთის შესრულებით. ასე ყველას პირველობაა უფლის სადიდებლად სხვადასხვა ქმედებით, რომლებიც ერთ გუნდად არიან შეკრულნი.

აი, რატომაა მხოლოდ ამ ენებზე მოსაუბრეთათვის, ქეიფისას დაყოველდღიურ ყოფაში, როგორც ანბანში, ყველა პირველია იმ თავის საქმეში, რაც ეხერხებათ, როგორი მიმართულებითაცაა სიბრძნე მათში შთენილი. ასე სიბრძნე სიბრძნეს ედება, ზრდილობა ზრდილობას, არავინაა განდიდებული ან დამცირებული. შედეგად, ერთმანეთისთვის ზრუნეაა, სიყვარულია, ყველა მეფეა და არ არის დამონების მცდელობა, დაპირისპირება.

ამდენად, რაკიღა ჩვენში სტუმრიანობა, ქეიფი მუდმივად იყო, ყოველი სახლი, ადგილი, უფლის სიბრძნეს ავითარებდა, ლოცულობდა და უმღეროდა შემოქმედს. ეს ყველას სიხარულით აღმაფრენაა, უფლის უდიდესი სიხარულია და ამის გამოცაა, რომ მადლი იფრქვეოდა და იფრქვევა ჩვენს ქვეყანაში.

ამ სულიერი ერთობით, უფალთან შერწყმის მიმსწრაფველობის ტრადიციიდან იყო ჩვენი გენეტიკა შეურყვნელი. შედეგად, უღმერთო კომუნისტურ ეპოქაშიც სასწაული მიწის სიუხვე და გემოვნება გვქონდა.

ამავე დროს, ამ ორი ანბანიდან განვითარდა 70 იბერიული ენათა ჯგუფი, რომელთა შორისაცაა არამეული.

ხოლო ორი ანბანის ერთი სულიერებით შერწყმა ჩანს წრეწირზე დასმით (იხ. წიგნი მე-3, ნახაზი 2). იქ ყოველ 10°-ზე თითო ასო-ნიშანი ისმება. ასე, აქ ყველა ასო-ნიშანს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია ქმნადობის სრულყოფილად წარმართვისათვის. წრეზე ხომ არცერთი არ არის ბოლო, აქ ყველა პირველია თავისი რიცხვითი მნიშვნელობით. ასეა წრეწირის 360°-ზე დასმული 36 ასო-ნიშანი, რომლებითაც თორის წინასწარმეტყველებაა ქრონოლოგიური მიმდევრობით გადმოცემული.

ხოლო 37-ე ასო (ס) კი ადამიანია, ამ ანბანით, ათი მცნებით მავალი. ეს წრეწირის ცენტრში დაისმება წერტილით, როცა გაივლის 6000 წელი, ანუ მეექვსე დღის ადამიანის ქმნადობა ადამიანთა შორის ყველაფრის თანაბრად გაყოფით, სწორი სამართლით დამთავრდება. წერტილის არსი კი, თორით ვიცით, რომ 1-ია. ხოლო 1 ღმერთის სახელია, რომელიც ყველანაირ ქმნადობას, ათობით წარმართავს.

ამდენად, ათვლის სისტემაში ციფრი 1 ეკუთვნის თვით შემოქმედს. და ადამიანი, მოქმედი თანაბრად გაყოფით, სიყვარულით, აღწევს, რომ შეერწყას ჯერ თავის მეწყვილე მეორე ნახევარს სულიერად და შემდეგ – შემოქმედს.

აქ ჩანს ის საკვირველებაც, რომ მომავალში სი-ტ-ყვა-ს უფლისას, რომელიც ყოველდღეა სამყაროს ქმნადობისათვის, „ტ“ ასო – ადამიანთა ტანჯვა – მოსცილდება, ანუ დარჩება, ჩვენი მეტყველებით, „სიყვა“ – ენა სიყვარულისა. თვით უფალიც სრულიად გამოვლინდება და წარმოუდგენლად არ დაიტანჯება თავის შვილთა მრავალჯერადი სიკვდილ-სიცოცხლით. ასე მარადიული სიყვარულით ვიქნებით გაერთიანებულნი მასში ერთში, ამას დაიმსახურებენ ადამიანები თორაში ჭირნახულობით. ამდენად, ენა უფლისა ეს სიყვარულის ენაა.

თუ როგორ მოხდება ყოველივე, ეს ჩანს სიტყვა „კავ-კა-სი-ონში“, რომელსაც მრავალხრივი ახსნა აქვს. იგი ძირითადად გადმოგვცემს ორი ერის, მდედრის და მამრის მუდმივ კავ-კავშირს, რასაც ორი „კავ“ გვეუბნება, და ასე არის სიონი დასტურად. „კავ“ წმინდა ენაზე აგრეთვე ხაზს ნიშნავს, ანუ კავშირი იქმნება ორთა სულიერი შუქის ხაზთა შერწყმით, რაც გვაძლევს „ონი“-ს, იმავე „სიძლიერეს“ წმინდა ენაზე. და ასე, ორი ერის შუქის ძალით გასულიერდება მთელი სამყარო. და საოცრება კიდევ მასშია, რომ რს „კავკასიონისა“ ასევე 100-ია*.

როცა მოვა მესია, დამთავრდება ჩვენი სრულყოფა, მაშინ პარასკევი გახდება „ექვსშაბათი“, და სასწაულია, რომ თვითონ პარასკევის რს – ჰემატრია 100-ია. „სიბრძნის“ ჰემატრიაც ხომ 100-ია. 100 რომ სრულყოფილების რიცხვია, ეს ჩანს სეფიროთთან მიმართებაშიც, ყოველი სეფიროთი ხომ კიდევ 10 ქვემდებარე სეფიროთს შეიცავს, ათჯერ ათი კი ასია. ამდენად, პარასკევი, მეექვსე დღე ადამიანთა ქმნადობისა, ეს მისი გაბრძენების დღეა, როცა ჩვენ ვიმოქმედებთ ზემოთ აღნიშნული ხუთივე განზომილებით იმ დონემდე, რომ ჩვენი სულის სამოსელი იქნება თორიდან გამომდინარე აზრი, სიტყვა და ქმედება.

ამდენად, უფლით ორობითაა სამყარო და ყველა უნდა ვცდილობდეთ, როგორც მან ჩადო ეს ყველაფერი ორ ანბანში, ასევე ჩვენ ყოველი ორი, მდედრობითი და მამრობითი, შერწყმული ვიყოთ ერთმანეთში, და ყველაფერში იყოს ერთი სულის ორი ნახევრის ერთობა, სულიერება.

1.5.4. ენით მეტყველებითაა სისხლის სრულყოფილება ყოველ ორთა

ჩვენ აღვნიშნეთ წინა თავში, რომ სატანასთან, ტანის ცხოველურ მოთხოვნილებებთან ბრძოლა ჩვენში შთენილი სისხლის გაკეთილშობილებიდან იწყება ენის მეტყველებიდან გამომდინარე. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, ახლა ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

---

*ამასთანავე, ებრაელები ახალი წლის აღნიშვნისას, როცა შეიქმნა სამყარო, იგივე როშეშანაში, მუდმივად 100-ჯერ უკრავენ ბუკს ცოდვების მონანიების პროცესში. თორის მრავალ კომენტატორთა აზრით, ამ დღეს მიგვეელინება მხსნელიც. საქართველოშიც, მართლმადიდებელი ქრისტიანები ზუსტად ამ დღეს აღნიშნავენ საეკლესიო ახალი წლის დადგომას, რაც სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ემთხვევა-ხოლმე.

ითქვა, როცა ღმერთის ენით მეტყველებ, რომ შეასრულო პირობა თორის სწაველა-მოსმენისა, მა'მინ უფალი კავ'შირ'შია მისი შეხინით შენ ღვთიურ სულთან და მე-ტყველებაშენი უფალთან კავ'შირითაა. ასე გვაქვს წარმოუდგენელი ნეტარება იმ უდიდესი ჰარმონიის გამო, რაც ყოველი „მე" ეხდებით ტყვე ჩვენი შემქმნელისა. ეს დამსახურებაა სისხლის, რომელიც, როგორც ითქვა, წმინდა ენაზე ნიშნავს მოლაპარაკეს. იგი უფლის სასურველ ინფორმაციას, ღვთიური სულიდან იღებს.

ამდენად, როდესაც ჩვენ ვმე-ტყვე-ლებთ ამ ენით, ანბანით, რომელიც ღვთიურ სულშია შთენილი, მაშინ კავშირი გვაქვს უფლის შეხინასთან და უკვე ტყვე ვხდებით ენაში შთენილი გამჩენის სიბრძნის, აზრისა და სიტყვის; ეს აზრი ღვთიური სულიდან სისხლით გადაეცემა ჯერ ტვინს, გულს, მერე სხეულის ორგანოებს, გულის მუდმივმოქმედებიდან და მისით სისხლით ორგანოების მომარაგებიდან გამომდინარე.

ითქვა, სი-ცოცხლე შეიცავს „ცეცხლს" და სისხლის ფუძე ასოებიც შედის მასში, რადგან იგი ასრულებს სიბრძნის შუქის – ცეცხლ-ის, ცოდნის გადატანის – გავრცელების ფუნქციას, სიტყვიდან გამომდინარე. ადამიანთა სი-ცოცხლე ამიტომაც არის დამოკიდებული სისხლზე. ორგანოებიც სწორად, სრულყოფილად ვითარდებიან. ეს კი სხეულის სრულყოფილებაა მარადისობისათვის, რამეთუ არცერთი ორგანო აღარ ავადდება ჩვენი უზნეობიდან გამომდინარე.

ამდენად, უფალმა შექმნა ენა თავისი, რითაც მან შექმნა მთელი სამყარო და ეს ენა მოგვცა ჩვენ მისთვის, რომ ჩვენც გავბრძენდეთ და მივაღწიოთ შემოქმედის დონეს, ანუ ვილაპარაკოთ მის ენაზე, გვესმას მისი – ერთადერთი ჭეშმარიტების.

ხოლო სხვა ენებით მეტყველებისას, როცა აძევებ შენი სხეულიდან უფალს და შენთან მისი ენით კავშირშია უკვე სატანა, რომელსაც მიყავხარ ცხოველთა დონემდე, სულიერად დაცემამდე. ამის მიზეზია ასევე მოლაპარაკე სისხლი, იგი სატანის უზნეო ინფორმაციას, სიამაყიდან გამომდინარე, გადასცემს ტვინს, შემდეგ – გულს და მერე – სხ-ეულს. ასე ხდება სისხლის გადაგვარება, მოწამვლა.

და აი, საიდანაა ქართული გამოთქმა „მოწამლული სისხლი აქვსო"; რადგან ისე მოიწამლა სისხლით მთელი სხ-ეული, რომ ვერ იმკურნალო, ისევ სატანა შენზე მოდებული.

აი, საიდანაა სისხლის საშინელი დაავადება, თითქმის განუკურნებელი სენი, რომელიც უცხო ენების შესწავლით იწყება. აი, რატომ ითრგუნება ჩვენი სულიერი ხასი-ათი. ათი მცნებით მოქმედებას მოითხოვს ეს სიტყვა, და ასეც იყო ჩვენში, რუსთველით, ყველა ხასი, იგივე წმინდანი, წმინდა ენაზე.

მაგრამ როცა ახალგაზრდები უცხოეთში რჩებიან დიდხანს, მათ ენებზე მეტყველებას მოაქვს სულიერი აზროვნებიდან გადაყვანა, ანუ ის, რაზეც მუშაობდა სატანა, რომ არაიბერიული ენებიდან შემოსულიყო უზნეო, ტანის ვნებათა გასავრცელებლად. ჩვენშიც ეს ენებიანი ძლევენ სულიერებას.

და ვერც კი ვხვდებით, როგორ ვავადდებით ამ ენებით მეტყველებისას. ეს დაავადებანი სიამაყიდან გამომდინარე, ძირითადად ოთხი მიმართულებისაა. სატანა ცდილობს, ამ ოთხიდან რომელიმე ან სუყველა გაავრცელოს ჩვენში. ესენია: ტყუილი, მეორე – განკითხვა, ქილიკაობა მოყვასზე – ცუდი ლაპარაკი, ავსიტყვაობა, მესამე მლიქვნელობა და მეოთხეა – დაცინვა.

ჩვენ ტყუილზე უკვე აღვნიშნეთ და უნდა ვისწრაფოდეთ სიმართლისაკენ.ამდენად, სიმართლე, სამართალი – ეს გამჩენის აბსოლუტური თვისებაა.ჩვენ აღვნიშნეთ, როდის შეიძლება მოიტყუო, მათ დავუმატებთ კიდევ იმ გარემოებას, როცა სიმართლით შენ შეიძლება ზიანი მოუტანო მოყვასს. მაგალითად, თუ იგი ძალიან მდიდრულად გაგიმასპინძლდა, ეს უნდა დამალო, არ უნდა გააერცელო, რადგან შეიძლება, უკვე სხვებმა შეაწუხონ იგი. ანდა მშვიდობა ჩამოაგდო ყოველ ორს შორის და მოატყუო ისინი მით, რომ უთხრა თითოეულს: ვისზეც შენ ცუდს ლაპარაკობ, ის შენზე დადებითად მსჯელობს.

ეს ქმედება აუცილებელია, რადგან თუ შენ სიმართლეს ეტყვი, რომ შენ ისიც გლანძღავს, მაშინ დამსმენი ხდები, რაც სატანის თვისებაა და საზიზღრობაა უფლის თვალში. ამიტომაც უფლით, თუ შენ მოყვასზე იმ ცუდს ლაპარაკობ, რაც მას აქვს, მაშინ შენი ღირსება, ანუ რაც მადლი გიკეთებია, მასზე გადმოდის, ხოლო მისი ცუდი, რაზეც შენ უბნობ, შენზე გადმოდის.

აქედან გამომდინარე ავხსნათ მეორე თვისებაც – ქილიკაობა. დასტურად მოვიყვანთ ერთ შემთხვევას: გვერდიგვერდ ცხოვრობდა ორი პიროვნება, ერთი იყო ყველა დღესასწაულის დამცველი, მათ შორის შაბათის, სალოცავშიც მუდმივად დადიოდა,

მაგრამ ჰქონდა თვისება მოყვასზე ქილიკაობის. მეორე არაფერს არ იცავდა, ოღონდ ის არასდროს არაევისზე ცუდს არ ამბობდა.

მოხდა, რომ გარდაიცვალა პირველი, მორწმუნე. როდესაც ავიდა ზევით, მას წარმოუდგინეს სია ბრალდებებისა, რომ ის ურწმუნოა, არაფერს არ იცავდა და ა.შ., ის, რაც მის მეზობელს ახასიათებდა. ასე მოათავსეს ჯოჯოხეთში. გარდაიცვალა ურწმუნოც და როცა ავიდა ზევით, ის მოათავსეს სამოთხეში.

ყოველი ახალი თვის დადგომისას ჯოჯოხეთიდან ადიან სამოთხეში და შეხვდა ეს ორი მეზობელი ერთმანეთს. ეუბნება ურწმუნო: – ხედავ, მიწაზე კი არა, აქაც ხდება შეცდომები. შენ, მორწმუნე სად ხარ და მე, ურწმუნო – სად. – მიუგო მორწმუნემ, რომ არაევითარი შეცდომა არ მომხდარა. თორით ცნობილია, ვინც მოყვასზე ქილიკაობს, ის იმ მოყვასს აძლიერებს მით, რომ მისი კეთილი საქმეები ამ მოყვასზე გადადის. – მე შენ, რომ იყავი ურწმუნო და არაფერს არ იცავდი, ხშირად განგიკითხავდი და ამიტომაც მოხდა ასე, რომ ჩემი მადლები შენზე გადმოვიდა შენი ცოდვანი კი – ჩემზე.

ამდენად, თუნდაც სიმართლე რომ ილაპარაკო მოყვასზე, როცა ის იქ არ არის, და თუ ის მას მოისმენს, არ ესიამოვნება, ეს უკვე განკითხვაა. და ნათქვამია: „არა განიკითხო, რამეთუ განკითხულ იქნები“. ამის მაგალითია, ქამმა რომ გაამხილა მამის სირცხვილი და არ გადააფარა ზეწარი, რის გამოც ის და მისი შთამომავალნი მონებად იკურთხნენ. საერთოდ, როცა ჩვენ მოყვასზე ვქილიკაობთ, ის ქვეცნობიერად გრძნობს ამას, როგორც ითქვა, სატანის მეშვეობით და იმ მეექვსე გრძნობით, რაც ღვთიური სულია.

ამდენად, უფლით ყველა ჩვენ და-ძმები ვართ, ერთი დედ-მამის ანუ ღმერთის სულიერი შვილები და ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ მოყვარეს პირში ვუძრახოთ, და არა ზურგსუკან, თუ მისი რამე არ მოგვწონს, რათა გამოსწორდეს. ხოლო მესამე ცოდვა აქედან გამომდინარეა, როცა სიმართლეს არ ეუბნები, არ მიუთითებ ნაკლზე, მლიქვნელობ და ადიდებ მოყვასს, რითაც იგი უფრო ეხვევა სიამაყის უზნეობის მორევში და შეიძლება ვეღარც გამოსწორდეს.

თორით ცნობილია, როცა მოყვასს დასცინი, ეს მისთვის სიკვდილის ტოლფასია და ასე შეიძლება ადამიანი მოკლა, რამეთუ ასეთი ინფორმაცია მიიღება სისხლით. როგორც ვიცით, სისხლი უარყოფითი ინფორმაციით ვეღარ ფუნქციონირებს რითმულად. ის შეიძლება მოგვაწყვეს გულზე, თავში. სიცოცხლე კი ცეცხლითაა – სისხლითაა. იმიტომაც ადამიანის სახის ფერი იცვლება სისხლის მოწოლით იმ დონემდე, რომ ჯერ წითლდება, მერე თეთრდება. ეს უკვე სახის ამ ორგანოს წამიერი სიკვდილია და ამან შეიძლება საერთოდ სიკვდილიც გამოიწვიოს. ამდენად, დაცინვა – ეს მკვლელობის ტოლფასია.

ამიტომაც დამცინავთა სული გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთის ცეცხლის ალში იმყოფება. ეს ამ ოთხი თვისების გამოა ნათქვამი: „ენამ დაღუპა ქვეყანა, არ ხმალმა ამოდებულმა“.

ამგვარად, უცხო ენებია უმთავრესი მიზეზი, რომ დაავადებებით გაჟღენთილი სისხლი იცვლის ბუნებას და ადამიანები ვერ ხედებიან, რომ ავადდებიან,მათი ორგანიზმი ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად, მათში შემოდის სიამაყე და სხვა უზნეო თვისებანი.

ასე ზოგიერთ ადამიანს სატანის მიერ ამ თვისებებით ეწამლება სისხლი. და ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ იგი მეტ-ნაკლებად ყველას სხეულშია. და თუ ზნეობრივად ვიქცევით, ფრთხილად უნდა ვიყოთ, არ უნდა გავამაყდეთ, რამეთუ მასთან ბრძოლას ლოცვებისა და თორის სწავლით უფალთან კავშირის გარეშე მუდამ წავაგებთ.

ამდენად, უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი სისხლის სიწმინდეს, რომელიც უფალმა რუდუნებით ჩამოგვიყალიბა და ის, რაც წინაპრებიდან მივიღეთ მემკვიდრეობით, უფრო უნდა გავამტკიცოთ, რამეთუ ყოველივე შთამომავალთ გადაეცემათ. სიწმინდე კი ცითაა, ცის ფერითაა, აქედანაა – უფლიდანაა, მისი ენებით მეტყველებიდანაა ცისფერსისხლიანობა იბერთა მოდგმისა, წმინდა ენაზე ხომ მისი უფლის სახელისა და სიყვარულის ჰემატრიაა 13.

და გენიალურია დედა ენა, რომ ათვლისას ცა-მეტი გვეუბნება: ცითაა მეტი ადამიანი თავისი სიწმინდით არც შემთხვევითაა, რომ იაკობი, ვისგანაც გამრავლდა წმინდა ერი, მეცამეტე იყო ვეფხისტყაოსანთა მანტიით მავალთა შორის (იხ. წიგნი I-ლი, წიგნი მე-2). ბოროტება კი მათი უდიდეს უზნეობას ერთსქესიანობას, ასევე მათი თავხედური აზრით, სიწმინდეში ცისფერში აერთიანებენ. იქამდე კი ჰიტლერი იბრალებდა გერმანული რასის ცისფერსისხლიანობას.

ასე უ-ცხო ანუ არა ცხებული ენებით გეღარც ტანით ვრჩებით ქართველად და ვერც კი ვგრძნობთ, როგორ მოვიწამლეთ და გადავგვარდით.

ამდენად, ენა კომუნიკაციის ის საშუალებაა, რომელიც თუ ღმერთის ენაა, იკურნება, თუ სატანის — იწამლება სისხლი და მთლიანი ორგანიზმი.

ამასთან, თუ სულთა განკურნების საუკუნეები მრავალი ჩამოსელა სჭირდება, მათი მოწამვლისთვის ერთი ცხოვრებაც საკმარისია.

ასე ვცილდებით მას, ვინც შეგვქმნა ვისით ვარსებობთ და გსულდგმულობთ.

გავიხსენოთ, როცა საქართველოში აკაკის დროს ყოველი ქართველი იყო მორწმუნე და ერთმა სტუდენტმა არ დაიცვა მარხვა, ეს აკაკიმ ეროვნული სულიერების გადაგვარების საწყისად ჩათვალა, რამეთუ მაშინ უკვე საზღვარგარეთიდან ჩამოსული ეგრეთ წოდებული უცხო ენებით განათლებით ბევრი დაადგებოდა ასეთ გზას.

ბავშვობიდანვე ე.წ. ცივილიზებული განათლება სხვა ენებით, რომლებისკენაც მიისწრაფიან დღეს საქართველოშიც, ეს ძალიან ენებს ბავშვის არა მარტო ზნეობრივ განათლებას, არამედ ფსიქიკასაც, დადგენილია, თუ ბავშვი თავის მშობლიურ ენაზე არ აღიზარდა, ის 30-40%-ით უფრო ნერვიულია, ვიდრე მშობლიურ ენაზე აღზრდილნი. ამავე დროს, თვით ამერიკელებმა დაადგინეს — როცა მომავალ დედებს ჯაზურ სიმღერებს — მუსიკას ასმენინებდნენ, მათი შვილები ბევრად განუვითარებელნი იბადებოდნენ, ვიდრე ისინი, ვინც ხალხურ სიმღერებს უსმენდნენ.

ამგვარად, როცა უფლის ენებზე ვსაუბრობთ, ჩვენ მივიღწვით სიწმინდისაკენ, სიკეთისაკენ, სიყვარულისაკენ, ზნეობისაკენ, გაცემისაკენ; ხოლო თუ არაიბერიული, სატანის ენებით ვიწყებთ მეტყველებას, ასეთი ანბანით ღვთიური სულიდან მიღებული ინფორმაციით იწამლება სისხლი და მთელი სხეული ისე, რომ სატანურ-ცხოველური ვნებები და მიზანსწრაფვანი ძლიერდება ორგანიზმში.

აქედანაა ჩვენში დღეს უცხოეთიდან შემოჭრილი ზოგიერთი დაავადება ერთსქესიანობისკენ მისწრაფებისა, ტანის გაშიშვლებისა, ჩასაცმელის დახევისა და მაიმუნივით ტანის მოხატვისა, აგრეთვე მამაკაცების საყურეებით სიარულისა.

თორით კი ცნობილია, რომ თუ მონას დაუდგებოდა განთავისუფლების დრო, ხოლო მონა არ მოისურვებდა ამას, მაშინ პატრონი მას, მონის სტატუსის მისანიჭებლად უხვრეტდა ყურს და ჰკიდებდა საყურეს.

ანუ ის ხდებოდა არა მონა უფლისა, რადაც იყო დაბადებული, არამედ ადამიანის, მისი მფლობელისა. ამდენად, საყურეებით მოსიარულე აღარაა თავისუფალი, ანუ უფლისკენ, მისი თვისებებით ქმედებისკენ არ მიიღწვის. მისი კერპი ხდება ადამიანი და ასე საყურით სიარული იგივე კერპთაყვანისმცემლობაა.

და ყველაზე სავალალო ის არის, რომ ასე, ამ ენებით გაზრდილი ბავშვები, როგორც ითქვა, ერთ თაობაში კარგავენ ყოველივე სულიერებას, რამეთუ სისხლი სრულიად იჟღინთება უზნეო ინფორმაციით, ამ ენებიდან გამომდინარე. და აქედანაა, რომ, რაკიღა ენა ასეა გაჟღენთილი, უზნეო ენის კოდით ლაპარაკით ორგანიზმში უზნეობა პირდაპირი ხაზით უკავშირდება სასქესო ორგანოს, რომელიც ასევე იჟღინთება გადაგვარებული კოდით, რაც განაპირობებს ზნეობრივად დეგრადირებული თაობის გამრავლებას.

უფლის ენაზე ლაპარაკისას თავისთავად იგულისხმება თორით განათლება, რაც უმთავრესია. ასე ჩვენ გვიყალიბდება ჯერ აზრი, შემდეგ სიტყვა და ქმედება. ეს მეტყველება ნერგავს ჩვენში მის უდიდეს რწმენას და ეუახლოვდებით ჩვენებს მისი ქმედებისა*. ამდენად, დავიმახსოვროთ ყველამ, რომ არაიბერიული ენებით ლაპარაკით

---

* მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ერთ მორწმუნე ებრაელს თავის დახლზე ჩუმად ლოცვის დროს შესთავაზეს თანხა რომელიღაც ძვირადღირებულ ნიუთში. მან ლოცვა არ შეწყვიტა. ხოლო მკითხველს ეგონა, ეცოტავაო და შემდეგ მეორედ შესთავაზეს უფრო გაზრდილი თანხა და მესამედაც. ხოლო მან, როცა დაამთავრა ლოცვა, გამოართვა ის თანხა, რომელიც მის მიერ იყო წინასწარ გათვალისწინებული. ანუ მან აზრი არ შეიცვალა, არ მოიტყუა თავისი სინდისისა და უფლის წინაშე, ქმედება სიტყვით განახორციელა აზრიდან გამომდინარე, რამეთუ, როგორც ითქვა, ყოველი აზრი ჩვენში, როცა უფლის ენებით ვმეტყველებთ, უფალთანაა შეთანხმებული.

ამდენად, ვიმეორებთ: ეს გვეხება ჩვენ, იბერებს იმიტომ, რომ მუდმივად გვაქვს კავშირი უფალთან და როცა რამეს ვიტყვით, მაგალითად, მარხულობას ვაპირებთ, შეიძლება მოხდეს, რომ ვერ შევძლოთ. ამიტომ მუდმივად უნდა ითქვას: შეიძლება ხვალ ვიმარხულო. ამ შემთხვევაში, თუ ვერ შევძლებ, ეს უკვე სიტყვის გატეხვა აღარ არის. იმ ებრაელმაც, რაც ფასი გადაწყვიტა, ამიტომ არ შეცვალა.

გვეწამლება სისხლი, იკარგება უფლის გარჯა, წინაპართა, მეფეთა მოდგმის ჩამოყალიბებისათვის; ვყალიბდებით სატანის მონებად მისი ენებით ლაპარაკისას, რისი ბოლოც სიკვდილია. ამის მაგალითია, ისრაელთა მიერ ენის დაკარგვა რომ მოხდა ეგვიპტეში. აგრეთვე, რომ დაინგრა მეორე ტაძარი და ისრაელნი გამოვიდნენ წმინდა მიწიდან.

ასე რა წარმოუდგენელი საშიშროება დგას ინდოევროპული ენებით მეტყველებისას, ამდენად: ენა, სისხლი და სასქესო ორგანო – ეს სამება ერთი ხაზია, რომელთა მეშვეობით, ღმერთის მიერ დარქმეული სახელით და ლაპარაკით, სიცოცხლე ჩვენი გრძელდება ღმერთში, რაც მარადიული ნეტარებაა.

ითქვა, ცნება სიყვარულისა ორით ყალიბდება. რომ ეს გრძნობა არსებობდეს, უნდა იყოს მეორე, ჩემი მიმსგავსო, იგივე სიკეთისკენ მიმსწრაფველი. ორის ნაპერწკალი სიკეთისა როდესაც ერთმანეთს ედება, გადაიქცევა ცეცხლად „ორ“ ხომ ცეცხლია, ხოლო ეს ცეცხლი რომ წარმოიქმნას, ამის საუალებაა მხოლოდ და მხოლოდ ის უძირო სიბრძნე, თორა, რომელიც თვითონ ცეცხლია ცოდნისა, რომელშიც, ითქვა, პირველი დღის სულიერი შუქია შემონახული. ამდენად, მისი სწავლით ყოველ ორთა – მამაკაცთა და მდედრობითთა, რომელნიც ხუთია, სიყვარულის ცეცხლი ღვივდება.

ახლა გავაანალიზოთ ადამის შეცდომის შედეგი, როგორი პროცესები განვითარდა; გავაგრძელოთ მსჯელობა ანბანზე, თორაზე, საერთოდ 5 სულიერი დედის უსაზღვრო მნიშვნელობაზე, რაც გამომდინარეობს ჩვენ ზემოთ მოყვანილ სტროფში სიტყვებიდან: „ტურფათცა უნდა ხსენება“. დავაკონკრეტოთ, რატომ მოხდა იბერიის შეფარვა, რატომ დაარქვა რუსთველმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“.

1.6. რატომ დაარქვა რუსთველმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“

ითქვა, უფალმა მთელი სამყაროს არსებობა ორთა ერთობას, ორ ციფრს დაუქვემდებარა. და ასე იქმნება „ორ“ – უფლის შუქი ორი ანბანის და თორის სიბრძნიდან გამომდინარე. უპირველესად შექმნა მან ორი ერი. ადამიანშიც ორი სულია – ცხოველური და ღვთიური, ორი ხელი, ორი ფეხი, ერთი ფეხი რომ არ ჰქონდეს – წაიქცევა; ორი თვალი, ორი ნესტოა, ორი ყურია. პირიც, თორით თურმე ორად იყოფა – მარჯვენა და მარცხენა; ცხოველებიც ორით – მდედრით და მამრით მრავლდებიან.

და ამ ორებში ქმნადობისათვის ზოგს მდედრის და მამრის ფუნქცია აქვს, თუ მდედრი და მამრი არაა, მაშინ მარჯვენა-მარცხენაა და ისინი, როგორც მდედრი და მამრი განსხვავდებიან. ამავე დროს, განსხვავებაშია მათი ერთობა, რამეთუ მათი ფუნქციური მიმართულებანი ერთიმეორეს ავსებენ და ასე ერწყმებიან ერთმანეთს. ზოგი უარყოფითია, ზოგი დადებითია და თუ მათი შერწყმაა, მათში შემოდის უფლის შუქი.

დასტურად, როცა ადამმა მოითხოვა განცალკევება, ეღარ აღიქვა მის სხეულში მყოფმა მდედრობითმა ადამის სიბრძნე განცალკევების შემდეგ. რამეთუ, განცალკევებისას შეიქმნება ორი სხვადასხვა ტანი სხვადასხვა მოთხოვნებით, თვისებებით, რის გამოც მიირთვა ხავამ აკრძალული ხილი.

ცხოველური ტანი ხომ მრავალმხრივი უარყოფითი მატერიალური თვისებებისკენ მიმსწრაფველობით გამოირჩევა. ადამიანში 14 გრძნობა და ხასიათია ჩანერგილი, რომლებიც იმყოფებიან გულში და ვლინდებიან ცხოველური სულით. ამდენად, დაირღვა ერთსულოვნება, სულის ორი ნახევარი აღმოჩნდა სხვადასხვა ტანში, თითქმის შეწყდა კავშირი სულის ნახევრებისა. შესუსტდა „ორ“ სულიერი შუქის სიბრძნის ძალაც. და ამიტომაც გაძლიერდა მათში მატერიალური თვისებანი.

ამდენად, სურვილი აქვს უფალს, ადამიანი შექმნას თითქმის მიახლოებით ყველა თავისი თვისებით. მაგრამ როცა მიირთვა ადამმა აკრძალული – მატერიალური, უფალი, მისი შეხინა, რომელიც კავშირში იყო ადამთან, რათა კიდევ უფრო გაეწვრთნა იგი მისი სიბრძნისა და თვისებების დონემდე, მას მაშინვე მოსცილდა.

ამ ფაქტიდან გამომდინარე, დაისახა მიზნად უფლის მიერ, რომ ადამიანს თვითონ დაემსახურებინა უფლის სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, სატანაზე – ტანის სურვილებზე.

აქედანაა მთელი თორის არსი დაფუძნებულია უფლის სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე, რათა ნათლად გავერკვეთ, სად არის ბნელი – გაუნათლებლობა, სიკვდილი და ნათელი – სიბრძნე, მარადისობა. ასე შეგვეძლება, შევიცნოთ ჩვენი თავი. რომ

ერთადერთი განზომილება ჩვენი მარადიული ნეტარებისათვის არის მხოლოდ სიბრძნე უფლისა და თაემდაბლობა მისგან გამომდინარე, რომ სამართლით იმოქმედო. და მაშინ შემოვა ჩვენში „ორ“ – შუქი თორისა.

ახლა გავიხსენოთ თორა – როდიდან იწყება ბნელეთთან მებრძოლთა უფლის შვილთა – გმირთა ვეფხისტყაოსანთა მოღვაწეობა. ითქვა, როცა შესცოდეს, მოსცილდათ უფლის ნათება – „ორ“ შუქი და შეიქნენ შიშველები.

შედეგად, მაშინ დაივიწყეს უფალიც, ისიც, რომ მოსცილდათ ამის გამო სხივოსნობა-სიწმინდე, „ორ“ შუქი ნეტარებისა, სიწმინდისა და მაშინვე დაუფიქრებლად შეწყვილდნენ მხოლოდ ცხოველური უზნეო ვნებების ფიქრებით.

ცხოველები ხომ მხოლოდ ასე ამრავლებენ ერთმანეთს, მათ არ აინტერესებთ სულიერად განსწავლონ სიცოცხლის ბოლომდე თავიანთი შვილები, ისე, როგორც ეს უფალს ჰქონდა დაგეგმილი თავისი წმინდა თორით განსწავლა მათი. და სწორედ თორით ცნობილია, როგორი სურვილით იცხოვრებ, ისეთი შვილები გეყოლება. ასე გამრავლდა ამის გამო აღვირახსნილი უზნეობა, ცხოველური ვნებანი ადამიანებში უფლის შვილებში ისეთი, რომ ორმა ძმამ ვერ გაიყო სამი ქალიც, მათთან ერთად, მათი გამრავლებისთვის რომ იშვა, და სამყაროც.

ასე ადამი მეფური სიყვარულის მწვერვალიდან ცხოველებამდე დაქვეითდა, რამეთუ ცხო-ველი ველზეა, ანუ მიწიერია. ადამიც, როცა მოსცილდა შუქი, რითაც უფალთან იყო შერწყმული და ჭვრეტდა მთლიან ანუ სულიერ სამყაროებსაც, ახლა უკვე შეიქნა შიშ-ველი, ე.ი. ველზე დაეშვა შიშით მყოფი, როგორც ცხო-ველი. ავხსნათ, რატომაა ამ სიტყვაში „შიში“.

ვიცით, ყოველ ცხოველს უყვარს და ეშინია უფლის, რომ არ შესცოდოს და არ დაისაჯოს. ამიტომაც, გარდა უსახელოსი, ისინი ლოცულობენ უფლის – სამყაროს გამგებლის წინაშე, აქებენ მის სიდიადეს, რაც სოლომონის ქმნილებათა გალობაშიცაა გადმოცემული.

და ახლა უკვე მასაც სჭირდება ლოცვანი, რომ მასაც არ ავნონ. ესეც არ იყოს, შიშველ ადამიანთან უფალი არაა კავშირში, ის მხოლოდ ჩაცმულს უსმენს. ამიტომაც შიშ-ველში შიშია. აი, რა გენიალურია დედა ენა.

დღესაც ვინც უფალს მოცილებულია, თავისი მატერიალური ვნებების ანუ სხეულის – ტანის და არა ღვთიური სულის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ირჯება – იშიშვლებს სხეულს, მათ სცილდება უფალი და ამიტომაც ცხოველივით შიშით დადის. ასეთ ადამიანებში მუდამ უამს იქნება უპირველესად შიში და მერე ავადმყოფობები, რადგან დაკისრებულ ფუნქციას არ ასრულებენ, და ყველაფერი ეს უფლით. დღეს გავრცელებულია მკერდის დაავადებებში, დეპრესიებში და სხვა, რომ მოვგონ გონს.

ამდენად, როცა შეცოდების მერე მოუხმო უფალმა უთხრა ადამმა 3.10 მიუგო: შენი ხმა ვისმინე ბაღში და შემეშინდა, რომ ვარ შიშველი და დავიმალე. აქედანაა სიტყვები „თავ-შიშველი“, „ტან-შიშველი“ და სხვა.შემდეგ წერია: 3.21. გაუკეთა უფალმა ღმერთმა ადამს და მის ცოლს ტყავის სამოსელნი და შემოსა.

თორით ცნობილია, ამ სამოსელში ისეთი შუქი, უფლის სხივოსნება იყო ჩადებული, რომ ადამიანი კვლავ ხდებოდა უძლეველი. რომ ავხსნათ, როგორი იყო მიახლოებით ადამის ტყავის სამოსელი, გავიხსენოთ რუსთველი:

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“.

იმ დროში მხოლოდ ჩოხა იყო კაბა ტანსაცმელი, რომელიც სხეულის ყველა ნაკეთს ფარავდა*. ხოლო „გარე თმა ვეფხეის ტყავისა“ – ეს უკვე ციცითია, იგივე პერანგია, რომელიც ძირითადად ამ კაბის შიგნით ეცვათ ებრაელებს. ეს ციცითი წარმოადგენს აგრეთვე ვეფხვის ტყავის ალეგორიას, რამეთუ იგი ზოლებშია გამოსახული, ხოლო გარე თმა – ეს ფოჩებია ციცითის კიდეებზე მიბმული, რომელიც ხშირად ებრაელებს ტანსაცმლის გარეთა აქვთ გამოტანილი.

---

*აქედანაა სამო-სელი ანუ თორით მოქმედი საამო სელით შემოსილი და არა შიშველი ადამიანი. ასე შეხინა კვლავ შემოსულია ადამიანში და ამიტომაც იყო, რომ ქოენები, იგივე ქურუმები ტაძარში მსახურებისას სელის ჩასაცმელს იცვამდნენ, გარეთ გამოსვლისას კი იცვლიდნენ ამ ჩასაცმელს. ხოლო ჩოხა, ვიცით, შალითაც იკერებოდა. და რაკიღა სელი მიიჩნეოდა ქოენთა ჩასაცმელად უფლის მსახურებისათვის, ამიტომაცაა ერთ-ერთი მცნება, რომ არ უნდა შეეურიოთ სელის და შალის ქსოვილები.

ხოლო ციცითის ჰემატრია ფოჩებიანად უდრის 248-ს. ეს მიგვანიშნებს, ადამიანს აქვს 248 ორგანო და ამდენივე სავალდებულო მცნების შესრულების მოვალეობა. ყოველი მცნების დარღვევა სათანადო ორგანოს დაავადებას იწვევს. ხოლო თუ იცავს 248 სავალდებულო მცნებას, იგი 365 აკრძალვით მცნებებსაც ასრულებს. ასე ორგანონიც და 365 სისხლძარღვიც თავის ფუნქციას ასრულებენ. შედეგად, 613 მცნების დაცვით გასულიერებულია მისი სხეული, ფლობს კაბალის საიდუმლოებებს და მყისიერად გადაადგილდება.

და მათ რომ გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომა, კვლავ, მათი სიბრძნიდან გამომდინარე, დაბრუნებულიყვნენ მეფურ ბრწყინვალებაში, სიწმინდეში, რაც შეუდარებელი ნეტარებაა იმ სიბინძურესთან, აზროვნებასთან, რითიც მათ იცხოვრეს და დანერგეს. აი ამისთვის დასჭირდათ მათ უკვე არა ერთი, არამედ 613 მცნება. როგორც ითქვა, ეს ერთი მცნებაა– განა-ყოფი-ერ-დით და გამრავლდით. **ადამმა ეს ანბანური ჭეშმარიტება დაარღვია და მიითვისა ის, რაც მისთვის გამო-ყოფილი არ იყო. ანუ ითქვა, ჩვენი „ყოფა“ გაყოფ-ითაა, გამო-ყოფი-ლითაა. და თუ არ გვყოფთ, ვიტაცებთ, ეს უკვე ავად-მყოფ-ობაა. უფალიც გვსჯის სათანადო ავადმყოფობით. რამეთუ, როცა ვიტაცებთ სხვისას, მაშინ გვაქვს მასზე მეტი, წარმოიქმნება შური, დაპირისპირება და ასე აღარ ვართ უფლის შვილები.**

ცხოველები იცავენ ამ მცნებას. მათ ყველას მათი გასამრავლებელი ტერიტორია აქვთ გაყოფილი; ხოლო ადამიანი, რომელიც უფლის მიერ ბოძებული თორით არ ქმედებს, ის ცხოველზე უფრო დაბლა ეშვება, რამეთუ, იგი ასე აძევებს თავის შემქმნელს თავისი სამყაროდან და ამეფებს სატანას. შედეგად, დამატებით, ურწმუნო კერპთაყვანისმცემელი ანუ უფლის უარმყოფელი ხდება, რაც ყველაზე საშინელებაა.

ითქვა, ცოლ-ქმარი 130 წელი ინანიებდნენ, ერთმანეთს არ ეკარებოდნენ, იცავდნენ მცნებებს, შემდეგ უკვე შეწყვილდნენ სურვილით, რომ ეშვათ განსწავლული შთამომავლობა. ასე შეეძინათ შეთი, ფაქტიურად პირველი ვეფხისტყაოსანი, რამეთუ ადამი ლომად იყო შექმნილი-დაბადებული უფლის მიერ და მან გადასცა ეს ტყავი მას თორის ენის ცოდნასთან ერთად.

შეთმა კი ადამისგან მიღებული ცოდნით, სიბრძნით გააძლიერა მისი გენეტიკური სიყვარული და განსწავლა უკვე თავისი შვილი ენოში, რომელსაც ასევე გადასცა ეს ვეფხვის ტყავი. ენოშმა ასევე მემკვიდრეობით გადასცა ეს ცოდნა და ვეფხვის ტყავი შემდეგს – კენანს, კიდევ გაძლიერდა მათი სიყვარული. ასე თითო-თითოს გადაეცემოდა უფლის მიერ ნაბოძები ეს ვეფხვის ტყავი, რომელიც შთენილი იყო უფლის მიერ ისეთი სულიერი ალურით, რომ ისინი თავიანთ თაობებში სულიერ მეფეებად – მასწავლებლებად ყალიბდებოდნენ.

უნდა ითქვას, რომ ესენი იყვნენ უფლის ნამდვილი შვილები, სულიერი გმირები, რამეთუ ერთადერთი დაცვა იმდროინდელი ბნელი ძალებისგან მხოლოდ თორის მცნებათა დაცვა იყო. და ისინი, უფლით, უძლეველნი იყვნენ.

უფალი რუდუნებით მთელი ისტორიის მანძილზე ნათელის გამარჯვებისათვის ქმნიდა ამ უკუნეთ ბნელეთთან მებრძოლთ რუსთველის მიერ ზედმიწევნით სწორად დარქმეულ „ვეფხისტყაოსნებს“ ანუ ვეფხისტყავიანი სიმბოლიკით დღემდე მოარულებს.

ამავე დროს, ითქვა, ცდილობდა უფალი, რომ ადამიანები მოგებულიყვნენ გონს. მან თითქმის თანდათან აღადგინა იგივე სამოთხისებური წესი, რაც ადამის შეცოდებამდე იყო. ანუ მუდმივად გრილი, გაზაფხულივით ამინდი – ერთი წლის მოსავალი ორმოც წელს ჰყოფნიდათ, ბავშვები მაშინვე ზრდასრულნი იბადებოდნენ და უზრუნველად ცხოვრობდნენ ათას წლამდე. არ ბერდებოდნენ და ასაკის მატებასთან ერთად ძალაც ემატებოდათ.

ასეთი შუქის ჩამოსვლით მათი გონება ისე იყო განვითარებული, რომ შეეძლოთ ანგელოზების ქმედება თავიანთ სურვილისთვის დაემორჩილებინათ და იმასაც ფიქრობდნენ, რომ უფლის გარეშეც მოვიყვანთ წვიმასო. ამის გამოც იყო, რომ, კომენტატორთა ახსნით, მათი დასჯა სწორედ წყლით მოხდა.

ასე უდიდესი რუდუნებით ცდილობდა შემოქმედი თავის შვილთა მობრუნებას და ყოველ წელს უკეთესი პირობები იყო. თუმცა იყო დასჯანიც, რომ მოგებულიყვნენ გონს. მაგრამ დაინახა შემოქმედმა, რომ ადამიანთათვის სიკეთეს საპირისპირო შედეგი მოაქვს.

ამდენად, როცა ხედავდნენ, რომ ასეთი გამორჩეული და ძლიერი მეფენი არიან სამყაროსი, ფიქრობენ, ეს მათი დამსახურებითაა და არა უფლით. ასე მატულობს სიამაყე, ყოველთა შეჯიბრია ამ საქმეში, რომელიც, როგორც ითქვა, საფუძველია სხვა

უარყოფითი თვისებების ადეკვატურად მატებისა დროთა განმავლობაში და უფალიც ქმედებს ამის გამოსასწორებლად.

გავიხსენოთ თორა, დაბადება, 16.3: **„თქვა უფალმა ღმერთმა: არ დაივანოს სულმა ჩემმან ადამიანში მარად, რამეთუ იგი ხორციელია, იყოს მისი ხნოვანობა 120 წელი“. შემდეგ კი მოავლინა წარღვნა, რათა მოესპო ის წარმოუდგენელი საზიზღრობა, რასაც ადამიანები და, მათ მსგავსად, ცხოველები სჩადიოდნენ.**

წარღვნის მერე კი მან არაიბერიულ, მესამე ძმის – ქამის მოდგმის ქვეყნებში ნელ-ნელა, ადამიანთა უზნეობის კვლავ გამრავლების პარალელურად, სრულად აღადგინა, რაც დაიწყეველა ადამისა და ხავას მიმართ.ახლა ავხსნათ გზა სამყაროს სულიერი აღორძინებისაკენ.

ითქვა, წარღვნამდელ ვეფხისტყაოსანთა თაობებში ცოლ-ქმრული სიყვარულის გაძლიერებაც ხდებოდა მიახლოებით უფლისა და მისი შეხინის დონემდე. და როცა მიაღწიეს ასეთ უმაღლეს დონეს ნოახმა და მისმა მეუღლემ, შვეს უკვე სრულყოფილი მეფეთა თვისებებით ორი შვილი, შემი და იაფეთი.

მათი მადლით კიდობანში დავანდა შეხინა, რომელიც შემდეგ დავანდა იბერია-კავკასიაში როგორც სულიერი მიჯნური და ზეციური მფარველი იბერთა-ქართველთა. შემდეგ ვიცით, ისრაელთათვისაც, როცა მრავლდებოდა ეს ერი, იშვა მეორე სულიერი ქალიშვილი შეხინა, ნესტან-დარეჯანი.

და არც შემთხვევითაა, სოლომონი იბერთა სულიერ სიყვარულს გამჩენის შეხინასთან ჭეშმარიტი მარადიული ნეტარებით ცოლ-ქმრულ სიყვარულს ადარებს. აგრეთვე ეს სიყვარული შედარებულია სოლომონით და რუსთველით ადამიანისთვის ყველაზე ტკბილ სიყვარულთან მის აღმზრდელ დედასთან. მაგრამ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ წმინდანებისათვის შემეცნებადია მიახლოებით უფლის უსასრულო სიყვარული ჩვენდამი და მიიღწიან ადეკვატური სიყვარულისკენ უფლის მიმართ.

აი, რატომაა, რომ იბერნი და ვეფხისტყაოსნები, რუსთველის გმირები: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, როცა სცილდებიან სულიერ სატრფოს – შეხინას, ისინი ასევე სცილდებიან აღმატებულს უსასრულობამდე ცოლ-ქმრულ, აგრეთვე დედურ სიყვარულს ერთად აღებულს. ანუ ასე სცილდებიან ისინი უმაღლეს სულიერ მეუღლესა და დედაზე უსაყვარლეს ორი შეხინის სულიერ სასოებას, სითბოს, მზურნველობას, სიყვარულს.

შედეგად, ისინი კარგავენ წყაროს თავიანთი მარადიული ნეტარი ყოველწამიერი სასწაული აღმაფრენის თორის სულიერი შუქით გაბრძენებით, რაც შეხინადან მომდინარეობდა.

თორის სულიერი შუქის შემოსვლას ხომ ვერაფერი ნეტარება, ამ სამყაროს მატერიალური სიამოვნება ვერ შეედრება. რამეთუ ასე ადამიანები ვიქრებით უფალთან ჰარმონიულად შერწყმულნი. მსგავს ჰარმონიას ხომ ვერასოდეს მისცემს ვერც დედა და ვერც მამა და ვერც მათი მზრუნველობა ვერ მოვა ახლოსაც კი უფლის შეხინისა და მათი სულიერი ქალიშვილის ყოველწამიერ მზრუნველობასთან. გავიხსენოთ ფსალმუნი 72.15: **„ბაგენი ჩემი ილაპარაკებენ შენ სიმართლეზე, ყოველდღეა შენი შველა, რამეთუ არ ვიცი მათი რიცხვი“. ამიტომაც უფლის ეზოებში მის შეხინასთან შერწყმა ეს ისეთი ჰარმონიაა, რომ წერია თორაში: ერთი წუთი ასეთი ნეტარება უმეტესია, ვიდრე ათასი წელი მიწიერი ნეტარებით ცხოვრება.**

ხოლო ეს შუქი ნეტარებისა უფლისა წარმოიქმნება მაშინ, როცა ცოლ-ქმარს შორის წარმოუდგენელი სისპეტაკე, სიწმინდე და ერთგულებაა. ანუ ჩვენ მივდივართ იმ დონემდე, თითქოს ერთ ტანში იყოს შერწყმული ცოლ-ქმარი, როგორც ჰქონდა უფალს დაგეგმილი. მაშინ სიბრძნე ნეტარებისა, უფლის შუქისა, უხვად გადმოიფრქვევა ისე, ვით იყო ის მოშეზე გადმოსული. ეს ნეტარება რომ განეცადა ცოლ-ქმარს, ერთმანეთს ხორციელადაც აღარ ეკარებოდნენ. მოშე კი, ვიცით, პირბადით დადიოდა, ისეთი დიდი ელვარება ჰქონდა მას სულიერი ნეტარების შუქში გახვეულს. ასეთი ელვარებით ხასიათდებიან რუსთველის გმირებიც.

ამდენად, ცოდნის შუქს განაპირობებდა მიწიერ ცოლ-ქმართა წარმოუდგენელი სიყვარული ჯერ უფლის და მერე ურთიერთის, რაც მათ პირმშოებზე უფრო გაძლიერებულ, სიყვარულში აისახებოდა. ამიტომაც იზრდებოდა ყოველი თაობა უფრო გაძლიერებული სპეტაკი ცოდნით და სიყვარულით, ვიდრე მშობლები იყვნენ. მით უმეტეს, მათ ეზრდებოდათ სიყვარული თავიანთი მშობლისა უფრო მეტად, ვიდრე მათ მშობლებს ჰქონდათ ასევე მშობლების მიმართ. ეს წმინდა სიყვარული და სიბრძნე უფლისა, მისი შეხინისა, გადმოდიოდა ადამიანთა თაობებში მისთვის, რომ ჯეროვნად

შეიცნოთ წარმოუდგენელი მზრუნველობა და განვადიდოთ ჩვენ უფლის სახელი. ამიტომაც ათ მცნებაში პირველი ხუთი მცნება არეგულირებს ჩვენს უფალთან კავშირს და სწორედ აქაა შეტანილი მშობლების პატივისცემის მცნება.

1.6.1. გზა ვეფხისტყაოსნობიდან ორ ლომამდე – მარადისობამდე

ახლა ავხსნათ გზა ვეფხისტყაოსნიდან ორ ლომამდე. ეს არის უფლის მიზანი – ორი ძმიდან უნდა გამრავლდეს ორი მეფე ერი სულიერად სრულყოფილი. ორი ლომის სიმბოლიკა სწორედ ამის აღმნიშვნელია (იხ. წიგნი 1-ლი). ამისათვის მიზანია უფლისა, წარღვნის მერე შეიქმნას ჯერ სიკეთის ციტადელი ქვეყანა. სამყაროს მფეთქავი გული წმინდა სისხლის მუდმივად მიწოდებისათვის.

გავიხსენოთ ჩვენი შეპირებულიც, რომ იგავით ავხსნიდით, როგორ შეიქმნა და გაიმარჯვებს საბოლოოდ სიკეთე. როდესაც ნოახი ცხოველებს უშვებდა კიდობანში, მოვიდა მასთან ტყუილი და უთხრა, შემიშვიო. ნოახმა კი უპასუხა: მე აქ ყველაფერს წყვილ-წყვილად ვუშვებ, შენც შენი მეწყვილე მომიყვანეო. წავიდა ტყუილი თავისი მეწყვილის საძებრად. შეხვდა მას ძალა, რომელსაც სთხოვა, კიდობანში შევიდეთო. ძალამ ჰკითხა, რა მოგება მექნება, შენთან ერთად რომ შემოვიდე, როგორ გამოვავლენ ჩემი ძალის თვისებასო? ტყუილმა უპასუხა: – შენ შეგიძლია, რასაც მე ვიქმ, ყველაფერი გააქროო.

გავიხსენოთ წინა იგავით, როდესაც ანგელოზების აზრი თანაბრად გაიყო, შექმნილიყო თუ არა ადამიანი, ჩამოაგდო უფალმა სიმართლის ბეჭედი დედამიწაზე. ამ ბეჭედს აქვს ძალა, რომ ტყუილს, რაც გამოვლინდა ადამის შეცოდების მერე, და მისგან გამომდინარე სხვა უზნეობებს, არა აქვთ ძალა, არსებობის უფლება, ის მუდმივად აშკარავდება, ვერ ავა ზევით, ის დედამიწაზე უნდა გაკეთილშობილდეს. თუ არადა, მატყუარა აუცილებლად დაისჯება. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს გაკეთილშობილება, ჩვენ ნაწილობრივ ავხსენით.

ახლა კი აღვნიშნავთ: ზეპირი თორის ერთ-ერთი ცნობილი ვერსიით: ადამმა აკრძალული ხილი რომ მიირთვა, ეს იყო პურის ხიდან. ანუ ხეზე უკვე პური იყო მოსხმული. ხოლო როცა დაწყევლა უფალმა, სწერია დაბადება, 3.19: „მიწიდან ოფლის ღვრით ჭამე პური, ვიდრე დაუბრუნდები დედამიწას, ვინაიდან მისგან ხარ აღებული; რამეთუ მტვერი ხარ და ისევ მტვრად იქცევი“.

ამდენად, ოფლის ღვრით პურის ჭამის არსი მასშია, რომ სანამ მზა პურს მივიღებთ, როგორც ადამის დროს იზრდებოდა ხეზე, ამას მთელი წლის ოფლის ღვრით ჯაფა სჭირდება.

დავიწყოთ იმით, რომ ხორბალი, რომელიც ჩაითესება, უნდა დალპეს, მოსცილდეს უფლის მიერ შთენილ ნაპერწკალს ის გარეგანი მცენარეული მინარევები, რომლებიც უშლის, ზედმეტია. ასე განიწმინდება უფლის სიწმინდე – ნაპერწკალი, მერე კი იწყება აღმოცენება და მისწრაფება ზეცისაკენ.

აქვე საჭიროა ითქვას, რომ დაახლოებით ასეთი პროცესია ტყუილის მთქმელ ადამიანთან მიმართებაში. ადამიანები იმიტომ იმარხებიან მიწაში ამ ქვეყნიდან, რომ ძირითადად ტყუილს ლაპარაკობენ. უფრო მეტიც, აქედანაა ტანის ლპობა, მატლები, თორემ მართალ კაცში ეს პროცესი არ მიმდინარეობს, უფალი ძალიან წუხს, როცა ასეთ კაცში მისი ღვთიური სული სცოდავს და იმიტომაც ითქვა, წარღვნის მერე დაწესდა ჩვენი სიცოცხლის 120 წელი. ამდენად, ტყუილი ძირითადად ჩვენი გახშირებული სიკვდილიანობისა და დაავადებათა მიზეზია. ამიტომაც ძალა, რომელიც კიდობანში შევიდა, მიისწრაფვის, რომ ყოველი ტყუილი გაანადგურებს. ამის გამოა, რომ ტყუილის განადგურებასთან ერთად, ადამიანებსაც უმოკლდებათ სიცოცხლე.

მაგრამ იმდენი ტყუილია ადამიანის ჩვევებში, რომ 120 წელს ერთეულები თუ აღწევენ. ადრე მივდივართ, რომ უფრო არ დამძიმდეს ჩვენი სული და შეუძლებელი გახდეს ჯოჯოხეთში მოსვედრაც კი, რაც შესაძლებელი ხდება 30 დღის განმავლობაში დამარხული სხეულის წარმოუდგენელი წამების მერე.

შემდეგ კი ასეთი სხეული, მატერია, მისი მატერიალური, ცხოველური მისწრაფებებით, ლპება, მას არსებობის საშუალება არა აქვს. ხოლო თუ ადამიანმა სიმართლით იარა, მისი სული პირდაპირ ნეტარებით სამოთხეში ადის და ჯერ კიდევ დედამიწაზე მას ახლობლები სიხარულით, ქება-დიდებით ხვდებიან. რაც შეეხება სხეულს, ის არ დალპება და უპრობლემოდ წარმოდგება მკვდრეთით აღდგომისას.

ამდენად, სიმართლე მუდმივად აშკარავდება ზეციური სასამართლოს მერე, რაც თორის სიტყვაა. ასე რომ, უფლით, იმიტომაც ხდება ჩვენი წასვლა და სხეულის

ლპობა მიწაში, რომ კიდევ უფრო არ გავავრცელოთ ტყუილები იქ, სადაც უფლის სიმართლის ბეჭედია ჩათესილი. იგი ზევით ვერ ადის უფალთან და ასე ატმოსფერო ისე ბინძურდება, რომ მეტად უმნიშვნელოდ ჩამოდის სულიერი შუქი დედამიწაზე, რის გამოც უგემოვნო, ძალიან მწირი ნაყოფია. ამავე დროს, ვრცელდება საშინელი სტიქიები.

ხოლო ძალა, რომელიც ტყუილს ანადგურებს – ეს მისი სიკვდილია. ასე ყველა ტყუილი დედამიწაში ლპება, მას არსებობის საშუალება არა აქვს. იგი იმარხება, რამეთუ სიმართლე მუდამ აშკარაედება. აი, რატომაა სიცოცხლე ხანდისხან მეტად ხანმოკლე.

ამდენად, ჩვენ ვისჯებით, რომ ჩვენი ტყუილები გამოვასწოროთ.შედეგად, ადამიანის სხეული დალპობის და ზეციური სასამართლოს მერე, რაც თორის სიტყვაა, რის გამოც მიმდინარეობდა მისი დასჯა და განწმენდა. შემდეგ ისევ მოგვეველინება, რათა ტყუილი ქმედებები გამოასწოროს. ასე ყველა ტყუილი აშკარავდება, წმენდს ამ ყოველივე სიბინძურეს უფლის სამართალი, ზეციური სიწმინდე, რომელიც ვერ თავსდება ტყუილთან. მას„მოკლე ფეხები“მიტომ აქვს, რომ ის ვერ იშლება და ვერასოდეს ავა ზევით ისე, როგორც ხორბალი.

ხოლო ხორბლის განვითარების პროცესის მსგავსია ადამიანთა მკვდრეთით აღდგომაც. ხორბლის მარცვალივით, როგორც ის ლპება და იწმინდება, ყველა ცოდვილითა სხეული ლპება მიწაში. ადამიანს კი აქვს ხერხემლის ერთი ძვალი, რომელსაც ლუზი ჰქვია. იგი ლპობას არ განიცდის, განიწმინდება მხოლოდ მატერიალური მინარევებისგან ანუ პირობითად იმ ტყუილებისაგან, რაც ამ სამყარო'ში ყოფნისას ხდებოდა. თუ ის ტყუილები ტანჯვით, მონანიებით ან სხვა ქმედებით გამოვასწორეთ, ასეთი წმინდა ადამიანები თავისი ცხოერებით დაიმსახურებენ, რომ აღდგნენ მკვდრეთით აღდგომისას.

ხოლო ვინც იძულებით სიკეთისათვის იტყუება, იმათ ექნებათ მარადისობა, მტყუანებს და ფლიდებს კი ძლიერ გაუჭირდებათ, თუ ახლავე არ დაიწყეს მონანიება და გამოსწორება ყოველივესი, რამეთუ მოწყალეა შემოქმედი. ზემოთ კი ადამიანები ძირითადად იმიტომ ისჯებიან, რომ, ითქვა, ანგელოზები ასამართლებენ და ისინი არაფერს პატიობენ.

ამიტომაც იყო ისეთი წარღვნა, რომ მისით მოისპო არა მარტო ცხოველად ქმნილი ადამიანები, არამედ მიწის ფენაც, გაჯერებული მათი აურით, ტყუილებით, ფლიდობით სულ ჩამოირეცხა. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც მეათე ეეფხისტყაოსნის – ნოეს ოჯახი იყო. იგი და მისი შვილები უფლის მიერ შერჩეულ წმინდა ცხოველებს უმწიკვლოდ ემსახურებოდნენ.

ჯერ მათ აჭმევდნენ ყველას თავის დროზე, ანუ აქ შეიქმნა ის სამოთხე, გარემო, სადაც თანაცხოვრობდნენ ადამიანები და ცხოველები მშვიდობიანად, ერთმანეთს არ ერჩოდნენ. ცხოველები გრძნობდნენ ამ ადამიანთა უფლისშვილობას, სულიერ დონეს და ემორჩილებოდნენ მათ.

და ეს ყოველივე იყო მიზეზი, რომ შეხინა, რომელიც განიდევნა ადამის შეცოდების მერე, ისევ დაბრუნდა დედამიწაზე, ოღონდ ჯერ კიდობანში. ამიტომაც არც ცხოველები და არც ადამიანები კიდობანში არ წყვილდებოდნენ.

შემდეგ კი, ითქვა, გადმოჰყვა მათ შეხინა, სადაც გაჩერდა კიდობანი, იბერია-კავკასიაში, და ამის მერე მუდმივად მხოლოდ ამ ქვეყანაში დავანდა იგი.

აღვნიშნეთ, რომ კიდობანში იყო გამონაკლისი, როცა შეწყვილდა ქამი თავის მეორე ნახევართან, აგრეთვე ორი ძაღლი და ორი ყვავი. ამ ცოდვის გამო მოხდა ის, რომ ქამი გაშავდა და მისი მოდგმიდან გამრავლდნენ შავკანიანები (ნეგროიდული რასა).

ამდენად, შეხინის დავანების შემდეგ, როგორც ჩვენი ნაშრომით დავასაბუთეთ (იხ. წიგნი მე-2, I ნაწილი), იბერია-კაეკასიაში დაინერგა უშეცდომო მარადიული სასიცოცხლო მზის კალენდარი. და სალაპარაკოდ, საურთიერთობოდ შეიქმნა ერთი ენა – დედა ენა. და რომ აქ ცხოველების პატივისცემა მუდმიყად იყო, ეს ჩანს თუნდაც იმაში, რომ როცა სალანძღავი სიტყვები იჭრებოდა გარედან დედა ენაში, მაშინ ერეკლე მეორემ პირუტყვის შეგინება-შეურაცხყოფისთვის სასჯელი დააწესა.

ასე შეიქმნა იბერია-კავკასია იმ სიკეთის ციტადელ ლომთა ქვეყნად, სადაც თინათინი – შეხინა მუდმივად იქნება დავანებული. თუმცა ქამმა, ვიცით, შერეც შესცოდა, როცა არ დამალა მამამისის სირცხვილი და როგორც ადამი, ასევე იგიც მოიკვეთა ამ სამოთხე ქვეყნიდან.

დასაწყისში აღვნიშნეთ, ქამის მოკვეთის პარალელურად ნოეს მიერ იკურთხნენ ძმები – შემი და იაფეთი.

ახლა იოლია აიხსნას გზა სამყაროს სრულიად გასულიერებისაკენ.

ამისათვის ავხსნათ ორი ლომის სიმბოლიკის არსი, მხოლოდ რომელთა ნახატებიც არის ებრაულ სალოცავებში და საქართველოს მარადიულ მეფეთა – ბაგრატოვანთა გერბზეც არიან გამოსახულნი.

1.6.1.1. ორი ლომის სიმბოლიკის არსი

ასე ორი ძმის ღირსებით დაბრუნდა შეხინა, რომელიც განდევნილობაში იყო ადამის შეცოდების მერე, ანუ, დამარცხდნენ ბნელი ძალები, მზიური ნათელი დაადგა იბერია-კავკასიას. დავანდა აქ შეხინა და ნოახმაც ვეფხვის ტყავი არცერთ შვილს აღარ გადასცა. ხოლო ლომებად ორი ძმა შეიქნა და რომ არ შერყვნილიყო ლომთა ქვეყანა, იყო აქ უზნეოთა მოკვეთის ტრადიციაც. მათ კი, ამ მოკვეთილებმა, შუმერის ქვეყანაში გადმოსვლისას, ქამის მოდგმასთან ერთად, კვლავ გაამრავლეს ბოროტების ისეთი ცხოერების წესი, სადაც მათ უზნეობათა გამო დღესაც გაძევებული ჰყავთ უფალი და ამეფებენ სატანას.

ხოლო სამყარო დღევანდლამდე რომ არ ინგრევა, ითქვა, ეს იმიტომ, რომ წარღვნის მერე ორი სულიერი ძმის, შემისა და იაფეთის ღირსებით, მათი უნიკალური გენეტიკური თვისებიდან გამომდინარე, მათგან გამრავლდა იბერთა-მეფეთა მოდგმა – ქართველი ერი, რომელშიც ჩამოყალიბდა ისეთი გენეტიკური კოდი, რის გამოც იბერია-კავკასიაში დღემდე ღვთის უფლის სამოთხისებური შუქი-ნაპერწკალი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნის მუდმივქმედებას განაპირობებს.

ამდენად, შემის მოდგმა ცდილობდა, ეს ქვეყანა, თორიდან გამომდინარე, დედად სამყაროსი, სულიერი პირველადი, მიწათმოქმედთა კულტურის განვითარებით ჩამოყალიბებულიყო. შედეგად, იგი, იბერია, ასრულებდა სამყაროს ორგანიზმში გულის ფუნქციას წმინდა სისხლის მიწოდებით მისი მუდმივქმედებისათვის.

ეს წმინდა სისხლი მომდინარეობდა შემის, მერე მისი მოდგმის იდეოლოგიის გამტარებელი, მის მეათე შთამომავალ აბრამიდან გამრავლებული ისრაელებიდან, რამეთუ ისინი ამყარებდნენ უფალთან კავშირს. შემდეგ კი, როგორც ითქვა, უკვე იეფეთელები-ქართველები უდგანან საწაულად გვერდში აბრამიდან გამრავლებულ ისრაელთ ეგვიპტეში, გოშენში. ასე ორი მოძმე ერის მეცადინეობის შედეგად (იხ. წიგნი 2-ის III ნაწილი) ჯერ იბერია იქცა დედად, შემდეგ ისრაელი – ტვინად სამყაროსი მისით თორის მცნებებით მოქმედებიდან გამომდინარე.

ახლა ავხსნათ, რა განსხვავებაა ვეფხისტყაოსანთა და ლომთა სიმბოლიკით მოარულებს შორის. ამისათვის მოვიყვანოთ ფრაზა ჩვენი პირველი ნაშრომიდან, გვ. 107: „ლომი გამოხატავს მეფურ ზავრობას, ნებას, ძალას, კეთილშობილებას, უძლეველობას, სულის გამარჯვებას მატერიაზე, ცის ნათელს, ცნობიერების განათლების. ვეფხვს ყველა ეს თვისება აქვს. იგი ძალოვანი ასპექტია ლომისა მხოლოდ მზიური მნიშვნელობა არა აქვს. იგი უფრო ბნელის და ახალი მთვარის სიმბოლოს ენათესავება. ანუ მას უწევს ბრძოლა სასტიკი ბნელის წინააღდმეგ, რათა მან დაამარცხოს იგი, მოიტანოს ნათელი და ასე კვლავ აღადგინოს ლომობა. ამდენად, ვეფხობა გარემოთია განპირობებული. გარშემორტყმული ბნელი ძალები არ უშვებენ რომ იყოს უფლის სინათლე, სულის გამარჯვება მატერიაზე.

დღევანდლამდე მთელი მუსულმანთა-ქრისტიანთა სამყარო, გარდა კავკასიის იბერთა – ქრისტიანთა და მუსულმანთა, შემოერტყა ამ ვეფხვს, რომ არ აღადგინოს ლომობა, არ მოავლინოს სულიერი შუქი სამყაროში, არ გაამეფოს უფალი და ყველამ დაპირისპირების გარეშე, სიყვარულით, სიკეთით ვიცხოვროთ.

ამგვარად ადამი იყო ლომი, მზიური მნიშვნელობით, უშეცდომო მზის კალენდრით მოარული. როცა შესცოდა მან, მოსცილდა უფლის შეხინა, მისი ნათება და პირველი დღის მარადისობის შუქი სამყაროსი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეცდომა გამოძახილი იყო მნათობთა ქმედებიდანაც. თორით ცნობილია, რომ მეოთხე დღეს, როცა შეიქმნა ორი მნათობი, რათა მათ ემეფათ ერთს დღისით და მეორეს ღამით, მოინდომა მთვარემ თავისთვის არგამოყოფილ დროში მეფობა და უთხრა უფალს: – რად გინდა ორი მეფე, მე გავანათებ დღისითაც და ღამითაცო (იხ. წიგნი მე-2, ნაწილი I).

ამ თხოვნის შემდეგ კი უფალმა შეუსრულა სურვილი მთვარეს, ოღონდ შეასუსტა მისი შუქი, რადგან შეშურდა სხვისი მეფობისა და ამის მერე, როცა შედის მზის დროში გასანათებლად, იგი მეტად მკრთალად ჩანს. თანაც ნელ-ნელა ილევა, რადგან უფრო და უფრო შედის მზის ნათების სფეროში. შემდეგ კი ორი დღე აღარ ჩნდება, ანუ

კვდება. მერე კი ისევ როცა იბადება, იზრდება, ივსება, მაგრამ კვლავ ძლევს შური, არ იშლის თავისას, შედის მზის დროში და ვიცით, ისევ კვდება. და კვლავ იბადება უფლით, რომ იქნებ მოეგოს გონს.

ასე ვართ ადამიანებიც – რამდენიმეჯერ მოვდივართ, რომ სიამაყე, შური, უზნეო თვისებანი გამოვასწოროთ. ამდენად, შუქი, ნათება განპირობებულია სიყვარულით. მხოლოდ, თუ გაქვს სიყვარული, გიქრება შური და გაქვს ნათებაც. აი, რატომაა, რომ თუ ადამიანები დაკარგავენ შურს, გაეზრდებათ სიყვარული.

ეს ალეგორია გამოგვადგება, რომ შევადაროთ ორი მოდგმა – იბერი და ინდო-ევროპული. იბერები, ისრაელნი, ქართველნი, უფლის ენაზე მოლაპარაკენი, არავისას არ იპყრობდნენ, ერთმანეთშიც ჰქონდათ სიყვარული, გაყოფა-გაცემა. ხოლო ინდო-ევროპული, ანუ არა უფლის ენაზე მოლაპარაკენი, რომელთაც არა აქვთ კავშირი უფალთან, რითაც ინერგება სიყვარული, ეს მარადისობის განზომილება, მიიღვწიან დაიპყრონ იბერები. მაგრამ რაკიღა გვაქვს სიყვარული, ჩვენ უფლით ვართ დღეგრძელნი და ვიქნებით ნათელში, როგორც მზე, ანუ სამოთხეში, ისინი კი ჯოჯოხეთში საშინელ წვას, ტანჯვას განიცდიან, როგორც მთვარე რომ შედის ორი დღით მზის დროში და კვდება. რათა როცა ახლიდან დაიბადებიან, გამოსწორდნენ.

მაგრამ ისინი მაინც თავისას აგრძელებენ და დადგება დრო, როგორც რუსთველი გადმოგვცემს, ეს ქაჯები მალე ან მთვარესავით მოეგებიან გონს, თუ არადა აღიკვეთებიან, რამეთუ „ვეფხისტყაოსნით“, თორის არსიდან გამომდინარე, მთვარე დაკარგავს შურს, აღარ შევა მზის დროში, სულ სავსე იქნება და იგი გაანათებს როგორც მზე. ხოლო მზის შუქი შვიდჯერ გაიზრდება. ასე აღდგება სწორი დრო – მზის კალენდარი, რაზეც კიდევ ვიტყვით.

ამდენად, უფალმა ხილული მაკეტი დაგვიტოვა მთვარის სახით, ვინც სხვისას იტაცებს, და თუ რა მოსდით მათ,ვისაც არა აქვს ხუთი განზომილება, პირველ რიგში სიყვარული – სიბრძნე. ხოლო ჩვენი პირველი წიგნის განმარტებიდან გამომდინარე, ლომის სიმბოლიკის არსი არა ერთ ტყაოსანში, არამედ ორ ლომშია, ანუ ორ სულიერ ძმაშია. ასე შედგება ჯერ ორი სამოთხე ქვეყანა. ხოლო თუ როგორ მოხდება ეს, ამისათვის ავხსნათ ჩვენს მიერ მოყვანილი სტროფიდან სიტყვები: „ტურფადცა უნდა ხსენება“.

1.6.1.2. ხუთ უდიდეს დედათა გადამწყვეტი როლი იბერთა მარადიული მეფობისათვის

ითქვა, როცა ადამმა მოინდომა განცალკევება, გამჩენმა ქ-ორ-წილი ანუ ორის წილობრივად შეუღლება თვითონ გადაუხადა ადამს და ხავას. ასე ერთიანდება მისი მეორე ნახევარი მის პირველწყაროსთან. ამასთან, შეწყვილებისას ქალში მამაკაციდან გადმოდის სულის ნაწილი რუახის სახით, რომელიც შემდეგ ნაწილდება შვილებში პროპორციულად იმ რაოდენობიდან გამომდინარე, რაც განსაზღვრულია უფლით, რომ დაიბადონ.

ამავე დროს იბერიელ დედებში შეხინის ერთგულება, შერწყმა გამჩენთან სურვილების აღსასრულებლად, მიახლოებით გადმოდის დასტურად ითქვა, შეხინა თითქმის გაერთიანებულია ჩვენს ღვთიურ სულთან და რაკიღა იგი მდედრობითია, მისი ერთგულება გამჩნისადმი უფრო სრულყოფილად გადადის ქალში – მდედრში, ამიტომ ქალი ყოველთვის უფლისადმი, სულიერებისადმი მეტი ერთგულებით გამოირჩევა, ვიდრე მამაკაცი, და არც შემთხვევითია, რომ ქ-ალი ალს შეხინიდან მასში გადმოსულ გამჩენის ერთგულების შუქს შეიცავს, აქედანაა ჩვენში იბერიელი ქალების ერთგულება ოჯახისადმი და ამიტომაც ივრითულშიც ჰატარძალს, რომელთაც ქორწილის დღეს ყველას გამჩენის უფლის შუქი ადგას, წმინდა ენაზეც ქ-ალას ეძახიან, ანუ ქვეყნიერების გამნათებელი შეხინის ალია მასში, ასეთი დასახელება ქალებს არცერთ ენაზე არა აქვთ, რადგან ისინი მათი შეთითხნილი ენებით მეტყველებენ და ამიტომაც მუდმივად აქვთ ცოლ-ქმარს დაპირისპირება.

აი ძარღვი ფესვისა, თუ რატომ იყვნენ ისტორიულად იბერიელი ქალები მეტად პატრიოტულნი ოჯახისადმი და ასევე მთლიანი მათი სამშობლო იბერიისადმი,და არც შემთხვევითაა ისრაელი და ქართველი დიდი დედების – ესთერის, თამარის და სხვათა – გაიგივება შეხინის სიწმინდესთან.

მაგრამ არა თორით მოქმედ მამაკაცებს მაინც სხვა ქალებისკენ გაურბით თვალი. **ხოლო იმისათვის, რომ იყოს ადეკვატური ერთგულება მამაკაცისა უფლისადმი, ჩვენი მე-2 ნაშრომის III ნაწილში დასაბუთებულია, რომ 5 მდედრობითია გამჩენის მიერ**

შექმნილი მამაკაცთა მოქცევისათვის: ქალი – მეორე ნახევარი, ანბანი, თორა, შეხინა, დედამიწა.

ეს ხუთი მდედრობითი ჰყავს რუსთველს მოყვანილი ზემოთ მოყვანილ სტროფში: „მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“. ამდენად, აქ ჩანს, რომ მესიის მოვლინება ხუთ მდედრობითზე, მათ ენერგიულ მოქმედებაზეა დამოკიდებული, რაშიც თანდათან დავრწმუნდებით. უპირველესად კი აღვნიშნავთ, რომ მამაკაცის სრულყოფილება იწყება ქალთან შეუღლებით, რაც მთავრდება სულიერი შერწყმით ერთმანეთთან, რამეთუ მათში ერთი სულის ორი ნახევარია. და ეს სულიერი შერწყმა რომ იყოს სრულყოფილი, რათა შვან სულიერად ასევე სრულყოფილი შთამომავლობა, ჩვენ, იბერთ, უპირველესად მოგვეცა უფლის ანბანი, რომელთანაც აგრეთვე დაქორწინებული ვართ უფლის მიერ.

ეს ქორწილი ორის – ანბანისა და ადამის – შედგა, როცა უფალმა მისცა ადამს ორი ენა, რომლებშიც თორის წინასწარმეტყველური ცოდნაა. ამიტომაც, ანბანის მიღებისას, პარალელურად შედგა ადამისა და მის შთამომავალთა – ისრაელ-იბერთა ნიშნობა თორასთან. რამეთუ ანბანი თორის წინასწარმეტყველებას გადმოგვცემს.

შემდეგ ჩვენ, იბერებმა, კავკასიელებმა დავიმსახურეთ ნიშნობა დედა მიწასთან და უფლის შეხინის სულიერ ქალიშვილთან – თინათინთან. ხოლო ისრაელთა ნიშნობა შეხინის მეორე ქალიშვილთან, ნესტანთან, მოხდა, როცა ეგვიპტეში ჩავიდა 70 ისრაელი იქ გასამრავლებლად. თორის მიღების მერე კი შედგა ორიეე ერის ქორწილი თორასთან, ხოლო წმინდა მიწასთან, ისრაელთა ნიშნობა შედგა, როცა შეიდნენ ისრაელნი წმინდა მიწაზე – ქენაანზე და დაფუძნდნენ იქ.

ამგვარად, ორივე ერის მამაკაცთა ქორწილი დედებთან, მეორე ნახევრებთან: ქალებთან, ენასთან და შემდეგ თორასთან უკვე შედგა. და ამ სამი ქორწილის მერე მათთან შერწყმის აღსრულებაზეა დამოკიდებული ჩვენი შემდეგი ქორწილი შეხინასთან, რუსთველით, ტარიელისა და ავთანდილის ქორწილი ორ დასთან – შესაბამისად ნესტანთან და თინათინთან. ასევე, პარალელურად, წმინდა და დედა მიწასთან. ანუ როცა ჩვენ ქორწილით მარადიულად დავავანებთ უფლის შეხინის ორ ქალიშვილს – ნესტანსა და თინათინს – წმინდა და დედა მიწაზე.

ამდენად, თორით სულიერი მარადისობისა და მატერიალური ნაყოფიერების მომტან ორ შეხინასთან და უფლით კურთხეული ორი ერისთვის ბოძებულ მიწასთან ერთად ორი ერის ქორწილი იქნება, როცა გამოელინდება სამყაროში მესია.

მაშინ ეს მიწებიც, გასულიერებულნი, შუქში იქნებიან გახვეულნი და ასე შეერწყმებით შემოქმედს, იქამდე უფალი გვეუბნება თორაში: მიწა ჩემია, თქვენ კი ხიზნები ხართ ჩვენთან ანუ მიწის გაყიდვა – ეს დანიშნულთან გაყრაა, იმ დანიშნულთან, სადაც შენი სულიერების გამო შეხინაა დავანებული ეს იგივე სულის, სულიერების – სულიერი სატრფოს, შეხინის გაყიდვაა.

ამდენად, ჩვენი დაბადების მერე, ჯერ ანბანთან, შემდეგ ქალთან შეუღლებიდან იწყება ყველაფერი. ქალს ძლიერ უნდა, ეს უღელი – შერწყმა მამაკაცთან, რამეთუ ის სულიერად ერწყმება შემოქმედს და მუდამ მიისწრაფის, რომ შეუღლებული იყოს თორასთან, შეხინასთან, აგრეთვე მიწასთან. ამიტომ ქალებში სასწაული ერთგულებაა უფლის შეხინისა, ეს განამტკიცებს ორთა ერთობას, რამეთუ ქალი დიდ ზეგავლენას ახდენს, რომ მამაკაციც სულიერად შეერწყას ამ დიდ დედათა სიწმინდეებს.

ეს გამომდინარეობს მისგანაც, რომ ქალმა იცის ზოარით, ღარიბია ის, ვინც თორაში არ ჭირნახულობს. მას არა აქვს უფლით ბარაქა და უკონფლიქტო ოჯახსაც ვერ შექმნის თორის გარეშე. იგი სულ ოჯახის ერთსულოვნებაზე, შერწყმაზე ფიქრობს, ცდილობს, მამაკაცის სიძლიერე, ჭკუა სულიერებისკენ, სიბრძნისკენ და არა ვნებებისკენ წარმართოს; მზითვად ამიტომაც მოაქვს თორა და „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ნატვრაა, დედა მიწაც ქალების მზითევი გახდეს*.

---

*ასეთი მისწრაფება ქალისა იმიტომაა, რომ მამაკაცებს ხშირად საკუთარი თავის ვერშეცნობის გამო, რაც თორის გარეშე წარმოუდგენელია, უჩნდებათ პროტესტის გრძნობა ქალთა ასეთი ქცევის გამო და აქედან არის ო-ჯახ-ში ო-ორის ჯახი. გამჩენი კი ამ შემთხვევაში ქალის ვედრებას, ლოცვებს უსმენს, რომ მოექცეს მისი მეორე ნახევარი, გაძლიერდეს თორის ცოდნაში. აქედანაა, რომ თუ მამაკაცის ლოცვა, რომ მივიდეს გამჩენთან, ამას ათი კაცი სჭირდება, ქალს ის მარტოსაც უსმენს და უსრულებს. ამიტომაც ქალზე არაა უფლის მოვალეობა, თითქმის ნახევარზე მეტი მცნებების დაცვისა. ხოლო, თორის მიღების წინ არიგებს გამჩენი მოშეს: – ქალებს პატივისცემით ელაპარაკე და მოსთხოვე მისი დაცვა, ხოლო კაცები

ეი, საიდანაა წარმოუდგენელი პატივისცემა ქართველების – კავკასიელების და ებრაელების მიერ 5 დედისა, მათი უდიდესი სიყვარული, რატომ გვიყვარს დედა ენა, დედამიწა, დედა ჩვენი – თორა, ყოველი ქალი(რომლის მახდილი მშვიდობის სიმბოლოა ჩვენში) და დიდი დედაც – შეხინა.

აქედანაა ჩვენი თავდადება სამშობლოსათვის. მასში ხუთივე დედის წარმოუდგენელი სიყვარულია ჩაქსოვილი, ხოლო არაიბერიულ ქვეყნებში არათუ ხუთი დედის, არც ქალის, როგორც დედის პატივისცემაა და მას ხშირად ეშმაკსაც კი ადარებენ. აქედანაა, რომ ისინი არიან ჯერ ვერშემდგარი ერი და მიილტვიან, რომ ერთმანეთი და, რაც მთავარია, იბერიული მოდგმა, მისი სულიერება გაანადგურონ. მაგრამ, განა შეიძლება, ის ერი არსებობდეს, რომელიც ქალს, დედას არ იყვარებს?! აქედანაა ქართული გამოთქმა მათზე „ოხ-ერი“.

ხოლო შეხინასთან, აგრეთვე დედა და წმინდა მიწებთან ქორწილი რომ შედგეს, რაკიღა გამჩენით ყველანაირი სრულქმნილება მამრის და მდედრის სულიერი შერწყმის გარეშე არ ეგების, ამიტომ, როგორც ითქვა, ცოლ-ქმრის ანალოგიურად გამჩენი მიილტვის, დედამიწაზე მისი გასულიერებისათვის საბოლოოდ შექმნას დედის – მდედრობითის, სამყაროს გულის და მამრის – სიწმინდის, სამყაროს ტვინის, როგორც ორგანიზმში ფუნქციის მატარებელი სახელმწიფონი, ორი ერი – ისრაელნი და ქართველნი.

ხოლო მათი ურთიერთწარმოუდგენელი სიყვარული, როგორც ცოლ-ქმარში, ასევე დუღაბდება ხუთი დედით, რაც იწყება ქალებით, ორი ენით, თორით სწორედ ეს აქვს წარმოჩენილი სოლომონს „ქებათა ქებაში“. ამაზეა დაფუძნებული ეს ნაწარმოები. ამდენად, ხუთი უდიდესი ნეტარების რელიკვიითაა მათი სიყვარული შედუღაბებული, ასეთი ულალატო სიყვარულითაა ჩვენი ზნეობაც განმტკიცებული. ეი, რატომაა ორი ერი გამორჩეული.

ამდენად, თორა და ენა იმ უდიდეს ხუთ სულიერ დედაში შედიან, რუსთველი ტურფებად რომ მოიხსენიებს, რამეთუ დანარჩენი სამია: უფლის შეხინა, იბერიელი ქალები, წმინდა და დედა მიწა. ასე, ეს ხუთი ტურფა შეეწევა ტარიელს, ხოლო იბერია-საქართველოში ისინი განაპირობებენ, რომ აქ მუდმივადაა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული სამივე რელიგიას შორის და ამიტომაც მათი მოღვაწეობა, რუსთველით, მნათობებისდარად და გმირებადაა შერაცხული. გავიხსენოთ „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჯირს ერთმანეთის მონობა“.

მიტომაც ეს ის გმირებია, სამივე რელიგიის, ოღონდ იბერიული მოდგმის ლიდერების სახეში, რუსთველით იუდეური – ტარიელის, ქრისტიანული – ავთანდილის და მუსულმანური – ფრიდონის, რომელნიც, როგორც „ვეფხისტყაოსნით“ ვიცით, თავიანთი სულიერი ერთობის, სიყვარულის ძალით ბოლოს დაამარცხებენ ქაჯებს, მათ უზნეო წესს. ამგვარად, თითქოს ელემენტარულად იხსნება ყველაფერი, მაგრამ ეს ელემენტარულობაც, უფლის ნებით, დღემდე შეფარული, გაუმჟღავნებელი იყო.

ხოლო დღეს ამ ყოველივეს, აგრეთვე უმაღლესი სულიერების ცხოვრების წესის ახსნისა და აღდგენის დრო რომ დამდგარა, რითაც უკვე შევეწევით ტარიელის მესიად, უფლის შემცველელად მოვლინებას, ქაჯების დამარცხების მერე, ეს ყოველივე შოთამაც მეტად შეფარულად გადმოგვცა და ამიტომაც აქამდე გვაფრთხილებდა:

„უჟამისოდაც ვინც ახსნას, არის მეფეთა მკელელიო.“

მეფეთა ანუ იბერთა, და დღეს, ამის ახსნის ჟამიც რომ დამდგარა, ამაზე გვმოძღვრავს თვით სოლომონი სიტყვებით: „ვინ გაქცევს ჩემ ძმად, დედაჩემის ძუძუნაწოვად, გარეთ გიპოვიდი... დედაჩემის, ჩემი აღმზრდელის სახლში შეგიყვანდი“. ხოლო ეს ძმა იაფეთელი, ქართველია, რუსთველით ავთანდილია, რომელიც ამცნობს ტარიელს, მომავალ მესიას, რომ მისი მესიად მოსვლის ჟამია დამდგარი (იხ. წიგნი 1-ლი).

1.6.2. ორი ერის მხსნელის მოვლინების მისია

ამგვარად, საქართველოს, ისრაელთან ერთად, აკისრია მისია მხსნელის მოვლინებისა.

მკაცრად გააფრთხილე, რომ იარონ მისით. დასტურად, ჩვენ ვიცით, რომ შემდგომ კერპის შექმნაში ქალებმა მონაწილეობა არ მიიღეს და არც სამკაულები გასცეს.

დღეს კი ახსნის ჟამი დამდგარა, რამეთუ, როგორც არიზალი გადმოგვცემს, პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ მხოლოდ ძველი სულები მეორდებიან, იბადებიან, რაბა გამოასწორონ თავიანთი სხეულების ქცევა.

დღეს კი იწურება უფლის მოთმინების ფიალა, დგება დრო-ჟამი, რომ დაივანოს მისმა სულმა მხოლოდ მათში, ვინც მიუახლოვდება მას თვისებებით. ამდენად, მისი უდიდესი სურვილია, რაც შეიძლება ყველამ მიიღოს სასწაული ნეტარება, თორის სიბრძნის თანდათანობით სწავლით აგრეთვე გაიხანგრძლიონ სიცოცხლე, მიიღონ მარადისობა, ამიტომაც ვაქვეყნებთ ამ მეოთხე წიგნს.

ამისათვის განსაკუთრებული მეცადინეობაა ამ ხუთი დედიდან, ერთ-ერთი უმთავრესდან – დიდი დედიდან შეხინიდან, მისი ორი სულიერი ქალიშვილით, რომ გაიმარჯვოს სიკეთემ, იბერიულმა მოდგმამ ბოროტებაზე, ინდოევროპულ მოდგმაზე. შემდეგ კი მათით მოხდეს ამ ქვეყნების ასევე ჭეშმარიტ რჯულზე მოქცევა.

როცა უჭირდა რომელიმეს, ისრაელთა და ქართველ დედათა ცრემლები შესწუხებდა შეხინას, ზეცას, დიდ დედას და ისიც გზავნიდა თავისი ქალიშვილების მეშვეობით მშველად მეორე ერს. ამ ორი ერის ერთმანეთისთვის თავგანწირვის მრავალი ფაქტი სამივე ნაშრომშია მოთხრობილი.

ჩვენ ორჯერ შევჩერდებით: ითქვა, 24-ე ძირითად საიდუმლოებაში მტერი ყოველთვის ორივე სიკეთის ქვეყანას ერთად უტევდა. ასე იყო, მაგალითად, ბერძნების, ნაბუქოდონოსორის და რომაელთა შემოტევების შემთხვევებში, და ყოველთვის ისრაელთა სწავლულთა ალიები იბერიას აშურებდნენ. ისინი დედა ენაზე, მისი სიწმინდის დაცვაზე ფიქრობდნენ. მისით, აგრეთვე წმინდა ენაზე ლაპარაკი, თორის სწავლა და ლოცვები რომ კიდევ უფრო გამრავლებულიყო. რათა რაც უმთავრესია, შეხინა უფლის სულიერი ქალიშვილი დავანებული ამ მადლიან მიწაზე არ მოსცილდებოდა ქვეყანას, რაც უფლის ენების დაკარგვის შემთხვევაში მოხდებოდა. ხოლო დედა ენით მეტყველებისას დამპყრობლები ან აღიგვებოდნენ, ან მოექცეოდნენ და აქედან გამომდინარე, დედა – გული სამყაროს სუნთქვისა, მუდმივმოქმედებისა არ უნდა გაჩერებულიყო. ეს იყო უმთავრესი, აქედან იყო იბერიის შეფარვა ისრაელთა მიერ მთელი ისტორიის მანძილზე.

მაშინ ენის სიწმინდე, მისი სულიერი შუქი ამარცხებდა მათ. ჭუჭყი, ბილწსიტყვაობა და ენები დაპირისპირებისა ხომ ღვთიური სულის გასვრაა. ხოლო უფლის ენებით თორის სწავლისას, ლოცვისას, მეტყველებისას ენის შუქით, ენერგიით ისინი მუდმივად იწვიან, ქრებიან, რამეთუ ცეცხლი, ცოდნა, ზნეობა, სიწმინდე უფლისა ორ ენაშია შთენილი. და აღიგვებოდნენ დამპყრობლები თავიანთი ენებით.

ამდენად, ენაზე იყო დაფუძნებული ჩვენი სულიერება, მორალური კოდექსი. ასე ისრაელთა უდიდესი სწავლული რაბინები ტოვებდნენ წმინდა მიწას და საქართველოს გადარჩენაზე ფიქრობდნენ. გავიხსენოთ, ავთანდილი როგორ იძახის ტარიელზე: „მას ჩემთვის სული არ შურდეს, ძმას უმტკიცესი ძმობისა“.

ხოლო საქართველო, ასევე შეხინის კარნახით, ისრაელის გადასარჩენად შეუერთდა რუსეთს, რათა დედას, გულს სამყაროსი, აეღორძინებინა სულიერი ისრაელი, რაც დღეს აღასრულეს კიდეც. ოღონდ თვითონ, ისევე, როგორც ისრაელნი ეგვიპტეში, 210 წელი აღმოჩნდნენ მეორე ეგვიპტის – რუსეთის ტყვეობაში (იხ. მე-2 წიგნის II ნაწილი).

გავიხსენოთ, ტარიელი გადის, რომ მოაქციოს ხალხები. ძალიან უჭირს, გაუსაძლის მდგომარეობაშია. ავთანდილს დაიბარებს შეხინა თინათინი და მოძღვრავს, რომ გვერდში დაუდგეს მას.

ვიცით, შეხვედრისას ტარიელი შეიცნობს ავთანდილში თავის სულიერ ძმას და უპირველესად უხსნის თორის კაბალის საიდუმლოებას. იქამდე ასმათი ეუბნება ავთანდილს, რომ იგი მოყმის სახელი ტარიელია და წარუდგენს ტარიელს ავთანდილს. გავიხსენოთ, ეს ფრაგმენტი მათი შეხვედრისა მოყვანილი გვაქვს 1.5.3. თავში.

იქ ჩანს, როგორი უდიდესი სულიერი კავშირებია ორი ერის სულიერ ლიდერთა შორის. ეს იმიტომ, რომ სამყაროში მხოლოდ ეს ორი ერია ღმერთის მოყვარული, მოშიში. ცალ-ცალკე ისინი მარტონი სუსტნი არიან. რამეთუ ყველა დანარჩენი მათი მტერია. ერთად კი დაუმარცხებელნი ხდებიან. ტარიელი სიამოვნებით ანდობს საიდუმლოს თავის სულიერ ძმას.

შემდეგ, როცა ბრუნდება, ეუბნება ავთანდილი შეხინა თინათინს:

„ყმა ეტყვის: „ვის აქვს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?
მან ჩემთვის დაწვა თავისა დადგა, არ-დასაწვავისა;
დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მითქვამს დადება თავისა,

მზე შემიფიცავს თაეისა, ჩემგან მზედ სახედავისა.“

ამგვარად იტვირთა ისრაელმა თავის თაეზე სიკეთის ციტადელის ფუნქცია, გასწირა თავი, რომ გული სამყაროს მარადისობის მისი ფეთქვისა არ შეწყვეტილიყო · და ახლა ავთანდილნი – ქართველნი უდგებიან გვერდში.

ამავე დროს, ავთანდილი ხედება, რომ როცა გავლენ ქართველთა წარჩინებულნი, მათ შორის ბრძენნი – ხასნი, სულიერი მოძღვარნი, რათა დაეხმარონ ებრაელებს, რომლებიც გაუსაძლის მდგომარეობაში არიან, რუსეთში, მთელ ევროპაში, აზიაში. მაშინ უფრო მომძლავრდება ბოროტება, რათა აღგაეოს ფესვი სიკეთისა – სიკეთის ციტადელი. იქნება უდიდესი გაჭირეებაც.დააკლდება საქართველოს სულიერი შუქი, რის შედეგადაც შეიძლება შეხინა მოსცილდეს მას და იბერიაც ძლეული იყოს უხნეოთა მოძალებისგან.

ამიტომაც სთხოეს ავთანდილი თინათინს, რომ მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, არ მოსცილდეს მისი სხეობასნება იბერია-კავკასიას საქართველოს თინათინიც უსრულებს ამ თხოვნას, რაც მარგალიტის მიცემაში აისახა, ანუ მისი მარადიული სულიერი შუქი არ მოაკლდება იბერია-კავკასიას, რაგინდ გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

გავიხსენოთ სტროფი:

„ქმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
ამას ზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მსრდელი;
ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!“

ჩვენ სამივე ნაშრომით ვიცით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვისა და თავგანწირვის ნაყოფია, რომ ბოლოს და ბოლოს ებრაელნი ბრუნდებიან აღთქმულ ქვეყანაში, ხოლო ჩვენ 2012 წელს კელავ აღვიდგინეთ რეალური სახელმწიფოებრიობა.თუმცა, ეს ორივე პროცესი ჯერ შორსაა უფლის მიერ დაგეგმილისგან. ამიტომ წერია: „ღმერთმა ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!“, ანუ აღდგეს იმდროინდელი სამოთხე ქვეყანა.

ამ ასე სწირავდნენ თავს ისრაელნი, როცა საკუთარი გაჭირვების მიუხედავად მათი სწავლულთა ალიები საქართველოს გადასარჩენად მოეშურებოდნენ. და ასე გაწირა საქართველომ თავი თავისი ძმისთვის.

საიდანაა მხოლოდ ორი ერის თვისება მშობლიური მიწის ტარებისა

ორი ერის ერთნაირად ორივე მიწის გამორჩეული სიყვარული დიდი დედებიდან იწყება. გავიხსენოთ რახელი, რომელმაც ისმინა მისი დის, ლეას ცრემლები, რომ კაცთმოძულე ესავს არ გაჰყოლოდა და დაუთმო სარეცელი დას ღვთითკურთხეული იაკობისა.

ამიტომაც დაიმარხა რახელი ისრაელის გასასვლელთან, და როცა იოსებმა სთხოვა იაკობს, რომ დედამისი რახელი მახფელაში დაეკრძალათ, სადაც ადამი და დიდი მამებია დაკრძალული, იაკობმა უპასუხა: როცა ისრაელნი აიყრებიან წმინდა მიწიდან, ისინი თან წაიღებენ მიწას რახელის საფლავიდან, მისი ცრემლებით გაჯერებულს. და როცა ისრაელთა დევნილობიდან დაბრუნებისათვის ილოცებენ სამივე მამა და დიდი დედანი, უფალი მხოლოდ რახელის ცრემლებს მოუსმენს.

წმინდა მიწა კი დედა მიწასთან ერთდება მხოლოდ. ისინი ხომ გაერთიანებულნი იყვნენ დავით-სოლომონის ხანაში. და საქართველოდან გასულ ისრაელთ-ქართველთა სხეათა მოქცევისათვის ასევე მიჰქონდათ თან დედა მიწა უფლის ერთგული ქვეყნისა, ასევე დედური სითბოთი, ცრემლებით გაჯერებული, რათა ამ დედებისგან ისინი დალოცვილიყვნენ და უვნებელნი დაბრუნებულიყვნენ. ამ საიდანაა უფლ-ება-ა ანუ უფლის ნება ამ ორი ერის მიერ მიწათა ტარებისა, რომ გამარჯვებულმა იარონ, ამიტომაც სიმბოლურადაა გაერთიანებული ორივე ერის სახელი იბერში, რაც, როგორც ვიცით, მეფობას ნიშნავს.

და დღეს ამ ორი ერის, ლომთა, იბერთა შეერთების და ბოროტთა ძლევისათვის ლოცულობს ყველა წმინდა დედა. მათი ცრემლები ზეცას უერთდება. ჩვენც დროზე უნდა გავერთიანდეთ, რამეთუ დედა და წმინდა ენა, დედა და წმინდა სამშობლო, დედა და წმინდა ქალაქი, დედა და წმინდა მიწა, დედა და წმინდა ერი სინონიმებია და ისინი ორი სიონის ერთობისთვისაა. აქედანაა, ეს სახელებიც ჩვენი დამსახურებით ჰქვიათ მათ ჩვენი თავგანწირვისათვის.

და ბოლოს, აი, რატომაა, რომ დღესაც, როგორც ამ ორ ერს ქვეცნობიერად ერთმანეთი უყვარს, ერთმანეთისთვის თავს სდებენ, სადაც ხვდებიან, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ასე არცერთი ერი არაა ურთიერთისთვის თავდადებული.

ეს ყოველივე ღვთიურ სულთან არსებული შეხიზნის, უფლის კარნახითაა. ამადაცაა მათში მუდმივად მხოლოდ ორი მიწის, ორი ანბანის, თ-ორ-ის სულიერი სიყვარული. ხოლო ფაქტები ამ წარმოუდგენელი სიყვარულისა და ერთმანეთისთვის თავდადებისა მრავლადაა მოყვანილი წინა სამივე ნაშრომში.

ამისათვის გავიხსენოთ, როგორ განვითარდა მოვლენები წარღვნის შემდეგ, ჩვენი სათანადო გაბრძენებისათვის, რამეთუ მთელი სამყარო იმ სიბრძნის ასაკშია, რომ მალე იქნება მესიის გამოვლინება და დროა, სულიერად მოვმაგრდეთ, რათა მომზადებულნი შევხვდეთ მას.

1.7. რუსთველით გადმოცემული სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ისტორიული პროცესები

იოქვა, რომ დედა ენაში ჩადებულია წარმოუდგენელი საიდუმლოებანი. და მისი სიბრძნე საბოლოოდ რომ ღრმად შეფარულიყო, ებრაელებმა, უკვე ეგვიპტიდან გამოსვლის მერე, აღარ მისცეს სამყაროს დედა ენის ანბანი და მისცეს წმინდა ენის ანბანი, რომელიც კოდირებული იყო.

ასე ხალხები თორის წარმოუდგენელ სიბრძნეს ვეღარ შეიცნობდნენ ადრინდელ დონემდე. ეგეც არ იყოს, იოქვა, ქართველმა და ებრაელმა ქურუმებმა შექმნეს ნუსხა-ხუცური, აგრეთვე ხუთი ვარიანტი ასომთავრული ასო-ნიშნების აღრევისა, რომ ბოროტებას არ გამოეყენებინა მისი სიბრძნე მათი უღირსი მიზნების განსახორციელებლად.

ხოლო თორის წინასწარმეტყველება, დაწერილი წმინდა ენაზე სოლომონის მიერ, ამადაც იყო ასე წარმოუდგენლად შეფარული და თითქმის აუხსნელი საუკუნეების განმავლობაში. დღევანდელთათვის კი რუსთველმა, ამ სიბრძნის გადმოსაცემად, რომ სრულყოფილად და დალაგებულად ახსნილიყო, ამიტომაც მიიღო ბრძანება, როგორც იოქვა, „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, ანუ „ტკბილი ლექსები“ – ეს მხედველობაშია დედა ენის წარმოუდგენელი სინატიფე, ნეტარი ჟღერადობა და სიბრძნე, თორიდან გამომდინარე, რომლის შეცნობაზე ტკბილი და საამო ამ სამყაროში არაფერია. ამადაც ამბობს სხვაგან რუსთველი ავთანდილზე: „ყმა ტკბილი“ და „ტკბილქართულად მოუბარი“, ანუ ბრძენი, მომავალი მესიის გვერდში მდგომი. და ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ორი ენის ასო-ნიშანთა სიბრძნის გაშიფრვით ჩაწვდა წარმოუდგენელ სიბრძნეებს უდიდესი კაბალისტი აბულაფია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელთა ასევე უდიდესმა ბრძენმა წინასწარმეტყველმა, რა თქმა უნდა, კაბალის მცოდნემ, ლუბოვიჩელმა რებემ, რომელსაც მესიადაც მიიჩნევდნენ, ასევე იცოდა დედა ენა.

ამდენად, ეს ენა, ტკბილი ლექსებით, წარმოუდგენელი ნეტარების ენაა. ეს ახლაც გამოჩნდა, რამეთუ საქართველოდან გასული ებრაელობა ლექსებს განა წმინდა ენაზე, დედა ენაზე წერენ. იმასაც ამბობენ, რომ დედა ენის ნოსტალგიისა გამო ისინი ლექსომანიამ შეიპყრო. და არცთუ გასაკვირია, რომ ისრაელში წელს გამოიცა დედა ენაზე უდიდესი ანთოლოგიური კრებული ქართველ-ებრაელი პოეტებისა.

ეს ენა, ასე რომ ესალბუნება სულსა და გულს, მისი სიბრძნიდან გამომდინარე, ამიტომაც თქვა ცნობილმა სომეხმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა, ყველა ქართველი პოეტია, ხოლო ყველა ქართველი პოეტი ორჯერ პოეტიაო.

ენაშია ჩადებული ის სიბრძნე, სადაც ჩვენი ყოფა-ცა-ყოფითაა და როცა ყველას თანაბრადა აქვს მიწა-მამული, მაშინ არ არის შური, დაპირისპირება. ერთობა, სიყვარული იბუდებს.

შედეგად, ამ ენაზე მოლაპარაკენი და თვით იბერია-კავკასია სამყაროს გულის ფუნქციას ასრულებს, რათა კვებონ ხალხები გაყოფა-გაცემა-სიყვარულით.

ამადაც გადმოგვცემს გრიგოლ რობაქიძე, რომ ქართველთა გენეტიკური მისწრაფებაა – ფუნქციაა ყველა აპირველოს, არავინ დაჩაგროს, გასცეს სიკეთე, სიყვარული და თვითონაც იხაროს ამით. და ეს არც შემთხვევითაა, რომ ბელორუსში ქართულ ენაზე ნამღერი სიმღერებით კურნავენ ავადმყოფებს. ამიტომ იძახის შოთა: „ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვნება“. ანუ ეს ენა იგივე გული, გულისხმიერება სამყაროსი. „სურს გამოთქმად“ და აქედან გამომდინარე, ხელო-ვნების ენაა ის ენა, რითაც წარმოუდგენელი ვნებაა. ანუ თვით ენაა შინაგანად თორის, გონიერებით ასხმული უფლის მიერ, და მისით მღერაა, ლექსთა შედგენაა, ნეტარებაა.

აი, რატომაა ამ ენით ყველაფრის მწყობრად ჩამოყალიბებით, თორის სიბრძნიდან გამომდინარე, მივიღეთ ის ნაწარმოები, რაც სულიერად გვაკურნავს, გვაწყნარებს და სასწაულ ნეტარებაში ვართ.

იგი ზეციდან მონაბერი შეხებით შთენილი წარმოუდგენელი სიბრძნის, სიწმინდის პოემაა, რომელიც დღევანდლამდე აუხსნელი იყო და, მიუხედავად ამისა, წარმოუდგენლად ჰარმონიულად ესალბუნებოდა ჩვენ სულსა და გულს.

ავხსნათ, საიდანაა აქეს რუსთაველს აღებული სიტყვები: „სპარსული“ და „არაბეთი“.

ამ სიწმინდის დიერებულებებზე იზრდებოდა ქართველობა, ამადაც იყო აქ სამოთხე ქვეყანა, სასწაულა სტუმართმოყვარე ხალხი, რომელთაც შებიჯებული ჰქონდათ სულიერად მათი გონებით უფლის შუქის სხივოსნების მარადიულ დარბაზებში ავანსად. აი, რატომ ამბობს რუსთველი შეფარულად ამ ენაზე და საქართველოზე:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები,
ვჰპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმანები“.

სპა, ვიცით, ხალხთა ჯარია. აქედანაა რუსთველით „სპასალარიც“. გავიხსენოთ სტრიქონი: „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა“, ანუ სპასპეტი ნიშნავს სპათა მხედართმთავარს. იგი მხედართმთავარია, ამირსპასალარის ძე, ანუ მემკვიდრეა დავიდის შთამომავალთა. ხომ იგი, დავიდი, ერთადერთი, უფლით მირონცხებული მეფე, სპათა ხელმძღვანელია, ანუ სპასალარი და მისი შთამომაყლობა ყველანი ძენი არიან მისი, რაც განისაზღვრება მით, რომ ისინი უფლის ნებას ასრულებენ და წარმოუდგენელი ნეტარებით არიან სულიერი მიჯნურნი უფლის და შეხინის ქალიშვილთა, მათ შორის თინათინისა, საქართველო-კავკასიაში მცხოვრები, ხოლო ისრაელში მცხოვრები ნესტანისა. საერთოდ, ალეგორიულად, საქართველოში და ისრაელში ყოველ ეპოქაში გამოირჩეოდნენ პიროვნებები, ძირითადად დავიდის შთამომავლები, რომელნიც მოიაზრებოდნენ სულიერ მიჯნურებად და ისინი განაზოგადებდნენ მთლიანი ერის მიჯნურობას უფლის ორი ქალიშვილისა შეხინისადმი. ამიტომაც სტროფი, სადაც ეს სტრიქონია მოცემული, ასე მთავრდება: „მას თინათინის გონება ჰკლავდა წამწამთა ჯარისა“.

ამდენად, ეს ამბავი სპათა, ხალხთა – იბერთა ისტორიაა, უფლის გენიით აღწერილი, რომელიც მხოლოდ სოლომონმა გადმოგვცა „ქებათა ქებით“ წმინდა ენაზე მეტად შეფარულად დაწერილი. ამიტომ იგი „მარგალიტია ობოლი“ ანუ შეუცნობია, რადგან არ გაეძლიერებინა ბოროტებას, თავდასხმას საქართველო-კავკასიაზე. ეს შეიცნო, ჰპოვა რუსთველმა და ლექსად მეტად ჰარმონიულად გადმოგვცა. მაგრამ იგიც ასევე შეუცნობია, „საქმეა საჭოჭმანები“.

ხოლო, სპასალარში დავიდის საგანმგებლო სამყარო სპათა, ხალხის ხელმძღვანელობაა ნაგულისხმევი. ეს ზედმიწევნით კარგად იცოდნენ სამყაროს ხალხებმა, მეფეებმა; ნებისმიერი დამპყრობი იერუშალაიმისა იძულებული იყო, ქართველთა მეფის ნება-სურვილს დამორჩილებოდა (იხ. წიგნი 1-ლი). ისტორიული ფაქტია, რომ მონღოლეთის ხანმა ყაზანმა იერუშალაიმი როცა აიღო 1299 წელს, იგი ქართველებს უბოძა. მანამდე კი, ცნობილია, რომ 1180 წელს, ლათინთა გამარჯვების მერე, დამასკოს გამგებელმა კორადინმა განიზრახა იერუშალაიმის კედლის დანგრევა ქართველთა ნებართვის გარეშე, რისთვისაც ქართველებმა სასტიკად დასაჯეს.

დასტურდება აგრეთვე, რომ პალესტინაში ჯვაროსანთა ჭეშმარიტი მემკვიდრეები ქართველები იყვნენ. ლათინური ქრონიკებით კი, საქართველო ქრისტიანული კულტურის ბურჯად მიაჩნდათ. ჩვენს ხელთ იყო გოლგოთა, სადაც ადამის თავის ქალა ძევს. ეპისკოპოსი იქ ქართველთა მეფის მიერ ინიშნებოდა. სულ 30 ტაძრამდე იყო ქართული წარმოშობისა პალესტინის მიწაზე. მკვლევარნი ადასტურებენ აგრეთვე:

მხოლოდ ებრაელებს და ქართველებს სცნობდა წმინდა მიწა პატრონად. ამიტომაც ჩვენ იქ ცხენებზე ამხედრებულნი, გაშლილი დროშებით შევდიოდით, ხარკს და ბაჟსაც არ ვიხდიდით, როგორც ამ მიწის შვილნი, რამეთუ ვიცავდით თითქმის ყველა მის სიწმინდეს, წყენინებას ვერ გვიბედავდნენ. ამადაც წერდნენ თვითმხილველნი, მათ შორის ბართლომეო დე სალიანიაგო: **„ქართველები, ცხენებზე მსხდომარენი, ზეაწეული დროშებით საზეიმოდ შედიან იერუშალაიმში, თურქეთის სულთანს არანაირ გადასახადს არ უხდიან, სულთანს და თურქებს მათი ძლიერ ეშინიათ.**

– როცა იერუშალაიმში წასვლას გადაწყვეტენ, ისე მიემართებიან, ვითარცა ომში, ალმებმოფრიალენი.

– ქართველები კეთილნი და უბრალონი არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძლიერი და შეუპოვარი მეომრები გახლავან. ქართველთა ვაჭრები (იგულისხმება ალბათ ქართველი ებრაელები, თუ ჭიჭინაძეს დავეყრდნობით) ხშირად მოდიან უზარმაზარი ქარავნებით ალეპოში.

– ქართველი ბერები ბალზე ღვთისმოსავნი არიან. თვითონ მუშაობენ თავიანთ მინდვრებსა და ზვრებში, ყველა უცხოელს იღებენ და ეხმარებიან. ამგვარად, წმინდა მიწის ბატონ-პატრონნი მონაცვლეობით ქართველნი და ებრაელნი არიან. მეორე წმინდა მიწა ხომ საქართველოა. ეს კი სამყაროს პატრონობასაც ნიშნავს.

ამგვარად, მართალია, ებრაელნი გახიდევნენ, მაგრამ ფაქტიური ბატონები წმინდა მიწისა ქართველნი იყვნენ. იმპერიათა ბატონობა იცვლებოდა იქ და ნებისმიერი დამპყრობი წმინდა მიწისა ქართველთა ნებას ემორჩილებოდა (ყველა იმპერია დამარცხებული გეყავს და არც ისეა საქმე, საბჭოთა ისტორიკოსების მიერ რომაა გაყალბებული საქართველოს ისტორია – ეს პირველ წიგნში კარგად ჩანს. ასე იცავდნენ წმინდა მიწას, თვიანთ მომძლეთა ისტორიულ ძეგლებს ქართველნი – ტაძარს, გოლგოთას, ადამის სამყოფელს და სხვ. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაის შტაინერი აღნიშნავდა: „შუა საუკუნეებში დასავლეთის რაინდობა ქართველთა ზეგავლენას განიცდიდაო“. გავიხსენოთ ნაპოლეონიც, ეგვიპტელებს რომ მიმართა: „როდემდე უნდა იყოთ ქართველების ტყვეობაშიო“ (მხედველობაში მამლუქები იყვნენ).

მეფობა და სჯათა ხელმძღვანელობა ტრადიციულად იყო იბერია-კავკასიაში, სადაც ადრე შედიოდა სპა-რსეთიც, ჯ-სპა-ნეთიც, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთიც, რომელნიც იბერიულ-ქართულ ენებზე მეტყველებდნენ.

დასტურად, ვიცით „ქართლის ცხოვრებით“, სოლომონმა გაზრდილი და გაწვრთნილი თავისი შვიდი შვილი გამოგზავნა სომხეთში, საქართველოში და სპარსეთში სამეფოდ. „და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ, განჩინეს ერისთავად და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა, და ესე ქართლისა ბაგრატიონიანნი შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმანი მისი, სახელით საჰაკ წარვიდა კახეთს და დაემძახლა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი მათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ შინა“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1055 წ., გვ. 383).

აქვე აღვნიშნეთ, რომ სულ შვიდნი იყვნენ და სამი ძმა სომხეთში დარჩა. აქ ჩანს, რომ ძვ.წ.აღ. მე-9 საუკუნეში იბერიულ რეგიონებში სოლომონის შვილები უპრობლემოდ იწყებდნენ მეფობას, რათა უფრო განმტკიცებულიყო რჯულის დაცვა. მხოლოდ კამბეჩანის ტერიტორიაზე, სადაც ძლიერდებოდა ინდოევროპული ესაიის მოდგმა, ამ მოდგმის ენათა გამეფებით მოუხდათ მათ ბრძოლა. მოკლეს სპარსთა სპარსალარი და იწყეს პირველკაცობა. აქედან გამომდინარე, ის ფაქტიც დასტურდება, რომ ისრაელის და იბერია-საქართველოს ტერიტორიები დავიდ-სოლომონის მეფობის ხანაში და უფრო ადრეც გაერთიანებული იყო. და, როგორც ეგვიპტეში დაუთმეს იაფეთელებმა იოსებს ტახტი, რათა ემართა ქვეყანა თორის მცნებებით, იგივე მოხდა სოლომონის მეფობის ხანაში,

ამგვარად, საქართველოში ჩამოსელისთანავე ისინი პირველკაცობდნენ ქართლში, როგორც დავიდის მთამომავალნი. საერთოდ, ქართლში პირველკაცობა – ეს საქართველოს მეფობის ტოლფასი იყო.

ამგვარად, სპარსეთში მერე, ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნიდან შემოიჭრა ინდოევროპელთა ენა. თუმცა შემდგომშიც, შაჰის და დიდებულთა ენად დედა ენა იყო მიჩნეული (ლევან სანიკიძე).

ამავე დროს ჩვენ ვიცით (იხ. მე-3 წიგნი), რომ არა მარტო ხუთწიგნეული, აგრეთვე თანახის 24 წიგნი და ზეპირი თორის სწავლება მხოლოდ ქართულად და სხვა არცერთ ენაზე არ იყო ნათარგმნი, რადგან ებრაელები არ ანდობდნენ სხვებს თორის სწავლების უმაღლეს სიბრძნეს. ესეც არ იყოს, უფლით, ინდოევროპულ სპარსულ ენაზე თორა არ ისწავლება.

ამდენად, სჯათა ამბავი, მოკლედ, ლაკონიურად დაწერილი წმინდა ენაზე, თორით, ებრაელთა წმინდა წიგნით ახსნილი, ჰპოვა რუსთველმა და დედა ენით ქართულად

გადმოგვცა. იგიც ხომ, როგორც წმინდა ენა, თორის სიბრძნის გადმოცემის ენაა, რომელიც ქართული ენის წარმოუდგენელი მოქნილობის, ელერადობიდან გამომდინარე, მარგალიტებივით მწყობრად ლაგდება. მით უმეტეს, რომ შემდეგ იძახის შოთა:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი.“

ამდენად, აქ „ჯარი სპათა“, ანუ ყველა ხალხთა ჯარი უფლის შეწევნით, იბერთა მეფეთა რაინდთა დავიდის შთამომავლებს მორჩილობს. ისინი არიან მირონცხებული და ნაკურთხი უფლით სამყაროს მარადიულ მეფედ. ამიტომაც მათი მეფობა საქართველოში გაგრძელდა და თბილისიც ითელებოდა კაეკასიის ღედაქალაქად.

ხოლო ქართველ მეფეებს ემორჩილებოდა მთელი კაეკასიის იბერიული მოდგმა, რამეთუ მათ სუყველას დიალექტები ჰქონდათ დედა ენიდან განეითარებული. რაც ჩანს ამ ნაშრომის პირველ თავში, ზვიად გამსახურდიას ნაშრომიდან მოყვანილ სქოლიოში. კაეკასიის მუსულმანთა მოსახლეობაშიც ხშირად დავიდის შთამომავლები პირველობდნენ. გავიხსენოთ თუნდაც შამილი და პეტრე პაგრატიონი.

ისინი განაგებდნენ კაეკასიის იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსულმანთა სამყაროს და ამიტომაც რუსთველს კაეკასიის გამგებლობა გამოსახული ჰყავს ავთანდილისა და ფრიდონის სახეში. ხოლო უფლის სულიერი ქალიშვილი, შეხინა თინათინი, პირადად ავთანდილის მიჯნურია. ფრიდონი მის გვერდში მდგომია. რამეთუ კაეკასიის მუსულმანური მოსახლეობა ხომ ასევე იბერთა მეფეთა შთამომავალია და ქართველ მეფეებს – თბილისს ემორჩილებოდნენ.

ხოლო ორივენი ერთად მოძმენი, ისრაელში ნაშობი დავიდის შთამომავლისათვის, ტარიელისათვის, მომავალი მესიის გამოვლინებისათვის თავს დებენ. ამიტომ ეწოდა დავით აღმაშენებელს მესიის მახვილი. ამისათვის ისინი ერთიანი ისრაელის იუდეველთა, აგრეთვე იბერთა ერთობის გვერდში მდგომნი არიან. რამეთუ მხოლოდ ერთობით დაიხსნიან ქაჯთა ტყვეობაში მყოფ ისრაელთა შეხინას, უფლის ქალიშვილს ნესტანს.

და ასე, ქრისტიანთა და მუსულმანთა ლიდერები იბერია-კაეკასიისა იღვწიან, მათ და მათ სპათა უნეტარესი ღვნებაა, რომ მომავალმა მესიამ ტარიელმა დაიხსნას ისრაელთა შეცოდების გამო ტყვეობაში მყოფი ნესტანი. შედეგად, ტარიელი მოგვევლინება მესიად, რათა ამ სამით შეიქმნას მარადიული სამეფო ქვეყანა.

ამ სამი ლიდერის, დავიდის შთამომავალთა, ძმობა რუსთველს ახსნილი აქვს, როცა ავთანდილი ფრიდონთან შესახვედრად მიდის. და რომ ფრიდონი მეფეთა – დავიდის შთამომავალია, ამაზედაც უბნობენ მენავენი ავთანდილთან: „ნურადინ ფრიდონ მეფეა, ამა ქვეყნისა ჩვენისა“. ხოლო ავთანდილი ფრიდონს წარუდგა, როგორც ტარიელის ძმა. მისი სრულიად კაეკასიის იბერთა მეფობა ჩანს შემდეგ სტრიქონში:

„მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ ავთანდილობით.
ძე დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით,
საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით“.

ამდენად, ჩვენ შემთხვევაში როსტევანი სულიერად წარმართავს ეგვიპტეს, იგივე ა-რაბეთს და მთელ სამყაროს. და აქაც ა-რაბეთი შეფარეისათვის მეტად მოხერხებულად აქვს რუსთველს აღნიშნული. ანუ, ა-ნბანის – ალეფბეთის მრწამსის დამცველნია რაბინები. ხოლო როსტევანი მათი, იგივე სამყაროს სულიერი ხელმძღვანელია, მისი მეფობა სამყაროს სულიერ მოძღვრებიდან, რაბინებიდან იწყება. და ეს რომ ასეა, შემდეგ სტრიქონში რუსთველი გადმოგვცემს:

„მოვიდნენ სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა“.

ითქვა, ხასობა – ეს ენიდან გამომდინარე ხასი-ათია ჩვენი. ეს ათი მცნებიდანაა ჩვენი ხასიათი და ხასობა, იგივე წმინდანობა. ანუ „სრულნი ა-რაბნი“, ხასებია – ქართველნი აი, საიდანაა სიტყვები: იყო „არაბეთს როსტევან“, დასტურად ყოველივესი, როგორც ითქვა, სქოლიოში გადმოცემული გვაქვს, როგორ ვრცელი იყო იბერიული მოდგმის გავრცელების არეალი და ისინი მეფობდნენ აგრეთვე არაბეთში, სადაც შედიოდა ეგვიპტეც. აი, როგორა აქვს რუსთაველს შეფარვა არაბეთში სრულიად საქართველოსი, ქართველთა ქმედება. ხოლო როსტევანის მეფობა – ეს სულიერი მეფობაა იბერთა.

ხოლო ავთანდილი მოყმეა როსტენ მეფისა, რომელიც უფლის, მისი ტაძრის სულიერი გამგებლობის გამტარებელია დედამიწაზე. ამიტომაც განაგებს ა-რაბეთს, იგივე მთელ სამყაროს,

ითქვა, შემის, აბრამის მრწამსის მემკვიდრეებად, სულიერ ლიდერებად ლევის შტოს წარმომადგენლები ითვლებიან. მათ ხედათ უდიდესი პატივი ტაძრის მსახურებისა, უფალთან კავშირისა საგალობლებით. აქედან იყვნენ მოშე და აჰარონი.

შემდეგ, როცა ისრაელთა ერში შემოდის მეფის ინსტიტუტი, ლევები მაინც რჩებიან სულიერ ხელმძღვანელებად და ამიტომაც რუსთველი როსტევანს მოიხსენიებს, როგორც ურია ლევს. გავიხსენოთ ერთ-ერთი დიალოგი, როცა როსტევანი უწყრება ვაზირს, მიმართავს მას:

„შენ თუ უშმაგო გგონივარ, ვარმცა ურია მე ლევი“.

ანუ ამ ლევების შტოდანაა, რომელთათვისაც უფლის სამართალი უპირველესია. ასე მისით, როსტევანისნაირებით, მტკიცდებოდა რჯულის წესები და უძლეველი იყო საქართველო.

ამავე დროს, ხომ იაფეთელები წარმართავდნენ სამყაროს წარღვნის მერე პირველყოფილი თემური წყობილებით. ეს ჩვენ ავხსენით ნოეს კურთხევიდან გამომდინარე. ოღონდ ამ კურთხევით სულიერი ხელმძღვანელები იყვნენ შემის შთამომავალნი, იგივე როსტევანი, რომელნიც უფალთან ამყარებდნენ კავშირს რათა იაფეთელებს ეგამგებლათ უფლის თორის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამიტომაც სწერია, დიდი სპასპეტი ანუ სამყაროს სპათა ხელმძღვანელი, რომელსაც მიხმობენ ავთა-ნდილობით. და რომ დიდგვაროვანი ქართველთა ლიდერია, „ზრდილია მეფეთა შვილობით“, ამიტომაც იგი არავის არაფერს არ ეცილება.

ხოლო სოლომონმა წინასწარმეტყველებით იცოდა, რომ ისრაელის ძლიერება დაეცემოდა, რაც აღწერა „ქებათა ქებაში“. ამიტომაც გაგზავნა მის მიერ განსწავლული ყმანი სამეფოდ იბერიაში. მაგრამ მე-2 წიგნის II ნაწილში აღწერილი გვაქვს პროცესი, როცა ძლიერდება ესავის მოდგმის არმენული ტომები, რომელნიც სახლობდნენ ქენაანის მახლობლად. ისინი იჭრებიან საქართველოს საგამგებლო ტერიტორიაზე და რაკიღა ისტორიული მტრები არიან ისრაელთა, აქედან გამომდინარე, ქართველთაც ხდება მათი შევიწროება იბერია-კავკასიის ტერიტორიაზე, სადაც აგრეთვე შევიწროებულნი აღმოჩნდა ისრაელთა ათი შტო.

ხოლო შემდეგ, როდესაც არმენები განიდევნენ დაპყრობილი ტერიტორიებიდან, ისინი დაახლოებით ძვ.წ. IV-V საუკუნეში ნელ-ნელა სახლდებიან ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე. ასე ნელ-ნალე მოხდა შევიწროება ძირძველი იბერიული სომეხთა ეთნოსისა. ანუ იბერთა ალალთა და როგორც ანანია ჯაფარიძე გადმოგვცემს, აქედანაა გამოთქმა: „მოვიდა არამი და გააძევა ალალი“.

შემდგომ იყო მეორე ტალღა შევიწროებისა შუა აზიის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა და ისრაელთა ნაბუქოდონოსორის მიერ და საბოლოოდ განდევნა-ლოკალიზება ქართველთა და ებრაელთა კავკასიის ტერიტორიაზე.

აქ უფრო შეერთდა, შედუღაბდა ძმათა ერთობა და რომ ქართველთა განდევნა ეს იგივე ებრაელთა განდევნაა და პირიქით, ამას მოწმობს ახლანდელი ისტორიაც სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან როგორც ქართველთა განდევნა, წმენდა მოხდა, ასევე განიწმინდა ეს მხარეები ებრაელთაგან.

არცერთმა მათგანმა არ ულალატა ძმობას, მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველებთან ერთად, განსაკუთრებით აფხაზეთში. შემდგომ კი არცერთი მათგანი არ დარჩენილა ამ მხარეებში, ყველა სხვა ეროვნებისაგან განსხვავებით. მათ დატოვეს ეს წმინდა ქართული მიწები ქართველებთან ერთად, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ჩვენი მტრების მიერ მათ წინააღმდეგ ბრძოლის გამო, იმავე ქართველებად მოიაზრებოდნენ და სწორადაც.

ამდენად, მხოლოდ საქართველოში შემორჩნენ დავიდის შთამომავალნი, და რომ ერთიანი იყო მაშინ საქართველო-ისრაელი და ლევები ემსახურებოდნენ ამ ტაძარ-ქვეყანას დასაბამიდან. ეს დასაბუთებულია ჩვენს მე-2 – მე-3 წიგნებში.

აქედან გამომდინარე, მაშინ არაბეთის მეფობა – ეს იბერთა, ქართველთა მიერ მთელი სამყაროს მეფობას ნიშნავდა, რომელთაც სულიერად ლევები განაგებდნენ, რაც რუსთაველს როსტევანის სახეში აქვს განზოგადებული, იგი მარადიული სულიერი მეფეა, ხოლო დავიდის შთამომავალნი მეფობდნენ ამ სულიერებით სამყაროში.

ეს უნდა აღდგეს სამყაროში. ამიტომაც ამბობს რუსთაველი, რომ მიჯნურთათვის ტარიელისა და ნესტანის, აგრეთვე ავთანდილისა და თინათინისთვის დაუძლურებულია. ნატრობს მესიის – ტარიელის გამოვლინებას და შეხინის ტყეებიდან დახსნას. ჯერ ამ ორი მიჯნურის შეერთებას და ხვდება, რომ მის ეპოქაში ეს ნაადრევი იყო.

„დავუძლურდი, მიჯნურთათვის კელა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“.

ამდენად, ეს ამბავი სპარსულია, ქართულად ნათარგმანები რომ წერია, იგივე იბერთა მეფეთა ამბავია, თუმცა იგი „ვით მარგალიტი ობოლი“ იყო, ანუ აქამდე აუხსნელი და გაუგებარი. რამეთუ „სპარსული“ რომ წერია, მსოფლიოს სპათა მეფენი იყვნენ დავიდი, შლომო, რომელნიც განაგებდნენ მთელ სამყაროს. ხოლო შლომომ იგი წმინდა ენაზე დაწერა. ამიტომაც რუსთაველმა თარგმნა დედა ენაზე და ჩვენთვის მოსაფერებელია. „ხელიხელსაგოგმანებია“. მაგრამ „საქმეა საჭოჭმანები“. რადგან იგი ძნელად მისახვედრია.

ამიტომ ამბობს: „მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი“. ანუ თუ შევიცნობთ სულიერი მიჯნურობის არსს, ამის მერე შეიძლება ავხსნათ მისი პოემა. და როგორ უნდა მოხდეს ყვრილაფერი ეს თორიდან გამომდინარე. ეს გადმოგვცა მან თავის გენიალურ პოემაში. გავიხსენოთ სტროფი:

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გედის შეუშრობელი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გაელექსე, მისთვის გულ ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

ისრაელთა განდევნილობის მიზეზი, რომელიც დღეს უკვე მთავრდება, იყო ის, რომ მათ თითქმის დაკარგეს მეტყველება წმინდა ენაზე და ღმერთის ენაზე მეტყველების მაგიერ შემოიჭრა მათი, დამპყრობთა, კერპთაყვანისმცემელთა ინდოევროპული ენებით მეტყველება.

ამის გამო ისინი ნელ-ნელა სცილდებოდნენ წმინდა ენიდან – თორიდან გამომდინარე დროსთან დაკავშირებულ რჯულის კანონებს: პირველ რიგში ეს ეხებოდა ახალი თვის, აგრეთვე შაბათის და წინადაცვეთის აღნიშვნის დღესასწაულებს, რომლებიც საფუძველია რჯულის სიწმინდის დაცვისა. ეს პროცესი დაიწყო ისრაელში ბერძნების ბატონობის პერიოდში. მაშინ ამან განაპირობა მაკაველთა აჯანყება. და ისრაელმა მოიპოვა დამოუკიდებლობა.

მაგრამ მათ არ შეასრულეს თორიდან გამომდინარე უპირველესი პირობა: თვითონ ისინი სულიერი მეფენია ისრაელისა და სამყაროსი, ხოლო საერო ხორციელი მარადიული მეფენი სამყაროსი არიან ღვთით მირონცხებული ქურთხეული დავიდის შთამომავალნი. მათ კი არ მოიწვიეს ამ შტოს წარმომადგენელი, რუსთველით ტარიელი, ისრაელის ტახტის დასაუფლებლად.

შედეგად, ცოტა ხანი აცალა უფალმა, შემდეგ კი მაკაველთა შორისაც შემდეგ თაობებში წარმოიქმნა განხეთქილება ტახტის დაუფლებისათვის და მივიდნენ იმ სასწაულ უმეცრებამდე, რომ ისრაელის სამართავად რომაელები მოიწვიეს.

ვიცით, ბერძნებიც და რომაელებიც, და საერთოდ მთელი ევროპა, სადაც გამეფდა ინდოევროპული ენები, იაკობის ისრაელთა-იბერთა სულიერების, წმინდა და დედა ენების დაუძინებელი მტრების, ინდოევროპული ენების მოდგმის სულის ჩამდგმელნი, ესავის მოდგმაა. ამიტომაც რომაელებმა პროცესი უფლის წმინდა ენაზე მეტყველების და რჯულის კანონების დღესასწაულთა დაცვის აკრძალვისა თანდათანობით უფრო გააღრმავეს.

ანუ ინდოევროპული ენის შემოჭრით წაიშალა იბერიული ცხოვრების წესი, სულიერება. ჩვენ ავხსენით სამივე წიგნში, რომ ანალოგიური დაემართათ ბევრ სხვა ხალხებს, რამეთუ შემდეგ ინდოევროპული ენები გამეფდა შუა აზიაში – ირანში. ხოლო სომხეთში, სადაც შემოიჭრა ინდოევროპული, ესავის მოდგმის ხალხი – არმენები, მათაც, ქრისტეშობის მერე შექმნეს თავიანთი ანბანი (ვახუშტი ბაგრატიონი), რის შედეგადაც უფლით მოხდა, რომ ისინიც კარგავენ დამოუკიდებლობას XII საუკუნიდან მოყოლებული.

დავიდის შთამომავლებიც მხოლოდ საქართველოში პირველკაცობდნენ ძვ. წ. VIII საუკუნიდან მუდმივად, რუსეთთან შეერთებამდე. ამიტომაც რუსთველით, ქართველთა მარადიული მეფენი, დავიდის შთამომავალთა წარმომადგენელნი, წარმოჩენილია ავთანდილის სახეში.

იგია სიმბოლო, შემდეგებებელი, ორი ერის ენათა და რჯულის კანონთა მტკიცე დამცველი. ასე ჩამოყალიბდა საქართველო ტაძარ-ქვეყნად. რასაც აგრეთვე, თორიდან გამომდინარე, განაპირობებდა ამ ტაძარ-ქვეყნის და მთლიანად სამყაროს სულიერი ლიდერის, ლევის შტოდან, როსტევანის სახით.

ლევის შტოდან იყვნენ მოშე და აჰარონი, პირდაპირი მემკვიდრენი შემ-აბრაჰამისა, რომლებთაც ჰქონდათ ტაძარში მსახურობის გამორჩეული პატივი და საერთოდ, ებრაელ სულიერ წინამძღვრებს, დიდ რაბინებს მუდმივად ჰქონდათ სულიერი კავშირი ქრისტიანულ სულიერ წინამძღვრებთან – პატრიარქებთან.

ამდენად, იუდეურ რჯულში არსებობს დიდების სამი გვირგვინი. ერთია ქოენების – ლევების შთამომავალთა, ტაძრის მსახურების პატივით, მეორეა დავიდის შთამომავალთა – მეფეთა გვირგვინი და მესამეა სულიერ მოძღვართა – რაბინთა, წმინდანთა გვირგვინი, რომელთაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთველი ზუსტადაც ხასებად მოიხსენიებს.

რომ იბერია-კავკასიაში ეს სამივე მიმართულება მტკიცედ იყო ფესვგადგმული და ამადაც წარიმართებოდა იბერიიდან სამყარო სულიერი აღორძინებისაკენ, უპირველესად ენითა და თორით მეფობისაკენ, ამას გადმოგვცემს რუსთაველი. საერთოდ ჩვენი ქრისტიანული ლიტურგიული ლოცვების წესებში ქოენთა – ლევთა ტაძრის მსახურების წესები მეტად ღრმადაა წარმოჩენილი. ამის განმაპირობებელია ორივე ერის ღმერთის ენებზე მეტყველება. ამ ენებით მეტყველებით ჩვენს მიერ ერთხელ უკვე მოხდა უფლის სურვილით ინდოევროპულ ენებზე მეტყველ ხალხთა მოქცევა.

ეს გადმოცემული გვაქვს მე-2 წიგნის II ნაწილში, სადაც ავთანდილის, მის სახეში დავიდის შთამომავალთა, ასევე როსტევანის ნადირობა მიმდინარეობდა. საერთოდ, ადამიანი ნადირისგან – ცხოველისგან განსხვავდება მით, რომ აქვს მას უფლით შთენილი მოლაპარაკე ღვთიური სული ანბანით. ვინც ამას კარგავს და თავის გამოგონილ, იგივე ცხოველურ ენებზე მეტყველებს, ის ნადირის დონეზეა, რამეთუ უფალი არ არი მასთან კავშირში. ამიტომაცაა, დაპყრობითი ომები ახასიათებთ მხოლოდ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკეთ.

შედეგად, როგორც გოდოლის აშენების მერე, უფალმა ახლაც ამ ხალხებს დაავიწყა მათ მიერ შეთითხნილი ანბანი. ამ დამუნჯებულ, ნადირთა დონემდე დასულ ხალხთა ამეტყველება რუსთაველს სწორედაც ნადირობაში აქვს ასახული. და ამ პროცესს მიტომ აღვწერთ, რომ დღეს, მესიის ერაში, ალბათ მსგავსი სცენარით წარიმართება მოვლენები ხალხთა მოქცევისათვის. რამეთუ ეს ის პროცესია, როცა ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ყველა ენები-ერები აღიგავა და ისინი მკვდარ ენებად მოიხსენიებიან. და დღეს უკვე არა მარტო ენები, ხალხებიც რომ არ მოკვდინდნენ, კიდევ მიტომ აღვწერთ ამ პროცესს.

საერთოდ, ნადირობის ეს პროცესი იმდენად შეფარულად აქვს რუსთაველს გადმოცემული, რომ ბევრს ჰგონია, ძალიან ბევრი სისხლი იღვრება. ამიტომ შეეცდებით, ამ ნაშრომში იგი უფრო სრულყოფილი ახსნით გადმოვცეთ მკითხველს, ვიდრე წინა სამ ნაშრომში.

1.7.1. „ნადირობაში“ ასახული მცდელობა უფლის ენებზე მეტყველებით და თორით განათლებით ინდოევროპელთა მოქცევისა

ამ პროცესის ახსნისათვის ჩვენ ყოველ სტროფს პოემის დასაწყისიდან თანდათანობით განვმარტავთ. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ყოველი სტროფი ჩვენს მიერ მისი ნუმერაციით განიხილება.

იქამდე გვინდა კიდევ უფრო სრულყოფილად განვმარტოთ როსტევანის როლი, როგორც სამყაროსი გამორჩეული სულიერი ლიდერის. ცნობილია, რჯულის კიდობანში ყოველ წელს ებრაული კალენდრით ელულ თიშრეის თვეებში, მთელი ისრაელთა ერი ორმოცი დღის განმავლობაში აღავლენენ სპეციალურ ლოცვათ მონანიებისა უფლის წინაშე. მაგრამ ჩვენ ძირითადად ერთმანეთში ურთიერთობისას გვეშლება და ამაში ორივე მხარეა მეტ-ნაკლებად დამნაშავე. უფალიც მას მერე გვპატიობს, როცა ჩვენ ვთხოვთ ერთმანეთს პატიებას.

და ახალი წლის დადგომის მერე, სუქოთის დღესასწაულში, რჯულის კიდობანში შედიოდა ერის სულიერი ლიდერი – მთავარი ქო-ენ-ი, იგივე ქურუმი, რაც ჩვენს შემთხვევაში როსტევანშია განზოგადებული.

იგი ლოცულობდა, რომ მიეღო უფალს ერის ლოცვანი შეცოდებათა პატიებისა და ყოველი მათგანი მომავალ წელს დაწერილიყო სიცოცხლეზე. რადგან ნათქვამია, რომ ყოველი მათგანის სათითაო ქმედება იქნება განხილული და გამოიტანება განაჩ-ენ-ი უფლისა, ვინ დაიწერება სიცოცხლეზე, ვის როგორი ცხოვრება, სათანადო შემოსავალი ექნება და ა.შ.

რადგან, თვით უფალი, მისი შეხინა იყო კავშირი მასთან. ამიტომაც უფლის ალეგორიულად ბაგეებიდან ისეთი შუქი გადმოდიოდა, რომ უბიწო აზრის გაფიქრებაც კი ქოენის სიკვდილს იწვევდა. შედეგად, მის გარდა იქ შესვლის უფლება არავის ჰქონდა და სათანადო ჯაჭვიც ჰქონდა მოხვეული, რომ იგი მისით გამოეყვანათ, თუ გარდაიცვლებოდა.

განხილვას დავიწყებთ პოემის 32-ე სტროფით.

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.“

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტროფის ყოველი სტრიქონი მთავრდება მარცვლით „ან-ი“. ავხსენით, ეს მარცვალი შეიცავს „ან“ – ანბანს და „ი“-ს, რომელიც შეიცავს თორის არსს. ამდენად, ეს მარცვალი თორით – უფლის ენებით მოაზროვნე პიროვნების სრულყოფილებაზე და განსწავლულობაზე მიუთითებს. დასტურია ამისა სიტყვები: სვიანი, განგები-ანი, წყლი-ანი, ანუ ყველა საქმეში ტახტოს-ანია, გვირგვინოს-ანია, ხმოს-ანია. ე.ი. მის ხმას, მეტყველებას უფლის გვირგვინი ახლავს, როცა წმინდა ენით აქვს კავშირი უფალთან. ამიტომაც ხელი გვემართებოდა. ამ სამართლიანობიდანაა ლეევთა შტოს სულიერ ლიდერზე, პირველ ქოენზე – ქურუმზე ზემოთ თქმული, რომ, „მოუბარი წყლიანი, განგებიანია“ როსტევანი – ისრაელთა – ქართველთა სულიერი ლიდერი.

ამ შტოს წარმომადგენლებმა იცოდნენ მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება – რომ ღმერთი, მისი სურვილის აღსრულებაა უმთავრესი, რაც აბრამ-იცხაკის წარმოუდგენელი თავგანწირვიდან იყო შთენილი მათში. ამიტომ როცა მოშე სიკვდილის წინ აკურთხებდა 12 შტოს, ლევის შტოს შესახებ თქვა (წიგნი V, 33.19): „რომელიც ამბობს თავის ღვედმამაზე: არ მინახავს ისინი და თავის ძმებს არ იცნობდა, რამეთუ იცავენ შენს წარმონაქმნებს და შენს აღთქმას ასრულებენ“. ამდენად, მოსამართლემ მართლაც ყველა თანაბრად უნდა განსაჯოს, ახლობლობის მიუხედავად. ამასვე ნერგავდნენ მთელ ერში და შემდეგ წერია (10): „ასწავლიან შენ კანონებს იაკობს და შენ რჯულს – ისრაელს; დადგამენ საკმეველს შენს წინაშე და ყოვლად დასაწველს შენ სამსხვერპლოზე“. ამადაც წერია შემდგომ:

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.“

ანუ მათთვის არც შვილები, არავინ არ არსებობს, მხოლოდ უფალი, მასთან მსახურებაა მათი მოვალეობა ხალხთა მოქცევისათვის. და რაკი მასში იბერია-კავკასიის და მთელი სამყაროს სულიერი ლიდერი იგულისხმება მისი დასაბამიდან, ამიტომაც **რუსთაველი ხშირად როსტევანის მაგიერ დიალოგებში თვით უფალს გულისხმობს. იგი ბევრჯერ უფლის ენითაც ლაპარაკობს, ანდა მის სახეში ხანდისხან უფალიც იგულისხმება. დასტურად, სიტყვა „განგე-ბი-ანი“ მეორე მხრივ გვეუბნება, რომ ისინი ანბანით და თორით მოქმედნი, იგივე ღმერთის შემცველნიც იყვნენ აქ, დედამიწაზე.**

თვით სტრიქონები: „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“ – ამაზე მიგვანიშნებს.

აქ „ოდენ მარტო ასული“ უნდა გავიგოთ იმ კუთხითაც, რომ უფლის ორი ქალიშვილიდან ერთი ასული, ნესტან-დარეჯანი ქაჯთა ტყეობაში გაჰყვა ისრაელთ. დარჩა თინათინი, რომელიც განაგებს საქართველო-კავკასიის იბერებს და მხოლოდ მისითაა, რომ უფლის მმართველობა ვლინდება დედამიწაზე; ისიც მხოლოდ იბერია-კავკასიაში. უდიდესია სულიერი მიჯნურობა-სიყვარული ქართველი ერის, კავკასიელთა, რომლებიც ჭვრეტენ სულიერ სატრფოს – უფლის შეხინას, რომლის ქება შემდეგნაირად მთავრდება:

“მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული,
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.“

როგორც ითქვა, უფლის ბევრად მომაღლებულად ასულ ენაზე მოლაპარაკე ქართველი-კავკასიელი ბრძენები ჭვრეტენ, მიჯნურები არიან უფლის შეხინისა. მათი გონიერება მიმართულია მასთან სულიერი შერწყმისათვის, მისი ქებისათვის. და ასე ენა ბევრად ასულია, ანუ მეტად ბრძნულია.

ამდენად, როსტევანი ბრძენია, ფლობს თორიდან გამომდინარე სიბრძნეს ორივე ენისას. აქვე ჩანს მისი მიახლოებითი თვისებანი თვით შემოქმედთან: სვიანი, წყლიანი, ყმიანი, განგებიანი. პირველი ორი გასაგებია, იგი სვეკეთილია და უფლის ენებით მეტყველებისას მისი აზრი წყლიანია, ანუ თორიდან გამომდინარეა (თორა ხომ წყალსაა

შედარებული); ხოლო „ყმიანში“ ეს ჩვენი ყმობა იგულისხმება მისდამი, რომ მისი სულიერებით აღვიზარდოთ. ის ხომ უფლის შემცველია. ამიტომაც განაგებდა იბერიას უფალთან მიახლოებული თვისებებით. თანაც, წერია: უფალივით „მაღალია“, „უხეია“ და ამ სიუხვის გამცემია.

ამავე დროს მდაბალი მიანიშნებს უფალივით წარმოუდგენელ თავმდაბლობას. ხოლო „ყმიანი“ განსამარტავია, რამეთუ ჩვენში ყმა არ გაიგება, როგორც სხვა ენებში მონა,რამეთუ ჩვენში პატრონყმობის ცხოვრების წესი იყო. და მიმდინარეობდა მოყმეთა, ყმაწვილთა“ აღზრდა, რათა მათ „წვლილი“ შეეტანათ სამყაროს ჰარმონიაში. შემდგომ კი უკვე მათ აღეზარდათ ასევე ყმაწვილები. ამდენად, ყმიანი – ეს აღნიშნავს უამრავ მოსწავლეს, აღსაზრდელს სულიერად მომაღლებისათვის. ეს მოსწავლეები უკვე უფლის მონები, რაბინებია, ანუ სულიერი მოძღვრებია. საერო მოღვაწეებია ავთანდილის სახეში, მათ თითოეულს კიდევ სხვა აღსაზრდელი ყმაწვილები ჰყავთ ისეთივე იერარქიით, როგორც ავთანდილი როსტევანის აღზრდილია, შერმადინი – ავთანდილის, შერმადინს კი თავისი აღსაზრდელები ჰყავს. აი, აქედანაა სიტყვა აღებული „ა-რაბეთს როსტევანი“. აქ ასო „ა“-ში ანბანით თორით ღრმა განსწავლულობა უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ იგი რაბინთა, ხასთა – წმინდანთა, სულიერ მოძღვართა და, რა თქმა უნდა, ასევე საერო მოღვაწეთა წინამძღოლი იყო საქართველოსი.

ამდენად, როსტევანის დახასიათებაში ჩანს, როგორ მეფობდა იაფეთური მოდგმა, იგივე ქართველები, მთელ მსოფლიოში პირველყოფილი თემური წყობილებით. ანუ, თორიდან გამომდინარე, გაყოფაზე – პატრონყმობაზე დაფუძნებულია სულიერი მიწათმოქმედების წესით, რითაც საქართველო მოდიოდა რუსეთთან შეერთებამდე. ამიტომ იყო განსაკუთრებული სამოთხე ქვეყანა, რამეთუ დანარჩენმა მსოფლიომ განავითარა თანმიმდევრობით ხალხთა დამონების მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური ცხოვრების წესი. აი ასე, უფალმა რუდუნებით ნელ-ნელა განამტკიცა ჩვენში გამცემთა, მეფეთა გენეტიკური კოდი ორი ერისა, რაშიც გვეხმარებოდა თორაზე დაფუძნებული სწორი სამართალი (იხ. I-ლი წიგნი). და ამბობდა კიდეც ვახტანგ VI, რომელმაც გამოსცა ეს სამართალი, რომ ჩვენი ერის სამართალი ჩვენი სულის მოთხოვნილებაა და მასთან ვერანაირი ახლანდელი სამართალი ვერ მოვაო.

ამიტომაც ჩვენში უფლით იმხელა ღირსება იყო, რომ **თინათინია იბერიის პატრონი, შუამავალი ღმერთთან, რომ ჩვენი ქცევების დარად იყოს სიუხვე, ამინდი და ხანდისხან უამინდობა დასჯანია ჩვენს მოსაქცევად.**

თინათინი, ვიცით, დავანდა, ნოეს და ორი ძმის სულიერებიდან გამომდინარე, ჯერ კიდობანში, მერე იბერია-კავკასიაში, იბერთა-მეფეთა-ქართველთა, სამწყემსად. ამიტომ დროთა განმაელობაში მისით ისე გაძლიერდა ქვეყანა, თვითონაც გაიზარდა, როგორც სულიერი მწყემსი ისეთი სულიერი შუქი-ნათება ჰქონდა საქართველოს. ისეთი სიუხვე, სამოთხისებრი ჰარმონია იყო მისით, რომ შემდეგ, 34-ე სტროფში გადმოგვცემს რუსთაველი:

„მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაიესო, მზე მისგან საწუნარია.“

კაბალის არსით, შეხინითაა, მისითაა, შუამაელობა უფალთან და ერთან, რომ მისგან მზის ნათება ბარაქისა და ნეტარებისათვის იყოს. და როცა მან, როსტევანმა განამტკიცა შეხინასთან კავშირით მისი – შეხინის სულიერი მეფობა საქართველოში, ამიტომ მოითხოვს, რომ ახლა უკვე თვით შეხინა იყოს იბერია-კავკასიის წარმმართველი. ეს, რა თქმა უნდა, სათანადოდ გააძლიერებდა მზის შუქის მატებას იმ დონემდე, რომ მოსახლეობა უფრო მეტ ნეტარებაში იქნებოდა ამ შუქით. აი ამას 35-36-ე სტროფებში როსტევანი სთავაზობს ვაზირებს, რომ მისი ძე დაისვას იბერიის მარადიულ მფარველად – ხელმწიფედ. ანუ შეხინით – უფლის ქალიშვილით უნდა წარიმართოს სახელმწიფო.

საერთოდ, მთავარ ქოენთა ტახტი მარადიულია. ერთი თუ გარდაიცვლება, მას მეორე ცვლის.ხოლო ნაადრევად ისინი იმ შემთხვევაში მიდიან ქვეყნიდან, როცა ეშლებათ სულიერებაში. ამდენად, მათ არაფერი არ უნდა ეშლებოდეთ და როსტევანიც განასახიერებს იმ მარადიულ მეფეს, მთავარ ქოენს, რომლის უფალთან კავშირითაც იმართება იბერია. ამდენად, მათ გამოცაა, რომ იბერია იმსახურებდა უფლის სულიერი ქალიშვილით წარმართულიყო. შემდეგ 36-ე სტროფში როსტევანი პირველ სამ სტრიქონში თავისი ენით ლაპარაკობს, მეოთხეში კი უკვე უფლის პირით ამბობს:

„მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია;

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია.“

ანუ როსტევანის სახეში პირველი ქოენები მაინც იცვლებიან, როცა ისინი გარდაიცვლებიან. მაშინ სიბნელეა, გლოვაა, ხოლო შეხინის მეფობა მარადიულია. ამავე დროს, აქ უკვე საქართველოს გასულიერების და იბერთა მეფეთა აღსაზრდელად უფლის თვისებასთან მიახლოებით იმ ცხოვრების წესზეა ლაპარაკი, რომელსაც უფრო მოერგება სამეფოდ თვით უფლის სულიერი ქალიშვილი შეხინა. რამეთუ ეს ის პერიოდია, რომ არა მარტო ტაძარი დაინგრა და განიდევნა მისი შეხინა, არამედ თვით ისრაელნი იდევნებიან წმინდა მიწიდან.

ხოლო საქართველომ უნდა შეასრულოს ტაძრის ფუნქცია. ამისათვის კი უკვე საჭიროა არა როსტევანის, არამედ თვით უფლის შეხინის მარადიული დავანება და მეფობა იბერიაში. და ეს არცთუ იოლია. ამისათვის ქართველმა ერმა სრულყოფილად ჩააბარა სულიერი ცხოვრების წესის შექმნის გამოცდა და ახლა დადგა დრო, რომ თვით უფალი, მისი შეხინა, მეფობდეს აქ.

სამყარო კი, ითქვა, არსებობს თორის სწავლებიდან გამომდინარე. ამიტომ არა მარტო როსტევანი, ლევიანთა ლიდერი, ლევები და რაბინები უნდა ეწეოდნენ სულიერ განათლებას, არამედ მთელი ერი. ამიტომ ამდენი ხალხის სულიერი განაოლების ლიდერად უკვე როსტევანი არ გამოდგება. მხოლოდ უფლის შეხინას ძალუძს თორის სწავლისას სულიერ კავშირში იყოს ლევებთანაც და მთელ ერთან, რაოა ისინი ჭვრეტდნენ მის სხივოსნებას.

ამდენად, წარმმართველი იქნება ხალხთა, მიწათმოქმედთა თორით, კაბალით განათლება იმ დონემდე, რომ ისინი შეძლებდნენ ჭვრიტონ მათი ღვთიური სულის თვალებით თვით უფალი, მისი შეხინა თინათინი, რაც ტაძარ-ქვეყნის ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. ასე ჩამოყალიბდება ისეთი ცხოვრების წესი, რომლისთვისაც ამ შემთხვევაში როსტევანი, რა თქმა უნდა, უფრო დაბალია სულიერად, ვიდრე უფლისა და დიდი შეხინის ქალიშვილი. აღინიშნა, მხოლოდ შეხინას აქვს უსასრულო სიყვარული და სიბრძნე. და შეუძლია, იყოს სულიერ კავშირში მთელ ერთან, მათი მუდმივად განათლება-გამარჯვებისათვის ყველა საქმეში. ამიტომ ამბობს, მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირსო.

ამავე დროს, რა თქმა უნდა, როცა ქვეყნის პატრონად თვით უფალი, მისი შეხინა უნდა იყოს, ეს ვაზირებს ძლიერ გაუხარდათ. მაგრამ ისინი როსტევანსაც უძღვნიან ქებას შემდეგ სტროფში. აქ ისინი ეუბნებიან იმ ჭეშმარიტებას, რომ თქვენ მარადიული მეფენი-ხასები ხართ, არ ბერდებით. თუ გარდაიცვლება ერთი, იგი უფრო დიდ ნათელში მიდის. ეს გენიალურად აქვს რუსთაველს ვარდის ხესთან შედარებული, რომელიც ზამთარში ფაქტიურად კვდება, ფოთოლი სცვივდება, თითქოს ხმება, მაგრამ მისი ფესვი, სადაც წმინდა სულია ნეფეშის სახით, ცოცხლობს. და როცა მოდის გაზაფხული, თუ ქვეყანაში თორის სწავლებაა, რომელიც წყალსაა შედარებული, მისით წყალი უდგება ხეს, უფრო მეტად იშლება, ყვავის და ტურფა ხდება იგი. რაც ჩანს 37-ე სტროფში:

„ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?
ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა:
მისიეე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.“

აქ ნათქვამი მსგავსია ჩვენს მიერ ზემოთ განმარტებული შემდგომი ადამიანთა მკვდრეთით აღდგომის პროცესისა. როცა წმინდანი გარდაიცვლება, ის მისია, რისთვისაც ჩამოვიდა, შეასრულა ანუ გამოასწორა ის ყველა უარყოფითი თვისება, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღო ადამის შეცოდების გამო. შემდეგში კი, როცა მისი სული ზეცაში ადის, სხეული ხესავით უსულო ხდება. მაგრამ ფესვი ადამიანის, რაც გვაცოცხლებს – ეს ჩვენი ღვთიური სულია. იგი კი, რაკიღა მან გამოასწორა თვისებანი, ზეცაში უფრო მეტად მომაღლებულია და უფლის შუქთან წარმოუდგენელ სიახლოეებში ნეტარებაშია. რამეთუ ღმერთის შუქთან სიახლოვის გამო მატებაა მასში სულიერი შუქისა.

ამდენად, „მეტობა ყოელისა სულისა და ტურფა ფერობა“ გამოისახება მასში, რომ მორწმუნე ადამიანის სული დედამიწაზე ყველა ჩამოსვლის მერე, როცა ადის ზევით, მუდმივად პრივილეგირებულ მდგომარეობაშია. მით უმეტეს, როსტევანის დონის წმინდანები, პირველი ქოენები, როდესაც ადიან ზეცაში, იმსახურებენ წარმოუდგენელ მარადიულ ნეტარებას გამჩენის შუქთან მიახლოებით.

ასეთი დონის ხალხი ნატრულობენ კიდევაც ამ ტანჯვის ქვეყნიდან ზეცაში, მარადიულ ნეტარებაში ყოფნას მანამ, სანამ არ მოვა მესია და არ გასულიერდება

უფლის შუქით ერთნაირად ცა და დედამიწა. რამეთუ შემდეგ იქ, ზეცაში მათ ელით ბევრად უფრო დიდი ნეტარება თორის ახალ-ახალ სიბრძნეთა წარმოუდგენლად მეტად ღრმა შეცნობის გამო. ამავე დროს, რაკიღა სული წმინდანთა ანუ ფესვი მუდმივად ნათობს, მისი სხეულიც მიწაში თავისებურ შუქშია, არ ლპება, ჭია არ ეკარება.

და ეს ძირითადად იმიტომ, რომ სიცოცხლის მანძილზე, მისნაირთა მადლით, ჩვენ ქვეყანაში წყლის სიუხვეა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი სწავლობდნენ თორას, რომელიც რწყავდა მის ღვთიურ სულს – ფესვებს.შემდეგ კი – სხეულს. და მისი სხეულიც გაჟღენთილია თორის შუქით. ამდენად, თორის შუქი მარადიული ჩასაცმელი ხდება მისი. ხოლო როცა მოხდება მკვდრეთით აღდგენა, ამ სხეულში მეტობა იქნება სულიერი ნეტარების შუქის და ტურფა ფერობისა.

საქმე ისაა, რომ ყველას, თავისი დამსახურებიდან გამომდინარე, მინიჭებული ექნება საპატიო ან შეიძლება მეტად დამამცირებელი ადგილი მომავალ სამყაროში, რაც ამ უკანასკნელში უდიდესი კაეშანი იქნება.

ასე ადამიანი მზადაა მარადიული სიცოცხლისათვის, რომლის საფუძველი სწორი ცხოვრებაა და სიკვდილია, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

ამდენად, მზის ნათების სიძლიერე დამოკიდებულია შეხინის მიერ ყოველი ჩვენგანის განსწავლულობა-გაბრძენებაზე. მაშინ მძლავრობს მეტობა მზის გაბრძენების შუქის და მისით წმინდანთა ნეტარებაა.

აი, ამას მოუწოდებენ 38-ე სტროფში სიტყვებით: „სჯობს და მას მისცე მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.“ დასტურად, შემდეგ 39-ე სტროფში კი წარმოთქვამენ „შუქი მისთაებრ საქმეცა მის მზეებრ განაცხადია“, ანუ მისი ღვაწლია, რომ ჩვენს ქვეყანაში სულიერი და მთელი მატერიალური სამყაროს თანდათანობით უფლის გეგმით გასულიერება-გაძლიერებაა ჩვენი მარადიული მეფობისათვის.

შემდეგ, მე-40 სტროფში, ავთანდილის დახასიათებაა. აღვნიშნეთ, სოლომონმა გამოგზავნა თავისი შვილები იბერიაში, რომ ემეფათ. აქედან გამომდინარეა ბაგრატიონთა გვარიც. ამიტომ იგია სპასპეტი, სპათა ხელმძღვანელი, ძე ამირსპასალარისა, ანუ სოლომონის, დავიდის შთამომავალის, რომლებიც უფლით არიან მირონცხებულები, რათა განაგონ სრულიად იბერიული მოდგმა და სამყარო. ამისათვის ისინი განსწავლულნი იყვნენ თვით მამისგან, რომ შეცდომები, რაც მან დაუშვა, აღარ გაემეორებინათ. ასე, მათი სულიერი განათლებიდან გამომდინარე, სწორი სამართლით წარმართვით მუდმივად ნათელი ადგას მათ მიერ მართვად ქვეყანას.

ამდენად, ავთანდილში უნდა ვიგულისხმოთ ყველა მეფე, ბაგრატიონები, რომლებიც წარმართავდნენ იბერიას ზნეობით და ასე ნათელი – შუქი ედგა იბერიას შეხინიდან – თინათინიდან. გავიხსენოთ, ჩვენ გვყავს სულიერი მიჯნურნი – ხუთი დედანი. ამათგან სამთან იყო ნიშნობა და ქორწილი ჩვენი. და როცა მოვა მესია, გვექნება ქორწილი მეოთხე-მეხუთე დედებთან (მეხუთე, ვიცით, დედა და წმინდა მიწებია). მეოთხე – ეს უფლის შეხინაა, რუსთველით ნესტანი და თინათინი, რომლებიც, შესაბამისად, ტარიელთან და ავთანდილთან, ისრაელისა და საქართველოს სახეში, დიდი ხანია, დანიშნულები არიან და უნდა შეუღლდნენ. აქეთკენ მიილტვის ტარიელი – მომავალი მესია, დავიდის შთამომავალი და აგრეთვე ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი ავთანდილის სახეში.

ეს არის მათი ცხოვრების არსი, სულიერი მისწრაფება, რომ ღირსნი ყოფილიყვნენ უფლის შეხინასთან სულიერი მარადიული შეუღლებისა. აქედან გამომდინარე, ისინი მაგალითი იყვნენ ერისა და სამშობლოსათვის თავგანწირვისა. მათთვის ქვეყნის სულიერება იყო უმთავრესი. ამიტომ ავთანდილი მაგალითია მიჯნურობისა უფლის სულიერ ქალიშვილთან – თინათინთან, რაც მტკიცდებოდა ბაგრატიონთა გვარის ყოველწამიერი თორაში ჭირნახულობით. ასე ხდებოდა უფლის შეხინით მათი სულიერი გაბრძენება, რომლის სადარი ნეტარი სიამოვნება არ არსებობს ამ ქვეყანაზე. ესაა, როგორც ითქვა, მარადისობის წყარო.

ყოველი წამი კაეშირისა უფლის შეხინასთან სიბრძნის შესაძენად – ეს წარმოუდგენელი, ბევრისათვის ვერაღქმადი ნეტარებაა.ცნობილია, მეფე დავიდს დღეღამეში ერთ საათამდე ეძინა, დანარჩენი დრო კი თორით განათლებისაკენ შეხინის მიჯნურობისაკენ ჰქონდა მიმართული. ამადაც მე-40 სტროფში წერია:

„ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,
საროსა მჯობნი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწეერული, სადარი ბროლ-მინა საცნობარისა,
მას თინათინის შვენება პკლვიდის წამწამთა ჯარისა.“

ჩვენ ამ სტროფზე გაკერით ეთქვით, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ მშვენება თინათინისა – ეს უპირველესად მისი გონიერება, სიბრძნე იყო, რომელიც ამოუწურავია და წამწამთა ჯარსაა შედარებული. და ამ სულიერი მიჯნურობიდან გამომდინარეა, რომ ავთანდილს, შეხინასთან კავშირის გამო, დიდი სულიერი შუქი ადგას საქართველოს და თვითონ მასაც. გავიხსენოთ თუნდაც, როცა ავთანდილი შედის ვაზირთან სასაუბროდ. წერია: „ყმამან სახლი გაანათა“.

ამდენად, ბაგრატიონები ავთანდილის სახეში, იყვნენ მუდმივად სულიერი შუქით მოსილნი აღზევებულნი, და ბრძოლებში დაუმარცხებელნი. ცნობილია, რომ ყველა სხვა ქვეყნის მეფეთაგან განსხვავებით ბაგრატოვნები თვითონ ერთვებოდნენ ყველაზე მძიმე ხელჩართულ ბრძოლებში და თითქმის ყველა ორთაბრძოლას იგებდნენ. და ეს იმიტომ, რომ ისინი დიდი პაპის შეცდომებს აღარ იმეორებდნენ, არ ამრაელებდნენ ცოლებს, სასახლეებს და მუდმივად თავის გაწირვის მაგალითი იყვნენ უფლის სახელის მომაღლებისათვის საქართველოსთვის, რაც შეხინასთან კავშირით და თორის განათლებიდან გამომდინარეობდა.

თორით განათლებაა ყველა ჩვენგანის დანიშნულება, იგია ჩვენი ნეტარი სულიერი ქმედების მარადიული კონსტიტუცია. ამიტომ წერია უკვე შემდეგ სტროფში:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;
ნახის, ცეცხლი გაუხალდის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად!“

ანუ თუ შეეშალათ ზნეობრივად, მაშინ შეხინა არაა კავშირში, ვერ სწვდება თორის სიბრძნეს, როგორც ვარდი კარგავს ფერს, იგიც კარგავს თავის ელვარებას, სხივოსნებას, ჩასაცმელი მისი, ფერნაკლული ხდება. ამიტომ შემდგომ 42-ე სტროფში გადმოგვცემს შოთა ავთანდილის სიხარულს, რადგან მისი მიჯნურის შეხინის სიწმინდის სულიერი ნათელი მუდმივად ედგება საქართველოს, ის ხდება სულიერი მეფე – პატრონი იბერიისა.

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხედა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
თქვა: „ზედას-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა!“

თუმცა, ითქვა, რომ თინათინი ჯერ კიდევ სანამ ბაგრატიონები დაიწყებდნენ მეფობას საქართველოში, კიდობნიდან გადმოსული, უკვე პატრონობდა იბერიას. მაგრამ. როგორც ითქვა, ეს იყო ღმერთით გამოცდის წლები.

საქმე ისაა, რომ ისრაელში შეხინა ნესტანის დავანების ღირსნი ისრაელნი გახდნენ დავიდ-სოლომონის მეცადინეობით. გავიხსენოთ, მაშინ სულიერება იმ დონეზე იყო, რომ ოქროს და რკინას ერთი ფასი ჰქონდა, მაგრამ სოლომონის სიკვდილის მერე მეფობა გააგრძელეს მისმა შთამომავლებმა. მათ ვერ გაითვალისწინეს ჯეროვნად მამის დარიგებანი და, ვიცით, შეიქმნა ერში დაპირისპირება, შემდეგ კი ორად გაიყო ისრაელის სახელმწიფო.

ხოლო საქართველოში ორივე ერის წარმომადგენელნი, ისრაელნი და ქართველნი მიილტვოდნენ და ახერხებდნენ, რომ სრულიად ქვეყანა ქცეულიყო ტაძრად, რადგანაც დასაბამიდან კერპთაყვანისმცემელნი – უხნეონი იკვეთებოდნენ.

ამდენად, ტაძარში კი არა, სრულიად იბერიაში უნდა დამკვიდრებულიყო მეფობა უფლის შეხინისა, როგორც ითქვა, ავთანდილის სულიერი დანიშნულისა. აქედან გამომდინარე, საქართველოში მიდიოდა უკვე დავიდ-სოლომონის სხვა შთამომავალთა გამოცდა, რუსთველით – ავთანდილის სახეში. და ეს გამოცდა თითქმის მთელი შვიდი საუკუნისა მათ წარმატებით ჩააბარეს.

და რომ ეს გამოცდების წლები იყო, ამიტომ წერია 32-ე ფსალმუნში უფლის მიმართვა დავიდისადმი: 12: „თუ დაიცავენ შენი შვილები ჩემ აღთქმას და ჩემ ცნებებს, რომელთაც ვასწავლი მათ შვილებსაც, უკუნისამდე დაჯდებიან ჩემს ტახტზე“. 13: „რამეთუ ამოირჩია უფალმა მთა ციონი, ისურვა სამკვიდრებლად თავისთვის“. 17: „იქ აღმოვაცენებ დავიდის დიდებას, ღირსებას, გავამზადებ სანთელს ჩემი ცხებულისათვის“. 18: „მის მტრებს შევმოსავ სირცხვილით და მასზე იბრწყინებს გვირგვინი მისი“.

აქედან გამომდინარე, მოვიდა დრო, რომ საქართველოში სულიერი მეფობა განეკითარებინა უკვე უფლის შეხინას. ისიც ცნობილია, რომ სიონის მთა იყო ორივე ქვეყანაში, რაც, როგორც ითქვა, კავ-კა-სიონშია განზოგადებული. აქ ჩანს უფლის თავმდაბლობაც. მიუხედავად იმისა, რომ ძმებმა და ორმა ერმა შექმნეს საამოთხე

ქვეყანა. რაშიც უფლის, მისი შეხინის ლომის წილია, იგი შეხინა მაშინ იწყებს მეფობას, როცა უკვე თვით როსტევანი და ვაზირნი სთხოვენ, რომ მან იმეფოს. და ისინიც ასრულებენ მის დამოძღვრებას.

ამგვარად, ავთანდილი, რომელიც წარმოადგენს ბაგრატოვანთა შტოს საქართველოში, მეტად გახარებულია, რადგან მისმა პირველკაცობამ შეუწყო ხელი, რომ იბერიის სულიერი მმართველობა უკვე უნდა გადავიდეს როსტევანიდან უფლის შეხინაში. რამეთუ იგი მასთან სულიერად დანიშნულია და ამ ნიშნობის გამოცდის ერთ-ერთი ეტაპი შემდეგი ქორწინებისათვის მან წარმატებით ჩააბარა.

ამიტომ 42-ე სტროფში გადმოგვცემს შოთა ავთანდილის სიხარულს მასზედ, რომ ისინი შეცდომებს აღარ უშვებდნენ და იმსახურებდნენ, სულიერი მმართველობის განმტკიცებას. ასე შეხინის სიწმინდის ნათელი მუდმივად ედგება საქართველოს, ის ხდება სულიერი მეფე, პატრონი იბერიისა.

ამდენად, უფლით მომზადების წლები იყო შემის და იაფეთის მოდგმისა, რომ ერთობლივად ესრულებინათ სრულყოფილად უფლისა და მისი შეხინის დამოძღვრებანი და შემდეგ თვითონ მიმხედარიყვნენ, რომ დროა, თვით უფალი, მისი სიწმინდე მეფობდეს იბერიაში. ანუ მათმა სულიერმა დონემ მიაღწია ისეთ წარმოუდგენელ სიდიადეს, რომ იმსახურებდნენ, სულიერად შერწყმოდნენ მის ბრწყინვალებას.

რამეთუ უფლის შეხინამ რომ იმეფოს, უნდა შეიქმნას სამოთხე ქვეყანა, ყველა უნდა გახდეს ალალმართალი, უფლის შვილი, თორის მცნებებით მოსიარულე.

ამიტომ, როგორც ითქვა, ჩვენში იყო თანაბრად გაყოფის და პატრონყმობის წესი. რითაც, მიმდინარეობდა განსწავლა და აღზრდა მოსწავლეთა თორის სწავლებით და მისი ქმედებით. რათა შექმნილიყო ქვეყანა ა-რაბეთი-სა, ანუ უმაღლესად ანბანის – თორის კანონების, აგრეთვე ფარული სწავლებების მცოდნეთა – რაბინთა. და რომ ამ ქვეყანაში მხოლოდ სულიერი განათლების დანერგვა მიმდინარეობდა, როგორც აღვნიშნეთ, ეს უპირველესად ქართულ სტუმარ-მასპინძლობაში, ღვინით ქეიფისას ჩანდა. ასე თითქმის ყოველ ოჯახში ყოველდღე იყო თორის სიბრძნის შემეცნების გაკვეთილები, აგრეთვე უფლის სადიდებელი ქმედებანი საგალობლებით და ცეკვა-თამაშისას.

ასე აღზრდიდნენ რაბებს – ხასებს და ამიტომაც დადგა დრო, რომ როსტევანი მეფობის ტახტს უთმობს შეხინას, რაზეც ავთანდილი ძლიერ ხარობს. ამდენად, 42-ე სტროფის პირველ სტრიქონში როსტევანი უკვე ღმერთის პირით ლაპარაკობს ისევე, როგორც შემდეგ, 43-ე სტროფში:

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან,
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დაესვი მე, მისმან მშობელმან,
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან!“

ამდენად, ა-რაბეთს ბრძანების გაცემა ეს ნიშნავს მთელ სამყაროში არსებულ სულიერ მოძღვართა შორის ბრძანების გაცემას. ასე იბერია ითვისებს უკვე იერუშალაიმის, იგივე ტაძარ-ქვეყნის ფუნქციას, სადაც გაძლიერებული თორის სწავლება უნდა იყოს ისრაელთა-იბერთა ისევე, როგორც იყო იერუშალაიმში, რომ სრულყოფილად იფუნქციონიროს სამყარომ. ასე გაძლიერდება ყოველწამიერი კავშირი შეხინისა ამ ქვეყნის წმინდანებთან და მისი ნათლით იქნება გასხივოსნებული ქვეყანა.

ამავე დროს, უფალს სურს, ეს წესი ყველამ გადაიღოს. ამიტომ უნდა ნახონ, აითვისონ ეს წესი „ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან“.და რომ იბერია-კავკასია იმსახურებს უკვე თინათინის მეფობას მით, რომ აქ უკვე ყველა ხასია, რაბია, ან მიიღვწიან აქეთკენ, ეს ჩანს ზემოთ ნახსენებ 44-ე სტროფში:

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა:
ავთანდილ პირ-მზე, სპაპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“

ამდენად, თინათინი დასვა ხელმწიფედ მისმა მშობელმა, რადგან ახლა იმსახურებენ ყოველნი იბერნი, რომ განათლდნენ თინათინით, მზეთი მანათობელით. და რომ საქართველოში მართლაც იყო უმაღლესი სულიერების ხალხი – ხასები, როგორც აგხსენით, ეს ქართულ სიტყვა „ხასი-ათ-ში“ ჩანს, ანუ ათი მცნებით სიარულია ყველა ქართველთა ხასიათი.

შემდეგ სტროფში კი, თვით უფალს მოჰყავს თავისი სულიერი ქალიშვილი, რომელიც ჭვრეტს ყოველთა იბერთა სულს, ის ხომ ღვთიური სულით ყოველ

ჩვენგანთანაა კავშირში. ამიტომ ეს 45-ე სტროფი მთავრდება სიტყვებით: „ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა“.

შემდეგ, 46-ე სტროფში, როცა სრულიად იბერნი თაყვანს სცემენ შეხინას, გადმოცემულია „ქალი ტირს და ცრემლთა აფრქვევს“. ეს მიუთითებს, რომ შეხინა თინათინი მადლს, ბარაქას აფრქვევს იბერიაზე ღმერთთან თავისი შუამდგომლობით, რაც უფლის ნებაცაა ამ ხალხის დამსახურებიდან გამომდინარე.

ამავე დროს, ამ სტრიქონში წერია „ჰხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა“. გაეიხსენოთ, როცა ნოეს კიდობანში დაეანდა შეხინა თინათინი, იქ შეწყვეტილება აკრძალული იყო. მაგრამ, ვიცით, შესცოდა ქამმა, რომელიც გაშავდა და მისგან გამრავლდა ნეგროიდული რასა. ამავე დროს, შეცოდა აგრეთვე ყორანმა. და საქართველოში რომ შეიქმნა შეხინის დაეანებისთვის შესაფერისი ცხოვრების წესი, ეს ჩანს ამ სიტყვებში. ასე ყოველგვარი, ყორნის მსგავსი უზნეო ხორციელი ვნებანი, ბოლო ფრთანი აღიკვეთა. ამიტომაც თინათინი სიხარულის, ბარაქის ცრემლებს აფრქვევს.

შემდეგ 47-ე სტროფში კი წერია:

„მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ღირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“.

ამდენად, გამჩენის შენაცვლება რომ სრულყოფილი ყოფილიყო, ის ამ ბაღს ვარდისას – სამოთხე ქვეყანას, ცრემლებით ავსებს, რაც ულევი ბარაქის ნიშანია.

ამავე სტროფის შემდეგ სტრიქონში წერია: „მეფე სწერთნის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“. ანუ, როგორც ითქვა, ძედ მოიხსენიებს უფალი თავის შეხინას. ხოლო შემდეგ, 48-ე სტროფში ასე მოძღვრავს მის სულიერ ქალიშვილს:

„უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!“

ე.ი. შენ ხარ ჩემგან ხმო-ბილი, ჩემი სიბრძნით გაწვრთნილი და დღეიდან სრულიად ა-რაბეთს ანუ რაბინთა, ხასთა მეფობა შენ გეკუთვნის, რამეთუ ისრაელთა შეხინა ნესტანი განდეცნილია და ებრაელნიც ისრაელიდან იბერიაში სახლდებიან.

ასე აქ იქნება თორის სწავლა და სრულიად კავკასია უნდა იქცეს ტაძარ-ქვეყნად, რომ სამყარომ იფუნქციონიროს, არ გადაშენდეს. საერთოდ, შეიძლება ამის აუცილებლობა არც ყოფილიყო ისრაელში, რომ არ განდეცნილიყო შეხინა ისრაელებთან ერთად. არადა, უფლის განდეცნილობის შემთხვევაში სამყარო აღარ იარსებებდა. ამდენად, ეს დაახლოებით ის პერიოდია, როცა ისრაელში დაინგრა ტაძარი. ამავე დროს, ეტყობა, აქ მცხოვრებლებმაც მიაღწიეს უდიდეს სულიერ დონეს.

ჩვენ ვიცით, არსებობს ხუთი მგრძნობელობითი ორგანო, მეექვსე კი ადამიანთა მიერ ღვთიური სულის თვალებით ანუ დაყათით – ჭკუით ხედვაა. ამ დონეზე არიან აქ მცხოვრებნი. ამიტომაც იქნება შეხინის მეფობაც, რამეთუ იგი ყოველთან კავშირშია მათი გაბრძენებისათვის. აქედანაა უფლის სიტყვები: ჩემი ხმობილი ხარო, ანუ იგია უფლის ხმით, ენით მოლაპარაკე, მან უნდა განსაჯოს ყველას – სახელმწიფოს კეთილდღეობა. ამიტომ, დარიგებაა უფლისა: ბრძნად იქმენი საქმენი, ოღონდ წყნარად, აუღელვებლად უნდა წარმართო ქვეყანა და იქნები ყველგან ცნობილიო.

ვიცით, ამ ქვეყანას ბევრი ცოდვილი აშორებდა, მათ შორის – ბევრი უღირსი და სანამ მათი მოქცევა ხდებოდა, ამიტომ 49-ე სტროფში წერია, რომ მათი გამორჩევა არ დაიწყოს, ყველაზე გასცეს. ვისაც ცუდი თვალი აქვს, და უსასრულოდ ბევრი უნდა. ის ახსნილიც გონს მოვა, როცა ნახავს, ვინც უხვად გასცემს მას, როგორც ზღვას, ასევე შესდის და გაედინების სიმდიდრე.

შემდეგ 50-ე სტროფში აგრძელებს, რომ ყველა შენ დაგემორჩილება, მოექცევა ორგულიც, და ასე გაცემით როგორც ცოდნის – თორისა და ულევი ბარაქის შენ გამომჟღავნდები მათში, ისინი შენი ერთგულნი გახდებიან. ამიტომაც ეს სტროფი მთავრდება: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია!“ რაც, ძირითადად, უკვე ჩვენთვის, ხორციელთათვისაა მოწოდებული.

გაცემა – ეს პრინციპია უფლის მეფობისა, მას აქვს უსასრულო შუქი, სიბრძნე, რომელიც, თუ დაიმსახურებენ მისი შვილნი, იქნება მუდმივად უსასრულო, სამოთხისებური ბარაქა. ხოლო დამსახურება მის შვილთა მასშია, რომ მათაც უნდა გასცენ და რასაც მეტს გასცემენ, უფრო მეტად შემოვა უფლის შუქი, იქნება ბარაქა და ჩვენც ყველანი ნათელში ვიქნებით. ასე მისი სხივოსნება მიაღწევს, რომ აღდგეს ის

პირველი დღის შუქი, რომელიც უფალმა ცებში შეკვეცა. იქნება მარადიული გაცემა, სიყვარულით ცხოვრება.

ამდენად, ამ სწავლას უსმენდა თინათინი და შემდეგ უკვე, 51-52-53-54-55-ე სტროფებში მოთხრობილია, როგორ ქმედებს, გასცემს თვით შეხინა. ამ სტროფების დასტური თვით ქართული ცხოვრების წესია რუსეთთან შეერთებამდე, რაზეც მრავალი მისიონერი აღნიშნავდა: საქართველოში იმდენი იყო მოსავალი, ნახევარზე მეტი ვერ იკრიფებოდა, და ხეებზე რჩებოდა. ესეც თორიდან გამომდინარე კეთდებოდა, რათა ღარიბს და ღატაკს მოეკრიფა. თუმცა, ასეთი საქართველოში არ არსებობდა*.

ამდენად, ყველა ამ სტროფის არსი რაც შეიძლება ბევრის გაცემაა. და თორაში წერია, რომ უფალი გვეუბნება: მხოლოდ ამ საქმეში გამომცადეო. და რაკიღა უფალი, მისი შეხინა მეფობდა ამ ქვეყანაზე, მათი შვილები, იბერნი, ამას მათგან გამომდინარე, წარმატებით ახორციელებდნენ.დასტურად, რომ ეს ქართველთა წესი იყო, აღიარა ალექსანდრე დიუმამ სიტყვებით: „ქართველ ერს ისე უყვარს საჩუქრის გაცემა, როგორც სხვა ერს – საჩუქრის მიღება“. ამიტომ ბოლოს ეს სტროფები მთავრდება: „არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა“. ამაში ის დიდი აზრია, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, მსოფლიოში მხოლოდ ჩვენთან იყო თორიდან გამომდინარე მიწა-მამულის თანაბრად გაყოფის წესი, ანუ არაეინ იღუწოდა, სხვაზე ზედმეტი ჰქონოდა რაიმე. და ამიტომაც აღარ იყო შური. ამ წესით იყო ერთობა, სიყვარული, ულევი სიუხვე და ბარაქა.

შემდეგ, 56-დან 62-ე სტროფამდე გადმოცემულია როსტევანის მოწყენილობა. მართალია, სმა-ჭამა გრძელდება, მაგრამ როსტევანი მოიწყენს. ამიტომ ვაზირი და ავთანდილი ჰკითხავენ როსტევანს მისი მოწყენის მიზეზს.

62-ე სტროფში კი ჩანს, რომ ყმაწვილობისას ანუ ადრინდელ ხანაში ის მთელი სამყაროს ა-რაბთა მეფე იყო. გავიხსენოთ, პირველყოფილი თემური წყობილება სწორედ თანაბრად გაყოფაზე იყო დაფუძნებული. მაგრამ რომ გაელია სიყმაწვილის დღენი, ვიცით, ბოროტების მიერ განვითარდა მონათმფლობელური და ფეოდალური ცხოვრების წესები, სადაც იყო ერთიმეორის დამონება მათ მიერ შექმნილ ანბანთა არსიდან გამომდინარე. ანუ ეს ის პერიოდია, როცა ამ ენათა მოძალების გამო ისრაელთა ჯერ პირველი, მერე კი მეორე ტაძარი დაინგრა.

ითქვა, როსტევანის დონის ხალხმა – ლეევებმა, აგრეთვე დავიდის შთამომავლებმა იცოდნენ, რომ ეს პროცესი ისრაელში ღრმად შემოიჭრებოდა და მოხდა სამლოცველო ცენტრების გადმოტანა თანდათანობით იბერია-კავკასიაში. შემდეგ, ვიცით, ებრაელნი გადადიოდნენ მთელ მსოფლიოში. მაგრამ დიდი დღესასწაულების დროს ისინი მცხეთასა და თბილისში ისე მოდიოდნენ, როგორც ადრე იერუშალაიმში.

ამდენად, მცხეთა-თბილისი და საქართველო-კავკასია ითავსებდა რა იერუშალაიმის მისიას, იძენდა ტაძრის ფუნქციას და, როგორც აღვწერეთ, რუსთველით თინათინი იწყებს მეფობას ამ ქვეყანაში, რამეთუ ეს ერი იმსახურებს, რომ უფალი იყოს დღენიადაგ მისი მფარველი, მაგრამ სხვაგან ყველგან უზნეობაა, საქართველოს მტრები კერპთაყვანისმცემლებია და ამბობს კიდევაც 62-ე სტროფში:

„კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩე-ენია,
რომე მას ჩემგან ესწაელნენ სამამაცონი ზნ-ენია“.

ამგვარად, ყველა ქვეყანა, რა თქმა უნდა, უფლის საბრძანებელია. მაგრამ ყველგან გაუტანლობა, არაკაცობაა, არ არის ისეთი სიმამაცე, ზნეობა, როგორც იბერიაში, რაც მისი დამსახურებაა. ამიტომაც მოხდა, რომ ეს ხალხი არ დაიღუპონ, კვლავ არ გადაშენდნენ, როგორც წარღვნის დროს, რადგან აქეთკენ, საშინელი უზნეობისკენ მიჰყავთ პროცესები, ამიტომაც უფალმა, როგორც ითქვა, უკვე მეორედ, დაამუნჯა ეს ხალხი. ანუ დაავიწყა მათი, კერპთაყვანისმცემელთა ენებით მეტყველება. და ახლა, ამდენი ხალხი რომ მოექცნენ, ეს ძალიან ძნელია, რადგან მარტო იბერიაშია დედა და წმინდა ენებით მეტყველება. მოწყალეა შემოქმედი და ამიტომ ამყარებს კავშირს თავის მიერ რჩეულ ქოენებთან, მათ ლიდერთან – როსტევანთან, რომ შეძლონ, გაავრცელონ ამ ხალხში წმინდა და დედა ენები, რათა ეს უკვე სრულყოფილ ცხოველებად ქცეული დამუნჯებული ხალხი მოაქციონ. ამაზეა ჩაფიქრებული როსტევანი და იგი ჯერ ღმერთის ენით გულდაწყვეტილი ამბობს 63-ე სტროფში:

---

*ეს ტრადიცია კომუნისტების დროსაც ერცელდებოდა, ჩვენ ვამაყობდით, რომ ქართველ მათხოვარს ვერ ვნახავდით. თუმცა, შევარდნაძე-სააკაშვილის სატანისტურმა რეჟიმმა ასეთიც გააჩინა.

„ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;

ანუ, რომ იძახის „ერთაი მიზის ასული“, როგორც განვმარტეთ ნესტანი ქაჯთა ტყვეობაშია, რამეთუ ისრაელებმა ვერ შეინარჩუნეს წმინდა ენით მეტყველება. ხოლო ენა – ეს ადეკვატურია ერის არსებობისა. ამიტომაც დაკარგეს წმინდა მიწაც და აღმოჩნდნენ დევნილობაში. და ახლა მათ ვერ გამოიყენებს, რომ შეასწავლონ ამ დამუნჯებულ ხალხს უფლის მიერ ბოძებული წმინდა ან დედა ენა.

შემდეგ კი, როსტევანი არა უფლის, არამედ თავისი ენით აგრძელებს:

ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, – ვარ საწუთროსა თმობითა, –
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კელა ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

აქ უკვე, თითქოს გასაღიზიანებლად, გადაჰკრავს ავთანდილს, რომელიც მე გამოვზარდეო, მაგრამ იგი ბოლომდე არ არის ჩემ დონემდეო, რაც ჩანს სიტყვებში: „ცოტასა შემწევს ავთანდილ“. ამდენად, დონეს უწონებს მას, რომ ერთიანი ძალისხმევით მეფემ იბერიისა ავთანდილმა და სულიერმა ელიტამ როსტევანის მეთაურობით მოაქციონ ხალხები. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები მოქმედებს ავთანდილზე და შემდეგ 64-65-66-ე სტროფებში ავთანდილი მოკრძალებით ჰკადრებს როსტევანს, რომ ამ საქმეში ის მასზე ნაკლები არაა:

„მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია,
ნაძლევი დაედვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე სპანია“.

ანუ ავთანდილი, დავიდის შთამომავალი, რომელიც დავით-სოლომონის სიბრძნეშია აღზრდილი, უბნობს, რომ ანბანის, თორის უნაკლო მცოდნეა და მზადაა, ეს დაუმტკიცოს როსტევანს. რა თქმა უნდა, ეს გაუხარდება როსტევანს და დებენ სანაძლეოს 68-69-ე სტროფებში, რათა გამოვლინდეს მათ შორის უფრო მარჯვე ამ საქმეში. ბოლო სტროფი ასე მთავრდება: „ვინცა იყოს უარესი, თაე-შიშველი სამ დღე ვლიდეს!“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქუდი ხომ ჩვენში კაცობის, უფლის შვილობის სიმბოლო იყო. ამავე დროს, ეს თავმდაბლობის ნიშანია. და არც შემთხვევითაა, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ყოველ კუთხეს თავისი გამორჩეული სილამაზისა და დანიშნულების ქუდი ეხურა ბრძოლისას თუ მიწათმოქმედებისას, უფლით კურთხეული სულიერი ცხოვრების წესის სრულყოფილად დანერგვისათვის.

შემდეგ თანხმდებიან 70-ე სტროფში, როგორ განსაზღვრონ, ვინ რამდენ ნადირს, ანუ დამუნჯებულ სახელმწიფოებს მოაქცევს. ამისათვის როსტევანი იძახის: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად“ და ეს უნდა გავიგოთ ორმაგი მნიშვნელობით: ერთი, რომ ეს პროცესი გაწელილია დროში, ეს არ მომხდარა არც ერთ დღეში და არც ერთ თვეში, რამეთუ მონა თორმეტი უნდა მივიჩნიოთ 12 ზოდიაქოდ; ამდენად, ეს მინიმუმ ერთი და, შეიძლება, 12 ან 24 წელი მიმდინარეობდა. და ამ ხნის განმავლობაში ისინი ცდილობდნენ შეექმნათ არეალი, რომ შეეკრიბათ ეს დამუნჯებული მხეცები, რათა როსტევანს და ავთანდილს მიეცათ მათთვის სულიერი განათლება, ძირითადად ანბანით და თორითაც, შესაძლებლობის ფარგლებში. ამიტომ ამბობს როსტევანი:

„თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმეელად, მოსახმარებლად, –
ერთია შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად“.

ისარი ამ შემთხვევაში ის განათლებაა, ანბანიდან, თორიდან გამომდინარე, რომლის მეშვეობით ადამიანებში ცხოველური – მხეცობა იდევნება, კვდება. დასტურად, ისარი-ს რიგითი სათვალავი – ჰემატრია 50-ია, ანუ 50 სიბრძნის კარის შემეცნებაა მთლიანობაში და საფუძველი ამისა ენაა. გავიხსენოთ, ითქვა, როცა ისრაელნი დაეშვნენ უზნეობის 49-ე საფეხურზე, მათ, ვინც ენა არ დაკარგეს. შემდეგ, როდესაც მიდიოდა მოშეს მიერ უდაბნოში მათი განათლება 49 დღის განმავლობაში, უკვე იოლად შეაღეს სიბრძნის 49 კარი. ამდენად, ენაა საფუძველი ყოველიევესი, რამეთუ მხოლოდ ამ ენებითაა უფალი, მისი შეხინა კაეშირში ჩვენთან ჩვენი გაბრძენებისათვის.

ეს განათლება აქვს როსტევანს, რომლის დონე განისაზღვრება მის მიერ გამოზრდილ თორმეტ მონაში. ხოლო, ვიცით, შერმადინი ავთანდილის აღზრდილია და იგი სულიერად ისეთ მაღალ დონეზეა, რომ მას თაეისი აღსაზრდელები ჰყავს, რომლებსაც იგი, რა თქმა უნდა, დაიხმარებდა. ამდენად, 12 მონა და შერმადინი, ამ თანმიმდევრობით, როსტევანისა და ავთანდილის დამხმარენი არიან. ახლა ავხსნათ ნადირობის პროცესი.

1.7.2. ნადირობის პროცესი უანბანო, ნადირივით დამუნჯებულ ხალხთა მოქცევისათვის

შემდეგ 71-ე სტროფში გადმოცემულია:

„მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოი-არ-ენით,
დასცევით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთვის არ-ენით“.
ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს: „მოდით და მოიჯ-არ-ენით“.
გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ გავიხ-არ-ენით“.

აქ ყველა სტრიქონი „არ-ენით“ მთავრდება, ანუ „მინდორნი მოი-არ-ენით“ – ეს ნიშნავს სამყარო მოიარო, დააფიქსირო დამუნჯებული ხალხი, რომელთაც აღარა აქვთ ენა და აამეტყველებდნენ თორის არსის გადმოცემით წმინდა ან დედა ანბანით. შედეგად, თავთან არსებული ღვთიური სული იგამგებლებს მათ სხეულში, გულთან არსებულ ცხოველურ სულზე. ასე ამოიძირკვება მათში ცხოველობა, რაც ამიტომაც ნადირობაშია ასახული.

ხოლო მეორე სტრიქონი გადმოგვცემს, რომ ხდება ჯგუფებად მათი დაყოფა ამ პროცესის საწარმოებლად, რაც ჩანს სიტყვებში: „თავნი ამისთვის არენით“.

აქ გამოყოფაა იმ მოთავე სახელმწიფოთა, რომელთაც უფლის ასო-ნიშანთა პლაგიატობით შექმნეს თავიანთი ენები, ხოლო ყოველი ენა შექმნილია მსგავსად შემქმნელის აგრესიისა და უზნეო თვისებებისა, მისთვის დამახასიათებელი სიამაყიდან გამომდინარე. ისინი, ვიცით, ამ ენას ახვევდნენ მათ მიერ დაყპრობილ ხალხს და ახლა ჯგუფებად უნდა გამოიყოს ის სახელმწიფონი, რომელთაც მოახვიეს სხვა მრავალ ერს ადრე მათი ე.წ. „ენები“, იგივე არ-ენები, მათი ცხოველური თვისებების დასანერგად.

ამდენად, ყოველ ამ არაენებს თავიანთი სპეციკიდან გამომდინარე, დამახასიათებელი უზნეობა შეჰქონდათ ხალხებში. და ახლა ეს სახელმწიფონი ჯგუფებად იყოფა მათთვის დამახასიათებელი უზნეო თვისებებიდან გამომდინარე, რათა ეფექტურად შეირჩეს მეთოდი მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებების აღმოფხვრისათვის უფლის ანბანით და თორით განათლებით.

შემდეგ, მესამე სტრიქონში მოწოდებაა სრულიად იბერთა მოდგმის მიმართ, რომ ამ საქმეში ყველა ისინი ჩაებნენ. ამიტომაც ბოლოშია „მოდით და მოი-ჯარ-ენით“, ე.ი. ჯარად, ძალიან ბევრნი არიან, ვისაც გაუხარდა, რომ ამ ბოროტების ენების აღკვეთის მერე, რაც უფლით მოხდა, ამ ხალხის დამუნჯებით უნდა დაინერგოს უფლის მიერ ბოძებული წმინდა და დედა ენები. ამისათვის გადადეს სმაც და ნადიმიც, რამეთუ ახლა მათი სიხარული უნდა იყოს სხვათა მოქცევა უფლის ენებით სალაპარაკოდ. ჩვენც ალბათ ასე გაგვიხარდება, რომ დღევანდელი, არა უფლის ენაზე მოლაპარაკე ხალხებიც ასეთ დღეში ჩავარდნენ, რაც, ჩვენი აზრით, მალე მოხდება, ხომ ამას გადმოგვცემს იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება.

საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ ავხსნათ ნადირობის მიმდინარეობა.

ადამიანები ნადირებისგან, იგივე ცხოველებისგან, მით განსხვავდებიან, რომ მათსავით ცხოველური სულის გარდა უფლით ბოძებული აქვთ დამატებით მოლაპარაკე ღვთიური სული, რომელშიც ამიტომ შთენილია უფლის ანბანი, რომ მისგან გამომდინარე თორით განათლებით ნელ-ნელა გამოვასწოროთ ის ცხოველური თვისებანი, რაც ადამის შეცოდების მერე შემოვიდა ჩვენში. ასე მივუახლოვდეთ უფალს თვისებებით, შევიქნათ იბერად – მეფეებად.

ითქვა, რომ ბაბილონის გოდოლის დანგრევის მერე სამყაროს მიეცა წმინდა ენის ანბანი, მაგრამ მათ არ დაიწყეს მეტყველება უფლის, ადამიანური ენით და თვითონ შექმნეს თავიანთი სხვადასხვა, მათთვის დამახასიათებელი ცხოველური ენებების მიმართულებებიდან გამომდინარე ანბანები. საერთოდ, სიტყვა „ნადირობა“ გვეუბნება, რომ როცა რამეს კლავ, სულს ართმევ, ესე ნადირის დონეზე ხარ.

და მათაც, სწორედაც, თავიანთი ანბანის გავრცელებით, გადააგვარეს სხვადასხვა ქვეყნის ხალხები იმ ნადირთა და ცხოველთა დონემდე, რაც მათთვისაა დამახასიათებელი. მით, რომ დაიწყეს თავიანთი ენების გავრცელება მათ ტერიტორიებზე ასე შეავიწროვეს ხალხები, რომლებიც უფლის წმინდა და დედა ენებით მეტყველებდნენ. მათაც დაავიწყეს ღვთიურ სულში შთენილი, უფლის მიერ შექმნილი ანბანი მათი ანბანის გავრცელებით. ასე ღვთიური სული, რომელსაც უფლის გეგმით უნდა ეგამგებლა ცხოველურ სულზე, რათა არ განვითარებულიყო ჩვენში ცხოველური მიმართულებანი, ამ უზნეო, სატანისტური ანბანების გავრცელებით აღმოჩნდა ნეიტრალიზებული, ანუ მათი გეგმით – მკვდარი.

ამგვარად, როდესაც შექმნეს მათ ეს ანბანები, და შეიქნენ ნადირის დონისა, მათ მართლაც დაიწყეს ნადირობა მთელ მსოფლიოში უფლის დედა და წმინდა ენების

აღსაკვეთად, რათა ყველა მათსავით, ნადირის – მხეცის დონეზე მოექციათ რამაც, როგორც ითქვა, საფუძველი ჩაუყარა ომებს.

და მხოლოდ იბერია-კავკასია იცავდა თავს, უფლის შეწევნით, მედგრად ამ ნადირთა შემოსევისაგან, ამისათვის, როგორც ითქვა, ისრაელთა სწავლული ალიები იბერიას აშურებდნენ, რათა დედა და წმინდა ენებით მეტყველება და ღორით დანერგილი ცხოვრების წესი არ დაცემულიყო. ამ შემთხვევაში, როგორც ითქვა, უფალი იყო ჩვენთან და ამიტომაც დაუმარცხებელნი ვიყავით.

მაგრამ წარმოუდგენლად დიდი იყო ამ ნადირთა შემოსევები. მარტო ერეკლე მეფემ 100 ომი ჩაატარა, როცა მათ ერთმანეთში, ალბათ, სულ არ უომიათ ამდენი. და ამადაც ამბობდა ილია, საქართველოს ისტორია ომების ისტორიააო.

ამდენად, მხოლოდ ერთი ქვეყანა, იბერია-კავკასია დარჩა, სადაც უფალი, მისი შეხინა იყო დავანებული, რადგან, როცა ორი ძმა სიყვარულით ერთად არის, მაშინ მათთან მუდმივად მესამე უფალია და ისინი დაუმარცხებლები ხდებიან.

შედეგად, ითქვა, ამ იბერიის მადლიან მიწაზე სულიერად შერწყმული იყო ორი მოძმე ერი და მხოლოდ ამ ქვეყნის მადლით ფუნქციონირებდა მთელი სამყარო, დანარჩენი ქვეყნები ინდოევროპულმა მოდგმამ, თავიანთი ენების გავრცელებით, ყველგან ნადირთა დონეზე დაიყვანა, ყველგან სატანა იყო გამეფებული, შემოქმედი კი, ჩვენი სიცოცხლის წყარო – გაძევებული.

ასე, რომის მაგვარმა ქვეყნებმა ინადირეს, გააუქმეს უფლის ენები, თითქმის მთელ მსოფლიოში. გადააგვარეს იბერიული მოდგმის ქვეყნები, იგივე საბერძნეთი, ირანი, სირია და ა.შ. შემდეგ, როცა შეავიწროვეს იბერიული ენებით მოსაუბრე ქვეყნები და ასე ჩამოყალიბდა ინდოევროპული მოდგმა, მათ, გაერთიანებულებმა, უფრო დიდი ენერგიით დაიწყეს შეტევა ორ ქვეყანაზე – ისრაელსა და იბერია-კავკასიაზე.

განსაკუთრებული დაწოლა იყო ისრაელზე, სადაც აღგავეს ორი სულიერი ტაძარი და ამის შემდეგ აიცსო უფლის მოთმინების ფიალა, რათა ამოეძირკვა მათგან ეს ნადირობის ჟინი, მათი მატერიალური თვალების მხედველობიდან გამომდინარე. ანუ ანალოგიურად, როცა გოდოლი ააშენეს, დაავიწყა თავიანთ მიერ შექმნილი ანბანები, რითაც დაამუნჯა ისინი. რამეთუ ღვთიური სული, რომელიც გონიერების სათავეა, ანბანის გარეშე მათში მიძინებული შეიქნა.

და რაოდენ გენიალურია რუსთველი, რომ ამ თავს დაარქვა „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“, რისი საფუძველიც არის დედა და წმინდა ენათა ანბანის, აგრეთვე თორის შესწავლა. შედეგად, ახლა უკვე ხდება ცხოველური სულის ცხოველურ თვისებათა ნეიტრალიზება-აღმოფხვრა, ანუ იგამგებლებს მასზე ღვთიური სული, რის შედეგადაც, როგორც ავხსენით წინა ნაშრომებში, ცხოველური სული იძენს ღვთიური სულის თვისებებს. ეს უკვე მართლაც სიკვდილია ცხოველური სულისა. ასე ამ ხალხში ცხოველურობისკენ და ნადირობისკენ მიმსწრაფველი ჟინის მართლაც სიკვდილი და გადაშენება უნდა მოხდეს.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ორი ერის უდიდესი ძალისხმევით, იბერიაში სულიერი განათლება ანბანიდან და თორიდან გამომდინარე, მეტად მაღალ დონეზე იყო. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის აღნიშნული ფაქტი, რომ, ამ პატარა ქვეყნიდან გადიოდა განათლებული ხალხი ისრაელთა და ქართველთა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქცევისათვის და ასზე მეტი ქრისტიანული ტაძარი ააგეს ქართველებმა მთელ მსოფლიოში მათ მოსაქცევად; და ესენი იყვნენ როგორც სასულიერო პირები როსტევანის სახეში, ასევე საერო – ავთანდილის სახეში. ორივეს თავისი მიმართულება ჰქონდა ხალხთა განსწავლისათვის. ამდენად, ასეთი ნადირობის პროცესი ჩვენთვის არახალია და ქართველთა სულიერი მოთხოვნილებაცაა, რადგან გამოვირჩევით მოყვასისათვის თავდადებით.

ნადირობის დაწყების წინ ჯერ ავთანდილის დახასიათებაა, რომლის სტრიქონები „ანი“-თ მთავრდება, რაც მიუთითებს ავთანდილის უდიდეს განათლებაზე, როგორც ანბანისა და თორის მცოდნისა. და ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ ავხსენით, როცა სოლომონმა თავისი შვილები გამოგზავნა სამეფოდ, ისინი მან გაწვრთნა თავისი ბრძნული ცოდნით, რომელიც შთამომავლობით გადადიოდა ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებში.

შემდეგ როსტევანზე წერია: „ნადირობას გამოვიდეს“, რათა ორივეს ერთად დამუნჯებული ხალხი აემეტყველებინათ და მოექციათ და ასე გაეხალისებინათ ქვეყნები. ამისათვის ზეიმი და ზარი იყო, „სპანი ველთა დაჰფარვიდეს“, ანუ მართლაც, ჯარი

იბერიელთა იღვწოდა, რომ ველური სულის ქვეყნები, მათი ხალხი შეეკრიბათ და, ეს იმდენი იყო, რომ ჯარმა ველი დაფარა.

შემდეგ, 74-ე სტროფში წერია, როგორ უმზადებენ გასაწვრთნელად ქვეყნებს მონა თორმეტნი, ანუ, როგორც ითქვა, მთელი წლის განმავლობაში ისინი აწვდიდნენ „მშვილდსა ფიცხელსა“, ისრებს, ანუ უჩენდნენ ქვეყნებს, რომ მათში აღმოეფხვრათ ცხოველურობა მშვილდით და ისრით, რაც გამოიხატებოდა მათი, როსტევანის და ავთანდილის, ანუ სულიერი და საერო მმართველობითი ელიტის განათლებაში, რომ ეს ხალხი სულიერებისკენ წასულიყო. ამისათვის წერია: „ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა!“ ე.ი. რამდენი ქვეყანა გასულიერდა და როგორია მათი განათლების დონე.

საერთოდ, თორით ცნობილია, რომ მეფე ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა კითხულობდეს მთელი თორის შინაარსს მთლიანი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე. ეტყობა, დაახლოებით ასეთი პროცესი მოხდა ამ შემთხვევაშიც.

ასე მიმდინარეობდა გაწვრთნა მთელი მსოფლიოს ხალხთა, რომელთა სურვილიც იყო, რომ ამეტყველებულიყვნენ, რამეთუ წერია: „დაიწყო მოსვლა ნადირმან ყოვლთა მინდორთა კიდითა“. „ყოვლთა მინდორთა კიდითა“ მიგვანიშნებს, რომ ყოველი ინდოევროპული ენა დამახასიათებელი ცხოველური თვისებებით სულიერად ამდაბლებდა მოსახლეობას. ახლა, როცა ენა დაკარგეს, დარჩათ ეს თვისებები. ამიტომ ჩამოთვლილია შემდეგი ყოველი ამ ენათა ჯგუფის დამახასიათებელი ცხოველური თვისებები. მაგალითად, ქურციკი მაღლა მხტომელია, ე.ი. მასში უდიდესი დოზითაა ქედმაღლობა და მიისწრაფვის, ყველაზე მაღლა მოექცეს, გამდიდრდეს, განდიდდეს და დაიმონოს მოძმენი; თხა სულიერად გაუნათლებელია, თავხედია და ა.შ. აი, ეს ცხოველური თვისებები მათში როსტევანისა და ავთანდილის მიერ განათლებით უნდა აღმოფხვრილიყო. ამიტომ შემდეგი სტროფი გადმოგვცემს:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწვდომელი,
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლად მხლტომელი.
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, ჭვრეტადმცა სჯობდა რომელი!
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!“

ამდენად, ეს სახელმწიფოები, „ჯოგი ნადირთა“, „ანგარიშმიუწვდომელია“ და მესამე სტრიქონში უკვე მოცემულია, როგორ ინერგება ქართული ცხოვრების პატრონ-ყმური წესი და არა ბატონ-ყმური წესი, რომელიც მათ ჰქონდათ მათ მიერ შეთითხნილი ანბანებიდან გამომდინარე. ამგვარად, ისინი ანათლებდნენ ხალხს, რომელნიც პატრონყმანი ანუ პატრონი გახდებიან დანარჩენ მათ მოყმეთა, მათ სულიერად მოსაქცევად. ასე მოხდება უკვე დანარჩენთა განათლებაც, რომელთა ამეტყველება უფლის ენებით ჯერ ვერ მოხერხდა.

ამდენად, მათში მოხდება იმ სულიერი ცხოვრების წესის დანერგვაც, რისი საფუძველი გაცემაა ცოდნისა, სიკეთისა და არა დამონება მოყვასის. დასტურად, შემდეგ, ამიტომაც წერია: „ჭვრეტადმცა სჯობდა რომელი“. ანუ ხალხი სულიერად მოექცა და სასიამოვნო იყო მათი ამაღლებული ყოფის ჭვრეტა.

ამდენად, არა მარტო ანბანის შესწავლა, აგრეთვე სულიერი განათლება ანბანიდან, თორიდან გამომდინარე მიმდინარეობდა, რათა აღმოეფხვრათ ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც, როგორც ითქვა, ყოველ ადრინდელ, არა ღმერთის ენაზე მეტყველთ ახასიათებდათ. ამდენად, ყველას მიმართ სწორი მიზანდასახული მიმართულება იყო შერჩეული, რათა სრულიად მოექციათ ხალხები ზნეობისაკენ. ძირითადად ამ ხელოვნებაში ეჯიბრებოდნენ როსტევანი და ავთანდილი – სულიერი და საერო ელიტა.

ხოლო მეოთხე სტრიქონი გვეუბნება: „აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი“, ანუ წარმოუდგენლად უდიდესი განათლებით იღვწოდნენ . როსტევანი, ავთანდილი, და ქმედება მათი იყო დაუშრომელი ანუ დაუღალავი.

შემდეგ, 76-ე სტროფში წერია: „ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქსა წაუხმიდეს“, ანუ რაც ქვეყნები მოაქციეს სულიერად, მათი განათლება საწინდარია ატმოსფეროს გაწმენდისა უზნეო აურისაგან, რაც აძლიერებს მზის შუქის ნათებას; ამოხოცეს ცხოველური ენებანი და როცა ერთი ენის ჯგუფის ქვეყნებში მორჩებოდნენ, მაშინვე სხვა ენათა ჯგუფის ქვეყნებში გადადიოდნენ. ამადაც წერია:

„რა ისარი დაელევის, მონანი-ყე მოართმიდეს.
მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს“.

ანუ მხეცობა, უზნეობა სრულიად აღმოიფხვრებოდა მათში.

შემდეგია 77-ე სტროფი:

„იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“.

ამდენად, ყველა კერპთაყვანისმცემელი, ჯოგებად მოხსენიებული სახელმწიფოები წინ შემოისხეს, დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“, შემდეგ კი წერია: „ელნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს“. ამდენად, სატანისტური ცხოველური ჟინი, უზნეო ენებანი ადამიანებში აღმოფხვრეს; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უფალი მთელი სამყაროს სულიერ და მატერიალურ ცათა გამგებელია. ხოლო, ამ შემთხვევაში, მატერიალურ ცათა განწმენდა მიმდინარეობდა, რომელიც გადაჭედილი იყო ამ ქვეყნების მიერ უზნეო მეტყველებიდან გამომდინარე, აურით. რაშიც უდიდესი ძალისხმევა იყო ჩადებული სატანის მეცადინაობით. ამგვარად, ღმერთი – ეს კერპთაყვანისმცემელთა ღმერთი, სატანაა, – ის შეარისხეს, რომ მისი ღვაწლი წყალში ჩაიყარა და მისი შექმნილი ყველა ნადირი გაანადგურეს. და ამ საქმეში, წერია, „ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“. ანუ ყველგან ნერგავდა ის სამოთხისებურ სულიერ, იბერიულ ცხოვრების წესს.

შემდეგ 78-ე სტროფში წერია:

„იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია,
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია“.

ანუ მთელი სამყარო გაანათლეს; „მათგან განარბენია“ – აქ „ენაა“ ბოლოში, ასე დაინერგა უფლის ენები, რაც საფუძველია წყალობის, სულიერი განათლების. ანუ წყალობა აქვთ და კლდეც სულიერი განათლების აღმნიშვნელია. მაგრამ დარჩა ხალხი, რომელთაც ანბანი კი შეისწავლეს, მაგრამ სულიერი ცხოვრების წესის დანერგვა, ზნეობით ცხოვრება არ სურთ, ისევ ნადირებად დარჩენა უნდათ. ეს ეტყობა, ძირითადად ის ესავის მოდგმის მოთავე ქვეყნებია, რომელთაც გააერცელეს თავიანთი ენები და მათთვის დამახასიათებელი ცხოველური მიმართულებანი დანერგეს. ამიტომ ნადირი ყოველთვის ტყეში შედის – „ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია“. ანუ იქ უკვე ვეღარ ხდებოდა მათი მოკვეთა. უნდათ, როგორც ადრე, რაკიღა ენები შეისწავლეს, ისევ თვითონ იმეფონ და არა უფალმა, იბერებმა, მეფეთა მოდგმამ. ასე რომ, სატანა ისევ გამგებლობს მათში.

ასე ერთად, ქართველთა სულიერმა და ხორციელმა მმართველობითმა ელიტამ გაანათლა იმ პერიოდში ხალხები, უპირველესად ენის, ანბანის სიბრძნის შეცნობით და შემდეგ მხლებლებს უბრძანეს: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არგვეთნებოდეს“. შემდეგ მონებმა როსტევანს ჰკადრეს შედეგი მათი მოღვაწეობისა: „მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით“; ანუ ვერ შეედრები ავთანდილს ამიტომ ვერ მოგეხმარებითო და შემდეგ სტრიქონში გადმოგვცემენ, რომ მისი ნაკრავით, ანუ ავთანდილისმიერი განათლებით, ცხოველად ქმნილ ადამიანებში ცხოველური სულის ცხოველური მრწამსისკენ მისწრაფება სრულიად ამოიძირკვა-განადგურდა. რაც ჩანს სიტყვებში: „მხეცნი ვერ წაღმა წარებით“.

შემდეგ, 81-ე სტროფში, დათვლილია, რამდენი სახელმწიფო მოაქციეს მათ დროში:

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია:
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყოცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასერილი დაგვიხოცია“.

აქ ჩანს სულ მათი რიცხვი ათჯერ ოცი, ანი ორასი, ხოლო

ავთანდილმა ოცით მეტი მოაქცია, თანაც პირწმინდად, სრულიად გაანათლა, ხოლო „თქვენი მრავალიმიწითა დასერილი დაგვიხოცია“, – პასუხობენ ისინი. ანუ მიწიერი მისწრაფებები მაინც შემორჩათ.

შემდეგი 82-ე სტროფი გადმოგვცემს, როგორ ძლიერ უხარია როსტევანს ავთანდილის მეთაურობით საერო მოღვაწეთა ასეთი უდიდესი წარმატება. რამეთუ ეს მისი თამადობით სულიერ მოღვაწეთა წარმატებაცაა. ასე ხარობს დაღრეჯილობის მაგიერ როსტევანი, რაც ჩანს შემდეგ სტრიქონებში:

„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგერ სიკეთე მისისა განაზარდისა“.

ამგვარად, დედა ენის სიბრძნის სიღრმე დიდად წაადგა რუსთაველს, რომ ასე დაფარულად გადმოგვცა ეს ისტორიული პროცესი. რის შემდეგ იგი აღწერს 83-ე სტროფში, რომ ხის გრილ ჩრდილში დასხდნენ. ასე განანათლეს ყველა. მოდიოდა ხალხი ლაშქრად, მონაწილენი ამ ღვთითკურთხეული დიადი საქმის აღსასრულებლად.

ხოლო თორმეტმა მონამ, მსაჯულებმა, დამოვლელებმა ამ პროცესისა, დიდი მხნეობა გამოიჩინა. ასე ყველა „თამაშობდეს და უვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა“. ანუ ხარობს ყველა უფლის წყალობით ამ ქვეყნებში მათ მიერ შეტანილი განათლების შედეგად წყალობაა, ტყეები გამოირჩევიან ხეთა სიმრავლითა და სიდიდით.

ამდენად, აქ მოკლედ გადმოცემული ის ისტორიული პროცესია, გაწელილი დროში, როცა ყველა ადრე ინდოევროპულად მოსაუბრეებში არსებული ცხოველური მიმართულებანი ანუ სანადირო, მოსაკლავი, იქნა ნანახი და განადგურებული.

და რომ ამას წინ უძღოდა ჯერ უფლით დავიწყება მათ მიერ შექმნილ ენათა, ეს ჩანს მასში, რომ დღეს ეს ენები მკვდარ ენებად მოიხსენიება.

უდიდესი ღირსება კი „ვეფხისტყაოსნისა“ მასშია, რომ არცერთ ნაწარმოებში, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ეს ისტორიული პროცესი არაა აღწერილი. ისიც ცნობილია, ამ ისტორიული პროცესის მერე ყველა ერმა, მათ შორის რომმაც, შიშით, რომ არ გადაშენებულიყვნენ, ისეე, როგორც გადაშენდა მათი ენები, მიიღეს წმინდა ენაც და იუდეური რჯულიც, ძირითადად ესეველთა სექტიდან გამომდინარე, რომლითაც მეტად გამკაცრებულად იცვებოდა რჯულის კანონები. ამ სექტის წარმომადგენელი იყო მაცხოვარი. ხოლო მის შემდეგ რჯულში ლიდერობდა მისი ძმა იოსები.

1.7.3. როგორ განვითარდა მოვლენები მოყმესთან შეხვედრის შემდეგ

შემდეგ რუსთველი გადმოგვცემს, როგორ ჩნდება ტარიელი, უკვე დევნილ ისრაელთა სულიერი ლიდერი, დავიდის შთამომავალთა ტახტის მემკვიდრე. იგი, და მის სახეში ისრაელთა ერი, მტირალია.

საერთოდ, ვიცით, რომ ამ ცოდვილ სამყაროში ყველა ეცოდავთ, წმინდანებიც, რამეთუ მათ მეტი მოეთხოვებათ. ამისათვის ისრაელთ ტაძარში მოსანანიებლად მიჰქონდათ შესაწირავები, ხოლო როცა ტაძარი დაინგრა, დაწესდა სპეციალური ყოველდღიური სამჯერადი ლოცვები. ამაეე დროს, გულმხურვალე ლოცვა ცრემლის გარეშე არ არსებობს და გულმდუღარე ცრემლები მაშინვე აღებენ ზეცის ყველა ჭიშკრის კარს. ტარიელისა და ებრაელთა მიერ ასეთი ლოცვის მიზეზი შემდეგშია:

მისჯეულის, მათი მეტსაყვედუროს ყველა — მეხთა მეუხესი.

გავიხსენოთ, ამის მიზეზი ის შეცდომა იყო, რომ მაკაველებმა სამეფოდ არ მოიწვიეს დავიდის შთამომავალი. შედეგად, ისრაელის სახელმწიფო სრულიად დაინგრა, რამეთუ განვითარდა აქ ინდოევროპული ენები.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ მათ ვერ შეაფასეს უფალი, მისი შეხინა, რომ იყო დაგანებული ისრაელთა მიწაზე, და სწორედ უფლის მოთხოვნა უგულებელყვეს, რამეთუ მხოლოდ დავიდის შთამომავალთ ხელეწიფებათ იყვნენ თავდაუზოგავი სულიერი მიჯნური შეხინისა და აქეთკენ მიჰყავდეთ მთელი ერიც. ასე, უფლის ენაზე მეტყველებით და მისი მცნებების დაცვით გააერთიანონ ერი. შედეგად, უფალი, მისი შეხინა განდევნილნი აღმოჩნდნენ. ამას მოჰყვა ისრაელთა განდევნაც, რასაც ძლიერ განიცდიდა ისრაელთა ერი.

ეს განცდა რუსთველს ტარიელის სახეში აქვს გადმოცემული, რამეთუ, როგორც ცნობილია თორით, რაკიღა დაკარგეს ენა, ისრაელნი როგორც ეგვიპტეში, ამის გამო სიკვდილს იმსახურებდნენ. და უაღლესად დიდი იყო მუდარა შეხინისა უფლის მიმართ სიტყვებით: მე გამწირე და ჩემ შვილებს ნუ დასჯიო (იხ. წიგნი მე-2, II ნაწილი). ამიტომაც აღმოჩნდა იგი ქაჯთა ტყეობაში. და მის მერე შეხინის განდევნლობის და ტაძრის დანგრევის გამო უდიდესია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაფანტულ ისრაელთა გლოვა, ისინი დღენიადაგ ლოცულობენ მესიის გამოვლინებისათვის, რათა დაიხსნას ტყეობიდან მათი შეხინა — რუსთველით ნესტან-დარეჯანი და აღდგეს ტაძარი.

ცრემლები ამავე დროს რჯულის კანონებით ცხოვრებით მადლის შემოტანას მიგვანიშნებს იბერია-კავკასიაში. ვიცით, იგი მეოცე ტყაოსანია და უნდა მოგვევლინოს მესიად, ეს კი ჩვენ მოქცევაზეა დამოკიდებული. ამიტომ მესია, რუსთველით ტარიელის სახეში, ყველა თაობაშია დაბადებული სოლომონის სიკვდილის შემდეგ.

ეს პროცესი აღწერილი აქვს რუსთაველს შემდეგ თავში: „ნახვა არაბთა მეფისგან მის ყმისა გეფხისტყაოსნისა“. ამდენად, შევეცადოთ, აღვწეროთ შემდეგი თავის 84-ე სტროფი:

„ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა პყუა ლომსა და ვითა გმირსა,

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“.

პირველი სტრიქონი გვეუბნება, იგი მტირალია წყლისა პირსა – წყალი ხომ წყალობის მანიშნებელია. აქ ჩნდება ის ისტორიული ფაქტიც, რომ მაო იბერიაში რჯულის, ძირითადად ესეველთა მიმართულების შემოტანით, მადლი მოაფრქვიეს ქვეყანაზე. რამეთუ ცნობილია, მაცხოვრის ჯვარცმის მერე მცხეთის ებრაელობამ მაშინვე მიიღო რჯულის განსამტკიცებლად ესეველთა სექტის მიმართულება. და ეს პირველ რიგში მათი ტრადიციული გულმხურვალე ცრემლნარევ ლოცვებში ვლინდება. ეს ლოცვანი კი, გარდა იბერთა კეთილდღეობისა, მიმართულია, რათა ეპატიოს ისრაელთ შეცდომები, რის შედეგადაც დაიხსნება მათი მიჯნური შეხინა.

შავი ცხენი – ეს გლოვის ფერია, რამეთუ ებრაელნი წარმოუდგენლად განიცდიან შეხინის დაკარგვას. ამიტომ ტარიელის განცდებს არა აქვს ზღვარი. ხოლო მარგალიტი, რომელიც ასხია მას, ეს მის სულიერად ნათელში ყოფნის იმ მაღალ დონეზე მიგვანიშნებს, რომელსაც თან დაჰყვება უფლის სხივოსნება-შუქი. ამიტომაც იგი დაუმარცხებელი გმირია. და განცდებს მისი გლოვა-ტირილისა ამთავრებს სტროფი: „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“.

შემდეგ 85-ე სტროფში აღწერილია:

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარე-თმა ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭედი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა;
ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა“.

1.6. თავში ავხსენით: კაბა – ეს ქართველთა-იბერთა სამეფო ჩასაცმელი ჩოხა-ახალუხია, ანუ მისი, მომავალი მესიის ჩასაცმელია, გარემომცველი უდიდესი შუქის-სიბრძნის უფლისა. ხოლო ვეფხვის ტყავი – ეს ალეგორიაა იმ ტყავის ტანსაცმლისა, რითაც შემოსა უფალმა ჯერ ადამი, მერე – შემი*; მერე მოსეს მოსთხოვა, რომ მთელ ერს ჩაეცვა იგი. გავიხსენოთ თორა: წიგნი IV, 16.38: „ელაპარაკე ისრაელის შვილებს და უთხარი მათ, რომ გაიკეთონ ფოჩები ტანისამოსის კიდეებზე თავიანთ თაობებში... 39: და იყოს ეს თქვენთვის ფოჩებად, როცა დაინახავთ მას, გაგახსენდეთ ყველა მცნება უფლისა და შეასრულოთ ისინი... 40: რათა გაიხსენოთ და შეასრულოთ ყველა ჩემი მცნება და იყოთ წმინდანი თქვენი ღმერთის მიმართ“. ასე ყველა ებრაელი მუდმივად ატარებს ამდაგვარ სამოსელს, რომელსაც ციცითი ჰქვია. მას ძირითადად კაბის შიგნით იცვამენ.ხოლო „გარე თმა ვეფხის ტყავისა“ – ეს, როგორც ითქვა, ფოჩებია, რომელიც გარეთა აქვთ ხშირად ებრაელებს გამოტანილი. ხოლო მეორე სტრიქონი გვეუბნება იმ რეალობას, რომ ებრაელებს ლოცვისას თავზე ადევთ ეგრეთ წოდებული თეფილინი, რომელშიც სპეციალური მოკლე ლოცვებია და იგი დამზადებულია ძროხის ტყავისგან, რადგან დღეს ეს უფრო მისაწვდომია, ვიდრე ვეფხის ტყავი. ეს თეფილინი ასევე ტყავით მაგრდება თავზე. ანუ ოთხკუთხედი სარქმელივით ადევთ იგი თავზე ტყავით დამაგრებული. ამის გარდა, ებრაელებს ასევე ახურავთ, ქართული ქუდებისგან განსხვავებით, პატარა ქუდი – ფესკა. ამავე დროს, ხელზე ასევე უდევთ მეორე, მსგავსი თეფილინი, რომელიც გრძელი მათრახივით ტყავით მაგრდება ხელზე და მისი ბოლო ასევე ხელზე ეხვევა.

ამდენად, ჩვენი აზრით, მეორე და მესამე სტრიქონებში მოცემულია ის აუცილებელი ატრიბუტი ლოცვისა, რაც ხელისა და თავის თეფილინია. ამ სალოცავი ატრიბუტებით ნათლით მოსილი ტარიელი ანათებდა და ირგელივ შუქს ასხივებდა, რაც მართლაც საუცხოო სანახავი იყო. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად უცხო იყო ქართველთათვის და ამიტომაც სტროფი ასე მთავრდება: „ნახეს და ნახვა მოუნდათ, უცხოსა სანახავისა“.

ამგვარად, როსტევანი, რა თქმა უნდა, ხედება, რომ ეს დავით-სოლომონის შთამომავალი მომავალი მესიაა. და მას ჰგონია, რაკიღა აღიკვეთა ყველა კერპთაყვანისმცემლური ქვეყანა, საკუთარი განდიდებისკენ, გაკერპებისკენ მიმსწრაფველი ენები-ერები. ახლა დგება დრო მესიის მოვლინებისა.

---

* ეს ალეგორია კიდევ იმიტომ აქვს რუსთველს, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ვეფხვი ხომ იბერთა მეფობის მიმანიშნებელია და როცა მთელ სამყაროში დაავანებენ უფლის შეხინას, მაშინ ისინი ლომებად გარდაიქმნებიან. ამიტომაც არის ორი ლომის სიმბოლიკა, რაც მიგვანიშნებს, რომ ეს ყოველივე ორი ერის ეროობით და გვერდში დგომით მოხდება.

ხოლო ტარიელმა იცის, რომ ეს ნააღრევია. ამის ორი ძირითადი მიზეზია: პირველი – უფალმა ისრაელნი-იბერნი იმიტომ შექმნა, რომ მათ მოაქციონ ესავის და სხვათა მოდგმა. მათში ადამის ცოდვა, როცა მიირთეა აკრძალული და დაკარგა მარადისობა, უფრო გაძლიერებულია. გავიხსენოთ, ესავმა მისი პირმშოობა მაშინვე დაუთმო იაკობს საჭმლის მიღებისათვის. ანუ მასში ცხოველური მიმართულება იდგა იმ სულიერ მისიაზე მაღლა, რაც მას, როგორც აბრამ-იცხაკის მემკვიდრეს, სულიერ ლიდერს, ევალებოდა სამყაროს ხალხთა მოქცევისათვის.

ჩვენ შემთხვევაში კი მოხდა ძალით მოქცევა მათი, როცა უფალმა ჯერ გამოაცალა გონება და დაამუნჯა ისინი. ამგვარად, მათი მოქცევა ნებაყოფლობით უნდა მოხდეს, როგორც ადამის შემთხვევაში, როცა მოინანია.

მეორე კი უმთავრესია – თვითონ ისრაელთა ძირითადი მასა, რომელთა მისია ხალხთა მოქცევაა, სულიერად არ იყვნენ მზად ამ პერიოდში ხალხთა მოქცევისათვის, რომ მესია გამოვლინებულიყო. ტაძარი ხომ იმის გამო დაინგრა, რომ დაკარგეს თითქმის წმინდა ენაზე მეტყველება და ველარ ჭირნახულობდნენ თორაშიც სხვა ენებით მეტყველების გამო. რამეთუ ასე შემოიჭრა მათში სიამაყე, რამაც განავითარა ერში დაპირისპირება.

გავიხსენოთ, ამ დაპირისპირების გამო აღიგავა ისრაელში, ტაძრის დანგრევის მერე, რაბი აკივას 24.000 მოსწავლე. შემდეგ კი, უკვე რაბი აკივას გამოზრდილებმა, ხუთმა მოსწავლემ, გაავრცელა განდევნილობაში თორის – რჯულის დაცვის ყველა წესი სრულყოფილად, რათა აღგვილიყო მათში ყველაზე დიდი ცოდვა – დაპირისპირება. და უფლით ამადაც მოხდა მათი ჯერ იბერიაში გადმოსვლა, რომ ჯერ მათში აღმოფხვრილიყო მეტყველება არაუფლის ენებზე. ანუ ჩვენთან, როგორც ვიცით, მეტად მტკიცე იყო უფლის ენებზე მეტყველების მიმართულება, რასაც თვით ისრაელთა სულიერი ლიდერები დღენიადაგ ნერგავდნენ, როცა ჩვენში დიდი იმპერიები შემოიჭრებოდნენ.

ამდენად, ჯერ ისრაელთა ერში დედა და წმინდა ენებზე მეტყველება უნდა განმტკიცებულიყო. ისრაელის განდევნილობის მიზეზი კიდევ მასშია, რომ ტაძარს უნდა შეესრულებინა მისია ყველა ხალხის, უფლის შვილთა მოქცევისა. მოხდა კი პირიქით, უსნეობამ მოაქცია თავისკენ ისრაელნი.

ამიტომ ახლა უფლის ნებით მეორე გზა დაისახა ყველა მის შვილთა მოქცევისათვის. როცა ისრაელნი სრულიად აღიდგენდნენ უფლის ენებზე მეტყველებას აქ, იბერია-კავკასიაში, ისინი უნდა გადასულიყვნენ ამ უზნეოთა ქვეყნებში, რათა მოექციათ ეს ხალხები რჯულის კანონების დანერგვით. რა თქმა უნდა, ასე ექნებოდათ დიდი დაწოლა, მაგრამ ეს იქნებოდა გაერთიანების საწინდარი. რადგან, როგორც ითქვა, დარწმუნდებოდნენ ებრაელები, როცა უფლის ენებით-მცნებებით ვითარდებიან, არ იღრევიან უზნეოთა ცხოვრების წესში, მაშინ ისინი აღწევდნენ თავიანთ მიზანს. ხოლო როგორც კი ისინი კარგავდნენ სულიერებას – დედა და წმინდა ენებზე მეტყველებას, არ სწავლობდნენ თორას და ამ ქვეყნების ცხოვრების წესში ითქვიფებოდნენ, იქნებოდა ეს სახელმწიფო სამსახური, ხელოვნება, მათ მიერ განვითარებული მეცნიერება თუ სხვა, მაშინვე ეცხადებოდათ საშინელი დარბევები. აი, საიდან იყო ის გასაოცარი ფაქტი, რომ მათ არცერთ ქვეყანაში არ მიიღეს მათი ანბანი და წმინდა ენის ანბანის გამოყენებით შექმნეს მრავალი დიალექტი: იდიშური, ყუბელური და სხვ. მხოლოდ დედა ენა და მისი ანბანი მიიღეს საურთიერთობოდ, ხოლო წმინდა ენაზე ლოცულობდნენ და თორას სწავლობდნენ.

ამდენად, ახლა საჭირო იყო ერის გაერთიანება და დღენიადაგ მეცადინეობა თორით რჯულის კანონების დანერგვისათვის. ეს იცოდა ისრაელთა ერმა და ვინც ამისკენ არ მიიღვწოდა, დიდ ცოდვად მიაჩნდათ, რადგან მხოლოდ ეს გზა იყო მათი სულიერი მიჯნურის, ნესტანის დახსნისათვის ტყვეობიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელი ამისთვის ძალიან მოწადინებულია.

ამდენად, ტარიელის სახეში რუსთველს გადმოცემული აქვს მოყმე, რომელიც ყველაზე გულმდუღარედ განიცდის თავისი სულიერი სატრფოს, შეხინის, რუსთველით – ნესტანის ტყვეობას. და რომ ის მომავალი მესიაა, ეს თვითონ მის სახელშიც – ტ-არიელი – ჩანს. „ტ“ ასო-ნიშანი როგორც ქართულში ნიშნავს ტანჯვას, ასევე, როგორც უბრძნესი მაჰარალი გადმოგვცემს, 1-9-მდე რიცხვები ციფრების მწვერვალია და ისინი მატერიალურ ასპექტში გარდაცვალებასაც აღნიშნავენ. ხოლო რიცხვი 10 თვისებრივად წარმოადგენს ახალ ერთიანობას, სადაც შედის ათიც ციფრი. ამდენად, ციფრი 10 – ეს მეათე მესიის გამოვლინების ციფრია და ჩვენი მეფობის საწინდარია. ასე, მე-9 ასო-

ნიშანი ანუ ტ-ანჯვა მოსცილდება ტარიელს და დარჩება „არიელი“, რაც წმინდა ენაზე ნიშნავს ლომს. ამდენად, როცა მოგვცილდება ეს ტანჯვა, გარემომცველი უზნეო ხალხის მოქცევის შედეგად, მაშინ გაიხდიან ვეფხის ტყავს – ციცითს ჯერ ტარიელი და მერე ისრაელნი, რის შედეგადაც, როგორც ვიცით, ვეფხვი გარდაიქმნება ლომად.

როსტევანმაც შეიცნო მასში, ტარიელში, მომავალი მესია. ოღონდ რაკიღა ქოენები, სულიერი ლიდერნი, მეფენი არიან, თვითონ არ ძიდის მის სანახავად და უგზავნის მონას, რომ ეახლოს ტარიელი მას. ამიტომ შემდეგ სტროფებში – 86-87, მოცემულია, როგორ ცდილობს მონა, გამოელაპარაკოს, მაგრამ ტარიელი იმდენად დამწუხრებულია, რომ მას ყურადღებასაც არ აქცევს. შემდეგ, 88-ე სტროფში მოცემულია, როგორ არის მისი ტანჯვა და განცდები სისხლის ცრემლამდე მისული შეხინის, თავისი სულიერი მიჯნურის დაკარგვის გამო. გაეიხსენოთ: „ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი“. ამიტომ წერია უკვე 89-ე სტროფში:

„სხეულან ქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლავ პკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
არცა გახლიჩა ბაგეთათ თაეი ვარდისა კონამან.“

ანუ დონე და წონა მოყმისა ბევრად წინწასულია იმ მიმართულებაზე, რომლის ახსნისათვისაც სურს როსტევანის მონას მას ტარიელთან საუბარი. ხოლო სიტყვები „არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან“ მიგვანიშნებს, რომ როცა ებრაელნი გულმხურვალედ ლოცულობენ, ისინი გრძნობენ, რომ დგანან სამყაროს მეფის წინაშე და, ნათქვამია, უსახელოც რომ მიეკაროთ, რ უნდა გაინძრნენ, რამეთუ ის მათ ვერაფერს დაუშავებს. შემდეგ, 90-ე სტროფში, როცა უპასუხოდ მობრუნდება მონა როსტევანთან, ასე მიმართავს როსტევანს:

„როსტანს პკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა;
თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა,
ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოენე ხანი მუნ. და-“.

ამდენად ტარიელი, რომელიც ფლობს სიტუაციას, და მასთან ერთად მთელი ისრაელი ერი, იმდენად ძლიერ განიცდიან სულიერი სატრფოს, შეხინის ტყვეობას, რომ მისი დახსნის გარდა არაფერი აინტერესებთ. რაც ჯერ გულმხურვალე ლოცვებით და მდუღარე, სისხლნარევი ცრემლებითაც უნდა მოხდეს. ეს რომ შეიცნო როსტევანის მონა-მსახურმა, იგი ძლიერ უთანაგრძნობს ტარიელს და რეტდასხმულიყითაა, რაც ჩანს სტრიქონში: „თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა“. და ამიტომ გადასცემს როსტევანს სიტყვებს: „იმას თქვენი არა უნდაო“. ანუ იგი რომ მესიად მოვიდეს როსტევანის დახმარებით, ამაზე ჯერ არც ფიქრობსო.

ამავე დროს როსტევანმა იცის, რომ იგია უფლით ისრაელთა სულიერი ლიდერი, იბერთა მეფე, მომავალი ტაძრის წარმმართველი,რომელიც იქნება ისრაელთა, სულიერი ლიდერი. თანაც, ასეთი უდიდესი საქმე გააკეთა ისრაელთა ერისათვის – აალაპარაკა უზნეო, ცხოველური მიმართულების ხალხი უფლის ენებით და პგონია, რომ ახლა უკვე დროა მესიის მოქმედებისა; და უკვირს, რატომ არ ეახლება ტარიელი, რომ მან შეასრულოს თავისი ისტორიული მისია. დასტურად, შემდეგ, 91-ე სტროფში წერია:

„მეფე გაპკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე;
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“.

ამდენად, მას სურს შეიცნოს, ვინ არის, რა უდევს გულში ტარიელს, რომელიც არის მჯდომარე. ანუ ის უნდა გახდეს მომავალი მესია – ტახტზე მჯდომი ხელმძღვანელი დევნილ ებრაელთა. როსტევანი კი, რაკი რეალური სულიერი ლიდერია, მეფეა იბერთა, უფრო მკაცრად აფრთხილებს თავის მონებს, რომლებიც გაგზავნა და ასე მოძღვრავს მათ: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე“. აქ ჩანს: ჯერ ერთი, აბჯარი საომარი – ეს მათი განათლებაა, რათა დაარწმუნონ ტარიელი, რომ ახლა განა ლოცვების, მისი მესიად გამოვლინების დროა და ამისათვის უნდა ეახლოს როსტევანს, რომელიც რეალურად ფლობს ძალაუფლებას. მეორე მხრივ, ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ეს პროცესი, როგორც ითქვა, გაწელილია დროში. „მონა თორმეტი“ ხომ – ეს თორმეტი ზოდიაქოა. ამაზე მიგვანიშნებს აგრეთვე სიტყვა „აბჯარი“, რომელიც, როგორც ავხსენით 1-ელ და მე-2 წიგნებში, ანბანის სიბრძნიდან გამომდინარე, რომელიც იბერიული მზის კალენდრის აღდგენით სწორი დროის მიმდინარეობას განაპირობებს.

ამდენად, როსტევანის დამოძღვრებით მათ აქვთ ის უპირატესობა მასთან აზრთა ჭიდილში, რომ დადგა დრო, აღდგეს ზუსტი კალენდარი, რაც მაშინ მოხდება, როცა მესიის გამოვლინების დრო დადგება. ახლაა ზუსტად დრო ამ მჯდომარის, ანუ ისრაელთა ლიდერის, მესიის მოსვლისა, რათა აღვადგინოთ სწორი დროის აღრიცხვა, ანბანიდან გამომდინარე, მზის კალენდრის დანერგვით.

შემდეგ, 92-ე სტროფში ნათქვამია:

„მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია;
მაშინღა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულ-მდურარია,
თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე თქვა: „ვაჰ მეო“, სხვად არას მოუბარია“.

პირველ სტრიქონში მოცემულია: „მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია“. ანუ მიმდინარეობს მოლაპარაკება მზის კალენდრის აღდგენის აუცილებლობაზე მთვარის კალენდრის ნაცვლად, რაც, როგორც ითქვა, ნაადრევია, რამეთუ ისრაელთა შეხინა ქაჯთა ტყვეობაშია. ამიტომ არ თანხმდება ტარიელი. ამავე დროს იგი მეტად გულმდუღარეა შეხინის დაკარგვის გამო. და ეს გულმდუღარე გლოვა გადმოცემული აქვს ამ სტროფის მეორე სტრიქონში: „მაშინღა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულ-მდუღარია“. მაგრამ რაკიღა ტარიელთან მოსაუბრენი ბევრნი, ანუ ლაშქრად, ჯარად არიან, ვინც ახვევენ თავიანთ აზრს, ამიტომ ეს სტროფი მთავრდება სიტყვებით: „ერთხელ ესე თქვა: „ვაჰ მეო“, ანუ სანამ მისი სულიერი სატრფო, ვისთვისაც ტირის, არ დაიხსნება, „სხვად არას მოუბარია“. ამდენად არ სურს ამქვეყნიურზე საუბარი. ამავე დროს, ტარიელმა, მომავალმა მესიამ, როგორც აღვნიშნეთ, შესანიშნავად იცის, რომ სამყარო არაა სულიერად მზად, რომ ეს მოხდეს.

თუნდაც იმიტომ, რომ, ითქვა, უფალმა პირველი დღის შუქი ნაწილობრივ შეკვეცა ზედა სულიერ ცებში და იგი რომ გამოვლინდეს, ამისათვის მთელი ერის თორით ჭირნახულობაა და მისით ქმედებაა საჭირო. უმთავრესი კი აქ ისაა, რომ თორის კანონმდებლობიდან გამომდინარე ეს მათ მიერ დაკარგული ცხოვრების წესის არსის შემეცნება უნდა აღიდგინონ ებრაელებმა. თანაც, მათი დაპირისპირების გამო დაქვეითებულია მათი გონება. ამიტომაც ივიწყებენ ზეპირი თორის არსს, რომელიც რჯულში ზეპირსიტყვაობით გადადიოდა. და დღეს დგება დრო მისი გადაწერისა. აგრეთვე ვიცით, რომ უფალმა ჩამოაგდო დედამიწაზე თავისი სამართლის ბეჭედი და რომ ამ სამართლით წარიმართოს სამყარო, ამას დიდი ისტორიული მოვლენების განვითარება სჭირდება. ანუ ჯერ ისრაელმა მტკიცედ უნდა კვლავ აღიდგინონ ეს სამართალი ზეპირი თორის სწავლებით.

უნდა ჩამოყალიბდეს ყველა ისრაელთა ერთობის რჯულის კანონები, ლოცვათა მიმდინარეობა და დღესასწაულთა დაცვის წესები განდევნილობაში. ანუ ისინი კვლავ უნდა ჭირნახულობდნენ თორაში და ეს სულიერი განათლება უნდა იყოს მათი ცხოვრების კრედო სხვა ქვეყნებში*.

---

* ვიცით, ეს დღესასწაულები იწყება ეგვიპტიდან გამოსვლის, იგივე ფესახის აღნიშვნით. და როდესაც ეს დღესასწაული აღინიშნება, ის ისტორიული პროცესები, რაც მოხდა, არამცთუ იკითხება, ისწავლება კიდეც რეადღიანი დღესასწაულის მიმდინარეობისას. ნასწავლის სიღრმე მით უფრო ძლიერდება, რომ ისრაელნი იქცევიან ზუსტად ისე, როგორც მაშინ, გამოსვლის პერიოდში იყო, ანუ მიირთმევენ მხოლოდ მაცას, გამორჩეულად იკვებებიან და ა.შ.

ასე ებრაელნი, როგორც ადრე, ამ დღესასწაულით ერთიანი და შეკრული ხდებიან. ასევეა შემდეგი, თორის მიღების დღესასწაულის აღნიშვნა, როცა მთელ ერს ჰქონდა ღირსება, ესმინა უფლის ორი მცნება.

შემდეგია დღესასწაული ახალი წელი, რომელსაც წინ უძღვის ორმოცდღიანი მონანიება ისრაელთა ერისა იმ შეცდომათა გამოსწორებისათვის, რის შედეგადაც მიიღტვიან, მიუახლოვდნენ უფალს თვისებებით.

შემდეგ იწყება სუქოთის, კარვების დღესასწაული, რის შედეგადაც ისრაელნი ყოველ წელს მათი ერთიანობისა, უფლის და ურთიერთის სიყვარულის გამო, იწერებიან მარადიულ სიცოცხლეზე. ასე ჩამოდის, ძლიერდება შუქი ისრაელებში, სამყაროში.

ამ გასულიერებას და სულიერად გამოსწორებას შემდეგ მოსდევს ხანუქის დღესასწაული, როცა ყოველდღე, დღის განმავლობაში თითო-თითო სანთლის ანთებით თანდათან ძლიერდება ეს შუქი ისრაელთა სიყვარულის გაზრდით უფლისა და ურთიერთის მიმართ.

ყოველივე ამას აგვირგვინებს ფურუმის დღესასწაული, როცა ისრაელთა ერის სრულიად განადგურება იყო გადაწყვეტილი, რადგან ერი ითქვიფებოდა ებრაელთათვის არადამახასიათებელ ცხოვრების წესში პირველი ტაძრის დანგრევის მერე. ხოლო ისრაელთა

ებრაელთა ერთიანი გლოვა-ლოცვები ტარიელის სახე'ში და მონანიება, რომ მათი მიზეზით აღმოჩნდა უფლის შეხინა ქაჯთა ტყვეობა'ში, რასაც ხ'შირად უდიდეს განცდათა გამო მოსდევს შიმ'შილობაც მთელი ერისა, ეს საწ'ყისია ერის გაერთიანებისა ერთი მიზნით, რომ დააბრუნონ უფალი, მისი შეხინა სამყაროში მ'უდმივად სამეფოდ.

ხოლო შემდეგ ტარიელის ქმედება მიმართულია, რომ საქართველომ, მცხეთა-თბილისმა თანდათან შეინაცვლოს იერუშალაიმის ის ფუნქცია, როცა ისრაელნი ყოველი დიდი დღესასწაულის ჟამს მცხეთა-თბილისს აშ'ურებდნენ. ებრაულ დღესასწაულში კი უდიდესი სულიერი მ'უხტია ჩადებული. მათ უნდა ჩანერგონ ისრაელში ის ერთობა-თაყვდადება, როცა ერი გაერთიანებული იყო და ღირსჰყოფდა უფალი ამ საოცარი დღესასწაულების დაწ'ესებისათვის.

აი, ამ სხვადასხვა დროს მიღებულმა დღესასწაულებმა, შაბათისა და თვის დადგომის დღესასწაულთან ერთად, თორის გაძლიერებული სწავლებით, თანდათან უნდა შეკრას ერი – ეს არის უმთავრესი, რაც იცის მომავალმა მესიამ – ტარიელმა. ამასთან, სხვა ხალხების ღმერთის ენებით მეტყველება არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი განიკურნა ცხოველური მისწრაფებებისგან. ისინი არაიბერიელი ხალხი ესაიის მოდგმის მეთაურობით ჯერაც დაუძინებელი მტერია იაკობისა და მათი შემეცნება კვლავ ისრაელთა დამონებისკენ არის მიმართული, რომ კვლავ მათ იმეფონ და არა უფალმა, აგრეთვე მისმა ჭეშმარიტმა შვილებმა – იბერიელებმა.ამდენად მან, ტარიელმა, თავისი უდიდესი სულიერი განათლებით იცოდა რა, რომ შემცდარი იყო მსჯელობა როსტევანისა მისი მესიად მოელინებისათვის, ამიტომაც იგი ყურადღებას არ აქცევდა მის მიერ გამოგზავნილ მონებს, რაც 92-ე სტროფში აღვნიშნეთ:

თუმცა ეს ხალხი ცდილობენ გააგრძელონ მოლაპარაკება. შემდეგ, 93-ე სტროფ'ში წერია:

„თვალთა ხელი უკუიღლო, ცრემლნი ცხელნი მოიწ'ურნა,
ხრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი რად იყურნა! –
სხვასა მხარსა გაემართა, მათი ჭირი არ განკურნა“.

ამდენად, რომ წერია: „ხრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა, ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი რად იყურნა!“ აქედანვე უკვე ჩანს, რომ ის მათ საუბარს არ ისმენს და ხმალ-კაპარჭის მომაგრება ეს ის განათლებაა, რითაც არწმ'უნებს მონებს მათ მცდარ აზრში. ხოლო „სხვა მხარეს გაემართა“ რომ წერია, როგორც ითქვა, საერთოდ ამ თემაზე აღარ სურს მას საუბარი მათთან.

ანუ არაფრად არ ჩააგდო როსტევანის ხალხი. და რაკიღა ეს პროცესი გაწელილია დროში, ამით განრისხებულმა როსტევანმა, როგორც სულიერმა მეფემ საქართველოში, ხედავს, რომ ამდენ ხანს გრძელდება მათი მოლაპარაკება. თითქმის ჯარი ხალხი მიუგზავნა ტარიელს, რომ გამოელინდეს მესიად და ავალებს მის ხალხს ტარიელის ძალით მათთან მოყვანას, რაც ჩანს შემდეგ, 94-ე სტროფში.

„მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.
მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად,
ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“.

ტარიელის ასეთი ქცევა მიგვანიშნებს უკვე მის მეტად ძლიერ არგუმენტებზე, რომ ის არ წაყვება მონებს და ამ შემთხვევაში მისი მსჯელობა უფრო ღრმა არის, როცა მონები მის შესაპყრობად მიდიან. იგი გამომდინარეობს უფლის იმ მისწრაფებიდან, რომ სამყაროში ყველა უფლის შვილია. მარტო ებრაელთა და ქართველთა რჯულისკენ მობრუნება არაა საკმარისი. (თუმცა, ებრაელთა რჯულისკენ მობრუნებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება.) რამეთუ მაშინ ჩამოდის უდიდესი სულიერი შუქი, რომელსაც ხალხები, რომლებიც დღეანდელ, ესავის ცხოვრების წესში ტყუილში ცხოვრობენ, ვერ გაუძლებენ. და ამ შუქის ჩამოსვლის შედეგად დაიხოცებიან.

გულმხურვალე მონანიებით, ლოცვით და სამდღიანი შიმშილით გაერთიანდა სულიერად ერი, რის გამოც მოხდა უკვე უფლით სასწაული, რომ განა ისრაელნი, რომელთა ამოწყვეტაც იყო მეფის მოტყუებით გადაწყვეტილი, არამედ ყველა მისი მტრები, ვისაც უნდა შეესრულებინა ეს პროცესი – ისინი ამოიწყვიტნენ.

ამგვარად, ასეთი აზროვნება ქართულ ანდაზას ჰგავს: „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირი“. და ეს უფრო არაიბერიელი ხალხებისთვისაა დამახასიათებელი, რომელნიც მოყვასზე არ ფიქრობენ.

ამიტომაა მეორე სტრიქონში: „მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად“, ანუ იმდენად გაიცხა ასეთი მათი მსჯელობა, ისე შეცბუნდნენ ისინი, რომ მტერსაც კი შეეცოდებოდა. ასე შერცხვათ ამ მონებს თავიანთი ადრინდელი აზროვნება-მსჯელობისა. ამიტომ მესამე სტრიქონში წერია: „ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-აუპყრობელად“. ანუ ის ცხოველური აზრები, მიმართულებები, რაც იბერთა მეფეთათვის უცხოა, სრულიად გააქარწლა მათში ურთიერთდიალოგისას; „დახოცნა“ ამას მიგვანიშნებს. რამეთუ ფიზიკურად ხელითაც არ ეხება, რასაც გვამცნობს სიტყვები: „თავსა ხელ-აუპყრობელად“.

ხოლო ვინც ნაკლებ იმსახურებს დასჯას, მასზე წერია: „ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად“. ეს ის ზოგიერთი ხალხია, რომელთა დასაჯერებლად მისი – მესიის სიტყვები, შემეცნებანი „მკერდამდის განმაპობელი“ მათრახივით მოქმედებენ. დასტურად, ვიცით, ტარიელი, როგორც მოშე, უდიდეს სულიერ შუქს გამოსცემს. ამავე დროს, მესიის ყოველ სიტყვაში, რომელიც უფლიდან გამომდინარეობს, უდიდესი სულიერი შუქი, ძალაა შემეცნებისა. ანუ ის ჩვენთან ყოველთვის უფლის ენით ლაპარაკობს. და ასე ურწმუნონი, მათი უზნეო აზროვნების აღმოფხვრით, მოექცევიან. რამეთუ მათ ტვინში შემოსული ინფორმაცია მესიის სიტყვების შუქით, მათივე სისხლით, რომელიც მოლაპარაკეა, მთელ ორგანიზმს გადაეცემა. და ეს მოძრაობა სისხლისა სხეულში შეიძლება ისეთი სიძლიერისა იყოს, რომ ტვინს მიაწვეს და მოკლას ადამიანი. ამდენად, ამ სისხლის მოწოლით, როცა უკვე იგრძნეს სიკვდილის საშიშროებაც, მონები ნელ-ნელა ეგებიან გონს.

მათში ცხოველური აზროვნებათა აღმოფხვრა, რაც ჯერ საკუთარ თავზე ფიქრია, ამ სტროფში აღნიშნულ „დასჯებში მონათა“ დამაჯერებლად ეღერს. მაგრამ, ეტყობა, ეს მონები ვერ ასმენენ როსტევანს მისი აზროვნების უსუსურობას და მის მიერ გამოგზავნილი შემდეგნი უფრო მეტ აგრესიულობას იჩენენ. ეს მხოლოდ დიალოგისას ხდება, რადგან მონებმა კარგად იცოდნენ, რომ ტარიელი მომავალი მესიის სულის მატარებელია და მის ხელის შეხებასაც ვერ გაბედავდნენ. ამიტომაც ამ ცხოველური აზროვნების აღმოფხვრა უფრო მკაცრად გადმოიცემა, როცა გაგულისებული როსტევანი ისევ უგზავნის ხალხს, რაც გადმოცემულია შემდეგ, 95-ე სტროფში.

აქაც, მათი ცხოველური აზროვნებით მოსაუბრენი ყოველნი მოაკვდინა. ანუ იმ დონემდე მოხდა მათი აზროვნების აღმოფხვრა – სიკვდილი და გარდაქმნა, ვითარცა ყოველი ორის მასთან მოსაუბრეთა აზრები, მათი უსუსურობის გამო ერთმანეთთან შეეჯერებინოს და ასე მკაცრი ტონით მოეკვდინოს, გაექროს სრულიად მათი უსაფუძვლო აზროვნება.

ამდენად, მოხდა ტარიელის სიტყვებით სისხლის მიწოლა მათ ორგანიზმში ისე, რომ წამიერად სულმაც დატოვა სხეული. ანუ ასე წამიერად გათიშულნი, მომაკვდავნი, რომ არ წაქცეულიყვნენ, ერთმანეთს შეეჯახნენ და დაახლოებით ასეთი პროცესი გადმოცემული აქვს რუსთაველს სიტყვებში: „რაზომნიცა მიეწივნეს, ყოვლნი მკვდართა დაასახნა, კაცი კაცსა შემოსტყორცა, როსტან ამად ივაგლახნა“.

ანუ როსტევანის ყოველი ეს მცდელობა ამაო გამოდგა. და რომ აქ არავითარ დახოცვაზე, არამედ სულიერ შემეცნებაზე იყო მსჯელობა ტარიელსა და როსტევანის მიგზავნილთა შორის, ამის დასტურად 96-ე სტროფში წერია:

„შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად,
იგი ლაღი და უკადრი მიეა ტანისა მრხეველად,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად,
შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანა მდეველად“.

აქ ჩანს, რომ როსტევანი მიდის უკვე ავთანდილთან ერთად, რომელიც ტარიელის წარმომავლობისაა, ანუ დავიდის შთამომავალნი არიან ორივე. და მიდიან უკვე მის მოსაწეველად ანუ სასაუბროდ მოსაწვევად, ყოველგვარი შერისხვის გარეშე. თორემ ამდენი მონა რომ დაეხოცა, მართლაც, ესენიც საომრად წავიდოდნენ. შემდეგ სტრიქონში ავთანდილის დახასიათებაა, რომელიც სულიერად მაღალ დონეზეა. და ტარიელმა რაკი ნახა, რომ ისინი ერთად მოდიან, არ ისურვა უკვე მათთან საუბარი, რამეთუ ყველაფერი, რაც უნდა ეთქვა, როსტევანის მონებს უკვე გადასცა; ამასთან, მათ – მეფეთ მონათა დონეზე გაიცხვა არ აკადრა, ამიტომაც წამიერად გაუჩინარდა. მისი ასეთი ქმედება კი კაბალის, ანუ უფლის ოთხასოიანი სახელის შემეცნებიდან

გამომდინარეა. ამდენად, მოერიდა მათივე ბავშვებივით დამოძღვრას – გაწბილებას, ამიტომ 97-ე სტროფში მოცემულია მისი წამიერი გაუჩინარება.

შემდეგ კი, 98-ე სტროფში, აღწერილია უდიდესი გაკვირვება სიტყვებით, როგორ გაუჩინარდა ეს დევივით აღნაგობის პიროვნება:

„კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევისა,
აგრე კვალ-წმიდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა“.

შემდეგ, ამავე სტროფში გრძელდება:

„ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა.
მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“.

ეს სტრიქონები მიგვანიშნებს უკვე ლაშქართა სულიერად განათლებაზე, განკურნებაზე, რადგან ტარიელთან საუბრისას ამოიძირკვა მათში ის ცხოველური მიმართულებები, რომლებსაც ვერ გრძნობდნენ და ტარიელმა თვალი აუხილა. ანუ ჯერ ნაადრევია მესიის გამოყვლინება, აგრეთვე მკვდართა გაცოცხლება და ყველას გამოჯანმრთელება.

და საერთოდ, ჩვენ ვიცით, რომ როცა არასწორად ვაზროვნებთ და ვქმედებთ, უფალი გვიგზავნის დაავადებებს, რომ გამოვსწორდეთ. ახლა კი ეს არასწორი აზროვნებანი მესიამ აღმოფხვრა მათში; ამაშია მესიის მოსვლის არსი დღესაც. ის განსწავლის ყოველივე ურწმუნოს მათი ცხოველური აზროვნების აღმოსაფხვრელად, რათა გაუძლონ უფლის გაძლიერებული შუქის ჩამოსვლას. ცისა და დედამიწის გაერთიანებას ამ შუქით მარადიული ცხოვრებისათვის. დასტურად, შემდეგ როსტევანი ასე ახასიათებს ტარიელს: „მისმა შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“. ანუ ახლაც ისინი ტარიელმა ჯერ სიტყვით განკურნა. ასე განკურნებული შუქით აღმოფხვრა ყოველივე ცხოველური, და შემდეგ ისინი ნელ-ნელა იკურნებიან უფლით შთაბერილი დაავადებისაგან. და ვისაც დაავადებანი, წყლულნი აქვთ, განიკურნენ, ამიტომაც „სწრაფა აქვს წყლულთა ხვევისა“, ანუ განკურნებული ნაიარევი აღგილი შეიხვიეს.

ამდენად, ყველას გაუცრუდა იმედი, რომ ჯერ არ არის დრო მესიის მოვლინებისა.

აქედან გამომდინარე, როსტევანი, რომელიც ზეიმობდა ავთანდილისა და თავის წარმატებას, რაკილა „ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს“, ანუ ამოიძირკვა მათში ის ცხოველური, რითაც ეგონათ, რომ ლხინი ექნებოდათ. იგი ხედება, რომ უფალს სურს ყველა თავისი შვილი მოაქციოს ისრაელთა და ქართველთა მეშვეობით, რომ იწყება ომების – დაპირისპირების პერიოდი მრავალსაუკუნო-ვანი მცდელობისა სხვა ხალხთა მოქცევისათვის. და ეს არის მიზეზი მის ლხინთა დალევისა, რასაც გადმოგვცემს მეოთხე სტრიქონი: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“.

ეტყობა, ამის მიზეზი შემდეგშიცაა: ამ პერიოდში, გაირკვა, რომ იმ ხალხებმა, ვინც მათ აამეტყველეს, კვლავ შექმნეს, თავიანთი თვისებიდან გამომდინარე, კერპთაყვანისმცემელთა ენები და ცხოვრების წესი, რითაც კვლავ ბოროტება იწყებს მეფობას.ეს მოხდა ამ პროცესიდან 45 წლის გასვლის შემდეგ რომის, ესავის მოდგმის, თაოსნობით, რომელთაც არა მხოლოდ გაამრუდეს რჯულის კანონები, შემდეგში კვლავ შექმნეს ახალი ენები, სადაც სიამაყეა ჩადებული. ამის მერე ჩამოაყალიბეს თორის საწინააღმდეგო კონსტიტუციები პირველ რიგში დაპირისპირებისა და ომებისათვის, ადამიანთა უზნეოდ ქმედებისათვის. რათა ჰქონოდათ საბაბი დაპირისპირებისა ისრაელებთან, რომ ისინი გამხდარიყვნენ მეფენი, წარმმართველნი სამყაროს გეოპოლიტიკისა.

ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“, როცა ეუბნება ტარიელი ასმათს, ხიდები დაგვენგრაო. აგრეთვე, ჩვენს მიერ უკვე მოყვანილ სიუჟეტში, როცა იგი შეეცრება სამ ძმას, რომლებიც ერთმანეთში კამათობენ და დავობენ იმის გამო, რომ ჩემი რჯული სჯობიაო. ადრე კი სიყვარულით ძმურად ვითარდებოდნენ.

გავიხსენოთ, ეს სამი ძმა სამი რელიგიის სახით ტარიელისგან, მომავალი მესიისგან ნაცემი, ავთანდილს რომ უამბობდნენ საკუთარ გაჭირვებას (იხ. წიგნი 1-ლი). ანუ ტარიელი სამივე ასეთი მიმართულების ძმას, იგივე რელიგიებს, გალახავს და დაახლოებით როგორც როსტევანის მონებში, ისე აღმოფხვრის მათში მათ ცხოველურ აზროვნებებს. რისი საფუძველიც არა უფლის ენებით მეტყველება, არამედ თორის კანონიკური მიმართულების გამრუდებაა. და ასე ის ვერ მოვა ვერასდროს მესიად.

დასტურად, ძალიან უჭირს, იდევნება ამ რელიგიებით ებრაელობა, ამიტომაც ქართველთა შეხვედრა – თინათინის მიერ მოხდა ავთანდილის დაბარება-საუბარი, რათა დაეხმაროს ებრაელთ, რომელთაც ძლიერ ერჩიან და გაუსაძლის მდგომარეობაში

ამყოფებენ ახალ ინდოევროპულ ენებზე მოსაუბრე მოდგმის რელიგიათა წარმომადგენლები. გავიხსენოთ:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად;
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
და წა და იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.
ჩემგან შენი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეჯირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე,
გულსა გარე საიმედო, ია მორგე, ეარდი ყარე,
მერე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.“

ამდენად, ეშმას – ბილწსიტყვაობის – ენები უნდა აღიკვეთოს. ხოლო ია და ვარდი, ეს ორი საიმედო ენა, წმინდა და დედა, რომელთა ჟღერადობა ესალბუნება სულსაც და გულსაც, კელავ უნდა დაინერგოს. მაშინ ისრაელთ აღარ ექნებათ გაჭირვება. რამეთუ მათი, თორიდან გამომდინარე ქართული ცხოვრების წესის დანერგვით ორი ლომის, ორი ერის – ისრაელთა და ქართველთა გამარჯვება გარდუვალია.

ამდენად, აქ მოყმის ძებნაში გადმოცემულია ქართველების მეტად საპატიო, საამაყო მისია, უფლით დაკისრებული, ჯერ მიიღონ საიდუმლო განათლება ებრაელთა მიერ განვითარებული, თორიდან გამომდინარე. შემდეგ კი გავაძლიეროთ ქმედებანი, რათა მიეიღოთ მონაწილეობა სამყაროში სულიერი განათლების განვითარება-დანერგვისათვის, რამეთუ ქართველთა მართლმადიდებლური რჯული გამორჩეული იყო.

იგი გვიწყობდა ხელს, თორის ფუნდამენტური მრწამსიდან გამომდინარე, დაგვენერგა საქართველოში სამოთხისებური ცხოვრების წესი და აგრეთვე ვყოფილიყავით მართლმადიდებელი ქრისტიანები. ეს ისტორიული პროცესი აღწერილია 1-ლ წიგნში და მე-2 წიგნის II ნაწილში იმ დონემდე, რომ ჩვენი ძალისხმევით და თავგანწირვით დავეხმარეთ ისრაელთ, რის შედეგადაც ისრაელის სახელმწიფო უკვე დამოუკიდებელია. ოღონდ ეს პროცესი მოგვიანებით მოხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული აზროვნება, უპირველესად როსტევანის სახეში, ეწინააღმდეგებოდა ამის გამო საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაწირვას.

და ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ მირონცხებულ ბაგრატიონებს, ეცხადებოდათ უფლის შეხინა და მოძღვრავდა მათ, რომ სამყაროს ხსნისათვის ეს პროცესი უნა განხორციელებულიყო. ამიტომ ყველა მათი წარმომადგენელი მიიღტვოდა, რომ აღესრულებინა უფლის დამოძღვრება. თუმცა იმასაც ხვდებოდნენ, რომ ტახტს დაკარგავდნენ, მაგრამ ასრულებდნენ უფლის ნებას და ამ ქმედების სიკეთეს დღეს უკვე ვხვდებით. ამის გამოა, რომ მალე უნდა მოგვეელინოს მხსნელი, რაც დასაბუთებულია ჩვენ სამივე ნაშრომში. ამიტომ მიიღო ბრძანება რუსთველმა „თქმა ლექსებისა ტკბილისა“. მის სახეში კი ავთანდილმა შეიცნო თორის სიბრძნის არსი, როცა ის შეეყრება ტარიელს. ხოლო ჩვენი ნაშრომებიდან გამომდინარე, ჩვენც შევიცანით იგი.

და უკვე ვხვდებით, რა ვაკეთოთ. რაა ქართველთა – ავთანდილთა მისია, რათა შევიტანოთ წვლილი მესიის მოვლინების საქმეში. მაგრამ ამისათვის საჭიროა მთელი ერის ძალისხმევა. ამიტომ უნდა შევიცნოთ ეს ყოველივე, რათა სხვა ეროვნებებიც განვანათლოთ, ყველა უფლის შვილია.

ამიტომ, ითქვა, შემდეგ მოხდა ისრაელთა გასვლა-გაფანტვა მთელ მსოფლიოში, რომ ისრაელთა თორის სწავლით ყველგან ჩამოეტანათ სულიერი შუქი და ყოფილიყო ბარაქა, კეთილდღეობა. რამეთუ, ცნობილია, ისრაელთ შეხინა დაჰყვება განდევნილობაში.

დასტურად, როცა ებრაელნი პირწმინდად გავიდნენ წმინდა მიწიდან, ვიცით, ის აღმოჩნდა სხვადასხვა მუსულმანურ და ქრისტიანულ სახელმწიფოების კუთვნილება სხვადასხვა დროში და ეს სამოთხე ქვეყანა უდაბნოდ გადაიქცა. ხოლო როცა დაბრუნდნენ ებრაელები, მათ ეს ქვეყანა თორის სწავლით კელავ სამოთხედ აქციეს.

იმ ქვეყნებში კი, რომელნიც მათ დატოვეს და დღესაც სტოვებენ, საშინელი სტიქიური მოვლენებია და მეტად მწირი, უგემოვნო საკვები აქვთ. ხოლო ჩვენთანაც, საქართველოში, თორის სწავლება მხოლოდ თბილისშია და, მადლობა ღმერთს.

ამდენად, რუსთველიდან გამომდინარე, განვმარტეთ, რომ ორჯერ მოხდა უფლით ხალხთა გონების წართმევა და მათი დამუნჯება, მათში ცხოველურ მიმართულებათა გავრცელების გამო. ჯერ გოდოლი რომ ააშენეს, მეორედ – რომ მიითვისეს უფლის ასო-ნიშნები და საკუთარი ანბანები შემოგვთავაზეს. ხოლო დღეს რომ იგივე საშიშროება ელით და ვერ გრძნობენ, რომ სატანის იმ ზოოპარკში არიან გამოკეტილნი,

სადაც საბოლოო სიკვდილი გარდუვალია, ამიტომ, თუ როგორია ეს ზოოპარკი, ჯერ ამის განმარტება გვსურს. შემდეგ კი უკვე იოლი იქნება დაისახოს გზები ხალხთა საბოლოოდ მოსაქცევად,

1.8. ენის მეორეგზის უგულებელყოფა – გზა ადამიანთა კვლავ მხეცებივით სატანის სიკვდილის ზოოპარკში გამოკეტვისა

ამდენად, ტანის – სხ-ეულის, რომელიც ეულია, მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიილტვიან ადამიანები, რომ მიითვისონ ერთმანეთის მიწა-წყალი, არის ომი და დაპირისპირება. და რაკი ადამიანი მეფედ, სამყაროს წარმმართველად შექმნა უფალმა, ეს დაპირისპირება ბუდობს აღეკვატურად არა მარტო მნათობებში, ასევე ცხოველთა სამყაროშიც. ამავე დროს, ადამიანი, ვინც მეფედ ამ ცხოველებზე და სამყაროზე შექმნა უფალმა, რომ ყველა ცხოველზე უფრო ზნედაცემულია, ჯერ ეს გვსურს განემარტოთ.

ამისათვის აღვწეროთ ცხოველთა შინაგანი მრწამსი, როგორ ლოცულობენ სიკეთის გამარჯვებაზე. როგორაა მათი მისწრაფება უფრო პროგრესული, ვიდრე ჩვენი, მის გამო, რომ ჩვენ მათსავით ჩვენზე დაკისრებულ მისიას არ ვასრულებთ.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ყოველი ცხოველი თავის ფუნქციას ასრულებს და არასოდეს არ სცოდავს. და რა გასაკვირია, რომ აქედანა აქვთ აგრეთვე წინასწარმეტყველური ნიჭიც. ანუ ის, რაც ჩვენ უნდა გვქონდეს, მათზეა გადმოსული. აი, ჯერ ამაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„ქმნილებათა გალობაში“ სოლომონის მიერ მოყვანილია, როგორ ადიდებენ ცხოველები უფალს. მაგალითად, ლომი როგორ წინასწარმეტყველებს სიკეთის გამარჯვებას: „გამოვა უფალი ვით გმირი; შურისძიებით აღიყსება ვით მეომარი, დასჭყიველებს, ყიჟინას დასცემს, თავის მტრებზე გაიმარჯვებს“. დათვი კი ასე ამთავრებს მის ქებას: „იხარონ კლდის ბინადრებმა, მთათა წვერებიდან იყიჟინონ, უფალს სადიდებელი შეჰღაღადონ და მისი დიდება კუნძულებს აუწყონ“. ხოლო მტრედი, ადამიანზე რომ არ იყოს დამოკიდებული, ასე შეჰღაღადებს უფალს: „უფალო ღმერთო! ჩემი საკვები დაე ზეთისხილივით მწარე იყოს და შენით მქონდეს მოცემული, ვიდრე თაფლივით ტკბილი და ძე-ხორციელმა მომცეს“. მას არ სურს, იყოს ადამიანზე დამოკიდებული.

რა თქმა უნდა, აქ წმინდანებზე არაა ლაპარაკი, რამეთუ მამალი ამბობს: „მაშინ, როდესაც უფალი წმინდანებთან სამოთხის ბაღში მიდის, სამოთხის ბაღის ყოველი ხე სურნელს აფრქვევს, მღერიან და ხოტბას ასხამენ“. ამიტომაც შემდეგ მოგვიწოდებს კიდევაც იგი: „გახდით წმინდანნი და ისწავლეთ თორა, რათა თქვენი გასამრჯელო ორმაგი იყოს მომავალ სამყაროში“. ეს მესამე ხმაა მისი. მეოთხე ხმით იგი იძახის: „შენი შველის იმედი მაქვს, უფალო“. აქ უკვე მოწოდებაა კაცობრიობის გამოღვიძებისაკენ, რომ ყველა მიენდოს უფალს და იქვე ჩვენთვის იძახის მეხუთე ხმაზე: „როდემდე იწვები, ზარმაცო, როდის ადგები შენი ძილისგან“.

აქ ჩვენ იმ ძილზეა ლაპარაკი, რომ ადამიანები დაცილებულნი ვართ უფალს, არ ვართ თორით შერწყმულნი მასთან, ამიტომ ვერ გადავლახეთ ასომთავრული ანბანის, 30-ე „ძილ“ ასო-ნიშნის მოქმედების სფერო, ვერ ვაღდგენთ უშეცდომო მზის კალენდარს 30-დღიანი თვეებით და საღათას ძილში ვართ ჩაფლულნი. ვერ გავრკვეულვართ 31-ე „წილ“ ასო-ნიშანში, სადაც ყველას მიწა-მამულის წილობრივად განაწილებაა მოცემული. რის შემდგომაც ამოქმედდება ჩვენი საკვირაო კალენდარიც, რაც 30-37 ასო-ნიშნებშია გაცხადებული, რათა ყოველი დღე იყოს დღე სამოთხისა – შაბათი. ამიტომ მამალი მეექვსე ხმაზე განაგრძობს: „არ შეიყვარო ძილი, ჩვევად არ გექცეს, გაახილე თვალები, გაძეხი პურით“.

თუ გაყოფა გვექნება, მაშინ იქნება ულევი ბარაქა, ყველა გაძღება პურით და ჩვენი თვალებიც ხილული იქნება. ამდენად, თვალების გახელა უკვე არა ჩვენი მატერიალური, არამედ მთელი სამყაროს ღვთიური სულის თვალებით ხედვაა უფლის სიბრძნით, თორით, ჩვენი გაბრძენების შემდეგ.

და ბოლოს მეშვიდე ხმაზე იგი იმავე შაბათ – მეშვიდე დღეზე ამბობს: „ჟამია, რათა ვიმოქმედოთ უფლისათვის, აღკვეთეს თორა შენი“.

ანუ დღეს მრავალია, ვინც ჩაება უზნეობის მორევში და სრულიად დაცილებულია თორას. აი, რატომაა, რომ ამდენს ყივის მამალი მთელი დღის განმავლობაში და ჩვენ ვერ ვისმენთ სოლომონ ბრძენივით მის ხმას. ისევე, როგორც სხვა ფრინველების გალობას, ჭიკჭიკს, რომლებიც ადიდებენ უფალს და ამიტომაც მათ აქვთ უფლისგან მინიჭებული წინასწარმეტყველებაც, თუ რა მოხდება შემდგომში.

ასე დავცილდით უფლის წინასწარმეტყველებას და მძინარენი დავიარებით. აი, რისთვისაა ქართული ქეიფისას სიმღერები და ცეკვები უფლის ქება-დიდებისა. ეს ის ქართული ცხოვრების წესია, რითაც სიყვარული ინერგება. აი რატომ იყო, რომ მშიერი ლომიც და ვეფხვიც ნეტარებით უსმენდნენ უდიდესი წმინდანის, დანიელის, თორის სიტყვებს.

და მერცხალიც ასე ამბობს: „ამისათვის გიგალობებს სული ჩემი და არ დადუმდება, შენ გადიდებ უკუნისამდე, უფალო, ღმერთო ჩემო“. და განა მივალთ ჩვენ, ადამიანები, რომელთაც ამხელა ღირსება მოგვცა შემოქმედმა, თუნდაც მერცხლის დონეზე. უნდათ ცხოველებს, რომ ჩვენც მივიდეთ ღმერთთან, თორა – ხე სიცოცხლისა ვისწავლოთ, რომ ამ ნასწავლის აურით განიწმინდოს ზეცა და აღარ დაბინძურდეს ჩვენი ერთმანეთთან დაპირისპირებით, ლანძღვა-გინებით, არამედ ვადიდოთ უფალი, რომ მშვიდობამ, ერთობამ, სიყვარულმა დაისადგუროს.ვერცერთი ადამიანი ვერ შეედრებაცხოველებს უფლის ქებათა ქებაში.

გავიხსენოთ, ნეტარხსენებულმა რაბინებმა თვით დავიდ წინასწარმეტყველზე ბრძანეს: როდესაც დავიდმა დაამთავრა ფსალმუნების წიგნის წერა, სიამაყე იგრძნო და მიმართა გამჩენს: „ნუთუ არის შენს სამყაროში ისეთი ქმნილება, რომელიც ჩემზე მეტს გიგალობს, ჩემზე მეტ ქება-დიდებას გიძღვნის“. იმავე საათს ბაყაყი დაუდგა წინ და ეუბნება: „დავიდ, ნუ იამაყებ ზომაზე მეტს, რადგან მე შენზე მეტ გალობას და ქება-დიდებას ვამბობ. და, განა მარტო ეს, ყოველ გალობას, რომელსაც მე ვამბობ, სამი ათასი იგავი შეესაბამება. როგორც ნათქვამია – და იტყვის სამი ათას იგავს და იქნება მისი გალობა ხუთი ათასი.

და არა მხოლოდ ეს; მე დიდი მადლით ვარ დაკავებული. ზღვის სანაპიროზეარის ერთი ჯიშის ქმნილება, რომელიც წყლიდან საზრდოობს. როცა ის მშიერია, მე მჭამს და მსანსლავს. ყველაზე დიდი მადლია, შეასრულო ის, რაც ნათქვამია „თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი; თუ მწყურვალია, წყალი ასვი მას. როცა მტერი გაჭმევს და გასმევს, ისეთი გრძნობა ახლავს, ნაკვერჩხლად ირგებს ყველაფერს. მაგრამ გამჩენი შენ არ დაგიკარგავს საზღაურს. ყველაფერს უკლებლივ მიიღებ კეთილ საქმეთა ქმნის გამო“.

აი, რას გკარგავთ ადამიანები, როცა არ ვსწავლობთ თორას.ადამიანებსაც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთში გვერდში დგომა, გაცემა-გაყოფა და ასე ვიგამგებლებთ ცხოველებზე, ვიცხოვრებთ ერთ გარემოში. მარადიულად იქნება გარემოს ეკოლოგიური მდგრადობა, ურთიერთსიყვარული და მორჩილება ცხოველთა. წარმოუდგენელი სილამაზის ფლორითა და ფაუნით ნეტარი ტკბობა – შედგებოდა სამოთხე ქვეყანა.

მაგრამ ადამიანი რაკიღა დაეშვა, უფრო მეტიც, არ სწამს ღმერთი, იგი ცხოველური სულის მისწრაფებით ცხოველზე მეტად აგრესიული ხდება.და რაკიღა იგი მეფეა სამყაროსი, ეს აგრესია ცხოველებზე გადადის.

ამიტომაც არა ღმერთის, არამედ სატანის მონაზე ცხოველები გამოხატავენ აგრესიას. ისინი გრძნობენ, რომ უღმერთო ადამიანი არაა მათსავით ღმერთთან მავალი და მისი მადიდებელია. რომელიც მეფედ შექმნა უფალმა და ახლა ამ უმადურს სურს, ღმერთს გაუტოლდეს. აი, რატომაა მათი აგრესია ადამიანებზე.

ხოლო ადამიანებს არ უნდათ, მოსცილდნენ იმ ნეტარებას, რაც ფლორისა და ფაუნის სილამაზეა, ამიტომ ქმნიან ზოოპარკებს, სადაც აგრესიულ ცხოველებს გალიებში ათავსებენ და მხოლოდ ასე ტკბებიან მათი მზერით, ოღონდ არა მუდმივად.

ეს კი სატანის გამარჯვებაა, ის ხარობს, რომ ზუსტად ანალოგიურად დაამონა ადამიანები, რომლებიც დასცილდნენ უფლის მცნებებს.ამიტომაც ცხოველებთან თანაცხოვრება არ შეუძლიათ, რადგან ისინი ცხოველური სულით მოქმედებენ. საკუთარი გარემო მშენებლობებით მიითვისეს, ახლა ცხოველთა საცხოვრებელი გარემოს მითვისებით შეავიწროვეს მათი გამრავლების არეალი, რაც ცხოველებისგადაშენებას იწვევს. ასე ერჩიან, ავიწროებენ ისინი ადამიანებს, პირუტყვებს. ანუ მოქმედებს „ჯუნგლის კანონი“, რომელსაც ადამიანები აწესებენ. – გინდათ გამრავლდეთ? მე მხოლოდ ზოოპარკში გაგამრავლებთ, დაგიმონებთ. აი, რატომ არ სურს მტრედს ისეთი სიცოცხლე, რომ ადამიანს მონობდეს. იგი ხომ უფლის უდიდეს მადლიერებას გამოხატავს იმითაც, რომ მუდამ ერთგულია თავისი მეწყვილე მტრედისა. როგორც ვიცით, ერთ-ერთის სიკვდილის მერე მეორე მტრედი აღარავისთან წყვილდება და დარდით კვდება. ჩვენ კი ვღალატობთ ჩვენს მეწყვილესაც და შემოქმედსაც.

ამიტომაც, ადამიანებში რაკიღა ღალატია, არაა ერთგულება, სიყვარული ორმხრივი, წართმევა-დაპირისპირებაა, სიკვდილიანობაა. ხოლო ამ სიკვდილიანობის საზღაური

სატანის სიცოცხლეა, რამეთუ მის წინაშე ორი ალტერნატივაა – ან ჩვენ ვიკლავთ თავს და ამით ვაცოცხლებთ სატანას, ან არადა, ჩვენი სწორი ცხოვრების შემთხვევაში, ის გაქრება ჩვენში და უფალიც გააქრობს მას.

ამიტომ მხოლოდ მისი მეცადინეობითაა, რომ მისი სიცოცხლისათვის ადამიანები სჩადიან იმ უზნეობებს, რაც საკუთარ სიკვდილს იწვევს; მაგალითად, შეაქვთ ნიადაგში მომწამვლელი ნივთიერებები, სვამენ კოკა-კოლას, ეწევიან, ნარკომანობენ და ა.შ. ამავე დროს, არცერთი ცხოველი იმას არ აკეთებს, რაც მას ავნებს. კატა არასდროს არ შეჭამს პურს. ადამიანი კი ყველაფერს ჭამს, მათი სიკვდილის საშიშროების მიუხედავად და ეს ჩვენი ტვინის გაბრუება-მიძინება ზუსტადაც სატანის მეცადინეობითაა.

ეს ყველაფერი დაიწყო ადამის შეცოდების შემდეგ, როცა მან სამოთხეში მანის მსგავსი საკვების მაგიერ მიირთვა აკრძალული, ჩვენთვის მავნე მატერიალური საკვები.

ამან გამოიწვია ჩვენი სხეულის ტან-ჯვა, ანუ კუჭში გასვლა და ორგანოთა ცვეთა.

ასე მოათვისა სატანამ უფლის შვილები საკუთარი სიკვდილის ზოოპარკში. უფლის მიერ შექმნილ სამოთხეში ცხოვრების ნაცვლად და ასეთ ცხოველ-ადამიანთა, ცხოველური სულის მონათა დამორჩილების პროცესი თითქოს შეუქცევადი ხდება, რადგან, სიამაყის და საკუთარი მე-ს სატანო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, განდიდებისთვის ჩაებნენ ადამიანები ურთიერთდამონების და მიწების მიტაცების ფერხულში. ესეც უცხოა ცხოველთათვის.

ამდენად, ხარობს სატანა, რომ მან შექმნა ზოოპარკი, სადაც ცხოველებზე ბევრად აგრესიული ადამიანებია.

ისინი სატანის ის ქვეშევრდომებია, რომელნიც ამ მიწებზე ავითარებენ მშენებლობებს, სადაც ამუშავებენ მათ, ვისაც ეს მიწა წაართვეს. ასე ისინი უკვე აღარ ლოცულობენ ღმერთის წინაშე მოსავლისათვის. რადგან დღედაღამ მონურ მუშაობაში ჩართულები ვეღარ ეწაფებიან სულიერ განათლებას და მართლაც იქმნებიან მონური ფსიქოლოგიის, რადგან ხელფასს უკვე თავიანთი დამმონებლებისგან ელიან.

და ასე მათ დამმონებელ ე.წ. ადამიანებს, ემონებიან და ეთაყვანებიან იმ დონემდე, რომ ასე ისინი მათ კერპაბადაც იქცეიან და თუ ცხოველები ზოოპარკში აგრესიულები ხდებიან, ესენი ისე ეჩვევიან ასეთ ყოფას, რომ არ არიან საშიშნი.

ხოლო საშიშ ადამიანთათვის სატანის კარნახით ე.წ ძლიერებმა ამა ქვეყნისა – ფულიანებმა შექმნეს კიდევ ერთი ზოოპარკი – ციხე (რაც თორით დაუშვებელია). რამეთუ ჩვენი ციხეში გამომწყვდევა უფლით ხდება, როცა გამოუსწორებელნი ვავადდებით და ანგელოსნი არიან ჩვენი ზედამხედველნი (იხ. წიგნი მე-3). ასე მათ ხმის უფლება არა აქვთ, არ აჩენენ მათ ე.წ. ზოოპარკის არც პრესაში, არც ტელევიზიაში. ასე ჰყავთ გამოკეტილი სატანის სამსახურში მდგომ ადამიანებს ცხოველებიც და მათი მოძმე მართალი ადამიანებიც.

ამ დამმონებელ, სატანის სამსახურში მდგომ ადამიანთა განდიდებისათვის საკანონმდებლო მასალათა შექმნით იღვწიან პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია, რადგან ისინიც, კუდის მოქიცინე ცხოველივით, ამ ფულიანებით ფინანსდებიან, და ასე, ღმერთის შვილად გაჩენილნი, ყველანი კუჭის, სატანის მონები ხდებიან.

ასე იქმნება ერთი მუჭა სატანის მსახურთა, ფულიანთა მონა პარლამენტები, მთავრობები და მესამე ხელისუფლება – მასმედია, რომელნიც, რაკიღა ცხოველთა დონეზე დაეშვნენ, მრავალ უზნეობათა კადრებასთან ერთად (დასმენა, მლიქვნელობა და სხვ.) მათ დასაკანონებელ, თორის რადიკალურად საწინააღმდეგო კანონმდებლობასაც ქმნიან და ამაში უმთავრესი სხვათა კუთვნილი მიწების მითვისებაა მშენებლობათა განვითარებისათვის.

ასე ივიწყება გაყოფა-გაცემა-სიყვარულზე დაფუძნებული სულიერი მიწათქმედების წესი. ამ წესითაა თითქოს 613-ვე მცნების შესრულება პირდაპირ თუ ირიბად და ღმერთის მიერ დაფუძნებული პატრონყმობის ინსტიტუტი.

და ეს რომ ინერგებოდა ორი ძმის მიერ, ამიტომაც შეიქმნა საქართველო – იბერია-კავკასია ტაძარ-ქვეყნად, რომელშიც, როგორც ითქვა, უფლის შეხინაა დავანებული. და თუ ისრაელთ ეწოდა წიგნის ხალხი, ჩვენ გვეწოდა მიწათმოქმედი ამ წიგნით.

ხოლო ასეთი ზოოპარკის შექმნა-მშენებლობა დაიწყო, როგორც ითქვა, როცა იბერია-კავკასიაში, გამრავლდა ორი ძმა მათი სულიერი ცხოვრებით, და უზნეონი იკვეთებოდნენ. ეს მოკვეთილნი იბერიიდან ერწყმებოდნენ ქამის მოდგმას. და ბოლოს, მათმა ნაერთმა ნიმროდის ხელმძღვანელობით იმძლავრა. მათ გააუქმეს შუმერეთში, ქენაანზე, ეგვიპტეში იბერიული ცხოვრების წესი და შექმნეს მონათმფლობელური,

სწორედ ასეთ მშენებლობათა განვითარებით, როცა ააშენეს გოდოლი და პირამიდები. ხოლო ეგვიპტეში ებრაელთა დასამონებლად დაიწყეს დამატებით ორი ქალაქის მშენებლობა.

ამდენად, მათ უნდოდათ, გადაეგვარებინათ ქართული ცნობიერების წესი. ამისკენ, ჩვენი სულიერების წინააღმდეგ, იღვწოდა სატანის უერთგულესი მონა, პროლეტარიატის ბელადი ლენინიც. რომელმაც შეგნებულად უფალს მოცილებული, მუდმივად მუშაობაში ჩართული თავისი ქვეშევრდომების, ამ ურწმუნოთა, სულიერად გაუნათლებელთა, მუშათა კლასის ჰეგემონიაც აღიარა.

ეს ყველაზე დიდი ბოროტება შაბათს – უფლის დასვენების დღეს მუშაობდა, ვითომ მე ვარ სამყაროს მეფე და არა გამჩენიო, რათა დარჩენილი გლეხობაც უფლის მორწმუნენი, მშენებლობაში ჩაფლული,მოეწყვიტა სულიერი მიწათმოქმედების წესისგან. ისევე, როგორც ადრე ეგვიპტის ფარაონმა მოიმოქმედა.

ამიტომაა მათი ტანჯვა, რომ ფარაონებიც და ლენინიც დღემდე არ ელირსნენ მიწაში დაკრძალვას. მათმა მოწაფე ჰიტლერმაც ხომ ასევე მუშათა ნაციონალური პარტია შექმნა, რათა ასეთი ულმერთოებით, გაუნათლებლობით, გერმანული ეგრეთ წოდებული ცისფერსისხლიანი რასის ჰეგემონიაც დაეწესებინა.

მათ გარემოში, რაკიღა ეს ხალხი არაიბერიულ ენაზე ლაპარაკობდა, ეს ყოველიეე იოლი იყო. ჰიტლერის, ლენინის ენას ადვილად უგებდა მათი ხალხი და ასე აღტყინებულნი, ამ ენით მოწამლული სისხლით უმალ შეიქნენ ისინი იმპერიული ჟინის ქვეყნებად. აი, ახსნა იმისა, რომ ყველა ინდო-ევროპულ ენაში და მათ ხალხებში – ინგლისური, პორტუგალიური, გერმანული, რუსული – ჟინია სხვა ტერიტორიათა მითვისებისა.

ეს ხალხი, მშივრებიც რომ იყვნენ, ეთაყვანებიან იმ მმართველებს, ვინც იმპერიას ადიდებს და ქვეყნებს იპყრობს. ისინი ამას არც მალავენ, ამბობენ კიდევაც, აფხაზეთში და სამაჩაბლოში იმიტომ შემოვედით, რომ დავიცვათ რუსულენოვანი მოსახლეობაო. ანუ ეს უკვე ყველა სატანის მონაა და დაცვაა სატანის მეცადინეობით შექმნილი იმ ცნობიერებისა, რითაც მალე მათი გარდაუვალი სიკვდილია. ამიტომაც ყველა ამ ქვეყანაში სატანა მეფობს და არა უფალი.

და ვერ ხვდებიან ეს საცოდავი, ბეჭავი ხალხი, აფხაზები და ოსები, რომ ღმერთის ენებიდან და უფლის შვილობიდან ცხოველებზე უფრო დაბლა ეშვებიან და სატანის მონები ხდებიან, რამეთუ მეტყველებენ იმ უზნეო ენებზე, რის შედეგადაც იკარგება წინაპართა ის გენეტიკური კოდი, რის გამოც მათ და მათ შვილებსაც გადაშენება მოელით.

ასე, ამ სამყაროში, სატანის ზოოპარკში შეიქმნენ მისი მონა ეგრეთ წოდებული მოთაეე, უფლის ადგილის დამკავებლები, ცხოველური ჟინის ქვეყნები, რომელთაც განაწილებული აქვთ გაელენის სფეროები. და მალე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მათი მამა-პაპათა უნიკალური მეფეთა წარმოშობის იბერიული გენეტიკური კოდი სიყვარულისა გარდაიქმნება კაცთმოძულედ, ყველა სხვა ეროვნების დამონებისკენ მიმსწრაფველ გენეტიკურ მიმართულებად. და ასე მეფენი, უფლის შვილები, გარდაიქმნებიან მონებად სატანისა.

ასე შექმნეს მთელ სამყაროში უზარმაზარი ცათამბჯენების მშენებლობათა განვითარებით გარემო, სადაც ყოველი მათგანი დეპრესიებსა და უპაერობას უწევის.მარტო ამერიკაში 200.000 ადამიანი ყოველწლიურად ამის გამო იღუპება, ხოლო მილიონობით ხალხი სტიქიათა მსხვერპლი ხდება. ბოლო 10 წელიწადში განსაკუთრებით იმატებს მზის მცხუნვარება და უამრავ ქვეყანაში, მათთვის არადამახასიათებელ რეკორდულ 44^0-ს აღწევს.

თორით ცნობილია, რომ ბრმა შეიცნობს სიბრძნეს წინასწარმეტყველებისა, რადგან იგი მეტყველებს უფლის ენაზე ისე, როგორც, მაგალითად, ისააკმა აკურთხა იაკობი. ხოლო ყრუ ვერ შეიცნობს წინასწარმეტყველებას, რადგან არ ესმით, ყრუები არიან, რამეთუ უფალი ამ ყურის ორგანოთია მათთან კავშირში. ამ სახელმწიფოებსაც თავიანთი და არა უფლის ენის გავრცელებით არ ესმით უფლისა. ისინი, ხილული ტყვეები სატანისა, ყველა ყრუზე მეტი ყრუები არიან.

თუმცა იმდენად ჭკვიანები არიან, რომ მათსავით დააყრუეს ადამიანები და მთელი სამყარო შეიქნა ჭკვიანი ყრუები, საღათას ძილში მყოფი გაუნათლებლები.

იწონებენ თავს თავიანთი სხეულით, კუნთებით, ძალით, ქონებით, რათა ერთმანეთი გააკვირვონ. ამ მიზნით განვითარებულია სპორტი, სადაც უფლის შვილები გლადიატორები, გამეტებულად უთაყვანებენ ერთმანეთს ფუ-ლისთვის, ფუ-ფუ-ნებისთვის

(ეს სიტყვა ორჯერ „იფურთხება“) იმ მიზნით, რომ მათი სალაპარაკო ენის, ანუ ტერიტორიის განდიდება მოხდეს.

აი, რა ძლიერი და თავისუფალი ვარ, როცა შე-ჯიბრებაა, ჭი-დაობაა ანუ ჯიბრი, დაეობა, დაპირისპირებაა;რადგან უნდათ, ყველა მათ სალაპარაკო ენაზე მოაქციონ.ამდენად, ტერიტორიებს ომით იპყრობდნენ და რომ გაუნათლებლობა, სიბნელე განვითარდეს, ძალით ალაპარაკებდნენ თავიანთ ენებზე.ასე გამოჰყავთ ხალხები უფლის სახლიდან და შეჰყავთ სატანის სახლში. ჰგონიათ, გაჰყვირიან კიდეც, დემოკრატია გვაქვსო და ვერ ხვდებიან, რომ სინამდვილეში ყველანი სატანის მონები, მსოფლიო ზოოპარკის შემქმნელები არიან. და ეს სატანის ხელისუფლება, ე.წ. ძლიერ ადამიან-ცხოველთა მმართველობა რომ განმტკიცდეს, სპეციალურ კანონებსაც იგონებენ დასმენის, მიწების წაგლეჯვის, ერთსქესიანობის და სხვა. დასტურად, როგორც ცხოველები, როცა ზრდიან თავიანთ შვილებს, ერთი-ორი წლის მერე იყიწყებენ მათ და შეუძლიათ შემდეგ მშობლებმა შვილები დაჩაგრონ ან იცხოვრონ ერთმანეთში, ასეთი საზიზღარი უზნეობანი უკვე ჩვენ ამ სამყაროს ზოოპარკშიც ვითარდება.ზუსტად ამიტომ იყო წარღვნა.

ამდენად, დემოკრატიული წყობა გვაქვსო – როდემდე შეიძლება ეს სიცრუე დავიჯეროთ?! დემოკრატია ხალხის მიერ მმართველობაა, სადაც ხალხთა სულადობის მიხედვით თანაბრად განაწილებული მიწა-მამულია, როცა თანაბრობაა, მაშინაა გვერდში დგომა, სიყვარული და ხალხისმიერი მმართველობა ეს ელემენტარული ანბანია დემოკრატიულობისა.

მაგრამ მათი გაუნათლებლობის გამო სინამდვილეში ვერ ხვდებიან, როგორაა მათ სხეულში შემოსული სატანა, როგორ ნელ-ნელა დაიპყრო მან ეს სამყარო და თუ ადრე ქალები შარვლით სიარულს ერიდებოდნენ, ახლა ყველაფერი ერთმანეთში აირია. კაცები საყურეებით დადიან. ხოლო ქალები თუ ადრე გამჭვირვალე კაბებს იცვამდნენ, ახლა იმაში ეჯიბრებიან, ვინ უფრო გაშიშვლდება და გამოაჩენს სხეულს, რომ, როგორც ზოოპარკში, თაეისი ეგრეთ წოდებული სილამაზით მიიქციონ ყურადღება.

ამ ქალების კეკლუცობას კაცებიც პყვებიან და, როგორც მრაეალგეარია ცხოველები, ასევე მრავალგეარია ცხოველებიეით შიშველი ხალხი.

და თუ ადრე ადამს და ხავას შერცხვათ, შეეშინდათ თავიანთი სიშიშვლისა, ახლა მათში ისე გაბატონდა სიამაყე, რომ ვერ ხედავენ, როგორ ემსგაესებიან შიშველ ცხოველს. სურს უფალს, გამოაღეიძოს ისინი ამ სიამაყის ძილისაგან, იმ ორგანოთა დაავადებებით, რომლითაც სცოდავენ.

საქმე ისაა, რომ უფალს ისე აქვს შექმნილი სამყარო, რომ გარდამავალი მოვლენებია მასში ჩადებული. მაგალითად, ზამთრიდან ჯერ გაზაფხულში გადადიეართ, ზაფხულიდან – ჯერ შემოდგომაში. ადამიანებსა და ცხოველებს შორის გარდამავალი არიან მაიმუნები და ასე ვერ ვგრძნობთ, როგორ ვემსგავსებით მაიმუნებს. ამავე დროს, გაგა ვასწორებთ ჩვენ თვისებებს, რომ განვიკურნოთ დაავადებისგან, არამედ წამლებს ვსვამთ, რაც კიდევ უფრო აუარესებს ჩვენს ჯანმრთელობას. და ეს შიშველი ხალხი, რადგან დაკარგეს შიშიც და ნამუსიც, ცხოველებიეით – მაიმუნებიეით ცოტას ცოცხლობენ. ადრე მიდიან ამ ქვეყნიდან.

„შიში შეიქმს სიყვარულსაო“, მათ კი დაკარგული აქვთ ის ჭეშმარიტი სიყვარული და ნეტარების განზომილებანი.

და ასე ცხოველურობამდე დაქვეითებულნი, ვერასდროს ვერ შეიგრძნობენ ადამიანურ ნეტარებას, ჭეშმარიტ სიყვარულს, სიამოვნებას, როგორც უფლის შუქით გასხივოსნებული, ჩაცმულ-დახურული მრავალი მორწმუნე, რომლებიც მართლაც რომ „ნეტარ არიან“.

სატანისგან წაქეზებულები ყველა თავისი ტანის მოწესრიგებითაა დაკავებული, რის შედეგადაც, როგორც ითქვა, უფალი არ არის მათთან, აქვთ დეპრესიები, ვეღარ მრავლდებიან და საშინელი კლებადობაა თეთრკანიანი რასისა. ასე არიან რა სატანის მონები, მიდიან სიკვდილამდე.

ჩვენ დავიწყებული გვაქვს, სა-ხელი, სა-ხე ჩვენი, რომელნიც ასევე „სა“ სა-მით – უფლით და დედ-მამითაა; ითქვა, სა-ხელი ჩვენი ადამი-ან-ი ყალიბდება აგრეთვე ანბანით და თორით. ამ სამით იქმნება სამ-ოთხე. ისევე, როგორც სამ-შობლო, სა-არაკო, სა-ამაყო, სა-ქართველო.ესენი უნდა იყოს ჩვენი სა-მახსოვრო, თუ არადა, ყველანი სამ-კურნალო გავხდებით.ხოლო მკურნალობა ამ მრავალი სა-მების აღდგენითაა. **წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ღვთიური სული, ფესვები ადამიანთა სიცოცხლისა,**

ძალიან ისჯება და რაკიღა ცხოველებისკენ მიილტვიან, შემდეგ ცხოვრებაში მათი ღვთიური სული, უკეთეს შემთხვევაში, ცხოველებში გამოკეტილი მოგვევლინება.

ხომ ითქვა, თორით ყოველი ადამიანი ოთხჯერ მოდის ამ ქვეყანაზე და თუ არ გამოასწორა თავისი ცხოველური თვისებანი, ტანისთვის დამახასიათებელი, მაშინ მისი სული იმ ცხოველში ჩაისახება, რომელსაც მისი უარყოფითი თვისებები არ გააჩნია, მაგალითად, თუ იგი ზარმაცია, მაშინ ჭიანჭველაში მოგვევლინება, რამეთუ იგი მხოლოდ გადაგდებულს აგროვებს და შრომისმოყვარეა, რაც არ სურთ ქურდებს, ამდენად, ასე გამოსწორდება მისი თვისება, ანდა არიან ადამიანები, რომლებიც იტუებიან, მათი სული ალბათ ბაყაყში ჩაისახება, რამეთუ ისინი არ იტყუებიან, როდის მოვა წვიმა და ა.შ.

ამდენად, ვინც გამოუსწორებელია და ავნებს საკუთარ თავს, ცდილობს შემოქმედი, რომ ცხოველებში გამოასწორებინოს მისი თვისებანი, რათა მოევლინოს მომავალ სამყაროს წარმოუდგენლად დაბალ დონეზე მაინც. ხოლო ისინი, ვინც გარემოს, ქვეყნებს, სახელმწიფოებს ავნებენ და ხალხთათვის უბედურება მოაქვთ, ცდილობენ, მოაქციონ ისინი სატანის გზაზე, მათ მაშინ ეპატიებათ, თუ მოინანიებს საჯაროდ თავისი ქმედებით და იმდენივეს მოაქცევს, რამდენიც გადაჩეხა. ეს კი მეტწილად წარმოუდგენელია.

ასე ცდილობდნენ ჩვენი სულიერი კულტურის – ვენახის ამოძირკვას.

დასტურად, ითქვა, ინდოევროპელთა მიერ ტერიტორია დაპყრობილი მაშინაა, როცა ხალხები მათ ენაზე იწყებენ ლაპარაკს.

ამას ცდილობდა ლენინი მთელ საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი მისმა მიმდევრებმა საქართველოში დედა ენის გაუქმება მოინდომეს 1978 წელს. მაშინ სრულიად საქართველო, ქართველი ერი ფეხზე დადგა და იმ უსასტიკესმა, ულმობელმა კომუნისტურმა რეჟიმმაც უკან დაიხია.

რამეთუ ჩვენ ამ ენით ისე შევერწყეთ ერთმანეთს სულიერად, რომ იყო უფლის სიხარული ზეცაში და მისი შეწევნაც, რათა არ დაღვრილიყო მისი ენის ერთგული ერის წმინდა, მართლაც ცისფერი სისხლი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი სამყარო დგას დედა ენაზე, იბერია-საქართველოზე, რამეთუ მისი შეხინა მხოლოდ აქ არის დაცვანებული.

რაც შეეხება ისრაელს, ითქვა, თავის დროზე მიაღწია რომმა, რომ იქ წმინდა ენაზე აღარ ლაპარაკობდნენ და ამის მერე ისრაელნი პირწმინდად ამოიძირკვნენ იქიდან, გადმოვიდნენ ჩვენთან. ასე შეინარჩუნეს რჯულიც და ენის სიწმინდეც. ჩვენ ხომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ამ ენით მეტყველების გამო არასდროს არავის ვესხმოდით თავს და ვიდექით სამყაროში სიკეთის სადარაჯოზე.

და გვაქვს ერთი ფაქტი, აღმოჩენა, რომ მათ თავიანთი წმინდა თვისებები და რჯულიც საქართველოში წმინდა და დედა ენაზე ლაპარაკის გაძლიერებით, თორის სწავლით და ლოცვებით შეინარჩუნეს, რაშიც საქართველო დღენიადაგ უწყობდა ხელს. ასევე ებრაელნიც გვერდში გვედგნენ, რომ დედა ენით გვემეტყველა. ხოლო სამოთხიდან მოცილებული ეს ხალხი, აფხაზები და ოსები, ჯოჯოხეთისკენ, საკუთარი სულიერების გადაგვარებისკენ მიილტვიან, რაც ძალიან დიდი ტკივილია უფლისა და ქართველი ერისა.

ამდენად, ჩვენი სახელმწიფოს დღემდე მოსვლის ფაქტორი ამ ორი ერის სულიერი ერთობაა, თორიდან – ენიდან გამომდინარე. ამ ენის ამოძირკვა ვერცერთმა დამპყრობელმა ვერ შეძლო, მაგრამ როცა ებრაელები დღეს წმინდა მიწაზე ბრუნდებიან და მეტად უმნიშვნელოა მათი რაოდენობა საქართველოში, საკაშვილმაც წარმოუდგენელი ენერგიით დაიწყო ქართულად მეტყველთა და ცხოვრების წესის გადაგვარება.

მისი რეჟიმი, ვითომ ნაციონალური ღირებულებების წამოწევით მიიღწოდა, რომ ყველა წინა იმპერიათა ძალისხმევა დაესრულებინა და სულიერების ციტადელი სამოთხე ქვეყანა საქართველო, რომელიც ოთხი ათასწლეული მოდიოდა, საბოლოოდ გადაეგვარებინა. ასე შეენარჩუნებინა ამ სატანის მონას სატანის მარადიული სიცოცხლე. მან იცოდა, უფლის ენაზე მოლაპარაკე ქართველს ვერ აქცევ სიწმინდის, უფლის, ზნეობის უარმყოფელად, ვერ მოუწამლავ სისხლს. ამაზე კიდევ ვიტყვით.

ამდენად, მოწოდებაა ჩვენი, პირველ რიგში, უფლის ენაზე მეტყველთათვის, დაგუბრუნდეთ ჩვენ ფესვებს, ღვთიური სულის მოთხოვნებს, ნუ მივილტვით უცხო ანუ არა ცხებული ენით მეტყველებისაკენ, რომ მივიღოთ საშვი იმ ნადირის, რომელიც

სატანის ზოოპარკში ნადირივით იქნება სამუდამოდ გამოკეტილი და არ უწყიან მათ, რომ ასე მათი განადგურებაა.

ის ფუძე, რომელსაც იღებენ ამისათვის პარტიები, არასამთავრობოები, პრესის, ტელევიზიის მუშაკები „იფურთხება“. მას სიკვდილის სუნი ასდის, რამეთუ ფესვი ჩვენი სიცოცხლისა – ღვთიური სული შერყვნილია ბილწსიტყვაობით, ამ ენებით დაბინძურებაა, ცხოველური ვნებების აყოლაა, ცხოველურობაა. ის, რა გენიალურია რუსთველი, დღეს რომ ჩვენ ეს შეგვეგნო, ამიტომაც აღწერა ამ ნადირთა სიკვდილის პროცესი ადამიანებში.

ასეთი რუსთველური ფინალი, თორიდან გამომდინარე, აგრეთვე შესანიშნავად ჩანს ჩვენს მითოლოგიაში. ამიტომაც ჩვენი შემეცნების განმტკიცებისათვის მათზეც გვექნება მსჯელობა.

1.9. როგორ ჩანს ჩვენს მითოლოგია'ში ბადრისა და ბიძინას – სამყაროს მხსნელთა – ისტორიული მისია

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ერის ძნელბედობის ჟამს უფალი მუდმივად გვიელენდა მეფეებს, რომელთაც მადლიერი შთამომაელობა მათი ქმედების შესატყვის სახელებს არქმევდა: ქველი, აღმაშენებელი, თაყდადებული, ბრწყინვალე... რამდენიმე წმინდანებადაც შეირაცხა.

ჩვენ დავინახავთ, რომ ბადრისა და ბიძინას მოღვაწეობაც უფლით მოვლენილი იბერიის მხსნელთა მოღვაწეობაა: „მხსნელები“ – ამ სახელს ისინი სრულყოფილად იმსახურებენ. და არც შემთხვევით იყო, რომ ბადრის დაკრძალვისას ყოველ ქართველთა გულანთებული მამულიშვილები შეუჩერებლად უკრავდნენ ტაშს. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა ებრაელთა და ქართველთა სულიერი გმირების საქმისა და ისეთი უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა, რომ დაკრძალვისას, ებრაელ რაბინებთან ერთად, მას წესი აუგო აგრეთვე სამღვდელოებამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სურვილით და ხელმძღვანელობით. ესაა მსოფლიოსთვის გამაოგნებელი ფაქტი, ჩვენთვის კი ტრადიციული, სადაც მამულიშვილთა თავდადება უფლისა და ერისათვის სიყვარულით კრავდა სამივე რელიგიას.

ამგვარად, ჩვენ აღვწერეთ ისტორია რუსთველის მიერ გადმოცემული ნადირობის პროცესამდე, ცოტა შევეხეთ შემდგომ მოვლენებსაც. ხოლო გლობალურად როგორ განვითარდება ისინი, იქამდე და შემდგომ, ეს ჩანს ცისკარას მით'ში, აგრეთვე „თხა და ვენახის“ სიმღერაში, რომელნიც გასაოცრად ჰგვანან „ვეფხისტყაოსნის“ წინასწარმეტყველებას.

მით'შიც, როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ორი ერის ისტორიაა გადმოცემული; ჯერ მითის შინაარსი აღვწეროთ: ხოლო „თხა და ვენახის“ აღწერისას ორიოდ სიტყვით ეთქვათ ვაზის, ვენახის არსზეც, რომელიც მხოლოდ ამ ორი ერის სიმბოლოა. შემდეგ კი ვნახოთ, როგორ სასწაულად არის მოცემული ყველაფერი მოკლედ „თხა და ვენახის“ სიმღერაში.

ზემოთ მოყვანილი წინასწარმეტყველება, რომ ბიძინა ივანიშვილი გაიმარჯვებდა, გამომდინარეობდა მისგანაც, რომ, როგორც ებრაელნი ტყეობის ბოლო წლებში იყვნენ სა'მინელ ტანჯვაში, ახალდაბადებულ ვაჟებსაც უკლავდნენ, ამაზე უარესი გენოციდი ჩაუტარა ქართველ ერს სააკაშვილის რეჟიმმა.

დასტურად, თუ იქამდე ყველა ქვეყნის დამპყრობელთა და რუსთა ძალისხმევით, რომლებიც ებრძოდნენ ჩვენ მიწათქმედებას – სულიერებას, ვაზის ქვეყანას, 500-მდე სოფელი დაცარიელდა, სააკაშვილმა სულ რაღაც 7 წელიწადში კიდევ 500 დააცარიელა; 3-4-ჯერ შეამცირა ნათესები, გადააგეარა სოფლების ინფრასტრუქტურა მით, რომ ქართველთა მიწა-მამული, ტყე და სარწყავი სისტემა აღმოჩნდა უცხოელების ხელში. იგი უდიდესი შემართებით ებრძოდა უფლის მიერ რუდუნებით დანერგილ იმ სულიერ მიწათმოქმედების წესს, რითაც სრულიად საქართველო განაგებდა სამყაროს ისრაელებთან ერთად.

ეს ის უფლით კურთხეული წესია, მუდმივი სულიერი განათლებით, თორიდან გამომდინარე, რაც კრავდა ორივე ერს. ასე სიყვარულით გაცემა-გაყოფის, სტუმრიანობისკენ მიმსწრაფველობით შეიქნა ისრაელი წმინდა ერად, ჩვენ კი წმინდას სინონიმ – დედა ერად ვიქეცით. ორივე წარმოუდგენელი გენეტიკური თვისებებით, რაც

კონცენტრირდებოდა მასში, რომ მუდმივად თავს ვწირავდით უფლისა და მოყვასისათვის.

ამიტომ მიისწრაფოდა სააკაშვილი მშენებლობათა განვითარებით, მიწა-მარჩენალს მოწყვეტილი ხალხი ჩაება მონურ, ქანცგამწყვეტ მუშაობაში, რითაც სწყდებოდნენ განათლებას – უფალს. რადგან ამ შემთხვევაში უფლის მიერ ბოძებულ მიწა-მარჩენალს მოწყვეტილი ხალხი ისეა ქანცგაწყვეტილი, ვეღარ სწავლობს თორას და ვეღარ ლოცულობს ჰარმონიული ამინდისათვის. რადგან ხელფასს უფლის მაგიერ კერპად ქცეული, თავისი მიწის მიმთვისებლისგან, დამმონებლისგან, ელოდება. ისე, როგორც ეგვიპტეში დაიმონეს ებრაელნი, ასევე ამონებდა იგი ქართველ ერსაც. ასე მოწყვიტა ეს მეფეთა მოდგმა მათი ერთობის, გაცემის, სიყვარულით გამრავლების, ღმერთთან შერწყმის წყარო სოფელს, რაზედაც ამბობდა ილია: „ვთქვათ, მკლავმა და გულმა შეძლო ეს გოლიათობა. საკვირველი ისაა, რა ქონებით ვუძღვებოდით ამისთანა ყოფასა, რა კეებავდა ხალხსა. ერთი მუჭა ხალხი ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო, რომ სრულიად არ აღგვილიყო მიწათსარგებლობის ქართული წესი სასოფლო-სათემო საკუთრების უპირატესობით. აი საგანი ღირსშესანიშნავი, რომელიც რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს მემატიანეს, ნათელს მოჰფენდავო“. აი, რა ნათელ ცხოვრების წესს მოგვწყვიტა სააკაშვილმა. დაგეგმილი ჰქონდა სხვა ეროვნებათა ჩამოსახლება, მათ შორის ბურების, ირანელების, რომელთაც მოასწრეს და იყიდეს საუკეთესო მიწები ალაზნის ველზე. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მოსვლისას, 2013 წელს აკრძალა სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა-გასხვისება.

განსაკუთრებით ცდილობდა, დაგვეეიწყებინა დედა ენა და თორით, იგივე ბიბლიით განათლება. ეს, როგორც ავხსენით, ჩვენი გენეტიკური კოდის გადაშენების, ბოროტების გამარჯვების საწინდარია იბერთა-მეფეთა მოდგმაზე. გავიხსენოთ, ტელევიზიები ამისათვის უკვე უცხო, არა უფლის მიერ ბოძებულ ენებზე მაუწყებლობდნენ.

და სასწაულია ერთი დამთხვევაც: ეგვიპტის ფარაონივით, რომელმაც დამატებით ორი ქალაქის მშენებლობით დაიმონა ებრაელები, ისიც, გარყვნილთა უკვე სახელმწიფოს – ანაკლიას – მშენებლობას იწყებდა.

დაგეგმილი იყო უზარმაზარი რამდენიმე ჰესის მშენებლობაც, რაც საერთოდ წაშლიდა საქართველოს, მის ულამაზეს ბუნებას. იქამდე კი სხვა უზარმაზარი მშენებლობებით, ხეების ამოძირკვით, სასოფლო მიწების გასხვისებით, რუსეთში სურსათის გატანის ტრადიციული გზის გადაკეტვით, სოფლის მოსახლეობა, რომელიც გაცემის, სიყვარულის, სტუმართმოყვარეობის მაგალითი იყო, შიმშილით სიკვდილის პირას მიიყვანა.

იგი ამისათვის ასაქმებდა, ამუშავებდა, როგორც ჰიტლერი, მაო ძე-დუნი და ლენინიც, მოუმწიფებელ ახალგაზრდობას, რომელნიც შეიძლება ადვილად დააყენო უზნეობის გზაზე, თუ ძალაუფლებას მისცემ და დიდ ხელფასებს გადაუხდი. ასე შეიქმნა პოლიციაც ამ დემონის მონა.

იყო საშინელი დევნა, უმუშევრობა და კიდევ მილიონამდე კაცი გავიდა საზღვარგარეთ. ვინც დარჩა, იმათაც იჭერდა და აწამებდა. თვით სტალინის რეპრესიების დროსაც 20%-მდე ხალხი მართლდებოდა, სააკაშვილის დროს კი თითქმის 100% პატიმართა მოგონილი საქმეებით არ მართლდებოდა. ცოტაც, და სრულიად გადაშენდებოდა ეროვნული ეკონომიკა, ქართული სოფელი – ჩვენი სულიერი გამრავლების წყარო – ეროვნება ქართველი, რისკენაც მიილტვის დასაბამიდან ბოროტება.

და თუ ბიძინა და ბადრი, უფლის, საკუთარი ერის წარმოუდგენელი სიყვარულის გამო, თავიანთი დიდი ქონებით არ დაუპირისპირდებოდნენ იმ სიკვდილის მანქანას, რომელიც ქართველთა გადასაგვარებლად სააკაშვილმა დანერგა, საშველი არსით იყო – ამიტომაც უფალმაც გამოარჩია ისინი.

მათი ეს გამორჩეულობა კარგად ჩანს ცისკარას მითში.

ახლა მოვიყვანთ მითში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც სრულიად ემთხვევა ჩვენს რეალობას და მასში საქართველოს ის ისტორიაა, რაც სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ განვითარდა.

იგი იწყება მით, რომ ბზარი იყო ხალხში, ანუ ის დაპირისპირება, რაც განვითარდა შევარდნაძის რეჟიმის მოსვლით ეროვნული ხალხისმიერი რჩეული ხელისუფლების განდევნით. ამ ბზარის – დაპირისპირების გამოც დაეპატრონა ქვეყანას, როგორც მითშია, გრძნეული, რომლის სამეფო ქვესკნელში იყო და მის ხელში წალკოტიც უდაბნოდ იქცეოდა. ხომ ასეთი წალკოტი – ისრაელი იქცა უდაბნოდ, იქიდან ისრაელთა

განდევნით. და ეს სცენარი განზრახულ იქნა საქართველოს მიმართაც სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

ამდენად, მოვიდნენ ბოროტი ძალები, ვითომ სიკეთე უნდოდათ და მალე გამოფხიზლდა ერი, მიუხვდა სააკაშვილის უბოროტეს ზრახვებს, როცა ისინი შიმშილით სიკვდილის პირას მიიყვანა. ამ პერიოდს ჩვენ კიდევ მოგვიანებით აღვწერთ. ახლა კი გავიხსენებთ, როგორ სასტიკად გაუსწორდა სააკაშვილი მაშინ მისი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსულ სრულიად საქართველოს მოსახლეობას. ამდენად, მან დაინახა, რომ ფიზიკურმა შიმშილმა ვერ გატეხა ერი, რაშიც უდიდესი დამსახურება იყო უწმინდესის და სხვა რელიგიათა ლიდერთა ძალისხმევის. ქუჩაში გამოვიდა სრულიად საქართველოს მოსახლეობა, აღარც დაპირისპირება იყო ეგრეთ წოდებული ზვიადისტების და შევარდნაძისტებისა.

აი, რამხელა ძალა აქვს სულიერებას, თორას, ჩვენს ლოცვებს. და ჩანს ცისკარას მითში, როგორ ამოიღო გრძნეულის მონამ აჯანყებულთ ერთ-ერთი მომაკვდავი ლიდერისგან სალამური. ეუბნება იგი გრძნეულს, ჩვენ შემთხვევაში ალეგორიულად სააკაშვილის, რომ ამ სალამურმა მისცა ხალხს ძალა აჯანყებისა, მასში ნამია ცისა და მთის წყარო. ანუ, როგორც ითქვა, აქ ლაპარაკია ერის სულიერი თორის განათლებაზე, რისკენ მიმსწრაფველობითაც გამოირჩევა მუდმივად საქართველო, მისი მოსახლეობა. მთის წყარო ხომ – ეს თორაა, რომელიც წყალს – წყალობასაა შედარებული ქვეყანაზე, რაც მისი სწავლით ხდება. აქედანაა „ნამი ცისა“, რაც მიწის სიუხვისათვის განსაკუთრებული ტენიანობის ანუ ცის ბარაქის საწინდარია ქვეყანაზე.

და იძახის გრძნეული მითში, რომ თქვენ მოგანატრებთ უკვე ამ სულიერ განათლებასაც და მატერიალურთან ერთად სულიერი შიმშილი დაისადგურებს ქვეყანაში. მართლაც, შემდგომი მოვლენები სააკაშვილის რეჟიმისა ამ მიმართულებით განვითარდა ჩვენს ქვეყანაში.

ამავე დროს, ერის სიდუხჭირეს მრავალი მამულიშვილი განიცდიდა. მაგრამ საშველი არსით ჩანდა, რადგან სააკაშვილი მსოფლიო გეოპოლიტიკის დაკვეთას ასრულებდა, რათა მისი გამორჩეული სატანისტური ნიჭით გადაეგვარებინა სიკეთის ციტადელი ქვეყანა. და მხოლოდ ერთი გამოირჩა უფლის ნებით ივანიშვილის სახეში იმ ჭკუით, რომ იგი მიილტვოდა ეშოვა დიდი ფული, მოეპოვებინა ნდობა ამ ფულით ამ გრძნეულთან, სააკაშვილის სახეში, რათა ჩუმად მაინც დაეფინანსებინა საქართველოს მოსახლეობა, რომ არ მოწყვეტილიყვნენ ღმერთს, სოფელს და ოჯახს.

იგი, ეტყობა, გულმოდგინებით ეძებდა გზებს, რომ ეს განეხორციელებინა და ავადმყოფურად განიცდიდა, რომ თვითონაც, ქართველი ერის სახეში, წყდებოდა სულიერ განათლებას, რადგან ყველა ნაწილი ვართ ერისა. და ცნობილია, რაოდენ უდიდესი თანხები იდებოდა მის მიერ ტრადიციული სულიერი ტაძრების აღორძინებისათვის და მრევლის გამრავლებისათვის. ისიც ცნობილია, რომ გარდა ქრისტიანული ტაძრებისა, საქართველოს ყველა კუთხეში კვლავ აღადგინა ებრაელების მიერ დიდი ხნის წინათ მიტოვებული სალოცავები, აგრეთვე მათ წინაპართა სასაფლაოები.

ამიტომაც, მითშიც და რეალურ ცხოვრებაშიც ივანიშვილთან – ცისკარასთან, ასე გამორჩეულებთან, მათი მისწრაფებისათვის, ამყარებს სულიერი სიყვარულის კავშირს სრულიად საქართველოს მფარველი, უფლის შეხინა, იგივე სულიწმინდა, რუსთველით თინათინი.

მითში იგი ამადაც მზეა – მზესაა შედარებული, რადგან სულიერი შუქით განაპირობებს გაბრძენებას, გაწვრთნას ერისა, ოღონდ მაშინ, როცა მათში თორის სწავლებაა.

ამიტომაც მითში ცისკარა, ხოლო რეალურ ჩვენ შემთხვევაშიც, მის სახეში სრულიად საქართველოს მოსახლეობა, რომელიც მითში ალეგორიულად ივანიშვილის სახეშია განზოგადებული, ლოცვებისა და თორის სწავლის გარეშე ავადმყოფია. უმეტესად მით, რომ ვერ ამყარებს სულიერ კავშირს უფლის შეხინასთან. ისევე, როგორც მთელი ქართველი ერი. ამავე დროს იღვწის სააკაშვილი გრძნეულის სახეში, რომ სულ გააქროს თორის სწავლება და უფლის წყალობა ქვეყანაზე, იგი უდაბნოდ აქციოს.

ამისათვის ცდილობს გრძნეული მითში, რომ დაქორწინდეს საქართველოს ამ ბარაქის მიმცემ მზიასთან, რომელთანაც, ვიცით, სულიერად დანიშნულია მთლიანად საქართველო. ხოლო ქორწილი მასთან, რუსთველით ავთანდილთან, ქართველი ერის სულიერ ლიდერთან უნდა შედგეს მესიის გამოვლენის შემდგომ. ამიტომაც მითში

გრძნეულის სურვილია, იგი ბოროტება შეენაცვლოს სულიერ წინამძღოლს ერისა ავთანდილის სახეში. რომლის მსგავსი სულიერი გმირებით, ჩვენ შემთხვევაში კი ივანიშვილით, ყოველ ეპოქაში, უფლით, მადლიანდებოდა საქართველო. იმდენად წარმოუდგენლად უდიდესია ერის სულიერი წყურვილი თორით განათლებისა.

და, როგორც ითქვა, მითში ამისათვის გრძნეულს გადაკეტილი აქვს სალამურის მითვისებით სულიერი განათლების წყარო ერისა. ვიცით, სააკაშვილმა ეს რეალურადაც განახორციელა.

ამავე დროს, მითში მოვლენები ვითარდება მით, რომ გრძნეულის ერთი დევი მოადგება ალეგორიულად თორით განათლების სულიერ წყაროს. და ეუბნება ხალხს, რომ მე გავუშვებ ამ წყაროს მალე. მთელი სოფელი მიისწრაფვის, რომ დალიოს ეს წყალი, და მით მიიღოს სულიერი განათლება თორით. რამეთუ ეს მუდმივად სულიერი მოთხოვნილებაა ქართველი ერისა. მაგრამ ეუბნება დევი, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თქვენ მეტყვით, სად არის მზია. ხალხი, რა თქმა უნდა, არ გასცემს საქართველოს სულიერ მფარველს. მაგრამ მზია თავისი ნებით მიდის დევთან. ხალხი წინ გადაეღობება. ის კი განუმარტავს მათ, რომ ეს ერთი დოქი სჭირდება ერის სულიერ ლიდერს, ცისკარას, რომელიც მომაკვდავია თორის განათლების გარეშე. რაკიღა ცისკარა იმედია ხალხისა, რომ ის მოუტანს დახსნას ბოროტებისგან, ამიტომ ხალხიც დაეთანხმება მზიას და იგიც ჩაბარდება დევს.

ამდენად, თორის სულიერი განათლება, რაც ერთი დოქის ავსებაშია წარმოჩენილი, გამოაჯანმრთელებს, გააღვიძებს ცისკარას. ხოლო როცა გაიგებს ცისკარა, რომ ამისათვის ქართველი ერის და მისმა სულიერმა სატრფომ მზიამ გასწირა თავი, იგი იწყებს ქმედებას, რომ სრულიად საქართველო და მზიაც გაათავისუფლოს გრძნეულის, ჩვენ შემთხვევაში სააკაშვილის ტყვეობიდან.

ამავე დროს, იგი ხვდება ამ დოქით მიღებული განათლებით ეს რეალურად მაშინ მოხდება, როცა ცისკარა აღადგენს ქართული ცხოვრების მიწათქმედების წესს, ანუ ტრადიციული ქართული სოფელია აღსადგენი. ასე მას უნათდება გონება, როგორ გამოიყენოს თავისი ქონება საქართველოს გადასარჩენად. ამიტომაც მითშიც და რეალურადაც ივანიშვილი იწყებს ქმედებას. ასე წამოდგება ცისკარა. და ქმედებას იწყებს ერისა და მზიას დასახსნელად.

ხოლო სააკაშვილის მიერ მზიას დატყვევება, ჩვენს რეალურ ცხოვრებაში აისახა მასში, რომ ყოველნაირი საშუალება მოესპო ხალხს, თითქმის შეწყდა ბარაქაც, რამეთუ მიწათმოქმედთა ქვეყანაში ტყე, საძოვრები და მიწები სრულიად გაასხვისა და ხალხს არავითარი სახსრები, თავიც არ ჰქონდა, რომ დარჩენილი საკარმიდამო მიწები მაინც დაემუშავებინა. ამდენად, მოწყდნენ ისინი სოფელს, ურთიერთგვერდში დგომის, ერთობის, თორით განათლების, სიმართლით ქმედების და სიყვარულის წყაროს. შედეგად, გავიდა საზღვარგარეთ მილიონამდე ადამიანი და მათ მონებად იქცნენ, ვინც ჩვენ ასე დაგვამონა.

და როგორც ვხედავთ, ქართველი ერი შიმშილით სიკვდილის ზღვარზე იყო მისული, ვერ მიწათქმედებდნენ თორიდან გამომდინარე, არც თავი არ ჰქონდათ, ესწავლათ თორა, ეელოთ სალოცავში.

ამგვარად, მხოლოდ თორის სწავლებაშია წყალობა, ბარაქა დედამიწაზე. და რომ ეს წყალი ჰქონდათ გადაკეტილი დევებს სააკაშვილის სახეში, რომელიც იმპერიათა ნებით ქმედებდა, ჩანს ცისკარას მითში. გავიხსენოთ, მძინარე, ქანდაკებად ქცეულ მორჩილ ერად – სოფლად გადააქცევს გრძნეული სააკაშვილის სახეში მათ.

საერთოდ, თორით მკვდრად ითვლება: უფულო, უშვილო და უსინათლო. სააკაშვილმა სწორედ ამად აქცია ქართველი ერი. ეს ქანდაკებები, ძეგლები, ამრავლა ქალაქში და სასაფლაოებშიც. მან უსინათლობა - გაუნათლებლობა შეიტანა მათში მისთვის, რომ მისი დემონური ქმედებანი ეწამათ და ზოგიერთებს მხსნელადაც მოსჩვენებოდათ. მაშინ, როცა ერი დემოგრაფიულად სასწაულად მცირდებოდა. ამადაც ცდილობს მითში მისი ორეული, გრძნეულის სახეში, დაქორწინდეს მზიასთან. ამდენად, მძინარე ქანდაკებებად აქცია ქართველი ერი, მოწყვეტილი უფალს, თორის განათლებას და ლოცვებს.

ჩვენ ავხსენით, რომ უფალი, მისი შეხინა ჩვენთან მაშინ არის, როცა ორი ძმა, ტვინი და გული, ერთადაა; ყოველთვის, ერთი ძმის გაჭირვების დროს მეორე ძმას აგზავნიდა უფალი სახსნელად. მითშიც ცისკარა ხედავს, როგორ არის დატყვევებული ბაღრი ებრაელთა ერის სახეში, და ქვესკნელის მეფის ტყვეობაშია. რაც ჩანს მითში მასში, რომ მიწის ქვეშ ჰყავს სამ დევს ბაღრი ტყვეობაში. ხოლო სამი დევი – სამი

იმპერია — რუსეთი, ამერიკა, თურქეთი, განზოგადებული ერთი გრძნეული სააკაშვილის სახეში, რამეთუ იგი ცდილობს, მათი დაკვეთა შეასრულოს.

საქმე ისაა, რომ მასში, ბადრიში, როგორც ებრაელთა ერის ღირსეულ სულიერ შვილში, გენეტიკურადაა შთენილი თორის განათლება მისი სულიერებით, გაცემა-სიყვარულით ქმედება და ის პირველ რიგში რეალურად უმდიდრესია სულიერად. ეს მითში წარმოჩენილია მასში, რომ იგი კარგად მღერის და სთხოვენ დეევები, რომ ეს სიმღერა მათაც ასწავლოს. ის კი ეუბნება, „ყურები ბამბითა გაქვთ გამოტენილი და ამ სიმღერას ვერ ისწავლითო“, ანუ თორის სულიერ განათლებას ვერ შეიცნობთო, ვერ გასცემთ და შეიყვარებთო, და ასე ვერც დიდ ფულს იშოვნითო.

ივანიშვილი კი, ცისკარას სახეში, რომელმაც შეიძინა უდიდესი სიბრძნე თორით განათლებით და, როგორც ვიცით, დიდი ფულიც იშოვა. იგი ამადაც გრძნეულის სახით გამოეცხადება დეევებს.

ხოლო როცა ორი მოძმე ერი ერთმანეთს ხვდება, ისინი სულიერად ერთმანეთს ერწყმებიან, რამეთუ მათთან მესამე მუდმივად უფალია და მათ, რა თქმა უნდა, ემღერებათ. ეს ჩანს მითში, მასში, რომ ისინი მღერიან იმ საამურ ქართულ მელოდიას, რომელსაც დღეს მსოფილოს დამპყრობელი ქვეყნები აღფრთოვანებაში მოჰყავს. ამ შემთხვევაში სიმღერა კი ის დაფინანსების წყაროა, რომელსაც მოითხოვდნენ დეევები სააკაშვილის სახეში, რამეთუ იგი, რა თქმა უნდა, ამ სამი იმპერიის დაკვეთას ასრულებდა საქართველოს დასამათხოვრებლად. მას უნდა ემოგზაურა მსოფლიოში, დეევებთან კავშირისათვის. ისიც გავიხსენოთ, რომ ბადრიმ წარმოუდგენელი შეხვედრა მოუწყო მას ისრაელში, დააფინანსა რა მართლაც ნეტარი ქართულ-ებარული სიმღერებით მისი, სააკაშვილის პატივსაცემად მოწყობილი კონცერტი იერუშალაიმში „დავიდის კოშკში“, რომელსაც ესწრებოდა აგრეთვე ისრაელის პრეზიდენტი. ხოლო ივანიშვილის მიერ მისი დახსნა ტყვეობიდან, მიწისქვეშეთის მეფისგან, როგორც მითშია, განზოგადდა რეალურად მასში, რომ მან თვალი აუხილა ბადრის, რომელიც ახალი ჩამოსული იყო რუსეთიდან, რამდენად ტყუილად ირჯებოდა. რადგან დაანახა, რომ ის არაა სულით ქართველი და პირიქით, იღვწის ერის გადაშენებისათვის.

დეევები აგრეთვე დაობენ, რომელი ქვეყანა გამოირჩეს თითოეული მათ სახეში, რომელიც შეძლებს სრულიად საქართველოს დამონებას. ანუ სააკაშვილი მსჯელობს, ამ სახელმწიფოდან უფრო რომელი შეძლებს, რომ დაამონოს, გაანადგუროს სრულიად საქართველო. ხოლო საქართველო განზოგადებულია მათ მიერ ცერცვის მარცვლის მისაკუთრებაში, ანუ მის სახეში დაუფლებაა და შემდეგ განადგურებაა მიწათმოქმედების ქართული წესისა იბერია-კავკასიაში. და ვხედავთ მითში, როგორ გამოსცდის ცისკარა დეევებს ქართული მიწათქმედების წესის ცოდნაში. ამისათვის გადააგდებს ცერცვის მარცვალს.

ანუ აქ ალეგორიულად ლაპარაკია მასზე, რომ რაკიღა ცერცვის მარცვალში ქართული ცხოვრების წესი იგულისხმება, ვისაც ცოდნა აქვს ამ წესისა, ის უნდა დაეუფლოს ამ მარცვალს და მხოლოდ ის შეძლებს თავისი განათლებით, რომ გადააგვაროს სრულიად საქართველოს ცხოვრების წესი. თანაც, ეუბნებიან დეევები, რომ ეს ჯადოსნური მარცვალია, რომლითაც ყველა სურვილი სრულდება. მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რომ ამ მარცვალს ის დაეუფლება, ვინც იღვწის სულიერი, უფლით კურთხეული, ქართული ცხოვრების წესის აღდგენისათვის. იმას უფალი ეხმარება ყველა საქმეში. რამეთუ მისი სურვილიცა და მისწრაფებაც ამ წესის აღდგენისკენაა მიმართული. რა თქმა უნდა, ამ ღრმა ცოდნას დეევები ვერ ფლობენ, რაც ჩანს მითში, რომ ისინი ვერ პოულობენ ამ მარცვალს. ამიტომაც „სამართალმა პური ჭამაო“, და მითშიც ეს მარცვალი ცისკარას — ივანიშვილს დარჩება.

ასე გონივრულად ქმედებს ბიძინა ივანიშვილი, ატყუებს დეევებს, თითქოს დეევების საქმეს აკეთებს. და, ეტყობა, ბადრისაც დაარიგებს, რომ ასე მასავით იმოქმედოს, დააფინანსოს ისინი რაც შეიძლება მცირედით და ამის შემდეგ შეეძლება უფრო განავითაროს მისი ქველმოქმედება.

ამდენად, ცისკარა, ივანიშვილის სახეში, ქმედებს მეტად დაფარულად, აფინანსებს გაჭირვებულს, ინტელიგენციას, სოფლის მოსახლეობას, რომ მიწას არ მოწყდნენ. იმავეს, ოღონდ უფრო ღიად, დაუფარავად აკეთებს ბადრიც.

ასე, ორივე გონივრულად მოქმედებენ, როგორ დააფინანსონ სააკაშვილიც და შიმშილის პირას მისული საქართველოს მოსახლეობაც.

ასე დაიწყო ორმა ძმამ, ბადრიმ, ისრაელთა ერის წარმომადგენელმა და ბიძინა ივანიშვილმა, ქართველი ერის სახეში, წარმოუდგენელი, გაუგონარი ქველმოქმედებანი,

რომ ერი შიმშილით არ დაძაბუნებულიყო. გავიხსენოთ, თუ ბატონი ბიძინა ამას შეფარულად აკეთებდა, ფრთხილობდა, თუმცა უფლით ასეთი ქველმოქმედება უფრო ფასეულია. იგი ასობით ინტელიგენციას ისე აფინანსებდა და აფინანსებს, რომ სახეზეც არ უნახავთ. ბადრი ამას უფრო გახსნილად აკეთებდა, როცა ორივე აფინანსებდა მიწისძვრით დაზარალებულებს, ბავშვებს, ავადმყოფებს, მათ მრავალი სალოცავი აღადგინეს, ააშენეს; მარტო სამების დიდი ტაძრის აგების დაფინანსება რად ღირს. ანუ სულიერად ძლიერდებოდა ქართველი ერი – იბერთა მოდგმა.

ეს ძლიერ აღიზიანებდა ბოროტებას, რამეთუ კვლავ მათი ქველმოქმედებით მოსულიერდა ერი. ასე სრულიად საქართველო ფეხზე დადგა და, შემდეგ ვხედავთ, როგორ ხვდება სააკაშვილი ამ ყოველივეს, განსაკუთრებით იგი ირაზმება ბადრის წინააღმდეგ, რომელმაც ღიად დაიწყო მხილება ტელევიზიის მაუწყებლობით მისი ბინძური საქმეებისა, რამეთუ დაინახა მან, რომ ის ებრძოდა სიკეთეს, სიყვარულს სრულიად საქართველოს და ისრაელის სახეში. ასე ის ფარად დაუდგა სრულიად საქართველოს და ივანიშვილსაც.

დასტურად, ვხედავთ, მითში, როგორი ბრძოლაა გაჩაღებული, რომ მოკლან ორივე ძმა, და როცა უნდა მოკლან ცისკარა, ბადრი მასზე მოქნეულ დაშნას თავის მკერდზე მიიღებს, ასე რეალურ ცხოვრებაშიც გადაარჩენს საქართველოს იმედს ივანიშვილის სახეში, და ეს თავდადება ჩანს მასში, რომ როცა დაინახა ბადრიმ მასავით უდიდესი სულიერი სიყვარული მთელი ერისა, რომლის ნაწილი ისიც იყო, წავიდა იმ თავგანწირვაზე, რომ ღიად განაცხადა – ათას ქართულ სოფელს აღვადგენო. ეს არის განცხადება, რაც სულიერი ცხოვრების წესის აღდგენაა უფლის შეხინით, და საფუძველია, რომ მოგვევლინოს მესია მხსნელი რუსთველით ტარიელის სახეში, რომელიც ამ წესს განავრცობს მთელ მსოფლიოში ავთანდილთან და ფრიდონთან ერთად. ითქვა, მითში და რეალურადაც ცდილობს ბოროტება, გრძნეულის სახეში, დაქორწინდეს მზიაზე, ანუ მას ჰქონდეს მუდმივად წყალობა უფლის შეხინის, ქართული ცხოვრების წესის აღდგენა კი მზიას ქართველ ერთან, მის სულიერ ლიდერთან დააქორწინებს.

ამიტომ ასეთი მოვლენების განვითარების შიშმა დემონური ძალით გააერთიანა გააერთიანა მსოფლიოს ბოროტი ძალები, მათი ოთხიათასწლოვანი გარჯა ქართული სულიერების ათას სოფელთა გადაგვარებისათვის უნდა დაკარგულიყო. კვლავ უნდა აღდგენილიყო ჩვენი ზნეობის წესი, ქართველ მამულიშვილთა ნატვრა – ილიას, გაჯას, აკაკის, მერაბის, ზვიადის და სხვათა. და მოკლეს ამ სატანურმა ძალებმა გულანთებული მამულიშვილი ბადრი პატარკაციშვილი.

რამეთუ ყველაფერს აკეთებდა სააკაშვილის რეჟიმი, რომ საქართველოს ხალხს გაუსაძლისად გასჭირვებოდათ, რათა დედა ენის, თორის ცოდნის დაკარგვით გაუნათლებელი ხალხი, მათი უზნეო ქმედებით, ტანის სიშიშვლითაც, სატანის ზოოპარკში გამომწყვდეულ ცხოველებად ქცეულიყო. ასე განმეორდა ის, სიკვდილი ეროვნულ გმირთა, რაც მოხდა ილიას, შემდეგ მერაბის, ზვიადის და კიდევ მრავალთა მიმართებაში.

ამდენად, ამ განცხადებით იგი საქართველოს – ბიძინა ივანიშვილის სახეში ცისკარას, როგორც მითშია, გადაეფარა, ასე გაწირა მან თავი და გააფრთხილა ბიძინა, რომ ძალიან ფრთხილად ემოქმედა, აღარ მიეცა საბაბი ბოროტებისათვის და ღიად არ ეკეთებინა ქართული საქმე, რომ არ მოეკლათ მეორე ძმა უფლის რჩეული, საქართველოს იმედი.

სანამ მითში მოყვანილ ამ სიუჟეტს ავხსნით, გავიხსენოთ, ასეთი ქმედება ტრადიციული იყო ორივე ერისთვის. ფაქტები უამრავია. ჩვენ ერთი გავიხსენოთ, როცა ავთანდილი – ქართველი, ტარიელის – ებრაელთა ერის დასახმარებლად მიდის, ანუ უნდა შეუერთდეს საქართველო რუსეთს, რათა იხსნან ებრაელნი გაუსაძლისი ტანჯვისაგან და ისრაელის სახელმწიფოს შექმნაც დღეს ამან განაპირობა, მას წინააღმდეგობა აქვს როსტევანისგან. ავთანდილი ასე ამბობს თავის მოძმე ისრაელებზე: "მას ჩემთვის სული არ შურდეს, ძმას უმტკიცესი ძმობისა", ეს მითშიც ჩანს, როცა გაკვირვებული გრძნეული ამბობს: "ერთმანეთისთვის სიცოცხლე არ ენანებათო და მათი დამარცხება ძალიან ძნელი იქნებაო".

ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილმა ამ სამი იმპერიის – დევების დაკვეთა შეასრულა; ჯერ მოიწვია ებრაელი ბიზნესმენები, შემდეგ დაიჭირა და, მიუხედავად ისრაელის მთავრობის თხოვნისა, არ ათავისუფლებდა მათ, რათა შეულიც ჩამოეგდო ამ ორ ერში, რამეთუ მათი საითითაოდ დამარცხება უფრო იოლია.

ხოლო ცისკარა ივანიშვილის სახით, ათას სოფელს რომ აღადგენს, ისევე, როგორც ორი ერის ტრადიციულ ძმობას, ეს ჩანს მითში მასში, რომ ატარებს ბადრის, რათა გააცოცხლოს, რაც გამოისახება ბადრის ჩანაფიქრის და, იქამდე, საქართველოს მამულიშვილთა ნატვრის აღსრულებაში, ასე ის უფლის ნებით დღესაც სულიერად შერწყმულია ორი ერის ეროვნული მოძრაობის სულებთან აქ მიწაზე და ზეციურ სასუფეველში.

ამიტომაც უფლით მეტად ფრთხილად, გონიერად მოქმედებს, რამეთუ ბადრიმ აშკარად დაანახა, რა სიკვდილის მანქანა მოქმედებდა ჩვენი სულიერების წინააღმდეგ ბოროტების გეოპოლიტიკის სახით, მასაც, როგორც ბადრის, ხელეწიფება აღადგინოს ათასი სოფელი, საფუძველი ქართველთა ერთობის, სიყვარულისა.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ როგორც მის მიერ საკუთარი ერის უდიდეს სიყვარულს და იმასაც, თუ როგორი ძალით ამუშავდნენ ბადრის სიკვდილის შემდეგ, გარედან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობები, რომლებიც სპეციალურად გააძრავლა ბოროტებამ აქ, სიკეთის ციტადელში თითქმის იმდენი, რომ ყველა სხვა ქვეყნებში მათ ნაკრებს უდრის.

ითქვა, ყოველი მათგანი მიიღწვის საკუთარი თავის და პარტიის გამდიდრება-განდიდებისაკენ. ამიტომ აფინანსებს მათ ბოროტება. ასე ისინი წყდებიან ღმერთს, სულიერებას, აძლიერებენ სატანას, რამეთუ ხდება მათი და მათ მხარდამჭერთა დაპირისპირება, ერის გახლეჩვა, ხალხის ცხოველამდე დაყვანა და სატანის ზოოპარკში მოთავსება, რაც წარმოუდგენელი ცოდვაა. აი, რა წესებს გვკარნახობს ბოროტება და რისთვისაა განსაკუთრებული სიმრავლე მათი.

თუ არა ამ პარტიათა სიმრავლე, სააკაშვილის რეჟიმი მაშინვე დაემხობოდა ხალხისა და ამ ორი ლიდერის ძალით. მათ კი თავიანთი მიტინგებით, სადაც სიტყვასაც არ გვაძლევდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს, ვითომ ხალხის საქმეს აკეთებდნენ. სინამდვილეში ხელი შეუწყვეს, ბადრის სიკვდილის შემდეგ, სიკვდილის პირას მისული სააკაშვილის რეჟიმის გამყარებას. გვარებს არ ვასახელებთ, რათა ყოველმა მათგანმა მოინანიოს და დღეს, ასეთი წარმოუდგენელი უტიფრობით დაპირისპირება აღარ გააგრძელონ.

ტელევიზიათა უცხო ენაზე მაუწყებლობის გარდა, ქართული ეროვნული სიმღერებიც უზნეო ზანგთა სიმღერებით იცვლებოდა, რესტორნებში კი, მოსახლეობას რომ არ დაეძინა, ამ საზიზღარ მუსიკათა გნიასი იყო მთელი ღამის განმავლობაში. ათასი უზნეო ქცევის პედაგოგიც ჩამოიყვანეს ახალგაზრდობის გარსაყვნელად. ასე ებრძოდნენ ჩვენს სულიერების წყაროს – დედა ენას. ამავე დროს, წინასწარი გარიგებით ჩაებნენ დაგეგმილ წაგებულ ომში, უამრავი გულანთებული ქართველი ამოხოცეს და მესამედი ტერიტორია რუსებს ჩააბარეს, მათ შორის ასევე უამრავი სოფელია. ხოლო აჭარაში თურქები შემოუშვეს.

ეს მათი გარჯაა, ქართველთა დამათხოვრებისათვის, რომ თბილისშიც დღესაც ათასგვარ გადამთიელთა ჰეგემონიაა და ქართველები მათი მონა-მოსამსახურეები ხდებიან. ისევ დუხჭირი გამეფდა, რამეთუ მარტო დარჩა ქართველი ერი და მისი ერთადერთი ქველმოქმედი პიროვნება – ბიძინა ივანიშვილი.

რომ მას უფალი ეწევა ყველა საქმეში, გავიხსენოთ მითში სააკაშვილის გარჯის შედეგი – ქართველთა ურჩთა სოფელი, იგივე სრულიად საქართველო, მძინარედაა ქცეული. ამავე დროს, ვხედავთ მითში, ამ სიკვდილის ქანდაკებათა ქალაქში, როგორ ტირის უფლის სახეში მზია – უფლის შეხინა – სულიწმინდა, როგორ განიცდის ის მის სულიერ მიჯნურზე, ქართველ ერზე. რამეთუ თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და არასამთავრობოებმა, ტელევიზიამ და მასმედიამ შემდეგ და შემდეგ პირში წყალი ჩაიგუბეს. როცა პარლამენტი საქართველოს სრულიად გაყიდვის და ერის ზნეობრივი დაცემის კანონებს იღებდა, რასაც ახორციელებდა კიდეც სააკაშვილის რეჟიმი. როცა სოფლები ცარიელდებოდა, ხალხი ციხეებში იტანჯებოდა, ტელეკომპანია იმედი ძალმომრეობით მიითვისეს. ტყეები არა მარტო იჩეხებოდა, სპეციალურად წვავდნენ კიდევ, ვითომ ხანძარი გაუჩნდაო. ამ ტენდენციას ასეთი უსულგულო ხალხი დღესაც ახორციელებს.

რუსთაველზე და აღმაშენებელზე უზარმაზარი ასწლიანი ხეები მოჭრეს და კანონიც შექმნეს, იქ, სადაც მშენებლობაა, ნებისმიერი ხის მოჭრისა. აგრეთვე შექმნეს კანონი დამსმენთა წაქეზებისა. ხოლო ვინც ხმას იღებდა, იმას ტრიბუნას არ აძლევდნენ. ითქვა, არცერთი გაზეთის რედაქტორმა არ დაბეჭდა ჩვენი რამდენიმე წერილი ამ საკითხებზე. და მით'ში ჩანს, სააკაშვილის მიერ ქანდაკებად ქცეული ურჩთა სოფელში როგორ

შეეწევა ცისკარას იუანიშვილის სახეში უფალი, როცა მზიას ჩამოუვარდება ცრემლი და ეუბნება ცისკარას, რომ მას გაჰყვეს. მიჰყვება მას ცისკარა და ბადრისაც თან ატარებს.

შემდეგ ჩნდება უკვე ივანიშვილის სასიკვდილო თავგანწირვა უფლისა, საკუთარი ერისათვის, აგრეთვე ბადრისათვის, რომ გააცოცხლოს იგი. ეს გამოსდის მას მის გამო, რომ მიდის შეხინის მიერ გაკაფული გზით და ჯადოქარსაც უგებს კამათლებში, საკუთარი სიცოცხლის გაწირვით წაგების შემთხვევაში. გავიხსენოთ, მითში ამაში ცერცვის მარცვალი ეხმარება, რამეთუ მიდის იგი უფლის გზით, ქართული ცხოვრების წესის აღდგენისათვის. ასე უგებს ბოროტებას გეოპოლიტიკას მისი დახვეწილი გათვლილი ქმედებით, რაშიც მუდმივად უფალი უდგას გვერდში, რომლის წინააღმდეგ წასვლა 99%-იანი ალბათობით სიკვდილია.

ეუბნება კიდევაც ჯადოქარი, ას წელიწადში ერთხელ ვაგებო. ასე იგი მითში გააცოცხლებს ბადრის; ხოლო დღევანდელ რეალობაში ბადრის სახეში იმ წმინდა მამულიშვილთა ნატვრას, სურვილს, რომელნიც მიილტვოდნენ ქართული სოფლის სულიერების აღდგენისაკენ. უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი პირველ რიგში იგებენ ზეცაში ყველა ჩვენს ქმედებას.

ხოლო როცა მითში ბადრის გააცოცხლებს ჯადოქარი, იგი დაინახავს ცისკარას, მას სახე გაუნათდება. და აღტაცებული ეკითხება: „შენ ცოცხალი ხარ?!“ ანუ, ჩანს მითშიც და დღევანდელ რეალობაშიც მიმართულება ქართული ცხოვრების წესის აღდგენისა, რასაც ქართველთა თაობები ეწირებოდნენ, არ დაკარგულა. ასე ისინიც ბიძინას სახეში ცოცხლები არიან. ამაშია, არსი – მითში მოყვანილი სიუჟეტი ბადრის გაცოცხლებისა.

და ეს სასწაული, რომ დაამარცხა ბოროტება, მან, რა თქმა უნდა, მხოლოდ უფლის შეწევნით მოიმოქმედა. როცა გამოააშკარავა სააკაშვილის უზნეო რეჟიმის სისხლიანი ქმედებანი პატიმრების მიმართ. და ეს თითქმის ყველა ოჯახის გაუბედურება ამ სატანისტური თავხედის მიერ, მიმდინარეობდა მხოლოდ იმ წმინდა ქართველთა წინააღმდეგ, ვინც ნამუსი შეინარჩუნა მათზე მის მიერ დატრიალებული სიკვდილის მანქანა კარგად ჩანს მითში.

და დღეს ბიძინა მეტად ფრთხილად ახორციელებს ილიას, ზვიადის, ბადრის იდეებს ქართული ცხოვრების წესის აღსადგენად, ნელ-ნელა ერი უბრუნდება სულიერ განათლებას – თორას. ეს, რა თქმა უნდა, სიხარულია იმ ჩვენი მამულიშვილთა სულებისა, რომლებიც ზეცის სასუფევლიდან გვმფარველობენ, რათა მათი გზის უკანასკნელი გამკვალავი, იმედი საქართველოსი, არ გაენგმიროს მათსავით.

ანუ მან, ბიძინამ, ცისკარას სახეში, გააცურა თვით ბოროტების მანქანა (ამერიკა-რუსეთის ერთობა) გაითვალისწინა რა ბადრის შეცდომა და ასე მოახდინა კონსოლიდაცია ზოგიერთი მისაღები პარტიისა, რომლებიც უკვე თავად დააფინანსა. ასე გამოიყენა ისინი უკვე უფლის საქმის საკეთებლად.

ამავე დროს, დასავლეთიც გაყუჩდა დროებით, რაკიღა ამ პარტიების ძირითადი ბირთვი იყო მათ მიერ მართვადი. ასე ის მთავარ ქართულ საქმეს აკეთებდა, რასაც დასავლეთელები ხვდებოდნენ. ამიტომაც იყო მისი წასვლა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, რომ ძალით არ მოეცილებინა იგი დასავლეთს მათ მიერ მართვადი პარტიებითა და მასმედიით. ასე მან ააცილა ერს უფრო დიდი დაპირისპირება და უზნეო ძალთა ბობოქრობა.

შემდეგ მისი საქმე მეტად ღირსეულად გააგრძელა ირაკლი ღარიბაშვილმა. მასაც მიუხვდნენ ეროვნულ მიმართულებას, როცა მათი დაფინანსებული პარტიები, მასმედია, და ტელევიზიები აუჯანყა დასავლეთმა, მისი გადაყენებაც მოხდა. და ახლა მისი შემცვლელიც გამოიანახა. მაგრამ, ამავე დროს მან, ბიძინამ მოახერხა წარმოუდგენელი რამ, მთავარი – ყველაზე დიდი გრძნეული, მიხეილ სააკაშვილი მოაცილა პირდაპირ მმართველობას და იგი, როგორც დამნაშავე, სხვა ქვეყანაში გადაიხვეწა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 26 წელიწადში წარმოუდგენელი ნგრევა მან სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში წარმოუდგენელი ნიჭით, ქველმოქმედებით გამოასწორა. როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემებით ირკვევა, 500.000-მდე ქართველი, უკიდურეს გაჭირვებამდე მისული, ამ ოთხ წელიწადში უკვე გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, აგრეთვე 12%-ით შემცირდა საერთოდ გაჭირვებულთა რიცხვი და ეს ტენდენცია უფრო მეტი პროცენტული რაოდენობით არის მოსალოდნელი შემდეგში. იგი დღესაც 30 მილიონამდე ხარჯავს სულიერი ტაძრების აღდგენაზე. ეხლა დაიწყება იმ სულიერების აღორძინება, რაც საქართველოს მოწინავედ აქცევს და აქეთ დაეხმარება სურსათით

მთელ ევროპას, როგორც ეს რუსეთთან შეერთების მერე მოხდა. რამეთუ ყოველწლიურად იზრდება ექსპორტი და ბოლო წელიწადში მისი მატება 25%-მდეა.

ამას ხედაენ ბოროტი ძალები და მათი ზეწოლით ყველა მათ მიერ მართვადი პარტიები, მასმედია შემოდგომის ბუზებივით აუმხედრდნენ ბიძინა ივანიშვილს. მათი გრძნეულის – სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ამ პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვა მათმა მიმდევრებმა დაიწყეს ნაციონალებთან ერთად ყოჭინა იმ საკითხებზე, რაც სააკაშვილის გაუსაძლისი რეჟიმის დროს წარმოიქმნა ეროვნული ეკონომიკის, სულიერი განათლების, ზნეობის სრულიად გადაგვარება-განადგურების მიმსწრაფველობის გამო, და ამაზე სააკაშვილის რეჟიმის დროს ისინი დუმდნენ.

მივმართავ მათ: – რატომ მაშინ არ იღებდით ხმას, როცა საქართველო იყიდებოდა, რატომ არ გადადეთ თავი ივანიშვილივით, რომ სააკაშვილი მოგეცილებინათ? დღეს კი ყოველი თქვენი გამოსვლა ნაციონალების წისქვილზე ასხაებ წყალს, რამეთუ მათი დამარცხება გარედან დაფინანსებული უზარმაზარი მილიარდებით, თქვენ კარგად იცით, მხოლოდ ოცნებას შეუძლია ასე თქვენც ოგივენაირი ცოდვილი ხართ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“.

ჩვენ ყველა აგრეთვე ვხედავთ, რომ სრულიად საქართველოში არიან ისეთი საზიზღარი ფულით დაფინანსებული ცალკეული პიროვნებები და მეტად უტიფრად, თავიანთი გაყიდული სულით გაჰყვირიან ყველგან, სადაც ხალხმრავლობაა. აგრეთვე ტელევიზორების ეკრანებიდან, ივანიშვილის რეჟიმის უზნეობას მაშინ, როცა დღეს აღორძინების იმედი ყველას ჩაგვესახა.

ეს არის გაუგონარი ფაქტი ჩვენს ისტორიაში, როცა საქართველოს მხსნელს ე.წ. ქართველები უპირისპირდებიან.

მაგრამ ყველაზე დიდი დამპირისპირებელი საქართველოს პრეზიდენტია, კაცს, რომელსაც გამოუცხადა ნდობა ქართველმა ერმა მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის მოწოდების გამო, არა აქვს უფლება, დღეს დემოკრატიულობას თამაშობდეს, ვითომ ერის საქმეს აკეთებდეს, სინამდვილეში კი ძირს უთხრის იმ სულიერი ცხოვრების წესის აღორძინებას, რასაც თავი შესწირა უამრავმა მამულიშვილმა; მან მოსვლისთანავე პირი გატეხა და სააკაშვილის სკამი მიისაკუთრა. რატომ არ იღებს დღეს ამაზე ხმას მასმედია და პოლიტიკური პარტიები, ეტყობა, მათ სჭირდებათ საქართველოში ასეთი სახე – გარანტი კონსტიტუციისა, რომელიც სიტყვას ტეხს.

ხოლო ჩვენი ნამდვილი კონსტიტუციის – უფლით დაწერილი თორის გარანტი იყვნენ ღვთით მირონცხებული მეფობისათვის დავიდის შთამომავალნი – ბაგრატიონები, რომელნიც მუდმივად ეწირებოდნენ უფლის დამოძღვრებათა აღსრულებას საქართველოს კეთილდღეობისათვის. დღეს კი, ოპოზიციად ქცეული საქართველო რატომ იმ თანხებს არ ანგარიშობს, რაც პრეზიდენტის ინსტიტუტის შენახვას სჭირდება, რითაც დაპირისპირებაა ერში და „ნაციონალების“ საქმე კეთდება. ეს თანხები ხომ უამრავ გაჭირვებულს და ავადმყოფებს წაადგებოდა. ჩვენ არა გვაქვს ამდენი თანხის გაფლანგვის ფუფუნება.

ჩვენ გვინდა მოვუწოდოთ ასეთებს – პრეზიდენტს, სააკაშვილსაც: უფალი არის სამყაროს მეფე და არა სატანა, რომელსაც მალე გააქრობს ოგი. შეიცოდონ თავიანთი შვილები მაინც, რამეთუ მათი ბოროტება მთელ შთამომავლობაზე, მშობლებზეც გადადის. შეიცოდონ თავიანთი თავიც, როგორც უფალს, ჩვენც, მის შვილთ, არავის დასჯა არ გვსურს. მოინანიონ, სანამ დროა, თორემ მერე ძალიან! ძალიან! გვიან იქნება.

ყველა ჩვენგანი, სამწუხაროდ, პირადად ვართ მოწმენი, რა ცუდ დღეში ვარდებიან ის ფულისკენ მიმსწრაფველი ხალხი, რომლებიც გაჭირვების გამო სააკაშვილს უჭერდნენ მხარს. ამდენად, ამ ფულს ჯოჯოხეთის, უბედურების სუნი აქვს და სჯობს, მოვერიდოთ ყველა, ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ სოფელი იყო ჩვენი ზნეობის, სულიერების გამრავლების წყარო. სააკაშვილმა კი ისეთი სატანისტური ენერგიით შეუტია ამ ჩვენი სიკეთის ციტადელს, რომ ქართველი ხალხი, რომელიც თითქმის სრულიად აიყარა სოფლიდან. გაუუცხოვდა მას.

ცოტაც და ეს დემონი თავისას მიაღწევდა. საქართველო უფლის იმედი, სიკეთის ციტადელი აღარ იქნებოდა, თბილისი გახადეს კიდეც ის „თავკომბალა“, რისი პროცესიც დაიწყო რუსეთმა, როცა თბილისის საკრებულოს განაგებდა 85%-მდე არაქართველი. მაშინ ეს ბაღნარ-ქალაქი, რომლის სილამაზეს გაკვირვებაში მოჰყავდა მრავალი უცხოელი, მშენებლობათა განვითარებით უსულო, უსიცოცხლო ქალაქს ემსგავსებოდა. ამასთან, იყო სურვილი საქართველოდან დედაქალაქის საერთოდ გამოყოფისა და მათ საკუთარ ქალაქად გადაქცევისა.

ამდენად, მიიღტვოდნენ, რომ თბილისი უცხოელთა ქალაქად გარდაექმნათ, სადაც ქართველები მათი მონები იქნებოდნენ, ხოლო საქართველოს დედაქალაქი, მეფის რუსეთის გეგმიდან გამომდინარე, ქუთაისი უნდა გამხდარიყო. ამიტომაც ეს გეგმა რომ განეხორციელებინათ, სააკაშვილმა ჯერ პარლამენტი გადაიტანა ქუთაისში. ახლა კი, ივანიშვილი ცდილობს, ეს შეაჩეროს და პარლამენტი დედაქალაქს დაუბრუნოს.

მაგრამ მას ძალიან უჭირს ღიად, აშკარად დაიწყოს სულიერების ქართული ცხოვრების წესის აღდგენა საქართველოში, რადგან ძალიან გამრავლდნენ გარედან დაფინანსებულნი, რამეთუ იკარგება ბოროტების მრავალათასწლიანი მცდელობა საქართველოს სულიერი ცხოვრების წესის გადაგვარებისათვის.

ამიტომ პირდაპირ ვაცხადებთ ვინც მას არ დაუდგება გვერდში, ან მის წინააღმდეგ მოქმედებს, ისინი ან ბოროტების აგენტებია, ან იბრალებენ ქართველობას, ან გაუნათლებლებია და ვერ ხედებიან, რა ბოროტებას სჩადიან. ყოველ შემთხვევაში ისინი ძალიან, ძალიან საცოდავები არიან, რადგან ადრე მიდიან და მათნაირთა სულები იმ ქვეყანაში წარმოუდგენლად იტანჯებიან.

მითში კარგად ჩანს, გრძნეული თითქოს სარკიდან უყურებს და წარმართავს თავის ბნელ ძალებს და სააკაშვილიც ვერ ბედავს ჩამოსვლას. რუსთავი 2-ის, თუ მობილურის სარკიდან მოძღვრავს მათ საქართველოს გადასაშენებლად. ეს დაახლოებით დღევანდელი პერიოდია. როცა თვით ეროვნული ბანკის თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ,ლარის კურსი რომ დავარდეს. და როგორ მოხდება ხსნა, აგრეთვე წარიმართება ისტორიული პროცესები მითიდან გამომდინარე, საოცრად ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“წინასწარმეტყველებას. ასევე ემთხვევა „თხა და ვენახის“ იგავს. ჩვენ ყოველივეს ქვემოთ განვმარტავთ და ცისკარას მითის ფინალს შემდეგ თავში გადმოგცემთ „თხა და ვენახის“ იგავის არსის ჩამოყალიბების მერე.

ვაზი – ორი ერის სულიერი ერთობის სიმბოლო

ხოლო სულიერი სიუხვის მიწათმოქმედების წესის აღდგენა, თორიდან გამომდინარე, ეს პირველ რიგში ჩვენთვის ტრადიციული ვაზის მრავალფეროვან 600-მდე ჯიშთა ბარაქის აღდგენაა. რომ ამ კულტურის სიმრავლეს და სიუხვეს უკავშირდება საქართველოსა და ისრაელის ისტორია და ვაზი რომ ორი ქვეყნის – ისრაელისა და საქართველოს სიმბოლოა, აღწერილი გვაქვს მე-2 წიგნის III ნაწილში III ნახაზზე. ჩვენ ჯერ ამაზე შევჩერდებით, რამეთუ ამ სულიერი ვენახის ამოძირკვას ცდილობდნენ მთელი ისტორიის მანძილზე დანარჩენი ყველა ხალხები. დასტურად მოვიყვანთ ნაწყვეტს მე-3 წიგნიდან: ყოველი ვაზის ზრდისას, ჯერ ორი ტოტი გამოიყოფა და ეს რომ ისრაელში/საქართველოში არსებული 12-12 შტოთა ტოტებია, ამას ვაზის ჰემატრია გვამცნობს, რომელიც 24-ია. აქ თორის სწავლა დასტურდება მითაც, რომ, როგორც წესი, თორა და მისი ახსნა-განმარტებანი ანუ „თანახი“ შედგება სწორედ 24 წიგნისაგან. 24 – ეს დღე-ღამეში, 24 საათში თორის სწავლის აღმნიშვნელიცაა. ხოლო ამ ორი ტოტიდან გამოყოფილი ტოტები ეს უკვე გასულიერებული 12-12 შტოა ისრაელის და იბერიის.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ 2488 წლიდან ერთ ფუძეზე დაფუძნებული 12-12 შტო – ტვინი-სიწმინდე და გული-დედობა პარალელურად ვითარდებიან და ამიტომაც დავიდ-სოლომონის მეფობის ხანაში შეერთებულნიც იყვნენ, განა შეიძლება ტვინის მოწყვეტა გულიდან? ამიტომ ამარცხებდნენ მუდამ მომხვდურთ. სოლომონის დროს ომსაც ვერავინ გვიბედავდა. რამეთუ ვაზის ორი ტოტიდან გამომდინარე, როგორც ისინი შერწყმულები არიან ერთ ფუძე ტოტზე ასევე მტკიცედ არიან შერწყმულნი ისრაელნი და იბერნიც თორით. და,როგორც ვაზის ხე არ იმყნობა სხვა ხესთან, ასევე ერთგულნი არიან ისინი ურთიერთის, სხვა უჯიშოებთან არ შეერთდებიან. ვერც ჩვენი ქეიფი გამოდის მათთან ღვინით, რადგან ისინი თვრებიან მისით და მრავალ უზნეობას კადრულობენ. ჩვენში კი, ითქვა, ღვინის სმა – არაკებით თორის შემეცნებისას ნეტარ სულიერ თრობას – სიყვარულის გაზრდას განაპირობებდა.

ასე სასწაული ნეტარებაა სულის და ფიზიკურადაც,რადგან ვაზის ღვინით ქეიფისას უფლის სადიდებელი თავბრუდამხვევი ფერხულებით, სიმღერით ვადიდებთ უფალს. აქედანაა, რომ მხოლოდ ისრაელის და საქართველოს სიმბოლოა ვაზი. და რომ ქართველნი ერთგულნი არიან უფლისა, მასშიც ჩანს, რომ ყველგან ვაზს ახარებენ.

უჯიშონი კი ებრძოდნენ ამ ვაზს, უპირველესად მას ჩეხავდნენ. ისრაელში ასე მიაღწიეს მათ, რომ მოახვიეს აქ მათი უზნეოთა ენით მეტყველება, საქართველოში კი – ვერა, რადგან ორიეე ერი ცდილობდა, მეორე ტოტს დედა ერისა მუდმივად ეხარა.

რამეთუ აქ, იბერიაში გრძელდებოდა წმინდა ერის წმინდა ენით ღმერთთან კავშირი. ამავე დროს, დედა ენა წარმოებული უფლით წმინდა ენიდან, ასევე მშობლიურია ისრაელთათვის და სიყვარულით ერთობის საწინდარია ორივე ერისა.

სხვაგან ისრაელნი განიცდიდნენ სულიერ შიმშილს.

ამ ცოდნით, ენათა სიბრძნით იყო, რომ ებრაელები როცა კარგავდნენ პრაქტიკულ მიწათქმედების წესს 12 შტო'ში 50 სიბრძნის კარების შეღებისა, რომ საკუთარ სხეულ'ში მაინც ეხარებინათ სულიერების ხე – ვაზი ღმერთისა, მათ ამ წესის ცოდნის საფუძვლები თანახის 24 წიგნში ჩამოაყალიბეს. ისინი ძალიან შორს წავიდნენ, სწავლობდნენ რჯულის კანონებს და უფლის ნებით შეაღეს კაბალის ცოდნის ისეთი წარმოუდგენელი ლაბირინთები, რომ მყისიერად შეეძლოთ გადაადგილება, ასევე ნებისმიერი დაემარცხებინათ. აღვნიშნეთ, რომ ისინი მხოლოდ იბერიელებს გადასცემდნენ ცოდნას. ამიტომ ეს 24 წიგნი მხოლოდ ქართულად იყო ნათარგმნი და საქართველო'ში ინერგებოდა მისი მრწამსი (შალომ დავიდი, რუბენ ენუხი).

ამგვარად, ამ ვაზს – სულიერებას ქეიფით გაბრძენების ტრადიციას მისგან მიღებული სურნელოვანი ღვინით შთამომავალთა აღზრდისას ებრძოდნენ მომხდურნი. და სასწაულადაა დამთხვევა მთელი სამყაროს ისტორიის, მისი ეკონომიკური ფორმაციებით, წინასწარმეტყველება, როგორ განვითარდება მოვლენები „ქებათა ქებისა" და „ვეფხისტყაოსნის" არსით, აგრეთვე „თხა და ვენახის" და ცისკარას მითებ'ში გადმოცემული.

1.9.1. „თხა და ვენახი"-თ და ცისკარას მითით გადმოცემული სამყაროს ისტორია

ამ სიმღერაში გადმოცემულია მთლიანი წარღვნისშემდგომი სამყაროს ისტორია ცნობილი ოთხი ეკონომიკურ-სოციალური ფორმაციიდან გამომდინარე: პირველყოფილი თემური წყობილება, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური ცხოვრების წესები. ანუ როგორ იცვლებოდა ეს ფორმაციები. ხოლო შემდეგ როგორ აღსდგება ისევ თორაზე დაფუძნებული პირველყოფილი თემური, იგივე მიწათსარგებლობის ქართული ცხოვრების წესი თანდათანობით.

ვიცით, ჯერ ორი ძმიდან გამრავლდა იბერთა-მეფეთა მოდგმა. მათ განავითარეს იბერია-კავკასიაში პირველყოფილი თემური წყობილება, იგივე „მიწათსარგებლობის ქართული წესი სათემო-სასოფლო საკუთრების უპირატესობით", რაც საფუძველია სამყაროში სამოთხის ჩამოყალიბებისა.

მაგრამ მერე გამრავლდნენ თხები. სულიერად გაუნათლებლები, ამ სიტყვის სრული გაგებით, რადგან მესამე ძმის, ქამის მოდგმიდან გამრავლებულებმა შუმერეთში, იგივე ბაბილონ'ში გადასულებმა, უარყვეს უფლის დამოძღვრებანი მათ მიერ შემოტანილი ცხოვრების წესით. ანუ გოდოლისა და სხვა მშენებლობათა განვითარებით დაიწყეს მონათმფლობელური წესის ჩამოყალიბება, რომლითაც დაუპირისპირდნენ სულიერი მიწათქმედების წესს. ასე ამოძირკვეს ვაზი, რომლის დანერგვა სამყარო'ში ნოახიდან იწყება, ამ მიწებზე მშენებლობათა განვითარებით, რათა ხალხი დაემონებინათ. და, წერია „თხა და ვენახის" ალეგორია'ში: „მოდი ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი? მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი!" ანუ მათ, ამ თხებმა „შეჭამეს", ამოძირკვეს ვენახი – ღმერთის მიერ ჩამოყალიბებული მიწათქმედების წესი. შედეგად, უფალმა დაავიწყა დედა ენის ასომთავრული ანბანის სიბრძნე. ასე დამუნჯდა ეს ხალხი 500 წელი. დასტურად გავიხსენოთ ფსალმუნი 33.10 – უფალი ჩაშლის წარმართთა აზრებს, მოსპობს ხალხების ზრახვებს.

ჩვენ კი, იბერ-ისრაელნი, ღმერთის ენებზე ვსაუბრობდით, ამადაც ვიყავით დაუმარცხებელნი. თვითონ იბერია-კავკასიაში ეახარებით ვაზს – ჩვენი მარადისობის სიმბოლოს. ასევე იყო იაფეთელი ფარაონის და იოსების მეფობის პერიოდ'ში ეგვიპტე'ში. გოშენის (რაც ორ ერს ნიშნავს) მიწაზე. ორი ერი ეწეოდა თორაზე დაფუძნებულ მიწათსარგებლობის ქართულ წესს. ვავითარებდით ჩვენი სულიერების სიმბოლოს – ვაზს და როცა ასე თორით ვცხოვრობთ, უფლის ენებზე ვსაუბრობთ, უფალია ჩვენთან, დაუმარცხებლები ვართ.

დასტურად, იოსების სიკვდილის შემდეგ, როცა გამეფდა იქ მონათმფლობელური წესი, გოშენის მიწაზე, ისევე, როგორც საქართველო'ში, მან ვერა და ვერ შეაღწია. უფრო მეტიც, აქ მცხოვრებ ებრაელებსა და ქართველებს, უფლის შეწევნით, ეგვიპტელთა ათი დასჯიდან ყველა სცილდებოდათ. შემდეგ კი, როცა გამოვედით

ეგვიპტიდან, ეგვიპტელებმა, ამ უკულტურო ხალხმა, შეასია მათი კერპი თხა და ცხვარი, თვითონაც თხებივით შეესიენ მას – ვენახს და ფესვებიანად ამოძირკვეს ისევე, როგორც შუმერეთში. ანუ მათი ღმერთის ამ თხის წესით მოარულებმა, მონათმფლობელებმა „შეჭამეს“ და ამოძირკვეს ვენახი ყველგან, სადაც კი ის იყო.

მაგრამ, ისევ ცოცხლობდა საქართველო, კავკასია და ისრაელის სახელმწიფოც, რომელიც ამ გამოსვლის მერე შედგა ქანაანის მიწაზე. დასტურად, ვახარებდით ვაზს, იბერიაშიც და უკვე ისრაელშიც. ამიტომ უფალი გვიწყობდა ხელს, რაც ჩანს 81-ე ფსალმუნში: „9. ეგვიპტიდან გადმოიტანე ვაზი, განდევნე ხალხები და დარგე ის. 10. განწმინდე მის წინ (ადგილი), ფესვები გაადგმევინე, და მან აავსო ქვეყანა“. ასე სულიერად და მატერიალურად გამდიდრდა ქვეყანა, უფლის ენით და თორით მოსიარულე.

მაგრამ გააძლიერა ბოროტებამ მისი ქმედება შემდეგნაირად: თუ ქამის მოდგმა თხის დონეზე იყო განათლებით და არც ანბანური დამწერლობა ჰქონდათ, უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა ესავ-იშმაილის მოდგმა. მათ, კერპთაყვანისმცემელმა ხალხმა, ჯერ მიითვისეს წმინდა ენის ასო-ნიშნები, რისგანაც შექმნეს საკუთარი ანბანები. თანაც, შემდეგ თითქოს უფრო „დემოკრატიული“ წესი მოიგონეს საქართველოსა და ახლად შექმნილი ისრაელის გადასაგვარებლად ამ მგლის სულის, მის ქურქში გახვეულებმა. მათ თხებივით განუვითარებელი მონათმფლობელური წესი შეცვალეს თითქოს უფრო პროგრესული და ხალხთა დამონებისათვის მოხერხებული ფეოდალური წყობილებით.

აქ ის ისტორიული პროცესია გადმოცემული, როცა ბოროტების ცხოვრების წესის წარმართვის ლიდერობას კარგავს ქამის შაეკანიანთა მოდგმა ნიმროდის ხელმძღვანელობით და მას უკვე ეუფლება ესავის მოდგმა. თორით ცნობილია, რომ ესავი, რომელიც მგელივით ძლიერი მონადირე იყო, კლავს ნიმროდს და მიითვისებს მის ადამისეულ ტანსაცმელს, რითაც იგი დაუმარცხებელი მონადირე იყო. ასე ესავის მოდგმამ, ბერძენ-რომაელთა სახით. ამ მგლებმა, ფეოდალებმა, დაიწყეს მეფობა სამყაროში. შედეგად, წერია მითში: „მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა. მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა“. ანუ „მგლებმა, ამ ფეოდალებმა, ჯერ ჭამეს თხა“, გააბატონეს მათი წესი მთელ მსოფლიოში და, აქედან გამომდინარე, ინდოევროპული მოდგმა, იბერია-კავკასიის გარდა.

შედეგად, ვენახი ისრაელისა ამოძირკვეს, რადგან ნელ-ნელა იკარგებოდა მეტყველება წმინდა ენაზე, საფუძველი სულიერი მიწათქმედებისა. ასე ამოძირკვეს ისრაელთა ნაჯაფი, ამ სახელმწიფოს სულიერების სიმბოლო ვენახი, ვაზი ღმერთისა. და წერია ამავე ფსალმუნში: „81.15. ღმერთო ძალთაო! მობრუნდი, გადმოგეხედე ციდან და იხილე და მიხედე ამ ვაზს“..

მაგრამ მათ ვერ ამოძირკვეს ქართული ვენახი, რადგან ითქვა, ისრაელთა სწავლული ალიები გაჭირვების ჟამს ჩვენსკენ მოეშურებოდნენ. ასე მათი ერთობით, ორივე ენაზე მეტყველებით, დაუმარცხებელი იყო იბერია. რამეთუ ისრაელებთან ერთად დედა ენით ვმეტყველებდით, ვაზს ვანვითარებდით „თხა და ვენახსაც“ ვმღეროდით თორის მცნებებით ეცხოვრობდით.

ამადაც ჩვენთან ფეოდალური წყობილება კი იყო, მაგრამ ბატონ-ყმობა კი არა, თორის წესებით პატრონ-ყმობა იყო. ანუ ყოველი ბატონი – ფეოდალი განა იმონებდა ხალხს, რომ გაუნათლებლები ყოფილიყვნენ, პირიქით, დღენიადაგ იღვწოდნენ, რომ გაეზარდათ განათლებული ყმაწვილები – მოყმეები პატრონობდნენ მათ ისე, როგორც „ეეფხისტყაოსანშია“.

ჩვენში თავადობა პირველ რიგში, სოფლის სიძლიერეს, სულიერ სიყვარულს, მიწების თანაბრად გაყოფას განაპირობებდა. აქ არც სასახლეებს აშენებდნენ, როგორც ევროპაში, რომ გამორჩეულიყვნენ. მეფეც და თავადიც ერის სამსახურში იყვნენ მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამანაც განაცვიფრა ალექსანდრე დიუმა, როგორ თანაბრად ამაყობდა აქ გლეხი გლეხობით და თავადი თავადობით, ხოლო მათი იერარქია სულიერი განათლების დონიდან გამომდინარე ყალიბდებოდა.

ამდენად, ეერც ამ მგლებმა ამოძირკვეს ჩვენი ვაზი – სულიერი ვენახი და ისევ ემღეროდით „თხა და ვენახს“. ამიტომ შემდეგ განავითარეს უფრო ულმობელი – კაპიტალისტური წესი თოფისა და იარაღის გამომგონებლებმა ხალხთა დამონებისათვის და გასაყლეტად. ანუ მოერია, გადაყლაპა კაპიტალისტურმა ფეოდალური წყობა. ამდენად, ასე უნდოდათ როგორც ისრაელში, ასევე ჩვენც რომ მათ ენებზე გვემეტყველა, რადგან ასე დაპირისპირებით ერთმანეთს დავრეულიყავით.

კი მიაღწიეს იმას, რომ ისრაელთა გადასარჩენად რუსეთთან შეეერთებულიყავით. ამათაც ჩვენი ვენახის გადასაგვარებლად შექმნეს, ლენინის მეთაურობით, უღმერთოთა იმპერია. ამისათვის დაწესდა მუშათა, ამ სულიერებას მოწყვეტილი მუდმივი ტანჯული შრომის გამო და ასე გაუნათლებელი კლასის ჰეგემონია. შედეგად, თითქმის ამოიძირკვა ვაზი მესხეთში, სხვა რეგიონებში სხვადასხვა ეროვნებათა ჩასახლებით, მათი არაიბერიული და რუსულ ენათა განვითარებით. მაგრამ ჩვენ სულში, გენეტიკურ კოდში, ისეა ჩაძირკვული სულიერება, თუმც მათ განავითარეს მშენებლობანი, მაგრამ სადაც კი დარჩენილი იყო მიწები, მაინც ვაზს ვახარებდით, ისრაელებთან ერთად თორასა და „ევფხისტყაოსანს“ ვკითხულობდით, „თხა და ვენახის“ სიმღერასაც ვმღეროდით. და როცა ჩვენ დედა ენაზე ემეტყველებთ, მუდმივად გამარჯვებულნი ვიქნებით. თუმც 600-მდე ვაზის ჯიში სულ 3-4-მდე დაიყვანეს, როცა დამოუკიდებლობა მივიღეთ, კვლავ დავიწყეთ ამ ჯიშების გამრავლება. ისევ ასე ვმღეროდით „თხა და ვენახის“ შემდეგ ტაეპს: „მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი, მიველ ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი“. „თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა“ და ამ არა ღმერთის სულით მოარულებმა და გამყიდველ შევარდნაძე-სააკაშვილის მეშვეობით ამ თოფიანებმა ჩამოგვაჭრეს ჯერ აფხაზეთი, მერე სამაჩაბლო. შემდეგ, ითქვა, ქართული სულიერების გადასაგვარებლად, სააკაშვილმა ამ ვაზის მომყვანი 500 სოფელი დააცარიელა. კიდევ ათეულობით სოფელი რუსეთს ჩააბარა. ეს ისეთი ფეთქებადი მუხტი ჩადო სააკაშვილმა, რომლის შედეგსაც დღესაც ვიმკით, ცნობილი „მცოცავი“ ანექსიით.

იყო სააკაშვილის მონდომება ვაზის ამოძირკვისა, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოუვიდა. მაინც ვახარებდით ქართველები ვენახსა და ყანას.

ასე უნდოდა საქართველოს დამონებაც რუსეთს, მისი მონის სააკაშვილის მეშვეობით. მაგრამ, როგორც სიმღერა გვეუბნება, ასეთ ცხოველთა ტრადიცია ზოოპარკში მყოფი სატანის ხელმძღვანელობით ვერ გავრცელდება საქართველოში. ქართველი, მისი სულიერების გენეტიკით, სანამ ქართულად ემეტყველებთ, თორას, „ევფხისტყაოსანს“ ვსწავლობთ, ემღერივართ „თხა და ვენახს“. მას – ვენახს, ჩვენი სულიერი ქვეფენით გაბრძენების წყაროს, ვერ ამოძირკვავენ. ქართველი ვერ გახდება ულმერთო, ვერ დაიმონებს დაჩაგრულთ.

თუმცა იმდენი იარაღი დაამზადეს, დღეს ამ კაპიტალისტური წესით, ხალხთა ამოჟლეტის მიზნით, რომ ამდენ უსისტემოდ დამზადებულ იარაღს, როგორც მითშია, უკვე „ჟანგი ჭამს“. რამეთუ დღეს უფლის შეწევნით მოვიდა ამერიკის ხელისუფლებაში ტრამპი, რომელიც მხარს უჭერს ისრაელს და საქართველოს. ისრაელთანაც დაიდო ხელშეკრულება მსგავსი ჩვენი სულიერი ტრადიციისა, მხარდაჭერისა ჩვენი მტების შემოსევისას. და რუსეთი უკვე ვეღარ შემოგვიტევს, რამეთუ მათი იარაღი ვერ მოვა ისრაელის და ამერიკის იარაღთან.

ასე მათი მატერიალური სიმდიდრის საფუძველი, უზარმაზარი რაოდენობის იარაღი მართლაც იჟანგება და კიდევ უფრო დაიჟანგება. ანუ, როგორც მითშია: „მოდი ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი. მიველ ვნახე თოფი, ჟანგმა ჭამა თოფი“. აქედან ჩანს, რომ ეს დღევანდელი ეპოქაა. ეს იარაღის მწარმოებლები ალეგორიულად თაგვებს დაემსგავსნენ მით, რომ უვლიან ამ დაჟანგულ იარაღს, აცლიან ჟანგს, მილიონებს ხარჯავენ, რათა არ დალპეს იგი. ანუ რეგულარულად, ალეგორიულად როგორც თაგვები, ასევე ისინიც „ჭამენ – ითვისებენ ჟანგს“.

რამეთუ მას ვერ გამოიყენებენ ისრაელისა და ამერიკის წინააღმდეგ. და აქედანაა მათზე ნათქვამი: „თაგვმა ჭამა ჟანგი“. ამ თაგვების იმედი აქვს სააკაშვილს, რომელმაც შემოგვისია ეს თაგვი-ხალხი მათ მიერ ჟანგნაჭამი იარაღით, ჩვენ კი უფრო დაჟანგებული შემოგვაჩეჩა. მაგრამ ვენახს მაინც ვახარებდით.

ახლა გაეიხსენოთ, ცისკარას მითის ფინალი შეეწყვიტეთ, რათა იგი „თხა და ვენახის“ სიმღერაის ფინალში განგვეზოგადოებინა.

ამგვარად, დღეს ყველა ვხედავთ, რომ გეოპოლიტიკის ზეწოლით ძალიან ეფრთხილობთ და გვიჭირს ქართული ცხოვრების წესის სრულყოფილად აღდგენა. მაგრამ, უფლის შეწევნით ისიც ჩანს, როგორ იცვლის ამერიკა თავის პოზიციას ისრაელისა და საქართველოს საკეთილდღეოდ. რადგან ახლად მოსული პრეზიდენტი თავისი გონიერებით კარგად ხედავს, რომ ძალადობა წარმოშობს ძალადობას, ანუ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. თუ არ წაეიდნენ სულიერებისკენ, ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც უფლის ნებით საშინელი რეკორდული სტიქიური დასჯები უფრო გამკაცრდება. და ვინც ამ საქმეში წინამძღოლობს, გამოუსწორებლები არიან, ისინი გაიზიარებენ წარღვნამდელი თაობის ბედს.

ამას უკვე ხედავენ ამერიკაში, როგორც ეგვიპტე, ის ყველაზე უფრო მეტად ისჯება სტიქიებით და უპირველესად იმიტომ, რომ მათი გეოპოლიტიკა მიმართული იყო, რათა არ აღორძინდეს ისრაელსა და იბერია-კავკასიაში სამყაროს ხსნის იბერიული ცხოვრების წესი. როგორც ირკვევა, როდესაც კი ამერიკელთა მხარდაჭერა იყო გაერო-ში საკითხების გატანისას პალესტინის და არც ისრაელის სასარგებლოდ, მაშინვე უდიდესი სტიქიებით ისჯებოდა შეერთებული შტატების ტერიტორია.

და ვიცით, ცისკარას მითის ფინალი. როგორ ისჯებიან ისინი ასეთი ცოდვისათვის. გავიხსენოთ, მითში ბადრის გაელვიძება, ხედავს ივანიშვილის გარჯას, გრძნეულიც რომ მოგვაშორა და ხარობს იგი. მის სახეში კი ხარობენ ზეცაში წინაპართა სულები, როცა დღეს ივანიშვილი ნელ-ნელა ცდილობს, აღადგინოს ქართული ცხოვრების წესი. ასე არ ეგონა სააკაშვილს, რომელიც გვემუქრებოდა, გვირაბს გავთხრი და ისე ჩამოვალ საქართველოშიო. თუმცა შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან და რომ გაანადგურონ სამოთხე ქვეყანა, აღარ დაინერგოს სულიერი მიწათმოქმედების წესი. ახლა, მათნაირებმა ხანძრების ალში გახვიეს სრულიად საქართველოს ფლორა.

ფინალი კი მითში შემდეგნაირადაა: ქართული სულიერი სიმღერებით, უფლის სადიდებლებით, „ქებათა ქებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ახსნით ვიძენთ თორის ცოდნას, ვიღვიძებთ. ხარობენ ისრაელნი, ქართველი ერი, ბადრისა და ბიძინას სახეში, რომელნიც ერთად მოდიან გამარჯვებულნი.

ეს არ აწყობს ბოროტებას და, ვხედავთ მითში, როგორ აღიმართება მათ შორის დიდი კედელი. ასე ცდილობენ დღესაც ორი ერის გათიშვას და, როგორც მითში, მარტო რჩება ცისკარა. ასე ცდილობენ მარწუხებში მოაქციონ, დაატყვევონ იგი და მიჰგვარონ გრძნეულს. და მართლაც, დღესაც დატყვევებულია, მარწუხებშია სრულიად საქართველო ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რამეთუ ყოველნაირად ცდილობენ, რომ არ აღადგეს სულიერი ცხოვრების წესი.

მაგრამ მითში ვხედავთ, რომ მას, ასე დატყვევებულსაც, წინაპართა მახვილი არტყია, მახვილი კი ენის, სულიერების სიმბოლოა. ანუ ჩვენ კვლავ ვმეტყველებთ ჩვენი ენით, სულიერების, სიყვარულის სიმბოლოთი და მაინც წინ მიიწევს სოფლის მეურნეობა, კვლავ ვითარდება ქართული სოფელი. თუმცა პარლამენტშიც და მთავრობაშიც დაგეგმილი კოსმოპოლიტები მაინც იძულებით შეაყვანინეს, რომ გაუტეხონ „ოცნებას“ – ივანიშვილს სახელი. და ეს უკვე დღევანდელი მდგომარეობაა, როცა გრძნეული, ანუ დღევანდელი გეოპოლიტიკის წარმმართველი სახელმწიფოები იწყებენ ქართველი ერის მოჯადოებას. „ოცნების“ გარდა სხვადასხვა მათი პარტიული აგენტების წარმოჩენით, რომ ეს მეფეთა მოდგმა გაანადგურონ, „თაგვად“ აქციონ.

მაგრამ ავიწყდებათ, რომ საქართველოს პატრონია უფლის შეხინა მზიას სახეში, რომელიც დღეს გათავისუფლებულია გრძნეული სააკაშვილის მარწუხებისგან, ამიტომ დაახურებს ბოროტების ყველაზე დიდ გრძნეულს, სააკაშვილის სახეში, რქებიან ჩაჩქანს.

ამავე დროს, ხსნა იქნება უკვე პირადად ისრაელთა ერიდან, რაზეც უკვე ითქვა, რომ ურთიერთ გვერდში დგომის ხელშეკრულებაა დადებული. და მითშიც ბადრი გადალახავს ბოროტების დიდ კედელს უფლის შეწევნით, სულიერი იარაღით (როცა მისი სკიერი გაიხსნება), რაც „ვეფხისტყაოსანში“ უფლის სულიერი შუქის ჩამოსვლით ხდება, გრძნეულიც და მისი დამქაშნიც, ამ შუქით გაბრუებულნი, მძინარენი ხდებიან.

შემდეგ ბადრი, თორის მიმღები ერის წარმომადგენელი, გამოართმევს გრძნეულს წყაროს სიცოცხლისა, სულიერი განათლებისა – სალამურს. ასე, ამ სალამურის ამღერებით ანუ თორის სულიერი განათლებით გააღვიძებს ჯერ ცისკარას, შემდეგ იღვიძებს სრულიად საქართველო, ანუ ქანდაკებად ქცეული ქვეყანა, აგრეთვე ზეციური სულები ისრაელთა და ქართველთა, მათ შორის ბადრისა. **მერე ცისკარა, ივანიშვილის სახეში, გრძნეულსაც გააღვიძებს სალამურით და საბრძოლველად გამოიწვევს მას.**

მაშინ უკვე ბადრი ეუბნება, შენ ეს ბრძოლა ჯადოქრობა ხომ არ გგონიაო. ანუ სააკაშვილი თავისი გრძნეული – ჯადოქრული ძალით უკვე ვეღარ შეძლებს გააბრუოს მოსახლეობა რომელნიც ხედავენ ორი ძმით, ორი ერით განათლებულ საქართველოს და ეს ძალიან მალე მოხდება. ასე იგი თაგვივით მშიშარა ხდება. რადგან იცის, ძალიან ცოდვილია, და სიმართლეს ტყუილით ვერ დაუპირისპირდება. ამიტომაც იგი, როგორც მითშია, გაურბის ცისკარას შიშით და თაგვს ემსგავსება, ვერ ჩამოდის საქართველოში.

ამდენად, ცისკარას მითშიც გრძნეული შიშით ისე პატარავდება, რომ მისი სული თაგვში თავსდება, თაგვად იქცევა მისი სულიერებიდან გამომდინარე.

ასეთი თაგვის სხეულ'ში იბუდებს დღეს ყველა იმპერიული მისწრაფების ხალხების სულები მარადიულად. მაგრამ მალე სულიერ შუქ'ში გაეხვევა მთელ სამყარო, აღარც ბუზები იქნება და აღარც თაგვი, რადგან ქვეყანა ტაძარს დაემსგავსება.

შედეგად, წერია: „მოდით, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი", „მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი". ცისკარას მითიც დავამთავრეთ, რომ თაგვად გადაიქცეა გრძნეული და ისიც გადაიყლაპება. ასე ემთხვევა მოვლენები ამ სამ ნაწარმოებში.

ხოლო კატა – ეს ვეფხვის ალეგორიაა. და რუსთველითაც ვეფხისტყაოსანი ბნელეთთან მებრძოლი, ეს მომავალი მესია ტარიელია, რომელიც ავთანდილთან ერთად დააბრუნებს სულიერ შუქს, რაზეც ითქვა, უზნეონი ვერ გაუძლებენ. და გარდაიქმნება ვეფხვი ლომად. ასე ორი ლომი ერით, ერთ სულიერების ვაზის ორ ტოტზე დაფუძნებული ცხოვრების წესის დანერგვით იქნება ხსნა სამყარო'ში.

ამდენად, ეს ყველაფერი, რაც ორ ხალხურ იგავშია გადმოცემ'ული, სრულყოფილად ემთხვევა განვლილ მოვლენებს, თუ როგორ იქნება ხსნა, რაც ჩვენ სამ ნაშრომშია მოცემული. ახლა კი მთელი თორის არსი, ის ძირითადი მიმართ'ულებანი, შევეცდებით, ერთიან კონტექსტ'ში წარმოვაჩინოთ. ამისათვის ჩვენ ჯერ თეზის'ურად გავიმეორებთ ზოგიერთ ძირითად მასალას. და ბოლოს დავასაბუთებთ, რომ ხსნის პროცესი დაწყებ'ულია. თორის სწავლით დროზე უნდა ჩავსხდეთ უფლის სიკეთის-სიყვარ'ულის მატარებელ'ში, ხვალ უკვე გვიან იქნება!

2. ძირითადი მოვლენების განვითარება და როგორ იქნება ხსნა

უფალმა რუდუნებით თითო-თითო წმინდანით ადამიდან ნოემდე, შემდეგ ორი ძმის – შემის და იაფეთის სულიერი ერთობით შექმნა თაეის შვილთა იბერთა – მეფეთა მოდგმის ორი განშტოება ქართველნი – კავკასიელნი და ისრაელნი. ხოლო მათი ანბანები წმინდა და დედა ენისა დასაბამიდანაა ბოძებ'ული ადამისადმი და ითვლიან 5778 წელს.

ამ ანბანთა ორი ენის ერთობლიობა-ერთსულოვნება, გამოკვეთილია მას'ში, რომ დედა ენით იხსნება წმინდა ენაში დაფარ'ული სიბრძნე თორისა, მათ'ში ჩადებ'ულია მთვარისა და მზის კალენდრების არსი და სხვა დღემდე შეუცნობი სიბრძნენი; აგრეთვე წმინდა ენით განიმარტება დედა ენის სიტყვა და არსი. და ასე ორივე ენით თორის სიბრძნენი სიტყვათა და წინადადებათა 70 სიბრძნე შეიმეცნება.

– იბერიული მოდგმის ამ ორი ერის სულიერი ერთობა ითვლის არა 26 საუკუნეს, არამედ 4120 წელს ორი ძმის უფლისა და ნოეს კურთხევების მერე.შედეგად, ისრაელნი ამყარებენ სულიერ კავშირს უფალთან, ჩვენ კი ვეითარდებით მათ კარვებ'ში, მათი დამოძღვრებით. ამიტომ დაერქვა ისრაელთ წიგნის ხალხი, ჩვენ კი მიწათმოქმედნი ამ წიგნით. შევიქმენით ისრაელებთან ერთად უფალთან მიახლოებ'ული გენეტიკური თვისებების უნიკალური სიყვარ'ულით, გაცემა-გაყოფით, თავმდაბლობით და სხვ.

– ამავე დროს, თორაში მოცემ'ულ ხუთ კურთხევაში ისრაელთა ერისა: უფლისა და ნოესი; შემის, იცხაკის, იაკობის და მოშესი, მხოლოდ პირველ'ში არიან მოხსენიებ'ულნი აგრეთვე იაფეთელები. დანარჩენებში კი მხოლოდ იგულისხმებიან ისინი, რათა ბოროტებას არ გაეძლიერებინა მათზე შემოტევა.

– ეს ორი ერი მუდმივად მე-ტყვე-ლებდა უფლის მიერ ბოძებ'ული წმინდა და დედა ენებით, რაც მათი წარმოუდგენელი სულიერი ერთობის განმაპირობებელია. ჩვენი ლაპარაკიც არაკებით თორის სიბრძნის, საიდუმლოებათა გადმოცემით იყო განსაკუთრებით ყოველდღიური ქეი-ფობისას.ენით იყო რწმ-ენა და სმ-ენა უფლის. ამიტომაც რუსეთთან შეერთებამდე იქცა საქართველო სამოთხე ქვეყნად. რაც აისახა ჩვენი საკვირაო კალენდრის დასახელებაში ერთშაბათიდან შაბათამდე, იგივე სამოთხემდე.

– სადაც დიდი სიწმინდეა, იქ ყოველთვის ბრძოლაა უწმინდურობისა, ჭუჭყისა მის წინააღმდეგ. ითქვა, ადამიანთა მიერ შექმნილ ენებში ჩანს სიამაყე, რომელიც საფუძველია ყველა სხვა უზნეო თვისებათა: შურის, უზნეობის, ერთმანეთის დამონების, ქილიკაობის, დასმენის. ყველა ამ ენებზე მოლაპარაკე ერებს ამიტომაც ეწოდა ინდოევროპული მოდგმა.

ამ ენების გამეფებით ისინი სცილდებიან უფლის წმინდა თვისებებს, გამოირჩევიან დაფარული აგრესიით. ამიტომაც ყოველი ქვეყანა ცდილობდა დაეპყრო სხვა ქვეყნები და იქ თავიანთი მოგონილი ენებით მეტყველება გაევრცელებინათ. ამაშია ქვეყანათა დაპყრობის არსი, როცა შენ შინაგან თვისებებს: სიამაყეს, აგრესიულობას, ერთმანეთის დამონების სურვილს, უზნეობას და ა.შ. ახვევ ხალხს. ასე აიძულებ შენ ენებში ჩადებული ამ თვისებებით იმეტყველონ, ანუ ტყვე გახდნენ შენი და სატანის. ასე ყველა

ამ ენებით მოლაპარაკეებმა, თავიანთი სიამაყიდან გამომდინარე, გააძევეს უფალი და ამეფებდნენ ბოროტებას, სატანას თითქმის მთელ სამყაროში.რადგან მათი ენებით მეტყველებისას უფალი არაა კავშირში მათთან მათი გაწვრთნისათვის. ამიტომ არა აქვთ სიყვარული.

შედეგად, ადამიანებისგან სამყარო შეიქმნა მხეცებად ქმნილ ზოოპარკებად. ყოველ ქვეყანაში, თავისი ენიდან გამომდინარე, დამახასიათებელი უზნეო თვისებებით შთენილი, მხეცებად ქმნილ ადამიანთა ზოოპარკებია. ასე კარგავენ სულიერებას და გადაშენება მოელით, თუ არ მოეგებიან გონს. მაგრამ ისინი თავისას აგრძელებენ ცდილობენ დაიპყრონ სხვა ქვეყნები. ასე მოაქციონ ისინი თავისი ზოოპარკის მხეცთა თვისებებით გაელენის სფეროში. ამ მხეცებით ქმნილი ზოოპარკებით სამყაროში გამოირჩა რამდენიმე ქვეყანა, რომელთაც განაწილებული აქვთ გაელენის სფეროები. გამოეყო ისრაელი-საქართველო ამ ზოოპარკს, მაგრამ დარჩნენ იქ აფხაზები და ოსები.

მოწყალეა შემოქმედი და მას სურს, რომ ყველა მისმა შვილმა მარადიულად იცოცხლოს. ამიტომ ცდილობს, რომ ორი ძმით – ორი ანბანით მოაქციოს დანარჩენი ყველა, ხალხი მეტყველი ახლად შექმნილი არა უფლის ენებით, რათა არ დამუნჯდნენ სამუდამოდ, რაზეც მეტყველებს იოანე ზოსიმე.

– აქედან გამომდინარე სამ-ოთხე ნიშნავს სამით: „შემოქმედი და მისი შეხინა – იგივე სული წმინდა“, „ღვთიური, სასიცოცხლო მოლაპარაკე სულით“ და „უფლის ანბანით“, რომელიც შთენილია ამ სულში, გაასულიეროს ოთხი: ადამიანის „ტვინი“, სადაც ღვთიური სულია. შემდეგ ამ ტვინიდან წამოსული „სისხლით“, რომელიც წმინდა ენაზე ასევე მოლაპარაკეს ნიშნავს – მეორეთი გაასულიეროს მესამე - „გული“, რომელიც გადასცემს თორიდან გამომდინარე სრულყოფილების ინფორმაციას მეოთხეს - „სხეულს“. მის 248 ორგანოს და 365 სახსარს. ასე სულიერდება ადამიანი. და ზუსტად 248 დასაცავი მცნებაა და ასევე 365 აკრძალვითი მცნებაა თორაში.

ამ სქემიდან გამომდინარე, უფლის მიზანია, ტვინით სამყაროსი, ისრაელით, და გულით სამყაროსი, იბერია-კავკასიით, გაასულიეროს მთელი სხეული ანუ მსოფლიოს დღევანდელი ქვეყნები, სადაც მოლაპარაკე სისხლის ფუნქციას ადამიანები ასრულებენ დედა ან წმინდა ენით. ეს მოსაზრება თანხვედრაშია უდიდესი რაბის, ბენ იშხაის ნათქვამთან: შეხინა შემოდის ორგანიზმში მხოლოდ თავში, ტვინთან და გულში. ასე სულიერდება სხეულიც და სამყაროც.

– ამიტომაც იყო, რომ ერთი და იგივე მტერი გვყავდა. ისინი ორივე ქვეყანას ერთად უტევდნენ და, იმძლავრა ბოროტებამ, მონათმფლობელურმა წყობამ, რათა შეეცვალა იბერიული ცხოვრების წესი, ცნობილია, გული თუ გაჩერდა, სხეული იღუპება. და ისრაელმაც მათი აგრესია თავის თავზე მიიღო: ჯერ თორის მიღებით, შემდეგ კი ქენაანის მიწის დამკვიდრებით. ბოროტების შემოტევისას კი, დედა ენა რომ არ გადაშენებულიყო, ისრაელთა სწავლულთა ალიები იბერია-კავკასიაში მოეშურებოდნენ, რაც დედაენის ისეთ სიძლიერეს განაპირობებდა, რომ აღიგვებოდნენ დამპყრობლები. ამ მაგალითიდან გამომდინარე, ჩვენ მაშინ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს, როცა იქ დედა ენით მეტყველება აღდგება, რაც უფლით მალე მოხდება.

– უნდა აღინიშნოს, რომ უფალი არაიბერიელ ხალხთა ზეწოლით სცდიდა თავის შვილთა – იბერთა ერთგულებასაც. პირველი ასეთი გამოცდა ისრაელთა და ქართველთა იყო ეგვიპტეში – გო-შენში, და, როგორც ითქვა, იქ მათ, ვინც არ დაკარგა ენა, სახელი. ჩაცმულობა, ერთი მეხუთედი ებრაელთა, 5 მილიონამდე, ამდენივე ქართველიც გამოვიდნენ ეგვიპტის ტყვეობიდან. ენა საფუძველთა საფუძველია. თუ დაიკარგა ენა, იკარგება სახელიც ჩვენი მეფეთა - იბერი და სულიერი-ფიზიკური ჩაცმულობაც. ებრაელნი, ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, არსად არ იყენებდნენ ინდო-ევროპულ ანბანებს და ქმნიდნენ დიალექტებს წმინდა ენის ანბანის გამოყენებით. მხოლოდ დედა ენა და მისი ანბანი მიიღეს საურთიერთობოდ და, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს, ქართველ მუსულმანებზე უფრო გაბედულად ურთიერთობდნენ იქ, სადაც ეს საშიში იყო.

– ამგვარად, ტვინსაც და გულსაც მიენიჭათ სიბრძნის, სიკეთის გამავრცელებლის ფუნქცია სამყაროს ხალხთა მოქცევისათვის.

ვიცით, ამისათვის, აქამდე იყო სამი ქორწილი იბერთა შეუღლებისა ხუთი დედიდან. ესენია: ქორწილი დედებთან-ქალებთან, ანბანთან და თორასთან. დღეს კი მათით ქმედება განაპირობებს კიდევ ორ ქორწილს – შეხინასთან, აგრეთვე წმინდა და დედა მიწასთან. ასე იქნება საბოლოო ქ-ორ-წილი ხუთ დედასთან და მათით, ჩამოვა ისეთი სულიერი შუქი „ორ“, რომ მარადიულ ნეტარებაში ვიქნებით. ეს „ორ“ შუქი 12-12

შტოთია. ამას გადმოგვცემს „ქ“ ასო „ქ-ორ-წილ-ისა“, რომლის რიგითი სათვალავი 24-ია. ხოლო „წილ“-ი წილობრივ გაყოფას გულისხმობს ორი მიწისა და სამყაროსი. და ეს ქორწილი რომ შედგეს, ამისათვის ჯერ ყველანი ისრაელთა და ქართველთა თვალებით ხილულნი უნდა გახდნენ, ანუ ისინი სამ დედასთან ქორწილით უნდა ხედავდნენ ღვთიური სულის თვალებით.

მაშინ ერთიანდებიან სამივე რელიგიის წარმომადგენელნი იბერთა და ამარცხებენ ქაჯებს, ანუ მისწრაფებებს სხვათა დამონებისა და ასე მთვარეც აღარ შევა მზის დროში. იგი, როგორც დაადგინა უფალმა, გაანათებს მხოლოდ ღამით. და მთვარის კალენდრით დადგენილი 29,5-დღიანი თვეები აღარ იქნება. რასაც გადმოგვცემს ასომთავრული ანბანის 30-ე ასო-ნიშანი ძილ-ი. ანუ ჩვენი ხედვა იქნება ღვთიური სულის თვალებით, აღარ ვიქნებით ხილული თვალებით ძილის მდგომარეობაში, აღდგება უშეცდომო მზის კალენდარი 30-დღიანი თვეებით, დაფუძნებული თანაბარ წილობრივ გაყოფაზე, რასაც გადმოგვცემს ასომთავრულის 31-ე „წილ“ ასო-ნიშანი. შედეგად, გაქრება შური და მაშინ მთვარე უკვე აღარ შევა მზის დროში, ჩამოვა ასევე დიდი სულიერი შუქი.

ამდენად, თუ ანბანის 30 ასო-ნიშანი სრულ 30-დღიან თვეებს გადმოგვცემს, 31-დან 37-მდე ასო-ნიშანი უკვე იმ შვიდდღეულს გადმოგვცემენ. როცა ყოველი დღე იქნება შაბათი, სამოთხე, რაც ჩვენ საკვირაო კალენდარშია დაფიქსირებული. ასე გაქრება ქაჯური აზროვნება, რაც რუსთაველს აღწერილი აქვს ქაჯეთის ციხის აღების პროცესში.

შემდეგ, ხალხები რომ მომზადებულნი იყვნენ ამ სულიერი შუქის ჩამოსვლისას, რუსთველი გადმოგვცემს, რომ ჯერ ჩვენში უნდა აღდგეს თორაზე და ანბანზე დაფუძნებული იბერიული ცხოვრების წესი, მერე გადაეცემთ მას არაიბერიულ ქვეყნებს. რადგან, როგორც ქართველებს, მათ არასდროს ჰქონიათ პატრონყმობის ინსტიტუტი. მათი გენეტიკა ერთმანეთის დამონებაზეა დაფუძნებული. და ისინი როცა ბადებენ, გაზრდიან შვილს, ცხოველებივით მერე ნაკლებ აინტერესებთ მისი ბედი, რომ განსწავლონ, დაეხმარონ ოჯახის შესაქმნელად. არც შვილებს უყვართ მშობლები და აი, რატომაა მთელი მსოფლიოს ზოოპარკში ასეთი მშობლებისათვის შექმნილი ცალკე გალიები, სადაც მშობლები ცხოველებივით ჰყავთ შეყრილი. ამ გალიებს მოხუცებულთა სახლები ჰქვია. თორით კი, სასტიკად აკრძალულია მშობლის ასეთი უგულებელყოფა. რადგან ისინი უნდა გიყვარდეს ისე, როგორც უფალი და მისი შეხინა. მაგრამ რაკიღა მათ უგულებელყვეს უფლის ენა, მოქცეულნი არიან სატანის გავლენაში. აქედანაა გამრავლებული პოლიტიკანობა, ტყუილი, გამოძალვა, მრავალცოლიანობა. მრავალქმრიანობა, ერთსქესიანობა, იმპოტენცია, მრავალი სხვა დაავადება, ნაადრევი სიკვდილიანობა, ქურდობა-ბანდიტობა.

– როდესაც ებრაელებმა მიიღეს თორა, სწორედ ასეთი აზროვნების სხვა ხალხმა, არაიბერიულმა მოდგმამ, უსაყვედურა შემოქმედს, რატომ ჩვენც არ გვაძლევ თორასო. მან კი უპასუხა: – ებრაელებს აქვთ წინა სამი თაობის სიყვარული, მახსოვრობა. დასტურად, იბერიელთა შორის ყოველი მშობელი ცდილობს, შვილს, შვილიშვილსაც განათლება, სიბრძნე გადასცეს. ადამიანები ხომ სიბერეში უფრო მეტ სიბრძნეს იძენენ. ანუ მათ 210-წლიანი ტყვეობისას არ დაივიწყეს ენა – სულიერება.

და ეს ყველაფერი მიტომ ხდება, რომ ესავს არ სურს უფლის მონობა, მას თავად უნდა მეფობა. რომ ის და არა უფალი, აგრეთვე იაკობის-იაფეთის მოდგმა მეფობდეს. დასტურად გავიხსენოთ, როგორ აკურთხა ისაკმა იაკობი (დაბადება: 27.29) „გმონობდნენ შენ ხალხები და თაყვანს გცემდნენ ერები. იყავ მეუფე შენი ძმებისა და თაყვანს გცემდნენ ძენი დედაშენისა. წყეულიმც იყოს მაწყევარი შენი, კურთხეულ იყოს მაკურთხებელი შენი“. შემდეგ, როცა ესავმა მოსთხოვა კურთხევა, ისაკმა, მისი ხასიათიდან და ბედიდან გამომდინარე, ასე აკურთხა (დაბადება: 27.30)„შენი მახვილით ცხოვრობდე, შენ ძმას მონობდე და როცა აღდგები, ჩამოიხსნი მის უღელს შენი ქედიდან“.

ამდენად, ესავი მეფობს, როცა მახვილით ომებია, დაპირისპირებაა. მაშინ იხსნის უღელს, რომ არ მონობდეს იაკობს. ამიტომაც დღეს მთელ სამყაროში ესავის მოდგმა, რომელიც ევროპაში და ამერიკაშია გამრავლებული, აწყობს ომებს, აპირისპირებს ყველას. როგორც აღვნიშნეთ, ამისათვის ერთხელ დაამუნჯა ისინი უფალმა, გამოაცალა მათი ანბანის შემეცნება-ცოდნა. და, ვიცით, როსტევან-ავთანდილის ნადირობისას მათ აღიდგინეს მეტყველება უფლის ნებით. ისინი აგერთვე იღებენ ესეველთა სექტის მიმდინარეობას, მაგრამ შიში უფლისა ამ დამუნჯების გამო მეორე თაობაში დაიკარგა.

შედეგად, გადის 45 წელი, ესავის მოდგმა ცვლის რჯულის ძირითად კანონებს და მოითხოვს, ებრაელებმაც იგივე გააკეთონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბრალებდნენ მათ ისინი, რომ რაკიღა არ იღებდნენ ქრისტიანობის მათ მიმდინარეობას, ისინი აფერხებდნენ მესიის მოსვლას.

როდესაც ჩატარდა ეს კრება რჯულის კანონების შეცვლისათვის, ამ კრებაზე ჩამოდიან ისრაელიდან რომში მაცხოვრის ძმის, იაკობის მეთაურობით ისრაელნი, რომელნიც სასტიკად წინააღმდეგნი იყვნენ რჯულის კანონების შეცვლისა (შალომ დავიდი). მაგრამ იმარჯვა უმრავლესობამ და, როგორც გადმოგვცემს რამბამი, ქრისტიანული, შემდეგ მუსლიმანური რელიგიები ასეთი სახით მიტომ განვითარდა, რომ ასე ყველა დანარჩენმა არაიბერიელმა ხალხმა, იწამოს ერთი ღმერთი და მესიის არსი. ანუ ასე დამარცხდა კერპთაყვანისმცემლობა და ისინი კიდევ ამიტომ აღარ გადაშენდნენ.

– ხოლო რაც შეეხება საქართველო-კავკასიას, ძმები ყოველთვის სულიერად შერწყმულნი იყვნენ და, ეტყობა, გადაწყდა, რომ ჩვენ იბერიულ მეფეთა მოდგმას კავკასიისა უნდა გვეჩვენებინა სამყაროსათვის, რა არის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და მუსულმანობა. დასტურად, მართლაც, ჩვენში გამორჩეული იყო ეს რელიგიები მთელ კავკასიაში. იყო სიყვარული, ერთობა ამ რელიგიათა შორის, განსაკუთრებით კი იუდეველთა – ჩვენი სულიერი ძმებისა, როცა სხვაგან ყველგან ისინი იდევნებოდნენ.

– ისინი ღრმად იყვნენ ჩვენ სულიერ ცხოვრებაში შერწყმულნი, მათ ეკალებოდათ საქართველოს გამდიდრების, ვაჭრობისა და ელჩობის ფუნქცია. აგრეთვე თორით განათლება, რისი გამოყენებით, ანუ რჯულის კანონებით, მიმდინარეობდა ქართული მიწათმოქმედების წესი და აგრძელებდა საქართველო გულის, დედა ერის ფუნქციას, დედა ენის სიბრძნიდან გამომდინარე.

– ხოლო რომი, ესავის მოდგმა, თავისას არ იშლიდა და მუდამ ცდილობდა, გადაეგვარებინა ეს სულიერი მიწათმოქმედების წესი. ამიტომ, რჯულის კანონების შეცვლის მერე, მათ ისევ მიისაკუთრეს უფლის მიერ ბოძებული ასო-ნიშნები, შექმნეს ახალი ენები და შეცვალეს უფლის მიერ ბოძებული მთვარის კალენდარი. ისინი ცდილობდნენ, მათი უსახური მზის კალენდრით დაერწმუნებინათ ხალხი, რომ უშეცდომო დროა, რამეთუ შეეცადნენ ქართული მზის კალენდრის აღდგენას. მაგრამ ეს პლაგიატობაც კრახით დამთავრდა, რამეთუ მათი კალენდარი არათუ უშეცდომოა, სამჯერ უფრო ცდომილია, ვიდრე ებრაელთა მთვარის კალენდარი.

– ამდენად, ამ კალენდრით ყალბია ზოდიაქოთა განსაზღვრაც, რადგან ის არ არის დაფუძნებული მთვარის ფაზებზე. და რაკიღა სცდება მთვარის კალენდრის დროს, ამიტომ ძალიან ბევრმა არ იცის თავისი ნამდვილი ზოდიაქო, რაც მხოლოდ მთვარის კალენდრით იანგარიშება.

აი, რატომაა, რომ თითქმის ყველა ქრისტიანული დღესასწაული მთვარის კალენდრით არის. ჩვენში მართლმადიდებლობა დღესაც ახალ წელს მთვარის კალენდრით აღნიშნავს.

ამდენად, საჭიროა, ერები სულიერად მომზადდნენ, ყველამ უნდა იცოდეს 10 სეფიროთის არსი, კაბა-ლის ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც იგივე კაბაა, შესამოსელია მთელი თორის საიდუმლოებათა ახსნისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რომ მივუახლოვდეთ უფალს თვისებებით, ძალიან გაგვიჭირდება. არადა, მთელი ქმნადობის არსი ამისთვისაა, რომ შვილები დაემსგავსონ უფალს – მშობელს.

ეს საიდუმლო სწავლება მიიღო მოშემ უფლისგან ზეპირი თორის სახით და მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ქართველ ძმებს ენდობოდნენ, გადასცემდნენ რა ამ ცოდნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველს იმიტომა აქვს გადმოცემული როსტევანის სახეში მარადიული მეფე სამყაროსი, რომ ეს ინსტიტუტი საქართველოში ძლიერად იყო განვითარებული.

– დასტურად მრავალი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. ერთია, რომ როცა დაბრუნდნენ ებრაელები ნაბუქოდონოსორის ტყვეობიდან, მოაკლდათ მათ ქონები ტაძრის მსახურებისათვის და ისინი საქართველოდან გადაეიდნენ. გემარათი ცნობილია, რომ მათ ჯერ უარი შეუთვალეს, იერუშალაიმის დონეზე ვართო, მაგრამ მერე, რა თქმა უნდა, დათანხმდნენ.

აქვე აეხსნათ, რას ნიშნავს „იერუშალაიმის დონეზე ვართო“. ვიცით, ტაძარი მხოლოდ იერუშალაიმში იყო, ხოლო რაკიღა უფლის მიზანია, ჯერ სრულიად ისრაელი-იბერია გახდეს იერუშალაიმის დონეზე, მერე მთელი სამყარო შეიქმნას, როგორც ისრაელი და იბერია. აი, ეს დონე იბერიაში უკვე მიღწეული იყო. ასეთ შემთხვევაში თვით ყველა იბერთა სიწმინდის დონე, ერთგულება, წარმოუდგენელი სიყვარული უფლისა და მისთვის უყოყმანოდ თავგანწირვა მიახლოებული იყო იერუშალაიმის ტაძრის ანუ ქოენთა – ლევეთა დონემდე. და იგი რომ იერუშალაიმის დონემდე იყო, ამის დასტურად ქართველთა დროშის არსი განვიხილოთ.

2.1. სამფეროვანი დროშის უგულებელყოფა უფლით განსაზღვრული საქართველოს სულიერი მისიის უგულებელყოფაა

საერთოდ, რომ შევიცნოთ, რა დანიშნულება აქვს დროშას, ამისათვის განვმარტავთ: უფლის სურვილია, სამყარო მოაწყოს ზეციური სიწმინდის ანალოგიურად, თვით იერუშალაიმის ტაძარი ზეციურის ანალოგიითაა შექმნილი, ხოლო დროშას ტაძარ-ქვეყნისა, ტაძრის დონის დატვირთვა აქვს, ამიტომაც ის უფლით მიცემულია ჯერ მხოლოდ მისი ორი რჩეული ერისათვის.

და როცა უფალმა უბრძანა მოშეს, დაეთვალა ისრაელთა შვილები, ეს იმიტომ მოხდა, რომ 22000-ზე ნაკლები შტო არ იმსახურებდა არც დროშას და არც იმას, რომ მათთან ყოფილიყო შეხვედრის ბრწყინვალება. დასტურად, ისრაელთ ჰქონდათ ხილვა, როგორ ეშვებოდა უფლის შეხვედრა სინას მთაზე – დედამიწაზე. მას მოჰყვებოდა ელვარე ეტლებში მჯდომი 22000 ანგელოზთა ლეგიონი. იყვნენ აგრეთვე მათ ირგვლივ სხვა უამრავი ანგელოზი, ასევე ეტლში მსხდომნი. ამავე დროს, 22000-იან ანგელოზთა ლეგიონი, 12 სადროშოდ იყო დაყოფილი და ყველა თავისი დროშით იყვნენ შეხვედრის ირგვლივ. ხოლო ეს სადროშოები ოთხად იყვნენ განაწილებულნი.

ეს ოთხი ლეგიონი ანგელოზებით შემორტყმული იყო შეხვედრის ირგვლივ, სამყაროს ოთხ მხარეს, რომელთაც უფრო დიდი დროშა ჰქონდათ, ვიდრე ანგელოზთა თითოეულ სადროშოს თორმეტიდან.

ანგელოზთა ამ ოთხ ლეგიონს სათავეში ედგნენ სამხრეთის მხრიდან მიქაელი, ჩრდილოეთით ურიელი, აღმოსავლეთით გაბრიელი, დასავლეთით რაფაელი. და ასე შეხვედრის გამოყვლინება, დაშვება დედამიწაზე ისეთი წარმოუდგენელი ბრწყინვალების სანახაობა იყო, რომ ისრაელნი შესცქეროდნენ ნეტარებით და გამოხატეს სურვილი უფლის წინაშე, რომ მათაც ჰქონოდათ მსგავსი დროშები.

უფალმა აუსრულა სურვილი, რადგან შეხვედრის ბრწყინვალება უნდა დავანებულიყო კიდობანში; და ანგელოზთა მსგავსად მათ შექმნეს ზუსტად 12 სადროშო, 12 შტოდან გამომდინარე, და აგრეთვე ოთხი სადროშო, სადაც შედიოდა ისრაელთა 3-3 შტო. და ეს იმიტომ, რომ ისინიც შეხვედრის ირგვლივ უნდა ყოფილიყვნენ კიდობნის გადაადგილებისას ისეთივე წყობით, როგორც შეხვედრა ეშვებოდა დედამიწაზე.

ამ დროშების შინაარსი და ფერი შეესაბამებოდა ისრაელთა 12 შტოს ფერებს, რომლებიც მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული ისრაელთა სულიერ ლიდერს, მთავარ ქოენს. ყოველ დროშაზე იყო ემბლემა, რომელიც გამოხატავდა განსაკუთრებულ თვისებას და ღირსებას ყოველი შტოსი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ასე განაწილდნენ ისრაელნი საკუთარი დროშებით, რჯულის კიდობნის ირგვლივ შეხვედრაც დავანდა მასში ზეციური სადროშოებიდან. და როდესაც ისრაელნი გადააადგილებდნენ რჯულის კიდობანს, ანგელოზთა მსგავსად მის ირგვლივ იყო განაწილებული მათი გამოკვეთილი დროშებით ისრაელთა 12 შტო, რომელნიც 4 ძირითადი სადროშოთი მოჰყვებოდნენ კიდობანს, ოთხივე მხარეს განლაგებულნი, სადაც გაერთიანებული იყო 3-3 სადროშო.

ამავე დროს, ქოენები ლევის შტოდან ისრაელთა მოსანანიებელ სხვადასხვა სახის მსხვერპლშეწირვას, აგრეთვე კიდობნის ირგვლივ, სადაც შეხვედრა იყო დავანებული, ყოფნის უფლებას იმსახურებდნენ და კიდობნის გადაადგილება მხოლოდ მათით ხდებოდა. ამ განსაკუთრებული ღირსების გამო ისინი არ შედიოდნენ ამ 12 სადროშოში.

ეს ღირსება გამომდინარეობდა თორიდან. დასტურად, გავიხსენოთ, ჯერ ადამს ევალებოდა სამოთხეში მსხვერპლშეწირვა. შემდეგ მან ეს უფლება გადასცა შეთს; შეთამდე იგი ეკუთვნოდა კაენს, როგორც უფროს შვილს, მაგრამ, ვიცით, მან შესცოდა. შეთმა ეს უფლება მეთუშელახს გადასცა, მან – ნოახს. ამ დანიშნულებიდან გამომდინარე, ნოახმა მოახდინა მსხვერპლშეწირვა, როცა გამოვიდა კიდობნიდან. ნოახმა მსხვერპლშეწირვის უფლება გადასცა თავის უფროს შვილს – შემს;

შემდეგ, შემმა და იეფეთმა ერთად შექმნეს იბერია-კავკასიაში სამოთხე ქვეყანა, სადაც უკვე პირველშობილები შემის მოდგმისა, ახორციელებდნენ მსხვერპლშეწირვას უფლის წინაშე, მთელი ერის ცოდვათა მოსანანიებლად.

შემდეგ, ვიცით, ეგვიპტეში გამრავლდა ისრაელთა ერი და ისრაელთა თორმეტივე შტომ შესცოდა გარდა ლევის შტოსი. და ამის მერე უფალმა დაავალა მოშეს, რომ ყველა უფლება პირველშობილთა, მსხვერპლშეწირვის და სხვა გადასულიყო მის ძმა აჰარონზე და შემდგომ – მის შთამომავლებზე.

რაკიღა ჩვენ, როგორც ვიცით პირველი კურთხევით, ევითარდებით შემის კარებში, და სულიერი ლიდერნი ისრაელთა შორის გახდნენ ქოენები, აჰარონიდან გამრავლებულნი, აქედანაა **ის გასაოცარი ფაქტი, რომ რუსთაველს, საქართველოს, მარადიულ სულიერ მეფედ წარმოჩენილი ჰყავს როსტევანი, რომელიც არის ლევის შტოს სულიერი ლიდერი – პირველქოენი. როგორც ითქვა, მას აქვს განსაკუთრებული უფლება წელიწადში ერთხელ შევიდეს წმინდათაწმინდაში, ილოცოს მის წინაშე მთელი ერისათვის და სამყაროს ხალხთათვის განვლილ ცოდვათა მოსანანიებლად.**

ამავე დროს, უფლის ნებით, მხოლოდ აჰარონის შთამომავლებს – ქოენებს მიეცათ, მათი ასეთი სულიერი დაწინაურებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული დანიშნულების სამფეროვანი დროშა.

– ავხსნათ, რას ნიშნავს დროშის სამი ფერი: თეთრი ფერი უმანკოებას, სისპეტაკეს აღნიშნავს, შავი – თორაში თავდაუზოგავ ჭირნახულობას, მეწამული კი მსხვერპლშეწირვის რიტუალს. და რაკიღა ვვითარდებოდით შემის კარებში, ხოლო მათი სულიერი ლიდერები გახდნენ ქოენები, რომელნიც ირჩევდნენ პირველ ქოენს, ამიტომაც ისრაელთა დევნილობისას ეს პირველი ქოენი იჯდა საქართველოში და სულეირად წარმართავდა ჯერ ისრაელთა თემს – ჩვენს ქვეყანას და სამყაროს. აქედან გამომდინარე, უფალმა არგუნა ჩვენს ქვეყანას სამყაროს სულიერად წარმმართველის ფუნქცია, რადგან უფლის შეხინა ჩვენში მუდმივადაა დავანებული. ამიტომაც მოგვეცა ის უდიდესი ღირსება, რომ გვეტარებინა ისეთივე სამფეროვანი დროშა, როგორც ქოენთა. ჩვენ დროშაზე შავ და თეთრ ფერს ის დამატებითი დატვირთვაც ჰქონდა, რომ უფლის მიერ ნაბოძები ასო-ნიშნები კოდირებული იყო ჩვენ ღვთიურ სულში, შაეი ცეცხლით ნაწერი თეთრ ცეცხლზე, ანუ ვსწავლობდით თორას.

ხოლო მეწამული ფერი ეს ჩვენი სისხლია, რომელსაც ვღვრიდით, რომ დაგვეცვა თორა – ისრაელნი, რადგან ვიცოდით, რომ მათი თორის სწავლით მუდმივმოქმედებს სამყარო და ეს დღენიადაგ ჩვენც გვიფარავდა.

ამდენად, მსხვერპლშეწირვის გარდა ჩვენ გვიხდებოდა ბევრი საკუთარი სისხლის დაღვრა, რამეთუ ვიცავდით არა მარტო საქართველოს, არამედ ისრაელთ და მთელი კაცობრიობის სულიერ კულტურას, რომელიც მხოლოდ ჩვენს ქართულ ცხოვრების წესში იყო განზოგადებული. ამიტომ ვღვრიდით საკუთარ სისხლს და აქედანაა ის ფაქტი, რომ თუ ისრაელთა, ქოენთა დროშაზე სამივე ფერი თანაბრადაა, ჩვენ დროშაზე მეწამულის სიჭარბეა. ამ თავგანწირვის გამოა, რომ ჩვენ ქოენებივით, სულიერად ვერწყმებით უფალს. „შენს მაკურთხებელს ვაკურთხებო“, – ეუბნება უფალი აბრამს და ამიტომაც კურთხეული იყო ეს დედა ერი.

ჩვენ, როგორც შავი ფერი, ისე გამოვირჩეოდით უზნეოთაგან ენით, ზნეობით, თორაში ჭირნახულობით. აქ ხომ ყოველი ქურუმი იყო და სწირავდა შესაწირავს უფალს. მხოლოდ უფლის სახელზე კლავდა და ჭამდა. გვქონდა სწორი სამართალი, აგრეთვე საუცხოო უცხოთათვის, სტუმრისათვის და უფლის სადიდებლად წითელ მაჭარს ვწურავდით. ამდენად, იქცა საქართველო ტაძარ-ქვეყნად. და უფლით, უდიდესი პატივი ასეთი დროშის ტარებისა მხოლოდ საქართველოს ერგუნა.

ამიტომაც, ამ სამფეროვანი დროშის მიღება, მისი ღრმა დანიშნულებით, ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით იყო. მისი მსჯელობით მეწამული – ეს სკნელია, თეთრი – ზესკნელი და შავი – ქვესკნელი. აქ გადმოცემულია სრულიად სამყაროს სამარადჟამოდ უფალთან შერწყმისა და გასულიერების არსი. ის, რაც დავიდის ექვსქიმიანი ვარსკვლავის ✡ არსიდან მომდინარეობს. რაც ჩვენი ანბანის არსიცაა. ეს 24-ე და 35-ე ასო-ნიშნებშია დაფიქსირებული (იხ. წიგნი მე-2, III ნაწილი). შედეგად, 24-ე ასო ქ – იგივე ჯვარი + ამ სამყაროს ანუ სკნელის გასულიერების ნიშანია, რამეთუ იგი გადმოგვცემს: ასე ქვეყნის ოთხი მხარეა გასულიერებული.

ხოლო 6 მხარის გასულიერება, ანბანის 35-ე „ხარ“ Ⴕ ასო-ნიშანშია გამოსახული. დავიდის ვარსკვლავი ხომ ორი სამკუთხედისგან გამოისახება. თუმცა, ამ ასო-ნიშანში ქვემო სამკუთხედს ერთი ფერდი აკლია. მაგრამ აქ მაინც ექვსივე მხარის სრულყოფილი

გასულიერებაა წარმოჩენილი. რაც ჩანს 37-ე „ჰოე“ ასო-ნიშანში ( ), რომლის ზედა და ქვედა წრეები, ორივე სამყაროს შერწყმის არსს გადმოგვცემს. ყველაფერი ეს მიიღწევა ჩვენს მიერ ხუთი ფუნქციის შესრულებით, ხალხთა მოქცევისათვის. და დღეს ამ დროშის უარყოფა – ეს სულიერების უარყოფაა. მით უმეტეს, რომ ასე ჩამოდის უფლის სულიერი პირველი დღის შუქი და ჩვენც ვიმოსებოდით თეთრი სელის სამოსელით. როგორც ლევები-ქოენები, რომლებიც მხოლოდ ამ სამოსელით სწირავდნენ მსხვერპლს. ასე ხდებოდა შერწყმა ზესკნელთან – უფალთან. ამიტომაც თეთრი ფერით, რომელიც ჩვენი სიმართლისა და სიალალის მანიშნებელია, ზესკნელით გამოისახება.

ასე სულიერდება არა მარტო სკნელი, ასევე შავ ფერში ასახული ქვესკნელი, დედამიწა, საიდანაც სიუხვე და ბარაქა ამოიფრქვევა. აი, სად ჩანს გენიალურობა ქართული აზროვნებისა, რომელსაც მთელი თავისი წარსულით ებრძვის ბოროტება და სააკაშვილი – მისი უერთგულესი მსახურია.

ეს სამფეროვანი დროშიდან აქვს რუსთველს ორი ფერი აღწერილი, როცა მესია ტარიელი უფლის ტაძრის მტერთან – ხატაელებთან საბრძოლველად იწვევს ლაშქარს. გავიხსენოთ:

„აღმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ-შავითა.
დილასა ებრძანე გამართვა ლაშქართა უთვალავითა“.
თავსა ვტიროდი, ვიტყოდი ბედითა მეტად ავითა,
მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარიო ვითა და ვითა!“

ამ სტრიქონებში თეთრი ფერი – სიალალის ფერი მიტომ არ არის მოცემული, რომ ისრაელს მაშინ არ წარმართავდნენ სულიერად თვითონ ისრაელები და, აქედან გამომდინარე, ქოენები.

საერთოდ, დროშების ტარება – ეს უმაღლეს სულიერ მწვერვალზე ყოფნითაა და ის დღემდე მხოლოდ ორმა ერმა – ისრაელმა და ქართველებმა დაიმსახურეს.

ამავე დროს, როგორც დავასაბუთეთ, ჯერ კიდევ გოშენში შედუღაბდა ამ შტოსთან ქართველთა სულიერი ერთობა, ძმობა. იქ ქართველნი მიწათმოქმედებდნენ სწორედ ამ შტოსთან ერთად ნასწავლი თორის სიბრძნით. ამიტომაცაა, წილად გვხვდა ღირსება, რომ დღეს მხოლოდ საქართველოშია შეხინა დავანებული და სამყაროვანი დროშაც სომ, ქვეყანაში მისი დავანების გამო, უმაღლესი სულიერების აღმნიშვნელია.

ასევე ფაქტია, რომ ქოენთა – უფლის წმინდანთა სულიერი ცხოვრების წესების ნიუანსები უფალთან შერწყმა-კავშირისათვის მთელ ერში იყო გაერცელებული. ჩვენშიც აკრძალული იყო არაქალწულებთან შეუღლება, არ უნდა შეგერთო სხვა ერის ქალი. ებრაულ სალოცავებში კი ქოენების ლოცვისას სიტყვა სიმშვიდის სურვილზე ლოცვისას მთელი ჯამაათი ისევე, როგორც მლოცველი ქოენები, მხოლოდ საქართველოში ტრიალდებიან. და, როგორც ითქვა, დასტურად ყოველივესი, რუსთველს საქართველოს მარადიულ სულიერ, ანუ უფლის შემცველ მეფედ გამოჰყავს როსტევანი.

დასტურად ყოველივესი, ჩნდება ერთი გასაოცარი ფაქტი, რომ ჩვენ ორჯერ მივიღეთ დამოუკიდებლობა და ამ პერიოდებში ჩვენი ქვეყნის სულიერების სიმბოლო ორივეჯერ ეს დროშა იყო. ეს რა თქმა უნდა, უფლის კარნახით მოხდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებისადმი, ივანე ჯავახიშვილისა და ზვიად გამსახურდიასადმი, რომელთა თაოსნობითაც მივიღეთ სამფეროვანი დროშები.

ამავე დროს, სრულიად ვეზიარებით საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებას მასზედ, რომ დღევანდელი ხუთჯვრიანი დროშა კათოლიკებისაა და არ შეეფერება ჩვენი მართლმადიდებელი ქვეყნის ტრადიციებს. მით უმეტეს, რომ იგი კათოლიკთა მიერ ინტერვენციის აღმნიშვნელია (ნ. ჯაველიძე).

ამდენად, ჩვენ, იბერთა მეფეთა მოდგმა, საკუთარი ნებით ვიმტკიცებთ კათოლიკთა მიერ შემოთავაზებულ დამონებული ქვეყნის სტატუსს იმას, რაც აღმაშფოთებელია ქართული აზროვნებისათვის. ეს ჩვენი ეროვნული სულიერების, ტრადიციების უგულებელყოფაა, რაც წარმოუდგენელი ცოდვაა. სააკაშვილი დღენიადაგ მიიღტვოდა აქეთკენ და დღეს ჩვენ, ვინც ჩუმად ვართ ამ საკითხს არ ვასაჯაროებთ, ნებსით თუ უნებლიეთ მათი ბადენილი ცოდვის მონაწილენიც ვხდებით.

მართალია, ჩვენ რუსეთთან შეერთების მერე გადავუხვიეთ სულიერების ცხოვრების წესს, მაგრამ დარჩა გენეტიკა ერისა, სიკეთისკენ, გაცემა-სიყვარულისკენ მიმსწრაფველობისა.

ამავე დროს, ვიცით, მოხდა საქართველოს თავგანწირვა უფლის შეხინის კარნახით, რათა ისრაელი დახსნილიყო ტყვეობიდან. და, როგორც აღვნიშნეთ სამივე ნაშრომში,

მაშინ, როცა ქართველი ერი ავთანდილის სახეში ამაზე მიდიოდა, მიიღო ავთანდილმა პირობა, რომ იგი შეხინა არ მოსცილდებოდა საქართველოს რუსთა ტყვეობის პერიოდშიც კი.

ამდენად, ყველამ უნდა შევიცნოთ ერთი ფაქტი, რომ, უფლით, დროშა — ეს არის სულიერების სიმბოლო იმ ტაძარ-ქვეყნისათვის, სადაც უფალი მისი შეხინაა დავანებული, და სანამ სამყაროს ქვეყნები არ გაასულიერებენ თავიანთი ცხოვრების წესს, რომ მათთანაც შეხინა დავანდეს, მათ არა აქვთ უფლება, დროშა ატარონ. ეს უფლება მივიღეთ მხოლოდ ისრაელებმა და ჩვენ, ჩვენი სულიერი ცხოვრების წესის წარმართვის გამო, თორიდან გამომდინარე უფრო მეტიც, ყველა ამ ხალხთა დროშები კერპთაყვანისმცემლობის აღმნიშვნელია, რამეთუ მათ მიერ არჩეული პრეზიდენტები არ არიან სამყაროს მეფის და მისი შეხინის შემცველნი. ასე მათი გაკერპებაა ამ დროის რანგში.

ისრაელებმა და ქართველებმა დაიმსახურეს მიახლოებით სულიერად ისეთ მაღალ დონეზე ასვლა, როგორზეც იყვნენ ანგელოზთა ლეგიონები. შედეგად, რა პასუხს ვაძლევთ ჩვენ წინაპრებს, როცა უგულებელყოფილი გვაქვს მათი დამსახურება საკუთარი თავის ზვარაკად მსხვერპლშეწირვისა უფლის სახელზე სრულიად კაცობრიობის ცოდვათა მოსანანიებლად, მათ უამრავი სისხლი დაღვარეს, რომ შექმნილიყო ჩვენში ტაძარ-ქვეყანა, სადაც შეხინაა დავანებული, რაც ჩვენ დროშაზეა გაცხადებული. ასე ვწირავდით თავს უფლის სახელის მომაღლებისათვის, მოყვასისათვის და სამყაროს მუდმივქმედებისათ-ვის, რასაც გადმოგვცემს კიდევაც რუსთველი უფლის შეხინის პირით. გავიხსენოთ მისი სიტყვები, როცა ავთანდილის სახეში ქართველნი საკუთარი ქვეყნის თავისუფლებას და თავსაც სწირავენ, რომ იხსნან ისრაელნი ევროპის ქვეყნებში გაუსაძლისი მდგომარეობისგან.

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უვიცისა,
ჩემი ვოქვი, რა ექნა ბნელ-ქმნილმან, მზე მომეფაროს მი-ცისა“.

ამდენად, ვღვრიდით ზვარაკად საკუთარ სისხლს, რომ ზენაართან მიცემული პირობა ფიცისა ისრაელთა ერისა, თორის შესრულება და სწავლება არ დაგვერღვია; მტკიცე იყო ჩვენი სიყვარული და ამიტომაც დირსგვყო უფალმა, გამორჩეულნი ვყოფილიყავით, როგორც ლევის შტო და გექონოდა სამფეროვანი დროშები.

ჩვენ კი ხუთჯვრიანი დროშით მივდივართ უფლის ნების წინააღმდეგ და ვინც ამ სამფეროვან დროშას უარყოფს, ის უარყოფს საქართველოს სულიერ მისიას, ჩვენ სულიერებას, წმინდა წიგნს, რაც „ვეფხისტყაოსნით“ ავხსენით.

ამ დროშის უგულებელყოფიდანაა, რომ ქართული სულიერი ცხოვრების წესის აღდგენის მაგიერ, რითაც მთელ ევროპას ვკვებავდით და რუსეთისთვის მეორე ინდოეთად ვიქეცით, დღეს იმ მათხოვარ ქვეყნად გადავიქეცით, რომლებიც ხელში შევყურებთ უცხოელებს და ტურიზმით გამდიდრება გვსურს. ეს იგივე მეშჩანობაა, რაც ჩვენთვის არ არის დამახასიათებელი. ადრე ქართველი მხოლოდ გასცემდა და ჩვენ შემოგვყურებდნენ მთელი მსოფლიოს ქვეყნები.

ამიტომაც, ჩვენი ისტორიის განმავლობაში იმდენად მდიდრები ვიყავით, რომ მოძალადე ერთათვის ხარკის გადახდა, მათი კუჭის ვნებათაღელვის დაცხრომის სანაცვლოდ, არ გვიჭირდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შემოსევისას ნიაღვარადაა დაღვრილი ჩვენი წინაპრების სისხლი, რომელთა სულები დღეს სამოთხეშია და ელოდებიან თავიანთ შთამომავალთა მართებულ ქმედებას. დღეს კი ამ უზნეო ხალხმა, სააკაშვილის მეცადინეობით, უომრად დაიპყრო ჩვენი ქვეყანა.

ამდენად, დროშა იმ წარმოუდგენელი სულიერების განმსაზღვრელია, რომელსაც დღევანდელ სამყაროში მხოლოდ საქართველო — კაეკასია იმსახურებს. ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, სასწრაფოდ მიიღოს ზომები იმ დროშის აღსადგენად, რაც ორჯერ უძღოდა წინ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ და შემართულ საქართველოს. ეს სააკაშვილის მიერ შერჩეულ იქნა, რათა დაეკარგა საქართველოს ტრადიციული სულიერება. ქართველები ხომ ვამბობთ: „მესამე და სამართალი!“ ორჯერ ვერ გიარეთ ამ დროშით, დღეს კი გვაქვს შესაძლებლობა, რომ კვლავ აღვადგინოთ სამფეროვანი დროშა, რომელშიც ჩვენი ერის და სამყაროს ხალხთა მარადიული კეთილდღეობის სიმბოლოა.

2.2. ორი ანბანით შერქმეული სახელებით უფლის სიბრძნის შუქი მოედინება და მათით უფალთან მარადიული შერწყმაა, ნეტარებაა

ასეთი დროშის წინამძღოლობა ომებში ნიშნავდა, რომ ჩვენთან იყო უფალი – შახინა და მისი შუქის ძალით ერთი ათეულთ, ათეული ასეულს უმკლავდებოდნენ. ეს, როგორც ითქვა, ჩვენი მე-ტყვე-ლებიდან გამომდინარეობდა. ანუ ჩვენში ყოველი „მე“ ისე ვართ ამ ენით მოხიბლულნი, რომ „ტყვე“ ვართ მისი. აქედანაა სიტყვები: სმ-ენა, რწმ-ენა. ანუ ამ ენის სმ-ენ-ითაა უფლის რწმენა. მაშინ თ-ენ-დება ჩვენ სულში და ეს სიტყვაც „ენა“-ს შეიცავს. აი, რას ნიშნავს უფლის მიერ მოცემული ორი ენა, სადაც წმინდა ენა წარმმართველია. ამ ენითაა თორა დაწერილი, მის ასო-ნიშნებში შთენილი ცეცხლოვანი ასო-ნიშნებითაა გ-ენი ჩვენი შექმნილი. ანუ ენაა საფუძველი ჩვენი გენეტიკური კოდის ჩამოყალიბებისა, სულიერებისა და დედა-სამშობლოს სიყვარულისა.

ამ ენით მეტყველებისას ისეთი სიყვარული, ცეცხლი წარმოიქმნება, რომ ჩვენ უპირველესად ამ ენის სულიერების დაცვაზე უნდა ვფიქრობდეთ, რომ ენა არ შეიბილწოს. ჯერ კიდევ ჩემი ყმაწვილკაცობის ხანაში მახსოვს, განსაკუთრებით დასავლეთში, არავინ იგინებოდა, არ იბილწებოდა ენა ბილწსიტყვაობით. ხოლო სხვადასხვა ენების, განსაკუთრებით რუსულის, განვითარებამ ნელ-ნელა შემოიტანა ჩვენში ბილწსიტყვაობა. და დღეს, როცა ქართველი ერი უბრუნდება წინაპრების რწმენას, მხოლოდ ჩვენში არსებული სამივე რელიგიის მსახურნი არ ბილწსიტყვაობენ.

ცნობილია, სატანა შემოდის ჩვენში მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა ებილწსიტყვაობთ და ავვსიტყვაობთ.

ბოლოს და ბოლოს იმას მაინც უნდა ჩავუფიქრდეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ენებშია სიტყვა „შვილი“, ანუ მხოლოდ უფლის ენებზე მეტყველნი ვართ მისი შვილები, მეფენი, რამეთუ „შვილი“ წმინდა ენაზე ბილიკია. ზეციდ აღვნიშნეთ, 32 ბილიკია გამჩენთან შერწყმისა, რომლებშიც იგულისხმება 10 სეფიროთი და წმინდა ენის 22 ასო-ნიშანი, რომლის სიბრძნე ასომთავრულის 37 ასო-ნიშნით იხსნება. ამგვარად, ყველა მისი შვილი მას უნდა შეერწყას.

შედეგად, ჩვენში უფლის მიერ შთენილ ღვთიურ სულში, ასოების ნათება-სიწმინდიდან გამომდინარე, მთელი ორგანიზმი შუქშია გახვეული. ყოველი სიტყვა ჩვენი უფლის სიტყვაა, რამეთუ უფლით სახელები ამ ორი ენის ასოებით ისეთი თანამიმდევრობითაა შედგენილი, რომ ჩვენს მიერ ყოველი სახელის წარმოთქმისას შესაბამისი სიძლიერის შუქი გამოედინება.

ამდენად, ადამი უფალთან საუბრისას იძენდა დიდ ცოდნას და კაცობრიობის ისტორიაში მეორე იყო მოშე, რომელსაც უფალი პირისპირ დაელაპარაკა უფლის გამოცხადებისას. მოშე იმ დონემდე გაიზარდა სულიერად, შემოვიდა მასში შუქი, ნათელი უფლისა, რომ იგი ანგელოზის დონემდე იყო და უპრობლემოდ შედიოდა ფარაონის სასახლეში, რომლის უამრავ კარს მხეცები იცავდნენ.

ვიცით, უფალს 72 სახელი აქვს, ხოლო მოშემ შეიცნო ძირითადად ეს სახელები. შემდეგ კი მთელი თორა, რისი სიტყვათა პირველი ასოები ადგენენ უფლის კიდევ ერთ სახელს. გავიხსენოთ, ეს შეცნობა, მისი სახელით ქმედება განამტკიცა მოშემ, როცა დაინახა ბუჩქი, რომელიც არ იწვოდა და იგი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ზეციური სასწაულია. ამბობს კიდევაც (გამოსელა, 3.3): „და თქვა მოშემ: „მოდი, მივიდე და დავინახო ეს დიადი სანახაობა. რატომ არ იწვის მაყელოვანი.“ ხოლო როცა იქიდან გამოეცხადა უფალი, რაც არავის არასდროს ღირსებია, მან. უფალმა მოამზადა მოშე ამ ღირსებისათვის, როცა უთხრა მისკენ მომავალ მოშეს (გამოსელა, 3.5): „და უთხრა: არ მოეკარო აქ; გაიძრე ფეხსაცმელი ფეხებიდან, რამეთუ ადგილი, რომელზეც შენ დგახარ, წმინდა მიწაა იგი“.

ცნობილია, ადამიანები რაც უფრო უახლოვდებიან უფალს სიწმინდით, მით უფრო წვრთნის მათ შემოქმედი, რათა მიუახლოვდნენ მას თვისებებით. ამიტომ აქეთ უფრო მეტი დასჯანი, რომ სხვა თვისებებიც გამოასწოროს. რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი იმ დონეზეა, რომ ხვდება, რისთვის დაისაჯა.

ხოლო როდესაც იგი სიწმინდით უახლოვდება უფალს, მის ღვთიურ სულზე ლაქებივითაა აღბეჭდილი ის თვისებები, რომლებიც ხელს უშლის ამ მატერიალური ცხოვრების წესში მოღვაწეობისას სრულად შეერწყას შემოქმედს. აქედან გამომდინარე, ითქვა, რომ ჯოჯოხეთში მოხვედრა ეს დიდი ღირსებაა, რადგან იქ ადამიანი ნელ-ნელა განიწმინდება ჯოჯოხეთის შუქით ლაქებისაგან, მერე კი ეს შუქი უკვე მისთვის ჰარმონიისა და სამოთხეში ყოფნის საწინდარი ხდება. და როცა უფალმა უთხრა მოშეს, ფერხთ გაიხადე, რამეთუ წმინდა ადგილზე დგახარო, **ამ პროცესში, უფლის ნებით,**

მოშეს სულმა დატოვა სხეული, იგი ზეცაში განიწმინდა ლაქებისაგან და დაუბრუნდა მოშეს ისეთი განწმენდილი, რომ იგი ანათებდა.

ამდენად, ამის მერე მოშე ნახევრად ანგელოზივით იყო. და რაკი იგი სინას მთას ფეხებით ეხებოდა, შემდგომ ასეთივე მდგომარეობაში განსწავლა და მისცა მას უფალმა თორა. ანუ თორა ჩამოვიდა მიწაზე.

იქამდე კი წერია: „და უთხრა, მე ვარო ღმერთი მამაშენისა, ღმერთი აბრაჰამისა, ღმერთი იცხაკისა და ღმერთი იაკობისა“. ცნობილია, უფლის ყოველი სახელის არსის შეცნობა ჩვენთვის უფლის სიბრძნის გარკვეული კარის შეღებაა.

ითქვა, უფალი სეფიროთებით წარმართავს სამყაროს: პირველი სამი ინტელექტუალურობის სეფიროთებია, რისი არსიც ავხსენით. და ახლა უფალი უხსნის მას, ტვინში უდებს ამ სახელების არსიდან გამომდინარე, რომ იგია ღმერთი სამი მამისა. შედეგად, იგი შეიცნობს და ქმედებს შემდეგი სამი სეფიროთის არსით: ხესედის – გაცემა-ქველმოქმედების, რაც აბრაჰამის თვისებაა; გვურა – სიძლიერე, რაც იცხაკის თვისებაა და თიფერეთ – სრულყოფილება, რაც იაკობის თვისებაა. ასე მან ამ სახელების მოსმენით, უფლის პირიდან, შეიცნო არსი სამივე – მეოთხე, მეხუთე, მეექვსე – სეფიროთებისა, რომელთაც ფლობდა სამივე მამა აღნიშნული თანამიმდევრობით. ასე შეიქმნა ისიც ამ სახელებში ჩადებული, ამ სეფიროთის არსით მოქმედი.

შემდეგ წერია თორის მეორე წიგნში: „და დამალა მოშემ თავისი სახე, ვინაიდან ეშინოდა ღმერთისათვის შეეხედა“.

აქ ჩანს, რომ ამ სახელთა და სეფიროთთა არსის შეცნობით, სიბრძნის დაუფლებით წარმოუდგენლად გაეზარდა სიყვარული, თრთოლვა და კრძალვა, შიში უფლისადმი. ამიტომაც წერია: „დამალა მან თავისი სახე“.

ამდენად, უფლის პირიდან შეიცნო მან უდიდესი არსი, სიბრძნე. ამავე დროს ამ სახელების ანუ სამ მამათა სიბრძნეთა შეცნობა მატერიალური სამყაროს სრულყოფილების, გასულიერების საწინდარია იმ დონემდე, რომ ამის მცოდნელს ექნება უდიდესი ბარაქა. ეს დასტურდება მით, რომ მართლაც მატერიალურად სამივე მამა უმდიდრესნი იყვნენ. რადგან მათ 613 მცნების დაცვით ყველაფერი გასულიერებული ჰქონდათ.

ამდენად, მოშემ უკვე მიიღო ცოდნა იაკობის სრულყოფილების დონემდე, რის გამოც მას დაერქვა სახელი ისრაელი. ანუ ისიც – მოშე დაამარცხებს ბოროტ ადამიანებს და ესავის ანგელოზს, ისევე, როგორც დაამარცხა იაკობმა.

ზოგს სახელის მოხვეჭა მხოლოდ პატიოსნად სიარული ჰგონია. ეს უფრო დიდი, მეტად წარმოუდგენელი რამაა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგიერთთათვის მთავარი ქონებაა. ხოლო კარგი კაცის სახელის მოხვეჭა – ეს ღირსებაა ამ ქვეყანაზე დაფასებისა და იაკობივით უფალთან იმ დონეზე შერწყმას ნიშნავს, რომ ანგელოზებს იმორჩილებ. აგრეთვე, ზეცაშიც ვიღებთ მარადისობას, ნეტარებას. ამდენად, სახელი – ეს ყველა ღირსებაზე უპირატესია და ამადაც ამბობს რუსთაველი: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

ეს სახელი მოიხვეჭა მოშემ თავისი ცხოვრების წესით და გამოარჩია იგი თავმდაბლობით უფალმა.

მეორე მისი ღირსება კი მასში იყო, რომ, ფუფუნებაში აღზრდილი არ ივიწყებდა მოყვასს გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფ თანამოძმეებს იმ დონემდე, რომ მოკლა ეგვიპტელი, რომელმაც საშინლად დაამცირა და წაბილწა ერთ-ერთი ებრაელის ოჯახი. ასე გასწირა თავი და კარიერაც*. ამდენად, მას, ამ სახელის მატარებელს, ჰქონდა ძალა და ხელეწიფებოდა ფარაონის დამარცხება. რამეთუ, ვიცით, რომ ფარაონი ესავის მოდგმიდანაა და მას იგივე ანგელოზი იცავს, რომელიც დაამარცხა იაკობმა. და ამიტომ

---

* ვიცით, ფარაონს უწინასწარმეტყველეს, რომ დაიბადება მხსნელი, რომელიც გაიყვანს ებრაელებს და ბრძანა მან, ყოველი ახალდაბადებული ვაჟი ნილოსში ჩაეხრჩოთ. ეგვიპტელებსაც აღრიცხული ჰყავდათ ყოველი ებრაელი ფეხმძიმე ქალი, მიდიოდნენ მათთან ცხრა თვისა რომ ხდებოდნენ, რათა ბრძანება შესრულებულიყო. ამიტომ უფალმა მოშე ექვსი თვისა დაბადა. ხოლო ცხრა თვის რომ შეიქმნა, დედამისმა, ვიცით, თვითონ ჩაუშვა ნილოსში და წყალს გაატანა. ეგვიპტელმა მოგვებმა ეს შეიტყვეს და აცნობეს ფარაონს, რომ ახალდაბადებული მხსნელი უკვე ნილოსში იქნა გადაგდებული. ვიცით, იპოვა კიდობანი, სადაც იყო მოშე, ბათიამ, ფარაონის ქალიშვილმა. ხოლო ჩვილს რძეს კვლავ საკუთარი დედა აწოვებდა. ასე განისწავლა მოშე თორის უდიდესი ცოდნით.

როცა ერთ-ერთი დასჯის წინ ფარაონი საერთოდ გაქრება ამ ანგელოზის ძალით. მოშემ, რა თქმა უნდა, უფლისგან მიღებული ცოდნით, მისი სახელის შეცნობის განათლებიდან გამომდინარე, იოლად მიაგნო მას. ამან განაცვიფრა და შეაშინა კიდეც ფარაონი, რომელიც აქამდე ცდილობდა, რომ დაემტკიცებინა მოშესთვის საკუთარი და თავისი მფარველი ანგელოზის სიძლიერე. ამიტომაც შეშინებული ეუბნება კიდეც, რომ შევცოდეო თქვენი უფლის წინაშე. მაგრამ, ვიცით, უფალი ცდილობდა, რომ ფარაონი მოგებულიყო გონს პირველ ხუთ დასჯამდე. მერე კი თვით უფალი უქმაებდა მას გულს. ფარაონი რომ ესაიას მოდგმისაა, აუცილებელია განიმარტოს მეორე მაგალითითაც, რითაც მთელი სამყაროს ისტორიაა გადმოცემული.

2.2.1. გამოთქმა: „მე შენ სეირს გიჩვენებ“ ეს იაკობის მიერ სამყაროს 4.000-წლოვანი წინასწარმეტყველებაა

გაეიხსენოთ, როცა ხედება იაკობი ესავს, ესავი ეპატიჟება, მასთან წაეიდეს სეირში და ასე უხიფათოდ იქნება. ანუ სურს, თავისი ძმა მისი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების ცხოვრების წესში შეიყვანოს, რითაც ძალადობა, სიყალბე და უზნეობაა. ამაეე დროს იგი იგამგებლებს მასზე უფროსი ძმის სტატუსით.

იაკობი ამას ხვდება და პასუხობს (დაბადება, 33.14): „დაე, იაროს ჩემმა ბატონმა თავისი მონის წინ და მე წამოვალ ნელ-ნელა, პირუტყვის სვლის მიხედვით, რომელიც ჩემს წინაა, და ჩემი ბავშვების სვლის მიხედვით, ვიდრე მივიდოდე ჩემს ბატონთან სეირში“. აქ, უპირველესად, სიტყვებით: „იაროს ჩემმა ბატონმა თავისი მონის წინ“, დაკმაყოფილდა ესავის მისწრაფება ბატონობისკენ.

შემდგომ კი, დაახლოებით 4000-წლოვანი ისტორიაა, თუ როგორ გამოვლინდება მესია. ეს ჯერ ჩანს სიტყვებში: „მე წამოვალ ნელ-ნელა, პირუტყვის სვლის მიხედვით, რომელიც ჩემს წინაა“. და მართლაც, იაკობი და მისი შვილები მისდევენ მეცხვარეობას – მეჯოგეობას, როცა იაკობი სახლდება ქენაანზე. შემდეგ კი, როცა 70 სულით, თავისი შთამომავლობით ჩადის ეგვიპტეში, გოშენში მიჰყვებიან მეცხვარეობას. ხოლო სიტყვები: „ჩემს წინაა“, ეს იაკობის სიცოცხლის წლებია, მისი გზაა, როცა იაკობიც მის შვილებთანაა. შემდგომ მის სიტყვებში კი: „ჩემი ბავშვების სვლის მიხედვით ვივლიო“, აქ უკვე წინასწარმეტყველებაა მის გარეშე მისი შვილების გამრავლებისა.

ოღონდ მისი შვილები მრავლდებიან უკვე მის მოძმე იაფეთელებთან ერთად, მიწათქმედებდნენ თორით და უზრუნველყოფდნენ მათი მოძმეების გამრავლებას. ასე მათ თანაბარი წილი ჰქონდათ ისრაელთა მიერ თორის სწავლაში.

შემდეგ კი, იოსების სიკვდილის მერე, ეგვიპტეში სწორედ ესავის მოდგმის ფარაონი იწყებს მეფობას და იმონებს ებრაელებს – იაკობის მოდგმას. აქ უკვე რეალურად ხდება იაკობის წინასწარმეტყველების, მისი მოდგმის გამრავლების მეორე ეტაპი, რაც ჩანს სიტყვებში: „მე წამოვალ... ჩემი ბავშვების სვლის მიხედვით, ვიდრე მივიდოდე ჩემს ბატონთან სეირში“. ანუ უკვე ესავის მოდგმაა მისი შვილების ბატონი. და მიუხედავად მონობისა, იაკობის შთამომავლები სწავლობენ თორას იაფეთელთა ხელშეწყობით. ეს ყოველივე უტყუარად ადასტურებს, რომ ეს ფარაონი ესავის მოდგმისაა.

ამდენად, აქ უკვე ისრაელთა ბავშვების მონობაში გამრავლებაა. და ეი ამ მონობაში გამრავლების მერე წერია: „ვიდრე მივიდოდე ჩემს ბატონთან სეირში“, რაშიც უკვე წინასწარმეტყველებაა, რომ მერე მოვალ შენთან სეირშიო. ამდენად, აქ უკვე შემდგომი ისტორიაა, როცა მოშე და აჰარონი მართლაც მივლენ სეირში ეგვიპტეში ფარაონთან და უტარებენ მას სეირს.

ამისათვის, უფალმა აუხსნა მოშეს თავისი სახელის ის არსი, რითაც ეცხადებოდა სამ მამას. ამ სახელს წმინდა ენაზე „შადაი“ ჰქვია. და მოშეც ჯერ ამ სახელის ძალით ქმედებდა. მისი თავმდაბლობიდან გამომდინარე.

ეს ცოდნა გამოიხატებოდა მასშიც: თუ როგორ გადაიქცევა მისი კვერთხი გველად და ჰირიქით, როგორ განიწმინდება იგი კეთრისაგან, როგორ გადაიქცევა ნილოსი სისხლად მისი კვერთხის ქმედებით.

უფლის ამ სახელის ცოდნით იაკობისგან გამრავლებული მრავალათასიანი ისრაელთა ბავშვების სახელით, მივიდნენ მოშე და აჰარონი ფარაონთან.

ამგვარად, როგორც ჩვენ ავხსენით მე-3 წიგნში, ბავშვების სვლა დამთავრდა, როცა შეიქმნა 600.000 ისრაელი. ანუ ადამმა, როცა შესცოდა, მათში შთენილი 600.000 წმინდა სული – ნეშამა ნაპერწკლების სახით გაიფანტა. და ეს ნეშამები ნელ-ნელა ჩასხლდნენ ძირითადად იმ ისრაელებში, რომელნიც იმსახურებდნენ, ანუ სწავლობდნენ თორას, განსწავლიდნენ მისი კანონებით თავიანთ მოძმეებს გოშენში – იაფეთელთ.

ამავე დროს უფალი ეუბნება დამატებით იმ ჭეშმარიტებას, რაც აქამდე შეუცნობი იყო, ანუ როცა უხსნის, რომ ფარაონი ჯერ არ გაგიშვებს, ამ სასწაულის მერე იგი ეუბნება მას (გამოსვლა 4.22): „და უთხარი ფარაონს, ასე თქვა უფალმა, „ჩემი უფროსი შვილია ისრაელი“.

ჩვენ კი მე-2 წიგნის I-ლ ნაწილში ავხსენით დღემდე პასუხგაუცემელი კითხვის არსი – ვინ არის მისი უმცროსი შვილი, გაირკვა, რომ იგია იაფეთი, ხოლო სულიერი წინამძღოლობა იბერთა მეფეთა მოდგმისა შემ-აბრაამის მოდგმას სწორედაც უფროსობით ერგო.

ამავე დროს, სახელში „შადაი“ წინასწარმეტყველებაა წარსულის, აწმყოსა და მომავლის, ანუ ფიზიკურად როგორ არის სიუხვე და სიმდიდრე. მაგრამ ეს არ არის გამჩენის ის დონე, რომლითაც მისთვის დრო ერთი განზომილებისაა, მარადიულია, ანუ ეს არის ის განათლება თორით, როცა გამჩენით სამყარო გასულიერებულია და მანის მსგავსი საკვებია, რომელიც ადამს ჰქონდა სამოთხეში.

ანუ არაა საჭირო ლოდინი დათესვის, ზრდის და მოსავლის აღებისათვის. ე.ი. გამჩენის იმ სახელის შემეცნებაზეა ლაპარაკი, რითაც მან შექმნა სამოთხე 6 დღის ქმნადობისას და მთელი თორის არსი სრულიად შეიმეცნება.

შემდეგ უკვე უფალი რამდენიმე სასჯელის მერე უხსნის უკვე მოშეს, როგორ უნდა იმოქმედოს იმ სახელის ძალით, რომელიც ოთხ ასოშია გაცხადებული და არ გამოითქმის, ანუ არ იხსნება: (გამოსვლა 6.3): „მე გამოვეცხადე აბრაჰამს, იცხაკს და იაკობს ყოვლისშემძლე ღმერთად, ხოლო ჩემი სახელი „უფალი“ არ გავუცხადე მათ“. ამ სახელის არსის გამოყენებით მის სიძლიერეს ამტკიცებს მოშეს ხილული გაკვეთილები ეგვიპტელთა ათი დასჯისას. რამეთუ როგორც უფალმა შექმნა ზეციური სამყარო, აგრეთვე ქვედა დედამიწა და წყლები, ეს ათი დასჯაც მიმდინარეობდა ჯერ ყველაზე დაბლიდან – წყლიდან, მერე მიწიდან და შემდეგ ციდან. ზღვის გაპობაც ამ სახელით იყო. აი, ასე შეიცნეს ღმერთის სახელი მოშესთან ერთად 600.000 წმინდა ნეშამამ, რომლებმაც არ დაკარგეს ენა, სახელი და ჩაცმულობა. ამდენად, ისინი მზად იყვნენ, რომ მიეღოთ თ-ორ-ა. მასში ხომ ღმერთის სახელია შთენილი.

ასე გამოასწორეს ადამის შეცდომა და მაშინ მათთვის უკვე ამ ოთხასოიანი სახელის შეცნობით დრო, როგორც კატეგორია, აღარ არსებობდა. თორით ცნობილია, რომ ისინი მყისიერად გადაადგილდებოდნენ.

ამდენად, რასაც შეპირდა იაკობი, „ბავშვების სვლით ვიევლი, ვიდრე მივიდოდე ჩემ ბატონთან სეირში“ – ამ შეპირების პირველი ეტაპი აღსრულდა. რამეთუ ფარაონი მართლაც სეირს უტარებდა ისრაელებს, იღვწოდა ამისკენ და ახლა კი ისრაელნი უტარებენ მას სეირს.

გავიხსენოთ მეცხრე დასჯა, ჯერ იყო სიბნელე, როცა ისინი ვერაფერს ვერ ხედავდნენ, რამეთუ ჩამოსული იყო უდიდესი სულიერი შუქი, რითაც ისრაელნი ნათელში იყვნენ. ხოლო ეგვიპტელთათვის ასეთი სიძლიერის შუქი სიბნელე იყო. და, ითქვა, რომ მაშინ გარდაიცვალა ებრაელთა ის 4/5-იც, ვინც დაკარგა ენით მეტყველება.

აი, რა საშიშია დღევანდელთათვის, იბერთათვის – მეფეთათვის სატანის მონათა ენებით მეტყველება და აზროვნება, ცხოველური ვნებები, სიამაყე მაშინვე გიპყრობს, თუნდაც უფლის ენებიც იცოდე. ასე უფალი ვერ იქნება კავშირში, ვერ შემოვა ღვთიური სულით მისი სიბრძნის შუქი ორგანიზმში, რაც ძალიან სახიფათოა. და, სანამ დროა, მოვეგოთ გონს, რომ არ გადავშენდეთ.

ამდენად უფალს ვერავინ ვერ გაექცევით. როცა ვქმედებთ არასწორად, იგი სარკესავით ხედავს ყოველივეს – როგორ ეხვევიან მისი შვილები უზნეობაში.

ხოლო ყველაზე დიდი სეირი ესავის მოდგმისა იყო მეათე დასჯა, პირმშოთა სიკვდილი, როცა გარდაიცვალა ფარაონის მემკვიდრეც, შემდეგ კი ფარაონის მხედრიონი ზღვაში ჩაახრჩო.

აი, როგორ ახდა იაკობის სიტყვები: და, საიდანაა ქართული გამოთქმაც: **„მე შენ სეირს გიჩვენებ!“ ასეთი სეირი უჩვენეს ისრაელებმა ესავის მოდგმის ფარაონს, მის ხალხს, რომლებიც მოვიდნენ მმართველობაში იოსების სიკვდილის შემდეგ.**

ამდენად, მონები უფლისა ორი ენის ანბანებით მეტყველებით, თორის სწავლით, მისი ოთხასოიანი სახელის არსის შეცნობით, უფლის სიბრძნის შუქის ჩამოსვლისას იყვნენ შერწყმულნი უფალთან. ასე გადავიდნენ მარადიულ ერთგანზომილებიან დროში და უფალმაც მოაცილა მათ სიკვდილის ანგელოზი.

ეს ყოველივე დაგვირგვინდა თორის მიღებით, რაც მოშეს დამსახურებაა, ანუ მან შეიცნო მეშვიდე სეფიროთის არსი „ნეცახ“ – მარადისობა. და მთელმა ერმა მიაღწია

მარადისობის დონეს. ასევე მიაღწიეს მერვე სეფიროთის არსს „ჰოდს“ – სიდიადეს, რომელიც აჰარონის, ანუ ქოენთა – ტაძრის მსახურთა თვისებაა. იქამდე კი, ვიცით, იოსებმა განავითარა მიწათმოქმედება ეგვიპტეში მეცხრე სეფიროთის – იოსოდის – საფუძვლის არსით.

ასე შეიცნეს მათ ცხრა სეფიროთის არსი და შეაღწეს სიბრძნის 49-ე საფეხური. ხოლო 50-ე საფეხურია მეათე სეფიროთის მეფობის – მალხუთის არსის ანუ ზეციური მმართველობის წესის შეცნობა. ცნობილია თორით, რომ მხოლოდ მოშემ შეძლო ეს, ისიც თვისი სიკვდილის წინ (იხ. ნაშრომი მე-3).

რომ სახელებში დიდი სიბრძნეა ჩადებული, გავიხსენოთ ტარიელის, მომავალი მესიის სახელის ავთანდილის მიერ შეცნობის ისტორიაც. ის, რაც ჩვენ უკვე ზემოთ განვმარტეთ. ხოლო ტარიელი, როცა ნახავს ავთანდილს, გადაეხვევა და კ-ოც-ნიან ერთმანეთს. შემდეგ ტარიელი უყვება თორის არსს, ისტორიას ისრაელთა ერისა, რომელთა მისიაა მესიის მოვლინება და ასე უხსნის იგი თორის დაფარულ საიდუმლოებებს. და იმასაც, თუ როგორ უჩვენებს იაკობი ესაუს პირველი გამაფრთხილებელი სეირის მერე მეორეგზის, ანუ საბოლოო სეირს, რასაც ქვემოთ ავხსნით.

იქამდე კი უნდა ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, იაკობს ჰქონდა წინასწარმეტყველური ცოდნა და ბრწყინვალედ იცოდა ორივე ენა – ანბანი. და რომ სამყაროს ხსნა იქნება ორი ერით, ესეც მხოლოდ ისრაელთა თაობის ლიდერებმა იციან. ცნობილია, დღეს რაბინები მოუწოდებენ ყველა ისრაელს, დაბრუნდნენ წმინდა მიწაზე. ამავე დროს, ისრაელთა დღევანდელი თაობის ლიდერმა, რაბი ხაიმ კანევსკიმ დამოძღვრა 13 წლის წინათ ერთ-ერთი რაბინი, იაკობ დავითაშვილი, რომ ეღვაწა საქართველოში, სულიერ სასწაულებელში. და ჩვენც მოყვანილი გვაქვს მე- 2-3 წიგნებში, თუ რაოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის მას იმ საიდუმლოების დასაბუთებაში, რომ წმინდა და დედა ენები ერთი სულიერებით სუნთქავენ. მხოლოდ ისინია უფლის მიერ შექმნილი ენები, რომლებითაც მრავალი საიდუმლოება იხსნება. დღესაც, ამ უდიდესმა რაბინმა, კელაე გაუმეორა მას, რომ საქართველოში ეღვაწა.

2.3. სამყაროს ისტორია, გაცხადებული ციფრებში, ქართულად რიცხვთა ათეულისას

დედა ენა რომ მეტყველი გადმომცემია უფლის წინასწარმეტყველურ საიდუმლოებათა, ეს ჩანს ჩვენს ათვლის სისტემაშიც, რაც რიცხვებშია გაცხადებული. ჩვენ აღვნიშნეთ მარადიულ ციფრებზე, რომლებიც ცამეტამდეა. ახლა შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ შეიძლება მოვიაზროთ მათ რიცხვში „20“-იც. ვიცით, უფალმა ორი წერტილისგან შექმნა ზედა სულიერი და ქვედა მატერიალური სამყარო. ფაქტიურად, ესენიც მამრობითი და მდედრობითია, რამეთუ ზევით უფლის სამყოფელია, და ქვემოთა სამყაროს – დედამიწას უფლის შეხინა წარმართავს. ხოლო ადამს რომ არ შეეცოდა, ქვედა სამყაროც ზედას ანალოგიურად ათი სეფიროთით იყო გასულიერებული როგორც თვით ადამის სხეული შექმნა უფალმა.

ანუ ჩვენ უნდა მიგვეღო თორა, ალეფით დაწყებული, რომელშიც წარმოუდგენელი სიბრძნეა, რამეთუ, ვიცით, ალეფში ჩადებულია უფლის შუქით განწმენდილი გასულიერებული ორივე სამყარო.

მაგრამ ალეფში ჩანს ადამის შეცოდების შემდგომი წინასწარმეტყველებაც, სადაც ზედას იოდ-ის ფორმა სარკისებურია. იგი აირეკლება „ვაე“-ში, რომლის პემატრია ექვსია. ანუ, ჩვენ შემთხვევაში, ექვსი ათას წელს გასულიერდება დედამიწა ღმერთის შუქით და სარკისებური იქნება. ამას განაპირობებენ ადამიანები თვისებებით, რომლებიც ასო-ნიშან „ვავ“-შია განსახიერებული: ჭეშმარიტება – სწორი სამართალი, პატიოსნება, ღირსება. იგი დამაკავშირებელია, შემაერთებელია, წრფეა ერთიანობის მთლიანობის. და ეს უკვე განხორციელდება შემდეგნაირად:

აქ ორ „იოდ“-ში იკითხება ორგზის შობილის ანუ მესიის მეორეგზის გამოვლინების არსი. პირველი იოდ-ის არსიდან გამომდინარე, ათმა ტყაოსანმა, ათი მცნებით მავალებმა, დაუდეს საფუძველი მეორე ათეულ ვეფხისტყაოსანთა მოღვაწეობას. ამიტომ ათის რიგითი სათვალავი – პემატრია უდრის ოცს. ანუ მეორე ათში გამოვლინდება მეოცე, იგივე მესია, მეფე – მხსნელი.

ორგზის შობილის არსიც, რაზეც უკვე ითქვა, აქ არის: ერთხელ იშვა ორი ძმა – შემი და იეფეთი. მათ ხომ უკუსვლით ამ ზეწრით დამალეს მამის სირცხვილი.

ამდენად, თორით ორი მეფე-ლომი, მეათენი, შეთიდან ათვლილნი, შემი და იაფეთი – ორი სიწმინდე – ერთგზის იშვნენ, მაგრამ იშვა ბოროტებაც – ქამის მოდგმა.

მასთან ბრძოლისათვის საჭიროა ერთი ლომი ერის მაინც მუდმივად მეფობა, რათა შეხინა უფლისა მუდმივად იყოს დავანებული დედამიწაზე. ამიტომ ნოეს დროიდან დავანებულია შეხინა, იგივე თინათინი, იბერია-კავკასიაში, რომელიც გადმოჰყვა ძმებს კიდობნიდან და მეფენია აქ ყველა. მეფეთა ჩასაცმელი ქართული ჩოხა-ახალუხია, ქამარ-ხანჯალი და ქუდი. ხოლო მთელ მსოფლიოში რომ განმტკიცდეს უფლის მეფობა, ამისათვის ქენაანზე წმინდა მიწაზეც, როგორც დედამიწაზე, უნდა დავანდეს მარადიულად უფალი, მისი შეხინა.

ამისათვის შემი, რომელმაც იაფეთთან ერთად შექმნა სამოთხე ქვეყანა იბერია-კავკასიაში, ამის მერე გადადის ქენაანზე და იწყებს მეფობას ნოეს პირველი კურთხევიდან გამომდინარე, რათა დავანდეს აქაც უფალი, მისი შეხინა. ამიტომ ჩააცვა შემს, როგორც ადრე ადამს, ჭრელი ტანისამოსი უფალმა. რათა მისმა შთამომავლებმა, ახლა უკვე ჯერ ქენაანზე და მერე მთელ სამყაროში დაავანონ შეხინა.

ითქვა, აგრეთვე, ამისათვის შემი იერუშალაიმში აარსებს სულიერ სასწავლებელს, სადაც სწავლობს სამი მამა და 12 შტო. ამ ქალაქს ჯერ შა-ლემი ერქვა. ეს ის პერიოდია, როცა შემი მალქიცედეკის სახელით მეფობს ქენაანზე.

ლემი, ვიცით, სვანურად იგივე ლომია. ხოლო ლემშვენიერა სასვანეთოს ერქვა. ეს სახელი ხომ შორეულ წარსულში საქართველოსაც ერქვა და სვანების დროშაზე ხომ ლომია გამოხატული. და საერთოდ, ეს სახელი მათი პაპის ლემეხის პატივსაცემად გაავრცელეს ეტყობა ძმებმა აქაც და იქაც.

ასე რომ, ათი წმინდანის მოღვაწეობით იშვა ორი ლომი, ორი ძმა. მათი მოღვაწეობით შეიქმნა ქართველთა ერი – მეფეთა მოდგმა საქართველოში. მეორეგზის რომ იშვას კიდევ ორი ლომი ერი, ასევე ათი წმინდანის ვეფხისტყაოსანთა მოღვაწეობაა საჭირო. ესენია: აბრამ, იცხაკ, იაკობი, იოსები და მოშე, რომლის დროსაც მიიღო ისრაელმა ერმა თორა. ითქვა, ამ პერიოდში იაკობის შვილები სეირს უტარებდნენ ესაუს მოდგმას.

ასე შეიქმნა მეორე ლომი ერი და ორმოცი წლის უდაბნოში ყოფნის შემდეგ, როგორც აცხსენით, შემოდიან ისინი ქართველებთან ერთად არა შალემში, არამედ იერუშალაიმში. რამეთუ სვანურად იერუ – ორია. ისინი შემოდიან ქვეყანაში, სადაც კერპთაყვანისმცემელნი უნდა მოაქციონ. და რომ არ მოექცნენ მათი გავლენის სფეროში, მუდმივად უნდა ეცვათ ჭრელი სამოსი – ციცითი, ვეფხვის ტყავი, რათა ახსოვდეთ, რომ დაიცვან 613 მცნება. ამდენად, კი გამრავლდა მეორე ლომი ერი, მაგრამ უნდა მოაქციონ სხვა ხალხები ჯერ ქენაანზე. ამიტომაც მათი შეხინა, რუსთველით ნესტანი, მხოლოდ კიდობანში, მერე კი ტაძარშია დავანებული.

შემდეგ, ვიცით, ისრაელი და საქართველო გაერთიანებულია დავიდ-სოლომონის მეფობის ხანაში. ითქვა, ამ ორი ერის-ლომის ერთობა „კავ-კა-სიონ“-შიც დევს. „კავ“ ივრითზე სალაპარაკო ხაზს ნიშნავს, „კავ-კა“ – ორ სალაპარაკო ხაზს ნიშნავს ორ სიონს შორის. და ორი „კავ“, ეს უკვე ორი ენაა. ორი ლომის, იბერთა შემაერთებელი ისრაელთან და კავკასიის სიონში.

დასტურად, „კავ“ ქართულად კავშირია, ანუ, რაც ივრითზე ხაზია, ეს ჩვენთვის კავშირიცაა ისრაელებთან. აი, კიდევ სად ჩანს ორი ერის ერთი წარმომავლობა. და მთელი საკვირველება ის არის, რომ, როგორც ითქვა, ბაგრატიონების, იგივე ბაგ-რაციონების არსი წმინდა ენაზე მასშია, რომ მოვიდნენ საცხოვრებლად ციონიდან – სიონში (რაფაელ მესენგისერი).

ამიტომაც საქართველოს მეფენი ამ უდიდეს კავშირს იბერთა-ისრაელთა აერთიანებდნენ თავიანთ თავში. მამით, უფლით ხელდასხმულნი სამყაროს მეფეთა შთამომავალნი იყვნენ. და ეს ხელდასხმა დავიდმა მიიღო, როცა იგი იბერიის – მესხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა (იხ. მე-2 და მე-3 წიგნები). დედით კი – ქართველი დედანი ჰყავდათ, რომელნიც ღვთაებრივ დონეზე იყვნენ ჩვენში. აქაც ჩანდა კავშირი წმინდასი და დედასი.

ასე, მეოცე მესიის მოვლინებით მოისპობა ცხრამეტწლიანი ციკლები მთვარის კალენდრით და აღდგება მზის კალენდარი, მარადიული სიცოცხლე. ამ ოც ციფრზეა დაფუძნებული სამყაროს ხსნა.

ამდენად, მთელი თორის არსი სამყაროს ისტორიაა, რომლის ცოდნა ისეთი შუქით აღავსებს ადამიანს, რომ გამოდის მოჯადოებული წრიდან და მესიის ერაში სრულყოფილ წმინდანად წარმოისახება მხოლოდ დედა ენაშია, მის ათვლის სისტემაშია

გაცხადებული შემდეგნაირად: ციფრები ათი და ოცი ცვლიან ერთმანეთს, 10-20, 30-40 და ა.შ. რადგან აქეთკენაა მთელი ჩვენი მიზანსწრაფვა, ნატვრა — გელოდოთ მეოცე მესიას.

ცნობილია, მას, ვისაც არ სჯერა, რომ მეორეგზის მოვა მესია, ის ვერ ელირსება ამას, და იმდენად ბრძნულადაა ჩვენი ენა უფლით შექმნილი, რომ ნატვრა მესიის მოსვლისა ჩვენ საკრალურ სიტყვებში — ციფრებში გვაქვს შთენილი. მაგალითად, როცა ვამბობთ: ვლ-ოც-ულობთ, სა-ოც-ნებო, სა-ოც-არი, მარადიულ სიც-ოც-ხლეზეც ვ-ოც-ნებობთ მესიის მოსვლით, მ-ოც-დაც ჩვენი ამიტომაა, რომ მერე იქნება ოც-ნების ასრულება და სულიერი შერწყმა ორი ერისა, რაც კ-ოც-ნით დასრულდება. დედა ერის ამ სიტყვებით ჩვენ ვადასტურებთ, რომ მუდმივად ველოდებით მე-ოც-ე მესიას.

ახლა განვმარტოთ ციფრები 1-დან 20-მდე, რომლებიც წმინდა ენაზე ცოტა განსხვავებულადაა ახსნილი. „ერთი“ — ეს ღმერთის სახელია: ის ერთია შემქმნელი ამ სამყაროში და მასში შერწყმულია ყველა სულიერი, აგრეთვე თითქოს უსულო საგანი, მაგრამ ეს არასწორია, რამეთუ, როგორც ითქვა, მათში სახელიდან გამომდინარე, უფლის შუქია ნაპერწკლებია, იგივე მუდმივმოქმედი ატომებია, მოლეკულებია.

ხოლო „ორი“ — ეს უკვე ღმერთის ერთადერთობიდან გამომდინარე, ყოველი ორის, მდედრის და მამრის, ანუ უფლის შეხინის ისეთი სულიერი შერწყმაა, ეროგულებაა, თ-ორ-ა-შიც მიტომაა „ორ“ შუქი, რისი ძალითაც მიმდინარეობდა ქმნადობა.

„ორ“ აგრეთვე ორი ერის სულიერი ერთობის, გამრავლების საწინდარია. ორ მიწაზე — წმინდასა და დედაზე — მათი დედაქალაქებით. და რომ ორი ერით იქნება ხსნა, კიდევ ამიტომაცაა ეს სიტყვა თ-ორ-ა-ში. ასე ვართ უფალთან შერწყმულნი მეცხრე ცაზე, რადგან თ-ს ჰემატრია ცხრაა, ხოლო „ა“ ასო-ნიშანი — ეს 1-ია. ეს ციფრი მიგვანიშნებს, რომ ორი ერის ერთობისას რომ მათთან მუდმივად მესამე უფალია. ეს არის „სამი“ ციფრის არსი. ხოლო ამ ორი ერის ერთობით სამყაროს ოთხი მხარის გასულიერებაა. ეს დღევანდელი მოსალოდნელი ეტაპია.

ხოლო „ხუთი“ ციფრით ჩვენი ორიენტაციაა, რამეთუ შერწყმულნი ვართ სულიერად და შეუღლებულნი ვართ 5 დიდ დედასთან, რომლებშიც ორი უფლის შეხინა — სულიერი ქალიშვილია. ეს საწინდარია 6 ციფრის არსის შეცნობისა.

„ექვსი“ მიგვანიშნებს, რომ ეს ყოველივე დამთავრდება 6.000 წელს და შედეგად, სამყაროს ექვსი მხარე იქნება გასულიერებული, შერწყმული, ანუ გარდა 4 მხარისა, გასულიერდება ზეცა და დედამიწაც, რაც დავიდის ვარსკვლავის არსია.

„შვიდი“ ციფრი გადმოგვცემს, რომ აღსრულდება წინასწარმეტყველება ქართული კალენდრისა, ჰარასკევი, მეექვსე დღე შეიქნება ექვსშაბათი, შემდეგ კი ყოველი დღე იქნება შაბათი — სამოთხე და დრო, რიგორც კატეგორია, გაქრება. იქნება მარადიული სიცოცხლე და ასე შერწყმული ვიქნებით მერვე-მეცხრე სულიერ ცებთან, სადაც უფალი და მისი შეხინაა. ამაშია მე-8 და მე-9 ციფრების არსი.

საფუძველი ყოველისა ათი მცნებაა, იგივე თორაა, აგრეთვე ისრაელთა ერის ქმედებაა. შემდეგი ათი სეფიროთის თვისებებიდან გამომდინარე.

მეთერთმეტე სეფიროთი — ეს ხესედი, ქველმოქმედებაა, რომელიც აბრაჰამის თვისებაა. მეთორმეტე ესაა გვურა — სიძლიერე, იცხაკის თვისება, ხოლო მეცამეტე — თიფერეთ — სრულყოფილება — ეს უკვე იაკობის თვისებაა, რომელშიც შერწყმული იყო ორივე დიდი მამის თვისებები. ამიტომაც, მისი ასეთი ღირსებიდან გამომდინარე, მისგან გამრავლდა ისრაელთა ერის ცამეტი შტო (იოსების შტო ორად იყო დაყოფილი). ამავე დროს, ეს გამორჩეულობა იაკობისა ჩანს ქართულ ათვლის სისტემაშიც, რამეთუ ციფრი ცა-მეტი მიგვანიშნებს, რომ ციოთაა მეტი, ანუ მომაღლებული იაკობი, ამავე დროს, წმინდა ენაზე ციფრი „ცამეტი“ ღმერთის სახელის ე.ი. ერთი-ს ჰემატრიაა.

შემდეგი მეოთხე სეფიროთია, იგივე მეთოთხმეტე ციფრია მარადისობა, რაც მიეკუთვნება მოშეს, რამეთუ მან მიიღო ჩვენი მარადისობის საფუძველი — თორა.

მეხუთეა (მეთხუთმეტეა) „ჰოდ“ — სიდიადე, რაც აჰარონის თვისებაა.

მეექვსეა (მეთექვსმეტეა) „იოსოდ“ — საფუძველი, საყრდენი წერტილი, ანუ ცხოვრების იმ იბერიულ წესზეა ლაპარაკი, რომელიც შექმნა იოსებმა ეგვიპტეში და მეფობდა იგი ამ წესით.

მეშვიდეა (მეჩვიდმეტეა) „მალხუთ“, ანუ მეფობა და სწორედ ცხოვრების ამ წესით მეფობდა დავიდი ისრაელში და ამის მერე უფლით ცხებული დამკვიდრებული მეფეა სამყაროსი.

მერვე სეფიროთი – ეს უკვე სოლომონის გამორჩეული სიბრძნეა, ანუ ხოხმაა უფლისა, რომელიც სინამდვილეში პირველი სეფიროთია. მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ის მეთვრამეტეა.

მეცხრე (მეცხრამეტე) – ეს მისი შთამომავლებია, რომელნიც მისი სიბრძნით განსწავლულნი იცავდნენ ყველა მცნებას მათ საქართველოში – იბერიაში შექმნეს სამოთხე ქვეყანა, რომელიც მეფობდა სამყაროში რუსეთთან შეერთებამდე.

ხოლო მეათე (მეოცე) მესიაა – ტარიელი, რომელიც გამოირჩევა მით, რომ მასში შერწყმული იქნება ცხრავე სეფიროთის თვისებანი, რათა გახდეს უფლის დირსეული წარმომადგენელი – მეფე დედამიწაზე. იგი ყოველ ეპოქაშია დაბადებული, რომ მოგვევლინოს მხსნელად, თუ ჩვენ ამას დავიმსახურებთ.

აი, რა გენიალურადაა შექმნილი დედა ენა. მასში წარმოუდგენელი სულიერებაა ჩადებული, ხოლო ინდოევროპული მოდგმის ხალხი ცდილობდა, შემოეტანა სალანძღავი სიტყვები, რაც განსაკუთრებით ბოლო 30 წელიწადში მოახერხეს. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ენაში საერთოდ არაა სალანძღავი სიტყვები, გინება და ისინი არც დედა ენაში იყო.

ამგვარად, თორაში ჩადებული „ორ“ სიბრძნის შუქით შექმნილი ორი ლომი ერი მოღვაწეობს სამყაროში ბოროტების ქამ-ესავის მოდგმის წესის საწინააღმდეგოდ. ქართულ სამეფო გერბზეც ეს ორი ლომია გამოსახული იმავე არსით.

ებრაელთა სალოცავებშიც, იქ, სადაც წმინდა წმინდა თორის გრაგნილები ინახება, ფარდაზე გამოსახულ ორ ლომს უჭირავს ათი მცნება.

ამგვარად, ადამი იყო პირველი ტყაოსანი და წმინდა ენაზე მისი სახელი სამი ასოსაგან შედგება: „ა-დ-მ“. პირველი ასო – ეს ადამის სახელია, მეორე – დავიდის და მესამემ – მესიის. ანუ ადამ-დავიდის შთამომავალი იქნება მეოცე მესია. და ეს არის ოცი ტყაოსნის მოღვაწეობის ხანა – მთელი თორის შინაარსი.

ცნობილია, სიტყვა – ეს უპირველესად ციფრია. ოც ციფრში დევს უფლის შემცველის, მარადიული მეფის დედამიწაზე მოსვლის კოდი. ამიტომაც ალბათ ეს ციფრიც მარადიულია. რადგან ასე ვიღებთ ჩვენ მარადიულ სიც-ოც-ხლეს.

ახლა გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“. როცა ასმათი ავთანდილს წარუდგენს ტარიელს, ტარიელი რომ დაინახავს ქართველთა სულიერ ლიდერს, გაუხარდება და გადაკოცნის. და წერია: „მათ აკ-ოც-ეს ერთმანეთთა, უცხოობით არ დაჰრიდნენ“. აი, საიდანაა ის გასაოცარი ფაქტი, რომ, როგორც უკვე ითქვა, მარტო ქართველები და ებრაელები კოცნიან ერთმანეთს ნამდვილად მამაკაცური, ვაჟკაცური სიყვარულით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჩვენში ერთ მხარეს ვკოცნით, როცა ქართველები ისრაელში ჩავდივართ, ისინი ორივე მხარეს გვკოცნიან, რაც ალბათ მესიის მეორეგზის მოსვლას აღნიშნავს.

და ბოლოს აეხსნათ, როგორ მივიღებთ მარადისობას.

2.4. მარადიული სიცოცხლის არსი

ამგვარად, გამჩ-ენი უპირველესად ენი-ს გამჩენია, რომელშიც მისი ცოდნის შუქია შთენილი. ხოლო ჩვენ მისი ხელით შექმნილის შვილები ვართ მატერიალური ტანით ანალოგი ჩვენში შთენილი მისი უფლის ნაწილის ღვთიური სულისა. ეს სული, ასო-ნიშნების შუქით-ცეცხლით შექმნილი, აცოცხლებს მთელ სხეულს, ანუ იგი ფესვია, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ისევე, როგორც ხე ვერ ხედავს თავის ფესვებს.

და ტყუილად არაა ადამიანი მინდვრის ხეს შედარებული. თუ ხეს წყალი არ მიეწოდა, მას ჯერ ფოთლები დასცვივა ნელ-ნელა და ბოლოს ხმობას იწყებს, რაც ფესვების გაშრობა-გახმობიდან გამომდინარეობს. და იგი მთელი ზამთრის პერიოდში თითქმის უსულო, მძინარეა. ამიტომაც შემოდგომა-ზამთარი ის პერიოდია, როცა ხეც ძილს მიეცემა.

ეს კი ყველა იმ ადამიანთა ანალოგიის მუდმივი პერიოდია, რომელნიც არ სწავლობენ, არ ლაპარაკობენ უფლის ენაზე. ანუ მათ არა აქვთ კავშირი, მათი ენიდან გამომდინარე, სმ-ენა თორის არსის, რომელიც წყალსაა შედარებული. თორა ხომ ჩვენი ფესვების – სულის სარწყავია, რომ მარადიულად ვიცოცხლოთ. ასე არ შემოდის მათში „ორ“ შუქი ცოდნისა, ორი ანბანით შთენილი, სიტყვებში – სახ-ელებში გაცხადებული. ანუ ინფორმაცია უფლის – თორის, როგორ ვიცოცხლოთ მარადიულად ნეტარებით.

ამდენად, ასეთი ადამიანი აგრძელებს გამხმარი ხესავით ძილის მდგომარეობაში ყოფნას, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასომთავრული ანბანის 30-ე – „ძილ“ ასო-ნიშანშია გაცხადებული. ანუ მთვარის კალენდრით ჩვენ გვაქვს 29,5-იანი დღეები და ვერ

ვლახაეთ 30-ე, „ძილ“ ასო-ნიშანს, რის მერეც არის სულიერი ცხოვრების წესი თანაბრად გაყოფისა, რაც 31-ე „წილ“, ანუ წილობრიეად მოქმედი ასო-ნიშნის არსია.

თუ ეს ხალხი მოეგება გონს და დაიწყებს თორით ცხოვრებას, ისინი დაემსგავსებიან იმ მძინარე, გაციებული ხეების შემდგომ მდგომარეობას, რომელთა ფესვებშიც გაზაფხულზე შემოდის წყალი და იწყებს განვითარებას.

ოღონდ ადამიანი, არ უნდა წყვეტდეს თორის სწავლას და, ხისგან განსხვავებით, მარადიული ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ადამიანიც უფლის თვალში, გამხმარი, მძინარე ხეა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არა აქვს.

შედეგად, არა აქვს თორა – არა აქვს წყალი – სულიერი პური, რომლითაც ადამიანი იკვებება. თუ თორით არ იკვებები, ავად-დები, ანუ ავად ყოფ, რამეთუ ადამიანები თორის გარეშე არ გასცემენ, წართმევისკენ მიიღტვიან. და ვერ ხვდებიან, რომ ასე ჰგვანან იმ მკვდარ, გამხმარ ხეებს, რომლებშიც არ არის წყალი, არაა ზრდა მათი, და მოსავალი რომ გასცენ.

ასე იბღალება მათში შთენილი უფლის ოთხასოიანი სახელი, რაც ამ სახელის ასო-ნიშნების შუაზე ორად დაყოფას, დაცილებას იწვევს. ესაა ჩვენი ავად-მყოფობის მიზეზი, ანუ ავად არასწორად გა-ყოფ-ის, რაც გაცემის მაგიერ ჩვენს მიერ წართმევის, გამოძალვის გამოა.

ამდენად, როგორც უკვე ითქვა, უფლის მიერ შექმნილი მთელი სამყაროს არსებობის არსი გაცემაშია. იგი დღენიადაგ გასცემს ყველაზე რაც მათი სიცოცხლის საწინდარია, და ის რაც შექმნა უფალმა, ყველა ასევე გაცემის ფუნქციას შეასრულებს, თუ ადამიანები იცხოვრებენ გაცემით, ისე როგორც ქართულ ცხოვრების წესშია, მაგრამ მხოლოდ ადამიანი, რომელიც დამოუკიდებელია, სხვა უფლის შექმნილ ყველა არსებათაგან განსხვავებით არ გასცემს წართმევა-დამონებისკენ მიიღტვის, თუ არ ქმედებს თორით.

ამდენად, თორა შუქია სიბრძნისა, აფეთქებისა, ჩვენში არსებული პოტენციით ჯერ გაცემისა, მერე მარადიული სამოსელით უფლის შუქის შემოსვლისა და მერე ამ შუქით მარადიული ნეტარებისა, ხეც ხომ გასცემს ნაყოფს და ფოთოლიც მიწას ანაყოფიერებს, ამიტომ ის გაზაფხულზე ისევ ცოცხლდება და ისხამს ნაყოფს, და თუ ყველა ადამიანი გასცემს, მაშინ ჩამოვა უფლის შუქი და ქვეყანაში სულ გაზაფხული, ერთნაირი საამო გრილი ამინდი იქნება, ხეებიც მარად მწვანენი იქნებიან, არ დაჭკნებიან.

ადამიანის უფლის ენებით მეტყველებაზე, თორით ქმედებაზეა დამოკიდებული მთელი სამყაროს არსებობა, და ასეთ შემთხვევაში იქნება მკვდრეთით აღდგომა.

ერთ ქვეყანაში, დაახლოებით XIII საუკუნეში, კაცმა შექმნა ავტომობილი, რა თქმა უნდა, მოეწონა ერთ პიროვნებას იგი და სთხოვა, მოჰყიდეო, მიჰყიდა მანაც ეს მანქანა, მყიდველმა კი არ მოსთხოვა, რომ მისი მართვა ესწავლებინა, მან უბრალოდ, ურემივით შეაბა ეს ავტომობილი ცხენებს და ასე ძველებურად გადაადგილდებოდა, მეორედაც გაჰყიდა კაცმა ავტომობილი და მეორესაც, რომელიც მექათმე იყო, მოეწონა იგი და იყიდა, მანაც გაიღო საბარგული, ოთხი ქარი და საქათმედ გადააქცია იგი. ეს მაშინ, როცა ორივეს შეეძლო შეესწავლათ მართვა, ამ მანქანით გადაადგილებით დაეზოგა დრო და ნეტარებაში ყოფილიყვნენ.

ასე ვართ ჩვენც – არ ვსწავლობთ თორას, არ ვქმედებთ მისით, ჩვენი აზრით ვიგონებთ კონსტიტუციებს, რომლებითაც უფლის მარადისობის მანქანის – თორის სიბრძნეთა ნეტარებით შემეცნების უარყოფაა, ისმება კითხვა: თუ არის ვინმე ისეთი, რომელიც ამ გამოგონილი კონსტიტუციების შესწავლით ნეტარებდეს, იღებდეს ღვთიური სულის საკვებს? რა თქმა უნდა – არა!

ხოლო თორის სწავლისას ჩვენი გაბრძენებით მარადიული ნეტარებაა, ვჭვრეტთ ღვთიური სულის თვალებით მთელ სამყაროს და ასე მუდმივად, ყოველი დღე უკეთესია წინარეზე. კონსტიტუციები კი მტანჯველნია ჩვენი სულისა, რამეთუ მათით, პარტიათა სიმრავლეა თორის, უფლის უარყოფაა და მხოლოდ დაპირისპირებაა. ასე ჩვენი დაავადებაა და ნაადრევი წასვლაა ამ ქვეყნიდან. ამდენად, ჩვენი დანაშაულია, რომ არ ვცხოვრობთ თორით, არც ვსწავლობთ ხეს სიცოცხლისას, რომელსაც შეუძლია მორწყას ჩვენი ორგანოები და მარადიულად ვიცოცხლოთ.

ასე, თორის სწავლისას მუდმივი ნეტარების წყალია ჩვენს ფესვებში, სულში და დროც გაჩერებულია. ორგანოებში ნეტარებაა, გაზაფხულია. თუ არადა, ჩვენს სულს წყალი – განათლება აკლდება. ამ შემთხვევაში გვაქვს შეცდომები, რაც ავტომატურად აისახება გარკვეული ორგანოს დაავადებაში, რათა მივხვდეთ შეცდომას და გამოვსწორდეთ. მაგალითად, სიბრაზე კუჭს ავნებს, მკერდის დაავადებას მისი

სიშიშვლე იწვევს და ა.შ. ამდენად, ჯერ სხეულის სათანადო 248 ორგანოდან, ასევე 365 სახსრიდან, გამოდის წყობიდან რომელიმე მაოგანი, რადგან წყლით – თორით განათლება აკლდებათ. შედეგად, თუ ხე გახმობის მერე ისევ ცოცხლდება, ნაყოფს ისხამს, ასეთი ადამიანის ჯერ ფესვი, ჩვენთვის უხილავი ღვთიური სული ავადდება, მერე – სათანადო ორგანოები და იგი მიდის ამ ქვეყნიდან.

ამდენად, როგორც ითქვა, ტვინი ჩვენი თორის განათლებით მიიღებს სიბრძნეს – ხოხმას უფლისა, რომელიც პირველი სეფიროთია, იგი შუბლის მარჯვენა ნაწილშია ადამიანებში. ვიცით, მისი განმარტება ხდება შეხინით, მეორე სეფიროთის – ბინ-ის არსით, რომელიც შუბლის მარცხენა ნაწილშია. ასე გადმოგვეცემა უფლის სიბრძნე მესამე სეფიროთის – დაყათის, იგივე ჭკუის არსით, რომელიც კეფაშია. შედეგად, ჩვენ ვქმედებთ ჭკუით და ჩვენი ხედვა ღვთიური სულის თვალებითაა, რომელსაც მუდმივად მოეწოდება უფალთან კავშირით წყალი – თორის არსი, შუქი ცოდნისა. ეს ცოდნა გადაეცემა ტვინს, მისგან კი, მოლაპარაკე სისხლით – გულს და სხეულს. ასე ადამიანი თანდათან, გაბრძენებით, დროთა განმავლობაში იწყებს ქმედებას ჩვენს სხეულში შთენილი შვიდი სეფიროთით; მეოთხეა ქველმოქმედება-გაცემა, მეხუთე – სიძლიერე, მეექვსე – სრულყოფილება, მეშვიდე – მარადისობა, მერვე – სიდიადე, მშვენიერება.

ხოლო საფუძველი ამ ყოველივესი, მეცხრე სეფიროთი – იესოდ, სასქესო ორგანოა, რაც, ჩვენი თორიდან მეტყველებიდან გამომდინარე ენის სიბრძნესთან, მის შუქთანაა დაკავშირებული. ასე ვმეფობთ ჩვენ და ჩვენი შთამომავლობაც მეათე სეფიროთის – მალხუთის – არსით. ეს ყოველი უფლის ნეტარებაა, რამეთუ მისი შუქი სიბრძნისა მისნაირთა გაბრძენებისათვის ჰპოვებს სასრულს. ასე წმინდა ენის 22 ასო-ნიშნით და 10 სეფიროთით, ანუ 32 ბილიკით ჩვენ გადწევთ სრულყოფილებას.

თორის წიგნის ამხსნელი ორი წიგნი

ჩვენ, ქართველები, უფალმა დაგვაჯილდოვა იმ სასწაული პოტენციალით, სულში ჩამწვდომი ნეტარების ნაშრომით – „ვეფხისტყაოსნით“, რომლითაც მთლიანი თორის და „ქებათა ქების“ არსი გადმოიცემა; რომლის ყოველი კითხვისას დავიდის ფსალმუნებივით გადმოცემული სიბრძნით სული მარადიულ ნეტარებაშია. და ასე ყოველი დღე უკეთესია წინარეზე. რამეთუ, როგორც უფლის კარნახით მოშემ გადაწერა თორა. ასევე, უფლის კარნახით სოლომონმა შექმნა ამ თორის მოკლე, ლაკონიურად გადმოცემული სიბრძნე „ქებათა ქებით“, რომელიც იმღერეს ანგელოზებმა. ასევე შოთამ შექმნა „ვეფხისტყაოსანი“უფლის ნებით და, რათქმა უნდა, კარნახით.

ამდენად, თორის ამხსნელი მხოლოდ ორი წიგნია ამ ქვეყანაზე. აგრეთვე უფლის კარნახით შედგენილი, ორი ერისათვის და ქართველთათვის მეტად საამაყოა, რომ „ვეფხისტყაოსნით“ ვეხსენით „ქებათა ქება“. მით უმეტეს, რომ ამ ორივე ნაწარმოებით დასტურდება – მხოლოდ ჩვენთან, იბერია-კავკასიაში შეგვიძლია, აღვადგინოთ სულიერი ცხოვრების წესი, თორიდან გამომდინარე. ხოლო ამ წესის აღდგენას აქვს მისია, რომ მისი ანალოგიით სამყარო შეიქმნას ტაძარ-ქვეყნად.

და ეს იმიტომ, რომ, როგორც ისრაელში, როცა სოლომონის მამამ, დავიდ წინასწარმეტყველმა მთელი იმდროინდელი სამყარო, წარმოუდგენელი ღვთის სიყვარულიდან და მისი ერთგულებიდან გამომდინარე, უფლის შეწევნით, მუდმივად ომებით დაიმორჩილა. ჩააბა მთელი ერი თორის სწავლაში.

თითქმის ანალოგიურად, ასევე ბიბლიური დავიდის შთამომავალმა, მეორე დავითმა, აღმაშენებელმა, თამარის დიდმა პაპამ, ომებით კვლავ აღადგინა სრულიად საქართველოს დასაბამიდან ჩამოყალიბებული სამოთხე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. აგრეთვე იმდროინდელი სამყაროს სიბრძნით, უფლის სულიერი შუქით წარმმართველის პოზიცია, რაც ნოეს დროიდან მოდიოდა, როცა დაევანდა უფლის შეხინა იბერია-კავკასიაში. რადგან განახორციელა, თორიდან გამომდინარე, სათანადო საეკლესიო, საზოგადო-საერო რეფორმები.

ამ დამსახურების გამოც აღმაშენებელს მესიის მახვილსაც უწოდებდნენ.

შემდეგ კი, როგორც სამყაროში ყველაზე ბრძენმა სოლომონმა ისრაელის სულიერება და მისი მთელი სამყაროს გამგებლობა დავიდის მერე კიდევ უფრო უმღლეს დონეზე აიყვანა, თითქმის ანალოგიურად, ჩვენ შემთხვევაში, აღმაშენებლის შვილიშვილმა თამარმა მთელ მსოფლიოში განამტკიცა იბერია-კავკასიის სულიერი მმართველობა, მისი ძლიერება.

ხოლო მისი სიბრძნე, მიახლოებით სოლომონივით, მთელ მსოფლიოში იყო განთქმული და მოიხსენიებდნენ კიდევაც სამყაროს სულიერი ლიდერის შესაფერისი

ეპითეტებით. ამიტომაც ამბობს რუსთველი თამარზე, იგივე დავიდის შთამომავალზე, და აღმაშენებლის მემკვიდრეზე: „ლეკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. იქვე კიდევ მისი ორი სტროფიც გავიხსენოთ:

„ვის პ'შვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ხმალ-'მიმ'შერისა,
– მეფისა მზის – თამარისა, ღაწე-ბადახ'შ, თმა-გი'შერისა,
– მას, არა ვიცი, შევ'კადრო შესხმა ხოტბისა, შე-რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მიმართ, შერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხ'ული,
თქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩ'ული,
მელნად ვიხმარე გი'შრის ტბა და კალმად მე ნა რხ'ული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გ'ულსა ხ'ული.“

ამდენად, როგორც სოლომონმა სულიერი ისრაელი მემკვიდრეობით მიიღო დავიდისგან და სწორი სამართლით სიბრძნით წარმართა იგი, განაგებდა მთელ მსოფლიოს. ასევე მოხდა თამართან მიმართებაშიც, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ასევე დავითისგან, აღმაშენებლისგან სულიერად გაძლიერებული იბერია, რომლის დიდება სამყაროს სულიერად წარმმართველისა სწორი სამართლით, კიდევ უფრო განამტკიცა.

ოღონდ პირველმა უფლის სახლი – ტაძარი ააშენა და იქ დაიანდა შეხინა, რუსთველით – ნესტანი, და ვერ იქცა სრულიად ისრაელი ტაძრად, რადგან ისრაელის სახელმწიფო მრავლად იყო მტრული ტომებით დასახლებული.

მეორემ კი, თამარმა, ჩვენი ტრადიციული სულიერი განათლებით, თორიდან გამომდინარე, სრულიად იბერია-კავკასიის უფლის სახლად-ტაძრად – სამოთხე ქეყნად ყოფნა კიდევ უფრო განამტკიცა. ამის საფუძველი იყო ტრადიციული ისეთი სულიერი გენეტიკის ჩამოყალიბება, თორიდან გამომდინარე, რითაც სამივე რელიგია იბერთა საკუთარი კანონიკური მიმართულებებით, სწორი სამართლით, სიყვარულით ვითარდებოდა, კრავდა იბერია-კავკასიას. იყო განუმეორებელი ტრადიცია სამივე რელიგიის სიყვარულით გვერდში დგომისა.

ამდენად, ანალოგიურად ისრაელისა, იბერია-კავკასია წარმართავდა მთელი სამყაროს გაბრძენებისათვის სულიერ რენესანსულ ეპოქას. შედეგად, როგორც სოლომონმა ააგო ტაძარი და პირველი დღის მაგვარი სიბრძნის სულიერი შუქი ჩამოსული იყო დედამიწაზე, დაახლოებით ასეთივე შუქი ედგა საქართველოს დავით აღმაშენებლისა და თამარის მოღვაწეობის ხანაში.

ამიტომაც რუსთველმაც, როგორც სოლომონმა, ზეგარდმო ნიჭით ანგელოზთა ნამღერი ქებათა ქება უფლისა და ისრაელ-იბერთა წარმოუდგენელი ჟღერადობით და რითმა-წყობით გადმოგვცა.

ამავე დროს, ამ ორი ნაწარმოების მსგავსება მასშია, რომ ისინი სასწაულ ლექსთა მელოდიურობით, სულში ჩამწვდომი სიტყვათა წყობით, თორის სულის – ჰარმონიული ნეტარების საიდუმლოებათა გადმოცემით სასწაულ ზეციურ ნეტარებაში ამყოფებენ მკითხველს.

შედეგად, როცა ათ სტრიქონზე მეტი ლექსი დამღლელია, მთელი პოემა „ვეფხისტყაოსნისა“ ისეა შექმნილი, რომ რაც მეტს კითხულობ, უფრო მეტად სულიერად ივსები და ჰარმონიაში ხარ.

აი, საიდანაა, რომ ამ ლექსთა ჟღერადობა საუკუნეების განმავლობაში კურნავდა ყოველ ქართველს – სრულიად საქართველოს ნებისმიერი კაეშნისას ან დაავადებისას. რამეთუ რუსთველმაც უფლის შეხინის კარნახით, როგორც სოლომონმა, შეადგინა ეს ღვთაებრივი შემოქმედება.

როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობთ, თვით უფალი, მისი შეხინაა ნეტარი შუქით ჩვენში შერწყმული. აი, საიდანაა ის გასაოცარი ფაქტი, რომ ერთი წაკითხვისას მისი ლექსები ისე კონცენტრირდება ჩვენ ღვთიურ სულში, რომ მახსოვრობაა მათი. აქედანაა ჩვენში მუდმივად იყვნენ პიროვნებები, რომელთაც ეს წიგნი ზეპირად იცოდნენ.

საოცრებაა კიდევ, რომ მსგავსი ფაქტი არცერთი ნაწარმოების მიმართ არაა დაფიქსირებული. გამონაკლისია წმინდა წერილის კანონიკური ზეპირი განმარტებანი, რაც წმინდანთა ხვედრია. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ როგორც წმინდა წიგნები, „ვეფხისტყაოსანი“ მისი ავტორის უფალთან კავშირით ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია.

ხოლო უმთავრესი საფუძველი ამ ნეტარებისა, უფლის მიერ სიბრძნით, სიწმინდით შექმნილი ორი ერთმანეთის სინონიმები დედა და წმინდა ანბანია. ითქვა, წმინდა ენის 22 ასო-ნიშანი 10 სეფიროთთან ერთად გზაა, ბილიკია უფალთან შერწყმისა, ხოლო ასომთავრულის 37 ასო-ნიშნით წრეწირზე, ამ 22 ასოს არსი გადმოიცემა.

თუ საათი მოსამართია, ეს ორი ანბანი ისეა შექმნილი, რომ მასში ადამის შეცოდების შემდგომი სამყაროს 6.000-წლოვანი ისტორიაა უფლისმიერი ძალისხმევით იმ ისრაელთა ერის ჩამოყალიბებისა, რომელნიც უნდა დაბადებულიყვნენ მაშინვე, ადამს რომ არ შეეცოდა. ასე დამთავრდება 6.000 წელი. შემდეგ კი მოგვეცემა ის თორა, რომელიც ადამს უნდა მიეღო, ნუ განა „ბეტით", „ალეფით" დაწყებული და მისი მარადიული სწავლით ყველა ვიქნებით მარადიულ ნეტარებაში. რამეთუ ასე შეერწყმება ერთიანი უფლის სულიერი შუქით ზემოთა სულიერი და ქვემოთა მატერიალური ცები და დრო, როგორც კატეგორია, საერთოდ გაქრება. ჩვენი ხედვა იქნება ყველა ცათა ღვთიური სულის თვალებით. აი, სადაა არსი ჭეშმარიტებისა და პერპეტუუმ მობილეს – მარადიული ბორბლის შექმნისა.

ამდენად, ანბანი, მოცემული წრეწირზე, მუდმივმოქმედი სისტემაა თორის კოდთან, მის ცეცხლოვან, მფეთქავ სულთან მიბმული.

ასე 6000-წლოვანი დროებითი დროის განმავლობაში ანბანი საფუძველია დროის სამყაროს ამეტყველებისა იბერ-ისრაელთა მიერ დღესასწაულთა უფლის ქება-დიდებით აღნიშვნისას. ამიტომაც ისინი სრულყოფილნია, უმშვენიერესნია. მარგალიტებივით წყობილ ასო-ნიშანთა ერთობლიობა ნიმუშია: ვოკალიზაციის, სინატიფისა; ასოთა დამწერლობის გრაფიკა სრულყოფილია-მეტყველია, საიდუმლოებათა შემცველი-გადმომცემელია, იდიოგრაფიულია, კალენდარულია.

ასე ანბანთა ცეცხლოვანი ასოები წარმმართველია ჩვენი და ჩვენი სხეულის დარად მთლიანი მატერიალური სამყაროს გასულიერებისა და ტაძრად გარდაქმნისათვის. რამეთუ, როგორც ითქვა, ყოველი სი-ტყვა სიყვარულია, ანუ სახელი მათი უფლის სიტყვაა, შემოქმედებაა.

ამდენად, ორივე ანბანი ხილულად გვასწავლის – გვწვრთნის, ხელის გულზე გვიდებს თორის წინასწარმეტყველურ არსს, რათა შევიძინოთ გულის სიბრძნე, რაც გამოიკვეთა ჩვენს მიერ მოცემულ II ნახაზის წრეწირზე მე-2 წიგნში.

ოღონდ აქ უმთავრესია დედა და წმინდა ასო-ნიშნებით დედა და წმინდა ერის ქმედება, რომელთა მიზანია, განისწავლონ თორის ანბანთა ცოდნის შუქით – ცეცხლით, გასულიერდნენ იმ დონეზე, რომ დაიწვას, განადგურდეს ჩვენ სხეულში ყოველნაირი ქვენარე მისწრაფება-გრძნობები. გავბრძენდეთ იმ დონემდე, რომ შევასრულოთ უფლის მიერ დაკისრებული მისია მეფობისა სრულიად სამყაროსი.

და ყოველივე ამისათვის ეს ორი ერი ისეა გაერთიანებული, შერწყმული ჩვენთვის უხილავი ერთიანი, ღვთიური სულის მოგიზგიზე ცეცხლით, რომ დაუყოვნებლივ ვწირავდით თავს უფლისა და ერთმანეთისათვის.

ასე ყოველი ჩვენგანი, წარმოუდგენლად განწმენდილი ქვენარე გრძნობა-აზროვნებისგან, წმინდა და დედა ენის ანბანის ყოვრადობით მეტყველნი, უერთდებიან, ერწყმებიან ზეციური მარადიული ნეტარებით უფალს. მას, ვინც სასწაული მშობლიური მზრუნველობით, ცეცხლით მარადიულ ნეტარებაში გვამყოფებს, თუ მუდმივად ვაგრძელებთ თორის სწავლას.

შედეგად, საოცრად ვიწმინდებით ყოველი ჩვენგანი მატერიალური ზრახვებისგან, შემოდის შუქი სულიერების, ნეტარების, სიყვარულისა. აქვე ავხსნათ, რატომაა დღეს დრო დაჩქარებული.

ორი დრო: დროებითი – სიკვდილისა – სატანისა და
მარადიული – სიცოცხლისა – უფლისა

ცნობილია, მანძილი განსაზღვრავს დროს. ხოლო „ვეფხისტყაოსნით" თორის – „ქებათა ქების" ამეტყველებისას ჩვენი სხეული ისე სულიერდება, ისე ვიმსჭვალებით, უფლიდან გამომდინარე, აზრით, სიტყვით და ქმედებით, ისეთი სულიერი ნეტარების ცეცხლი გიზგიზდება, რომ მთელი ჩვენი სხეულით გარდაცვალების გარეშეც, ვუერთდებით მას – უფალს. ვისი შუქითაც წარმოუდგენელი მარადიული ნეტარებაა.

ზოგიერთებს გვგონია, რომ ჩვენი სიცოცხლე აქ, დედამიწაზე დროებითია. ეს დიდი შეცდომაა. ყოველი ჩვენგანი აქ მისი სიტყვით, ლაპარაკით წერს საკუთარი თაეის ისტორიას. რამეთუ, ითქვა, ჩვენი სული – ფესვი შექმნილია უფლის სიტყვით, თორის ასოების არსით – შუქით ჩვენი სახელის დარქმევისას. და თუ ჩვენ ვქმედებთ თორით, მაშინ ჩვენი სიტყვა ადის ზევით, შემოქმედის ტახტთან და ერწყმება უფლის სიტყვას

თორისა, რამეთუ ის, ამ შემთხვევაში, მისგან გამომდინარეა. შედეგად, იგი კვლავ ერწყმება მის პირველ წყაროს – შემოქმედს.

როდესაც 600.000-მა ისრაელმა გამოხატა თორის შესრულებისა და სწავლის სურვილი. მაშინ გააბათილეს ადამის შეცდომა, რადგან თავი წარმოაჩინეს ნულად უფლის ნების წინაშე. და ამ სიტყვებით დრო, როგორც კატეგორია, სრულიად გამქრალი იყო, დაახლოებით ისე, როგორც სამყაროს ქმნადობის პირველ ეტაპზე, როცა შეიქმნა პირველი ადამიანი.

შედეგად, ითქვა, ებრაელთა გამოსვლისას უფალმა მოაცილა სიკვდილის ანგელოზი და ასე მიღებული ჰქონდათ მარადისობა. მაგრამ, ვიცით, სატანის მეცადინეობით შესცოდეს, შექმნეს კერპი. მის მერე გავიდა დრო. იბადებოდნენ სხვა სულები, რომელნიც თორის სწავლით ერწყმოდნენ უფალს. ისინი წარმოუდგენლად ბევრია ზეციერ სასუფეველში და დღეს უკვე კვლავ იბადება მაშინდელი „უდაბნოს თაობა“, წმინდა სულები, რომელთაც საფუძველი დაუდეს თითქმის ყველა ამ სულთა გაბრძენებას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, თუ რატომ ვგრძნობთ ყველანი დროის საოცრად აჩქარებას.

ეს პროცესი ჩვენ ავხსენით მე-2 და მე-3 ნაშრომებში მით, რომ დღეს, უკვე მესიის ერაში, მეორეგზის ისევ მრავლდება უდაბნოს თაობა. თუ რატომაა მათი გამრავლებით დრო დაჩქარებული, შევეცდებით, კიდევ ავხსნათ ეს.

გამჩენის ყველაფრით შემკულობა, სიწმინდე, სიბრძნე – სიმართლიდან იწყება.

აბრაამ-იცხაკ-იაკობიც ამით გამოირჩეოდნენ და იმიტომაც გაამრავლეს წმინდა ერი. გამჩენის თვალში და მართალთათვისაც საზიზღრობაა პოლიტიკანობა, დიპლომატია, როცა ადამიანები ცდილობენ, სიტუაციები მოარგონ თავიანთ ქმედებებს და ასე მუდმივად იტყუებიან, რომ გაიმართლონ თავი. ამ მხრივ მართალნი გულუბრყვილონიც ჩანან, თითქოს ტყუვდებიან, მაგრამ ისინი მუდმივად გამარჯვებულნი რჩებიან უფლით.

უფალს ძალიან უყვარს მართალნი და ამიტომაც, სამყაროში ყველაზე მართალ კაცს, მოშეს და იმ 600.000 ისრაელთ უბოძა თორა, ვინც ტყეობაშიც ჭირნახულობდნენ თორაში. რომელთა დამსახურებითაც ადამის დროს გაფანტული 600.000 წმინდა ნაშამა ჩაისახა მათში. და მათ, როცა შეპირდა უფალი 50 დღის მერე თორის ბოძებას, ისინი ნეტარებით, რუდუნებით ითვლიდნენ დღეებს. ამიტომ შეაღწეს სიბრძნის 48-49 კარი, იყვნენ სულიერად იმ დონემდე, რომ ბავშვებიც კი წინასწარმეტყველების დონით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე უდიდესი წინასწარმეტყველნი, პირველი ტაძრის დანგრევამდე რომ არსებობდნენ.

ამდენად, უფლითაა ყველაფერი და უფალი მხოლოდ მის თვისებებთან მიახლოებულთ, მართალთ ენდობა. იგი მათ ანდობს წინასწარმეტყველებას, ვინც მართალს ლაპარაკობს. აი, რატომ იყო, რომ მოშეს პირდაპირ ელაპარაკებოდა, როცა ყველა დანარჩენთ – მხოლოდ დაფარულად, ფარდის უკნიდან.

და აი, ამ მართალთა, უდაბნოს თაობის გამრავლება, რომლებშიც შეუნილია წყურვილი თორით განათლებისა, უანგარო-უმწიკვლო უფლისა და მოყვასისათვის თავდადება, მიზეზია დროის დაჩქარებისა. რამეთუ მათი აურით იწმინდება ატმოსფერო და გამოკვეთილად ჩამოდის უფლის შუქი, რითაც ვერწყმებით შემოქმედს. ამ უდაბნოს თაობაში იგულისხმებიან სხვებიც, არაიბერები, რომელნიც მოწმენი იყვნენ უფლის სასწაულებისა ისრაელთა მიმართ. ამიტომ დღეს უკვე თითქმის ყველას სწამს ღმერთი. შედეგად, მორწმუნეთა რიცხვი ამერიკაშიც კი თითქმის ორჯერ გაიზარდა და 98%-მდეა.

დასტურად ყოველივესი, ჩვენ ყველა ვხედავთ, როგორ მიმდინარეობს უკუპროცესი სამყაროს გასულიერებისა. გავიხსენოთ, როცა აბრაჰამი და ისააკი ერთმანეთს ჰგავდნენ და მამა-შვილს ვერავინ ვერ არჩევდა ერთმანეთისგან, მაშინ აბრაჰამმა შესთხოვა უფალს, რომ ყოფილიყო მშობლებსა და შვილებში განსხვავებული ნიშანი. უფალმა უთხრა, კარგიო, ამას შენგან დავიწყებო. ამდენად, მშობლის დაბერება და ნაოჭები უფალმა პირველად აბრაჰამის მიმართ განახორციელა.

შემდეგ იცხაკმა იცოდა წინასწარმეტყველებით, რომ მიცვალებულები ჯოჯოხეთში საშინლად იტანჯებოდნენ ჩადენილი ცოდვებისათვის. ამიტომ შესთხოვა უფალს, რომ აქ გამოეგზავნა სხვადასხვაგვარი ტანჯვები, რომ იქ შემსუბუქებოდათ ყოფნა. და მასაც პირველს მოუელინა ეს ტანჯვა, როცა დაბრმავდა იგი.

შემდეგ იაკობი ხედავდა, რომ ხალხი, იცხაკის თხოვნიდან გამომდინარე, იტანჯებოდა, მან შესთხოვა, რომ ავადმყოფობის პერიოდში მოევლინა გამოჯანმრთელება, რათა ადამიანებს მოეგვარებინათ თავიანთი საქმეები. ესეც

პირველად მის მიმართ განხორციელდა და, როცა ძალიან დააეადებული იყო, რომ თავისი შვილები ეკურთხებინა სიკვდილის წინ, ოდნავ გამოჯანმრთელდა.

ამდენად, ეს უდიდესი წმინდანებიც კი ვერ მოვიდნენ გამჩენის სიწმინდესთან და მათაც აღმოაჩნდათ გამოსასწორებელი ცოდვები.

ხოლო დღეს, რიურაჟი რომ ახლოვდება, მიდის უკუპროცესი, ეს ჩანს ჯერ დაბერების გამოსწორებაში, თუ ადრე ვინმე 60 წელს რომ მიაღწევდა, ეს ძალიან გვიკვირდა, ახლა კი 90-წლიანები მომრავლდნენ ძლიერ. და, როგორც ითქვა (იხ მე-2 წიგნი, ნაწილი III), დრო უკვე ორჯერაა დაჩქარებული. და ეს იმიტომ, რომ ორი დრო – გაზაფხული და შემოდგომა გამქრალია. ეს პროცესიც შეუქცევადია. და სამყარო მიექანება ერთიანი, მარადიული, გაზაფხულივით გრილი ამინდისაკენ, როდესაც დრო, როგორც კატეგორია, გამქრალი იქნება.

ამავე დროს ისიც შეინიშნება, რომ დროს დაჩქარება გამოკვეთილად ჩანს ისრაელში და იბერია-კავკასიაში, სადაც უფლის ენაზე საუბრობენ და თორის სწავლებაც ამ ენებზეა. ხოლო ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ სწორედ ისრაელში იბადება ძირითადი ნაწილი 600.000 იმ ისრაელთა წმინდა ნეშამებით, რომელთაც მიიღეს თორა. საქართველოში კი იბადება მათი მეწყვილე დედა ერი, რომელიც მათთან ერთად გამოვიდა ეგვიპტიდან, ასევე 600.000. და ეს ის განსაკუთრებული ხალხია, ყველა სხვა ერისგან განსხვავებით, რომლებიც გენეტიკურად მიმსწრაფველია, შეერწყან უფალს სულიერად, იყვნენ მის პალატებში და გააბათილონ ყველა მატერიალური მისწრაფება.

ამიტომაცაა მზის ნათება ამ ქვეყნებში უფრო მხურვალე და დროც – ბევრად დაჩქარებული, ვიდრე სხვაგან. დასტურად, იერუშალაიმში ისეთი გრძნობაცაა, ხანდისხან თითქოს ცა და მიწა გაერთიანებულია და ღრუბლებში დადიხარ.

მიგვაჩნია, მასალის ბოლოს კიდევ ერთხელ განვმარტოთ, როგორ მივაღწიოთ მარადიულ სიცოცხლეს. ვიცით, ღეთიურ სულს იგივე ორგანოები აქვს, რაც სხეულს.

რომ წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავს სულიერი თვალებით ხედვა, აღვნიშნეთ, ადამიანის არსებობა, როგორც ყველა არსებულისა, განისაზღვრება უფალთან კავშირით, რაც სასწაული ნეტარების საფუძველია. ითქვა, ასეთი არსებობა განისაზღვრება გენიალური ქართული სიტყვით „უყურე“. ხშირად ასეც ვამბობთ: „ყურადღება დაიბე“.

აქ მოწოდებაა უფლის მოსმენისა მისი თორით ქმედებისას, და ეს სიტყვა მათთვისაა, ვინც სწავლობს თორას, მაშინ უფალი შერწყმულია მათ ღეთიურ სულთან.

ხოლო რომ ვცხოვრობთ თორით, რაც ქართველთა თვისებაა და გენეტიკური მისწრაფებაა, ამიტომაცაა ეს სიტყვა დედა ენაში, ანუ ამ დროს, როგორც უკვე განვმარტეთ 1.5.1. თავში, როცა ვსწავლობთ თორას და ვფიქრობთ, მაშინ ინფორმაცია უფლისა სწორი აზროვნებისთვის შემოდის სმ-ენის ორგანოში – ყურში. სმ-ენა – ეს სიტყვა გვეუბნება, რომ ყური უსმენს ენას, სიბრძნეს უფლისას. და, როგორც ზემოთ განვმარტეთ, ქმედებთ მესამე სეფიროთის – დაყათის არსით, იგივე ჭკუით, რომელიც კეფაშია. ამდენად, ამ შემთხვევაში ყოველი ჩვენი ხედვა და ქმედება ღვთიური სულის ორგანოებითაა. ამიტომ შემოსულია ჩვენში „ორ“ შუქი თორისა, შერწყმული ვართ უფალთან და რომ ჩვენ ტყვეები ვართ თორისა, უფლისა; ამას დედა ენაზე სიტყვა „მეტყვე-ლება“ გადმოგვცემს. ამაშია იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველებაც, რომ ამ ენით ვინც არ მეტყველებს, არ აზროვნებს, ის ვერ დაამყარებს კავშირს უფალთან. ასე ის ვერ შეიცნობს თორის სიბრძნეს, ვერ ინეტარებს მისით და ძალიან გაუჭირდება. ისე, როგორც ებრაელთ მოუვიდათ, როცა ეგვიპტიდან გამოსვლისას დაკარგეს აზროვნება წმინდა ენაზე და მის მერე ისრაელნი მხოლოდ წმინდა და დედა ენის ანბანით სარგებლობენ. სალოცავად კი მათ წმინდა ენა ჰქონდათ. ამავე დროს, როგორც გადმოგვცემა ზაქარია ჭიჭინაძე, ორივე ერი ორივე ენაზე მეტყველებდა.

ახლა აეხსნათ, რატომაა დრო დაჩქარებული ამ ორი ენით თორის მსწავლელთა მიერ მეტყველებისას.

ცნობილია, ძილის დროს სული ტოვებს სხეულს და მიისწრაფის შეერწყას უფალს. და, თუ ჩვენ სრულყოფილად ვცხოვრობთ, მაშინ ჩვენი სული ძილის დროს წამიერად, დაბრკოლების გარეშე გადის სულიერ ცებს, უერთდება უფალს.

აქედანაა, მასთან შერწყმიდანაა ისეთი წარმოუდგენელი ნეტარება, რომ როცა ვიღვიძებთ, თუ საათს არ შევხედეთ, გვგონია, რომ დაძინების და გაღვიძების პროცესში დრო არ გასულა. ანუ შეერთებული ვიყავით უფლის შუქით მასთან, ერთადერთ ნეტარებასთან, რომლისათვის დრო მარადიულია და მანძილის გავლა არ სჭირდება ჩვენთან შესარწყმელად. იგივე პროცესი დაწყებულია ცხადშიც, რამეთუ უდაბნოს თაობის მორწმუნეთა სულებში შემოსულია უფლის შუქი და მასთან შერწყმისთვის

აღარაა საჭირო მანძილის გაელა. მაგრამ ისინი ვერ ხედებიან, რატომაა დაჩქარებული დრო; თუმცა, მის დაჩქარებას მუდმივად გრძნობენ.

ამავე დროს, ვიმეორებთ, რაკიღა შენი ქმედება შენი სულის მახსოვრობიდან გამომდინარე თორიდანაა, შენი სიტყვაც თორის სიტყვაა. და როცა მას ვსწავლობთ, ის ადის ზევით, მისი შუქი ერწყმება მის შემოქმედს. შემდეგ კი ეს შუქი, ენერგია განაპირობებს ცათა ბრუნვას, მუდმივმოქმედებას. ასე სულიერდება უფლის შუქით მთელი სამყარო. ამავე დროს, ქრება ადამიანების ორგანოების მოდუნება, დაღლილობა და დეპრესიები ორგანოთა არასწორად მუშაობისას. რამეთუ უფლის შუქით სულიერდება მატერიალური სხეულიც. მაშინ წმინდათათვის შესაძლებელია მყისიერი გადაადგილებაც, როგორც მოიმოქმედა ტარიელმა.

ითქვა, ადამი 378 სხვადასხვა ნათებას გამოსცემდა. შეცოდების მერე მოსცილდა მას უფალი, მისი შეხინა. და წერია თორაში, რომ აეხილა თვალები და შეიქნა შიშველი. ანუ ხედვა დაიწყო განა როგორც ადრე – დაყათით, ჭკუით, არამედ მის გარეშე, მატერიალური თვალებით. ხოლო სულიერი შუქის მოცილება მისი ტანის, რომელიც აღარ ანათებდა, სიშიშველეში გამოისახა.

შედეგად, ნეტარების მაგიერ აღმოჩნდა მატერიალურ სამყაროში.

ამდენად, სიტყვა უფლისა, ჩვენს სახელში გაცხადებული, იგივე სული, იძენს სრულყოფილებას, როცა ვმეტყველებთ და ვქმედებთ თორით. ასე ადამიანებით სულიერდება მთელი სამყარო. დღეს კი რეალურად უფლის შუქი ადამის შეცოდების მერე შეკვეცილია ზემოთა სულიერ ცებში, რადგან ცოდვილები ვერ გავუძლებთ მათ.

უდაბნოს თაობამ როცა თორით ცხოვრება აღიარა, ეს შუქი ჩამოსული იყო დედამიწაზე სრულად და ასე მიიღეს მარადისობა. მაგრამ, შეცოდების მერე იგი ისევ ზევით ავიდა. ხოლო დღეს ამ თაობის დაბადებით ეს შუქი კვლავ ძლიერდება. საქმე ისაა, რომ მათი გამრავლებით განიწმინდა ზეცა კერპთაყვანისმცემელთა აურისგან და 1990 წლიდან დაიწყო მატება სულიერი შუქის ჩამოსვლამ.

ჩვენშიც აღდგენას იწყებს ტრადიციული კეთილშობილური სულიერ-გენეტიკური თვისებები ქართველი ერისა. ხალხი დაუბრუნდა თაყის რწმენის წყაროს და ზეცაც იწმინდება უზნეო აურისაგან. განსაკუთრებით ბოლო 27 წელიწადში 1990 წლიდან. და რომ დროის დაჩქარება ხილულად ჩანს მარტო ისრაელში და იბერია-კავკასიაში, ეს იმიტომ, რომ იბერთა სულები უფლის ტახტის სიახლოვიდან იღებენ სათაყეს. რადგან, ჩვენი სახელები თორიდან გამომდინარეა. ხოლო სხვა ერები, რომელნიც არ მეტყველებენ უფლის ენებით, მათი სულები მეტად დაბალი სამყაროებიდან ეშვებიან. შედეგად, სიტყვა ჩვენი, ჩვენი ქმედების ამსახველი, თორიდან გამომდინარე, მიილტვის ზეცაში, შეერწყას შემოქმედის ტახტს.

ამავე დროს, ისიც ცნობილია, რომ ადამიანის სული ანგელოზზე დიდია და თვით ადამი იმიტომ ჭვრეტდა სამყაროს, რომ ასე მისი სულით შერწყმული იყო უფლის ტახტთან. ხოლო უფალს არ უჭირს ისე დააპატარაოს სული, რომ ის აღმოჩნდეს ტანში. ისე, როგორც მისი შეხინა, რომელიც სამყაროს ანათებს, იყო კიდობანში დაეანებული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწაზე ჩამოდის მხოლოდ სულის ქვედა ნაწილი და ის 248 და 365 ანუ ადამიანის ორგანოთა და სახსართა რაოდენობის, ძაფით შერწყმულია სულთან, რომელიც ზეცაშია. ჩვენი კეთილი ქმედებით, სიტყვით კი კეთილი ანგელოზნი იბადებიან და ისინი სიხარულით მიპყვებიან ყოველი ჩვენგანის სიტყვას, როცა ჩვენ ვქმედებთ თორით და ვადიდებთ უფალს. გავიხსენოთ ფსალმუნი 19.3.: „დღე დღეს გადასცემს სიტყვას, ღამე კი ღამეს უმხელს აზრს“. 19.4: „არც მთქმელია და არც ნათქვამი, სადაც მათი ხმა არ ისმოდეს“. 19.5: „მთელი დედამიწის ზურგზე გადოს მათი ხაზი და მსოფლიოს კიდეებამდე არწევს მათი სიტყვები; მზეს დაუდგა კარავი მათში“. 19.6: „და ის, ვითარცა ნეფე, გამოდის საქორწინო გავალაკავიდან; იხარებს ვითარცა გმირი, გარბენას გზისას“. 19.8: „რჯული უფლისა სრულყოფილია, სულს განამტკიცებს; ცნება უფლისა ჭეშმარიტია, გააბრძნობს გულბრყვილობებს“.

ვიმეორებთ, ყოველი ჩვენი ნათქვამი აღირიცხება, არცერთი სიტყვა არ იკარგება და ვაი იმათ, ვინც ავ- და და ბილწსიტყვაობს. ხოლო იბერთა – მორწმუნეთა ლაპარაკი სამივე რელიგიისა თორის არსიდან გამომდინარეა და ადის ზევით უფალთან.

ასე ხდება სულიერი შუქის მატება როგორც ამ ცათა, ასევე მზისა და ამიტომაც წერია „ის მზე, ვითარცა გმირი, იხარებს გარბენას გზისას“. ანუ მანძილი, გასავლელი უფალთან შერწყმისა მცირდება, რამეთუ სულიერი შუქის მატების შედეგად ყოველივე მატერიალური სულიერდება, რაც განაპირობებს ზეცისა და დედამიწის შერწყმას. ასე

ჩვენი ქმედებით ნელ-ნელა მცირდება მანძილი, გასაყლელი უფალთან შერწყმის და ამიტომაც არის, რომ დღეს დრო ასე ჩქარა გადის და ჩვენ კი ვერ აღვიქვამთ.

ხოლო არაიბერთა აზროვნება მხოლოდ იმითაა სრულყოფილი, რომ ეჭვი აღარ ეპარებათ ღმერთის არსებობაში. ამიტომაც აქვთ მისი შიში და ზეცაც იწმინდება მათი ადრინდელი საპირისპირო მსჯელობის უარყოფითი აურისაგან. ეს დადებითი მოვლენაა,

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ჩვენი კეთილი ქმედებით აქ, დედამიწაზე, ჩვენი სულები ნათდება და მათი ნათება ჩირაღდანივითაა, რომელსაც ჭვრეტენ ანგელოზები ზეციდან. ასევე ნათდება ჩვენი სულის ნაწილი, მყოფი ზეცაში. ამდენად, თანდათან იბადებიან, მრავლდებიან იბერიელთა სულები, ერთგული უფლისა, და როცა ისინი მიაღწევენ 600.000-ს, მაშინ გამოვლინდება მესიაც და შერწყმულნი ვიქნებით უფალთან სულიერი ნეტარებით.

ცნობილია, რომ მესიის ერაში მესიის გამოვლინებისას მთვარის შუქი მიუახლოვდება მზისას, ხოლო მზის შუქის სიმხურვალე გაიზრდება 7-ჯერ. და დღეს თუ გავიხსნებთ ძველ დროს, მთვარის შუქის სიძლიერე თუ ოდნავაა მომატებული, მზის შუქის მატება გამოკვეთილად ჩანს. დასტურად, დაახლოებით 30 წლის წინათ, ზღვაზე ყოფნისას, თავისუფლად ვჭერეტდით, როგორ ჩადიოდა მზე, დღეს კი ეს შეუძლებელია, რამეთუ ისეა მომატებული მზის შუქი, ისეთია მისი ნათება, როგორც მაშინ მზის ზენიტში ყოფნისას.

ამავე დროს, ცნობილია, რომ ცხოველები ყველაზე უფრო გრძნობენ ადამიანთა შინაგან სულიერ სამყაროს. და როცა ჩვენ ადრე ვუახლოვდებოდით მტრედებს ან ჩიტებს, ისინი უმალ ფრინდებოდნენ, ახლა კი გვენდობიან. და ეს ნდობა იმდენად დიდია, რომ ადრე ვერც ერთ გვრიტს ვერ ნახავდით, ხოლო ამ ბოლო 27 წელიწადში გვრიტების რაოდენობამ მტრედებისას გადააჭარბა.

ეს პროცესი კლიმატის შეცვლასთანაცაა დაკავშირებული, რაც აშკარად ჩანს შემდეგში: თუ გაზაფხულზე ადრე პეპლები მრავლობდნენ, ახლა არც გაზაფხულია და აღარც პეპლები. სულიერი შუქით იწმინდება სამყარო, ისპობა სიბინძურე და ბუნებრივი სახეებიც მათი გადამუშავებისათვის. აშკარად ვხედავთ, როგორც ტაძარში, იქ სადაც საქონელი იკვლებოდა, ვერცერთ ბუსს ვერ ნახავდით, რადგან ჩამოსული იყო სულიერი შუქი. ახლაც ჩვენში, სულიერი შუქის მატებით, საგრძნობლად შემცირებულია ბუზების, მწერების რაოდენობა; მასიურად შეინიშნება ხეების გახმობაც. ამის დასტურად, როგორც თორიდან ვრწმუნდებით, უდაბნოდან გამოსვლისას არ არსებობდა გაზაფხული და შემოდგომა, ასევეა ჩვენშიც, თითქმის უკვე წაშლილია ეს ორი დრო.

დღეს იკვეთება ორი ეტაპი ჩვენი — იბერთა — გამოცდისა: პირველია ჩვენი გენეტიკური კოდის სიძლიერე და მისწრაფებაა, რომ აღვიდგინოთ წინაპართა სულიერი თვისებები, ამ გამოცდის პირველ ეტაპზე, როგორც ვხედავთ, ბევრმა, რომლებმაც, ეტყობა, ჯერ ვერ იყვნენ შემდგარნი მეფედ-იბერად, დაკარგა აზროვნება უფლის მიერ მიცემული ენებით. მათ მათი მეტყველებით ინდოევროპულ ენებზე დაკარგეს სულიერებაც და ზნეობრივი თვისებებიც ქართველი ერისა.

და ნუ ჰგონიათ მათ, ვინც დაკარგა ენა, ზნეობა, სულიერება, ისინი ცოცხლებში არიან ჩაწერილნი, რამეთუ მათი სხეულის ყოველ ორგანოში შთენილია უფლის ოთხასოიანი სახელი, რომელიც უგულებელყოფილია.

ამიტომაც ასეთი ადამიანის თითქმის მთელი სხეული დაავადებულია და აქვთ დეპრესიები. სანამ დროა, მათ უნდა მიბაძონ პირველ ეტაპზე მყოფ იბერებს, ისინი ძირითადად დღეს დაბადებული უდაბნოს თაობაა, რომელთაც აქვთ უფლის სმენის მახსოვრობა. ამდენად, ჩვენ ავხსენით, რომ ებრაელებივით სამი თაობის განმავლობაში ვიყავით ტყვეობაში (იხ. მე-3 ნაშრომი) და უფალი იძახის, მესამე-მეოთხე თაობას მოგკითხავო, ანუ ყველას მოეკითხება, ვინც არ მეტყველებს უფლის ენებით.

შედეგად, აინშტაინის და სხვა კანონები ცოდვის ნაყოფია, როცა შეიქმნა მატერიალური სამყარო, ანუ დავცილდით ჩვენი მარადიული არსებობის პირველწყაროს, უფლის შუქს და, ფაქტიურად, ვიქეცით იმ მატერიად, რომელიც დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს, ბერდება, კვდება და სხვა ფორმაში გარდაისახება. ამდენად, ამ შემთხვევაში სატანის სურვილით ყოველი დროებითი დრო ესაა დრო ჩვენი უზნეობისა და სიკვდილისა, ხოლო დრო სიცოცხლისა — ეს უფალთან შერწყმის დროა, როცა გქმედებთ თორით — ღვთიური სულით გასულიერებულია სხეული და შერწყმულნი ვართ იმ მარადისობასთან, რაც უფალია, ვისი შუქითაც მარადიულად არსებობს მთელი ჩვენი სხეული და ჩვენ მასთან შერწყმისას აღარა გვაქვს მანძილი გასავლელი.

ამდენად, ჩვენი მარადისობის კანონია: თორის სწავლით შემოდის ჩვენში უფლის შუქი — ხოხმა, ვაბინავებთ ამ სიბრძნეს უფლის შეხინის განმარტებით და მუდმივად ვქმედებთ ჭკუით — დაყათით, რაც მარადიული ნეტარებით უფალთან შერწყმის საფუძველია, რამეთუ თორის სიბრძნე ამოუწურავია, როგორც ჭის წყალი.

ზოგი წმინდანი ამ ხედვას დღეს, როცა ჩამოსულია უფლის სულიერი შუქი, როცა დახუჭავს თვალებს, ძილის გარეშეც ავითარებს. ამდენად, დღეს, დედამიწაზე უფლის შუქის გაძლიერებით მცირდება მანძილი მასთან შერწყმისა და დრო დაახლოებით ორჯერ სწრაფად გადის. ამიტომ ბოლო 27 წელიწად'ში სიცოცხლის ხანგრძლიობა იყო არა 27 წელი, არამედ დაახლოებით 12 წელი. აქედანაა, რომ წლების მატება გადაცილებულია 60-წლიან ზღვარს და დღეს მომრაელდნენ 80-100-წლიანები.

ხოლო როცა სრულად ჩამოვა უფლის სულიერი შუქი, ანუ გაერთიანდება ცა და დედამიწა, მაშინ, როგორც ითქვა, ჩვენი სული შეერწყება ზეცისას და ჩვენი ხედვა ადამიეით იქნება ხედვა მთლიანი სამყაროსი. ასე ვიქნებით უფალთან შერწყმულნი და დროებითი დრო, ანუ დრო კელავ სიკვდილის მანძილის გასავლელად აღარ დაგვჭირდება. აი, რას ნიშნავს ღვთიური სულის თვალებით ხედვით უფალთან შერწყმის არსი. ამგვარად, ჩვენ არავის დასჯა არ გვსურს და, რომ ყველა მოეგონს გონს, მიგვაჩნია, ავხსნათ, როგორ მოხდება რუსთველით მათი დასჯა, ვინც ვერ მოეგებიან.

რუსთველით გადმოცემული ქაჯების დასჯა უფლით

როგორ მოხდება ინდოევროპული მოდგმის ქაჯების დასჯა, ჯერ მათი დასნეულებით ასეთი შუქის ჩამოსვლისას, ამას გადმოგვცემს რუსთველი, როცა 300 კაცით 3 რელიგიის წარმომადგენლები იბერიული მოდგმისა მიიღტვიან ქაჯეთის ციხის ასაღებად. და რომ ეს ძირითადად ხდება უფლით, რუსთველი ასე გადმოგვცემს:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა;
კრონოსს წყრომით შემხედვარმან მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვალე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა."

აი, ამდენ ხალხთა სიკვდილი, რომელსაც „ველნი ვერ დაიტევენ", არ სურს უფალს და ამიტომაც იწერება ეს სტროფი.

ასტროლოგიით ცნობილია, კრონოსი მატერიალურ პლანეტათა შორის მეშვიდეა, და იგი სულიერ პლანეტებთან ყველაზე ახლოა. წმინდა ენაზე მისი სახელი შაფთაია, რომელიც, ამ სახელიდან გამომდინარე, იმ ხალხთა დამსჯელია, რომელნიც ხელს უშლიან ებრაელებს, რომ დაიცვან შაბათი — რჯული. აქედანაა, რიგ ქვეყნებში, საიდანაც ამ დევნათა გამო თითქმის სრულად გავიდნენ ებრაელები, დაწყებულია საშინელი სტიქიური მოვლენები, რამეთუ, იქ არაა თორის სწავლება და კავშირი უფალთან.

ამერიკაში 4-ჯერ შემცირდა ებრაელთა რაოდენობა და ასეთ რეგიონებში მუდმივად საშინელი სტიქიებია. უფრო მეტიც, როგორც ითქვა, როცა ამერიკელები პალესტინის სასიკეთოდ წყვეტენ საკითხებს, მაშინ მათ ატყდებათ დამანგრეველი სტიქიური მოვლენები. დღეს უკვე ყველა ნიშანია, რომ მალე გაერთიანდებიან იბერიულ მეფეთა მოდგმის სამივე რელიგიის წარმომადგენლები, რომელთათვის უფლის შუქის ჩამოსვლა იქნება ნეტარება-ჰარმონია. ხოლო იმ ქაჯთათვის, ვინც ვერ მოეგებიან გონს, ეს იქნება სიკვდილი. ახლა, ვთქვათ, როგორ იქნება ხსნა.

დროა, ის ქაჯები, რომლებიც ერთმანეთის რჯულს დევნიან, დაპირისპირება აქვთ, დროზე მოეგონ გონს. გავიხსენოთ, მესია ტარიელი სამ ძმას, სამი რელიგიის წარმომადგენლებს დაპირისპირებათა გამო გალახავს. ხოლო ავთანდილი, როცა შეეყრება ამ გალახულთ და მგლოვიარეებს, დააწყნარებს, თავიანთ ადგილს მიუჩენს.

შემდეგ, ტარიელთან შეხვედრისას, ისახება გეგმაც ავთანდილის თორით განათლების მერე, როგორ იქნება ხსნა სამყაროში ორი ძმის სულიერი ერთობით.

ამიტომ დღევანდელ დღეზე წერს სოლომონი თავის „ქებათა ქებაში": „ვინ გაქცევს ჩემ ძმად, დედაჩემის ძუძუნაწოვად, გარეთ გიპოვნიდი, გაკოცებდი და არ გამკიცხავდნენ! წაგიძღვებოდი, დედაჩემის, ჩემი აღმზრდელის სახლში, შეგიყვანდი, სურნელოვანი ღვინის — ჩემი ბროწეულის წვენს შეგასმევდი". აქ სიტყვა „ძუძუნაწოვად" გვეუბნება, რომ ეს ორი ერი მუდმივად დასაბამიდან არიან ერთი სულიერი ძუძუს მწოველები უფლის შეხვედრისა — დიდი დედისა და აქ არის არსიც სამყაროს ხსნისა ნაკლები მსხვერპლით.

ანუ დღეს ისრაელს და საქართველოს ძალით ახევენ თავიანთ უზნეო ცხოვრების წესს, ხოლო უფლის შუქი, მათი სულიერებიდან გენეტიკიდან გამომდინარე, მაინც ჩამოდის, და როცა მიიღწევა, რომ დაიბადება 600.000 ისრაელი და ქართველი, მაშინ მოხდება გაერთიანება იბერთა სამივე რელიგიის წარმომადგენელთა და იმ ქაჯთა სიკვდილი სულიერი შუქის ჩამოსვლით, ვინც დევნიდა იბერთა-ისრაელთა-ქართველთა სულიერებას, ანუ ვინც გვიშლიდა ხელს ასე დაიხსნება შეხინა ნესტანი იმ ქვეყნებიდან, სადაც იგი ქაჯთა ტყვეობაში იყო, მარცხდება ქაჯური აზროვნება, და რომ ეს მზის სულიერი შუქის გაძლიერებით მოხდება, ამასაც გადმოგვცემს რუსთველი:

მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი.
მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა,
ორნივე ერთგან უბნობდეს ამოთა საუბნარითა.

ამდენად, წარსდგნენ მზის, მათი მეშველის წინაშე, როგორც მოხმობილნი, რამეთუ ეს უფლით მოხდა – მზის შუქის გაძლიერება. და ეს მზის შველაცაა, რადგან იგი უკვე სრულყოფილად ანათებდა სამყაროს. აღარ იკვეცება მისი შუქი ცებში იმის გამო, რომ უზნეო ადამიანები, ქაჯები, ვერ გაუძლებენ მის ნათებას. ამდენად, აქ ის პროცესია მოთხრობილი, რომ მესიის გამოვლინებისას მზის შუქი გაიზრდება 7-ჯერ.

შემდეგ კი სულიერი შუქის ჩამოსვლით, ვიცით, ქაჯების ტყვეობიდან დახსნილი ნესტანი შეუღლდება სულიერი ქორწილით მესია ტარიელთან. ამის მერე ისინი შემოდიან იბერია-კავკასიაში, რათა ავთანდილიც შეუღლდეს შეხინა თინათინთან. მაშინ იბერიაშიც, რა თქმა უნდა, ჩამოვა დიდი სულიერი შუქი, რომელსაც უზნეონი ვერ გაუძლებენ და გადმოგვცემს სოლომონი ნესტანის სიტყვებს:

„პატარა დაი გვყავს ჩვენ, მას კი ძუძუნი არა აქვს, რა ვუყოთ ჩვენ დას იმ დღეს, როცა დაუდგება გათხოვების ჟამი? ზღუდე რომ იყოს, ვერცხლის კოშკს ავაშენებდით მასზე. კარი რომ იყოს – „კედრის ფილებით გადავრაზადით. მე ზღუდე ვარ და ვით კოშკია ძუძუნი ჩემი. აწ კი მის თვალში მშვიდობის წყაროდ გადავიქცევი“. ამდენად, რაკი იგი უკვე შეუღლდა მესია ტარიელთან სულიერი ქორწილით, მას გაზრდილი აქვს სულიერი ძუძუები.

ამიტომ, უფლის შეხინა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს და უზნეონი გავიდნენ ქვეყნიდან. რადგან თინათინის ავთანდილთან სულიერი ქორწინების მერე სულიერი ძუძუების გაზრდა ნიშნავს, რომ ჩამოვა უფლის უდიდესი სულიერი შუქი, რომელსაც უზნეონი ვერ გაუძლებენ.

უფლის შეხინა ხომ ყოვლისშემძლეა, ამიტომ იძახის ნესტანი, რომ იგი ზღუდეცაა და კოშკივით იქნება მის ძუძუთა ნათება. შედეგად, გავლენ უზნეონი და ამ კოშკის კარებში ვერავინ ვერ შემოვა. ასე გადაიქცევა მშვიდობის წყაროდ უფლის თვალში.

ახლა გავიხსენოთ, 1.6.1.2. თავი. იქ ნათქვამია, რომ ხუთი სულიერი დედაა და მათგან სამთან: იბერიელ ქალებთან, ენასთან, თორასთან შეუღლებული ვართ. ამავე დროს, უფლის ორ შეხინასთან, რუსთველით თინათინთან და ნესტანთან. შესაბამისად, დედა და წმინდა ერები დანიშნულები ვართ ისევე, როგორც დედა და წმინდა მიწასთან.

ხოლო როცა დაექორწინდებით ორივე ერი: ჯერ ტარიელი ისრაელი ერის სახეში ნესტანთან, შემდეგ ავთანდილი იბერთა ერის სახეში თინათინთან, იქნება აგრეთვე ქორწილი ჯერ დედა ერისა იბერიაში დედა მიწასთან. ანუ სულიერი შუქის ჩამოსვლით, შეხინასთან ქორწილის მერე, ამ მიწაზე მხოლოდ იბერ-ისრაელნი გამრავლდებიან. სხვები, უბრალოდ, ვერ გაუძლებენ ამ შუქს.

საქმე ისაა, რომ როცა ჩვენ ვმეტყველებთ უფლის ენებით, არ ვბილწსიტყვაობთ, აგრეთვე გაბათილებულია ჩვენში შური და სიამაყე, არ ვიტყუებით ქვეტექსტებშიც, ჩვენთან კავშირშია უფლის შეხინა და სიტყვა ჩვენი ერწყმება შემოქმედს. ასეთ მაღალ სულიერ დონეზე ყოფნა დამახასიათებელი იყო ჩვენთვის ჩვენი ცხოვრების წესით, სანამ რუსეთს შევუერთდებოდით. ხოლო ინდოევროპული ენებით მეტყველებისას მათი ენა ჯერ უკავშირდება მათ მფარველ ანგელოზს. და თუ ეს მეტყველება სრულყოფილია, როგორც იბერთა, ამავე დროს ისინი არ არიან განმსჭვალულნი უარყოფითად იბერიელთა-ებრაელთა-კავკასიელთა მიმართ, მაშინ მათი აზროვნებაც ადის უფალთან. მაგრამ ინდოევროპული ენებზე მეტყველნი ერთეულნი თუ აღწევენ ასეთ დონეს. ხოლო ქაჯებში, რომლებიც, რუსთველით, დაიხოცებიან, იგულისხმებიან ის ინდოევროპული მოდგმის ხალხები, რომელნიც დევნიდნენ ებრაელებს და ქართველებს. და მხოლოდ კეთილგანწყობილებთან მოხდება იბერიული ცხოვრების წესის დანერგვა სამი გმირის,

ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის ხელმძღვანელობით. ასე გასულიერდება სამყაროს სხვა ხალხები და ტერიტორიები, შემდეგ შედიან ისრაელში და იქნება სულიერი ქორწილი წმინდა მიწასთან, საიდანაც იქნება უფლის მეფობა მთელ სამყაროში.

ამ ნაშრომს მიტომაც ვაქვეყნებთ. სანამ დროა, ყველამ, სამყაროს ხალხებმა, უნდა შეუწყონ ხელი იბერიელ-კავკასიელებს, რომ აღადგინონ ის სულიერი ცხოვრების წესი, რომელსაც მესიის მეთაურობით დანერგავენ სამივე გმირი, იბერიული წარმოშობის სამი რელიგიის წარმომადგენლები — ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, და აღსრულდება წინასწარმეტყველება საკვირაო კალენდრისა ერთშაბათიდან შაბათამდე, ანუ პარასკევი, მე-6 დღე, რომლითაც განისაზღვრება ადამიანთა მე-6 დღის ქმნადობის 6.000 წელი. ეს დრო უკვე იწურება. ასე გასულიერდება მატერიალური სამყარო და პარასკევი გახდება ექვსშაბათი. შემდეგ იქნება შაბათი, ანუ სამოთხე ქვეყანა შეიქნება, რაც ჩანს ასომთავრულ ანბანშიც, იქ 30-ე „ძილ“ ასო-ნიშანია და როცა აღდგება მთვარის კალენდრის ნაცვლად მზის კალენდარი, სადაც 29,5-დღიანი თვეების ნაცვლად 30-დღიანი თვეები იქნება, მაშინ გადავალთ 30-ე „ძილ“ ასო-ნიშანს, შედეგად, 31-37-მდე შვიდი დღე ყოველი დღე იქნება შაბათისა, სამოთხისა, რამეთუ 31-ე „წილ“ ასო-ნიშნით წილობრივად ანუ თანაბრად გაყოფით იქნება ყველაფერი და 37-ე ასო-ნიშანიც თავისი სტრუქტურით გადმოგვცემს (ტ) როგორაა გასულიერებული ზედა სამყაროს ანალოგიურად, ქვედა, მატერიალური ცა.

და ბოლოს, როგორც ითქვა, შემდეგი ეტაპი, მხოლოდ ერთი დღის, შაბათის ანუ სამოთხის შექმნაა, როცა უფლის სულიერი შუქით განათდება მთლიანად მატერიალური სამყარო ისე, როგორც შეცოდებამდე იყო. ანუ დრო, როგორც კატეგორია, გაქრება, რადგან ვიქნებით უფალთან შერწყმული და მანძილი გასაველელი აღარ დაგვჭირდება. ჩვენი მზერა იქნება ღვთიური სულის თვალებით, რომელიც შეხინასთანაა შერწყმული. ასე დადგება სიცოცხლის სულიერების მარადიული დრო. მისი გამგებლობაა ყოველგვარ მატერიალურზე.

შედეგად, მთვარე აღარ შეება შურის გამო მზის დროში, იგი გაანათებს მხოლოდ ღამით, მზე კი — მხოლოდ დღისით. რაც ასევე აქვს რუსთველს გადმოცემული: „ნახეს. მზისა შესახვედრად გამოეშვა მთვარე გეელსა“. ანუ როცა მზე დაამთავრებს ნათებას. მერე მთვარე გააგრძელებს მისი შუქით ნათებას. და ასე მუდმივად შეეყრებიან ისინი ერთმანეთს. ასე გავრცელდება სულიერი შუქი მთელ სამყაროში.

ამდენად, როცა ჩვენი სხეულის გასულიერების პარალელურად გაიზრდება თანდათან მზის შუქი 7-ჯერ და დრო სრულიად გაქრება, გასულიერდება ჩვენი მატერიალური სხეულიც, რაც სრულიად განკურნავს ადამიანს, გააქრობს დაავადებებს. იქნება მარადიული სიცოცხლე, დედამიწაზე მუდმივი გაზაფხულივით ამინდი. ეს მალე მოხდება, როცა სრულად დაიბადება უდაბნოს თაობა.

რომ არ აღსრულდეს სამყაროს უზარმაზარი რაოდენობის ხალხთა სიკვდილი ყველამ მიიღოს მარადისობა, აუცილებელია, ხილულად გადმოიცეს ის ნეტარების წუთები, რაზეც ვსაუბრობთ, აგრეთვე გაფართოებულად აიხსნას თორის მრავალი სასწაული საიდუმლოება, რომლებიც 216-ია „ქებათა ქებაში“.

ამიტომ საშურია, შეიქმნას ფილმი თორისა და „ქებათა ქების“ ახსნისა „ვეფხისტყაოსნით“. ასე, თვალსაჩინო მასალის შეცნობით, ჩვენ ნათლად დავინახავთ, რომ ყველა ვართ სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე. წამებია დათვლილი ყველასთვის, რომ მოეგონ გონს და ყველამ ხელი შევუწყოთ ორივე მიმართულებას იბერთა მოდგმისა — ისრაელებს და ქართველებს-კავკასიელებს, რომ შეასრულონ თავიანთი ისტორიული მისია, განზრახული უფლის მიერ, მხსნელის მოვლინებისა, სამყაროში მარადიული ნეტარებით ცხოვრებისათვის.

დროა, რომ შეიცვალოს ყველა ჩვენგანის ტანჯვა-წამება ჩვენივე დამსახურებით, თორის სწავლით და უფალთან შერწყმით მარადიული ნეტარებისაკენ, სიყვარულისაკენ. ასეთი მარადიული სულიერი დრო ჩვენ ნაწინასწარმეტყველები გვაქვს ათელის სისტემაში, რაც ახსნილია ჩვენს ნაშრომებში.

ითქვა, დედა ენაშია თორის 70 საიდუმლოთა ამხსნელი მრავალი სიტყვა. ჩვენ მოკლედ ვთქვათ მათზე. სიტყვა „წელი-წადი“ გვეუბნება, რომ იგი წავა, გაქრება. ასევე გაქრება წამებიც, იგივე წამება.

სწორედ ეს ქართული სიტყვა აქვს ახსნილი თორის უდიდეს კომენტატორს, მაჰარალს პრაღიდან, რომ დროის არსებობა — ეს წამებაა ჩვენი, და წამებით დროის უცბად გალევას აღნიშნავს მეორე ქართული სიტყვა „წუთისოფელი“, ანუ წუთია

სოფელი, ისე ჩქარა გადის დღეს სიცოცხლის წლები, როგორც გადმოგვცემს მამათა შეგონების წიგნი. უფალი წარმოუდგენლად დარდობს თავის შვილებზე და ყოველდღე გამოდის ზეციდან მისი ხმა: „ოი, მათ, ვინც თორას არ სწავლობს!“ ასეთი ფილმი მიტომაცაა აუცილებელი, რომ ის ხალხი, ვინც იღვწის ისრაელის-იბერიის წინააღმდეგ, მოეგონ გონს და პირიქით, ხელი შეუწყონ მათი სულიერი ცხოვრების წესის აღდგენას.

რამეთუ დღეისათვის ერთი პირობა იქნება, 90 წელს და მეტ ზღვარს მიაღწევენ მხოლოდ ღირსეულნი, ვინც ინანიებს ცოდვებს და ცდილობს, იცხოვროს თორით. შემდეგ კი მათ, ვინც სრულიად გაასულიერებენ სხეულს, არც წვალება და დაავადებები ექნებათ. ასე დამთავრდება 6000 წელი ქმნადობისა, რამეთუ ყოველი წვალების სასრული გამოსწორება ცოდვისა უფალთან შერწყმაა. და ამის საფუძველი უნდა გახდეს ყოველი წყვილის შერწყმა.

ეს კარგად ჩანს ორივე ნაწარმოებში, როცა სამი გმირის, სამი რელიგიის იბერიული წარმოშობის ლიდერთა ხელმძღვანელობით გაასულიერებენ მთელ სამყაროს მარადიული ნეტარების შუქით. აი, რატომაა, რომ ეს ღვთით კურთხეული ორივე ნაწარმოები იწვევს სასწაულ ჰარმონიას სულისა და სხეულისა, როცა ვეცნობით მათ.

აი, კიდევ რატომ იყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ყველა ქართველმა ზეპირად იცოდა. რომელიც, თორასთან ერთად, მზითვის წიგნი იყო.

ქართულად სიტყვა ადამი-ან-ი სამყაროს ისტორიას გადმოგვცემს

ახლა უფრო სრულყოფილად განვმარტოთ, რას ნიშნავს დედა ენაზე სიტყვა „ადამი-ან-ი. ამ სიტყვაში მთლიანი სამყაროს ისტორიაა მესიის გამოვლინების ჩათვლით. დავიწყოთ იმით, რომ „ადამა“ წმინდა ენაზე – ეს „მიწაა“, ხოლო პირველ ადამიანს, აქედან გამომდინარე, დაერქვა ადამი, „მიწიერი“. ამავე დროს მისი სული, რომელიც შთაბერა უფალმა მის სხეულში, ადამის სახელიდან გამომდინარე, შედგება წმინდა ენაზე შემდეგი სამი ასო-ნიშნისგან: „ალეფი“, „დალეთი“ და „მემი“. თვით ადამი, ამ ასო-ნიშნების არსიდან გამომდინარე, უნდა ყოფილიყო მიახლოებული სიბრძნით, თვისებებით შემოქმედთან.

მაგრამ რახან შესცოდა, ჩვენი გაგებით, ადამს ამ სამი ასოდან შეცოდების მერე მიეკუთვნა მხოლოდ „ალეფი“. ეს გამომდინარეობს შემდეგიდან: მისი სახელის პირველი ასო სათავო ასოა „ალეფი“. ასევე ვიცით, „ალეფ“-ის ჰემატრია 1-ია და იგი შედგება ორი „იოდ“-ისაგან, რომელნიც განასახიერებენ წყაროს ყოფიერებისა ყოველივე არსებობისათვის. ამავე დროს „იოდ“-ი 10 მცნების, თორის სიმბოლოცაა, რისი გეგმით, სიბრძნის შუქით შექმნა უფალმა სამყარო. და რაკიღა ადამს მიეკუთვნა „ალეფი“, თვით ადამიც, უფლის ნებით, ამ ასო-ნიშნიდან გამომდინარე, იდებს თავის ძალიან პატარა წილს თორის ჩამოყალიბებაში. რაც გამოიხატება მასში, რომ დაარქვა სახელები ცხოველებს, მათი ფუნქციური თვისებებიდან გამომდინარე, და თორაშიც ისინი ამ სახელებით არიან წარმოჩენილნი.

ამდენად, ადამმა ზედმიწევნით კარგად იცოდა წმინდა ენის კაბალისტური საიდუმლოება, ასო-ნიშანთა თვისებანი. ადამს თავი რომ დამცირებულად არ ეგრძნო, იგი უფალმა მონაწილე გახადა მისი თორის შექმნაში. მასში იყო ჩადებული აგრეთვე პოტენცია ქმნადობისა, რამეთუ ჩვენს მიერ აღნიშნული უფლის ოთხასოიანი სახელის ასოთა ჰემატრიათა ჯამი, რომლის არსითაც მიდიოდა ქმნადობა, 26-ის ტოლია. ასევე, „ალეფ“-ში შემავალ სამ ასოთა ჰემატრიათა ჯამი უდრის 26-ს.

მაგრამ, როგორც ვიცით, ადამში წარმოჩნდა სიამაყე და ამიტომ ის ვერ გახდა მესია, სულიერი წინამძღოლი იბერთა-მეფეთა-წმინდა ერისა, რისთვისაც, როგორც ითქვა, მათი გამრავლებისათვის ეს 600.000 ნეშამა წინასწარ მასში იყო შთენილი. და შეცოდების მერე ეს ნეშამები გაიფანტა სამყაროში. შემდეგ, უკვე ისრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლისას 600.000 ისრაელის მიერ მოკრეფილი იქნა ეს ნეშამები.

ვიცით, ისრაელ ერში, ნაწინასწარმეტყველები იყო იაკობი-მოშეს მიერ, რომ მესია იუდას შტოდან იქნება. დასტურად, იშვა იუდას შტოდან დავიდი, რომელიც თავმდაბლობის სიმბოლოს განასახიერებს. ჩვენ ეს თავმდაბლობა ავხსენით 1.1. თავში. ამადაც, მეორე ასო „დალეთი“ მიეკუთვნება დავიდს, რამეთუ მისი სახელიც „დალეთით“ (ד) იწყება. და საკვირველია, რომ ეს ასო-ნიშანი არის თავმდაბლობის სიმბოლო.

ამავე დროს, „დალეთის“ რიცხვითი მნიშვნელობა 4-ია, რაც განასახიერებს ოთხ მხარეს სამყაროსი, რაც კარგად ჩანს ასო-ნიშან „დალეთის“ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების კვეთაში. და მეფობდა კიდევაც დავიდი მთელ სამყაროში, მის ოთხივე მხარეს, მისი თავმდაბლობიდან გამომდინარე. აქედან იყო, რომ ეწეოდა

მუდმივად უფალი და მის გვერდში მუდმივად იდგა ქართველი ერი, საქართველო, რომელიც, როგორც ავხსენით, შეერთებულიც იყო ისრაელთან.

„დალეთი“ განასახიერებს აგრეთვე ოთხ სტიქიას, ზედა გრაფიკული ნაკეთი, ხაზი – ეს ცეცხლი და ჰაერია, მაღლა, ზეცისკენ მიმსწრაფველი ხოლო ქვედა ვერტიკალური ნაკვეთი – დაბლა მიმსწრაფველი წყალი და მიწაა.

ხოლო ჰემატრია „მემ“ ასო-ნიშნისა 40-ია, რაც ათჯერ მეტია „დალეთ“-ისაზე. ეს მიუთითებს, რომ „დალეთ“-ში არსებული ოთხი სტიქია მასშიცაა განზოგადებული, ოღონდ თვისებები ამ ოთხი სტიქიისა „დალეთ“-ში მატერიალური მიმართულებითაა; თუნდაც ის ავიღოთ, რომ ცეცხლი და ჰაერი სიამაყის გამო ზევითკენ მიიღეწიან. ხოლო „მემ“-ის შემთხვევაში, ისინი გასულიერებულნი არიან. ეს გამომდინარეობს შემდეგიდან: ანუ, ითქვა, ასო „მემ“ ასახავს „მეტყველების“ კონცეფციას. დააკვირდით, (מ) შედგება ორი ნაწილისაგან: მარჯვენა ნაწილი ჰგავს როგორც „ქაფს“ (כ), ისევე „ბეთს“ (ב) – „შენებისა“ და „პროდუქტიულობის“ სიმბოლოებს, ხოლო მარცხენა ნაწილი „ვაეია“ (ו) – „სიცოცხლის“, „პატიოსნებისა“ და „ღირსების“ განსახიერება. სახელწოდება „მემ“ „ღია“ და „დახურული“ ფორმებით, მიუთითებს „სიტყვაზე“ – ბრძანება-განკარგულებებზე, რომლებითაც გაჩნდა და შეიქმნა სამყარო (იცხაკ კრიხელი).

ამდენად, აქ ჩანს, რომ მესია, უფლის შემცველი დედამიწაზე, მისი პატიოსნებით, აგერთვე უფლისგან მიღებული ცოდნით, ბრძანება-განკარგულებით ქმედებისას ყველა ადადგენს ადამისეულ გასულიერებულ სამყაროს. ანუ აქ ჩნდება ის დასრულებული სამყარო, რომელიც უნდა შექმნილიყო ექვსი დღის ქმნადობის პერიოდში და ადამს უნდა მიეღო თორა, „ალეფ“-ით დაწყებული. რაშიც წარმოუდგენელი სიბრძნეა, რომლისგანაც ჩვენ ძალიან შორსა ვართ დღეს, ამ თორით განათლებიდან გამომდინარე.

ამდენად, ჩვენ თორა მივიღეთ „ბეთ“ (ב) ასო-ნიშნით, იქ სამი მხარეა შეერთებული და მეოთხე მხარე უკვე ჩვენ უნდა ავაშენოთ, ადამის შეცოდების მერე, რასაც განვახორციელებთ, როცა მოვა მესია და ეს ჩანს ასო-ნიშან „მემ“-ში უკვე დაწერილი დახურული ფორმით (ם), იგი ხომ ოთხივე მხარის გასულიერებას აღნიშნავს.

ამგვარად, „მემ“ ასო-ნიშანი – ეს მესიას, ივრითულად მაშიახს განასახიერებს და აქ არის არსი დღევანდელი ეპოქისა, როცა მალე უნდა მოგვეელინოს მესია, ამ მესამე ასო-ნიშნის არსიდან გამომდინარე, ავაშენებთ უფლის სახლს სამყაროში. ამდენად, პირველი ადამიანის სახელშია გაცხადებული აგრეთვე სამყაროს ისტორია, ანბანის ასო-ნიშნების სიბრძნიდან გამომდინარე. ხოლო, როგორც ითქვა, ქართულად ადამის სახელის დაბოლოებაში „ადამი-ანი“-ში, ანუ ანი-ში ასევე ჩანს არსი ადამიანთა ქმედებისა.

ამგვარად, ადამიანები, მიწიერები, „ან“ ანბანის ასოთა სიბრძნის არსით, ასევე „ი“ ასო-ნიშნიდან გამომდინარე, რომლის ჰემატრია 10-ია, იგივე ათი მცნებაა, ამ განათლებით გაასულიერებენ სამყაროს და მარადიულად შეერწყმებიან შემოქმედს. და უფლის ქმნილება მასში შემავალ ასოთა არსით შედგენილია ისე. რომ ის უნდა გახდეს უფალთან მიახლოებული თვისებების. ხოლო სათავე ამ თვისებებისა იწყება უფლის სიბრძნის დაუფლებით. და განსწავლა კიდევაც უფალმა პირველი ადამიანი იმ დონემდე. რომ მან არა მარტო ცხოველებს, თავის თავს დაარქვა მისი რაობის შესატყვისი სახელი – ადამი. ანუ იგი მიწიერი, მხოლოდ თორის და ანბანის შემეცნებით მიიღებდა ისეთ სიბრძნეს, რომ მიახლოებულიყო უფალთან თვისებებით.

ითქვა, შრომა ადამიანისა დაგეგმილი იყო მხოლოდ უფლის თორის სიბრძნეთა შემეცნებისათვის. მაშინ სიტყვა მისი იქნებოდა ისეთი შუქის შემცველი, რომ იმაყოფიერად ავიდოდა უფლის სამეფო ტახტთან და განაპირობებდა სულიერ, აგრეთვე მატერიალურ ცათა ბრუნვას, მათ მუდმივ მოქმედებას – ნეტარებას. **ასე შეიქმნებოდა მარადიული მეფე – გამგებელი სამყაროსი, ნეტარებით მცხოვრები, თანდათან ყველაზე უდიდესი სიამოვნების (სიბრძნის) დაუფლებით. ეს განაპირობებდა ლტოლვას გაცემისაკენ, რითაც ნელ-ნელა გაიზრდებოდა სიყვარული და სხვა დადებითი თვისებანი. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ორი თვისება – თავმდაბლობა და ერთგულება იმ მეფისა, რომელმაც შეგვქმნა, რომ მარადიულად გვემეფა.**

ამდენად, ადამიანი იმიტომ შეიქმნა, რომ მას სურს მისი წარმოუდგენელი დადებითი თვისებები გაავრცელოს – გაამრავლოს სამყაროში. და თუ ადამიანიც ამისკენ დაიწყებს ლტოლვას, მაშინ იქნება უსასრულო გაბრძენება, გაცემა სიყვარული და სულიერი ნეტარება ყველა სხვა დადებით თვისებებთან ერთად. ასე უფლის უსასრულო შუქის დადებითი თვისებები განვითარებას ჰპოვებდა მის ქმნილებებში – შვილებში. და

ადამიანები მუდმივად გახდებოდნენ მადიდებელი უფლისა ასეთი ნეტარებით მარადიულად მეფობისათვის.

ეს ყოველივე მოცემულია 68-ე ფსალმუნში – 33: „ქვეყნიერების სახელმწიფოებო! უმღერეთ ჩვენს ღმერთს, უგალობეთ უფალს, სელა.“ 34: „ამაღლებული პირვანდელ ცებში აგერ ის გამოსცემს თავის ხმით ძლიერების ხმას“. 35: „მიეცით სიძლიერე ღმერთს, მისი სიდიადე ისრაელზეა და მისი სიდიდე – ღრუბლებში“. 36: „საშიში ხარ, ღმერთო, შენს ტაძარში; ღმერთი ისრაელისა – ის აძლევს ძალას და სიმაგრეს ხალხს; კურთხეული არს ღმერთი“.

ამდენად, ღმერთის სიდიადე ისრაელზეა და მისი სიძლიერე – ღრუბლებში. და თუ ჩვენ ვიცლით თორით, შევიყვარებთ ღმერთს თუნდაც ისე, როგორც მშობლები გვიყვარს, რამეთუ ეს მათი სიყვარული ჩვენდამი ჩანერგილია უფლით. და ეს არის უმცირესი ნაწილი ჩვენდამი უფლის სიყვარულისა, რადგან ადამიანს არა აქვს პოტენცია, მისი უსასრულო სიყვარულით იმოქმედოს. შედეგად, ის ღრუბლებიდან მოგვცემს მუდმივად ნამს და სიუხვეს.

ახლა უფლის მიერ ბოძებულ სიწმინდეებზეც ვთქვათ

ჩვენ რომ შეეიძინოთ სიბრძნე, გაცემა სიყვარული, ამას დრო სჭირდება. რადგან უდიდესია ბოროტთა ძალისხმევა და სურთ, ძალდატანებით მივისწრაფოდეთ ჩვენც მათსავით ტანის მიწიერ მოთხოვნებთა დაკმაყოფილებისკენ. და ეს იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც ისრაელს უბოძა უფალმა, ეს ორივე ერის ძალისხმევით მხოლოდ ჩვენ გაგვაჩნია. ამავე დროს, ორ ერშია პოტენცია მათი სრულყოფილად აღდგენისა.

დაიწყოთ იმით, რომ როცა უფლის შეხინა ეშვებოდა დედამიწაზე, და მას მოაცილებდა ეტლებში მსხდომი 22.000 ანგელოზი გაშლილი დროშებით, ამას წინ უძღვოდა ბუკის ხმა. შემდეგ მოგვეცა თორა – ათი მცნება, იქამდე – ანბანი, რომელშიც ჩადებულია უდიდესი სიბრძნე ქმნადობისა, ყველა სულიერ დღესასწაულთა აღნიშვნით მესიის მობრძანებისათვის, მთვარისა და მზის კალენდრის არსი; მოგვეცა ახალი წლის აღნიშვნის დღესასწაული. და ეს ყოველივე ხორციელდებოდა მხოლოდ იბერია-კავკასიაში ისრაელი და ქართველი ერით – რუსეთთან შეერთებამდე. ასე ჩამოყალიბდა აქ სამოთხე ქვეყანა.

დასტურად, იქვა უდაბნოში გადასატანი კიდობნის ტარება, სადაც უფლის შეხინა იყო დავანებული და მის ირგვლივ ყოფნის პატივი ჰქონდათ მხოლოდ ქოენებს. ამ გამორჩეულობისათვის მათ ჰქონდათ სამფეროვანი დროშა. ჩვენც რადგან გენეტიკურად შეხინის ყოფადობისათვის სულიერი ცხოვრების წესის დამცველნი ვართ. ამავე დროს, მის ირგვლივ სულიერ სადარაჯოზე სიყვარულით გაერთიანებულნი ყველა – იბერნი-კავკასიელნი-ქართველნი, ქრისტიანნი, მუსულმანნი და ებრაელნი, მიუხედავად სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა, ამიტომაც გვერგო უდიდესი პატივი მუდმივად გვქონოდა ეს დროშა.

აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილის აზრით, ჩვენი დროშის ძირითადი არსია, შეხინის მეშვეობით, ისეთი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რითაც ჩვენი სამოთხე ქვეყანა და მატერიალური ცანი შეერწყმებოდა სულიერ ცებს, რაც ექვსქიმიანი ვარსკვლავის არსია. ბუკის ხმა – ეს ის სიწმინდის ხმაა, რითაც ვამყარებდით კავშირს შემოქმედთან თორის მცნებათა დაცვით. ამიტომაც ჩვენს აბჯარსაც „თორი“ ერქვა და სულიერების შუქით ისეთ დონეზე ვიყავით გასხივოსნებულნი, ამ რელიკვიების გამოყენებით, რომ ერთი მუჭა ხალხი უამრავ ურდოებს ეუმკლავდებოდით.

ეს შუქი ედგა ჩვენს ღვთითკურთხეულ წინამძღოლებს – ბაგრატიონებს და ამიტომაც იყვნენ ისინი მებრძოლი მეფეები, რომლებიც უცილობლად იგებდნენ თითქმის ყველა ორთაბრძოლას.

დღეს კი ჩვენ იმ სახელმწიფოთა სახე გვინდა მივიღოთ, ვინც ებრძვის ჩვენს სულიერებას, რელიქვიებს. მათ დროშა იმისთვის სჭირდებათ, რომ თითქოს ისინი, მათი პრეზიდენტები არიან ღმერთის შემცველნი დედამიწაზე და ერთმანეთს რომ ხვდებიან, ამ დროშას აფრიალებენ ზევით, ცისკენ. თანაც, ბუკის დაკვრის მაგივრად, რითაც ჩვენ უფალთან ვამყარებთ კავშირს, ისინი თავიანთ გამოგონილ ჰიმნებს აუღერებენ.

და ჩვენც, გარდა იმისა, რომ მივიღეთ მათი – კათოლიკების დროშა, გვაქვს მათი უსახური კალენდარი და ასომთავრული ანბანი, ჩვენი სულიერი სიბრძნის წყაროც აღსადგენია. ამავე დროს უარყოფილი გვაქვს ჩვენი მარადიული კონსტიტუცია – თორა და ამ უსახურ სახელმწიფოთა მსგავსად შედგენილი გვაქვს კონსტიტუცია, რომელიც მუდმივად დავისა და დაპირისპირების საგანია. იმის მაგივრად, რომ, როგორც სხვა

ქვეყნებში, მაგალითად ისრაელში, რომელთა მარადიულ კონსტიტუციად თორაა აღიარებული. იგიც უნდა მოგვემოქმედა ჩვენც. და, თორიდან გამომდინარე, გამოგვეყვანა სათანადო კანონები, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ცხოვრების წესისათვის. მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ვახტანგ VI-ის კანონებით შემონახული გვაქვს. გვქონდა სამეფო დარბაზიც. დღეს კი სულიერი ერთობის მაგივრად იქმნება პარლამენტები, სადაც დაპირისპირება იბუდებს.

მადლობა ღმერთს, რომ ეს ყოველივე ძალითაა ჩვენ თავს მოხვეული. რადგან უფალმა საუკუნეების განმავლობაში რუდუნებით ჩამოაყალიბა მუდმივად უფლისა და მოყვასისათვის თავდადებულთა ჩვენი გენეტიკური კოდი. გვაქვს უფალთან მიახლოებული დადებითი თვისებები. და დღეს ჩვენი გენეტიკური კოდის მოთხოვნილებაა – კივილია იმ სულიერი ცხოვრების წესის აღდგენა, რითაც სამყაროს ხსნაა ნაწინასწარმეტყველები. ამიტომაც ელოდება, როგორც აღვნიშნეთ „ქებათა ქებაში“, სოლომონი, რომ კვლავ ვიქცეთ ძმად ისრაელთა, აღვადგინოთ მათსავით ჩვენი კონსტიტუცია – თორა.

ჩვენ ჩასაცმელს სიკვდილის სუნი ასდის

თუ როგორია დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა, ამის დასტურად მოვიყვანთ შემდეგ იგავს: ფშისხელი რაბი ბონემი გვიამბობს:

ერთმა უფლისწულმა მამის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ბოლოს იგი შეიპყრეს და ქვეყნიდან გააძევეს. გამოხდა ხანი. მამას გული მოულბა, შვილი მოენატრა. ვეზირს უბრძანა, მოეძებნა უფლისწული. გაეშურა ვეზირი,დიდხანს ეძება და ბოლოს მიაგნო ერთ მიყრუებულ ქალაქში, რომელიღაც იაფფასიან სამიკიტნოში მთვრალების წინაშე ცეკვაედა. შეძრწუნდა ვეზირი მის დანახვაზე. ტანსაცმელი შემოფხრეწოდა, ფეხთ არ ეცვა. მეფის წარგზავნილი მიუახლოვდა, მუხლი მოიყარა მის წინაშე და ასე მიმართა:

– მამათქვენმა გაახლათ ჩემი თაეი. მიბრძანეთ, რაც გნებავთ და მივახსენებ მეფეს.

უფლისწული ატირდა. დაირცხვინა, ესღა თქვა:

– ეგებ ახალი ტანისამოსი, უფლისწულს რომ შეეფერება, მიბოძოს მამა-ბატონმა...“

იაფფასიანი სამიკიტნო და მთვრალი ხალხის გარემოცვა – ეს ის ევროპული ცხოვრების წესია, რისკენ მისწრაფებასაც გვიკიჟინებს ჩვენ ყველა პოლიტიკური პარტია და ვერ ვაცნობიერებთ, რომ დღეს ჩვენ ამ მთვრალი, სულიერად გაუნათლებელი, საკუთარ ენას მოწყვეტილი, გარედან უდიდესი ფულით დაფინანსებული, გაბრუებული და უზნეობისკენ მიმსწრაფველი პოლიტიკანების ნამღერზე მოცეკვავე ერად ვიქცეთით. ავუჯანყდით მამა-ბატონს და ჩვენი ტრადიციული ტანსაცმელი როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად, მართლაც შემოხეული გვაქვს. ხოლო ამ გაბრუებული მთვრალი ხალხის დაკრულზე ცეკვას, სიკვდილის სუნი ასდის.

და მადლობა ღმერთს, ამ იგავში უფლისწული ხვდება, როგორ დაეცა და მეფის ტანსაცმელს რომ ითხოვს, აღარ სურს, შიშველი ევროპელივით იცეკვოს სატანის მიერ მოწყობილ ცხოველებივით შიშველ ადამიანთა „ზოოპარკში“. რამეთუ, როგორც დავიდ ბრძანებს 73-ე ფსალმუნში, 20: „როგორც სიზმარი გამოღვიძების შემდეგ, უფალო, ისე დაამცირებ მათ სახეებს, როცა გამოფხიზლდები“; 27: „რამეთუ, აჰა, შენგან განშორებულნი იღუპებიან; შენ მოსპობ ყველას, ვინც განზე განგიდგება.“

აი, ამ დონემდე ვართ დაშვებულნი ჩვენ და დროა, აღვადგინოთ ის სულიერი ცხოვრების წესი, ჩვენი სამოსელი და რელიქვიები, შეხიზნასთან შერწყმით, ის უფლის შუქი, რითაც მუდმივად ვიმარჯვებდით.

დასტურად, გავიხსენოთ ფსალმუნი 27.1: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნა ჩემი, ვის შევუშინდე? უფალი ბურჯია ჩემი სიცოცხლისა, ვისგან შევძრწუნდე?“ 4: ერთს ვთხოვდი უფალს, იმას ვევედრებოდი, იყოს ჩემი ბინა უფლის სახლში ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ვჭვრეტდე უფლის სიმშვენიერეს და მის ტაძარს ვინახულებდე.“

ჩვენ კი ვუგორებთ კოჭს სატანას, „მთვრალ“ ევროპელებს, ფულის გულისათვის, დროებითი დროის გაგრძელებისა და უზნეობის ჭუჭყში ყოფნისათვის. უფალია ჩვენი შუქი და მისითაა ხსნა, ამიტომ უნდა შევიკრათ მთელი ერი, აღვადგინოთ ჩვენი სულიერი ცხოვრების წესი, რომელშიც არ არსებობდა შური, სიამაყე, ტყუილი და სიყვარულით ბუდობდა. შემდეგ შევევედროთ უფალს, რომ კვლავ შეევერწყათ მარადიულად მას მისი შეხიზნით, და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვჭვრეტდეთ უფლის სიმშვენიერეს, აგრეთვე მის ტაძარს სრულიად სამყაროს.

დადგა ჟამი, ყველა შევიდეთ უფლის კიდო-ბან-ში

აქ ჩანს, სად გადის დღეს უკვე მესიის ერაში, ჩვენი სიკვდილ-სიცოცხლის ხაზი. და დროა, ყველამ, ცოდვილმაც და უცოდველმაც, ერთმანეთის მიტევებით, გვერდში დგომით აღვადგინოთ წესი, რითაც უფლის ნეტარების სულიერ შუქში ვიქნებით გახვეულნი. რაც მარადიული სიცოცხლის საწინდარია ჩვენთვის, სამყაროს ყველა დანარჩენი ხალხებისათვის.

დადგა ჟამი, რომ დავუჯეროთ სამყაროში ყველაზე ბრძენს — სოლომონს, ყველაზე ნიჭიერს — შოთას, სულში პამწვდომი ლექსებით თორისა და „ქებათა ქების“ არსი რომ აგვიხსნა, რაც სასწაულ ნეტარებაში გვამყოფებს, არ უნდა განმეორდეს, ნოახს რომ დასცინოდნენ. შვილებიც მოჰყავდათ და აჩვენებდნენ, — აი ეს გიჟი 120 წელი აშენებს მიწაზე კიდობანს და ამბობს, წარღვნა იქნებაო.

დღეს ანალოგიური გამოცდაა ხალხისა, და რომ არ შევცდეთ, ხელისგულზე გვიდევს წარღვნამდელი თაობის გადაშენების ბედი. აგრეთვე დროში გაწელილი, ჩვენი სულიერად გადამრჩენი კიდობანი. იგი უკვე 2000 წელზე მეტია შენდება, მეორე ტაძრის დანგრევის შემდგომ, სულიერ სალოცავთა აგებით, რომელიც დაიწყო ჯერ საქართველოში ისრაელთა და ქართველთა მიერ.

ამ კიდობანში — სალოცავებში, შესულნი არიან უფლის მადიდებელნი, თორის მსწავლელნი, სამივე რელიგიის ჭეშმარიტი მორწმუნენი. ისინი განსხვავდებიან დღევანდელი თაობისგან, და არ არიან ჩათრეულნი სატანის მიერ წარმართულ სასიკვდილო უზნეო, დროებითი დროის, მატერიალური წესის ფერხულში. არ მიიღვწიან უფლის საპირისპიროდ მოქმედ პარლამენტარებად და პრეზიდენტებად დაწინაურებისათვის. რამეთუ მათ შეიცნეს თორით წარმოუდგენელი ნეტარების, იგივე სამოთხეში ყოფნის არსი.

ამავე დროს, სტიქიებით, გამაფრთხილებელი დასჯებით წარღვნისმაგვარი სიკვდილიანობა დაწყებულია და ყოველ წელს მატულობს. როგორც ეგვიპტეში, მხოლოდ უფლის ენებზე მოლაპარაკე, ისრაელთ და ქართველთ, სცილდებათ ეს სიკვდილიანობა. დანარჩენ ხალხებს აქვთ ავადმყოფობები, დეპრესიები. და მალე ჩამოვა ისეთი შუქი, ნათელი თორისა, წყალი-წყალობა, რომ მარადიულ ნეტარებაში და სიუხვე'ში ვიქნებით ყველანი, უფლის სულიერ კიდობანში შესულნი.

ამდენად, მოგვცა უფალმა თორა, დაგვმოძღვრა, მისით იცხოვრეთო, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ ჩვენი სიამაყის გამო. ამიტომ შევქმენით უამრავი ანბანები, თითქოს ჩვენ ვიყოთ ამ ანბანებით — სამყაროს შემქმნელნი. ამისათვის ერთხელ უკვე დაგვამუნჯა უფალმა და გვიბოძა წმინდა ენა, რათა თორა გვესწავლა. მათ კი კვლავ ახალი ანბანები შექმნეს.

იქამდე მოკლედ აგვიხსნა თორის არსი, რომელიც სოლომონმა გადმოგვცა, რათა გველაწა მისით. და არ მოეწონათ, რომ სოლომონი სიბრძნით გამოირჩა ყველასაგან, ძალიან ცუდად მოიხსენიებდნენ. და მხოლოდ, როცა ზეციდან ჩამოვიდა ხმა, „ჩემი შვილიაო იგი“, დადუმდა ყველა.

შემდეგ რუსთველმა მისი შინაარსი, რომ ხალხებს თორით ეცხოვრათ, აამეტყველა-ააჟღერა ნეტარი ჰარმონიის მომტანი „ვეფხისტყაოსნით“. და მაშინვე ჩვენშიც გამოჩნდნენ ე.წ. სულიერი ლიდერნი, რომელნიც ბოროტ ლექსთა პატრონად მოიხსენიებდნენ მას. დღეს კი, ამიტომაც, უფლის შეწევნით და ყველა აქამდე მოღვაწე ქართველთა ძალისხმევით, რომელთაც ოდნავადაც კი უფიქრიათ „ვეფხისტყაოსნის“ ახსნა-განმარტებისათვის, აიხსნა „ვეფხისტყაოსნის“ არსი.

და ვედრებაა, უდიდესი წუხილია უფლისა, რომ ყველა მისი შვილი მოეგოს გონს. ნელ-ნელა შევიდნენ მის სულიერი სამყაროს უდიდეს „კიდობანში“ — სამლოცველო ცენტრებში, რაც მარადიული ნეტარი ცხოვრების, იერუშალაიმში ტაძრის აგების და ისრაელ-იბერია-კავკასიის ტაძრად ქცევის საწინდარი იქნება.

ნუ, ნუ ვიქნებით უგუნურები, საკუთარი სიამაყიდან გამომდინარე, განდიდების, სიკვდილის ფერხულში ჩაფლულნი, ყველამ შევიყვაროთ ერთმანეთი, აღვადგინოთ სულიერი ქართული ცხოვრების წესი ჯერ საქართველოში, მერე — მთელ სამყაროში.

მთელი სამყარო ვაქციოთ ასეთ კიდო-ბანად. ანუ ნელ-ნელა აღვადგინოთ თორის სწავლების, უფლის ქება-დიდების საგალობლები და მათ კიდო-ბან-თა სუფრის წარმართვის წესი. ყველგან იყოს ქართველთა უფლის საგალობელთა გუგუნი და კიდო-ბანი მსოფლიოს ყველა ქვეყნისგან, რაც მარადიულ ნეტარებაში გვამყოფებს. ასე სიხარულით შევერწყმებით უფალს, ჩვენს აღმაფრენას საზღვარი არ ექნება.

და კიდევ ერთი დავიმახსოვროთ ყველამ: უფალმა ასო-ნიშნებში, მათ გრაფიკულ გამოსახულებებში ჩადო უდიდესი შუქი, საიდუმლოება ორი ანბანის – წმინდა და დედა ასომთავრულის. ეს საიდუმლოება, სიბრძნე წმინდა ენისა დედა ენით განიმარტება.

უფალმა შექმნა და გადმოგვცა წმინდა და დედა ენებზე დაწერილი თორა. ამ ორ ენაზე ასწავლიდა მოშე ისრაელთ და იბერთ უდაბნოში თორას. ისინი მოშეს დავალებით გადაწერა ბენ-ნუნმა ორ, დაახლოებით 4 კვ. მეტრის ფართობის მქონე ქვებზე, რომელიც გადაიწერა 70-მა იბერიულმა ეთნოსმა. ამავე დროს, თორა, წმინდა ენაზე დაწერილი – ეს უფლის სახელია. მის შვილთა სახელებიც მისი სახელის – თორის არსიდან გამომდინარე არიან შექმნილნი, რათა მათ თორის მარადიული სწავლით მიიღონ უდიდესი ნეტარება, დააფუძნონ თორა დედამიწაზე, გაასულიერონ იგი და შეერწყან შემოქმედს.

მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც უფლის ასო-ნიშანთა ქურდობით, პლაგიატობით ასევე შექმნეს საკუთარი ანბანები და თორის მაგიერი კონსტიტუციები. ასე მათ სურთ დაიკავონ უფლის ადგილი, მაგრამ მაგრამ უფლის მსგავსად ვერ ქმნიან სულებს, ადამიანებს. ამიტომ ეს სიკვდილის ენები და კონსტიტუციებია. ამ ყოველივეს თავს ახვევენ სამყაროს დანარჩენ ხალხებს და მიჰყავთ ისინი დაავადებებისკენ, „გაცისფერებისკენ“, სიკვდილისაკენ.

დროა, მოვეგოთ გონს, დავიწყოთ უფლის ენებით მეტყველება, მისი წიგნით ცხოვრება, აღვადგინოთ ყველგან ქართული ცხოვრების წესი, სადაც ყველა რელიგიის და ეროვნების წარმომადგენელნი ურთიერთსიყვარულით ცხოვრობენ და ასე შეუერწყათ უფალს, მივიღოთ მარადისობა.

1. თორის – ორი ანბანის და „ქებათა ქების“ საიდუმლოებათა ახსნა „ვეფხისტყაოსნით“ 6
1.1. როგორ მიაღწია უფალმა, მისი წარმოუდგენელი მოთმინებით და თავმდაბლობით, გამხდარიყო ჩვენს მიერ აღიარებული მეფე სამყაროსი . . 11
1.2. გზები ყოველთა თორით განათლებისა და არსი იბერთა უძლეველობისა . 15
1.2.1. რა განსაკუთრებულად შეფარული ძირითადი საიდუმლოებანია „ქებათა ქებაში“, იგივე თორაში, ( ) ელთა მიზეზით ვერ იხსნებოდა 216 საიდუმლოება . 18
1.3. ათი სეფიროთის არსი, რომლითაც მიმდინარეობდა ქმნადობა და წარიმართება სამყარო 35
1.4. „ვეფხისტყაოსანი“ – გზა ხსნისა 45
1.4.1. საქართველოს განათება რუსთველით ჩვენზე ადრე ყოფილა ნაწინასწარმეტყველები 49
1.4.2. ორი ერის ერთობის ისტორია 57
1.5. სამყაროს არსებობის არსი ორი ანბანიდან გამომდინარე . . . 62
1.5.1. ორი ანბანის სულიერი ერთობის არსი თორის დასახელებაშია გაცხადებული 65
1.5.2. უფლის ანბანის ნათება, შუქი, სიღრმისეული არსი საფუძველია ყველა ქმნილებათა ქმნადობისა 68
1.5.3. იბერია-კავკასიის სამოთხე-ქვეყნის შექმნის არსი ჩანს სიტყვებში „ქართველი“ და „ისრაელი“ 72
1.5.3.1. შინაარსი ორი ერის სახელებისა 74
1.5.4. ენით მეტყველებითაა სისხლის სრულყოფილება ყოველ ორთა 78
1.6. რატომ დაარქვა რუსთველმა თაეის პოემას „ვეფხისტყაოსანი“ 82
1.6.1. გზა ვეფხისტყაოსნობიდან ორ ლომამდე – მარადისობამდე . 86
1.6.1.1. ორი ლომის სიმბოლიკის არსი 88
1.6.1.2. ხუთ უდიდეს დედათა გადამწყვეტი როლი იბერთა მარადიული მეფობისათვის 89
1.6.2. ორი ერის მხსნელის მოვლინების მისია 91
1.7. რუსთველით გადმოცემული სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ისტორიული პროცესები 94
1.7.1. „ნადირობაში“ ასახული მცდელობა უფლის ენებზე მეტყველებით და თორით განათლებით ინდოევროპელთა მოქცევისა 100
1.7.2. ნადირობის პროცესი უანბანო, ნადირივით დამუნჯებულ ხალხთა მოქცევისათვის 110
1.7.3. როგორ განვითარდა მოვლენები მოყმესთან შეხვედრის შემდეგ . . . 114
1.8. ენის მეორეგზის უგულებელყოფა – გზა ადამიანთა კვლავ მხეცებივით სატანის სიკვდილის ზოოპარკში გამოკეტვისა 123
1.9. როგორ ჩანს ჩვენს მითოლოგიაში ბადრისა და ბიძინას – სამყაროს მხსნელთა – ისტორიული მისია 129
1.9.1. „თხა და ვენახი“-თ და ცისკარას მითით გადმოცემული სამყაროს ისტორია 139
2. ძირითადი მოვლენების განვითარება და როგორ იქნება ხსნა 143
2.1. სამფეროვანი დროის უგულებელყოფა უფლით განსაზღვრული საქართველოს სულიერი მისიის უგულებელყოფაა 147
2.2. ორი ანბანით შერქმეული სახელებით უფლის სიბრძნის შუქი მოედინება და მათით უფალთან მარადიული შერწყმაა, ნეტარებაა 151
2.2.1. გამოთქმა: „მე შენ სეირს გიჩვენებ“ ეს იაკობის მიერ სამყაროს 4.000-წლოვანი წინასწარმეტყველებაა 153
2.3. სამყაროს ისტორია, გაცხადებული ციფრებში, ქართულად რიცხვთა ათელისას 155
2.4. მარადიული სიცოცხლის არსი 158
2.4.1. ორი დრო: დროებითი – სიკვდილისა – სატანისა და მარადიული – სიცოცხლისა – უფლისა 162